K 6400
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა აღწერილობა

III

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. акад. С. Н. ДЖАНАШИА

ОПИСАНИЕ РУКОПИСЕЙ

РУКОПИСИ БЫВШ. МУЗЕЯ ГРУЗИНСКОГО ОБЩЕСТВА ИСТОРИИ И ЭТНОГРАФИИ (КОЛЛЕКЦИЯ Н)

Под общей редакцией К. С. Кекелидзе

ТОМ III

Составлен и подготовлен к печати под руководством и редакцией Хр. Шарашидзе

ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИСИ—1948

091(C922)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს სისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)

К6,400
4

კ. ჩარკვიანის კეკელიძის საერთო რედაქციით

ტომი III

შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრისტინე შარაშიძის
ხელმძღვანელობითა და რედაქციით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1948

ქართული ხელნაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხსოვნას უძღვნის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივი ამ ნაშრომს

Памяти академика С. Н. Джанашиа посвящается настоящий труд коллективом Государственного музея Грузии

სპეც-2000
ფემოფონდი

VIII, 523ქვ. 26ხ2.503.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობის ეს მესამე ტომი H ფონდის (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისეულ) ხელნაწერთა 1001—1500 ნომერს მოიცავს.[1] აღწერილობა ჩატარებულია I ტომის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი წესით.[2] მესამე ტომში აწერილ მასალაში შემჩნეულია 14 პალიმფსესტი (იხ. საძიებელები). ამათგან № 1329 მეტად მნიშვნელოვანია. იგი დაწერილებით არის აწერილი აკადემ. ა. შანიძის მიერ, რომელმაც ამოიკითხა და გამოსცა მისი პირვანდელი ჰაგიტური ტექსტი (მერვე საუკუნისა).[3] აღსანიშნავია აგრეთვე მე-11-ს. ხელნაწერი № 1338, რომლის მრავალ ფურცელზე ნათლად ჩანს თავდაპირველი ტექსტის მრგვლოვანი ხელით ნაწერი სტრიქონები. თარიღიან ხელნაწერებში აღსანიშნავია საბერძნეთში, ოლიმპოს მთაზე 978 წ. გადაწერილი „გამოცხადება იოვანესი“ და თარგმანება ამ თხზულებისა (№ 1346). ხელნაწერის ანდერძები და მინაწერები უძვირფასეს საისტორიო ცნობებს შეიცავენ. შესანიშნავია ეს ხელნაწერი თავისი მხატვრული გაფორმებითაც. მისი პირველი, საკმარისად ვრცელი აღწერილობა მოგვცა პლატონ იოსელიანმა.[4] უფრო დაწერილებით ასწერა იგი თ. ჟორდანიამ.[5] თ. ჟორდანიას განმარტებებში შესწორება შეიტანა აკად. კ. კეკელიძემ.[6] ძველ, თარიღიან ხელნაწერებში აღსანიშნავია აგრეთვე 1085 წ. მოსე ხანძთელის ხელით შატბერდის ლავრისათვის გადაწერილი „საწელიწდო საწინასწარმეტყველო“, რომლის ანდერძი დაგით აღმაშენებლის დროინდელ ისტორიულ პირთა მოსახსენებელს შეიცავს (№ 1350). აქვე გვაქვს 1304 წლის თარიღით აღნიშნული შიო-მღვიმის ცნობილი მოხატული ოთხთავი (1344); იერუსალიმში, გოლგოთაზე 1546 წ. გადაწერილი ხელნაწერი (№ 1348), მეტად მნიშვნელოვანი მინაწერებით; შიო-მღვიმის მეტაფრასი 1669 წლისა (№ 1336);

---

[1] აღწერილობის V ტომი გადაცემული არის დასაბეჭდად.

[2] იხ. ილია აბულაძე. წინასიტყვაობა. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ III—IV.

[3] აკაკი შანიძე. ჰაგმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა. ტფ. უნივერს. მოამბე. III, გვ. 354—388, 1923.

[4] იხ. Закавказский Вестник. 1845, №14, გვ 128—129 (Шио-мгвимския пустыня § 12).

[5] თ. ჟორდანია. ქრონიკები. I. ტფ. 1892, გვ. 122—128.

[6] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატ. ისტორია, I, გვ. 174—175, შენ. 7. 1941 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანჩაეთის ჭრობილი ეამნ-გულანი, 1674 წ. გადაწერილი ევდემოს ურბნელის-ბრძანებით (№ 1452), მრავალი ფერადი ილუსტრაციით, ქრონიკონთან, ისტორიული მინაწერებით და ანდერძებით. თარიღიან ძეგლთა შორის მოსახსენებელია აგრეთვე 1715 წ. ნიკოლოზ ორბელიანის მიერ შეგდენილი და მისივე ხელით გადაწერილი „ჭრიველის სამწყსოს დავთარი“ (№ 1294), ალექსანდრე არჩილის ძის მიერ თარგმნილი „არტილერიის წიგნი“, გადაწერილი რუსეთში 1722 წელზე ადრე (№ 1069). ჩონდის ამ მესამე ხუთასეულში გვაქვს აგრეთვე ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ორი შესანიშნავი ნუსხა, გადაწერილი სპას ძის ზოსიმეს ხელით: 1725 წ.—ქვიშხეთს დაწყებული და მოსკოვს გათავებული (№ 1429) და 1727 წ. —მოსკოვში გადაწერილი (№ 1035). სამართლის წიგნების ჩვენამდე მოღწეულს უძველეს თარიღიან ნუსხათაგანს წარმოადგენს როსტომ ერისთავის ბრძანებით 1751 წ. რაჭაში გადაწერილი ხელნაწერი (№ 1070). ყურადღების ღირსია აგრეთვე ერეკლე II—ჯახთა მეფის ბრძანებით 1760 წ. თარგმნილი და ალავერდის ეკლესიაში გადაწერილი რუსული სამართლის წიგნები, რომელსაც დართული აქვს მნიშვნელოვანი ანდერძები (№ 1426).

მე-19 ს. თარიღიან ხელნაწერებს შორის არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ 1807 წელს ქალაქ პერშიში დაწერილი ზაალ კობაიშვილისა და გიორგი ალადაშვილის ანდერძი, რომელიც მე-19 ს. პირველი წლების ქართველების პოლიტიკური ეიოარების გაშუქებისათვის იშვიათ დოკუმენტს წარმოადგენს (1257).

არანაკლებ შესანიშნავია უთარიღო ხელნაწერთა, ჩვენ მიერ პირობითად, დაახლოებით დათარიღებული ჯგუფი. აქ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს მე-11—12 ს. კრებული— მეტაფრასი (№ 1347). იგი შესანიშნავია როგორც ძირითადი ტექსტის შემდგენლობით, აგრეთვე თავისი ანდერძებით და ისტორიული მინაწერების სიმრავლით. კრებულის გადაწერად ჩანს ვარლენი, რომელიც ერთგან თავს „იყალთელად“ იხსენიებს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი და კომენტირებული პროკლე „დადმობისას „პლატონურისა ფილოსოფიისა კავშირნი“— ერთ-ერთი უძველეს ნუსხათაგანი (მე-12—13 ს.—№ 1337). უთარიღო ხელნაწერთა შორის გვაქვს აგრეთვე: ყანჩაეთის ცხოვრება ოთხთავი (მე-12—13 ს.), შესანიშნავი თავისი მორთულობით და მინაწერებით (№ 1453), შიომღვიმის მონასტრიდან ჩამოტანილი ტიბიკონი მე-13 ს. (№ 1349), ამგვარი ნეკრესელის კრებული (№ 1283), მდიდარი ისტორიულ-ლიტერატურული მასალით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, სხვათა შორის, ე. წ. „ამხანეთის ისტორია ბაგრატ მეფისა“, გამოქვეყნებულია აკად. ე. თაყაიშვილის მიერ[1], ამგვარსავე ნეკრესელისავე **ბარათების წიგნი,** რომელშიაც ჩართულია ისტორიული პირთა (ვახტანგ VI-ის, ბატონიშვილების, იესე ოსეს ძისა, მზეჭაბუკ ორბელიანისა და სხვ.) ნამდვილი წერილებისა თუ სიგნების პირები (№ 1334).

[1] იხ. საქართველო, II, ტფ. გვ. 28—66, 1913.

უთარიღო ხელნაწერთა შორის საჭიროა აღინიშნოს ბიბლიის (ძველი აღთქმის) რამდენიმე წიგნის ერთი ნუსხა, რომელიც ორბელ ყაფლანისძისა (დამკვეთი) და ნათანაელ ბედიაშვილისშვილის (გადამწერი) მოხსენების წყალობით მე-17 ს. 60—70 წწ. თარიღდება (№ 1207). აქ ჩვენ გვაქვს ბიბლიის შემდეგი ნაწილები: შესაქმე, გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა და ბ სჯულის წიგნები. ბიბლიის ხსენებული წიგნების ეს ტექსტები ნასწორებია და გამსწორებლის ხელით თავებად და მუხლებადაც არის დაყოფილი. მას აქვს ტექსტთან დაკავშირებული მრავალი მინაწერი. ბიბლიის წიგნების ეს ნუსხა არის ერთი სამ ხელნაწერთაგანი. ამ სამ ხელნაწერს ერთმანეთთან აახლოვებს შინაარსი (ბიბლიის — ძვ. აღთქმის — წიგნები) და დამკვეთის სახელი—სამივე გადაწერილია „ბატონის მდივანბეგის ორბელის, სულკურთხეულის ბატონის ყაფლანის ძის და სულხანის მამის“ ბრძანებით. დანარჩენ ორ ხელნაწერთაგან ერთი H ფონდშია არის დაცული (№ 885). იგი შეიცავს ნეშტთა, ბ სჯულის, ისო ნავეს და მსაჯულთა წიგნებს. მესამე ნუსხა—A ფონდისა (საეკლესიო მუზეუმისეული), № 179—აწერილია თ. ჯორჯანის მიერ. [1] იგი გადაწერილია იმავე ორბელის ბრძანებით და თარიღად 1669 წელი უზის. ხსენებული ხელნაწერება, რომელთაგან პირველი წინამდებარე III ტ. არის აწერილი, უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ქართული ბიბლიის შეკრების, შესწავლის, აღდგენისა და გამოცემის ისტორია მე-17 ს. სამოციან-სამოცდაათიან წლებიდან უნდა დავიწყოთ და არჩილი ყოფილა გამგრძელებელი და არა ინიციატორი ქართული ბიბლიის აღდგენა-შესწავლის საქმისა. ბიბლიის ტექსტებზე მუშაობის სათავეებს მიეყავართ არჩილის პაპის (დედის მხრით) და სულხან-საბა ორბელიანის მამის ორბელ ყაფლანის ძის სახლში. ამ უკანასკნელის ბრძანებით დაუწყიათ ქართული ბიბლიის შეკრება. ბიბლიის ტექსტებზე მომუშავე პირველი მეცნიერი კი ყოფილა ორბელ მდივანბეგის ძე სულხანი, შემდეგში ბერ-მონაზონი საბა, რომელიც ასეთი გულმდუღარებით უჩივის ბიბლიაზე მუშაობის იძულებით შეწუკეტას (ვახტანგ VI-ს ბრძანებით?) ქილილა და დამანას წინასიტყვაობაში: „ბერმონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ქილილა-დამანას აკეთებდეს“ და სხვ. [2].

ჩვენ აქ გაკვრით, სრულიად ზოგადად, მოვიხსენიეთ ზოგიერთი ხელნაწერი, უმეტესად იმის გამო, რომ გვინდოდა შეგვეცნო III ტომის აღწერილობანი გამორჩენილი ცნობებით.

საძებნელზე მუშაობის დროს განზრახული გვქონდა რაც შეიძლება მეტი ზედმიწევნილობით გამოგვეკვლია „აღწერილობის“ ამ ტომის მასალა. მაგრამ, უეჭველია, მასალის ნაწილი მაინც საძებნების გარეშე დარჩა და მხოლოდ აღწერილობის გადაკითხვით იქნება შესაძლებელი ამ მასალის მიკვლევა.

---

[1] Опис. I, გვ. 187—188.

[2] ქილილა და დამნა. გვ. 9, 1886.

ხელნაწერთა ანერაზე რედაქტორთან ერთად მუშაობდნენ: ნ. კასრაძე, პ. გაგოშიძე, ქ. ქოჩიაშვილი და ლილი ასათიანი. კორექტურის სწორებაში რედაქტორს დახმარებას უწევდა ელენე მეტრეველი, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე ამ ტომში შესულ ანწერილობათა მთელი რიგი. კორექტურასთან დაკავშირებით არაერთხელ გაისარჯენ თინა ენუქიძე და შალვა გოზალიშვილი. ყველა ჩამოთვლილ პირს რედაქცია მადლობას მოახსენებს.

ქრისტინე შარაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1001

ჩარ-დავრიშიანი (I—VII კარი) [მე-18 ს.]

148 ფ; 20×15,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; სრული; დაზიანებული (?40 ფფ.); მხედრული (სათაურები სინგურით); მე-18 ს. (ჭვირნიშანი: 1791—91 ფ.); შემოწირულია გიორგი ქვლონიძეს-ძის წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„კარი პირველი. ბახტიარ ჴემწიფისა ამბავი. ესე არს ამბავათ გასაგონი და წიგნსა ამას ეწოდება სახელად ჩარ-დავრიშიანი.—იყო ჴემწიფე კოსტანტინე პოლესა შინა, მორჩმული, გამდიდრებული და ყოველსა ქუეყანასა სახელგანთქმული...“ 2r—148 v.

შენიშვნა: წინამდებარე ხელნაწერისა და H 1211 კრებულის ტექსტი ერთი და იმავე ხელით არის გადაწერილი (ესენებული კრებულის 289—396 ფფ. „ჩარ-დავრიშიანის“ ტექსტსაც შეიცავს).

მინაწერები: 148 v.

1002

ბარამ-გულანდამიანი [მე-18 ს.]

39 ფ.; 20,5×16; ქაღალდი; მუყაოს ყდა (მე-23 ფ. გაჰეთილი); მხედრული (სათაურები სინგურით); [XVIII ს.]; შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„კარი პირველი ბარამისა და გულანდამისა, სპარსულისაგან ქართულად გარდამოთარგმნული ბრძანებითა ქართველთა მეფისა ვახტანგისათა. — იყო ქვეყანასა ურუმელთასა ჴემწიფე ქიშარ, ზნე-უქლებელი, მორჩმული და სიმდიდრისაგან ამაღლებული. ღ-თისაგან არა ნივთი არა აკლდა რა, უძეობისაგან კიდე...“ 1r—39v.

შენიშვნა. 1. ბარამ-გულანდამიანის ტექსტის ბოლოს, 39v-ზე, სხვა (მე-19 ს.) ხელით, მიწერილია 19 სტრიქონიანი ლექსი: „სოფელო, ამხანაგი ხარ წყეულის ეშმაკისაო...“ რომელიც წყდება: „ . . . ვაი, სოფელო, ცრუო სოფელო, ფიქინით დამთრობელო“.

2. აქვე. მარცხენა კიდეზე, დასწვრივ, იმავე ხელით: „ელენეს მზითვისა არის თაზრშეილის ჭალის“.

3. ხელნაწერის ტექსტი დაწერილია წინა ხელნაწერის ხელით.

1003

სამგზავრო გეოგრაფია [1794 წ.]

86 ფ.; 20×16,5; ქაღალდი; ტყავ-გადაკრული ტივრული ბის ყდა (ტექსტს აკლია 9v—10-r-ს შუა); მხედრული; 1794 წ. (4r) ჭვირნშანი: 61, 62, 63...1791); მთარგმნელი: მეფის ძე დავით (4r); ადგილი: ტფილისი (4r); დაუწერელია: 1 v, 2r, 3v, 86 v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„თჳს ქუჱყნიერისა სჳროისა, გინა ბურთისა.—მსოფლიო სჳერა ანუ ბურთი, შეიცავს თავსა ზედა თჳსსა 7200 მილსა. აღრაცხე ყოველსა მილსა შინა 3000 ნაბიჯი გეომეტრიული...“ 5r—85v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი „სამგზავრო გეოგრაფია, რომელსა შინა იხილუბის აღწერა ყოველსა სოფელსა შინა მყოფთა საკელმწიფოთა, თჳს მთათა თჳისებათა, ჰაერთა და ჩუჱულებათა მათთა და მუნ მცხოვრებელთა, თჳს სამეფოთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქთა, სიშორე მათი პარიჟით და მოგზაურობასა შინა ამა ვიდრე ქალაქამდე, ქალაქები, გზასა შიდა ზღუანი და ჭმელსა ზედა გზანი და მდებარეობანი მათნი. ფრანცუზულადვამ რუსულად თარგმნილი და აწ ქართულსთა ენასა ზედა თარგმნილი საქართუელოს მეფის პირშჳას ძის გიორგის პირშჳას ძის დავითისაგან. წელსა განჴორციელებითგან მაცხოვრისა ჩჩყზ[1794]ისა, მეფობასა ირაკლი მეორისასა 53, თთჳსა იფნისსა, 29, სამეფოსა ჭალაქსა ტფილისს". 4r.

ბ. მთარგმნელის „წინათ-განცხადება.—ვინაჲთგან ესრეთ არა არს ზედა საამო, ვითარ შრომაჲ საქმეთა თჳისთა სასარგებლოთა, რომელიცა წოდებულ არს შრომად ღირსად და ვინაჲთგან ესე არს ესრეთ, მაშასადამე კეთილ-გონიერება მარადის იღუწის მას შინა, რათამცა მიღებისათჳს ბედნიერებისა იზმარებოდენსა შესაფერისნი საშუალოჲანი, რომელიცა გარდა ფუანქციისა შრომისა შეუძლებელ არს. და ესე ვითარისა შრომისა დამდებმან, გარდამოვიღე რუსულთა ენათაგან ჩჩყსა ენასა ზედან წიგნი ესე, რომელსა „დიპროფაია ღეოღრაფია," რომელიცა არქუმენს სიმრგუალესა ჭეშმარიტისასა, ზოგსა, მასა მათეშათიკებრისა და თანად ცნობასა ისტორიებრისა. ხოლო მე სხუათა წინანდელთა შრომათა თანა, ამისცა მშრომელმან და კმაისა მისჴისა მკონებმან ჴრისა ჭენდნიერებისა და სახოგადოობისა მეცნიერებისათჳს, მე ჩემი ჩემისამებრ მზრუნველობითისა თანამდებობითა ვიმხარჭე, ხოლო თჳმე თქუმნ თქუენისამებრ კეთილშობილებისა და კეთილ განჭურეტელობითა მიიღეთ. საქართუელოს მეფის ძის ძე დავით, პრუნს დავით". 3r.

გ. გეოგრაფიუფ ცნებათა მოკლე განმარტება (1r). 2. „სამგზავრო გეოგრაფიაში" მიმოხილულია ზოგადი გეოგრაფია და დედამიწის 5 ნაწილი: ეეროპა, აზია (საქართველოს შესახებ: 52v—53v), აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია. 3. რუსული დედნის სათაური: „География (дорожная), содержащая описание о всех в свете государствах, о их качестве, климате, нравах и обычаях их жителей. и проч. перевод с французского. Москва, 1765—в 12°. тож, издание второе; Москва, 1788—в 12° 1р— 50к„ В. С. Сопиков. Опыт российской библиографии, I. С. П.—г. 1904. №№ 2766, 2767)

მინაწერები: 2 v. 4v. 86 r. II ყდის r.

1004

გეოგრაფია და ისტორია ასურეთისა [მე-19 ს.]

160 ფ.; 20,5×16; ქაღალდი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული; მე-19 ს. (კვირი[ნ]შაბი 1828—104 ფ.); მთარგმნელი და გადამწერი: მდივანი ავთანდილ თუმანიშვილი (1v); დაუწერელია: 160r—v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა.—სახელდებითა ასურეთისათა შესაძლო არს, რათა დაიღუას ყოველი ნაწილი ჰაზიისა, განჴრცელებული სამჴრეთის კიდითგან კასპიის ზღჳსა, სრულადდე სპარსეთისა...." 2r—158v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის მთარგმნელის და გადამწერის მიმართვა მეფის ძის დავითისადმი: „უგანთლებულო მეფის ძეო დავით!—ვინაჲთგან ვალი წინაპართა ჩემთა იყო ესე, რაჲთამცა მსახურებაჲ ჩჩუნნი შედგმულ იყო კალაჰს შინა, ხოლო გამოვაკლდით რა შემთხუჩსა ჯამი, ამისთჳს, ნაცუნად მისსა, ახლად ვალად შეგროცხე გარდმოღებაჲ წინა-მდებარისა ამის წიგნისა როსიულისა ენითგან ქართულსა ზედა დიალეკტსა..." 1r—v.

2. „ღეოღრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა" შეიცავს 20 თავს (სახელვრები, ფიზიკური გეოგრაფია, პოლიტიკური ისტორია, ზნე-ჩვეულებანი).

3. დართული აქვს „ხანდუკი" (159r—v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1005

– კრებული [1827 წ.]

81. ფ; 20,5×17; ქაღალდი; ქაღალდ-გადაკრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1827 წ(74r, 78v); გადამწერი: მღვდელ-მონაზონი რომანოზ (74r, 78v); ადგილი: მარტვილი (78v); დაუწერელია: 1r, 2v r—3v. 74v, 79v—81v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. „წმინდისა მამისა ჩვენისა ანდრია მთავარეპისკოპოზისა კესარია კაბადუკიელისა თარგმანება გამოცხადებისა წმინდისა იოანე მახარებელისა, რომელი სთხოვა სხვამან ეპისკოპოზმან და მან მიუწერა ესე მას: „უფალსა ჩემსა და ძმასა და ჩემთანა მღვდელსა უფლისა მიერ გახარებ.—მრავალთა მიერ ვიიძულე მრავალჯზის, რომელთა იგი აქუნდა ჩემდა მომართ იქვე უზესთაესი ძალისა ჩემისა, რაჲთამცა ესთარგმნე ღ~თის მეტყველისა იოანეს გამოცხადება...“ 4r—71r.

2. „ეპისტოლე, მიწერილი ავგაროზ მთავრისა ქალაქისა ედესიისასა, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩვენსა იესუ ქრისტესა და წარსცა ანანიას მიერ მოციქულისა იერუსალიმს.—ავგაროზ, მთავარი ქალაქისა ედესიისა, იესუს, მაცხოვარსა სახიერსა, მეუფესა გამოჩინებულსა ქალაქსაჲ იერუსალიმსა გახარებ...“71v.

3. „პასუხი, მიწერილი იესუ ქრისტეს მიერ ავგაროზის მიმართ.—ნეტარ ხარ შენ, ავგაროზ, და ქალაქი შენი, რომელსა ჰქმიან ედესია...“71v—72v.

4. [ხატისათვის უფლისა].—„წმინდისა მადლისათვის. ხოლო შეიწუნარა რა ავგაროზ ეპისტოლე უფლისაჲ და ჰურიათა ეუწყა, ვითარმედ მოსწრაფე არიან მოკლვად უფლისაჲ, წარავლინა ავგაროზ მალე მსრბოლი და ჴელოვანი მხატვარი მოღებად ხატსა და მსგავსებასა იესუსასა.....“ 72v.—73v.

5. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებელისა სიტყვის-გებისათვის ვნებათასა, მიწერილი მამისა თალასეს მიმართ.—შემკობილი ყოვლითა სათნოებითა და მუშაკსა სულიერისა მის ქუეყნისასა, მწყემსსა პირმეტყველთა ცხოვართასა, მონასა ღ~სასა თალასეს მაქსიმე, გლახაკი მონაზონი, უფლისაჲ მიერ, გიკითხავ...“ 75r—78v.

მინაწერები: 3r, 79r.

ანდერძი: 1. (მთარგმნელისათვის) „ქრისტე, ადიდე სულითა ეფთვიმე, ამისი მთარგმნელი. იყავნ ამინ. “ 71r.

2. (გადამწერის) „აღიწერა ჴელითა ცოდვილის მღვდელ-მონაზონის რომანოზ, მარტვირიის სვეტსა ზედა დაყუდებით მდგომარისათა. წელსა ქრისტესით ჩყკზ, სეკდმბერის კდ. 78 (ანალოგიური ანდერძი 74 r.).

1006

კრებული [მე-19 ს.]

I. 142 ფ.; 20,5×16; ქაღალდი; ტყავ-გადაკრული ტვიფრული ხის ყდა (ამოვარდნილია ფურცლები: 107—113, 126—133); ნუსხური (სათაურები სიგნურით); თავკაპიტალობა: 2r; [XIX]; ტექსტი ნაკლულოვანია (75—76. ფფ. შუა). შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. „ქებაჲ და დიდებაჲ შესხმა და გალობა ყოველად წმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~ის მშობელისა და მარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ქალწულისა მარიამისა და უწყებაჲ უბიწოსა და სანატრელისა მის მოქალაქობისა მისისა ზოგითგან მიცვალებადმდე. აღწერილი ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა.—ისმინეთ ესე ყოველმან თესლებ̃ან და ყურად-იღეთ ყოველთა დაჰკრძალებულთა ქუეყანისათა..." 2r—123r.

2. „საჭმენი და სწავლანი და საკჳრველებანი წმიდისა იოანე ღ̃ის მეტყუელისა და მახარებელისანი და პროხორე მწერალისა.—და იყო ჟამთა რაჲდენთამე შემდგომად ამაღლებისა უფლისაჲ ჩ̃ნისა იესუ ქრისტესი, ძისა ღ̃ჲ ზეცად, შეკრბეს ყოველნი მოციქულნი გესაპანიას..."123r—141v.

წ ყ დ ე ბ ა: „...იყო პჳროპად იგი პატმო ჰალაკსა, ხოლო ქარტა იგი წარღებად ეფესოს ქალაქსა და შ."

შენაშენი: ტექსტის ბოლოს, ქვემოთ, მიწერილია: „განსრულდა, ძალითა ღ̃თა"

მინაწერები: 1 r—v; 1 r—v. მხედრული მინაწერი „რომანოზ დაყუდებულისა არის". 1v.

1007

მარმონტელი. ველიაზარ [მე-18 ს.]

97ფ.; 20,7×16,4; ქაღალდი (ცისფერი); ტყავგადაკრული ტივრული ხის ყდა; მხედრული თარგმნილი არხიმანდრიტი გაიოზის მიერ კრემენჩუკს (1r 96v). 1787 წ. (1r, 96v); მე-18 ს.—(ჰეირნიშანი: 78, 83, 87, 95—1788); დაუწერელია: 1v, 97 r-v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„თავი. ა.—მოუძლურებული განგრძელებულითა მძრწოლობითა ჰრომის იმპერია (სახელმწიფო) დღეთა იუსტინიანეს მოხუცებულებისათა დაუახლოვდა უკუე სრულსა შემუსრულსა..." 2r—96v.

შენიშვნა. 1. წინ უძღვის თავფურცელი: „ველიაზარ, კმნილი უფლისა მარმანტელისაგან, რომელიც იყო წევრი ფრანცუზისა აკადემიისა. თარგმნილი რუსულად მისის იმპერატორების დიდებულების ცხატირინა მეორისა იმპერატრიცასი და თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა და სხუათა და სხუათა და სხუათა, ვოლგასა ზედა. ხოლო რუსულითით ჭართელსა ზედა ვიწყე თარგმად არხიმანდრიტებ̃ან გაიოზ წელსა ქრისტესით 1787, ოქტომბერს 24. კრემენჩუკ". (1r). [ორსული გამოცემა აწერილია ამგვარად: „Велисарий, сочинения Г.Мармонтеля, перевод с французскаго на словенский, с фигурами; в Вене 1777." Сопиков О. Р. Б. 1 § 195. СПб 1813.]

2. 1787 წ. თარგმნის თარიღი არის, ხოლო კრემენჩუკი—თარგმნის ადგილი.

მინაწერი: 1v.

ანდერძი (მთარგმნელისა) „სრულ ვჰყავ წელსა 1787, თთუესა დეკემბერსა 14. კრემენჩუკს. გაიოზ." (96v).

1008

კრებული [1826 წ.]

62 ფ., 22×16; ქაღალდი; ქსოვილ-გადაკრული ხის ყდა; მხედრული; 1826 წ. (4r); გადაწერი [ნიკოლაი დადიანოვი] (4r); ადგილი: ნოღა (4r); დაუწერელია: 61v, 62v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. [დადიანი ნიკოლოზ] „პირველსა კერიაკესა მარხვათასა ქადაგება სინანულისათვის.—იტყვის დიდი წინასწარმეტყველი დავით პორფიროვანი: „ძმინარმან არღარა ნუ შესძინოს აღდგომაჲ?..." 5r—12r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [დადიანი ნიკოლოზ] „მეორესა კვირიაკესა წმინდათა მარხვათასა. ქადაგება მარხვისათვის.—ბრძანებს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: მარხვა უქმი და დღესასწაულობა თქუენი სძაგს სულსა ჩემსა...“ 12r.—21v.

3. [დადიანი ნიკოლოზ] „მესამესა კვირიაკესა მარხვათასა. ქადაგება მოწყალებისათვის.—სული წმინდა გვიბრძანებს პირითა წინასწარმეტყველისა დათვითასათა: „ილოცეთ და მიეცით უფალს ღმერთსა ჩვენსა“.... 21v—28v.

4. თქმული ყოველად ნეტარისა კაცისა ყოველად სამღვდელო ანტონი ჴყონდიდის მიტროპოლიტისა, დადიანის ძისა მეოთხესა კვირიაკესა მარხვათასა. ქადაგება აღსარებისათვის.—იტყვის წინასწარმეტყველი დიდი დანიელ: „ვსცოდეთ, ვიუსჯულოეთ, ვიუშჯულოეთ და განვსდექით მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა...“ 28v—34r.

5. „თქმული მისვე, ყოველად ნეტარისა კაცისა, ყოველად სამღვდელო ანტონი ჴყონდიდის მიტროპოლიტისა, დადიანის ძისა, მეხუთესა კვირიაკესა მარხვათასა. აღსარება მღვდელობისათვის.—ბრძანებს უფალი პირითა მალაქია წინასწარმეტყველისათა: „ბაგენი მღვდელთანი იწვრთიდენ მეცნიერებასა...“ 34v—40v.

6. „[დადიანი ნიკოლოზ] „კვირიაკესა მეექვსესა მარხვათასა. ქადაგება შურიასათვის.—წინასწარმეტყველთა შორის წარჩინებული დიდი ისაია იტყვის: „შურმან შეიპყრას ერი უსწავლელი...“ 41r—51r.

7. [დადიანი ნიკოლოზ] „დიდსა პარასკევსა. ქადაგება მაცხოვარებითსა ვნებასა ზედა.—მაცხოვარი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს მტერსა შინა გეთსამანიისასა: „შეწუხებულ არის სული ჩემი ვიდრე სიკუდილამდე...“ 51r—60v.

შენიშვნა: წინ უძღვის ნიკოლოზ დადიანის „წინასიტყვაობა წინამდებარისა ამის წიგნისა.—მაღალ ღირსო არხიმანდრიტო და მოძღვართა-მოძღვარო გიორგი კუბალაშვილო და წმინდათა უდაბნოებთა წინამძღვარო და მამაგ! მრჩობლთა არსებითა ჩემთა სასოუპაც...“ 2r—4r.

წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ ნიკოლოზ დადიანს გიორგი კუბალაშვილის წინადადებით დ უწერია წინამდებარე კრებულში მოთავსებული 5 ქადაგება და დაურთავს ანტონ ჴყონდიდელის 2 ქადაგება.

მინაწერები: 1r—v; 4r—v; 60v; 61r.

1009

სამეულ რაბინ იუდიანი, ოქროს აღმაქვსი [1831 წ.]

52 ფ.; 21×17; ქაღალდი; უყდრო (დაშლილი); მხედრული (სათაურები სინგურით); 1831 წ. (49v); გადამწერი მონაზონი რომანოს (49v); დამკვეთი: ჴყონდიდელი მიტროპოლიტი დავით (49v); ადგილი: მარტვილის მონასტერი (49v). შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„წიგნი სამეულ რაბინ იუდიანისა, მორაკანელისა, უპირუელესის სინაღლისა, განა ჰსჯულის შესაკრებელის, მოძღურისა, ისაკ რაბინის მიმართ, რომელ არს სუბულმეტს მორაკანის ქალაქსა შინა.—წყება ა. ღმერთმან დაგიცუას შენ, სულიერო ძმაო და განაგძოს საუკუნოჲცა შენი ვიდრე დასასრულადმდე ტყუჱობისა ჩუჱნისა... 4r—38v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი „ოქროს აღმაქვსი, სამეულ რაბინ იუდიანისაგან მეორედ გამოღებული სანატ-პეტერბურგს, შრომისნის ნების სტამბასა შინა დებეჭდილი 1782 წელსა უშჱინდესის სინოდის მმართებლის წჱვრს მაღალ ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად სამღუდელოს გაბრიელს, ანზიკისკოპოსს დიდის ნეოკოროდისა და სანკტპეტერბუ-
ლისასა და წმიდისა სამების ალექსანდრე ნევსკის მონასტრის არხიმანდრიტსა, მის მა-
ღალ ყოვლად სამღუდელოებას უმოწყალეს მწყემსთ-მთავარს.“ 1r.

ბ. რუსულად მთარგმნელის მონაზონის ვარლაამის მიმართვა
სინოდის წევრის, მიტროპოლიტის გაბრიელისადმი: „მაღალ ყოვლად უსამღუდელოესო,
უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო.—მივიღე უსახმარესი ჟამი გამოცანაუბად თქვენის მაღ-
ლისა ყოფლად სამღუდელოებისა. უკუმწყნასად შენდობით გავბედავ, რათა განუცხადნენ სა-
ხელითა თქვენითა თარგმნილი ჩემ მიერ სამეფო რაბინისა სათნო უყოფელად ქრისტეს
თჳს განჰსჯაჲ....“ 2v—2r.

გ. ქართულად მთარგმნელის, დიმიტრი ბაგრატოვანის მიმართვა: „მკი-
თხველთათჳს.—ჩემგან ამ წიგნის თარგმნა შეუძლებელ იყო, სამღთოს წერილის ენის
გამოუცოდნობით. გარნა მამის დის ჩემის, მეფის ქაიხოსროს ასულის თხრვამ [!] ბრძანებას
ვერ ურჩ ვექმენ. ვინაჲთგან დიდი სურვილი აქუნდა რუსულისაგან ქართულად გარ-
დმოთარგმნებისა და ამისთჳს, აღმბაძებელმან სხუათა ქრისტეანეთა მთარგმნელთამან,
არღარა ეროდე ლეჭით შეუწყობელობასა ყტჳდრებასა, რაათა იდიდოს ადრეთგანვე მო-
წყალებანი ჩუენთა ერთ-ჭეშმარიტთაგან ყოველად დიდებული სახელი ღმერთ-მამაკაცისა,
უფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესი აწ და უკუნისამდე.

ჰაზრი წერილისა სრულად გარდმომეცა და თუ ვინმე ინებოთ უშუალიერესად
განწყობაჲ მჴრომელის სახელისა აღუპოცელად, მადლიერ ეიქმნები. თავადი დიმიტრი
ბაგრატოვანი“. 2v.

დ. [რუსული თარგმანისათვის წამძღვარებული „აღნიშუნა“ წიგნის მოკლე შინა-
არსისა და ბიბლიოგრაფიული ცნობები თხზულების დაწერის თარიღისათვის (XI ს.),
თარგმნისა და ნაბეჭდი გამოცემებისათვის] „აღნიშუნა.—წიგნი ესე ამტკიცებს ათჳ შა-
რის სათნო-უყოფელსა ქრისტეს თჳს განსჯასა, წინასწარმეტყუელთა თქუფლთაებრ და
მათსა ნამდჳილსა აღსრულებასა და უფროსად, აწინდელსა მდგომარეობასა იუდაიზმ-
ნათესავთასა.“ 3r.

2. დართული აქუს: ა. „პირი წიგნისა, წარგებინებული იერუსალიმით ტიბერიოს
იპარატორისა მიმართ ფუბლიო ლენტული მთავრისაგან ჰურიასტანისა იესო ქრისტესა-
თჳს. წიგნი ესე დამარხულარს ჰრომს, მონასტერსა შინა ბატონთა კესარინელთა, წიგ-
ნისა საცავსა შინა. ხოლო თარგმნილ არს წიგნი ესე ლათინთა ენისაგან ფილაპპს, ლა-
თინთაგე ბუცისაგან.—სათნო ყოფად შენდა მ, კეისარო, ნატრისა შენისათჳს მოგახსენებ
ვითარმედ არის ჩუენსა დროსა ჩემდა რწმუნებული სამთავროს ადგილს შინა კაცი
ვინმე, რომელსაც ჰქჳანს იესო ქრისტე....“ 39r—40r.

ბ. „მათს დიდებულებას თჳთ მჱყროპელს კეისარს მეფესა ჰრომაელთასა, აღმოსავლე-
თის კერძოთ მთავრისა და იერუსალიმის გამგის პილატესმიერ რაპორტი.—
მოჰჭენდეს თქუენს თჳთ-მჱყროპელობითს დიდებულებას საქმე იჳი საოცარი, რომე-
ლიცა იქმნა ამ ჟამად ჭეშმარიტსა ჩუენსა შინა [მოთხრობილია მოკლედ ქრისტეს გამო-
ცხადებისა, ამ ქუეყნიური მოღვაწეობისა და ჯვარცმის ამბავი]“. რიწ უძღვის „წინასი-
ტყუაობა მთარგმნელისა“. 41r—v, 41v—43r.

გ. „ხოლო ოდეს მოჴსენებისა წერილი ესე მიწერენილ იქმნა ჰრომს შინა კეისართან
და აღმოიკითხეს და განითქუა ესე ჰამბავი, სიმრავლე ქალაქისა განჰკჳრდა და დიდე-
ბულად და მთავართა მოახსენეს კეისარს [პილატეს მოქმედების დაჭმობა და დასჯა მისი]“.
43r—48r.

დ. „მეფეთ მეფე აგრიპოსერ კეისარი ჰრომაელთ სამფლობელოსი, შენ, საყუარელ-
სა ძმასა ჩემსა, მეფესა დიდის სასოჭნითისა და აღმოსავლეთის მთაუარსა ავგარ ს
გიხაროდენითა მოგიკითხავ.—ეუწყა თჳთ-მჱყროპელსა მეუღებასა თქჳენსა უმეტეს სი-
ყუარული ძმობისა და ურთიერთისა მიმართ ერთ-სიტყუაობა და თანახმაობა და
ამისთან მოხსენდეს მეუღებასა თქჳენსა ესეცა: კაცი ვინმე იყო, რომელსა ეწოდებოდა
იესო....“ 48r—49r.

[ბაგრატიონი დიმიტრი] „ლექსი მთარგმნელისაგან.—ვეცხლი აიღო მღუდელ-
თაგან, თავი დაირჩო იუდა...“ 49 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. [ბაგრატიონი დიმიტრი] „ლექსი სზუა სიტყვაობითი.—ჯტარმან ერთმან განმაცოხლა და ძეორემ არ მაწყინა“....49v.

მინაწერები (ტექსტის ხელით): 16r, 17v, 18v, 20v 22r—v, 28r. 31v, 38 v (ლექსად)—უმეტესი ნაწილი მთარგმნელის აქოლიის წარმოადგენს. 49r.

ანდერძი (გადამწერისა) „სრულ იქმნა ბრძანებითა მათის ყოვლად უსამღუდელოესობის სრულიად ყოველისა მღერელისა [!] ქუსნისა, და ყგრეთუმ სუბართა და აფხაზთა მწყემსისა, იმერთ სახლთ-უხუცეს ღუნრაღ-მაიორის და კავალერის ზურაბ წერეთლის ძის ჭყონდიდლის დავითისათა ოქროს ალბაკენი ესე და ვარ მთხოველი ყოველისა შემლებელისა ღ-თისაგანი, რათა სუფევდეს ყოველად უსამღუდელოესობა თქუენი მრავალწელკეთილდღეობითა, წმინდაო მეუფეო ჩუნო, თქუენის ყოველად უსამღუდელოესობის უჭეშმარიტოსმილესი შინა, გლახაკი მონაზონი წვიდისა და დიდისა ცათა მობაძისა მთავარმოწამისა მარტკრაისა მესტუე, (ცოდვილი ბერი რომანოზი, რომელიც ღმიწერეს] მუნვე ს[ვეტის შინა. წელსა ქრისტესით ჩ,ცღა-სა, მარტის კგ. 1831-სა, მარტის 23.“ 49 v.

1010

ისტორია მწერთა სავნებელთა [1815 წ.]

93 ფ.; 21,5×17,5; ლურჯი ქაღალდი; უყდო (დაზიანები, 1 ფ. დაბეჭდილი; 1, 20, 21, 22 ფ. ამოვარდნილი); მხედრული; 1815 (86r); გადამწერი და [მთარგმნელი რუსულიდან] იასე; 87—93 ფ. დაუწერელია. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„ისტორია მწერთა სავნებელთა კაცისათვის, პირუტყვისათვის, ჴნულისათვის და ბოსტნისა, ანუ ხის წალკოტთათვის. თავი პირველი. ბაღლინჯანი.—არა არს არცა ერთი ქალაქი ევროპასა შინა, სადამცა ესოდენ მსხემობდენ ბაღლინჯანი, ვითა პარიჟსა შინა...“ 6r—86r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: **ა.** „წინასიტყუაობა: მწერი არს ესევითარი ცხოველი, რომელსაცა არაგვითარნიმე ძტაღნი ჰქონან, რომელსაცა შორის არს ანუ ჩ[იჩე]ორი, ანუ ისარი, ანუ ტუჩი, რომელსაცა შორის ღაწუჩი გაჩენმიან და დაიჭმიან ანუ ზე ანუ ქუშ...“ 2r—4v.

ბ. „პინაჭჩი. თავი პირველი. ბაღლინჯანი (ტილნი, რუწიელნი, ჭინჭველნი, გარსზედითი ჭია, დედაზარდლისა. კოლონი, ფუტკარნი [!], ჭრახანა, ბუზნი, კალიჭარი, მგრაგნელი, ღრვინი, მუმლნი, მიწისა ანუ ნეხვის ჭიანი, მუხუძელი, მატლი, ძირის მჭამელი ჴეცლი, მკალი, ვეშაპის ჭია, რიგიტი, ჩრჩილი, ღრიანკალი, ლოფაოთჭინა, რქიანი ჭია და მარტოჯუა, სხლის ჭია, ისპაანის ბუზი, ყურებიანი ჭია, იპა, წურბელა, პეპელანი და პურის ჭიანი, ჭიანი ფოთლთა და თესლთანი, ხეთა ზედა მოარულნი ჭიანი, ორკუდოვანნი, ბოსტნის რუწყილნი, ვეშაპის ტილნი, ხის მატლნი, რიგიტთათვის ზოგად, მწერთათვის ზოგად) 5r—v.

2. ტექსტში სათვითად აწერილია ყოველი მწერის გავრცელებულობა, მავნებლობა, მორფოლოგიური აღწაგობა, ბასთან ბრძოლის საშუალებანი.

ანდერძი: „ქრისტეს განჴორციელებითგან ათას-რტა-ას მეათხუთმეტესა წელსა, მარტისა ოცს, სარკაზელსა ვიქმენ ამისა მთავებელ; რაჟდენც ძალ-მეძლა დაჯმუნოთა, პროსოდიისაცა მჰმეველ, აწ უკუნს ვჰქედი ამას ღმერთს, იქმნეს გოიგორის დღეთამგრძელ, რომ წმერთა ბუნებათაცა უცხოობელად ვგლა მჭურეტელ. (უნდო იესე)“. 86rv.

1011

ვახუშტი. ცხოვრება ქართლისა [მე-18 ს.]

451 ფ; 20×16; ქაღალდი; ტყავ-გადაკრული ხის ყდა (ჯტეხილი, 316 ფ. სანახევროდ ამოხეული); მ-ედრული (სათაურები სინგურით); [მე-18 ს.] შეხოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. „ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა და ცხოვრებაჲ მათი, რომელ ეწოდების წიგნსა ამას ცხოვრება ქართლისა: ნოეს ძის იაფეთის თესლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან ვიდრე ქართლისია და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთანი.—აწ ზნეთათჳს ვიწყოთ ძეწლოთაგან ახალთამდე საქართჳლოსა..“1r—442v.

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო ესე განიხარა შაჰნადირ და მოსცა მეფეს თეიმურაზს ქართლი და ძესა მისსა ირაკლის კახეთი. მერმე მოვიდა ტფილისს მეფე თეიმურაზ ქკს ჩლმდ. ქართულ ულბ...“

შენიშვნა: 1. ტექსტი წყდება ქართლის სამეფოს ისტორიას ბოლოზე (შდრ. ჩუბინაშვილის გამოცემა. „ქართლის ცხოვრება“ ნაწილი მეორე. სანკტ. პეტერბურღს. 1854. გვ. 94). 2. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ჩართულია „აღწერა სამეფოსა საქართჳლოსა“ (20r—26r) და „აღწერა აწინდელისა ქართლისა, სახღურით“...“ (253r—316v). შდრ. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ გვ. 28—32, 33—85. 1941 წლ. გამოცემა.

3. ხელნაწერის გადამწერს ვახუშტის მიერ გაკეთებული სათაურები და სქოლიონი ტექსტში ჩაურთავს 77 r, 78 r, 125 r. 137 v. 139 v. და სხვ. მრავალ ადგილას. 4. ქართლის ახალი ისტორიის ტექსტში ორ ადგილას შემჩნეულია ჩანაშატი ადგილები, რომელიც ვახუშტის არ უნდა ეკუთვნოდეს—ა. „მეფობა მეათსამეტე. მეფე იესე“—აქ ჩამატებულია 8 სტრიქონი—“ ამან იმეფა ოთხი წელი ტფილისს, ქორონიკონს ჩლდ, ქართულს ულბ. ხოლო იყო მწენე, აზოვანი, ჰაეროვანი, მოწყალე....“ (416v). ბ. ქართლის სამეფოს ისტორიის ტექსტის ბოლოს ვგვაქვს 10 ზედმეტი სტრიქონი„—და ამასვე [1744] წელსა. ადგილისა აი მოკუდა კბრი ნიკოლოზ ხერხეულიძე....“442 v—გადმოცემულია ანტონ I-ის კათალიკოსად დაჯდომისა და თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის ფაქტი.

4. ტექსტს დართული აქვს ა.„—მეფე ადარნასე მბ წელი იმეფა ქრისტჱს აქეთ შკგ, ქართულ[ით]: რ“მგ..“—ქრონოლოგიური ნუსხა საქართველოს მეფეთა ადარნასე მეფიდან (923 წ.) ერეკლეს გამეფებამდე ქართლში (1762). წყდება:—ხოლო ძესა თჳსა ირაკლის დატჳდა [თეიმურაზ II-ეგ] ქართლი და ჰგიეს. ადიდეს ღ“ნ და სუფევითამცა ჰყოს უკუნისამდე. ხოლო შემდგომად უკუმოიქცა დიდის პატივით მიღებული [ანტონ I კათალიკოსი] იმპერიაში და რუსეთის ეპარხია ერწმუნა ელადიმირისა კათალიკოზ“ 445r—446 v ბ. ანდერძების ტექსტის შემდეგ, ხელნაწერის ბოლოში, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით (მეტდრული) ა. სასულიერო შინაარსის ლექსი: „ქვეყნად ყოველი ნივთიერი რაც რომ დავბადეთ, მათად სახმარად გაგაკეთე სულ წინ დავდეთ..“448r-450v ბ სხვა ხელით, სხვა ლექსი.: 1861 წ. ნათქვამი ვინმე „ქვეინა ანნასაგან:—აბ, შეიღო ნინო—კკლულად ზრდილო...“ 451r.

ანდერძები: ა. „ხოლო ესე ქართლის ცხოვრება პირველად მეფეს ვახტანგს თჳთ ეწერა და ეკეთებინა, ქართლს მყოფობასა. და მერმე, რუსეთს, ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა და მოხუცებულ მაჴსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან, დიდის გამოკვლევით და გამოძიებით, გულსმოდგინეთ ეკეთებინა, რომ საქართველოს ცხოვრება ნოეს ძის იაფეთის ქართლოსიდამ აქამომდე როგორ ყოფილა. ბატონის შეილს ვახუშტის თანშეღებით ეკეთებინა და აღარ დასცალებოდა, თანამდებობისაგან სიკუღილისა. მერმე რომ მეფე აზბრახანს გარდაცვალებულ იყო, ბატონის შეილს ვახუშტის შეესრულებინა. და არს აქ მეფის ირაკლისამდე. და ამას იქით რაც იქნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მატიანეთ მუერალთ აღეწერონ. “443r.

ბ (გადამწერისა): „ხოლო კახეთის აღწერა აკლია ამ წიგნსა. აჴ, მოსკოვს, ამ ქართლის ცხოვრების ბოლოს არის ექვსიოდ რვეული. ვინც მიემთხვნეთ, გარდმოწერეთ. კარგი საქმარი და შესატყვისია.“ 442v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1012

კრებული [1782—1783 წწ.]

146 ფ; 20,6×16.3; ქაღალდი; ტყვეგადაკრული ტეტიერული ზის -ყდა; I-ყდის საფარი ამოვარდნილია; მხედრული (სათაურები სინგურით); 1782—1783 წწ. (75v, 145v); გადამწერი: გაიოს (145 v); თარგმნილი სომზურიდან; მთარგმნელები: მღვდელი ფილიპე და დოსითეოს ნეკრესელი (145v); ადგილი: მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერი (145v); დაუწერელია: 27v, 70rv. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. „დაწყებასა შორის დიალეგტიკისასა საქმარ არს კითხვისათჳს მცირისა რაჲსამე თქმად, რომელსა გასაზღურებს არისტოტელი ესრეთ: „კითხჳა არს ძიება მიგებისა“.—აწ უკუმც დაღაცათუ მრავალ არიან სახენი კითხჳსანი, გარნა აქა საქმარ არიან ჩუენდა რაჲ არსისა და ვითარი არსისათჳს, რომელნი თქმად არიან ამათითჳს, რომელთა ყოფა აღსარებულ არს...“ 1r—75r.

შენიშვნა: გადაწერილია 1782 წ. (75v).

2. „შემოკლებით აღხსნა პერი-არმენის წიგნთა.—დასაწყისი და წინადადება. ახსნა. იგი წინადადებულნი სიტყუანი იგივე არს დასაწყისიცა წიგნთა კუალად, რომელ იტყჳს დასაწყისი და წინადადება, რამეთუ დასაწყისი წიგნთა პირველ არს დადებულ, ვიდრე წინა—ქებისა...“ 79r—144v.

შენიშვნა: „პერი-არმენის წიგნს “წინ უძღვის ლექსი, რომლის კარფურ-წერილობაში იკითხება ლექსის ავტორის სახელი: «დოსითეოს ნეკრესელი»; ხოლო შინაარსი ლექსისა წარმოადგენს „შემოკლებით ახსნის“—ქართული თარგმანის თავისებურ შესავალს. აღნიშნულია ერეკლე II-ს განმანათლებელი მოღვაწეობა და ერეკლე მეფის ბრძანების თანახმად ფილიპე [ყაითმაზაშვილისა] და დოსითეოსის მიერ სომეურიდან თარგმნა ამ თხუზულებისა, დავით ფილოსოფოსის განმარტებით:

„ლოცუამან ანნა:
დაჲსდებ გონებად აღძრუასა სულისასა,
დის სადაჲთცა ძალი ნეკტარებრ სიტყჳსა.
დანიშნის ცნობამ ყოფა ცხად-აღძრჳთობისა..“ 77r—78v.

მინაწერები: I ყდის ს. 145v, 146r—v, II ყდის ს.

ანდერძი (მთარგმნელისა) „თქუმნ, ჩუენდა საყუარელნო მოყუარენო სიბრძნისანო, ჰ, ჭართლოსიანნო, ბრძენნო! მოიხილეთ სიტყვისადმი ჩემისა და ჴკადრნე მე ლექსნი, მახარებელნი თქუმნ, მეცნიერთანი. ჰა, წიგნი, მანათლებელი გონებათანი, ჰა, იპყართ კელითა ხელად ორი და ორი და იქმნებიან ოთხნი და შეიკონეთ ბრძნისა გონებისა თქუმნისა წიაღთა, ვინათგან გიშუებენ თქუმნ სახრდოთა სიტყჳსათა სიტყჳულნი ესე, რომელ არიან რიტორებაჲ, სახელთანი წიგნი, პორფირის ახსნა და ესე ახსნა პერი არმენისი. მიიღეთ, გიძღუნით ჩუნ, მდაბალნი მუშაკნი და მოღუაწენი, თქუმნდა სატრფიალოთანი, მთარგმნელი მღუდელი ჰარმანთა ფილიპე და მწერალ-მწყობელ მოღუაწე დოსითეოს, ჰა მიქიღეთ და გუკურახოს სულმან თქუმნმან, ამინ.

სრულ იქმნა თარგმანებითა ორი ესე წიგნი ჰარმანთაგან ქართტულთადმი, რომელ არს ახსნა პორტირისა და ესე ახსნა პერი არმენასი წელსა განჴორციელებითგან სიტჳსა ღ'სა ჩღგბ 1762, თთუესა იუნისა, ჩიცხუესა იე, 15*. 145 r.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა და სრულ იქმნა 1783, 2,4, მონასტერსა ნათლის-მცემელისასა მრავალ-მთას. ქელითა ჩემ ყოველად უღირსის დიაკონ-მონაზონისა გაიოსისათა“. 145 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1013

კრებული [მე-19 ს.]

108 ფ.; 21,5×16,8; ქაღალდი; მუყაოს ყდა (75, 76 ფფ. ამოვარდნილია, 82 ფ.—დახეული); მხედრული (სათაურები სინგურით); XIX ს.; თავ-ბოლოკაზმულობანი: 1r, 2r, 24r, 35r, 70r; გადამწერი: მწედელი პეტრე ტაბლიოური (21 v, 33 v); დაუწერელია: 22 rv, 34 rv, 68 v, 69 r, 70 v, 106 r. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

1. ხოჯაევი მარგარ ხაზარის ძე [ზნეობითი ფილოსოფია] „[ს]ხვა-სიტყვაობითი მოთხრობა.—კერძოსა აღმოსავლეთისასა, ნაწილსა შინა აზიისასა იყო ადრითუმიდგან შთამსრული შახნავარუზისა მიერ, ესე იგი ახლისა დღისა, გინა ზაფხულისა დიდისა, ჴელმწიფე ერთი, ფრიად ტკბილისა ქცევისა, ჴელ-უხვი და დიდად მოსურნე კეთილმყოფელობისა, რომელსა ეწოდების შახ-შარა ესე იგი გაზაფხული ჴელმწიფე...“ 2 r.—21 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის სომხურიდან რუსულად მთარგმნელის არხიდიაკონის იოსებ იოანესიანის აშტარახანელის წინასიტყვაობა, რომელშიაც განმარტებულია წიგნმდებარე თხზულების სიმბოლიკა,. 1 r-v.

2. „წამება ქეთევან დედოფლისა, ახლად თქმული თავადი დიმიტრი ბაგრატოვანისა მიერ.—

შენ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელო,
თვისისა დასაბამისა თვით თავსა შორის მყოფელო,
ვითარ და როგორ ძველი დღეთ უცნობო, შეუტყობელო,
საიდუმლოსა დიდისა ვერ მისგან [!] მიუთხრობელო...“ 23 r—33 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: 1. თავფურცელი ს. პეტერბურგის 1819 წ. ნაბეჭდი გამოცემისა. 23 r.

2. ავტორის დიმიტრი ბაგრატიონის ლექსი ირაკლი [II]-ის ასულის ქეთევანისადმი, რომლის მიხედვით „წამება“ მიძღვნილი ყოფილა ხსენებული ქეთევანისათვის. 23 v.

3. ხელნაწერი ტექსტი „წამებისა“ 1819 წ. ნაბეჭდი გამოცემიდან გადმოწერილი ჩანს.

3. [სიბრძნე ბალავარისა] „გვითხრობდა ჩვენ მამა ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისა. და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალავარისა, რომელი იმყოფებოდა უდაბნოსა მძოვართა თანა:—მივიწიე ოდესმე იოჰედ და მუნ ვჰპოვე წიგნი ესე, ჴინდოთა საწიგნესა შინა, რომელსა შინა ჰსწერიან საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად საოგებელნი სულთანი.—იყო ვინმე მეფე ქვეყანასა ინდოეთისასა, აღგილსა, რომელსა ჰრქჳან ბალატ, და სახელი მისი აბენეს. იყო იგი მშჳდი და მდაბალი და ფრიად მოწყალე გლახაკთა, და არა ესვა მას შვილი...“ 35 r—70 r.

შენიშვნა: „სიბრძნე ბალავარისა“ ეს ნუსხა და მთელი ეს ხელნაწერი ზოგადად აწერილი აქვს ე. თაყაიშვილს, როგორც მეექვსე ხელნაწერი (VI) (სიბრძნე ბალავარისი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1895. გვ. 112—114).

4. [ბერძნული მითოლოგიის მოკლე ლექსიკონი] „თვისათვის დღესასწაულისა მისისა.—ატლანტა, ასული მენეის მეფისა სციროსისა. იყო ეს ფრიად გამოცდილ მემშვილდეობისა და აღმატებულ იყო ესე ყოვლად სიმარტივით...“ 71 r—78 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ უ ყ დ ე ბ ა: „...ხოლო წარტაცებისათვის ევროპიასა მდინარისა პირსა ფინაკიასსა შეიცუალა თუთრად ჯარად და ვითარმედ სხუადასხუა სახედ მრავალგზის შეცუალებულ იქმნა“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფურცლები არეცით არის აკინძული: 71—78-დე.

5. [კალანდრა და ლურჯნამა] „ესე კალანდრა და ლურჯნამა არაბულისა და თათრულისაგან არის გარდმოთარგმნული.—იანჳრის ავად მყოფობა იქმნებისს; იტყვიან, თუ დღლაზედ თბილი წყალი ცოტა შესვას კაცმან, კაცს მოუხდება. მსუქნის ჴორცის ჭამა და ღვინის სმაც კარგი არის...“ 79 r—105 v.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: 107 r, 108 v.

ა ნ დ ე რ ძ ი: „აღმომკითხველნო ამის წიგნისანო, იგულისხმეთ სიმჴნე ჴელოვანებითა ბაალის გონებისა და მეხსიერება იოდასაფის. ხოლო კალანდრა ესე, რომელი ჭამთა ვითარებისათჳს აცხადებს რასამეს სიცრუებესს, არა არს დასარწმუნებელ. ვინათგან ამა კალენდრასა არა ეთანხმებიან წმიდანი წინასწარ-მეტყველნი, არცა სიტყჳთა, არცა მაგალითითა, არა თუ მომავალითა, არცალა განვლილითა საქმითა სოფლის ისტორიისათა, და უკეთუ დასარწმუნებელ იყოს აჳა აღწერილნი, უნდა გეიმტკიცებდეს მაინც წიგნი შესაქმნისა, ანუ სოფლის დაბადებისა. თუმცა არს კაცი დაბადებული ღმრთისაგან თავისუფლად და მსეელელი [!] ეგრეთვე თავისუფლად გჳასა ზედა, ვითარცა ჴელმწიფისა, ეგრეთვე შეცთომილსა. გარნა არა აჴუს კაცსა თჳსუფლებაჲ ცნობად თაჳსა თვისსა ზედა გარდამავალისა საქმისა. ესრეთნი საქმენი მხოლომან ღმერთმან უწყჳს. სადაცა იყოს საუნჯე ჩუენი, მუნცა იყოს გული ჩუენი. ჴელი არს, რათა ვეიმტებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა, ვითარცა იოდასაფ და უკეთუ ეგოდენ არ ძალგჳძს, სახლსა მამისა ჩუენისასა მრავალ არიან სავანენი. ღუღისი ხუცესი პეტრე“. 106 v.

1014

ტ ი მ ო თ ე ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მ ო ხ ი ლ ვ ა [მე-19 ს.]

110 ფ.; 23,5×19; ქაღალდი (სხვადასხვა); ტყავ-გადაკრული ნატეხიური ხის ყდა; თავ-პოლო-ნაკლული; მედრული (სათაურები სინგურით); მინიატურები: ა) მირიან მეფისა—94 v; ბ) ვახტანგ გორგასლისა—93 r; გ) ბაგრატ კურაპალატისა—96 r; დ) არისტოტელისა—105 v; ე) პლატონ ფილოსოფოსისა—106 r; მე-19 ს. [ჭვირნიშანი: 1800 (107, 108 ფფ.)]; გადამწერი მდივანი გიორგი გიორგის ძე (110 r); დამკვეთი: გრიგოლ დადიანი (110 r); ადგილი [ოდიში]—110 r; დაუწერელია: 95 v, 106 v, 110 v. შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„სამარად საგონებელ ჩემდა იყენეს თუ ვითარ არა საზღჳრო იყოს ზენაისათვის მორფა სიტყჳათა და ქვალად დასხნილობითა და უდებად ცხოვრებულთაგან არა შესამსგავს არს ტკივილთ-მოყჳარებით მოსწრაფება...“ 1r—109 v.

თ ა ვ დ ე ბ ა: „მოვედით ახალციხეს და მუნითგან მივიწჳენით სურამად“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. დართული აქვს სქოლიოები: 39 v, 44 r, 50 v, 53 v, 54 r, 69 r, 80 v, 82 v, 84 r, 85 v, 90 v. 2. ხელნაწერის ტექსტი დაბოლოებით და ზოგი სხვა ადგილით (57—67 ფ. და სხ.) ვარიანტულად განსხვავდება 1852 წ. გამოცემული ტექსტისაგან.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი: 1 r და ტექსტის ხელით—94 r-v, 95 r, 96 r. 105 r-v, 106 r.

ა ნ დ ე რ ძ ი: „სადიდებელად წმიდისა, ერთარსისა, ცხოველს-მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ბრძანებითა კეთილმსახურისა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანის ჯ გრიგოლისათა. ოდეს მიიღო მსყრობელობა სრულიად ოდიშთა და ლეჩხუმთა ზედა დადიანმა მეორემან გრიგოლ, დიდისა ჴელმწიფისა რუსეთისა იმპერატორისა მიერ მაღალი ბრძანება და კავალერია [I] მაღლისა მიერ; ოდეს მოიწია მას ჴამად პალატად სამეფოდ მისა, ემწეროობდი და სიმაღლესა მათსა ყოველივე სურვილი და ტრფიალება საღთოთა და სამეცნოთა წიგნთადმი დავიდეა, სწავლისა და გამოძიებისათვის. და სიმაღლე მისი მოდრკა სიმდაბლისადმი უღირსებისა ჩემისა და წყალობითა თეისითა მეგობრობისა პატივსა ზედა აღმიყვანა და მარჯჳენით წყალობისა თეისისა დამსხნა. საღთოთა და წსნიჰძოთა წიგნთა წწერლობისა მოსამსახურედ მიჩინა. და აღვწერე ეზოდ წოდებული წიგნი ესე წმიდისა ტიმოთეს მიმოვლა და სრულ იქმნა ძალითა ღ‹თისათა. მისა დიდება აწ და უკუნისამდე. ამინ.

აღიწერა ხელითა მდივანი გიორგის ძე: მდივანი გიორგისთა.“ 110 r.

1015

საპოლიტიკო თეატრონი [მე-19 ს.]

III, 231 ფ.; 33,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (48 და 59 ფფ. ამოვარდნილი); მიდგრული: [XIX ს.]; დაუწერელია: 2 v. შემოწერილია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან 1913 წ.

„ საპოლიტიკო თეატრონი, ზნე საყოფაქცეო საბილველობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უაღრესნი განზრახულნი თუ რაჲ უხმს ქმნად და რაჲსაგან ლტოლუად სათანადო არს მთავარი.—თავი ა. ვითარმედ მთავარსა თანა-აძს, რათა განატაროს ცხოვრებაჲ თჳსი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელს ქუჱშენი თჳსნი, ვითარცა აჩრდილი გუამსა...“ 6 r—231 r.

შენიშვნა: წინ უძღვის: 1. თავფურცელი. „საპოლეტიკო თეატრი,—(ესე იგი) საყოფაქცეო საბილველობა.—თ ა რ გ მ ნ ი ლ ი ლათინურისაგან ჴელისუფლა ჭნასა ზედა, უმაღლესისა და ყოველად ბრძნისა უნგროვლახიის მთავრისა ნ ი კ ო ლ აოს მ ა ვ რ ო კ ო რ დ ა ტ ო ს ი ს გ ა ნ, რომელიცა პირველად გამოიცა ტაიოგრაფიით და მიეძღვნა ძისა მისსა ღ‹თის მსახურსა და ყოველად ბრძენსა უმაღლესსა მთავარსა უნგროვლახიისსა უფალსა ულას კოსტანტინე ნიკოლაოსის ძეს მავროკორდატოვსა, წარსაგებელითა უჩინებულესისა და სამეფოთა მონასტრისა ყოველად წმიდისა ღ‹ის მშობელისა კიკოჲ წოდებულისა, რომელიცა არს ჴალაჲს შინა კიპრიისასა.—ადგილი ბეჭდისა ხატი ყოველად წმიდისა ღ‹თის მშობელისა კიკოჲს მონასტრისა. შრომითა და ჴულმოდგინებითითა მეცადინობითა ყოველად ღირსისა და უკეთილსწავლულესისა უფლისა სერაფიმ პისიდელიესათა, მისგე სამეფოთაჲსა მონასტრის არხიმანდრიტისათა...“ —III r.

2. [რუსულიდან] ქართულად თარგმნილი თბილისში არქიმანდრიტი გენედიქტეს მიერ 1817 წ. (III v).

3. ს ე რ ა ფ ი მ პ ი ს ი დ ე ლ ი ს მიმართვა უნგროვლახიის მთავრის კოსტანტინესადმი: „უმაღლესო და უდიდებულესო ღ‹ის მსახურო მთავარო, მოწყალეო ხელმწიფევ! მრავალნი უკუე არიან მიზეზნი, რომელთა გამოცა წიგნი, ესეოდენ ჩინებული შეთხზულობერ თჳსისა და საკჳრველი, ყოველად ბრძნისა აღმწერელისა მიერ, ეგოდენვე შტქნიერ და ბრწყინვალე ჩტქნისმებრცა ენისა, რომელიცა გარდმოცემულ იქმნე ტკბილესა ფრასსა ზედა უმჯერვმეტჳსსა მთარგმნელისა მარად სახსოვრისა თქუენისა უმაღლესობისა მშობელისაგან...“ 1 r—2 r.

4. მიმართვა: „კითხვის მოყუარეთადმი:—უკეთუ ვინმე სიხარულით კმა-ყოფილ იქმნების აღმოკითხუასა ზე რომლისამე ძტქლთა კაცთა ანუ საღელოვანთა ფილოსოფოსთა ისტორიისასა, რაოდენ უმეტეს მიიღებს სიხარულსა და შესაძინელსა საპოლიტიკოჲსა ამის თეატრისაგან...“ 3 r-v.

5· „პინაქსი. თავი 1. ვითარმედ მთავარსა თანა-აძს, რათა განატაროს ცხოვრებაჲ თჳსი პატრონებით...“ 4 r—6 v.

მინაწერები: I r, II r.

1016

კრებული [მე-19 ს.]

23 ფ.; 33,8×22; ქაღალდი; მუყაოს ყდა (ფფ. 19—23-ე ამოვარდნილი და დაზიანებული); მხედრული; [მე-19 ს.]; გადამწერი: გიორგი წერეთელი (18 v). შემოწირულია გ. წერეთლის ბიბლიოთეკიდან. 1913 წ.

1. „რეინალდ პატკულისაგან პეტრე დიდისადმი. ყოველად უმოწყალესო ხელმწიფეჲ! მე (ჲილ წამებულ მყვეს წინაშე შენსა. შემძლოა მე შეელა შენი? მეჩვენებოდა, რომელ საკმაო არს დამსახურება შენისა პატივისა, რათამცა არა ეიქმნე იქენეულ...“ 1r. —2 r.

შენიშვნა: ტექსტის მეღანი მეტად გამკრთალებულია და გადასული.

2. [ლამარტინი] „საფლავსა ზედა ნაპოლეონისასა ბონეპორტი [!].—მკენესარნი ზჳართნი ჩემნიდით იმუსრიან კლდესა ზედა...“ 2 v—3 r.

3. „Последнее новоселие Наполеона:

Меж тем, как Франция среди рукоплесканий
И кликов радостных встречает хладный прах
Погибшего давно в немом страданье...“ 3 v.—4 r.

4. „არზა ღენერალ-მაიორშა ქვრივისა თემანსკისაგან ჴელმწიფისადმი.—ყოველად უმოწყალესო ჴელმწიფეჲ! დიდმან წინაპარმან თქუენმან იმპერატორებითის დიდებულებისამან გამოხატა ესრეთ მთქმელმან: ოდეს სიმართლე მისდრკეს კაცთაგან, მაშინ იგი ჯერ არს ძიებად და პოებად გულთა შინა ჴელმწიფეთასა...“ 4v. —5r.

შენიშვნა: შინაარსი არზისა: ქმრის ჯონება წაურთმევია ქვრივისათვის ხაზინას. და ქვრივი ორი წელია ამოდ ეძებს სამართალს (1820—1822 წ.წ. ამბები).

5. „ბარათი მოხუცის მამის შვილის ჭურდობის შეწყმებაზედ.—ყოველად უმოწყალესო ჴელმწიფეჲ! კაბინეთსა თქუენსა იმპერატორებითის დიდებულებასსა მიუცია რა ატტესტატი იე-ს წლის შვილისა ჩემისათვის და დაფუძნებია უმაღლესსა ნებასა ზედან, რომელსა შინა მთაუწერია, რათა იგი განძებულ იქმნეს სამსახურისაგან...“ 5 r-v.

6. „შესხმა დეისტვიტელნის სტაცკის სოფტნიკისა სიმონოვისა მიერ იმერთადმი, 1846. 7.30—იმერეთის კეთილშობილო კრებაო! ოდეს წარსულის წლის დასაწყისსა სასიხარულოს იმედით წარსდეჳთ ამავე სახლსა შინა წინაშე კავკასიის მოადგილისა...“ 5 v.—6 r.

შენიშვნა: „შესხმაში“ სიმონოვი ახარებს იმერეთის თავად-აზნაურობას „განსაკუთრებითი იმერეთის ღუბერნიის“ დაწესებას.

7. „მის Ჰიმონოვისაგანვე იმერელთ და გურიელთ ერთადმი 1847. 3.14.—მოწყალენო ჴელმწიფენო! შემდგომად რაოდენთამე საუკუნოებათა ჯერეთ პირველით საზოგადოება თავადთა და აზნაურთა იმერეთისა და გურიისათა, მტკიცედ შეკავშირებულნი ურთიერთობის კავშირითა სისხლტომობისა და ერთისა აღსარებულის სარწმუნოებისათა, კვალად ახლად შეერთდა...“ 6 r.

8. „ლეჭსნი ქილილა დამანასი.—შაირი:

თუ გინდა ჭირსა მოშორდე, შეჰირვებასა მეტასა,
ბროლულად სიტყვა გასინჯე, თვალი მიაპყარ ცქვეტასა...“ 6v—18 r.

შენიშვნა: „ქილილა და დამანადან“ არევით სხვადასხვა ადგილიდან ამოწერილია ლექსები და შაირები. ამათგან პირველი—6 v—ნაბეჭდი გამოცემის 430 გვერდზეა მოთავსებული.

9. „გრიგოლ მუხრანსკის მიერ თქმული.—

სოფელი ვით ბრუნავსა,
ვინა ვისთვის ზრუნავსა,
ვისგან ნაშრომს, ნაღვაწსა,
ბოლოს ვინ დასთრგუნავსა...“ 18 v.

10. „ანტონი ქატალიკოზის [!] თქმული ანტონი ჴყოდნიდლის ძისელის დროს—.

როს შარავანდით ცა ნათობდა გამთვარებული,
ეჰშვერტდი ღელვათა პლანეტთ შეტრფით მომღერებული.
ბუნებას ველურს განეკვირე ჴმუნვით ვსებული,
ვრძნობის ეტლსა გული მხედრდა გაშმაგებული...“ 18 v.

11. „თხზულებათაგან პეტრე ლარაძისა, ტკბილს ჴმაზედ სათქმელი.—

1. „ჯვარცმისათჳს იესოს.—

დედა, რა ქალწული ვნებულს გხედვიდა,
ბრწყინვალე თვალთაგან ცრემლთა დაღვრიდა,
ნაწლეთა ტკივილს ვერ დაფარვიდა,
ტკბილო იესო...“ 19 r.

2. „ხარებისათვის.—

ანგელოზი მაღლით მოსწრაფებულად
იქმნა ნაზარეთად მოვლინებულად,
ტაძარს ქალწული გჰყო განკვირვებულად,
სძალო წმინდაო! ...“ 19 v.

წ უ ძ ე ბ ა: „ძრწოლით... ...განბრწყინვებულად ს...“

შენიშვნა: ბოლო სტრიქონები მოხეულია.

3. „ლაზარეს აღდგინებისათჳს.—

დავნატრი უფლისა საწადელს ჴმასა,
შევიტკბობ სურვილით იესოს თქმასა,
რომელ მკვდართ სიტყჳთ ჰსცემს სულისდგმასა,
თაყვანის ვსცემ მას. ...“ 20 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „შობისათჳს.—

რომელმან არსნი ყოველნი
შემხადენ და ჰყვენ ცხოველნი,
შეამკვენ მთანი და ველნი,
დღეს მოხედედ სახედ ჩჩეილსა,
ხსნად ადამ, შეცდომილისა...“ 20 ჳ.

5. „წინა დაცვეთისათჳს.—

ქერუბიმთ განმწესებელი,
სერაფიმთა მბრძანებელი,
ადამის დამბადებელი...“ 20 ჳ—21 ჳ.

შენიშვნა: ლექსის ნაწილი მოხეულია—„ნათლისა დაღდამისა“ და „შენ უქმენ მოცემულადა“-ს შუა.

6. „ნათლისღებისათჳს.—

დღეს ბუნება წყალთა განახლდებოდა,
იორდანე შიშით უკუნ დგებოდა,
ხმა მამისა ზეცით გეწამებოდა,
სული სახედ მტრედისა გამოსჩნდებოდა...“ 21 ჳ.

7. „[ბზობისათჳს (თავ-ნაკლული)].—

„ყრმანი, ბერნი და ოსანნი მხმობარნი,
ჩვილ რტოთ ზოგნი სამოსლის ქვემწყობარნი,
დიდების ჴმით ქებისა შემწყობარნი,
წინ უძღოდეს შვებით ოსანაებითა. ...“ 21 ჳ.

8. „ვედრებისათჳს სულის ცხოვრებისა.—

შენ ხარ მამისა საყდარს მარჯუენივ მჯდომარე,
სიტყვა მღვთისა და მკლავით ცის მხომარე,
ვის გიძრწიან ანგელოსთ დასნი მდგომარე,
სერაფინნი, ცეცხლის მსგავსად მჭომარე ...“ 21 ჳ.

12. „სოფლის მდურვა სიბერისათჳს. დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ის მიერ თქმული.—

ოდეს რა დახსნა ადამ მცნებანი, ჴელჰყო მაღლისა შემართებანი.
ვისგან მიეცა ჰყოფა [!] გებანი, მას უწყო ხდომა-კამათებანი.
სწადდა უფლება გაღმერთებანი, სამებისა მის შემსგავსებანი.
გამტყდა ქნარი, წინწილ-ებანი, ვეღარ დავმღერე სოფლის ქებანი...“ 22 ჳ.

13. [...ნის შვილისგან].—

„რად ამ ბუდურას მჰვედრსა შევეყწარ,
ოდეს ოხვრით დამრჩა ჩემს მტრეს იანი,
ვერ ვიშვი გლახ ქმნილმან მათის ჰვრეტითა.
ეხარების ყოველს ყვავილს იანი. ...“ 22 ჳ.

14. „ტყუილის ქალაჩუნობით გავხარ სწორეთ მელასა.
მისთვის ერთბაშად სძულხარ მტერ-მოყვარეს ყველასა ...“ 23 ჳ.

1017

ყარამანიანი. I კარი [მე-19 ს.]

106 ფ.; 35.5×21.5; ქაღალდი; მუყაოს ყდა (დახიხნებული, დაშლილი. ფურცლები ამოვარდნილი. მე-7 ფ. დაბეჭდილი); მხედრული (სხვადასხვა ხელი); ფერადი ილუსტრაციები: 1 r, 2 r,-3 r, 4 r, 5 r, 6 r, 31 v, 32 r, 54 v, 55 r, 68 v, 69 r, 79 r, 97 r, 105 v; [XIX ს.]. შეძენილია არისტო ქუთათელაძის ოჯახისაგან 1913 წ.

„გოჯასპის ველმწიფის გარდაცვალება და უშანგის გაველმწიფება.—უშანგ ველმწიფემან შვიდი ხმითა დაიპყრა ქვეყანა და სპარსთა სამეფოსაცა ესევე დაეპატრონა, ...“ 7 r—105 r.

წ ყ დ ე ბ ა: „რა იგინი თვითთაცა გარდახდათა [!] ქვეითთა წინ მოეგება, შაფალიმ ყარამანს გულსა მი[ი]ჯრა და სიყვარულით მოიკითხა. ეგრეთვე ჰრქვა: სენთა ჩემთა მკურნალო და ქვეყანისა ხემწიფეო“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: 1. Or.-ს ქვემო აშიაზე: „1849. ჩყმნ [!] წელსა, აპრილის თვრამე[ტ]ს“. [ხელნაწერის გადაწერის თარიღი?]

2. „გოჯასპის ველმწიფის გარდაცვალება და უშანგის გაველმწიფება“ (7 r) 29 სტრიქონს შეიცავს; მას მისდევს: „კარი უშანგ ველმწიფისაგან ინდოთა ველმწიფეზედ გალაშქრება და გზასა ზედა ყარამანის შეყრა“. 7 v (1875 წ. ნაბეჭდი გამოცემის გვ. 3—4. „ყარამანიანი“. კარი პირველი, ტფილისი).

3. ხელნაწერის ძველი, გვერდობლივი პაგინაცია არეულია. ტექსტს ფფ. არ აკლია.

1018

კრებული [მე-17 ს.]

367 ფ. (734 გვ.); 28×20. ქაღალდი; ტყავ-გადაკრული ნატეხიური ხის ყდა (ნაკლული; აკლია: 1 რვეულს—4 ფ. III-მე რვეულს—7 ფ. 1-4 ფფ. დახიხნებულია; ამოვარდნილია 1, 5-6 721-724 გვ.); ნუსხური (სათაურები—ხინჯრით); [XVII ს.]: გადამწერი: იესე კარჯარეთელი (529 გვ.); თავკაზმულობანი: 12, 61, 91, 123, 159, 195, 230, 266, 271, 702 გვ. შეძენილია ა. ქუთათელაძის ოჯახისაგან 1913 წ.

[პარაკლიტონი]„—...წყმედილი და ძელითა მოსპოო ძალი ცოდვისა ქრისტემან ღმერთმან. მას მხოლოსა უგალობდეთ. რომელმან აღმართე რქაჲ ჩ~ნი. წიდი ხარ შენ უფალო...“ 1—276 გვ.

წ ყ დ ე ბ ა: „...იხილე რაჲ ძე შენი, ყოველად უხრწნელოჲ ქალწულო, სიხარულითა გამოუთქმელითა აღიესო ყოველი სოფელი. მას უგალობენ და შენ გადიდებენ. უპატოსნესსა ქერაბინესსა და აღმატებით უზეშთაეს სერაბინთასაჲ სერაბინთასა [!] განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისაჲ მხოლოსაჲ ღ~ის მშობელსა გალობით ვადიდებთ. მიწყალენ ჩ~ნ, უფალო, ჩუენდამე ჩუენ. დიდებაჲ უფალო, შეგვინდეენ ჩუენ. რამეთუ შენ აწ~ჲ მოწყალებისა კარნი განგჳხუნ, კურთხეულო, ღ~ის. და „დიდი შეგჳწყალენი“: „ნეტარძნი“. სდ:. შეისმინენ შენი უფალმან:. და დიდებაჲ მრ~ი:“

2. [სადღესასწაულო].—„თჳესა სეკდენბერსა: ჲ გჳრგუნი წელიწადისა, დაწყებაჲ ინდიკტიონისა და ჴსენებაჲ წ~ისა სჯმონ ჰალაბელისა და წმიდითაჲ ორეოცთა ქალწულთაჲ მოწამეთაჲ და წმიდისაჲ ამონა დ~ნისა:. მწუხრი. უფალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ~ზ, ვ~ჲ ა: შენ სიტყ~ჲ.—თავიდისა ქრისტეს ღ~ჲ მოძღურებისა მიერ ლოცვაჲ გჳსწავეიეს ჩ~ნ ყოველთაჲ ესრეთ მისსა მიმართ ჴმობაჲდ: ჱ, მამაო, რომელი ხარ ცათაჲ შინა...“ 277—733 გე.

შენიშვნა: 1. „სადღესასწაულოს“ დართული აქვს: ა. „ყოველთა ჴმიდათა“ დღესასწაულ-დღეობების ცხრილი—სექტემბრის 1-დან აგვისტოს 31-დე.—„თთჳესა სეკდენბერსა აქ~ს დღე: ჳ~. დღეთა აქ~ს ჯამი ი~ბ: და ღამეთა ჯამი: ი~ბ: უჭმი—ა~. ღირსი სჳმონ: ყოველისა დაბადებულისა სუბტ მრთმინებაი...“ 720—726 გე. ბ. „უსალმენი დავითისი პირველი ალ~ა:—აუარებდით უფალსა“... [ფსალმუნთა ნუსხა] 727 გე. გ. [სახარების საკითხავთა საწელიწდო ნუსხა]:—„ყოველთა ჴმიდათა კვირაკიცსა იწყებიან ჴმანი და სახარებაჲნი...“ 727—729 გე. დ. [„ჴელთა“—სამი ხელი, შესაბამისი წარწერებით; ამის ზემოთ —„უწყება“ გარდასულთთა წელთათჳის:] „დასაბამითგან ვიდრე ნოესადმდე გარდახდეს წელნი...“ 729 გე. ე. „გალობაჲნი ღამის თევისანი. შუალამედ დაფარა იანი. ბ~. გ. ი~:.—რომელმან დაფარა...“ 731—733 გე.

2. ხელნაწერის თარიღი—[XVII ს.]—ნავარაუდევია: ხელის, თავ-კანმულობათა და მინაწერების მიხედვით.

ანდერძი გადმწერისა: 1. „იესუ ქრისტე, ღმერთო, ღირს მყავ განსრულებად ჴმიდისა ამის სადღესასწაულოსა“. 468 გე.

„ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ამისი მჩხრეკალი იესე კარგარეთელი. ვაჲ, თავლმან მიკლო ცოდვილსა“. 529 გე.

99 ფ.; 35,5×22; ქაღალდი; უყდრო: დაშლილი; დახიანებული, მხედრული; ნაკლული; მე-19 ს.; შემოწირულია დ. ა. გურამიშვილისაგან. 1913 წ.

„კარი პირველი. მაშრაყის ჭელმწიფისა და ძისა მისისა სირინოზისა ამბავი, შესაქცეველად და სასმენელად საამო.—«იყო ჭელმწიფე ქვეყანასა მაშრაყისასა, რომელსა ეწოდება არდაფ. ესე იყო დიდი და მაღალი ჭელმწიფე სრულიად სახელმწიფოსა მაშრაყისასა..." 1 r—77 v.

წყდება: „...მერმე უბრძანა შექმნა ერთის ქვის საკვეთისაგან ორის ძეგლის შექმნა: ერთი მამისა თვისისა სახე... მასცა თვისი მოქმედებანი და დაადგმევინა მას მეიდანსა ზედან..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი შედარებულია S 1503 ხელნაწერის სირინოზიანის ტექსტთან: შივაჯაშივ (მრავალ ადგილას) აკლია; აკლია აგრეთვე ბოლომდეს: ა. თავი „აქა სირინოზისაგან უნგირაჯადოზედ წასვლა...“ წყდება: „აღივდენ ველაკაზედ და იქიდგან დაუწყეს მხერა. რა შეიდა...“ (27 v), ხსენებული თავი აკლია ბოლომდის; მომდევნო სამი თავი აკლია მთლიანად და თავი „აქა სირინოზისაგან წასულა ჭნეი ყალის ალება და მისის მეფობელის დემერდაღის სიკუდილი“-ს დიდი ნაწილი, შემდეგ ადგილამდის: „...მას მყრალეს ღმერთოს შენსა, შეილსა მისსა მეგნიერსა ზაალსა...“ (28 r). ბ. თავი: „აქა ყარენ ჯადოსაგან ინღუშთი ხელოვნებით მოსვლა...“ ბოლო ნაკლულია. აკლია: „აწ რიგი თითეულს ერგო. ერთი ასეთი წერაკვი დაჰკრა, რომ ტარამდის თავში დაესო და საბრალო ფალავანი ესხლო...“ (37 v)-დან შემდეგ ადგილამდის: „...მოგეშენლებოდენენ. რა დილა გათენდა, ორისავ მხრიდამ ჯარი რაზმ დაწყობილი“ გამოვიდა მოედანზედ...“ (38 r), გ. თავი. „აქა სირინოზისაგან მუშთარიჯანის მოგონება, უშინის ქალაქიდგან წამოსვლა...“ წყდება: „...მერე იმისთვის ეწყინა რომა ყოველივე უბედურება მის ქალის მიზეზით შეემთხვა... მაგრამ განკვირვებული იყო, რომ გიღანგელნი გაქცანცი არ არიან და ეს ვინ არის...“ (44 v). ამ ადგილას ტექსტს აკლია I კარის ბოლომდე და II კარის პირველი თავი მთლიანად. II კარის მეორე თავი: „აქა იექსატის ჩინეთის ველმწიფის წიგნის მოტანა“—იწყება: „... და იყო მოწერილი ინდოთ დედოფლისა სიდედრისაგან...“ (46 r). დ. თავი: „აქა ზანგისტანის სულტანის ალიმის ბრძოლა მარიხთან და მარიხისაგან მისი დამორჩილება“ წყდება: „...მარიხმან უბრძანა ალიმსა: რაზედ ფერი ეგრეთ მოგსცავლეთ! ეს არ იცი, რომელ ულეთოთ კაცი არ მოკედება! ენაზოთ, მოვიდეს ვითარი მზეცია. და ეს ლექსი თქვა...“ (51 v), შემდეგ ადგილამდის: „...შეხედა, ერთს გამოკვეთილს კლდეში განძვინებული ჭვეს...“ (52 r). ე. „აქა ბრძოლა პირველი მარიხისა და მაჯანის ხემწიფისა].“ ჩვენს ხელნაწერში დაუსათაურებელი, წყდება: „...მარიხმა გაიცინა და უთხრა: მე ამისი ჯადოსი მაქსენება ვერას მიხამსო. და ეს შაირი თქვა...“ (55 v). ხსენებულ თავს აქედან ბოლომდის აკლია. ბოლო ამ თავის იქით აკლია—6 თავი მთლიანად. თავი „[წერაში მარიხისა გულჯაბ ბანოსთან]“ იწყება: „...და დასვა, რომელიც წამაღვე აღსარულეს და ალიმ დაჯდა. რა ქალმან წიგნი აღმოაკითხა, მაშინვე ბრძანა...“ (56 r). ვ. თავი: „აქა ბრძოლა გულჯაბ ბანოსი და მარიხის ჯარისა“—წყდება: „...ამისთა მხილველთა ჭება დიდი] შეასხეს. იგი შეკრეს და წაიყვანეს ამათ მხილველი...“ (59 v)—შემდეგ ადგილამდის: „...რომელ ალიმისთანა ფალავანი გულაღმა შებრეხილი დაეცა მიწასა...“ (60 r). ზ. თავი: „წიგნი დერიფშასი გულჯაჯა ბანოსთან მიწერილი“—ბოლოსკენ: „ბოლოსკენაც ალიმისთანა ფალავანი გულაღმა შებრეხილი დაეცა მიწასა...“ (60 r). ზ. თავი: „წიგნი დერიფშასი გულჯაჯა ბანოსთან მიწერილი“—ბოლოსკენაც: „მხეო, გხედავ ჩემდა მკერატსა, რომელს სული შემოგწირე...“ (69 v). თავის ბოლომდის და მომდევნო 4 თავი მთლიანად. ი. ეგზუთე თავი: „აქა მოსვლა ბნელეთის ველმწიფის არამ შაჰსი, ძლიერისა ფალვნებითა...“. იწყება: „...მოხმარება არ შეჭ]ძლო და ესენი გამოცდილნი იქნებიან, მაგრამ მაკვს იმედი თქვენის დოვლათისა...“ (70 r). თ. თავი: „აქა პირველი ბრძოლა ბნელეთთა და მაშრიყელთა იექსატისა და დერიყანდისა“—წყდება: „...დერიყანდის ხმალი სამად გადაიმტერა. და იექსატის არა ეშინა რა. გაშწარებულმან ხმის შემუსრისათვის...“ (70 v)—შემდეგ ადგილამდის: „მსურს, რომელ მას თავი ტანისაგან განვაშორო...“ (71 r). ი. 76 r—77 v-ზე „აქა ძლიერისა მის დალდუალდუნის მოსვლა“—იწყება: „...ხელმწიფემ რა ესე მოისმინა, მასვე წამსა ტირილი აღმოუტევა და მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენს თავს მწუხარებას ნუ აძლევთ...“ ამ თავის მოკვეცილ ბოლოზე წყდება ჩვენი ხელნაწერის „სირინოზიანის“ ტექსტი.

2. ფრ. 78—99 წარმოადგენენ „სირინოზიანის“ (ზოგჯერ სხვა წესის) ფრაგმენტებს, დაწყობილს, შესაძლებლობის ფარგლებში, თანამიმდევრობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1040

ყარამანიანი. V—X კარი [მე-19 ს.]

270 ფ.; 35×21; ქაღალდი: ფუდო (ორ აკინძულ ნაწილად); დაშლილი, მე-15 ფ. აღოვარდნილი; მხედრული, ნაკლული: მე-19 ს. ჰვირნიშანი, 1818 (155—157 ფფ.); დაუწერელია—270 v. შემოწირულია დ. ა. გურამიშვილისაგან. 1913 წ.

„...კარი მეხუთე. ყარამანიანი. ამბავი ყარამანისა, კუალად იწყება ამბავი ყაჰარისა, ადლან დილისა, ჩალაქ აიარისა, არყასისა, სალსალისა ჯანსუზ აიარისა, შემდგომად სულეიმანის ბაღისა და ფარმანია ციხის ამბავი და ზღვის კოშკისა. დროსა ინდოეთის ჴელმწიფისა რაიაზამისასა, რომელსა ეწოდებოდა შამალშაჰა.—იმ ჟამად, ოდეს ყარამანის შემწეობით უშანგა ინდოეთი დაიპყრა და საბრძანებლად თჳსად ჰყო, მაშინ რაანდისა და ქეთახშაჰას პარეელს ძმასა რაიაზამს ჴელმწიფეს, რომელი იყო მქონებელი ათას ცხრაასის ციხისა, ოთხი ათასის ქალაქისა და ათას ორასის კუნძულისა, მას მოხსენდა ესრედ, ვითა ერანიდამ ერთი ჴელმწიფე მოსულა, სახელად უშანგ...“ 1r—270r.

წყდება: „...რა მათაც იხილეს, რომე ერთი ლამაზი ქალი მიადგათ, მაშინვე ჰკითხეს: Ოჱი, მნათობო! ვინა ხართ? ანუ სად მიბრძანებიბით?“.

შენიშვნა: ტექსტი ნაკლულია, აკლია ფფ. 163—164-ს შუა. მეშვიდე კარის ტექსტი წყდება: „აჲა ესე ამბავი დაუტეევოთ და მცირე რაჲ სამანის ამბავი მოიხსენეთ“—ამ თავის შემდეგ ფრაზაზე: „რა ყარამანმა ფარვან დევის ესოდენი ქება შეიტყო და ჴელოვნება, არა მცირედ იამა და მაშინვე მეჯლისი...“ (163 v). ამ ადგილას აკლია 1878 წ. ნაბეჭდი გამოცემის („კარი მეშვიდე. ყარამანიანი“) 555 გვ., შესატყვისი ადგილიდან ბოლომდის. ხელნაწერის მერვე კარის ტექსტი იწყება: „რომე ამპარტავნობითა და უნაბუსობით წიგნი დაუწერიათ, ჩუენ ისინი არა ვართ და რაც მე მიგიწერო, თქუენ იყაბულეთი“. (164 r). აქ აკლია 1879 წ. ნაბეჭდი გამოცემის „კარი მერვე ყარამანიანის“ 629—656 გვ. მეათე კარის ტექსტი წყდება 1879 წ. გამოცემის „კარი მეათე. ჭუჭუკ ყარამანიანის“ 933 გვ., თავის „ეს ამისთანა ლხინსა და სიხარულში დაუტეევთ და მცირე რაჲ ჭუჭუგისა მოეიხსენოთ“-ს ზემომოკლინ ფრაზაზე.

1041

ყარამანიანი. I—II კარი [მე-18-19 ს.]

101 ფ.; 32,4×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-18-19 ს.]. შემოწირულია დ. ა. გურამიშვილისაგან. 1913 წ.

„კარი პირველი. ყარამანიანი. სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები თავადის ორბელიანის, სარდალ-სახლთ-ჴუცის და სარდლის [!] დავითისაგან, საამოდ სასმენელი.—პირველ ჟამად სპარსეთსა შიგან იყო ჴელმწიფე დიდი, რომელსა საქელად [!] ეწოდა თახმურად. ესე იყო მორჩმული და ამაღლებული ყოველსა ზედან სპარსეთსა...“ 1r—101r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი შედარებულია ნაბეჭდი გამოცემების (დ. ლაზარევისა და ნ. კობალაძის გამოცემა. თბ. 1875) ტექსტთან. 2. ხელნაწერის ტექსტი ზოგ შემთხვევაში ვარიანტულად განსხვავდება ნაბეჭდისაგან: ა. ხელნაწერში ჩართულია ორიგინალიდან უთარგმნელად გადმოღებული (ქართული ტრანსკრიპციით) ლექსები: მაგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯარ ჯოვარი, ქაში ჯოვარ ნაგარი ბარი.
ჯერ ქუშტა, შოვ ზიმარი იართარი“ 41 r.

—ნაბეჭდ ტექსტში, შესატყვის ადგილას (გვ. 58, I აბზაცი) ლექსი სრულებით არ არის: ხელნაწერი ტექსტის 43 v-ზე მოტანილია ექვსსტრიქონიანი ვალესკილი პასუხი (საკრავზე დამფერებით) გარდანქეშანისა სარვიხურამანის მიმართ: საკრავი მოიღეს. გარდანქეშანმა საკრავსა ჯელი მიჰყო [!] და ზედან დამფერა და ესე ლექსი თქვა:

„გირადუ უნ ხონა ბიჭარდამ ქიდარ ხანვათ უსთ.
საგითალი შოვემ უნ ქეს ქიამ სადბათი თუსთ...“

ამ ლექსის ყოველი სტროფის (=2 სტრიქონი) ქვეშ დატოვებულია ცარიელი ადგილი, წარწერით: „თარგმანი ამისი“. ნაბეჭდი ტექსტის შესატყვის ადგილას ლექსი სრულებით არ არის მოტანილი და ნათქვამია: „საკრავი მოიღეს, გარდანქეშამანის საკრავსა ხელი მიჰყო და ზედან დამფეროდა უცხო და უცხო სიმფერასა“. („ყარამანიანი. კარი პირველი. თბ. 1875. გვ. 62. I აბზ.). ბ. ხელნაწერში ხოგან პარალელურად არის მოცემული ლექსის სპარსული ტექსტი და იქვე, გვერდით (ტყობა, შემდეგ მიწერილი), ქართული თარგმანი (40 r). გ. ხელნაწერ ტექსტში ზოგჯერ გამოტოვებულია დასათაურება და აბზაცითაც არ არის გამოყოფილი და ახალი თავი: 41 v—ნაბეჭდში: „აწ სარდიხურამანის ამბავი მოიხსენეთ“ (გვ. 58. I.) ნაბეჭდ ტექსტში (77 გვ. I ტ.) გვაქვს სათაური: „აქა უშანგ-შაჰის და რაჰინდის შერიგება...;“ ხელნაწერის შესატყვისი ადგილის (55 r) ეს თავი აბზაცითაც არ არის გამოყოფილი. დ. ხელნაწერის მართლწერა საგრძნობლად განსხვავდება ნაბეჭდი ტექსტის მართლწერისაგან. აღსანიშნავია ხელნაწერში ჲ ხშირი ხმარება (დიალექტური? და ამავე ჲ-ს ჰ-ეს ადგილას ხმარება: „ჲ კარ, მოჰკალ, დაჰკარ“ და სხვ. (47 v I აბზ.).

მინაწერები: 101 r-v.

1042

სამკურნალო წიგნი [მე-19 ს.]

81 ფ.; 35,6×21,2; ქაღალდი: მუყაოს ყდა: დახიანებული (80-81 ფ.); მხედრული; მე-19 ს ბეჭდნიშანი: 1831 (67 ფ.). ნაყიდია 1913 წ.

„შარდისთვის ზღვის ხახეი დანაყილი გრანი ᲂ, გვარჯილა გრანი ქ̄დ (?) ერთ რუმკას დარიჩინის ცოეს ჩაიში აურიევ და მიეც, დღეში ორჯელ ანუ სამჯერ...“ (6 v—31 v).

შენიშვნა: 1. წინ უძღვის სარჩევი: ა. შარდის შეკვრისა სუსუნატისა შინა [ა—] ზ ფურცელი... 3 r—5 v. (სულ **რლთ**=132 სნეულებისათვის მითითებული სამკურნალო საშუალებანი). 2. ტექსტში მოტანილი მასალა სხვადასხვა წყაროდან ამოკრებული სჩანს, ა. რუსული სამკურნალო წიგნებიდან ნათარგმნი (—ამას ამტკიცებს რუსიციზმები: „რუმკა“ „გორჩიცა“, „მილნაია ტრავა“ (6 v) და სხვა). ბ. გამოყენებული უნდა იყოს ძველი ქართული სამკურნალო წიგნებიც: 3 r.—„ძველთაგან საქართველოს მკურნალთაგან გამოწურილი რეცეპტებია სამკურნალო“ (8 r).

მინაწერები: 1 r—2 v (დავთარი XIX ს. პირველი ათეულებისა). 81 v. (ბეჭდიკის ლექსის პერიფრაზი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1043

სამოთხის ყვავილი [მე-18 ს.]

I+148 ფ.; 21,5×16,4; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-18 ს.]; ჭვირნიშანი: [1789]. 138 ფ. და სხვ.; გადამწერი—ხუცესი მახარებელი (I r). ნაყიდია 1913 წ.

„ღუთივე განათლებულნი თხრობანი, სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსა ეწოდების სამოთხის ყუავილი. თაჳი ა. სიმდაბლისათჳს და სიმშჳდისა ქრისტეს მსგავსისა. თხრობა სულიერი ა. სიმდაბლისა და სიმშჳდისათჳს.—ღუთივე სულიერნო შჯულნო აღმოსავლეთისა ეკკლესიისანო...“ (1 r—145 v).

შენიშვნა: დართული აქვს: 1. „ბებედი.—ღუთივე სულიერსა ამას წერილსა ეწოდების სამოთხისა ყვავილი...“ (146 r-v).

2. „უკეთუ ვისმე ენებოს მდაბალთა ერთა მითხრობად ესე გვართა ს ა რ ჩ ე ვ ი თ ა. კეთილ არს და შუმნიერ.—კუალა აქუს მეზვერისა და ფარისეველისასა თხრობა ა: ...“ (146 v—148 r).

3. ტექსტი გამოქვეყნებულია (ე. კარბელაშვილის მიერ—ტფილისი. 1895).

1044

ჟამნი [მე-17-18 ს.]

276 ფ.; 20×15; ქაღალდი; ფუდრა; თავ-ბოლოსანაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-17-18 ს.]. ნაყიდია 1913 წ.

„...(განვიპყრენ შენდამი ჴელნი) ჩემნი და სული ჩემი, ვითა ქ ჳ ყანაჲ ურწყული შენდამი მსთუად. შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სული ჩემსა...“ (1 r—276 v).

წ ყ დ ე ბ ა: „ჰრქუაჲ მას იესუ: არა გაჭუს ჴელმწიფებაჲ არცა ერთი ჩემზედა. უკეთუმცა...“

შენიშვნა: 1. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი ახლოს დგას ვახტანგის სტამბის „ჟამნის“ (ტფილისი. 1710) ტექსტთან: ხელნაწერის დასაწყისი ემთხვევა ვახტანგის „ჟამნის“ „გამგება ცისკრისას“ (გვ. ნ’ა) ტექსტს; ზოლო ბოლო წყდება იოანეს საკითხავის ტექსტზე (იოანე, თ. 19; მ. 11). 2. 8 r-ზე შენიშვნაა (ტექსტში): „ქართველნი ამა საქცევსა ზედა უკცევენ ..“

1045

თიმსარიანი [1781 წ.]

87 ფ.; 19×15; ქაღალდი; ტყავ-გადაკრული მუყაოს ყდა (მოშორებული); მხედრული (სათაურები სინგურით); 1781 წ. (82 r); თეიმურაზ II-ს მიერ თარგმნილი „თიმსარიანის“. გადამკეთებული, აქვე დართული ლექსების ავტორი და ხელნაწერის დამნუსხველი: ალექსისძე დავით, რეჭტორი (82 r). შემოწირულია ა. მ. ავალიანისაგან 1913 წ.

„ამბავი პირველი. დასაწყისი ინდოთ ჴელმწიფისა, სარსთა ენათაგან ქართულად თ ა რ გ მ ნ ი ლ ი მეფისა თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა გ ა ნ, რომელი უხმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ წიგნსა ამას თიმსარსა.—ფლობდა სამეფოსა ინდოეთისასა ჴელმწიფე ნათესავად ჩინგთა, ძეელთა გვართა ჴელმწიფეთა შვილი..." (1 r—81 r).

შენიშვნა: 1. ხელნაწერში მოცემული ტექსტი წარმოადგენს დავით რექტორის (მესხიშვილი)-ეულ „თიმსარიანს". ჩვენი ხელნაწერი—H 1045—დაწერილებით აწერილია (ქ. სანიკიძე. დავით რექტორის დამატებანი „თიმსარიანში". ჭუთ. აღ. წულუკიძის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები. ტ. II ჭუთ. 1941. გვ. 249—271. შდრ. აგრეთვე: შე. თაყაიშვილი Опис. I, 395—396 გვ., № 67).

2. ხელნაწერის ქაღალდის ჭვირნიშანი: 1780 წ.

3. ამას გარდა, ხელნაწერში მოიპოვება:

ა. [ალექსიძე დავით, რექტორი]. „სევდიანი საწოლთა ვსჯე. გულთა სევდა მიღამებდა; საგონებელთა რასამე ვიყავ და ესეოდენ ვთქვი.—ფისტიკაური. 1 კაცთა გულისა, თვალთა მძინართა დედანი თავისდად გააღვიძებენ..." 82v—83 v.

შენიშვნა: ათ სტროფიანი ლექსი, რომელშიაც ერთმანეთს ენაცვლება „ფისტიკაური" და „ლექსი".

ბ. [ალექსიძე დავით, რექტორი]. „სხვანი მოგონებანი წარმომიდგეს, მათ ფიქრთა გული ნაღვლით აღმეშფოთეს და ნაღვლიანმან ესე ოდენ მოვიფუძენ.—რეული. 1. საყვარელისა პირმთვარეობა, მოხდომით გაშლა, ვით არეობა..." 83 v—84 v.

შენიშვნა: ათსტროფიანი ლექსი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება „რეული" და „ლექსი".

ანდერძი: (დავით რექტორისა): „მეცნიერნი ამას ზედან ნუ გამკიცხავთ, რომელ ესე მისი საქ'ე არ იყოო და რად სწერდაო. თუ ვინმე იტყვიდა, მართალ არს. მარა სიცილი ფუროს განცხრომისად შედგომილია. ამის სოფლისაგან ჯმნილისაცა მოღვაწენი ოდესმე განიცინებენ. მე გულსევდიანი ვსჯე. ცუდად ჯდომასა ესე შრომა ვირჩიე. თვარა ამისი წერა ჩემი ჭკეი არა იყო:—მკათხველთა ოდენ მოგახსენე. რა ჭყო, თუცა ესე წიგნი სრულად ჩემსა ენასა ზედან გამემართა, ვისცა გარდმოუთარგმნია, მას შრომა წაუხდებოდა. და ამისთვის მოვეჭიდე. მაგრა, რადგან დიდად ავს ენაზედ იყო შეწყობილი, მე როგორმე გავსხარხე და უცბოდ კი არ შევაწყევ. ამიტომ რომ, კარგი ენა ამისთანას ცუდს ამბავზედ რად უნდა დამეშრო. ამ წიგნში რაც არაკების ბოლოებია, ჩემი მოგონილი და გაკეთებულია და ზოგიერთი არაკიც ჩემივე მოგონილია. თუცა ავია და დაწუნებეთ, მაგრა ამისთანას წიგნს ის შეეფერებოდა და მეცნიერებით რად უნდა თქმულაყო.—ამათ სიტყვათა მოეშხენებელი ვარ ალექსისძე დავით. თვესა დეკემბერსა. რიცხვსა 10, წელსა 1781:" (82 r).

1046

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი [მე-18-19 ს.]

65 ფ.; 22×17; ტყავ-გადაკრული ტეიფრული ხის ყდა; ქაღალდი; (ალაგ დალაქებული); მხედრული (სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით); [მე-18-19 ს.]. შემოწირულია რომანოზ მამუჩიშვილისაგან 1913 წ.

„სამართალი. პირველი შესავალი, ბატონიშვილის ვახტანგის ნაბრძანები.—მყოფისა უმიმყოფისა, არსისა დაუარსისა დამაარსისა მქები, არაოუ ღირსად, არამედ შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მჭონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი ჴელთა თჳსთა მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიტთა შინა, ჰპოებენ მძივთა რათამე და უხილველობისათჳს აღიღებენ და შთაჰსდებენ საუნჯეთა პატივისანთა შემკობით უპატიოსნეს მარგარიტთა ჰყოფენ...“ (3 r—59 r).

შენიშვნა: 1. სათაური: „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (2 r). 2. სამართლის ტექსტს დართული აქვს: „საძიებელი წიგნისა ამის სამსაჯულოსა, განწყობილი ანბანსა ზედა, რომლითა აღვილად შესაძლებელ არს პოვნად, რომელსაცა ეძიებთ.— ა. აზნაურის სისხლში საქონლიდამ მიცემისათჳს. ით.—აზნაურმან თუ ვინც მისგან უფროსი კაცი მოკლას. ოე...“ (61 r—68 v). 3. ტექსტში ალაგ ხარვეზია: მაგ. 36 r. § **რმთ**; 41 v—§ **როე**—(შეესებულია სხვა ხელით); 54 r. **სკე**-სა და **სლმა** ნ-ს შუა. აქვე—გადამწერის შენიშვნა მარჯვენა არშიაზე: „აქ რიცხვები აკლია, მაგრა მე რა ვქნა. ასე არის გარიგებული.“ (54 r).

1047

ალექსანდრიანი [1853 წ.]

242 ფ. (433 გვ.); 22×18; ქაღალდი, ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1853 წ. [რედაქტორი: პეტრე ჩხატარაძე ძე]; გადამწერი: წყალობა ტერ არუთინ (433 გვ.). ნაყიდია 1913 წ.

„[ალექსანდრე მაკედონელის წიგნი].—კეალად დავით მეფისა და სოლომონ მეფისა ბრძენთა თვისა [!] მისსა მამისა [!] და აბრაჰამ [!] მამათ მთავრისა, ისაკ და იაკობის ძეთ ათორმეტთა მამათ მთავართა, რომელსა ნიეთისაგან და თესლთაგან განხორციელდა იესო ქრისტე, პირველ ამისსა სამას და სამთა წელთა, მას ჟამსა შუა [!] ჯდა ეგვიპტეს მეფეთ ნათაალიმ, კაცი ბრძენი და ჭკუიანი, რომლისა სწორ არა სადა სოგონებელ იყო პირსა ყოველსა ქვეყანისასა. სწვაელა ეარსკვლავ რიცხველობასა თანა ქანდა [!]...“ 1—432 გვ. (3 r—241 v).

შენიშვნა: სათაური—„ალექსანდრე მაკედონელის წიგნი“—ამოღებულია გადამწერის ანდერძიდან (433 გვ.). 2. „ქორწილი ალექსანდრესი და შერთვა როქსანი (ტექსტში „როსკანა“) სპარსთ მეფის ასულისა, უბრალოსა და წარჩინებულისა“ (263—269 გვ.) სავსებით მისდევს აღ. **ბარამიძის** გამოკვლევაში „ქართული ალექსანდრიანი“—მოტანილს ჩხატარაძისძის მიერ დამუშავებული „ალექსანდრიანის“ ამავე სათაურის ტექსტს („საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე,“ IX B. ტფ. 1936. 45—47 გვ.), რაიც მოწმობს, რომ ჩვენი ხელნაწერის „ალექსანდრიანი“ პეტრე ჩხატარაძს ძის მიერ დამუშავებულს პროზაულ ვერსიას წარმოადგენს. 3. „ალექსანდრიანის “ ჩვენი ტექსტი გადმოწერილია მრავალი შეცდომით.

მინაწერები: ტექსტის წინ, ყდის ორთავე საცავ ფფ. 1 r—2 v. და 242v.

ანდერძი (გადამწერისა): „ესე ალექსანდრე მაკედონელის წიგნი ვნახე და წავიკითხე და პირველ მამეწონა და მომსურდა ამის გარდმოწერა. ავიღე და გარდმოვწერე. და უფალნო ძმანო [!], რომელმაც ესე წერილი ნახოთ და წაიკითხოთ და პოვოთ რაამე ნაკლებულება, გთხოვთ, ამისთვის მომტეფოთ და ამასაცა გთხოვთ ვედრებითა: ვინცა ვინ წაიღოთ ესე წერილი და წაიკითხოთ, ისევ პატრონს მოუტანეთ და მეც მამიგონებდეთ, რომელ ჩემის ახალგახრდობით ჯაფა გამიწევია გარდმოწერახედა და ვინც წაიღოს და აღარ მოიტანოს, მაშინ [!] უკუნითი უკუნისამდე იტანჯებოდეს საუკუნოდ ცეცხლში. 1853 ს. კათათვის 10-სა დღესა. აღესრულა წერილი ესე ჴელითა ჩემითა. მოწა თქვენი წყალობ ტერ არუთინოვ]. წელსა ათას რვაას ორმოცდა ცამეტსა, კათათვეს. ათსა დღესა და მთვარის თექვსმეტსა—პარასკევს. ხურე კარაპეტი[ს] კვრაში“. (433 გვ.) 242 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1048

ვახტანგ VI. ლექსთა კრებული [მე-19 ს.]

19 ფ.: 22×18; ქაღალდი (ლურჯი); უყდო (დარჩენილია ჭკოვილ-გადაკრული ქაღალდის ყდის ყუა); ბოლო-ნაკლული; მხედრული (სათაურები და დასაწყისნი ასოები ხინგური); [მე-19 ს.] ჰპირნიშანი: 1822 (2 ფ.). შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1913 წ.

1. „ანბანთ ქება. უცხო და ახლად შემოღებული და არა ადვილად სათარგმნელი, ქმნილი საქართუელოს მეფის ვახტანგის მიერ. —ა. ასრე არის: აგებული ამგებელსა აქ აქებდეს.

ამკობდესცა, ადიდებდეს, ამისთჳსცა აქ აქებდეს...“ 1 r—5 r.

2. „ეს ლექსი ჩახრუხაული ია.—ჯუფთარს არავის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჩვ—არს შემდგომი...“ 5 r.

3. „ეს ერთი ლექსი ანბანი არის, ყოველ სიტყუას თავსა და ბოლოს ანბანი უზის.—არა ბრძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ Uეთერად...“ 5 r.

4. „მეფე იგივე ვახტანგ, სამეფოსაგან თვისისა კიდეგან ქმნილი, სალბუნად გულისწყლულებისათვის, მკურნალ თავისა თჳსისათჳს იქმნების და სწერს ესრეთ ლექსად:—მრწამს მისის სარჯლით შემკული ჯოჯოხეთს პირი იცოდა.—მას ვევედრები, რომელმან არა რა ცოდვა იცოდა...“ 5 v—15 v.

შენიშვნა: 1. ლექსი შედგება 109 სტროფისაგან. თავდება:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოიგვაროს.
ამ სოფელსა ჴელი ჰყაროს, იქაც—ბარგი დაიბარგოს.
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე სარდელობლ დ წყალსა პირსა სამე დარგოს.“

2. ბოლო სტროფებში ჩართულია: ა. ოთხ სტროჭონიანი ლექსი, სათაურით: „ეს ლექსი ლათინურის ენიდამ ერთმა ფრანგმა მოიხრა ყველის ქებად და მე ასრე ვსთქვი: (15 r).—107„თოვლებრ სპეტაკი დაარღოს ღ-ითისებრ: თეთრებრ ბევრია...“ (15 v). ბ. ხუთი „შესაბრუნებელი“, წალმა-უკუღმა საკითხავი: „108. „ცუდად ვიყავ იმატა, ასავთ ასეთი ითესა თავსა ატაში...“ (15 v). ერთნაირად იკითხება თავიდან და ბოლოდან.

5. „ოდესცა ქართლით იხმეს მეფე ვახტანგ ისპაანად და მიიწივა წინაწმე სპარსთა მეფისა, აწვევდენ მამულისა სჯულისა დატევებასა და ღ-თის მოყუარე მეფე ესე არა ერჩდა მძლავრისა მის ბრძანებასა. ამისთჳს პატიმრად წარავლინეს ქორმანს და მუნ მყოფობასა შინა იწყო წერად ესრეთ, რათამცა არა შეეპყრა ურავთა სევდიანობასა და ესრეთითა წესითა იქარვებდა პირველისა მის დიდებულებისა არა ჴონასა ნაღვლიანობასა შინა: მრავალ ჟამიერ ჰყოს უფალმან!

—კულავ მიხმეს ისრევ ისპაანს, დამჩა ეს შეუსრულები.—
—მომცეს პატივი მრავალი, ვაი თუ დავბი სულები...“ 15 v—16 r.

თავდება: „სოფლის საქმეს ყური უგდეთ, ან იტირეთ ან ივახეთ.
და აბედინას შვილის ამარს დავრჩომილვარ აწ, ეს ნახეთ.“

შენიშვნა: სულ 5 სტროფისგან შედგება. შეადარეთ ე. თაყაიშვილის Опис. ტ. II. გვ. 409—410.

6. „მოცალეობასა შინა მყოფსა ჰმუნვა-ნაღვლისა მაქარვებელად იწერების საქართველოს მეფისა მიერ უჟლისა ვახტანგისაგან დიდსა ქალაქსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვსა შინა.—დამიმონა კაეშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად; ნაღველს ვხმაროთ მუდამ მელნად, გულსა ვაწვევ მისად კალმად..“ 16 v—17 r.

შენიშვნა: ლექსი შედგება 10 სტროფისაგან. თავდება: „და არვინ დააგდო წყალობის კარითა განასრულითა.“

7. „აქა იწყებიან ტ(რ)ფიალთაგან სატრფიალოსათვის შაირობა და მკითხველთა უხმსთ გულის-ჴმიერებაა, თუ ვისდამი ტ(რ)ფიალებს მეფე: სახმარ არს ყორნი სმენად და გული გამოკუნქულევად:—ლექსი უნდა ტკბილ გუარითა, სწავლის სიტყვით გამახარი—

სამ ოთხ რიგად გასასინჯი, სიბრძნეს ზედა არ სახარი...“ 17 v—19 v.

შენიშვნა: ტექსტი შედგება 26 სტროფისაგან. წყდება: „არ მიწამლებ, გამბდომია გული ჩემი დაღალულად...“

1049

კრებული [მე-19 ს.]

I, 39 ფ.; 22,6×17,5; ქაღალდი; უყდრო; რვეულად შეკერილი (პირველ ორ ფურცელს მარცხენა კიდეა ყურე მოგლეჯილი აქვს); მთელრული; [მე-19 ს.]: 29 r—37 v, 38 r და 39 r—დაუწერელია. შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1913 წ.

1. „[ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა:] შემოკლებული ისტორია ქართლისა მეორისა ირაკლისა მეფისა. იწყების, თუ ვითარისა შრომითა მიიღო მეფობა საქართველოჲსა.—წელსა 1722 დაჯდა ყეენად ძე შაჰ სულტან უსეინისა შაჰთამაზ. და ამ ჟამზედ იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის ძე. და კახეთში იჯდა მეფედ კოსტანტინე ირაკლის ძე, რომელსა ეწოდა სახელად შაჰმად ყული ხან, თათრობისა გამო...“ 1 r—23 v.

წყდება: „და რაოდენსამე თესსა ჰარში დარჩა ომარხან. გარნა ვერ ღარა...“

შენიშვნა: 1. ტექსტი შედარებულია „ქართლის ცხოვრების“ ჩუბინაშვილისეულ გამოცემის (სანკტ პეტერბურგი. 1854 წ.) გვ. 475—499 ტექსტთან. 2. ხელნაწერის ტექსტი ოდნავ განსხვავდება ნაბეჭდისაგან შეცდომებითა და გამარტივებული სტილით.

2. [სოლომონ ლეონიძე]. „მოთქმით ტირილი საქართუელოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა: (ღერკულესი, ბერძნის ენით, ვითომც ირაკლი). —დღეს ქრისტჱსანა, აღსრული გულის წყროსისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარისა დიდისა ეკატირინასითა, დღეს იტყვებს კეალად უფასოსა სისხლსა, სახსარსა იერიელთა გუარისასა...“ 24 r—28 v.

შენიშვნა: ბოლოში, ცალკე აბზაცში იხსენიება „მოთქმით ტირილის“ ავტორის ვინაობა.

3. [აკროსტიხი, ირაკლი მეფისადმი მიძღვნილი] „იტყვიან შენთვის მრავალ ქებასა, რიტორნი, ბრძენ[ნ]ი განახლებასა...“ (38 v).

მანაწერები: I r, 23 v, 39 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1050

გამოცანათა კრებული [მე-19 ს.]

10 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდო; რვეულად აკინძული; შხედრული; [მე-19 ს.]; ჭვირინშანი [1805]; შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1913 წ.

1. „[არჩილი.] ანბანთ-ქება, ამიცანად სათარგმანებელნი].—
არსი ყოვლთა დამა[ა]რსი, სხუა უნივთო არსად არი.
არ[ა]სი ხამს შედარება, არს ყოვლთ ნივთთა არ სადარი...“ 1 r—5 r.

შენიშვნა: შედარებულია „არჩილიანის“ 1935 წ. გამოცემის „ანბანთ-ქება, ამიცანად სათარგმანებელნის“ ტექსტთან. ჩვენს ხელნაწერში მოცემულია ხსენებული „ანბანთ-ქების“ სრული ტექსტი (78 სტროფი), ცოტაოდენი ვარიაციებითა და შეცდომებით („არჩილიანი.“ I. გვ. 277—285).

2. [პეტრე მგალობელი, ნექ:ძე] [ანბანთ-ქება, ამიცანათ სათარგმანებელი].—
„არსთა მარსთა [!] თჳთ დაუარს მანა [!] სამოთხე შექმნა აქ ადამისთჳს.
აღაგო მიწით, იგ მჯნულ [!] იყო [!] ბიწით, მაშინ მკვიდრ ყო აქადამ მისთჳს...“
5 v—7 r.

შენიშვნა: 1. სულ შედგება 36 ტაეპისაგან (ანბანის რიგზე). 2. გადაწერილია შეცდომებით. 3. ავტორის ვინაობა დადგენილია ე. თაყაიშვილის Опис. II. 256—257 მიხედვით (წ. კ. ხელნაწ. 3704 აწერილობა, № 155, ს. 16).

3. „ესე ამიცანა არს.—
რვა მეფე ერთად მინახავს, ერთ ალაგს შემოკრებული,
ალაფს იღებენ ყოველნი, ჯარით, ყმით გამრაელებული...“ 7 r.

4. „ერთი რამე მოგახსენო, ამისთანა საკვირველი,
დიდ ჯალაბი, სახლი ვიწრო, მაგრამ ტურფად ავებული...“ 7 v.

5. „საღმრთოდ საქმით გასწავლული, საეროდგან საქებელი,
რა რომ ნახვენ, იამებათ,—ყოველთ უნდათ საუბარი...“ 7 v.

6. „გული ტკბილობს, ენა შაქრობს, მას ტანი აქვს სინაზისა.
უფერო და სანახავი ბრწყინვალება არ აქუს მზისა...“ 7v.

7. „ერთი რამე უცხო მვალი, ორი სჩნდა, გამიკვირდაო.
თუ გაველ, გამყვეს, არ დადგის, თუ დავსდეგ, დადგის კიდეო...“ 7 v.

შენიშვნა: მეოთხე სტრიქონი ჩამატებულია სხვა ხელითა და მელნით.

8. „ერთი რამ უცხო, უსულო სიბრძნეს იძახის, მიკვირსო...
სახლი აქვს უცხოდ ნაგები, კარში გამოსულა [!] უჭირსო...“ 7 v.

9. „ავსდეგ და ტყესა მივმართე, იქით მოვიღე სახმარი.
ზღვით გამოვი[ღ]ე სიმტკიცე, მე შევქმენ კაცთა სახმარი...“ 7 v.

10. „დღეს მოუმატებ, სულს ულხენს, ვინც რომ კეთილად იღებსო,
ხე არის ერთი უფლისა, კეთილსა გამოიღებსო...“ 7 v.

11. „ჯარი არის ერთგან ყრილი, სულ სასროლად მომართული,
მათ ხომ სახლი უდგას ცოტა, არ ფიცრული, არ მორთული...“ 7 v.

12. „სახ[ილვ]ად [!] მსგავსი ქედისა, მოსავონებლად ძნელია,
ასე მორჩილებს პატრონსა, იყოს მართვითა მელია...“ 8 r.

13. „ერთს უჩინარს სანახავსა ელვა აქუს [!] გასაკრთომელი.
მას ტრფიალებით შეფრვინენ, ვისაც აქუს გულის წყრომელი...“ 8 r.

14. „ორი ფრინველი ჩემთან[ა] დაბადებითგან სხდებიან.
ამ წამს არიან ჩემთანა—იმ წამსა გაფრინდებიან... 8 r.

15. „მაგარი რამე მინახავს გათლილი წმიდა ქვისანი.
მას გარეშემო ზღუდე აქვს, ჰიქისა ანუ რქისანი...“ 8 r.

16. „არც მოხვნა და არც მოთესვა, არც ერთი მოუნდებოდეს,
ვინ არის მოყმე ასეთი, რომ მაზედ აისვლებოდეს... 8 r.

17. „ერთი რამე სულიერი მინდორს არის წყრალივითა [!]
შეშა აქუს [!] და ცეცხლზედ ფრთხება, მფრთხალი არის თხასავითა...“ 8 r.

18. „ინდოდამ მოდის ლაშქარი, არ მოწყინარი არ არის,
არც არის მათი გაზრდილი, არცა ხლმის მკვრელი არ არის...“ 8 r.

19. „მამამან სახლი ააგო კეკლუცი, ბანის ბანითა,
გრძელი და ცამდის მაღალი სიგრძე და მისის განითა...“ 8 r.

20. „კაცი ვნახე: ორი თავი ება, დიდად გამიკვირდა.
ერთი თავი თეთრი ჰქონდა, ერთი—შავად გამოსჩვირდა...“ 8 r.

21. „ერთსა სანახავს გაჰკვირდნენ ჩკვიანები და ბრძენია.
ერთი რამ უცხო საჭვრეტლად, მას ახდის უცხო სუნია...“ 8 v.

22. „დედასა შვილი წა[ა]რთვეს, ნორჩი, ახალი შობილი,
სხვათა გაზარდეს ძიძითა, სხვისა ნაურფთა შობილი [!]...“ 8 v.

23. „აღმო[ვ]სცენდები ზურმუხტი, მერმე მარგალიტს ვედარი.
ხორციელთ მაცოცხლებელი და მერმე მკვდართა სარდარი...“ 8 v.

24. „ადგა ნარინჯი, თურინჯი, ბროწეული და ბიანი,
ვარდი, ზამბახი, სუმბული და იასამანიანი...“ 8 v.

25. „ერთსა მინდორსა ხეზედა დავრგე საჩრდილი გრილია,
თორმეტი ტოტი მას ახლავს, ფერად-ფერადი ჩრდილია...“ 8 v.

26. „ერთს გამოცანას გიანბობ, არც ავი და არც კარგია.
ესთქვათ თუ საჭმელად ვარგია, არც ავი, არცა კარგია...“ 8 v.

27. „უსულოა და უენო, კაცთა სიტყვისა მთქმელია.
სიყრმიდამ სიბერემდისინ ღუმთის [!] სამსახურის მქნელია...“ 8 v.

28. „ბაღჩაში შეველი, ყვავილი სხუა ყუავილზედა ხანობდა,
გარს ერტყა ზღუდე მაგარი, ძოწ-წითელ, ზოგი მწვანობდა...“ 8 v.

29. „უმიწოდ სახლი ნაშენი სულდგმულზედ ავებულია.
კარგი ნაშენი, კარგის ხით, მეფეთგან გაგებულია...“ 8 v.

30. „ქალი ზის უცხო, ლამაზი ტანი მიუგავს სარსაო.
ესთქვი იადონი, ბულბული მის ხმას ვამსგავსე კარგსაო...“ 9 r.

31. „ყოველდამ მოდის ლაშქარი, ჯარი ჩამოდის მთისაო.
მუდამ ელიან შებმასა, ჯავრი აჭმუსთ [!] თავს დასხმისაო...“ 9 r.

32. „ერთსა პატარა ადგილსა გზა ოცდაათი სოფელი.
შუა გზა არის საავალი, თავ-თავად გასაყოფელი...“ 9 r.

33. „ერთსა პატარა ველზედა სახლობს ოცდაათი კაცი.
ადგილ[ს] იყოფენ ყოველნი, სამ-სამ—ხუთ-ხუთი არია...“ 9 r.

34. „თავს დაჯდება მეითარი, მოუჯდება მას თარხანი,
რაზმსა კარგად დააწყობენ, გამოუათ კარგათ ხანი...“ 9 r.

35. „ერთი რამ სულის საოხი მინდორს გავა მკელობითა,
წვრილი მსხვილში გაერევა, ხმა გამოვა ზარივითა...“ 9 r.

36. „გამოცანა ნათქუამია, ბრძენთაგან გამოსახისა,
მჭვრეტელთა შემამკობელი, შვენიერისა სახისა...“ 9 r.

37. „ერთი რამ არის ასეთი, სიჭრელე ახლავს ვეფხვისა,
მისსა სახლსა და საბარძელსა ცეცხლი ვერ დასწვავს მეფისა...“ 9 r.

38. „ყოვლის ხისა უმჯობესო, არ მართალო, კარგო ხეო,
მეფეთა და დიდებულთა საყვარელო ვარდის ხეო...“ 9 r.

39. „ვეძებდი ერთსა სულდგმულსა დიდითა საუბარითა,
ვიპოვნე და გამოვიყვანე მარტო თავის(ის) თავითა...“ 9 v.

40. „ერთი რამ დიდი ფურცელი, გარდაფარვია თავზედა,
ასხია წვლილი მარცვალი, არ დაითვლება მასზედა...“ 9 v.

41. „რა არს ასეთი ხელ-მკლავი არ შეიღებოს ინითა,
არცა სჭამს მარილიანსა, არცა დაითრობა ღვინითა...“ 9 v.

42. „ერთი რამ სუსტად ნაქმარი სამარი და ამასონი [!],
მას არ აკლია ზნენი და საქმენი საკისკისონი...“ 9 v.

43. „ჯარი დგას ყოვლის თემისა. გზა არსით აექცევისა.
რა რომ დრო მოვა შებმისა, კაცი ვერ გაექცევისა...“ 9 v.

44. „ნადირი რამე მინახავს არ ეშინიან კაცისა,
უზომო არის სიდიდით, ნუკრი არ არის ვაცისა...“ 9 v.

45. „სამი რამ სახე სამებად ვასახე, ბრძენმა მონახა თუ ვინ ვან არის.
კერძო ილვევისა, კერძო ენთების, ერთი წვა მალი მისთვისცა კმარის...“ 9 v.

46. „ვერცხლით მოჭედილს სახლსა ჩის, არ ჩამოხდების ხისასა.
არც არას მეტყვის ტყუილსა, არც არას საწყენს ღუთისასა...“ 9 v.

47. „ერთს გამოცანას გიანბობ, უცხოს რომ გაგიკვირდება.
აპოხტი რამე მინახამს, მზისაგან ცრემლი სდუნებდა...“ 9 v.

48. „მტერია ყოვლის ქაცისა, მუდამად დაუცხრომელი.
მოვა ანაზდად, უჩინრად ვერა სცნობს [!] არის რომელი...“ 9 v.

49. „რომ დაგიჯდება ვეზირად, გასწავებსთ ცოდნის მცნებასა,
თუ გამოარჩევა, აწ მისგან გამცნებს ღუმთის [!] სათნოებასა...“ 10 r.

50. „თავსა და ბოლოს ინგრევდა, ტანსა მას უჩინებახოსა.
ორივე თვალი ასხია, ვერც ერთით დაინახოსა...“ 10 r.

51. „გამოცანას მოგახსენებ, რომელსა მაქ [!] სიბრძნე ვრცელად.
სამოცდაათს წელიწადსა ვინ ყოფილა მკვდარი მველად...“ 10 r.

52. „ოცდათორმეტი უსულო ერთმანეთს მიუხდებიან.
ხელი და ფერხი არა აქვთ, დავლენ და იარებიან...“ 10 r.

53. „უამი მწადდა მეთქვა რამე, მაგრამ სიტყვა დაიზარა;
ჟამსა იმას ეს არ იყო, თამარმა შვა ოდეს ზარა...“ 10 r.

54. „ბრძანეთ, ცხენით სად ვინ ახლდა სულელია.
ბევრი მივდლობდა [!] ღვთივ შვენიერ, არ მადლობდა სულ ელია...“ 10 r.

55. „ინადირეს და გაიგდეს დარბასიელთა სეფეთა.
ქვეყანა იმას გაუდგა: თავადი თუ აზნაურთა...“ 10 r.

56. „ზის ვიწმე წვრილსა კუბოსა, ხელათ ვერ ამოღებული.
დაბადებიდგან წითელი, არვისგან არ შეღებული...“ 10 r.

57. „უცხო მოვიდა ლაშკარი, უცხო, მისისა[ე] სახითა.
ხან არის უანგარიშო, ხან თვალით ვერა ვნახითა...“ 10 r.

58. „ერთი რამ არის უსულო, მდებარე მუცელ ხელითა.
წყალი სწყურის და ვერა სვამს. სხვანი[ე] ჩა[ა]სხმენ ხელითა...“ 10 r.

59. „ბ[რ]თხილი, ბატონის ერთგული, რა არის, ყველას გინახამს,
ფიცხი და მრავალ-სახელი, გარემოს ყოველს გინახამს...“ 10 v.

შენიშვნა: 1. უკანასკნელი 57 სხვადასხვა გამოცანა მოცემულია საერთო სათაურით: „ესე ამიცანა არს“ (9 v. თავში, სინგურით).

2. თვითეულ ამ ამოცანათაგანს (4 სტროკონიანი) მიწერილი აქვს დასწერივ, შავი. მელნით, სხვა ხელით, გამოცანის ახსნა (უმეტესი ნაწილი ციფრობრივი კრიპტოგრამით)

60. „იყო კაცი, იშვა მამისაგან ვედრეთ [!]. მან შვა ცოლი თჳსი...“ 10 v.

61. „მკვდარი ცოცხალს ეძიებს...“ 10 v.

62. „ვირი ცას კიბედ შეუდგა...“ 10 v.

63. „ხუთნი გზასა მოვიდოდენ...“ 10 v.

64. „ხუთნი—თჳსნი, ორნი—წყლისნი...“ 10 v.

65. „ასო[მ]ან შარახისამან, ნასხლევმან ვენახისამან...“ 10 v.

66. რომელსაცა არ ეხილა და ხმელსა ზედა არა ევლო...“ 10 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. „ძის-წული მოუდგა დედისა დედას თჳს[ს]ა...“ 10 v.

68. „მართალი სთქვა და წასწყმდა...“ 10 v.

69. „ერთი რამ არის უსულო, კაცს შეწყნარებს გარესა,
არც სიბრწყინვალე მზეს უგამს, არც თხუთმეტის დღის მთვარესა...“ 10 v.

70. „ხედავ სახეს უსულოსა, შენსა სახეს სულ გიჩვენებს...“ 10 v.

შენიშვნა: 1. 60—68 „ამიცანა“—პროზითია, 2—2 და 1—1 სტრიქონად.
2. 69-70—ლექსად, პირველი 4 სტრიქონად, მეორე—3 სტრიქონად.

1051

გრამატიკა ორ ნაწილად [მე-19 ს.]

40 ფ.; 22×18; ქაღალდი; ყუდო; თავ-ბოლონაკლული, დაშლილი; მბეჭდური; [მე-19 ს.], ჰვირნიშანი: 1823 (38 ფ.), 1825 (16, 17 ფ.). შეთაწიოულია ივ. ელიაშვილისაგან 1913 წ.

[ქართული ღრამმატიკა].—„ლექსი არს ხმა. შედგმული ერთისა ანუ მრავალთა მარცვალთაგან, რომელიცა ჰნიშნავს საქმესა რაჲსამე ანუ მყოფობასა მისსა. მაგ. მე-ფე, კაც-თილ მო-ქმედება და სხვანი. ლექსთაგან შესდგების სიტყუა. სიტყუა არს გამოხატვა მოგონებისა, რომელიცა წარმოადგენს მთელსა ჰაზრსა, მაგ. ღმერთი არს ყოვლად შემძლებელი; სწავლა არს სასარგებლო. თ ა ვ ი ბ. განყოფისათჳს ლექსთა.—ლექსნი იქნებიან პირველ-სახეობითნი ანუ -წარმოებითნი; მარტივნი ანუ ჰრთულნი...“ 1 r—37 v.

წ უ ძ ე ბ ა: „ხოლო ზმნისა თანა პირითნი ნაცვალ-სახელნი თანხმულ იქმნებიან რიცხჳთა და პირითა. მაგ.: „მე ვჰსწერ“. „შენ ჰკითხულობ“. ხოლო „მან განსაჯოს“ და სხვანი.“

შენიშვნა: 1. სათაური „ქართული ღრამმატიკა“—36 r-დან.
2. გრამატიკის პირველი ნაწილი შედგება 11 თავისაგან: II. განყოფისათჳს ლექსთა. III. სახელისათჳს საზოგადოდ. IV. ნათესაჲსა, რიცხჳსა, ბრუნვისა და კანკლდებისათჳს. V. ნაცვალ სახელისათჳს. VI. ზმნისათჳს. VII. მიმღეობისათჳს. VIII. თანდებულისათჳს. IX. ზმნისზედისათჳს. X. კავშირისათჳს; XI. შორისდებულისათჳს.
3. მეორე ნაწილი შედგება: I. სინტაქსისათჳს; II. შეთხზჳსათჳს ზედწერილისა. სახელისა არსებითისა სახელსა თანა; III. (შეთხზჳსათჳს რიცხჳთი სახელთა არსებითთა სახელთა თანა); IV. (შეთხზჳსათჳს ნაცვალ-სახელთა).

მინაწერები: 38 v—39 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1052

ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი [მე-19 ს.]

10 ფ., (20 გვ.); 23×18; ქაღალდი, უყდო, დაშლილი; მხედრული; თავ-ნაკლული; მე-19 ს.; შეირნიშნა: 1838 (7—8, 13—4 გვ.). შემოწირულია ივ. ელიაშვილისაგან 1913 წ.

„...ამას უკვე მივათხოვეთ და მივეცით ნიშად დიდად და უსაზომოდ ძვირფასთა განძთა ზარდახშა და ნივთი აღსაყვანელი აღმოჩენითი ნათესავად ხმეევადი და მიხედვადი გონება მკეთრ რიტორთაგან წესად და განსაკარგველად ქებისა სახისა ქვეშე ქებათა შემპირებითა და ნიშათ და გარეგანითა, ნათელ-ნათელად კაზმული, ქრისტეს სარწმუნოებასზედ შეუმრღოდ და მტკიცედ ზრდილი, განცდილი და განსწავლული კმა-საყოფელთაგან სწავლითა წერილითა ძველისა და ახლისა აღთქმისათა...“ 1—20 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი და აღწერილობა გამოქვეყნებულია (სარა ბარნაველი. „ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი“ საქართ. სახ. მუზეუმის მოამბე. X—B. 205—223 გვ.).

1053

კრებული [1761 წ.]

22 ფ.; 19,5×16,5; ქაღალდი; უყდო; (თავ-ბოლო ნაკლული, 1 ფ-ის მხოლოდ ნაშთია დარჩენილი, მე-2 ფ. დაზიანებულია); მხედრული; 1761 წ. (21 რ); გადამწერი—მაღალაძე ნიკოლოზ (21 რ); პეტერბურგი (21 რ). შემოწირულია ხაქ. ჰისტორიისაგან 1913 წ.

1. „(სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულისანი. ორკერძოვე, ძველისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან რჩეევთ გამოკრებულნი: კლემაქსისაგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპარისა და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხეათა წმიდათა მღვდელმოძღვართა მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა და გარეშეთა წიგნთა: პლატონ, სოკრატი და მენანდროს და სხეათა ფილოსოფოსთა მიერ თქმული). —...(მოყვარე დუმილისა მიეახლების ღმერთსა და რაზომცა მიეახლების მას, განათლებულ იქმნას მის მიერ: ნაშობი რკინისა და ქვისა, ვიდრემე ცეცხლი. ხოლო მრავალმეტყველებისა და განცხრომისა—ტყუილი...“ 1r—21r.

შენიშვნა: 1. 16 v-დან: „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი და სიტყვანი, ფრიად სარგებელნი სულ-სხეულთანი.—არისტოტელ თქვა...“

2. კ. კეკელიძის ქართ. ლიტ. ისტორიის (ტ. II, გვ. 441) მითითებით, შედარებულია S: 2434-ს ხელნაწერის ტექსტთან. სათაური აღდგენილია ხსენებული ხელნაწერის ტექსტის მიხედვით.

2. „მოკლედ სიტყვისგება სოკრატისი [!]. სწავლა პირველი, თარგმნილი და სხვათაცა ფილოსოფოსთა, რუსულის ენისაგან ქართულს ენასა ზედა ერასტი თურქისტანიშვილისაგან.—კეთილის კაცის წესი არ არის კაცს პირში აქებდეს და უკან კი ძრახვედეს...“ 22r-v.

წ უ ძ ე ბ ა: „პლატონს სთხოვეს, რათა სჯული დაუდვას. მან მიუგო...“

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე სამეცნიერო სამეუფოსა ქალაქსა პეტრებურგს ნუსხათა ჩემ მიერ მაღალძის, პროტაპაპ მდივან ქადაგ ნიკოლოზისაგან თვესა მარტსა ლა: ჩლგა, ქ'სა უმო". (21 რ).

1054

კრებული [მე-19 ს.]

20 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო (დაშლილი, თავ-ბოლონაკლული); მხედრული; მე-19 ს. შემოწირულია რაფიელ ისარლოვისაგან 1913 წ.

1. „[თავგანწირვისათვის].—...არს და არა აქს [!] შეძლება, რომ მოეხმაროს თავის თავს. იგი გაფუჭდება, თუ არ მიეხმარებიან მას. და მე ვრწუნვარ [!] რომ მას იმედი აქს ჩემზედა. მას საათშივე მირბის იგი სახლთან უბედურისა..." 1 r—v.

შენიშვნა: ეს მორალურ-აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობა რუსულიდან ნათარგმნი ჩანს; ნ. მაგ. ფრაზა: „ეკონომიჩესკის პალატამ კოპენღაღენსა შინა..." და სხვ.

2. „ნეტარება.—უზენაესი სიკეთე, რომელსაცა ჩუენ ვსდევნით, ესეღენ შესაძლო არს ყოფად იყოს ახლოს ჩუენსზედა, ვიდრეღა ეფიქრობთ..." 1v—3 r.

შენიშვნა: 1. მოთხრობის ტექსტი ნასწორებია.
2. მოთხრობა რუსულიდან ნათარგმნი უნდა იყოს.

3. „სუეროვი, მოძღუარი ახალგაზდათა მხედართა.—სუეროვმან მჭუხარე დიდებითა ყოველგან, სადაცა პატივსა სცემენ გულმოდგინეთა დამფარველთა მამულისა და გულითად მეგობართა კეცბრიობისა, სუეროვმან არ დამალა თავისთან კუბოსა შინა წესნი თჳსნი..." 3v—5 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

4. „სოკრატი (из Детского чтения).—ერთი თჳით უმჯობესთა პრძენთა და კაცთაგანი იყო სოკრატი..." 12 v—11 v.

5. „მაგალითი მართლმსაჯულებისა და შვილს სიყვარულისა (из Детского чтения).—ერთს ვაჭარს ტურციის [!] ქალაქსა სმირნასა შინა ჰყვანდა შვილი..." 12 r—14 v.

6. კირ (из Детского чтения).—ისტორია ყმაწვილურთა წელთა დიდებულისა სპარსეთის მეფისა, ფრიად მცირე ცნობილ არს..." 14 v—20 r.

წ უ ძ ე ბ ა: „ოდესაც მანდანამ მოინდომა წასვლა სპარსეთსა შინა, მაშინ ასტიაღმან სთხოვა კირსა, რომელ იგი კვალად მასთან დარჩეს. კირი სიხარულით..."

1055

კრებული [მე-19 ს.]

49 ფ.; 22×18; ღურჯი ქაღალდი; უყდო, დაშლილ-დაფურცვლილი; ნაკლული; მხედრული (სათაურები სინჯრით); მე-19 ს. კვირნიშანი: 1819 (35—36 ფ.). შემოწირულია რაფიელ ისარლოვისაგან 1913 წ.

1. [მირიანი] „ამბავი დასაწყისი მაშრიყის ჴელმწიფისა.—იყო დიდი ხელმწიფე ჩინეთისა ხოშროშა [!]; დიახ ძლიერი და მაღალი. მაგრამ უშვილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შისათვის ასეთს მწუხარებაში იყო მიცემული, რომ ყოველი თავისი სახელმწიფო და საპრძანებელი ჩალად უჩნდა..." 1 r—38 v.

წ უ ხ ე ბ ა: [თავი—მთრის მიერ ანდალიბისაგან მიცემული ფრთების საშუალებით ანდალიბის გამოწყვევა და ორმოდან განთავისუფლება დატყვევებული მთრისა და სხვების] „...ასწევეს ფერიებმა და სადაც გულიაზარ ანდალიბს დაკაზმოდათ [!] და იქ სასახლე გაეკეთებინა, იქ დასხეს და მერმე თავის ბიძას წიგნი მისწერა: ღმერთმან შეგვიბრალა და შენი ქალი გულიაზარ ვიპოვნეთო. მოდი, აქ წყაროზედ ვიროთ და შენი ქალი ნახეო. მისცა ერთ ფერიას წიგნი და გაგზავნა. გულიაზარის მამას უზომო სიხარული მიეცა. ღმერთს მადლობა შესწირა და გახარ..."

შენიშვნა: 1. ტექსტს აკლია ბოლოში და შიგნითაც: 6 v-სა და 7 r-ს შუა, 8 v-სა და 9 r-ს შუა, 30 v-სა და 30 r-ს შუა.

2. წინამდებარე ტექსტი უახლოვდება ნ. ჩაჩიკაშვილის ხელით გადაწერილი „მირიანის" ტექსტს (A: 860 ხელნაწერისას).

ხელნაწერის ტექსტი დაწერილია მეტად უწიგნურად, გაუმართავი ხელით.

2. [ჩინეთის ხელმწიფის ქალის ამბავი].—„...კაცმა უთხრა: რადგანაც არ იშლი და სთხოულობ, ჩემს კისერ(ზედ) იყოს. სამს აღთქმას დაგიდებ. თუ შენის თავის სიცოცხლე გინდა, პირობას არ გადახდეო და მე ვიცი და შენ და იმის ცოლ-ქმრობისაო. ერთი სიტყვა მაქეს შენთან: რაც ითხოვო—შეა გამიყავ..." 39 r—42 r.

შენიშვნა: 1. უცნობი ზღაპრული ამბავის ფრაგმენტის შინაარსი: სედრაკ, ბაღდადის ხელმწიფის ვაჟი, თხოულობს ცოლად ჩინეთის ხელმწიფის ასულს. ჩინეთის ხელმწიფე ფე უარს ეუბნება, იმ მიზეზით, რომ მას არ უნდა გაათხედროს სედრაკ: ჩინეთის ხელმწიფის ასულს შეიდი წლის ჰასაკიდან ბეჭედ გველეშაპი შეპორცებია; ის ფიონარია გარეშე მაყურებლისათვის. ამ გველეშაპმა არა ერთი ჭაბუკი დაღუპა, ოღონ ეს ჭაბუკები ცდილან გამხდარიყვნენ ქალის ქმრად. სედრაკს, ბაღდადის ხელმწიფის ვაჟს, დახმარებას უწევს ვიღაც მოხუცი. ამ მოხუცის მითითებით სედრაკ, რომელსაც ჩინეთის ხელმწიფე მიღმობოვებს თავის ქალს, ხმლით ჩამოაჭრის თავის ცოლს გველეშაპს და მრავალ მოშენებულ გველებს. გრძნეული მოხუცი გამოდგება თვეზი, რომელიც ერთხელ მთხეიდრილა ჩინეთის ხელმწიფის ქალის ბადეში და ქალს ეს თვეზი ისევ წყალში გაუშვია. სედრაკ დაბრუნდება ბაღდადს, მიიღებს ტახტს მამის სიცოცხლეშივე და ჩინეთის მეფის გარდაცვალების შემდეგ შემოიმატებს ჩინეთის სახელმწიფოსაც.

2. ამბავს აკლია თავი. მისი ბოლო სრულია.

3. [რაზმა მას ამბავი] „აქა კარი პირველი დასაწყისი რაზმამასი.—იყო ხემწიფე ერანისა მაღალი და სახელ განთქმული. მრავლის საჭურჭლის მქონებელი, მდაბალი და მოსამართლე, უხვად გამცემი. ასეთი ბრძანება იყო იმ დროს: იმისგან უსამართლო არავის დაემართებოდა. ხელმწიფეს სახელად შაი ეწოდა. ჩინეთის ხემწიფის ქალი ყვანდა ცოლად და ხუთი ვაჟი ყვანდა. არაფერი ზრუნვა არა ქონდა რა. იყო დიდს ლხინსა და შექცევაში..." 42 v—49 r.

შენიშვნა: რაზმა მას თავგადასავალის მოკლე შინაარსი: ერანის ხელმწიფე, რომელიც, თხრობის შემდგომი მსელელობის მიხედვით, რაზმა მას მამათ უნდა ჩავთვალოთ, 12 წლით გაემგზავრება თავის სამფლობელოს დასავლეთ. ერთ-ერთი ქალაქის კარხე გავლის დროს მას დაინახავს „ხოლომონ ბრძენის" ვეზირის მზის მსგავსი ასული გულისა. გულისას შეუყვარდება ერანის მეფლობელი და სამჯერ მიუგზავნის მას თავის ძიძას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე აღუფოთებით უარყოფს ქალთან დაახლოებების წინადადებას. შეურაცხყოფილი ქალი ჩაიკეტება სენაჯში. შვიდი წლის შემდეგ, მოგზაურობიდან დაბრუნებულ მეფეს ისევ მოუხდება ამ ადგილას გავლა. ამავე ბანებში ერანის ხელმწიფეს მო კვდება ცოლი, ხოლო მისი 5 შვილი უდედოდ დარჩება. „მესტროლები“ [„მესტროლაბენი“?] გამოარკვევენ რომ ხელმწიფის გაუბედურების მიზეზი არის ვილაცისგან დაწყევლა მისი. მეფემ სამარხოლიან ხელმწიფეს მოაგორდება მისგან შეურაცხყოფილი ვეზირის ქალი და რისი ძიძა— მხოლოდ ისინი თუ იქნებოდნენ მისი მაწყევარი. ხელმწიფე მოეგზავნის სოლოძონ ბრძენის ვეზირს მოციქულებს და სთხოვს ცოლად ქალს. ქალი გადაბრით უარს ეუბნება: ხელმწიფეს არ გაეყვებიო. ვეზირი აცნობებს ხელმწიფეს ამ ამბავს და „ერთს ქალაქს ამ სიტყვის საუბატიოდ“ შეაძლევს...

(ამ ადგილს წყდება ტექსტი. როგორც ჩანს, აქ საგრძნობლად დიდი ნაწილი უნდა აკლდეს ამბავს).

45 r-დან საკუთარად რახმა შას თავნაკლული ამბავი იწყება: „...ამბავი ვიცით და ან მეფისა მარხუმან როგორ იშოვნა, ყველა უამბო და იმა არეულობაში ვიკითხეთ ურიზად რა იქნაო? მითხრეს: ამ წყეულმა ბებერმა ბუღრმა ჩასცა და ზღვა აიყვანაო. რახმაშამ რომ ეს გაიგონა, დიდად შეწუხდა და თქვა: თუ მე ამას გავიგონებდი, ნეტავი ზღვიდამ ცოცხალი არ გამოესულიყავო. იყვნენ ამ კუნძულში და ხალის გამით ცოვრობდენ“. (45 r.) რახმაშა, რომელსაც ამ კუნძულზე ვიღაც ძიძა აბლავს, ჩაჯდება ხომალდში და ხმელეთს მიადგება. აქ ის წაწყდება „ადამიანის ხორცის მჭამელთა“ ქვეყანას, სადაც ძიძას დაუყოვნებლივ შესწამენ, ხოლო რახმა შას დატუსრებენ გასაჭმებს თავიანთი ხელმწიფისათვის მისართმევად. სამი დღის ორომში ჯდომის შემდეგ მეფის შვილს სამხარეულოში შეიყვანენ დასაკლავად (ამ ადგილის ტექსტი ისევ წყდება. 45 v—).

როგორც მოთხრობის შემდგომი მსვლეულობიდან გამოირკვევა, რახმა შას დაიბინის გინმე სეიდი, რომელიც თან გაჰყვება მას. ხოლო სეიდის ცოლი დილიშადი დარჩება [კაცის მჭამელთა სამფლობელოში?].

შემდგომ რახმა შასა და სეიდს ვხედავთ დიდვაჭართან (46 r). რახმა შა გააცნობს მას თავს, როგორც დიდვაჭრის შვილი. მაგრამ რახმა შას გარეგნობა და ზრდილობა ამჟღავნებს მის მეფურ ჩამოშვილობას. ერთმა შა აღარ დამალვას, რომ ის ერანის მფლობელის შვილია და დიდვაჭარი მოწიწებით მასპინძლობს მას. აქ ისევ წყდება ამბავი (46 v.). 47 r-ს ტექსტი იწყება რახმა შას ბრძოლის სცენით. ის ამარცხებს მარხუმანს, გააგდებინებს მას თავს და შევა ქალაქში, სადაც მისი სატრფო ურიზაცა, სენაჯში დამწყვდეული. გლეხებს და ელოდება მას. მიჯნურები ბედნიერი არიან. ხოლო ვილაც „უნამუსო დედაკაცს“ ცხენის ძუაზე გამოპმით სიცდილით დასჯიან. რახმა შას სიკვდილისაგან მხსნელი სეიდ დარდობს თავისი ცოლის—დილიშადის დაშორებას. ურიზადის დავალებით გაგზავნილი ბერი შათირი მოუყვებინს და მოუყვანს სეიდს ცოლს. რახმა შა, ურიზად, სეიდ და „ხატაველთ მეფე“ [?] მიემგზავრებიან ერანს, სადაც ბედნიერი მშობლები სიხარულით მიიღებენ დაკარგულ შვილს და დიდ ქორწილს გადაუხდიან.

1056

.ლოცვანი და საგალობელნი“[მე-19 ს.]

91 ფ.; 16,5×10,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა (დაზიანებული, თავ-ბოლო ნაკლული); მხედრული; მე-19 ს.; ვეფხისშინი: 1830 (16, 57, 80 ფფ.).

„(ლითანიისა.)—ა. ანჯელუს დომინი ნუნჩიავით მარიე: ე. ეთ ქონჩეპით დე სპირითუ სანქთო: მ. ორაციო მარია მათერ გრაცია...“ 1 r—91 v.

წ ყ დ ე ბ ა: „გლორია პათრი...“ სალვე...ზემორ (სავარდის დღეობას ეს ზემორე.) (ენკენისთვის. იდ ჯვართა-ამაღლება: იძიე: სგ.) (.ენკე)...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტების უდიდესი ნაწილი—ლათინურია, ქართული ტრანსკრიპციით.

2. ყოველი ლოცვის თავში, რგვალ ფრჩხილებში—შენიშვნები ქართულად: „(.ლათინისა)“, „(.წა სამების შაბათიდამ იოქმის ქვემო წერილი: ერის მოსელის პირველ კვირიაკის შაბათადმდე)“, „(.შობის წინ იოქმის ზემო ანჯელუს; და შობის შემდგომად პოსთ. ქვემორე;)“ და სხვ.

3. ზოგან ლოცვებისა და, განსაკუთრებით, ფსალმუნების ტექსტები ქართულადაც გვხვდება, მაგ.—„(.ქრისტეშობას და აბალწულიწად).—

ქრისტე შობილ არს ბეთლეემს
მუნ გიხაროდენ იერუსალემს...“

(9 სტრიქონად) და იქვე, ქვემოთ: „(.ლათინურად იგივე).—ბეერ ნათჳს ინ ბეთლეემ...“ 54 v.

1057

ჟამნი [მე-18—19 ს.]

129 ფ.; 15×10; ქაღალდი; ქაღალდის (სომხური ნაბეჭდი წიგნის შეწებილი ფფ.-ის) ყდა; დაწლილი, თავ-ბოლოსაკლული; მხედრული; [მე-18—19 ს.].

„...[კ]ვირესა: მწუხრი. აქა აკურთხევდით უფალსა ყოველნი მონანი უფლისანი, რომელნი სდგათ სახლსა უფლისასა, ეზოთა სახლისა ღმისა ჩვენისათა. ორშაბათსა: უფალსა შე[ე]სმინ ჩემი ღაღადებასა ჩემსა მისსა მიმართ. ხადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერცა [!] სიმართლისა ჩემისასა. სამშაბათსა: წყალობა შენი, უფალო, თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩვენისათა...“ 1 r—129 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ღმერთო, მიწყალენ ჩვენ, ქრისთე [!], ნათელო, ჴეშმარიტო, რომელი განანათლებ და წმინდა ყოფ ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, გამოაჩინე ჩვენდა ნათელი პირისა შენისა, რათა ამათ შინა ვიხილოთ ჩვენ ნათელი მიუწდომელი და წარმართენ სულთანი ჩემნი ქებად მცნებათა შენთა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღმისა მშობელისათა და ყოველთა წმინდათა შენთათა. ამინ : ზეშთა ბრძო...“

შენიშვნა: კვირის დღეების მიხედვით დალაგებულს მასალას (1 r—18 v) მისდევს ა: „ჟამნი სამკამისა. მეუფეო ზეცათაო.—იმინე, უფალო სიმართლისა ჩემისა...“ 19 r—45 v. ბ. „წმიდათა დიდთა მარხვათა [იბაკონი].—რომელმან დაფარა სიღრმესა მდებარე ესე, დღეს დაფარეს ქვეყანასა ზედა...“ 46 r—96 v. გ. „ჟამნი მწუხრისა.—წმინდაო ღმერთო, მამაო ჩვენო, მოვედით თაყვანისცეთ [!]. სამგზის...“ 97 r—110 r. დ. „ჟამნი [ძ(ll)]—დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო. სასო[ო] ჩვენო, წმინდაო, დიდება შენდა: მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო...“ 110 v—129 v.

1058

დასდებელნი აღდგომისანი [მე-19 ს.]

50 ფ.; 16,5×10,5; ლურჯი ქაღალდი; შეწებილი ქაღალდის ყდა; მხედრული (სათაური-ბი სინგურით); [მე-19 ს.], ჰვირნიშანი: 1808 (17—18 ფფ.).

„დასდებელი აღდგომისა. რვა ჴმათა. ჴმა: ა:.—სამწუხრონი ლოცვანი ჩ~ნნი შეიწირენ, წმიდაო უფალო, და მოგებადღე ჩ~ნ მოტევება ცოდვათა...“ 1 r—50 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ხელნაწერში წარმოდგენილია აღდგომის დასდებელთა რეა ხმა (სრულად). აქ გვაქვს შემდეგი საგალობლები: ა. დასდებელნი, ბ. ოხითა, გ. წარდგომა, დ. აღსავალი, ე. კანონი აღდგომისა (9 „გალობა“), ვ. სძლას-პირნი.

ანდერძი: (გადამწერისა) „ეს მეორე ჴმის ოხითა თავის რიცხვში დამრჩა და აქ დავწერე“. 14 რ.

1059

სახარება იოანესი. თავი 1 [მე-19 ს.]

ორმოცად დაკეცილი 1 ფ.: გაშლილი ფ. 34×27; ნაკეცი 5,5×5,5; ქაღალდი; უყდო; ნუსხური; [მე-19 ს.], ჭერონიშანი: 18...; გადამწერი: პეტრე ტაბლიეი.

„სახარება იოვანესი. თავი ა.—პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღ[ისა თანა და ღ[ი იყო სიტყუა იგი. ესე იყო პირველითგან ღ[ისა თანა...“

შენიშვნა: 1. სახარების ტექსტი მოთავსებულია გაშლილი ფურცლის შიგნით არეზე, 20 „ნაკეც“ გვერდზე. ტექსტს ირგვლივ შემოვლებული აქვს ფერადებით ნაწერი 20 მინიატურა (მიქელ მთავარანგელოზი, ღვთისმშობელი, ქრისტე, იოანე ნათლისმცემელი, წმინდანები და მოციქულები).
2. ხელნაწერი თავისი გარეგნული გაფორმებით წარმოადგენს „აეგაროზს“ (ამყარეთ).

ანდერძი (გადამწერის პეტრე ტაბლიეისა): „დასრულდა, მადლითა მღთისასთა წერილ არს პეტრე ტაბლიეისთა და შემწეობა არა მჭონდა სხვისათა“.

1060

იოანე ოქროპირი. სალმრთო წირვა [მე-15—16 ს.]

4 კეფი (გრაგნილად); 220×19,5; ეტრატი; დახიანებული (პირველი კეფის ზედა ნაწილი მოხეულია; ტექსტის თავი, ბოლო და ზოგიერთი სხვა ადგილიც გადასულია და არ იკითხება); თავბოლონაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-15—16 ს.].

იოანე ოქროპირი. საღმრთო წირვა» ...„და კაცთმოყვარება მიუთხრობელ, შენ, უფალო, მოწყალებითა შენითა მოიხილე ჩ[ნ ზედა...“ 1 რ—ვ. (შდრ. ვახტანგის სტამბის კონდაკი. ტფილისი. 1710. გვ. ოზ—რვ).

წყდება: „დ[ნ: თავნი ჩ[ნნი უფალსა მოუდრიკნეთ. მ[ღნ. ლოცვაჲ გმადლობ[თ] შენ, მ[ფო“.

1061

ლოცვანი [1742 წ.]

245 ფ.; 9×5,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა, ტყავ-გადაკრული, ტკიფრული; (ფფ. დახიანებული); ნუსხური (სათაურები სინგურით, ჩართული მრგვლოვანით); 1742 (244 v); გადამწერი: მთავარდიაკონი **ნიკოლოზ**; ყოველი გვერდის ტექსტი დაწერილია ოთხკუთხედ, მხატვრულად გაფორმებულ ჩარჩოში (ფერადებით ნაბახი ჩარჩოები თითქმის ყოველგან შემოხეულია); ფერადებით ნაწერი თავკახმულობანი: 2 რ, 50 რ, 58 რ, 80 რ, 88 რ, 214 რ, 227 რ; ფერადებით ნახატი ჩვილდიდი ღვთისმშობელი [ჩაწებებული?] 213 v; ბოლოკახმულობა: 216 რ, 244 v. შემოწირულია ოლღა დავითის ასულის ჩიჯავაძისაგან 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლოცვანი შუაღამისანი, თქმულნი იოსებ გამომტყუ[ც]ლისა მიერ. —ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩ~ნ. წმიდაო ღმერთო, მამაო:. კ~ნი: **იბ**.—მოვიდით თაყ~ნისვცეთ: გ~:. ოჳფალი ნათელი ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდის. ოჳფალი შესაეძლებელ არს ცხორებისა ჩემისა...“ 2r—244v.

შენიშვნა: 1. ტექსტის შედგენილობა: ა. „ლოცვანი შუაღამისანი“. თქმულნი—იოსებ გამომტყ~ლისა, მარკოზ მონაზონისა, დიდისა ბასილისა, ბასილი კესარიელისა. 1r—49v. ბ. ლოცვები დაცემისა: „უკეთუ მღ[ვ]დელსა დაცემა შეემთხჳოს ძილსა შინა“ და სხ.: მარკოზ მონაზონისა, დიდისა ბასილისა, იოანე ოქროპირისა. 50r—57v (დართული აქვს ტროპარი). გ. „იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ჴმიდებიან“: ლოცვანი—ფილოთეოს კოსტანტინოპოლელისა, იოანე დამასკელისა, მარკოზისა, 58r—79v. დ. „წესი და განგება წმიდისა ზიარების ლოცვისა“. 80r—87v. ე. „ლოცვა წმიდისა ზიარებისა“, თქმული იოანე ოქროპირისა, ს[ვ]ე[მ]ნ მეტაფრასისა, იოანე დამასკელისა, დიდისა ბასილისა, ს[ვ]მ~ნ ახლისა ღ~ისმეტყ~ველისა, კჳრილე ალექსანდრიელისა. 88r—111v. ვ. ლოცვანი „ბორკ~თა გულის სიტყვათათჳს“. ავტორი ერთის ლოცვისა: იოანე დამასკელი. 112r—212r. ზ. ...პარაკლისი, საეფრემელი ყოვლად წმიდისა ღ~ისმშობელისა მიმართ“. 214r—226v. ი. „პარაკლისი, საეფრემელი წმიდისა იოანე ნათლისმცემლისა მიმართ“ 227r—233v. თ. [გალობანი ყოჳელთა წმიდათანი იოანე პეტრიწისა, კ. კრკნელიძე, ჭარშ. ლიტ. I, 264]. —თჳსა სეკდემბერსა აქჳს დღე: ლ. დღეთა აქჳს ქამი **იბ**, და ღამეთა ქამი: **იბ**... ა. ღირსი სჳმეონ. ბ. მამა. გ. ანთიმო. დ~. ბაბილა. ე. ზაქარიაჲ...“ 234r—244r.

2. „ჭრილტეს აქეთი“ 1742 წ.—და ქრონიკონის—431—თარიღები ერთმანეთს არ ემთხჳევა: 1742=431+1312=1743 (244 v).

ანდერძი (გადაწერისა): 1 „ვმეწაკობ ნიკოლოზ [კალიგრაფიული მრგვლოვანით, ჩართულად, მონოგრამულად], (ო)დეს ჩ~ოთხეიდეთ, მიცა მცირედ მახსენეთ, მწერალი და მჩხებაკაი [!] ამისი, უფალნო! [მხედრულად, სინგურით]“. 79v—80r.

2. „ნიკოლოზ ეწერ“[კალიგრაფიულად, მრგვლოვანით, მონოგრამულად]. 111v.

3. „დედოფალო ყოველთა დამბადებელისაო! ოდეს განიკითხჳდეს ძე შენი ყოველთა ადამიერთა, მაშინ შემიწყალე მწერალი წიგნისა ამის მთავარდიაკონი ნიკოლოზ. ქრისტეს აქეთ: **ჩლვ**ჱ: კ~კ: **ოქა**:“ 244v.

4. „ნიკოლოზ აღწერე“ [კალიგრაფიულად, მრგვლოვანით, ჩართულად, მონოგრამულად]. 245r.

1062

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი [მე-19 ს.]

39 ფ; 31,8×22; ქაღალდი: უყდრო. დაშლილი, დაზიანული (1-2, 8, 14, 38, 40 ფფ.): თავბოლო-ნაკლული; მხედრული; მე-19 ს.; დაუწერელია: 28 v, 29 r. შემოწირულია ეკლესია იფლონის ასულის წულუკიძისაგან 1913 წ.

„...სამეისთოვის სხვა რიგი ჴკუის მყოფელი, უქრთამო, მართლის მთქმელი, სამართალზედ ცნობილი იასაული ჰყვანდეს და ის გაგზავნოს...“ 1r—36r.

ბოლო: „...თუ სხვისი ქვეყნის კაცმან ერთმან მეორისაგან ვალი აიღოს.. ამას წიგნი კი მისცას და მასუკან სწორედ შეიტყოს და რაზანც [!] გამოერთმეოდეს, როგორც სარგებლით გამო გამორთმეოდეს, იმრიგადვე შეუბრუნონ“.

შენიშვნა: დართული აქვს „საძიებელი წიგნისა ამის“, რომელიც **წყდება ხია** მუხლზე. 36r—39v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1063

ვახუშტი. ისტორია საქართველოჲსა [მე 19 ს.]

519 გვ: 33×21,5; ქაღალდი (ლურჯი): ტყავგადაკრული ტიხ ყდა, ტვიფრული (მოცილებული); მხედრული (სათაურები და სქოლიონი სინგურით); მე-19 ს., ჭერნიშანი 1817—1818; დაუწერელია: 500—502 გვ. ამოჭრილია ფფ. 508—509, 512—513 გვ. შუა.

„ტომობა და შთამომავლობა ქართჳსლთა ნოეს ძისა იაფეთისა თესლისაგან ვიდრე ქართლისისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა.—აწ ზნეთათვის ეიწყოთ ძჳსლდამ ახლადმდე საქართჳსლოჲსათა...“

1—487 გვ.

შენიშვნა: 1. საქართველოს ისტორიის ტექსტში ჩართულია: ა. „აღწერა სამეფოჲსა საქართჳსლოჲსა„ 12—16 გვ. ბ. „აღწერა აწინდელისა ქართლისა.“ (161—204 გვ.). გ. „აღწერა წყრეთისა, კახეთისა და კჳწეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“. (284—310 გვ.). დ. „აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“. (324—366 გვ.). ე. „აღწერა სახინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსთა“ (366—383 გვ.). ვ. „აღწერა ეგრისის ქუჱყანისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ (412—436 გვ.).

2. ტექსტს დართული ჰქვს: ა. „ქორონიკონები, ჩრ მიერ პაუნილნი წიგნებთა შინა...“ 1201—1753 წწ. (488—499 გვ.). ბ. ცხრა სინქრონისტული ტაბულა (5 ფურცელზე, ზომით 32×42) მსოფლიო ისტორიისა (საქართველოს ჩათვლით)—უმთავრესად, მეფეთა, პაპთა, კათალიკოს ეპისკოპოსთა და სხვ. ნუსხები. 503—512 გვ. გ. „სომხითის სოფლები ქრისტიანითა და თათრისაბა ალაღაჲკიობა.—ჴოყორნის ჴეობა, ჴოყორნი. 2. ბელთქაშენი. 3. ტეფური. 4. წოფა. 5. ახტალა...“ (513—518 გვ.)—შეიცავს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების ნუსხას.

მინაწერები: 1 ყდის საცავი ფურცლის ქ-ზე და 519 გვ.

1064

კრებული [1669 წ.]

107 ფ.; 27×19,5; ქაღალდი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, დაზიანებული (საწახეჳროდ მოცილებული), 94—107 ფფ. ამოვარდნილი; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1669 წ. (84 ქ): დამკვეთი: დედოფალი ელენე (84 ქ); დაწერილია: 84 ვ—85 ვ. ნაწილია 1913 წ.

1. „წმიდისა დი ნეტარისა მამისა ჩუენისა მოციქულთა სწორისა ანდრია სალოსად წოდებულისა და მოწაფისა მისისა ღირსისა მართლისა დიდისა კოსტანტინეპოლელ პატრიაქისა ეპიფანესა კითხვა დასაბამიდგან დასასრულამდე ეპიფანესაგან მოციქულისა ანდრიას მიერ.—მეფობასა ქრისტჱს მოყ ვრისა დიდისა ლეონისა, იყო კაცი ვინმე წარჩინებული ქალაქსა შინა კოსტანტინოპოლესა, სახელით თეოლოსტოს...“ 1 ვ—79 ვ.

შენიშვნა: ანდრია სალოსის ცხოვრების ანდერძი მოთავსებულია 79 ვ-ზე: „ამა წიგნსა ეწოდების (ბ)ერძულად აპოკრიფ(ა), რომელ არს მოძღრ თა ხოლო კითხვაჲ და არა ყოვლისა ერისა სა(ა)ნჯნო ყოველად უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითა სჯულის კანონი“. 79 ვ.

2. „თქმული ე ფ რ ე მ ი ს. თარგმანებაჲ დაბადებისათჳს ცისა და ქ ყანისა და (ად)მისთჳს და ვითარ იგი მის ცელეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცვალებაჲ ნათჱს(აე)თა და ვითარ ეპოეთ ნათესაებაი ქრისტჱს ჴორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავისასა ადამისთჳს, მამისა ყოველთასა, ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღ~თისა ჩ~ნისა. ბ~ლ თაოგმნა წ~ნ ეფრემ.—იყო დღესა პირველსა, თავი რომელ არს ყოველთა დღეთა, რაჟამს დაბადა ღმერთმან ცაჲ და ქჳყანა და ყოველი ძალი ცათა, დღე და ღამე, ქარი იძრვისი..." 79 v—84 r.

თ ა ვ დ ე ბ ა: „ხოლო ადამ და ევა მწუხარებით იგლოვდეს აბელ მართლისათჳს ასსა წელსა"..შეად. მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება", გამოც. ე. თაყაიშვილისა, გვ. 786 და შემდეგ.

3. „მისივე [!] წმიდისა მამისა ჩ~ნისა ბ ა ს ი ლ ი ს თქმული დაწყებისათჳს იოანეს სახარებისა, ვითარმედ პირველითგან იყო სიტყუაჲ. მამაო გ~კურთხენ.—ყოველნივე იგი სიტყუანი ოთხთა მათ სახარებათანი უზჱშეს არიან სახეთა მათ ყოველთა სწავლათა სულისთა..." 86 r—90 r.

4. „თქმული წმიდისა მამისა ჩ~ნისა ბ ა ს ი ლ ი ს სულის წმიდისათჳს. მაბაო გ~კურთხენ.—რომელი ნათელს იღებდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, ნათელ-იღებს სახელითა მამისათაჲ და ძისათა და სულისა წმიდისათა. არცა მთავრობ~თა მიმართ, არცა ძალთა, არცა სჱთა დაბადებულთა..." 90 r—95 v.

5. „წმიდისა და[!] მამისა ჩ~ნისა ბ ა ს ი ლ ი მთავარეპისკოპოსისა კ ე ს ა რ ი ა კ ა ბ ა დ ო კ ე ლ ი ს ა. შესხმა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთა. მამაო გ~კურთხენ.—მარტჳლო ჳსენებითა ოდესმცა იქმნა განძღომა მოყუარისა მათისა, რამეთუ საკუთართა მათ და საყ~რელთაჲ მონათა მათ მეფისათა პატივი სხ~თა მათ და უდარესთა მონათა სასწაული არს მათისა უფლისაჲ მიმართ..." 95v—101v.

6. „თქმული წმიდისა ბ ა ს ი ლ ი ს მემთრვალეობისათჳს, რომელ თქუა შემდგომად აღესებისა, დღითა ერთითა, მამაო, გ~კურთხენ.—აღმძერენ მე სიტყუად საქმენი იგი მწუხარისა[!] ამის გარდასრულისანი, ხოლო კ~დ დააყენებს აღძრვასა ჩემსა პირველთა მათ შრომათა უსაყოფობაჲ..." 101 v—107 v.

მინაწერები: 35 r, 64 r, 107 v (ლეწსი).

ამბერძი (ჯადამწერისა): 1. „დიდებაჲ ღმერთსაჲ, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. დაიწერაჲ წმიდაჲ ესე წიგნი ანდრია სალოსი საკითხავი, ბრძანებითა დედოფლისა პატრონისა ელენესითა. აჳმარეს ღმერთმან დღეთა სიგრძესა და ჭამთა სიმრჭღესა შინა და დაუმოძრძილეს მას მტერნი და მბრძოლნი მისნი. და საუკუნო ყოს ღმერთმან ცხოვრებაჲ და კურთხეჳა მისი. დაიწერა და სრულ იქმნა თჳსა ნოემბრისა დღესა ხუთშაბათსა, ჟამსა თ. ქრონიკონსა ტნზ". 84 r.

2. „ზამთარი იყო. მეულანი—ფუტრული, ქაღალდი..... წყევას ნუ იტყ(ჳ)თ ღ~ისთ~ს" 86 r ზემო არშიაზე.

1065

ნეოფისტო. [დაფარული საიდუმლონი] [მე-19 ს.]

15 ფ.; 37×23,5; ქაღალდი; უყდო (აკინძული); მხედრული; [მე-19 ს.]; დაუწერელია: 2 v, 15 rv.

„სულო წმიდაო, შემეწიე მე. დაფარული საიდუმლონი აწ განცხადებიან. თავი პირველი. სისხლისათჳს ქრისტიანთა, რომელსა ზედაცა ჩუენ არიან გვარ-

ნი ჭურიათა მიღებად, და თუ რაჲსა იქმონენ მასთანა. ანუ თუ რაჲსა მოიქმედებენ მით, მოწყობათა წმიდა წერილთათა ცხად ვჰყოფ.—მრავალთა მრავალი გვარი სიტყვანი აქვთ დაწერილ გვართა ჴედა ურიათა. მრავალთაცა ქებმარიტის მოწმობითა წმიდათა და ღვთიურთა წერილთაგან, უმეტესად მოსესისათვის მესიისა, რომელ არს იესო ქრისტე, ძე მარიამისა და უხრწნელისა ქალწულისაჲ.“ 3 r—14 v.

შენიშვნა: 1. წამძღვარებული აქვს „წინასიტყვაობა მთხზველისაგან [ნეოფიტესი]. —კურთხეულ არს მამა, ძე და სული წმიდა, ჰეშმარიტი ერთი ღმერთება, რომელსა ჰნებავს, რამეთუ ყოველი კაცი სცხოვნდეს, და ეუწყებასა შინა ჰეშმარიტებისასა მოვიდეს, ვითარცა დასაბამიდგან სოფლისა ქნეყანა იყო უსიცავი, ბნელითა დახშული და ბრძანებითა ღმრთისათა იქმნა ნათელი, რომელსაცა უბრძანა გამობრწყინება დღისითა. აწცა მე უღირსი, რომელიცა ვიდრემე ოცდაათერამეტს წლამდე ჰასაკისა ჩემისა მყოფი ეგვიპტარსა დაბნელსა და ბნელსა გონებასა შინა ჴედერის სულითა და ვიყავ ცდომილებასა შინა გვართადცი ჰჯრიათა...“ 1 r—2 r. წინასიტყვაობის ავტორი აცხადებს: „ეუწრანარეს ვიყავ მასწავლებელი გვართა ურიათა, ხოლო აწ... ვარ წერილ მაღვიარებელ და მართლმადიდებელი ქრისტიანე“-ო (2 r).

2. თხზულების შედგენილობა: „თავი პირველი. სისხლისათვის ქრისტიანეთა“; [თავი მეორე.—] „გრძნეულებათათვის“; [თავი მესამე].—„იქნეულებათათვის“; ხოლო მეოთხე თავისათვის „მთარგმნელის შენიშნებიდან“ გავიგებთ, რომ ის წარმოადგენდა „სამების დამტკიცებას“ და მთარგმნელს არ უთარგმნია [ქართულად]. (13 v).

3. [„დაფარული საიდუმლონი“] სომხურიდან ნათარგმნი ჩანს: ქართულ ტექსტში ჩართულია სომხური ციტატები.

1066

ომაინიანი [1825 წ.]

75 ფ.; 30,5×20; ქაღალდი (სხვადასხვა ფერის); ჟანგო. დაშლილი, დაფურცლილი (1, 63, 64, 69, 70 ფფ.), 63 ფ. დაბეჭდილი; მხედრული (სათარგმნი სინგურით); 1825 წ. (75 r); გადამწერი „აარონ“. 75 r. დაწერილია: 75 v.

„სხუა ამისაჲ დასაწყისი ტარიელის შვილის სარიდანის ძის ომაინ ჭაბუკის ცხოვრებაზედ მოაბამს ამა ამბავსა ეფუხის ტყაოსანისასა; ამბისა დასაწყისი, რომელი მიერიდგან მოიღოს სიტყუამან.—

დიდება შენდა, დიდება, ღმერთო ყოველსა მპყრობელო.
ჩვენ უღირსთაგან უკნობო, ენითა მიუთხრობელო.
ცათა და ცისა მთანაბთა საკვირველ მაბრუნებელო.
და ქუჱყნისა, ქართა, ჰაერთა და ზღუათა შემძრწუნებელო...“
1r—75r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს გ. ჯაკობიის მიერ გამოქვეყნებულის „ომაინიანის“ ტექსტს.

2. ჩვენი ხელნაწერის მოკლე აღწერილობას იძლევა გ. ჯაკობია: 1937 წ. გამოცემის წინასიტყვაობის („ტექსტისათვის“) XII—XIII გვ.—ხელნაწერი K. (ომაინიანი. ტფ. 1937).

ანდერძი (გადამწერისა): „გასრულდა წიგნი ესე სარიდან ჴელმწიფისა და მისის ძის ომაინ ჭაბუკისა. ქება და დიდება მაღალთა შინა ღმერთსა. მაცხოვნებელნი და მწყალობელი ამისი უფალთან აცოცხლოს. აცხოვნოს მეუღლე, ძე და ასული და თვისტომნი უცოცხლე დღეთა სიგრძითა, შვილთა სიმრავლითა, სენთა და მტერთა მოშორვებითა, ამინ. აღიწერა აპრილის ი (ჰაარონ) (წელსა ჩყკე)“ 75 r.

1067

ქართლის ცხოვრება (ნაწყვ.) [მე-17—18 ს.]

2 ფ.; 29×20,5; ქაღალდი; უყდო (დალაბული): მხედრული [მე-17—18 ს.]

„(ნუგეშინის ცხმა. დაღათუ ესუა სხუა ძე კეთილად მოვსენებული, ახოვანი, მკნე და ქველი დიმიტრი, რომელი შემდგომად მისსა მეფე იქმნა. ხოლო ამან რა დაასრულა ცხორება, იგლოვა ყოველთან სამეფომან და დამარხეს მცხეთას სამარხოსა მეფეთასა. ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა ცოლისა მისისა...“ 1 r—2 v.

წყდება: „და უკეთუ მე ჩემებით რასმე ვიტყვი და ვიტყვით [!], ვითარცა ცრუ წინასწარმეტყველი, შემაცთუნებელი კაცისა, ღ~თისა, რომელი მოივლინა იერობომისსა მისა [!] ნაბატისსა და არა ყ~დ წ~ისა ღ~თის მშობელისა გამოცხადებითა. უწყოდი, მეფეო, რამეთუ ყოველად წ~ისა ღ~თისმშობელისა მიერ მოვლინებულ ვარ სწაელად შენდა, რათა არა ცუდ იქმნენ ქველისმოქმედებანი შენნი და გლახაკთ-მოწყალებანი, ამისთანა ლოცვა და ცრემლნი შენნი და არა განე...“

შენიშვნა: 1. ტექსტი, მცირეოდენი ვარიაციული განსხვავებით, უდგება „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის (სანკტპეტერბურღს, 1849) ბროსეს მიერ გამოცემულს ნაბეჭდ ტექსტს (გვ. 409—419).

2. ყოველი სიტყვის შემდეგ ტექსტში სამწერტილი:.—

3. ასო ნ-ს დამწერლობა და ზოგიერთი ასოების გადაბმის მანერა ვეყრდნობინებს, რომ ტექსტი ვახტანგ VI ადრინდელი—XVII ს-სა—შეიძლება იყოს.

4. 1 r. მარჯვენა არშიაზე, ე. თაყაიშვილის ხელით, მელნით, ასწერია: „ნაწყვეტი ქართლის ცხოვრებისა. შეადარე ბროსეს გამოცემა, ტ. I. გვ. 409—419. ტორე დელ-გრეკოს წიგნთსაცავიდან. ე. თ.“.

5. კონვერტზე—იგივე მინაწერი: „Torre del Greco. ნეაპოლის ახლოს“.

6. კონვერტზე ი. სონლულაშვილის ხელით: „თამარაშვილის ბიბლიოთეკიდან“.

1068

მხითარ სევასტელი რიტორიკა—[1764 წ.]

153 ფ.; 15,5×10,5; ქაღალდი, ტყავ-გადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული (სათურები ასომთავრულით—სინგურით 7 r); 1764 წ. (1 r); დაუწერელია 150 r; შემოწერილია პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილისაგან 1913 წ.

„თჳს ჴელოვნებისა სარიტოროჲსა (ესე იგი სამჴევრმეთქოჲსა: წიგნი: ა. თჳს საზღურისა სამჴევრ-მეთქუოჲსა და წუხელებისა ნაწილთა მისთჳსა. თავი ა. მჴევრ-მეთქუოსა, რომელიცა ითქმის რიტორებად, არს ჴელოვნება საკეთილ-მეთქუო. ითქმის ჴელოვნებად, რომლითა ეზიარების სხუათა ყოველთა ჴელოვნებათა. ითქმის საკეთილ-მეთქუოდ, რომლითა სხჳთაობს სხჳთაგან ყოველთა ჴელოვნებათაგან...“ 7 r—149 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. თავფურცელი „მხითარ ყოველად ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელის ქმნილი რიტორიჲა წიგნი, სარგებლად ყრმათა სხოლის შინათა. ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებით შრომილი ანტონის მიერ

არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართველოსა, დავითიან ბაგრატოვანისა. დროსა უკეთილ-ბსაზრესისა, ყოვლად უბრწყინვალესისა და უმაღლესისა მეფისა ირაკლი მეორისა, ყოვლისა საქართველოსასა. მამათმთავრობასა ანტონისსა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7272, ჴორეთელად შობითგან სიტყჳსა ღ'სა 1764. თთჳსსა მეცხრესა, რიცხჳსა 10ა. 1 r. ბ. „წინასიტყუაობა. ეპისკოპოზი, მიწერილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა საქართველოსა, დავითიან ბაგრატოვანისა ირაკლის მიმართ მეფობისა, ძმისა თჳსისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა. დავითიან ბაგრატოვანისა: ირაკლი დავითიან ბაგრატოვანსა, ყოველად ბრწყინვალესსა მეფესა ყოვლისა საქართველოსასა, მის მეფობის სიმაღლეს, ჩემს ყოვლად სატრფიალოს ძმასა...“ (ანტონის „ეპისტოლეს“ ტექსტი ნ. „აღწერილობის“ I ტ. 256; გვ. 183—184).

2. „რიტორიკის“ ტექსტს დართული აქვს „პინაქს-სიტყუაობა სარიტორობისა ჴელოვნებისა“. 150 v—153 v.

3. მთელ ხელნაწერში თანამიმდევრობით გატარებულია ანტონ I-ლის მართლწერის წესები. კერძოდ, მრავალ შემთხვევაში გამოყენებულია მის მიერ შემოღებული დამატებითი ასო „ჲ“.

4. ტექსტი დაწერილია ნშეიათა სილამაზის, კალიგრაფიულად სწორი, მხედრულით.

5. რიტორიკა წარმოდგენილია 5 „წიგნად“.

1069

საარტილერიო წიგნი [1722 წ.]

89 ფ.; 31,6×20,5; ქაღალდი: ტყაჭგადაკრული ხის ყდა, მეტად დაზიანებული: მხედრული (სათაურები სინგურით); 1722 წლამდე (80 r); მთარგმნელი: ბატონის შვილი ალექსანდრე [ერეკლე II-ის ძე] (76 r.); ადგილი: რუსეთი [მოსკოვი?] (80 r.); დაშვწერილია: 12 v, 77 r, 88 v, 89 v; ნაბაზები და ტაბულები: 3 v, 6 r, 7 rv, 8 v, 9 v, 10 r, 12 r, 14 r, 15 r, 17 v, 18 v, 20 r, 21 r, 22 rv, 25 r, 26 v, 27 rv, 30 r, 31 rv, 32 rv, 33 v, 34 rv, 36 rv, 44 v, 50 v, 51 v, 52 v, 54 rv, 55 r, 61 rv, 63 v, 64 r, 65 r, 67 v, 69 r, 70 r, 72 r, 76 v, 78 rv, 80 r, 87 r, 88 rv, 89 r; შემოწირულია გიორგი ესტატის ძე მეზობასისაგან 1913 წ.

„ა. მოთხრობა გოგირდისთჳის.—ეს გოგირდი, თუ კარგად ყუთელია[!] და წმინდა არის, რომ შუა გასტეხო, უნდა კარგად ბრწყინვიდეს, კარგი გოგირდი იქნება და თუ მოუჭირებული ლურჯი არის, რომ გასტეხო, კარგად არ ებრწყინება და მალე გატყდება, დაიფშვნიტება: ამით შეიტყოს, რომ წმინდა არის...“ 1 r—76 r.

შენიშვნა: 1. თარგმანის ტექსტში უმთავრესად მოცემულია პრაქტიკული ხასიათის დარიგება საარტილერიო ჭურვის დამზადებისათვის, ჭურვის ყოველი სახეობის დასაშვ. დებული შემადგენლობის („სოსტავი“) აწერილობა და თვით სატყორცნელთა აწერილობაც. მაგ., „მოთხრობა გოგირდისათვის“, „ნახშირისათვის, თუ როგორ შეამზადო“, „ნახშირისათვის თუ როგორ უნდა დასწვა, შესაქცევი და სხვათა საცეც ხლის ნივთობათვის“, „გვარჯილის გატეხისათვის“, „მოსაკიდებელის ფილთისათვის“, „ცეცხლის მოსაკიდებელ ბამბისათვის“, „პრაშორცია რაკეტის ყალიბისათვის“ და სხვ.

2. თარგმანში ჩართული ზოგიერთი ნახაზების წარწერები: „რაკეტის ყალიბი“, „დასაზვევი რაკეტისა“, „გასატენი რაკეტისა“, „რაკეტი“, „ბორბალი“, „რომელს ეწოდების საბლი“ (сабля—ხმალი), „საწყალო ფინდიზი“, „საწყალო რაკეტის ვედრა“, „საწყალო რაკეტი“, „საცეცხლო ფინდიზის ყალიბი“, „ცეცხლის მოსაკიდებელი ფინდიზი“, „ცეცხლის მოსაკიდებელი ქვა“, „გრანატი“, „საიერიშო გვირვინი“, „საიერიშო ხიბტი“, „შესაქცევი მერტირის ფინდიზი“ და სხვ.

3. ტაბულების ზოგიერთი წარწერა: „ეს ტაბლიცა არის ლოტის მაჩვენებელი, რომელიც გირვანქისგან გაყოფილი არის“, „ტაბლა ელექტრიონის“ (61 rv.) და სხვ.

4. ტექსტის ბოლოს დართულია „წამების გაკეთების“ (შედგენილობის) ნუსხები: „მოთხრობა წამების გაკეთება“—ზარბაზნის გაკეთების წესები და შედგენილობა: „ზარბაზანი რომ 1 გირვანქის რკინას ისროდეს, მაშინ ტყვია ¾ გირვანქის წონა წამალი..“ აქეთ, ქვემოთ—ნუს ა, თუ რამდენი წამალი უნდა 5, 6 და სხვ. გირვანქის მსროლელი ზარბაზნისათვის. 77 v—87 v.

5. თარგმანის ტექსტში ჩართული რუსიციზმები: „სოსტავი“, „ვედრა“, „საბლი“, „ჩეთვერი“ მოჭმობს, რომ თარგმნა სწორმოუბდა რუსული-უნიო მიშეელიებით.

6. ტექსტში ამოჭრილია დაწერილი ფფ.: 76—77 ფფ. შუა, 77—78—79, 83—84 ფ. 86—87 შუა.

მინაწერები: 76 v (ლექსი); 80 r, 89 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთ-კაცო და საკელ-საკვირველო იესო! დიდებისათვის სახელისა შენისა და(ა)მკვიდრენ სული საქართველოს მეფის ძის ბატონის შეილის ელექსანდრესი სასუფეველსა შენსა. ამინ. რომელმაც გარემოიღო წიგნი ესე ფრანგულისაგან ქართულად. რომელი არიდეს ყოფილიყო ჩვენსა ენასა ზედა და არცადაეთე ვისმე ასმოდა, არამცთ[!] მხოლველ ქმნილიყო ვინმე.“ 76 r.

თარიღი (ბათვის (მინაწერი, ტექსტის ხელით): „1722 წელსა, მ(ა)ისს 26, შაფათს საღამოს, ს(ა)თ ნახევარი დღე კიდევ იყო, რომ ხემწიფე ნიენს მობძანდა და შავიჯარენით.“ 80 r.

1070

სამართლის წიგნები [1751 წ.]

211 ფ.: 29,4×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფირული ხის ყდა; მხედრული; 1751 წ. (209 v); გადაწერი: სტეფანე (209 v); დამკვეთი: ერისთავი როსტომ (209 v); შემოწირულია სვიმონ გიორგის ძე წერეთლისაგან 1914 წ.

1. «სამართალი მოსესი»: „დაბადება მოსესი. მცნება ღ-თისაგან. სამართალი მოსესი.—ა. თავ უყაე მამასა შენსა და ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რათა კეთილი გეყოს შენ ქვეყანასა ზედა...“ 41 v—47 v.

2. «სამართალი ბერძნისა»: „ღეონ ბრძნისა და კოსტანტინესი და სხვათა მეფეთა მიერ მართლმადიდებელთაგან თქმული და გაწესება წმჳლის კანონი სამართლისა მოსამართლეთათვის, რათა როდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არ განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოთცა.—რომ მოჴდეს და დადგეს კაცი მსაჯულად და სასამართლოდ კაცსა ზედა, და უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად საჴელის წოდება ამა წესითა[!] და რიგითა[!] ნუ განაგდებს...“ 48 r—85 v.

3. «სამართალი სომხისა»: „ესე წიგნი არს დიდისა სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გარდმოთარგმნილი და ეწოდების საჴელად წიგნი სამართლისა. თუ იკითხვეთ და შეტყობა გინდათ, თუ რომლისა წიგნისაგან შეგვეკრებია და ან შეგვკრიბეთ, პირველ ღ-თისა...“ 86 r—151 r.

4. «სამართალი კათალიკოზისა»: „სახელითა ღ-თისათა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან მალაქია და აფხაზეთის კ-ზ მამადმოვარმან ევდემონ დავსხედით და შემოვკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი...“ 152 r—153 v.

5. «დეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ»: „...ერისთავის სიკუდილი თუ ვის =შერასხდეს ღმერთი და დიდი გარღახდევინება დაემართოს და მოკლას ერისთავი, ვითა უმსგავსოა და უსაზომო შეცოდება, აგრეცე დამტეხული დიდი პატივი...“ 154 r—159 r.

6. «სამართალი აღბუღასი»: „შევიყარენით ჭოლთა, მინდობილნი ღ~თისანი და აწყუერისა ღ~თის მშობელისანი და გაქცევისა და დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩვენისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგივ აგერ სრულობით და უკლებელად დავსწერეთ...“ 160 r—175 v.

7. «სამართალი მეფის ვახტანგისა»: „ყოფისა, უმყოფისა, არსისა დაუარსისა დამაარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მქონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი ჴელთა მარჯალტთა შინა...“ 177 r—209 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: 1. მუხლობრივ-საგნობრივი საძიებლის ცხრილები: „სამართალნი მოსაპართლეთანი, თუ ვითარ უხმს სამართლის ქნა ან ჩვენსა როგორ უნდა და უწერდენ, აჴ ჯამცნებასთ...“ 1 r—39 v.

2. ვახტანგ VI-ს წინასიტყვაობა—„დასაბამითგანვე დამდებელმან საფუძველთამან ქვეყანისათამან და დამჭუველმან ცათამან, უფსკრულთა გამომკულეფელმან და სიცრცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არა არსთა არსებად მომყუანებელმან...“ 40 r—41 r.

ანდერძი (გადამწერისა): „დაიწერა წიგნი ესე ქ~ს **ულო**, ცოდვილის სტეფანეს ჴელითა. ქრისტეს აქეთ **ჩ~ღნა**“. 209 v, 153 v, 159 r.

[დამკვეთის] მოსახსენებელი: „კურთხეულმეცა არს ერისთავი როსტომ.“ 43 r, 44 r. 45r და სხვ. მრავალ ადგილას.

„ადიდოს ღმერთმან ერისთავი როსტომ და ძე მისი გიორგი და მეთოდე ორთაეკე ცხროვრებასა შინა“. 209 v.

მინაწერები: 82 r, 86 v, 99 v, 175 v, 176 v, 210 rv, 211 rv.

1071

ანტონ I. გრამატიკა [1815 წ.]

156 ფ.; 30×20; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მბეჭდური; 1815 წ. (152 r)> გადამწერი: იოანე მესხეულშვილი (152 r); „პეტრეზუსს“ (152 r); დაუწერელია: 57 v, 107 v; 153 r, 156 v; შემაწერილია გიორგი ივანეს ძე მესხეულშვილისაგან 1914 წ.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირველი, რომელსაც შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი, მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკასა მოწაფეთა ქმნილთა. თავი ა. ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1.—რაცხუასა შორის ჩუენ მიჴრ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 4 r—152 r.

შენიშვნა: 1. ზელნაწერის ტექსტი მისდევს 1885 წ. გამოცემის ტექსტს (ქართული ღრამმატიკა. შედგენილი ანტონ I-ის მიერ. თბილისი. 1885 წ.).

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამატიკასა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამატიკასთა, მიწერილი ა ნ ტ ო ნ ი ს მიერ არბიელისკოპოსისა ყოყლისა ზემოასა საქართველოსასა.“ 1 rv. ბ. „პინაკი ღრამმატიკისა“. 2 r—3 v.

მინაწერები: „ეს ღრამატიკა მე, პეტრე ქებაძემ, ვიყიდე კოსტანტინე ბატონის შვილისაგან". 152 r. და სხვ. 152 v.

ანდერძი (დედნისა):„დასასრული მესამისა ღრამმატიკის ნაწილისა მრავალ-ტკივილ-მოყუარებითა ა ნ ტ ო ნ ი, ყოვლისა ზემოსსა საჭართუკლოსსა არხიეპისკოპოსისა დავითონაწილაცა, რომელსა სუკუნო იყუნე კურთხევაჲ..." 152 r.

(გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე ღრამმატიკა ბრძანებითა უმაღლესისა ი მ ე რ ე თ თ ა [!] დ ე დ ო ფ ლ ი ს ა ა ნ ნ ა ს ი თ ა. ჴელითა საათაბაგოჲთგან მოსულისა მუსხილაშვილის იოანესითა. სამეუფესა ქალაქსა შინა პეტერბურს. წელსა 1815. აგვისტოს 23". 152 r.

1072

ანტონ I. გრამატიკა [მე-18 ს.]

195 ფ. 27,5×18,5; ქაღალდი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; [მე-18 ს.] ს.; დაუწერელია 1 r—4 v, 8 r-v, 190 r—195 v.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა: ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი, მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფეჲ-ქმნილთა: თავი პირუელი. ბრუნუათათჳს სახელთასა: § 1.—რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა..." 9 r—189 v.

შენიშვნა: ს. ხელნაწერის ტექსტი მისდევს 1885 წ. გამოცემის ტექსტს (ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. თბილისი. 1885).

2. ტექსტს წინ უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსათა, მიწერილი [!] ა ნ ტ ო ნ ს მიერ, არხი-ეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუკლოჲსა." (5 r—6 r). ბ. „პინაკსი ღრამმატიკისა". (6 r—7 v).

1073

ანტონ I. გრამატიკა [მე-18 ს.]

186 ფ.; 28×19; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; მხედრული; [მე-18 ს.]; გადამწერი: [იოანე (69 r)]; დაუწერელია: 1 v, 3 v. 6 r-v, 33 v, 34 r, 69 v, 70 v, 132 v. შემოწირულია ივანე პაპუღის ძის როსტომაშვილისაგან 1914 წ.

„თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი, მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფეჲ-ქმნილთა. თავი პირველი. ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1.—რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა..." 7 r—186 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს 1885 წლის გამოცემის ტექსტს (ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ. თბილისი 1885).

2 წინ უძღვის: ა. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსთა. მიწერილი [!] ანტონის მიერ არხი-ეპისკოპოსისა". 2 r—3 r. ბ. „პინაკსი ღრამმატიკისა. ნაწილი პირუელი" 4 r—5 v.

5. სჯ. სახ. მუზ. ხელნაწ. აღწერილობა, ტ. III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაწერები: I და II ყდის შიგნით, 1 ს.

ანდერძი (გადამწერისა): „დასასრული პირველისა ნაწილისა ღრამმატიკასა. [ქებითა] ცოდვილის იოანესითა". 69 ს.

1074

იოანე ოქროპირი. ოქროს წყარო [1796 წ.]

160 ფ.; 16×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1796 წ. (160 v); გადამწერი: იერომონაზი დიმიტრი (160 v); ადგილი: მრავალმთის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერი (160 v); შემოწირულია ივანე როსტომაშვილისაგან 1914 წ.

„წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ პატრიარხისა თქმულთაგან. ღუთივ შუწნიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროს წყაროჲ. სწავლა 1. წმიდათა წერილთა ჴელად მიღებისათჳს.—საყვარელო, იკითხვიდე რა სამღთოთა სიტყვათა, პირველად ეყვედრე ღმერთსა, რათა განგიხილნეს თვალნი გულისანი არა მხოლოდ კითხვად წარილისა, არამედ ყოფადცა, რათა არა ცუდად წმიდათა ცხოვრებასა და სიტყვათა აღმოიკითხვიდე..." 1 r—158 r.

შენიშვნა: 1. შდრ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 368.

2. „ოქროს წყარო" შედგება 33 თავისაგან, რომელნიც შეიცავენ 100 „სწავლას".

3. ტექსტს დართული აქვს: ა. „შესხმა და ვედრება წმიდისა მამისა. ჩ~ნისა იოანე ოქროპირისა: მი, ყოვლად საწადელო წმიდაო მამაო, იოანე ოქროპირო, ოქრო—სიტყუაო, ოქრო—მდინარეო, ოქროს-წყაროო, ოქროვანითა სწავლითა შენითა მოირწყუმულო ყოველისა სოფლისაო". (158 v). ბ. „ზანდუკი". 159 r-v. გ „შეჰედე ოქროს წყაროსა". 160 r. (იხ. აღწ. I, 211. § 2, შენიშ. გ).

4. იოანე ოქროპირის „ოქროს წყარო" გამოცემული პ. კარბელაშვილის წინასიტყვაობით (თბილისი 1905).

მინაწერები: I ყდის შიგნით და I საცავი ფურცლის r—v-ზე: „ენა-მწარე, ენა-ტკბილი".

ანდერძი: (გადამწერისა): „აღესწერე ღ~თივ სუღიერი ესე წიგნი მრავალ-მთის უდაბნოსა ნათლის-მცემლის მონასტერსა. თუ რამე ცთომა იხილოთ, მოტევებას ვითხოვ და შრომისა~ჲს ლღვება. ყოველად უღირსი იერომონახი დიმიტრი. გასრულდა. დიდება ღმერთსა, [შემოქმედსაჲ] ყოველთა არსთასა.. აპრილის დ, ჩრისტეს აქეთ ჩ~ღჳ, ჭრონიკონს უპ~". 160 v.

1075

ჟამნი [მე-17 ს.]

198 ფ.; 14,5×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); ბოლონაკლული; [მე-17 ს]; დაწერილია: 12 v, 46 v. შემოწირულია ბერმონახ~ნი~ათანასესაგან 1914 წ.

„ღ~თისაჲ მცირ აღდგე რაჲ ძილისაგან, გაქუნდეს პირსა შინა შენსა ლოცვაჲ ესე.—აღდგომილნი ძილისაგან შეგივრდებით შენ, სახიერ და ანგელოზთა გალობაჲსა გიღაღადებთ..." 13r—197v.

წყდება: „ჰოვიდა უფალი და მოიღო პური იგი და მისცა მათ და თევზი იგი ეგრეთვე. ესე სამგზისაჲ გამოეცხადა..." [იოანე. 21,13—14].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ჩვენი ჯამნის დასაწყისი ემთხვევა ვახტანგის სტამბის ჯამნის დასაწყისი **ფურცლის** მეორე ვერ**სიდის** ტექსტს (ჯამნი. ტფ. 1710 გვ. ბ.).

2. ხელნაწერი იწყება: „იბაკონი წ'რისა ღ'რის მწობლისანი, რომელსა დაუჯდომელი ცოდვების, [ხოლო] ბერძულად აკათისტოჲ. — ზეშთაჲ მბრძოლისაჲ...“ 1r—12r.

3. „ჯამნის“ შემადგენელი ნაწილები ბაებეი ჯამნის ტექსტის შემადგენლობის თანამიმდევრობასთან შედარებით თავისებურ წყობას იცავს: ხელნაწერში დიდმარხვისა და აღდგომის კვირის „ჯამნი“ მოთავსებულია „თვეთა მეტყველებათა“ ტექსტის წინ (12Or—14Ov.) და არა შემდეგ, როგორც ნაბეჭდ ტექსტშია.

4. ხელნაწერში ჩადებულია 1 ფ. (198), სხვა ხელნაწერიდან, დაწერილი [მე-18 ს.] წერილი ნესხურით, დასაწყისი: „...თა. მომეც მე სულთქმა და შემუსრვა გულისა, რათა ვსტიროდე უბადრუკთა საქმეთა ჩემთა...“ წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი მიმართულ ლოცვას თუ საგალობელს.

1076

საგალობლები—[მე-18 ს.]

123 ფ.; 11,×8; ქაღალდი, ტყავგადაკრული ქაღალდის ყდა (დაზიანებული, ფფ. 1—5 მოცილებული); მხედრული (სათაურები სინგურით); თავ-ბოლო ნაკლული; [მე-18 ს.]. დაწერილია: 77v, 84 rv, 85rv. შემოწირულია ბერძონაზონი ათანასესაგან 1914 წ.

„... ლითა და ისრაილნი იქსნნა, რამეთუ დიდებულ არს: უგალობდეთ უფალსა, რომელმან მწარისაგან ფარაონს მონებისა იქსნა ისრაილი და სიღრმესა ზღუასა დაულტოლეწილად წიაღ იყუანნა, გალობითა ახლითა, რამეთუ დიდებულ არს...“ 1r—123r.

თ ა ვ დ ე ბ ა: — „...უხორწილო ღუთის მშობელო!. დაიცევ ქალაქი შენი, რომელი ესე შენ მ[იერ] მეფობს საღუთოდ. შენ მიერ მოაქუს ძალი და შენ მიერვე ჰსძლევს მტერთა, ზესთა ექმნების განსაცდელთა, მბრძოლთა გარე-მოიაქცევს და ჰმართებს განსაგებელთა თჳსთა“.

შენიშვნა: ხელნაწერში წარმოდგენილია საგალობლები: 1. „სძლის-პირნი საცისკრონი“—8 ხმა: ღ ეითეული ხმა შედგება 9 „ჯალობისაგან“ —და „სძლის პირნი სამწუხრონი“—8 ხმა. 1r—77r.

2. „წმიდათა ორმოცთა შინა, მესამესა კჳრიაკესა ჯ'რის თაყუანის ცემისასა. ჯატავასიო“. 78r—79r.

3 ფერის ცვალებისა, ღვთისმშობლის მიცვალებისა და იოანე ნათლისმცემელის. თავის კვეთის საგალობელნი. 80r—83v.

4. „წმიდათა ორეოცთა მეზუთესა კჳრიაკესა. ბუთშაბათსა... ანდრია კრიტელი-ერუსალიმელისა“ საგალობელი სამწუხრო და საცისკრო სინაჲნულისათჳს. დასდებული ჭვა ჯ.“ 86r—90v.

5. „კჳრიაკე ცისკრისა, თქმული ანდრია კრიტელი-ერუსალიმელისა“ ჭვა ჳ. გალობა ა. სძლის პირნი“. 91r—123r.

1077

წმ. მარინეს ცხოვრება [1828 წ.]

72 ფ.; 8,5×5; ქაღალდი (ცისფერი); ტყავგადაკრული ტკიცრული ყდა (დაზიანებული); მხედრული; [18]28 წ. (58 v); გადაწერილია მარინეს კობაიშვილი (58 r-v); შემოწირულია გრიგოლ დიდებულიძისაგან 1914 წ.

„წმიდაჲ წმინდის მარინესი. მარინჳსი [!]. **დასაწყისი პირველ ღირსის მარინას ქებისა.**—თჳით შვენიერი, ბრწყინვალე იყო უფლისა ნებისა. ქალწული წმინდა, მლოცველი იყო ქრისტეს წამებისა...“ 1r—58r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. გადამწერის ანდერძის შემდეგ დართულია: 1. „რაოდენი სახელებიეწოდებიან სიწმინდისა ღვთის მშობელსა.—ჭალწული მარიამ და დედოფალი, მირონიზღვიწა, მაყვალი...“ 59 r—61 r.

2. [სინანულის ლოცვანი] იწყება: „აჰა მოიგონე ყოველი ცოდვანი შენნი...“ წყდება: „—მარიამ იოსესო [!], მეოხ მეყვენით მარინეს. წმ.“ 61 v—72 v.

ანდერძი (გადამწერისა): „ქ. სრულ იქმნა წმინდის ჭალწულ-მოწამის მარიანასას [!]. ველითა ჩემ ცოდვილის კობაიშვილს, მამამთავრის ასულის მარიანასაგან, სულისა და ჯორცის სალხინებელად. ღმერთო, მშვიდობაში მახმარე. ამინ. თვესა ივლისს სრულიქმნა. კს ქჭა. შემდგომად ჩემსა ვინ წარიკითხვედეთ, გევედრებით, შენდობას მიბძანეთ [!]“ 58 v—59 r.

1078

ვასილი კესარიელი. მიცვალება ღვთისმშობლისა [მე-19 ს.]

35 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო (ქაღალდის კანიანი); მხედრული: [მე-19 ს.], გადამწერი [იოსებ ნახუცაროვი] (I ყდაა); დაუწერელია: 29 r—35 v; შემოწირულია ნინო იოსების ასულის ბაგურაშვილისაგან 1914 წ.

„თთრჳსა აგვისტოსა **იე**. მიცუალება ყოვლად წმიდისა ღუთისმშობელისა, თქმული წმინდისა და ნეტარისა მამის ჩრ̃ისნის ვასილი კესარიელისა.—რაჟამს იგი სულისაგან წმიდისა ეუწყა ღუთის-მშობელსა ჟამი განსვლისა თჳსისა ამიერ სოფლით, მაშინ მხიარულ იქმნა სიბრძნითა სალმრთოთა დალმობიერად აღიესო სიყუარულითა და სურვილითა საუკუნოსა ცხოვრებისათა...“ 1 r—28 r.

შენიშვნა: ღვთისმშობლის მიცვალების ტექსტის ეს თარგმანი, რამდენადაც დასაწყისის შედარებით შეიძლება დავასკვნათ, იგივე უნდა იყოს, რაც აკად. კეკელიძის მიერ აწერილი თარგმანია (შდრ. „ქართული ლიტერატურის ისტორია.“ ტ. I. 583, § 11.)

მინაწერები: O1r. და ქაღალდის კანის I r.

1079

რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი [1823 წ.]

III+254 ფ.; 32,3×21; ქაღალდი: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (სათაურები სინგურით); ამოვარდნილია: 1, 8—9, 164—165 ფფ., დაბეჭდილია: 1, 153 ფ; მხედრული; 1823 წ. II. (208 r.); გადამწერი: „კეთილშობილი ალექსის ძე რეტორი დავით,“ „სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თემპოვისათჳს“ (208 r); დაუწერელია: I—III, 4 v, 5 r-v, 11 v, 20 r-v, 22 v, 36 r-v, 40 r-v, 44 v, 48 v, 55 r-v, 59 r-v, 61 v, 68 v, 71 v, 74 v, 76 v, 82 r-v, 88 v, 94 r-v, 96 v, 99 v, 101 r-v, 104 r-v, 108 v, 114 r-v, 116 r-v, 121 r-v, 125 r-v, 131 v, 136 r-v, 142 v, 145 v, 149 r-v, 152 v, 158 r-v, 172 v, 180 r-v, 188 v, 194 r-v, 205 v, 208 v, 247 v, 248 r-v, 252 v, 253—254 r-v; დატოვებულია შემთხვეული ადგილები (ილუსტრაციებისათვის?) 123 r-v, 124 r, 146 v; დახაზულია ერთი ვარსკვლავი (122 v). შემოწირულია ანნა ალექსანდრეს ასულის ამილახვარისაგან 1914 წ.

„შესაველი პირჳსლი ვეფხის-ტყაოსნისა. ა. ამა ამბისა დასაწყისი პირჳსლი, ჰამო და სასმენელად შუსნიერი ჰსწავლისა-თჳს მოშაირეთასა ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხის-ტყაოსნობით უხმობენ.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა ...“ 1 r—208 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. „ვეფხის-ტყაოსნის წინამდებარე ტექსტი 1712 წ. ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს წარმოადგენს.

2. გადამწერს—დავით რექტორს—შეუტანია ტექსტში ორთოგრაფიული შეცდომები: ა. ჰაეს ბზირი ხმარება. ე-ს ნაცვლად ი-ს ხმარება, ვ-ს ნაცვლად უ-ი და სხვ. ბ. პუნქტუაციაში—ორწერტილის შეცვლა წერტილით, ჯ. ანტონ I-ლის მიერ ზედმოღებული ასო ჯ-ს ხმარება (218 r — ვახტანგის თარგმანების „ქებაში“) და სხვ.

3. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტში ჩართულია გოორგი თუმანოვის ნათქვამი სტროფები: 12 r. ქვემო არშიაზე; 46 v. ქვემო არშიაზე, 66 v. ქვემო არშიაზე; 197 r ქვემო არშიაზე, ბოლოს 204 r—205 r-ზე — თერთმეტი სტროფი ჩამატებულია ვახტანგისეული „გამოცემის ჩვეზ სტროფის შემდეგ,“ ჩვეც სტროფის წინ; გარდა ამისა, ამავე თუმანოვის მიერ „ნასწორებია“ ტექსტის მრავალი ადგილი ითქმის ყოველ გვერდზე, ზოგან შეცვლილია მთელი სტრიქონები 4 r-ზე, ლა სტროფის ქვემოთ, ფანჯრით მიწერილია ერთი სტროფი: „რადგანც კაცსა სიყვარული საყვარლისა ვერ ეთმობის...

4. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტს დართული აქვს თავნაკლული [„თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა, თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“] იწყება: „...მეძახობის სიტყვა ამის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა...“ 209 r—247 r.

5. ვახტანგის „თარგმანის“ ტექსტში გადამწერს ორ ადგილას თვალსაჩინო შეცდომა მოსვლია: სინგურით ნაწერი დასწყისი სიტყვები არ შეესაბამება, „თარგმანის“ ტექსტს ოვ ლთ (218 r), ბ,ნ-ნვ 219 v—220 r.

6. გადამწერს—დავით რექტორს დაუთავებია „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტისათვის „საძიებელი წიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა“. 249 r—252; მასვე ალუმინშავე ყოველი სათაურის თავში თავების რიცხვი (57).

მინაწერები: 204 r, 205 r. 208 r.

ანდერძები (გადამწერისა): 1. „დიდება ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა. სრულ იქმნა ძალითა ღთისათა ვეფხის ტყაოსანი. აღვჰსწერე მე, კეთილ-შობილმან ალექსის ძემან, რეკტორმან დავითმან. მისის ბრწყინჭალების სტატსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისთჳს. თთჳსა ფებრჳარსა რიცხჳსა. კა. წელსა ჩყკგ. ქ̃ჳ̃ს. ფოა“. „(208 r. „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის ბოლოს).

2. „საძიებელის დასრულება, რომელიც ჰქმნა მეფემან ვახტანგ, ჴამსა ვეფხის-ტყაოსნის დასრულებისასა, ოდეს დაადგჳდნა. დავით რეკტორი. (247 r. ვახტანგის „თარგმანის“ ტექსტის ბოლოს).

3. „ამ ვეფხის-ტყაოსანს საძიებელი, დაწყების რიცხჳში, თავების ზედა-ჭარწერა, ფურცლის ნიშნები საძიებელში მე გაუკეთე. ჳველადგან არც დაბეჭდილს ვეფხის-ტყაოსანსა ჰქონდა და არც ჳელნაწერთა. კეთილშობილი ალექსის ძე დავით, რეკტორი.“ 252 r.

1080

კრებული [1789 და 1839 წწ.]

182 ფ., 21×16; ცისფერი ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მბედრული (თავკაზმულობა და სათაურები სინგურით); 1789 წ. (152 r), 1839 წ. (165v); გადამწერი ქაიხოსრო გოგნიაშვილი (152 r) და სოლომონ ხოლოყაშვილი (165 v). დაუწერელია: 152 v, 166 v—177 r; 178 r, 179 rv, 180 rv; თავკაზმულობა 1 r. შემოწირულია ანდრონიკაშვილის მეუღლისაგან 1914 წ.

1. [ამირან-დარეჯანიანი XII კარიდ.] «კარი პირველი. ანბავი აბესალა ჴელმწიფის და ამირან დარეჯანიძის ანბავი [!]. აბესალამ ინდოთ მეფე იყო ჳორჳმული და მდიდარი, ყოვლისა სიმდიდრითა სრული.—იყო მეფე ერთი ჳორჳმული და დიდებული ინდოეთსა და სახელი მისი აბესალამ. არ იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო მისი წესი და სიმდიდრე: უდგა ასი ავაზი, ექვსასი თეთრი ჭორი და მწყაზარი ჰყვა სამი ათასი. დიდებული კაცნი მრავალნი, ოქროსა სელთა მჯდომი..." 1 r—151 v.

შენიშვნა: წინამდებარე ტექსტი ძირითადად მისდევს ს. კაკაბაძის 1939 წ. (თბილისი) გამოცემის ტექსტს.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი ესე წმიდითა გოგნიაშვილის ძისა ქაიხოსროსათა. თვესა დეკემბერსა. **იზ.** წელსა **ჩჯპთ.** ქორონიკონს **უოზ.**"

თუ ვინმე თქვას ეს რა არის, ცუდ საქმეზედ სიტყვა გარჯა,
ესეც მითხარ—რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?
გულს უნდოდა, გარდმოეწერე, არ მომადგა სხვისგან გარჯა.
და რაცა მესმა, იგი ვწერე, სიტყვა არსით დამეხვანჯა". 152 r.

2. „აქა ფილასოფოსთაგან თქმული კარგნი სწავლანი და საამურნი.—კეთილს კაცს წესი არ არის, კაცსა პირში აქებდეს და ჯან ძრახავდეს.. სიკეთე უჭკოდ ცარიელი არს..." 153 r—165 v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს „მოკლე სიტყვისგება სოკრატისის" ვარიანტს. (შდრ. კ. კეკელიძე. ტ. II. გვ. 438).

ანდერძი (გადამწერისა): „ესე ბრძენთაგან თქმული მცირე რაიმე აღმოვსწერე მსურველთათვის კითხვითა ამით მშვენიერნი სწავლანი **ჩჯლთ**-ს წელსა, იანვრის კ-ს.. პოდპორუჩიკი ~თ სოლომონ ჩოლოყოვი". 165 v.

მინაწერები: I ყდა, 153 r, 166 r, 177 v, 178 v, 181 r-v, 182 r, II ყდა.

1081

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. [მე-19 ს]

138 ფ.; 19×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტგიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-19 ს.] ს. ტვირნიშნები: 1803 (ი—7 ფ.); გადამწერი: ხუცესი ქერსული, მახარობელ (131 r); დაუწერელია: i—7, 132—138 · ფფ. შემოწირულია ანდრონიკაშვილის მეუღლის მიერ 1914 წ.

„სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა. ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფე და მსაჯულთა და ყოველსა სამართალში მჯდომარესა კაცსა: ეს იცოდეთ დამარხვით და გუნებაში გქონდეთ, რომე ღმერთი, ყოვლის დამბადებელი, თქუმნგან სამართლის უფროს(ს) არას ითხოვს..." 16 r—122 v.

შენიშვნა: 1. „სამართალი" 285 თავისაგან შედგება ([ა]—[სბ].).

2. ტექსტს ბოლოში დართული აქვს საძიებელი: „პირველი შესავალი სამართლისა ჲ. მეფეთ ჯარიგებისა. ბ..." 122 v—130 v.

3. ვახტანგის „სამართლის" ტექსტს წინ უძღვის საქართველოს მეფეთა და მთავართა ქრონოლოგიური ნუსხა: „ჲ. მეფე ფარნავაზ იმეფა წელი ჲ..." ნუსხა მთლის იესე ქართლის მეფემდე. 8 r—10 v. ბ. „კახეთიცა მეცეთა და მთავართათვის.—გიორგიმ იმთავრა ქრონოლოგიური ნუსხა: „ჲ. მეფე ფარნავაზ იმეფა წელი ჲ..." 10 v—11 r გ. „მეფეთა ბაგრატიონთათჳს კახეთისათა.—მეფე დავით იმეფა წელნი ე..." 11 r-v. დ. „კახეთის სოფელთათვის.—ჯუგაანი, ხიარი, ასანური..." 11 v—13 v. ე. თიანეთი. თიანეთის სოფლები.—ჭოპაღი საცხათლო, ბალიანი, ხარიძე..." 13 v—14 r. ვ. ბახტრიონი. ველმა მხრის სოფლები.—ოთხთბალა, ფრჩხილები... (14 r-v.) ზ. ბელაქანი. ენისელს სოფლები.—მთისაბრუნი, მაკაბელი, ჴიდარი..." 15 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერისა): „ძლიერებამან ღ[მრთისამან სრულ-მიქმნა საწადელია,
დღე მარად ვიხაჲე, ღამეცა არ დავაყოვნე ჴელია,
სამართლის წიგნი დავსწერე, გონებად მოსასვლელია,
და ვითხოვ შენდობას ცოდვილი, აკლს რამე, თუმცა მთელია.
ჴელთ ვიპყარ საწერ-კალამი, წერა დავიწყე შობასა;
ხან ვიყავ მოცლით, ხან არა, ვინებდი მოსწრაფებასა;
ხან დღისით ვსწერე. ხან ღამეც. სრულ ვყავი ნინოობასა,
და, გეგდრი, ამომყითხეთ[ლნო, ნერვინ მიბრძანებთ გმობასა.
ღირისი ბუცესი ჭურხული მახარობელ.“ (131 r).

1082

კრებული [1791 ს.]

17 ფ.; 20,7×17; ცისფერი ქაღალდი, ფუცო; მხედრული (სათაურები სინგურით); 1914 წ. (17 v); გადამწერი [დავით რეჭტორი]. შემოწირულია ანტონიკაშვილის მეუღლის მიერ 1791 წ.

1. ანტონ I. „საქართუ[ლოსა მეფეთა შთამომავალობათათჳს. მისს მაღალმსულელობას ღ[ანარალს ივან ლეონიჩს, ყიზლარის კომენდატს, ფროუნდორფს. მე, უღირსი ანტონი კათოლიკოსი სრულად საქართუ[ლოჲსა მოვახსენებ, მათგან ბრძანებულისა მებრ თხოვისა. რომელიცა დაღათუ მრავალ განსაცდელ შემთხუ[ვისაგან დავიწყებით სახელი მეფეთა საქართუ[ლოსათანი თჳთოთჳთოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელნი, ანუ გარდაცუალებანი მეფეთა გუართანი და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ ესენი არიან, რომელნიცა ძუ[ლთა შინა მატიანეთა საქართუ[ლოსათა წარმიკითხამნ*. სიტყუა პირუ[ლი.—პირუ[ლად, ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართუ[ლთა, ესე იგი: ქართუ[ლოსა, მცირთა, კახთა და ჴ[ვაჯახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ჭ[ოდების ქართუ[ლი, იყო ქართლოს. ხოლო ჰ[ქჳრენ წერილთ-მწერალნი სომეხთა და ქართუ[ლთანი, ეითარმედ ტომისაგან იაფეთოსა ყოფად ქართუ[ლთა და სომეხთასა...“ 1r—12 v.

2. „მე უმცირესი ვინმე ძე ალექსისა და თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი დავით მოვახსენებ მებრ თხოვისა მათისა და რომელთამე საქართუ[ლოჲსა მეზობელთა მჳრეთა ადგილთა ამის უკუ[ე წერილთა აღუწერ თქ[ენსა ღ[ეოლრაფიურებ, რომელ არს ინსტრუკცია. აღწერა ახალციხისა: ახალციხისა ქუ[ყანა, რომელიც არის ქართლის ქუ[ყანისა ნაწილი ერთი, რომელიც უჰირავს ახლა ხუანქარსა ძალითა და არიან გამაჰმადიანებულნი და ადგილადგილ მცირენი ქრისტიანენიცა იპოვებიან...“ 13r—17 v.

შენიშვნა: დავით რეჭტორის „აღწერა“ შეიცავს: ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთის ერევნის, განჯის, ხამსის, ყუბის, ქუმუხის, შაქის, „ალისუ[ლტის ჰპრეკლთი და იმ ძირო ბისა,“ ხუნძახისა, დიდო-ჭისტისა—ღილღევისა, ზურზუკისა, თუ[შ]-ხევსურისა და ხევის „აღწერას“—სულ მოკლედ და „აღწერას ქერიმხანის საჭმეებისა“.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნა თთ[ესა ჩვენებრვალსა, რიცხჳსა 8; წელსა განწორციელებითგან სიტყჳსა ღ[ისა 1791“. 17 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1083

გულასპიანი [მე 19 ს.]

55 ფ.; 36×22; ქაღალდი; უყდო, დამლილი; გაუმართავი მხედრული (ნაკლული); [მე-19 ს.]. შემოწირულია ბარბარე კონას ასულის ერისთავისაგან 1914 წ.

„...რომ გამოცელისათვის გულასპის ფიქრისა მოეგონებინათ რამე და მსწრაფლად ეახშამი მოიღეს. იგი ფიქრიანობა განუტევა და იმ ღამეს ყოველთურთ მხიარულად დროს განატარებდნენ. გარნა აზრი მავრიტ ხემწიფისაკენ არა უწყოდნენ დამტკიცებით თუ რა ენება. მცირე რამ ეჭვია მას ზედან აქენდათ. „აჰა გულასპისაგან მეორედ ქალის სათხოვნელად მოციქულის მიგზავნა და წიგნის მწერა.—ღამესა მას გულასპ დიდის სიყვარულითა შემჭვალული, გაფძლებელისა მოთმინებითა წუხდიადისა და უმეტეს ფიქრიანის გულისა მამძიმებელისა და ბნელისა ღამისა გამდევნელსა და ყოელსა ქვეყანისა განმაბრწყინვებელსა მზისა ამოხდომასა ესწრაფებოდა...“ 1 r—55 v.

წუდება გულასპისა და ალვასტრის ქორწილზე: „...ვითარცა შეწნოდა სიხარულითა მდლობელსა ინდოეთისა სამეფოს ზედან ჰუჩჯელი და საღვინენი არ იხმარებოდა, თვინიერ ოქროსა. და, რა პურობა გარდახდებოდის, ყოველივე იგი სუფრისა იარაღი სრულებით გლახაკთა და უქონელთა ზედან მიეცემოდის, დღეგრძელობისა გულასპისა...“

1084ა.

შექსპირი. ოტელო (რუსულიდან თარგმნილი) [1844 წ.]

55 ფ.; 36×23; ქაღალდი; უყდო (ქაღალდისავე კანი, 55 ფ. და II-კანი შუაში ამოხეული) მხედრული; 1844 წ.; (1 r); რუსული თარგმანიდან მთარგმნელი: [გიორგი ერისთავი?] ადგილი მეჯვრისაზედი (1 r). შემოწირულია ბარბარე კონას ასულის ერისთავისაგან 1914 წ.

„ოტელლო, ვენეციის მაცრი, ანუ არაბი. დრამა ხუთთა მოქმედებათა შინა. შეთხზული შექსპირის მიერ. მომქმედნი პირნი: ვენეციის დოჟი ანუ მეფე. ბარბანციო.—სენატორი. სხვა სენატორები: ლრაციანო, ძმა ბარბანციოსი, ლუდოვიკო—მისი ძმისწული; ოტელლო—მავრი ანუ არაბი; კასსიო—მისი ლეიტენანტი; იაგო—მისი მაიორახტარი; როდრიღო—ვენეციის აზნაური; მონტანო—ღუბერნატორი კიპრისა, ღეროლდ; დეზდემონა-ასული ბარბანციოსი, მეუღლე ოტელლოსი; ემილია—ცოლი იაგოსი; ბიანკა-საყვარელი კასსიოსი; მასხარა; აფიცრები, აზნაურები და ელჩნი, მუზიკანტნი, მატროზები, სვიტა.—მოქმედება პირველს აქტისა ვენეციასა შინა, სხვათა კუნძულსა შინა კიპრისასა. აქტი პირველი, გამოსვლა პირველი. ვენეციის ქუჩაში. როდრიღო და იაგო. როდრიღო: გაჩუმდი, გაჩუმდი! სასიამოვნო არ[ის] ეგ ჩემთვის...“ 1 r—55 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „წულსა ჩუმდს ტრაღედია ოტელლოსი [!], ხუთთა მოქმედებათა შინა, შეთხზული შექსპირის მიერ. გადმოთარგმნილი რუსულიდგან ქართულად ჩუმდ-სა წელსა, იან(ვ)რის 4-სა დღესა. ს. მეჯვრიხევს“. (I კანი).
2. მთარგმნელის ვინაობას გვამცნობს საინვენტარო დაგთარი, სადაც № 1084 ა/ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწვრივ, ე. თაყაიშვილის ხელით სათაურის შემდეგ სწერია: „... გადმოთარგმნილი რუსულიდან ქართულად ჩყმდ-ს წელსა... ს. მეჯვრისხევში, ერისთავის მიერ... „ბარბარე კონას ასულის ერისთავის შემოწირული.“

1084ბ.

შექსპირი. ოტელო. (რუსულიდან) [1863 წ.]

31 ფ.; 36×22; ქაღალდი; უყდრო (ქაღალდისავე კანი, მოცილებული; დალაქებული): მხედრული; 1863 წ. (თავფურცელი).

„ოტელლო, ვენეციის მაერი ანუ არაბი. დრამა ხუთთა მოქმედებათა შინა. შეთხზული შექსპირის მიერ.—მოქმედნი პირნი...“ 2 r—31 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს 1084. ა.—ხელნაწერის ნუსხას.

2. ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „ტრაღედია ოტელოსი. ხუთთა მოქმედებათა შინა. შეთხზული შექსპირისა მიერ. გადმოთარგმნილი რუსულიდგან ქართულად ჩყმდ-სა წელსა, ივნერის ვ-სა დღესა, ს. მეჯვრუბეში [!]. ხოლო განახლებული ჩყოცდ ოქტომბერის ე-სა დღესა.

3. ტექსტის 1-ლი გვერდი ფაქსირით არის ნასწორები, სხვა ხელით.

1085

წერეთელი გიორგი. ლომ-კაცი (ზღაპარი) [1886 წ.]

55 ფ.; 20. 7×17; ქაღალდი, უყდრო. დაფურცვლილი; მხედრული; [1886 წ.]: ავტოგრაფი თბილისი. შემოწირულია ანასტასია მიხეილის ასულის წერეთლისაგან 1914 წ.

წერეთელი გიორგი. „ლომკაცი (ზღაპარი).—
იყო და არა იყო რა.
უმაღლესი ზეცით ღვთისა:
დედამიწაზე არ იყო
უკეთესი სამის ძმისა...“ 1 r—55 v.

შენიშვნა: ს. ს. ს. მუზეუმისეულ ხელნაწერთა საინვენტარო დავთარში, ე. თაყაიშვილის ხელით ჩაწერილია: 1. „ლომკაცი. პოემა გიორგი წერეთლისა. ავტოგრაფი... ანასტასია მიხეილის ასულისაგან [ოფიცრისშვილის ასული, გიორგი წერეთლის მეუღლე]“

2. ხელნაწერს ასოთა-ამწყობთა ხელში გაუვლია, რასაც მოწმობს მინაწერები: „პეტიტი“, „ემეს კვადრატზე“ (1 r) და სხვ.

3. გ. წერეთლის „ლომკაცი“ პირველად გამოქვეყნდა ჟ. „ნობათში“ 1883 წ. № 1. გვ. 9—24; 1884, № 1, გვ. 94—102; № 2, გვ. 140—144; № 3, გვ. 178—193; № 4, გვ. 225—240; ცალკე გამოცემად გამოვიდა 1884 წ. (თფილისი. „მნათობის“ რედაქციის გ-ამა) და 1912 წ. (თბილისი. „ჯეჯილის“ რედაქციის გ-მა).

1086

წამება წმინდისა მარინასი [1774 წ.]

66 ფ.; 5.2×3,6; ქაღალდი; ყდა ხისა, ტყავგადაკრული: მხედრული (სათაურები სირგურით); 1774 წ. (65 r); გადამწერი [ანა]: დამკვეთი: [ელენე] (62 r): ფერადი თავკაზმულობა; 1 r. ნაყიდია 1914 წ.

„წმამბა წმინდისა მარინასი. თვესა ივლის[ს]ჳ, ჩვიდმეტსა მარინასა... განსვლისა.

იწრ ანტიოქს ქალაქსა კაცი ვინმე საკვირველი.
პირველ პირი სიდიდისა, მღდელი, კერპთა შემწირველი...“ 4v—61v.
ბ ო ლ ო...
ელემი მოგცა ს...“ [აქ ერთი ფ. აკლია...
„ვისაც ხელთ იყოს ეს წიგნი, მას მივსცე ედემს ნათელი;
ქმარ-თავი, შვილი უცოცხლო, რაც ედგას თვალთა ნათელი.
მას მოვარიდო მავნენი და ეშმაკისა საფრთხენი
და თავი და ძმებიც უცოცხლო, რაც იქნეს მათგან ნაშთენი.
ამინ ელენესაჲ“. 60 v—61 r.

შენიშვნა: 1. მარინას წამების ტექსტს წინ უძღვის მარკოზის სახარების საკითხვი, სინგურით ნაწერი სათაურით: „სახარება მარინასი, მარკოზისაგან წ-ლა სახარებისა საკითხვაი.— მას ჟამსა შინა და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას. და დედაკაცი ვინმე იყო, რომელი იყო წყაროთა სისხლისა[ჲ]თა გემოლ ათორმეტ წელ...“ (შარკ. 5.—24—34).

2. „წმ. მარინას წამება“ თავიდან ბოლომდის გალეწილია. დამწერლობაში არ არის დაცული ლეჭსის წყობა. სინგურით ნაწერია პირველი ასოები ლეჭსის ყოველი სტრიქონისა, რაც მოწმობს რომ დედანში, ლეჭსის ფორმა დაცული ყოფილა.

3. ტექსტის შემდეგ, სინგურით ნაწერი ანდერძის ქვემოთ, დართულია: „თვესა ივლისსა იბ. ოხითა იბაკო.—ტარიგი შენი, იესო, ხმობდა მაღლითა ხმითა შენდა..“ 62 r—64 v.

მინაწერები: 65 v. 66 rv. II ყდის შიგნით.

ანდერძები: 1. „განსრულდა წმინდის მარინას წიგნი. ღმერთო, მშვიდობაში ახმარე მხევალსა შენსა [ანასაჲ ამინ. [ელენე]“. 61 v—62 r.

2.“ „განსრულდა წმინდა მარინას წამება—სახარებითა, წამებითა, ოხითა იბაკოთი ქ[ა]ს: უგბ: აგვისტოს კშ. ჭ. ღმერთო, მშვიდობაში ახმარე მხევალსა შენსა ელენეს. დედა და მამა უცოცხლე, ამ წიგნის მადლო.“ 64 v—65 r.

შენიშვნა: პირველ ანდერძში ვაღამწერის სახელი, თავდაპირველად დაწერილი სინგურით, ხასწორებია შავი მელნით. იკითხება (ამჟამად): „ანასა. ამინ.“ აქვე ჩამატებულია შავი მელნით: „ელენე.“

1087

სადღესასწაულო [მე-18 ს.]

640 ფ.; 20,8×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით, ფურცლები ალაგ დახიანებულია და გაბეჭული: 1 ფ.); ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. შემოსულია კარის წმ. გიორგის ეკლესიიდან. 1914 წ.

თვესა სეკდენბერსა აქ[ს] დღენი ლ. პირველსა დღესა დაწყებაჲ ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელიწადისა და ჴსენებაჲ ღირსისა მამისა ჩ[ვ]ნისა სჳმონ მესვეტისა და არქიმანდრიტისა და დედისა მისისა მართასი და კრებაჲ ყოველად წმიდისა ღ[ვ]ის მშობელისა, რომელი იყო მ[ა]სიანეს და წმიდისა მოწამისა ათან(ასესი) და წმიდათა მოწამეთა ორეულოცათა დედათა და წმიდისა ამონა დიაკონისა და მოძ[ღ]რისა მათისა და წმიდათა მოწაძეთა კ[ა]ლისტე, ეუდო და ერმოგენისი და მოყ[ა]თა მათთა, და ჴსენებაჲ მართლისა ისოსი, ძისა ნ[ა]ვესი. მწუხრად: ნეტარ არს კაცი. ა[დ]. დიდებაჲ:. ხოლო უკეთუ შაბათი იყოს,

წარვიკითხეთ კანონსა ს'დ: უფალო, ღაღადყავსად ზედა. აღვიღებთ დ'სბლთა. ი. და ვგბლობთ დასდებელთა ინდიკტიონისასა. გ. ქმაჲ ა. შენ, სიტყ'ად.—თავდისა ქრისტეს ღ'ა მოძღრებისა მიერ ლოცვად გვსწავეს ჩვენ, ყოველთა დღეთა ესრეთ მისა მართ ქმობად: მამაო ჩვნო, რომელი ხარ ცათა შინა..." 1 r—640v.

შენიშვნა: 1., „სადღესასწაულო" იწყება სექტემბრის 1-ით, თავდება აგვისტოს 31-ით.

2. „სადღესასწაულოს" ტექსტი გამართულია რუსული სადღესასწაულოს მიხედვით (5. ანდერძი).

3. ტექსტში შეტანილია ქართული ეროვნული დღესასწაულებიც: ქეთევანის წამების დღე—13 სექტემბერს. „ამასვე დღესა წმიდისა დიდისად მოწამისა საქართველოს მნათობისად დედოფლისად ქეთევანისად..."(39 v). „სტრატისა ცხოველისა და კვართისა საუფლოსი"—ოქტომბრის 1-ლს. 98 r და სხვ.

ანდერძი: (გადამწერისა): „ეს სამი თვე [სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი] რუხულს სტამბის სადღესასწაულოზე აღვსწერე. უკეთუ ცთომილი რაამე ჰპოოთ: ანუ საგალობლები, ანუ საწინასწარმეტყველოები ანუ სძლისპირი და ანუ წინწილი თავისსა ადგილსა არ აქუნდეს, მე ნუ რაჲ რას ბრალსა მპოებთ. უფალმან უწყის, რისაც შემძლებელ ვიყავ, სიმართლისა დიდად მოწადე ვიქმენ." (ნოემბრის ტექსტის ბოლოს, II სვეტში, 266 v.).

1088

მარხვანი და ზადიკი [მე-17 ს.]

546 ფ.; 21,5×18,7; ქაღალდი: ტყავგადაკრული ხის ყდა, მოცილებული; ნუსხური (სათაურები სინგურით: 1—3, 5. 546 ფფ.—დახაზებული; 3ბი,544 ფ. ამოვარდნილი); ნაკლული; მე-17 ს.]; გადაწერა: გიორგი (489 r.). შემოწირულია კრისტეფორე ციქიშვილისაგან 1914. წ.

„[საიდ]უმლოჲ პასქაჲ საუფლოჲ, პასქა დიდი, პასქა უბიწოჲ, პასქაჲ, რომელმან სამოთხისა ბჭენი დაჳშუენი განგჳხუნაჲ ჩ'ნ. პასქაჲ, ყოველთა წმიდათა მყოფელი; ვ'ა მოაკლდეს კუამლი..." 1 r—546 v.

წ უ დ ე ბ ა: „დიდისად შაბათისად ცისკრად"-ის ტექსტით: „...დიდებაჲ შენდაჲ, მხოლო, რომელმან გვაცხ(ოვნენ) (აღდგომითა შენითაჲ. და წიგნი წმიდისა ეპიფანესი: „რაჲ არს დუმილი?" აღდგომაჲ ქრისტესი არაჲ ვიტყჳთ, მიწყალე და გალობაჲნი. ძლის პირი ორ ბ ჯერ..."

მინაწერები: I ყდის შიგნით და I საცავ ფურცელზე, 2 v. 75 v. არშიებზე, ტექსტის ხელით, საგალობლების ავტორთა სახელები: 12 r—„თეოფანე"; 25 r, 85 r, 122 r, 170 r, 188 r—„ქათალიკოზ არსენი." 188 v: „თევდორე." 67 r.—„ქრისტედორე." 84 v. 108 r, 122 r, 169 v.—„იოსებ". 129 v.—„გიორგი".

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ამ წიგნის მწერალ(ი) გ[იორგ]ი. ამინ, უფალო" (489 r ქვემო არშიაზე, ტექსტის ხელით, სინგურით).

1089

სადღესასწაულო [მე-17 ს.]

240 ფ: 29,3×20; ქაღალდი: უყდო (მეტად დაზიანებული, დაშლილი; დაფურცლილი: 1—43, 113—114, 218—240; დაბეჭდილია: 5, 11, 17, 20, 23, 31—34, 35, 218—235); ნუსხური (სათაურები სხვგურით); თავ-ბოლო ნაკლული: [მე-17 ს]. შემოწირულია ქრისტეფორე ციცქიშვილისაგან 1914 წ.

„... წესთ მთავარო და წინაშე პირსა ღ[მრ]თისა მდგომარეო და მის მიერითა ბრწყინვალებითა განათლებულო! განათლენ და წმიდაჲ ყავნ **სარწმუნოებით** მგალობელნი შენნი...“ 1 r—234 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...იოანეს, ქრისტეს ნათლის მცემელსა და დიდსა წინამორბედსა ღ[მრ]თისა სიტყჳსასა, მორწმუნენო, გალობით და შესხმით პატივსცემდით ჴმითა სახარულევანითა დ[ა]ს...“

შენიშვნა: 1. მეტად არეული ფფ. ჩვენ მიერ დაწყობილია თვეებისა და ხელნაწერის რვეულების თ.ნამიმდევრობის მიხედვით (1 r—234 v). მთელი რიგი ფურცლებისა (მაგ: 220 r—233 v.) დარჩენილია ხსენებული თანამიმდევრობის გარეშე.

2. მეტად ნაკლული „სადღესასწაულო“ იწყება ბ რვეულით, სქტემბერის თვის ტექსტით („თჳესა სკ[ა]ტნბერსა ვ.—7 r), წყდება 29 აგვისტოს ტექსტზე (234 v.)

3. ფფ. 235—239 სხვა ხელნაწერებიდან სჩანს: 235—სამოციქულო—[ა]ხარების საკითხავი: 236—დაბადების (გამოსლვათა“, „წინასწარმეტყველებაჲ იონასი“) საკითხავები; 237—238: საგალობელნი—ღვთის მშობლისა და მაცხოვრისა; 239: დაბადების საკითხავი (იონას შთანთქმა): 240 ფ. მოწმობა (დაბადების წლის აღნიშვნით), გაცემული [1855?] წელს, წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელის მიერ.

4. ხელნაწერში ჩადებულ ცალკე ქაღალდზე, ლურჯი ფანქრით: „ხელნაწერი“ სადღესასწაულო“, მღვდ. ქრ. ციცქიშვილმა.“

1090

რუსთაველი, შოთა, ვეფხის-ტყაოსანი [მე-19 ს.]

116 ფ.: 33×21; ქაღალდი: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (მოცილებული; 5, 110—116 ფფ. ამოვარდნილი; 1, 4, 5, 14 ფფ. დაზეპირული): მხედრული (სათაურები და ყოველი სტროფის პირველი სიტყვა—სინგურით); მე-19 ს: გვირნშანი 1829 (7 ფ.). ნაყიდია 1914 წ.

„ამა ჰამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად შუაწნიერი, სწავლისათჳს მოშაირეთასა, რომელნიცა უჴმობენ ტარიელს და ნესტან დარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით.—

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1 r—116 v.

წ ყ დ ე ბ ა: „ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;
ი ო ნ ო რ ნ ი ე ვ გ ა ყ რ ი ს ა დ ა წ ვ ა ც ე ც ხ ლ ს ა ლ ა მ ა ;
ს რ უ ლ ა დ ჰ ი ნ დ რ ნ ი ნ . მ ი ს ტ ი რ ა ნ , ც რ ე მ ლ მ ნ მ ი ნ დ ო რ (ი) დ ა ლ ა მ ა :
და ავთანდილ იტყჳს: მამკლაო სოფლისა მე სამსალამა.“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსნის“ (ტფილისი. 1712 წ.) ტექსტს, უმნიშვნელო შეცთომებით და ვარიაციებით.

2. ბოლონაკლული ტექსტი წყდება ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსნის“ ჩვეულებრივ სტროფზე (შედარებულია აკაკი შანიძის მიერ აღდგენილ ტექსტთან—ტფილისი. 1937).

მინაწერ-ები: I ყდის საცავის r-ზე, I r, 8 r, 10 r, 14 r, 66 v, 67 rv, 68 r, 104 r, 105 r, 107 v, 111 r, 116 r. (ამ უკანასკნელი ფ. 1 გვ. მარჯვენა არშიაზე: გამოცანები (3).

1091

კრებული [მე-19 ს.]

28 ფ.; 22×17,5; ქაღალდი (უყდო; 1—12,13—28 ერთმანეთისაგან ზომით ოდნავ განსხვავებული); მხედრული; [მე-19 ს]. ნაკიდია. 1914 წ.

1. „თითო სახეთაგან განბნეულთა თხრობანი ერთად შეკრებულთა მოხსენებანი წმინდათა და ყოვლად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი. მამაო, გვაკურთხენ. ივისის კთ-სა.—და ხელოვნებასა შინა არა ხოლო ძველთა მამათასა მიწით უვალთა მოპოვნებულსა, არცა ხოლო შევიტკბოთ მათსა საქმესა მოგონებულსა, არამედ იგიცა სიხარულით და წადიერებით შეგვიწყნარებიეს, რაცა ვის შემდგომთა მათთა და უახლესთაგანსა მოუპოებიეს და სახედ და ნივთად კეთილისა დაუტევებიეს ჩვენდა...“ 1 r—17 r.

2. „შესხმა წმინდათა და თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.—ცისკრისა ოდენ ცისა და ქვეყანისა ურთიერთარს შესწორებისათვის სხდომასა ჭეშდავ დღეს მოწევნულსა ამას დღესასწაულსა, ხსენებასა წმინდათა მოციქულთასა...“ 17 r—21 v.

3. „ივნისის ლ. პეტრე-პავლესთა ებისტოლე წმინდისა დიონოსი ბრძენთა მთავრისა და (ა)თინელთა ეპისკოპოზისა, რომელი მიუწერა ტიმოთეს, საყვარელსა თვისსა და მოწაფესა მოძღვრისა თვისისა პავლისს—გიკითხამ სამღთოსა მოწაფესა და შვილსა სულიერსა ჴეშმარიტისა მამისასა და მოყვასსა კეთილსა და მეგობარსა სათნოსა...“ 21 v—28 r.

1092

სამკითხაო და საეტლო კრებული [მე-19 ს.]

82 ფ.; 22×18; ქაღალდი (ცისფერი); უყდო (დაშლილი, დაზიანებული: დასეული და ამოვარდნილია მრავ. ფ.); მხედრული (თავ-ბოლო ნაკლული); მე-19 ს. ჭვირნიშანი 1815 (11, 44 და სხვ. ფფ.).

1. [სამკითხაო].—„...დ. არა იყიდო რაცა გინდეს. ე. ბედნიერ იქმნე მერე. ვ. მიეც და მოიღე კეთილი. ზ. შეები და გაგემარჯოს. ი. წახვიდე შორად—გაგეზაროდეს. თ. ამაღლდე მცირედ. ი. განაღო სავაჭრო და მიიღო იე იოთორი. ა. ძნელად შეეს ცოლმან შენმან...“ 1 r—10 v; 13 r—38 v; 77r—82 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [საეტლო] „თავი პირველი. ეტლებისა პატრონობა დაბადებულთა ზედა.—ესე შვიდნი ეტლნი უფლებენ ყოველს ქვეყანასა და ყოველთა ცხოველთა ზედა და უმეტესად ადამის ტომზედა: პირველი ეტლი მთოვარე არის..." 11 r—12 v, 45 v—48 r, 60 v—76 v.

შენიშვნა: ზოგიერთი სათაური: „მთვარის სიკეთე და სიმარცხე დაბადებულთა ზედა." 6ბ v. „მთოვარისა და ეტლების შემოყრისა ერთმანერთთან." 61 r.

3. [სამთვარიო] „ა. ჭ. მთვარისასა დღე კეთილი ყოველს საქმისათვის. მგზავრობა ბედნიერი ზღვისა და ჴმელისა. კეთილი თესვა, ნერგვა, ცხვართა რისვა. წარწყმდული იპოოს..." 39 r—42 r.

4. „ასოთ სამღერელი მართალი და ჭეშმარიტი.—ქ. უკეთუ თავი ემღერდეს, სიხარული, ჴელმწიფობა და პატივი პოოს..." 42 r—44 v.

5. „კვიმეტნი დღენი.—ჭ. სეკდენბერსა ზ და კბ; ოკდონბერსა ზ და კა; ნოენბერს ჳ..." 44 v.

6. [სიზმრის ახსნა].—„ა. ჭ. მთვარისა სიზმარი რაც გეზმანოს, ყოველი კეთილი არს..." 45 r-v.

7. [მზის მსრბოლობა და მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებანი]. „ქორონიკონს ტჟვ... მზე შევა წინა პირველს წინ წყალში მარტის თერთმეტს. მაშინ იპატრონებს მუშთარ ტყუბის ბურჯში, რომელ არს ოტრიდის სადგომი და მუშთარ ცის შუა თავის ამოღლებაზე [ხენტი] იქნება პირველ გამოჩენაზე, ამ წელიწადს მოსაველი დია ბარაქიანად იქნებაი..." 48 r—58 v.

8. „ავის დარისა და კაის დარის შეტყობა.—ამას ზეით დავსწერეთ ეტლებზე და ადამის ტომის აგებულებაზე. აწ ვიწყოთ დარების სიკეთე და სიავე თუ როგორ მოვდებიან. წინა პირველ ვიწყოთ ზამთრიდამ: თუ ზამთარი დიად წვიმიანი და თოვლიანი არის, გაზაფხული და ზაფხული დიად სიცხე იქნება..." 58 v—60 v.

თავდება: „დედამიწაში რაც ცარიელი ფუქი ადგილი არის, ქარით სავსე იქნება; როსც ველარ იტევრთავეს ქარსა მას, გასქდება ღრე იგი და მოვა ქარი და იმ გახეთქით შეიძრის დედ[ა]ძიწა და ამგვ[ა]რად არის მიწის ძვრა."

შენიშვნა: 1. ხელნაწერში გვხვდება ავრეთვე სამკურნალო ხასიათის დარიგებანი: ა. „ჯალინოს აქიმმა თქვა—თუ ავადმყოფს ეუბნა და პასუხის მიცემა და თქმა ეხარებდ-ეძნელებოდეს... "47 v—48 r. ბ. „ფილმრამო ფილასოფოსი იტყვის: ვისაც თვალი გასიებულსავით ჰჭონდეს..." 73 rv.

2. „სამთვარიოს" ტექსტია დასაწყისის ზემოთ მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი ლექსი:

„დილას თვალმა წყალს დასცდოს, ანუ შიშველს მაღალს მთასა,
ანუ თვალსა განათლსა, ანუ კბკლუტ ლამაზ ქალსა.
სევდის პირსა უკუ იყრის, ჩამოიწდის ტკივრთის ცალსა
და სატრფოსათვის ცეცხლს მოიდებს და ალაგზნებს ამით ალსა." 39 r.

1093

პასჭალია და სადღესასწაულო [მე-19 ს.]

23 ფ.: 21.5×17,5; ქაღალდი; უფდო; დაშლილი (3 ფ. დაბეჭდილი, ნაკლული); მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს.; ვერონაშენი: 1826 (9 ფ); თავკახმულობა: 12 r, 13 v, 15 r, 17 r, 18 v, 20 r, 21 v, 22 v. ნაყიდია 1914 წ.

„დასაბამითგან ჴე: ქრისტეს აქეთ **ჩლჭბ**: ნაკი. შობა უფლისა ხუთშაბათს; დიდი აღება: დღე, ორმოცდა ექსი, ჴორცთ აკრება ფებრაელს ცხრას. ხარება მექსის კვირიაკის ხუჩაფათს, წმინდა აღდგომა აპრილს ოთხს..." 1 r—23 v.

თ ა ვ დ ე ბ ი: „ოცდა ერთსა [აგვისტოს] დადება პატიოსნისა სარტყლისა ყოვლად წმინდისა ღ~თის მშობელისა." „განსრულება თორმეტთა თვეთა. დიდება ღმერთსა."

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ორი ნაწილისგან შედგება: I. 1792 წლიდან 1843 წლამდე ყოველი წლის ფარგალში ნაჩვენებია რა დღეს მოდის „შობა უფლისა," „ჴორცთ აკრება", „ხარება", „აღდგომა" „ამაღლება", „სულის წმინდის მოსლვა", „ყოველთა წმიდათა კვირიაკე" და „პეტრე-პაველობა". ეს ნაწილი ხელნაწერისა, რომელიც პასკალის წარმოადგენს, ბოლო-ნაკლულია. წყდება 1843 წელზე: „ხარება, მეხუთის კვირიაკის ხუთშაბათს. წმინდა..." (11 v.). II ნაწილში გვაქვს მოკლე თვენი. იწყება სეკდემბერით. „თთუწსა სეკდემბერსა აქს დღეოცდაათი..." (12 r.) თავდება აგვისტოთი (22 v—23 v). ამ ნაწილს აკლია 19 და 20 ფ. შუა: იანვრის ბოლო-ნაწილი, თებერვალი მარტი, აპრილი (მთლიანად) და მაისის I-ლი ნახევარი.

მინაწერი: 15 v.

1094

ვახტანგ VI. სამართალის წიგნი [მე-19 ს.]

53 ფ.; 20×15; ქაღალდი, უფდო, (დალეჭებული, 5 ფ. ამთვარდნილი); მხედრული სათაურები სინგურით); [მე-19 ს.] ნაყიდია 1914 წ.

„სამართალი პირველი. შესავალი: ა. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ნაბძანები.—მყოფისა, უმყოფისა, არსისა დაუარსისა დამაარსისა მქები, არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მჭონე, მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითიდღე მრეველნი ჴელთა მარგარიტთა შინდა ჰპოებენ მძიეთა რათამე და უხილველობისათჳს აღიღებენ და შთასდებენ საუნჯედ პატიოსანთა, შემკობით უპატიოსნედ მარგარიტთა ჰყოფენ..." 1 r—46 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს ანბანური საძიებელი (47 r—53 r).

2. ტექსტში დატოვებულია ხარვეზები: 32v—**როშ** §; 33 v—§ **რხე**: 35 r—§ **რჟე**: 36 v.—§ **სდ**: 45 v.—§ **ხვგ**.

3. ანბანური საძიებელის ბოლოს, ქვემორე, 7-სტრიქონიანი [კრიპტოგრამა ?] 53 r.

მინაწერები: 53 v.

1095

მირიანი [მე-19 ს.]

24 ფ.; 22×16,3; ქაღალდი (სხვადასხვა); უყდო; დაშლილი (24 ფ. დაბეჭდილი); მხედრული (ნაკლული); მე-19 ს. ნაწილია 1914 წ.

„ა[მ]ბავი დასაწყისი მაშრიყის კემწიფისა.—იყო ერთი კემწიფე ჩინეთისა ხოსრაშა, დიაღ ძლიერი და მაღალი, მაგრამ უშვილობისათვის მწუხარებაში იყო მიცემული, რომ ყოველი თავისი სახემწიფო და საბძანებელი ჩალად მიაჩნდა...“ 2r—24v.

წ ყ დ ე ბ ა: თავზე „აქა ხურუშიდ დედოფლისაგან ნასიბის მიყვანა და მირის ამბის გამოკითხა. „ხურუშიდ დედოფალმა ნასიბს კაი ხალათი უბოძა და გაისტუმრა. ნასიბ რომ წავიდა, ქალმა იდუმლად ტირილი გაახშირა და თქუა: ჰეშმარიტად მე რომ სიზმარი ვნახე...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ბოლონაკლულ ტეკსტს შიგნითაც აკლია: 12 და 13, 17 და 18 ფფ.

1096

კრებული [მე-19 ს.]

10 ფ.; 22×18; ქაღალდი, უყდო, მხედრული (სხვადასხვა ხელით); [მე-19 ს]. დაუწერელია: 9rv, 10 rv. ნაწილია 1914 წ.

1. „წინადადებების განმარტება. წინადადება: «ივანე წავიდა». აქ ჩვენ ავიღეთ საგანი და იმაზედ ეფიქროფთ ანუ ვსჯით. მსჯელობა არის ფიქრობა საგანზედ. «ივანე წავიდა» აქ არის ერთი წინადადება...“ 1r—2v.

თ ა ვ დ ე ბ ა: „...ნართოული წინადადება არის ისა, რომელიცა გამოეკიდება უპირატეს წინადადებასა განსაცალებელად ჰაზრისა“.

2. „განმარტება 5. მწყემს ერთი ღმერთი (მამა) ყოვლისა მპყრობელი. რათამცა არავინ განიზრახოს, რომელ ყოველნი ქმნულებანი ვალდებულ იყვნენ ღვთისადმი მხოლოდ პირველდასაბამითისა არსებითა თვისითა, ამისთჳს წმინდა ეკლესია გვასწავებს ჩვენ სიმეოლოსა შინა სარწმუნოებისასა, რათა უწინარეს ყოველსა აღვიარებდეთ ყოველსა მპყრობელსა და მარადის მოქმედსა განგებულებასა ღვთისასა...“ 3r—8v.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. მოცემულია „სარწმუნოების სიმბოლოს“ მხოლოდ პირველი წ-ის განმარტება.

მ ი ნ ა წ ე რ ი: 3r. ქვემო არშიაზე: „Дияконъ Григорій Павлиевъ“—(წეიძლება „განმარტების“ გადამწერი იყოს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1097

კრებული [1864 წ.]

50 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო (დაშლილი, დალაქებული, 19 ფ. დაზიანული); მხედრული (სხვადასხვა ხელით); 1864 წ. (48 ს.); გადამწერი: ცალკალამიძის ქვრივი ნინო (48 ს); დაუწერელია: 34 v, 35 v, 36 v, 37 v, 38 v, 39 v, 40 v. ნაყიდია 1914 წ.

1. [გრიგოლისა და მთავარ-ანგელოზის გაბაასება — აპოკრიფული]. „... მოახსენა გრიგოლმან: როგორ ამოართმევს სულსა ცოდვილისაჲ? უბძანა ანგელოსმან: მივალ ცოდვილთან, ვეჩვენებით სულ-ამომავალთა ანგელოსივით და საშინელი სანახავითა, ხმაღი ჴელსა მევედრება [!] ცეცხლისა. ნახამს გზასა ბნელსა და ნახამს თავის ცოლ-შვილსა ცრემლისა თვალით...“ 1 r—8 v.

2. „მოახსენა გრიგოლმან: როგორ ამოართმევს სულსა ცოდვილსა...“ 9 r—11 v.

შენიშვნა: 1. § 1-საგან განსხვავებული ხელით (უფრო გვიანდელით) ნაწილობრივ გადმოწერილია წინა სტატიის ტექსტი (1 r—3 r).

2. 11 v-ზე—წერილის ტექსტის დასაწყისი: „მის მაღალს პატიოსნებას ჩვენს საყვარელს დედას და მამას...“

3. ბარამ-გულანდამიანი (თავნაკლული) „...ბაჯობა. გაწყრა ბარამ. აიღო, მაღლა დასცა ქვეყანასა, თავი მოკვეთა. მაშინვე თავის შუბზე (ი)აცვა და თანა ჰონდა. ბეზდის ლაშქარი ეგრე დარტევდნენ, ხელი ვერავინ გასძრა, მას ღამესა ჩინეთსა ზრიალის ხმა ესმოდა და ბურჯებიდგან იყურებოდნენ და არ იცოდნენ თუ რა ხმიანობა არისო...“ 12 r—50 r.

შენიშვნა: ტექსტს აკლია შიგნითაც—40—41, 42—43 შუა.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა ეს ბარამიანი ცალკალამიძის ქვრივი ნინოსაგან. ვინც ისროოთ [!] და წაიკითხოთ, შენდობასა [!] უბძანებდეთ დამწერსა. დაიწერა მარიამობის თვის კ. ჩ̃ჟდ“

1098

კრებული [მე-19 ს.]

6 ფ.; 22,3×17; ქაღალდი (ცისფერი); უყდო; დაშლილი; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს. ნაყიდია 1914 წ.

1. „აღწერა უჩინებულესთა ერთა ევროპიისათა.—ნემეცნი, ფრანცეცნი, იტალიანელნი, ღიშპანელნი, ინგლისნი...“ 1 r-v.

შენიშვნა: „1. თვითოეული ამ ეროვნებათაგანის დახასიათება მოცემულია ცხრილში, რომელსაც 13 რუბრიკა აქვს. 21 v-ზე: „ღილდლანდიის ერი არს ამაყი და ცოლნი მათნი არიან უფალნი...“ აქვე, დამატებით დახასიათება ევროპის მთავარ ეროვნებათა.

6. საქ. მუზ. ხელნაწ. აღწერ.

2. „ღირს-საცხოვარნი სიტყუანი.—ოთხნი ნივთნი არიან უკმოუქცეველნი, ანუ დაუბრუნებელნი: ესე იგი სიყმაწვილე, დროჲ, ნათქუამი სიტყუა და ჭალწულება...“ 1 v—2 r.

3. „უბნობაჲ შორის მწიგნობრობისა და ყმაწვილისა.—ცხა ერთი დასეირნობდა პირსა-ზედა მდინარისასა და შემოეყარა მას მწიგნობარი ფრიად ჩაფიქრებული...“ 2 v—4 v.

4. „რომელნიმე შესწავებანი დედაკაცთათჳს და ქორწინებისათჳს.—დედაკაცთა სილამაზესა შეადგენენ: ახალ-მოჰასაკეობა, საშუალ-ტანადობა, კანონიერ-დაწყობილება ყოველთა ნაწილთა სხეულისათა...“ 5 r—5 v.

5. „შოტლანდიის ლიტონი სალდათი.—ღლასოვსა შინა სალდათი, სახელად რიჩარდ მელტონ, დღესა კიდრიაკესა მივიდა ეკლესიასა შინა და თან მიიტანა ნაცუალდ ღუკუანისა ერთი ჴელი სათამაშო ქაღალდი...“ 6 r—6 v.

შენიშვნა: ხელნაწერში მოთავსებული მთელი მასალა რუსულიდან ნათარგმნი ჩანს.

1099

გამოცხადება მარტომყოფელისა დანიელისა [მე-19 ს.]

4 ფ.; 34×22; ქაღალდი (ლურჯი); უყდო; დაშლილი; დახიანებული; მხედრული, [მე-19 ს.]; ვერცნობილია: 18ჲ3 (3 ფ.); თარგმნილი ბერძულიდან არხიმანდრიტი ვენედიქტეს მიერ (4 v); ადგილი: ტფილისი (4v). ნაწიდია 1914 წ.

„[მ]არტო-მყოფელის დანიელისა, რომელი იხილა [წელსა 1764, ნოემბერსა].—მარტო მყოფელ(ი) დანიელ, ოდეს მივიწერე კორფუჲსა შინა სფირიდონ საკვირველთა-მოქმედისა ნა[წი]ლის თაყვანის საცემლად, დავშთი მუნ ერთსა საზოგადოდ მცხოვრებელთ მონასტერსა შინა რაჲ წელ და მსურდა რა მიმთხუეულ-ვიყავ მოწამებისა გვირგვინსა და ყოველ ჟამ საწადელისა და სასურველისა ჰაზრისა გამო აღტყინებულის ცეცხლით ვიწოდი და ჴეძიებდი რომლისა ღონისძიებით სტაბითოსა მას შინა შევსულვიყავ...“ 1 r—4 v.

ანდერძი (მთარგმნელისა): „ხოლო ღირსისა დანიელ მარტო-მყოფელის ძილის შორის ესე გამოცხადება ბერძულისაგან ქართულსა ენასა ზედა ითარგმნა წმინდის ქრისტეს საფლავის არხიმანდრიტის ვენედიქტეს მიერ, ქალაქსა შინა ტფილისსა. ნამდჳლსა თანასწორე არს, უფრორე განმართვით ლექსთასა. დეკანოზის შვილი იეროდიაკონი დიდიძე „ანტონი“ 4 v.

1100

კრებული [მე-18 ს.]

30 ფ.; 17,3×11,2; ქაღალდი (ცისფერი); უყდო, 4 რვეულად შეკერილი (18 ფ.—კიდემოხეული, 24 ფ.—მთლად-დილი); მხედრული (სათაურები სინგურით); 1781 (1 v.), 1791 წ. (17 r); გადამწერი: დავით რეკტორი, ალექსისძე (1v); ადგილი: ტფილისი (1 v.) ნაწიდია 1914 წ.

1. „[დავით რეკტორი. იამბიკონი.] „სიტყუა პირუელი. ვითარ იშუა ძე შეფის ირაკლის ლეონ.—ა. დასაბამ ღმერთი იყავენ ყოველთა თავად...“ 3 r—4v.

ბ. „სიტყუა მეორე. ვითარ აღიზარდა და მშობელთა გულთა განაცხრობ-(დ)ა უცხოდრე ყოფითა თჳსითა.—

დავითის ძირით გამოსრულმან ჰქმნა ესე,
რომელ მშობელთა მიჰფინა სიხარულნი...“ 5 r—6 v.

გ. „სიტყუა მესამე. ვითარ ასაკითი-ასაკად მიწევნითა გამოჩნდებოდა მამი-სებრი ძე და აქებდიან მოხუცებულნი.—

„სათანადო არს სიტყუათა წარმოჩენა. არა ფარულად, არცა მრუმე ყოფითა...“ 7 r-v.

წყ უ დ ე ბ ა მე-5-ე იამბიკოზე: „ოდეს მზის სიმგურგვლე დაფარჯთ ღრუბელსაშინა იყოს რა შინათ და არა საგრძნოთადმი,
წარხდენ თერისტენი ბრწყინჳასა ნათლისასა,
რომელ ბრიან ღრუბელნი ყრმობათანი, ეგრეთ...“

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა: იამბიკოებს წინ უძღვის დავით რეკტორის მიძღვნა: „მისის სიმაღლის სრულად საქართუელოს მეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათჳს თქმულნი ათნი სიტყუანი იამ(ბ)იკოდ.—ურტუელმან გონებითა და მწუხარემან ფრიად გულითა ვჰქმენ იამბიკონი ესნი ათთა შინა სიტყუათა, უფერადოსა და მდაბიოსა ლექსითა, ყოველთა მიმართ ადვილ საცნოდ და გასაგონად, ყოველთა აღმმკითხუელთა უმდაბლესად მოვახსენებ, ყოველთა მიმართ უმცირესი მონა ალექსის ძე დავით. წელსა 1781. თთუესა ავგისტოსა 10. ქალაქსა ტფილისს.“ (1 r—v).

2. „ალექსის ძის დავით რეკტორისაგან თქმული იანბიკონი კიდურწერილობით. ერისთვის დედის ქეთეონზედ, ოდეს სამნი ძენი დაეხოცნენ: ბეგლარ, დავით ერისთავი და ალბაბა. იხილე, მუზრუტო, რომელისა კიდურწერილობა არს ესთა: „სამთა ტარს ძეთა გოდებით, ქეთავან, ეტნისთ მოდებით.“ ჵმა დ სამსახეობა.—

საბავთოს ვიტყუი. მისნინე, მსმენო, სავსედ...“ 8 r.—10 v.

3. „ოკდომბერს (იზ), ყოველსა საქართუელოს მეფის ძის ანტონის შობისა დღესა, შესხმად თქმული მ ც ი რ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა ლ ე ქ ს ი ს ძ ი ს ა გ ან, იამბიკონი რვა მუხლნი, რომლისა კიდურწერილობა, საშუალწერილობა დ[ა] აკროსტიხორნი არს ესთა: „დავით ბუტკჳს ძირებსა, ვინ დღესა განიჭრებსა“. სამ სახეობა სამებისა.—

დღეს დაძნობს დავით სულითა ცხოველითა...“ 10 v—12 r.

4. „ოკდონბერს (იზ) ყოველსა საქართუელოს მეფის ძის ა[ნ]ტონის შობისა დღესა, შესხმად თქმული მ ც ი რ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა ლ ე ქ ს ი ს ძ ი ს ა გ ან, იამბიკო, რვა მუხლედნი, რომლისა კიდურწერილობა, საშუალ-წერილობა და აკროსტიხორნი არს ესთა: „დავით მტილს სარნა, ზანზაჭსა ცვარნა, ზეს ბუტკჳ ფარნა, დღეს ძრობით ქნარნა“.—

„დღეს მქუსელი მექმი შენივთავს საქმეთუოსა...“ 12 v—13 v.

5. „ოკდონბერს (იზ) ყოველს საქართუელოს მეფის ძის ანტონის შობისა დღესა შესხმად თქმული მ ც ი რ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა ლ ე ქ ს ი ს ძ ი ს ა გ ან, იამბიკო ხუთ-მუხლედნი, რომლისა კიდურწერილობა არს ესრეთ: „ვინ დასცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნარი, მან ჯართთო ცუარი.“ სამსახეობა ჴმა დ.—ველმან, კაზმილმან განიკრთო მოელვარედ...“ 14 r-v.

შენიშვნა: ბოლოში: „წელსა ჩღოგ, 1776, ქორონიკონს უჲდ“ 14 v.

6. „ესენი ჩემს მოწაფეთ, რომელიც ამას ქვემო ჰსწერია, თითო იამბიკო მოვახსენებინე ვახტანგ ბატონის შვილისათვის, თელავის სკოლაში, მარჯუნივ და მარცხნივ თქითა. თითო-თითოს მიმოგდებით. იამბიკო ჴმა დ. სამსახეობა.— 1. გურგენ მდივნის ძისა. 2. მერაბ ენდრონიკას შვილისა. 3. იოსებ ალავერდის დეკანოზის ძმის წულისა. 4. კიკო გიორგი დეკანოზის ძისა. 5. იოელ გარეჯლის დავით კანდელაკის ძისა. 6. ვასილი შიო მღუდლისა ძისა. 7. იოანე ჩემის გასდილის გესამანიელის გიორგის ძისა. 8. დავით მიქელის ძისა. 9. გიორგი მუხრან ბატონის ძისა. 10. ბეჟან თანიაშვილისა.“ 15 r—16 v.

შენიშვნა: 1. დართული აქვს: „კუალადვე ბოლოდ მადლობად თქმული გურგენის მიერვე.—ერთებრ ჴმა-ქმნილნი, ერთითარუ პირითა მოგიძღუნით ქებას, შესხმისა დიდებასა...“ 17 r— 18 r).

2. 17 r-ზე: „მოძღუარი ამათ ყუელ მოწაფეთა ალექსისძე, თელავის ქალაქის სემინარიის რექტორი დავით. ფებერუარს 16. წელსა 1791“.

7. „ალექსის ძის დავითის მიერ სიტყუაჲ ძნიად აღმოსაცნობი, როდესაც მეფემან ირაკლი მეორემან სრულიად კახეთის [!] რექტორად დაადგინა. ესე იგი სამეცნიეროთა მოძღურად ქალაქსა თელავს, სასახლესა შინა, პალატსა სამეფოსა და მუნ სემინარიასა. მაშინ სემინარიასა შინა ესე სიტყუა იმოძღურა მისგან დაწერილი. ესე სემინარიასა კედელთა ზედა აღწერა და მცნობელთა განმარტეთ, ვინადგან უკუე განწყობილდა ორ-კერძოდ, ხოლო კერძო იგი პირველისა—მეორე იქმნა განწუხელელ ორ-კერძოდუე...“ 17 r—18 r.

8. „ნეკრესელს დოსითეოსს ეთქუა ლექსი ოთხი ტაეპი საბა ორბელიანის ქებად. ლექსიკონზედ დაეწერა და ლექსიკონის შრომისათვის ექო. მას უკან კიდეც ერთი ოთ-ტაეპოვანი შაირი ეთქუა თავის თავის ქებისა, მაგრამ მზეჭაბუკ ორბელიანის მაგიერად, ვითომ მზეჭაბუკ აქებდეს ნეკრესელს დოსითეოსს. საბას ქებად ნათქუამი ნეკრესელისაგან.—

„ვერვინ შეჰკადრებს გიობას, თუმ [!] შეკრბენ ბრძენნი ასები,
შეგისომს სავსე სიბრძნისა ფიალნი, გინა თასები.
შენებრივ ბრძნისა გაბჭობით, პლატონურთ დაედასები
და ნათქუამნი შენნი არიან უფასოდ დასაფასები.“ 18 r.

9. „ესეც დოსითეოს ნეკრესელის ნათქუამი არის თავის თავის ქება, მაგრამ ჭაბუას მაგიერ:

ბრძენო დოსითე, ჩერქეზო, მცნობო ზენავე აასა.
ვრცელ-გულო, ენა-მავალო, დამხედო არსთა აასა.
შეთხზულმან შენგან შაირმან აწ ხედვა ჩემი აასა
და შეჰკრიბა ბრძენთა გულები, ერთმანეთს გააბასა.“ 18 v.

10. „ეს კ დავ ̱თ ალექსის ძის კახეთის რეკტორისაგან არის დოსითეოს ხეცრისელზედ ქებად ნათქუამი.—

მინერვისა მეტალთაგან აწრთობ ძნობით სტიხთა ბრძმედსა...“ 18v—19r.

11. „მისს უგანათლებულესობას საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძის ძეს ბატონიშვილს დავითს: შესხმით უგალობ ალექსის ძე რეკტორი დავით: იროკოთა ამათ ორათეულთა. ვმა დ. სამსახეობა.—

1. აღმცისკამარი, ჰაერთა გონებისთა...“ 19r—22v.

12. „მისის უგანათლებულესობის უქვენაესი მონა ალექსის ძე, თელავის ქალაქის სემინარიის რეკტორი დავით. თუსა აპრილს ი, წელს 1791. მისს უგანათლებულესობას საქართუსლოს მეფის ირაკლის მეორის ძის გიორგის ძის ბატონიშვილს დავითს, შესხმით უგალობთ იროკოთა ამათ თელავს ქალაქსა შინა, სამეფოსა პალატსა სემინარიისასა, ზოგად მოწაფენი ალექსის ძის დავითის რეკტორისანი, აპრილის ბ, წელს 1791, ვმა დ. სამსახეობა: [შესხმა] 1. ბეჟანისა. 2. იოსებისა. 3. სოლომონისა. 4. გურგენისა. 5. კოკოსი. 6. ევგენისა. 7. დავითისა. 8. იოელისა. 9. ბეჟანისა. 10. ვასილისა. 11. იოანესი. 12. გიორგისა. 13. იოსებისა. 14. ისაკისა.

შენიშვნა: დართული აქვს „შემდგომად მადლობა იოსებისაგანვე. — თვალი გონების, მჳრეტელი ყმათა შენთა...“ 25r.

13. „მისს უმაღლესობას მეფესა საქართუსლოჲსა და სხუათასა, მეორესა ირაკლის, ყოვლად უმოწყალესს, დიდებულსა ჴელმწიფეს: შესხმით უგალობ ოროკოთა ამათ სამთეულ ხუთ-ხუთეულსა, ყოვლად უმდაბლესი ალექსის ძე და თელავის ქალაქის სემინარიის რეკტორი დავით. ვმა დ. სამ-სახეობა:

ა. ანტლატიკოსთა ყოვლადუ მრუმოანთა...“ 25v—28r.

წ უ დ ე ბ ა იზ ტაეპით: „...კნინღა შესაძლდ დამანთჭი ერის შინის...“

14. [დავით რეკტორი] „მის ბრწყინვალებას ქობულოვს, მდიევანს, ჩემს უსარწმუნოეს მოწყალე ჴელმწიფეს იოანეს.—ვინადგან არა რაჲ არს მზესი ქუუმე სარწმუნოსა მეგობრისა ბრძნისაებრ ზარახჳა, რომლისა შეკრულება კავშირისა სიყუარული და ურთიერთარს რაჲსა მიმართება მითვე სახელითა, რომლისა ხედვა არს უკუუ მეორითა, ვითა მასწავა გამოცდილებამან...“ 29r—30r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „თქვენი უსაკუთრესი მეგობარი ალექსის ძე დავით.“

1101

აკათისტო საეკდრებელი [მე-18-19 ს.]

8 ფ.; 18×11; ქაღალდი; ყუდო; დაშლილი; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-18–19 ს.] გადამწერი: დავით (7r); დაუწერელია: 7v. 8v. ნაყიდია 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აკათისტო საედრებელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ, თქმული წმიდისა თეოქლისტე სტოდიელთა წინამძღურისა. კმა ჱ. იბაკო ა.—ზესთა მბრძოლო უფალო, ჯოჯოხეთისა დამთრგუნველო! ვითარცა ხსნილი საუკუნოჲსა სიკუდილისაგან, ქებულებასა აღვჰსწერ შენი დაბადებული და მონა შენი...“ 1 r—7 r.

შენიშვნა: აკათისტო 12 იბაკოსაგან შედგება.

ანდერძი (გადამწერისა): „პატიოსანნო მამანო! მომიხსენეთ ცოდვილი მჩხაპაი ამისი დავით“. 7 r.

მინაწერი: 8 r.

1102

სამართლის წიგნები [1841 წ.]

201 ფ.: 33×24: ქაღალდი: ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; დაზიანებული (პირველი ფ. გახეული); ამოკრილია თითო ფ. 21—22, 37—38 ფფ. შუა); მხედრული (სათაურები სინგურით); 1841 წ. (200 v); გადამწერი: აბელ ბაკმეისჯოვი (200 v); დაუწერელია: 11 v, 41 v, 86 v, 150 r-v, 156 v, 169 r-v. შემოწირულია ნინო ოთიას ასულის აბდუშელიშვილისაგან 1914 წ.

1. „დაბადება. მცნება ღ~თისაგან. სამართალი მოსესი.—თავ უკაე მამასა შენსა და ვითარცა გამცნო შენ უფალმან...“ 42r—47 v.

2. „სამართალი ბერძული. ლევან ბრძნისა და კოსტანტინესი და სხეათა ჴელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება, სჯულის კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათჳს, რათა რაოდენიცა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედიცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმენოთ და ვყოთცა.—რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად სახელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 48 r—84 v.

3. „სამართალი სომხური. ესე წიგნი არს დიდისა სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გაღმოთარგმნულ და ეწოდების სახელად წიგნი სამართლისა. თუ იკითხავთ და შეტყობა გინდათ თუ რომლისა წიგნისაგან შეგვიკრებია, მოგახსენებთ...“ 85 r—147 v.

4. „სამართალი ქათალიკოზისა. სახელითა ღ~თისათა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოველსა საქართველოსა კათალიკოზმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთისა ქ~ჯ [მა]მათ მთავარმან ევდემონ—დავსხედით და შემოვკრიბენით ყოველნი ეფისკოპოზნი აფხაზეთისანი და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან...“ 148 r—149 v.

5. „ძეგლის დადება მეფეთ-მეფისა გიორგის მიერ: ჩვენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძმემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავსდევით ძეგლი, განვაჩინე ესე, მას ჟამსა მისა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსაველელად, ღ~თისა მოწყალებითა, ყოვლგნით უცილებლად ქონებასა შინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფოსა ჩვენისასა და უტყიღებლად პყრობად ტახტისა და სკიპტრისასა წარ-ვედით ტახტით ჩვენით ქალაქით...“ 151 r—156 r.

6. „სამართალი აღბუღასი. შევიყარენით ჭლთა, მინდობილნი ღ-თისანი და აწყურისა ღ-თისმშობლისანი და გაჭცევისა, დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მინდატურთა უხუცესის შუქას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავწერეთ...“ 157 r—168 v.

7. „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა:“ მყოფასა, უმყოფისა, არ-სისა დაუარსისა დამაარსისა მქები, არა თუ ღირ!ად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მჭონე, მპოვნელი ვიქმენ, ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეცხელნი ჴელთა მარგალიტთა შინადა, ჰპოებენ მძიეთა რათამე და ჴხილველობისათვინ აღიღებენ და შთაზდებენ საუნჯეთ პატიოსანთა...“ 170 r—200 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: 1. მუხლობრივ-საგნობრივი **საძიებელის** ცხრილები: „სწავ-ლანი მოსაბარძალოსთანი, თუ ვითარ უნდა სამართალი...“ (1 r—39 v).

2. [ვახტანგ VI-ის **წინასიტყვაობა**]: „დასაბამითგანვე დამბადებელმან საფუძველთა ქვეყანისათამან...“ (40 r—41 r).

ანდერძები (ძველი ნუსხისა): 1. „ზე ადიდოს დმერთმან საქართველოს ჯანიშ(ა)ნი ბატონის შვილი პატრონი ვახტანგ. ქ-კას **ტყე** ენკენისთვის სამს“ (84 v, 151 r, 48 r).

2. „თვით თავით თვისით აღმომტუელი წიგნისა ამის სამსაჯუოსა და მო-მღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა და ყოფადთა. ძე მეფეთა და გამგებელი ქართველთა ერთა ბატონისშვილი ვახტანგ კუალად ვიტყვი...“ (192 v—193 r).

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წიგნი კანონისა ჴელითა ჩემითა ეს. აბელ ბაგბეულოვისა მიერ: 1841 წელსა, დეკემბრის 10-სა დღესა“ (200 v).

„ეჰა, მსაჯულო, რას იტყვი მას დღესა განკითხვისასა?
სად შენი შიში არ იყოს, შენ შიშსა იყო სხვისასა.
ქედმოდრეკილსა გკი[თ]ხიდენ შენი საქმისა გვრისასა,
და სამწყსოთა შენთა მოვლასა და მათის განგებისასა.
ჯაჭვი მაცივა სიწმინდის, მამულის ერდგულებისა,
ლამპრად ეგა მაქვს ხელთ-საპყრობ სულისა განათლებისა,
აღდგომის დროზედ უფლისა მარჯვენით მასთანა ხლებისა
და სიყრმიდან ერდგულ მსახური, დამლევი ჩემის წლებისა“. 201 r.

1103

კრებული [„ავალიშვილის დავთარი“] [მე-19 ს.]

98 ფ.: +1 (34ა.); 29,5×23, 5; ქაღალდი: მუყაოს ყდა (მოცილებული, დარღვეული); დაშლილი, დაფურცვლილი (1—8, 18—20, 27, 43, 50, 67, 74, 91 ფფ.); კიდეებ-შემოცვეთილი, დახეული (18, 20, 27, 74, 91 ფფ.); მხედრული; გადამწერი [გიორგი ავალიშვილი]; დაუწერელია: 16 v—17 v. 65 r-v, 68 v, 91 v.

1. „თავადისა დიმიტრი ორბელიანოვისა, სახლთ-უხუცესისა მიერ თქმული.—ანის ქალაქით წარმოველ, ალავერდისკენ რებული...“ 1 r—4 r.

შენიშვნა: 1. ლექსს წინ უძღვის დიმიტრი ორბელიანის ანდერძი და ოთხსტროფიანი ლექსი [„ანუ ვისი კაცი ხარ“] ლექსისათვის.—ეს ახბანთ-სიტყვა-მარჯვებაობა მესხთა ძეწლადგანევ ამბავად ნათქვამი იყო, ერთი მეორის შესაკეცვრად. აწ მე ლექსად შევაწყვე ანბანთ ქებადვე. პირველი სიყრმის ნამუშაკევი არის და არცა ვის ეთქუა; თუ არ მოგეწონოსთ, ნუ მგმობთ და ქებას კი არ ვითხოვ. თავადი დიმიტრი ორბელიანი.—

მარტველობაა მოცლილი, სიცრუეეს მიჰსცემს ძალებსა...“.

2. ამავე ლექსს ბოლოშიც დართული აქვს ერთი სტროფი (ავტობიოგრაფ. ხასიათისა).

2. „თავადისა ალექსანდრე ამილახვაროვისა მიერ თქმული „ანბანსა-ზედა ვისი ყმა ხარ?“.—

„აღმოსაველეთით წარმოველ, ასურეთს მივალ რებითა...“ 4 r—7 r.

შენიშვნა: დართული აქვს: „ესე მეთქუა ჩრდილოსა, ჩემთვის უადგილოსა, ნუთუ მწერსა ამით რა მცირე მომელხინოსა.“

3. „თავადისა ალექსანდრე გარსევანისის ჭავჭავაძეს მიერ თქმულნი.—

(1) თავსა უფლად ნუ ვინ ჰგონებთ...“ 7 r.

(2) „კუპადონის ადრიატზე.—
წარმავალო! აჰა, მეფე, რომლისაცა ჴელმწიფებას...“ 7 rv.

(3) „მისგან რომ ცეცხლი მეგზნება...“ 7 v.

შენიშვნა: ი. გრიშაშვილის გამოცემის (თბ. 1940. გვ. 99)—ვარიანტი.

(4) „თუალნი ჩემნი მზესა ჩემსა...“ 7 v.

(5) „რაა სიკუდილი, რაა მისი საშინელება...“ 7 v.

შენიშვნა: ლექსის ეს ვარიანტი შეიცავს ი. გრიშაშვილის გამოცემაში გამოქვეყნებულთან (გვ. 123) შედარებით ორ ზედმეტ სტრიქონს სტროფებს შუა:

„როს მას ვერ ვახედავ, როს არ მესმის ჴმა მისი ტკბილი,
დღე იგი ჩემთა დღეთ რიცხტთაგან არს მოსაბილი.“

და ორ სტრიქონს ბოლოში:

„თუ დიდი ლხენა ან ჭმუნვა გუმანზეზედეს სიკუდილსა,
ვითა რჩეს სული მოყმისა, თან მჰხლესა ანუ შორ-ქმნილსა“.

(6) „სძგერს გლახ-გული, საფუარელო! მლოდე შენი უწყალავს თმენას...“ 7 v—8 r.

(7) „ბაგე-ვარდო, ნამეთ სტკბლო, სუნნელთაგან მომჭსუნთქუსლო...“ 8 r-v.

(8) „გუთნის დედა.—
მშჳდობით, ეროდაბუნო! შუშნიერო და კარგო...“ 8 v—9 v.

(9) „შექცევათათჳს.—
თქუნ, რომელნი ლხინთ მორევში დაფლულნი და უძლურ ქმნილნი...“ 9 v—10 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(10) „იმჭრატრიცა ელისაბედის მიმართ.—
ჩანგისა ჩემის ლართ-განმმართჳ გულისა ნებით...“ 10 r.
(11) „დიმ—ისადმი. ვ.—
„მხოლოობის და მოცლის ნაყოფს კალმითა მდარით...“ 10 r—11 r.
(12) „კავკასია.—
თხემის შეუპოვარის პონტოჲს ზჳრთთ-მიმყრდნობი...“ 11 r—12 r.
(13) სხუა და სხჳსა დროჲსათჳს კაცისა. ნათარგმნი მის მიერჳ [!].—
ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩუნებელი ჭმუნვის ალთა...“ 12 rv.
(14) „დაუდგრომელი მწყემსა და კეთილი მწყემსი, ანუ კობლე და ხლოე.—თქმული მის მიერჳ.—
კობლე.
ჳლოეე! რაა მაგრე მარტოდ ტარება!..“ 12 v.
(15) „პყრობილობისა დროსა თქმული მის მიერჳ.—ჰკუნესს გული, ძმანო, ჴსოვნად კმანო, მომჴსენი ევბის...“ 12 v—13 r.
(16) „მუსტაზადი.—
მწამებ ჴსოვნისა არცღათუ მშთომოდეს ჩრდილი...“ 13 r.

შენიშვნა: სკოლიოში გადამწერი (გ. ავალიშვილი) აღნიშნავს—„კეთილშობილისა პეტრე გიორგის-ძის ლარაძესა მიმართ არს მიწერილი მუსტაზადი ესე.“ 13 r. კვემო არშიაზე.

(17) „თეჳნისი.—
არვის მართებს მის ვარდისა მიხჳლრა...“ 13 r.
(18) „ამად მემდურე, კინამო...“ 13 v.
(19) „მემთრალეასადმი.—
შენ ნარგისი ახალი ხარ, თავსა შენსა ჰსტრფობ და ჰყჳარობ...“ 13 v.
(20) „მას სამი რამე ჰქონან უებრო, გლახ მტერთა მისთა მომდრეკად ქედის...“ 13 v.
[საყვარლისათვის].—
(21) „ღიმილმან ლალთ კართ განღებით მარგარიტთ მწყობრი აჩინა...“ 13 v.
(22) „როს ბულბული საამოვნოდ აღიმაღლებს ჴმას და მღერობს...“ 13 v.
(23) „ო, მთოვარეო, შემწყნარეო აშიკთ გულების...“ 13 v.
(24) „ვიდრემდის გჭონან ღმრთისაგან ოქროსნი დღე და ღამენი...“ 13 v—14 r.

შენიშვნა: ი. გრიშაშვილის გამოცემაში: „ვიდრემდის გჭონან.“ პუშკინით. (თბილისი. 1940. 143 გვ.)

(25) „პრიპინაჲსათჳს. [ლაფონტენით].—
პრიპინამ ერთხელ პრიპინით მთელი ზაფხული ატარა...“ 14 r.

(26) „მოძღურისა და მოწაფეისათჳს [ფრანგულით].—
ერთსა ვისმე მოხუცს პატრსა პარასკევსა დიდ-მარხჳსას...“ 14 r.
(27) „როს სატრფო მოუვა გულსა...“ 14 v.

შენიშვნა: ამ ლექსისა და ქვემოთ მოთავსებული სხვა ლექსებისათვის ზემო არშიაზე, მთავრული ასოებით დაწერილია საერთო სათაური: „ნათაროგმნი თავადის ალექსანდრე გარსევანისძის ჰავჰავაძისა მიერ.“

(28) [პუშკინით] „განლვიძება.—
„სადა არიან, ოცნებაო, სიტკბონი შენნი?..“ 14 v.

შენიშვნა: ლექსის თავში: „ნათარგმნი მის მიერ.“

(29) „თქმული მის[ა. ჭავჭავაძის] მიერ.—
როს გაყუარდი სურჳთ შეყუარებულსა...“ 14 v—15 r.
(30) „შენის გონების სხივნი ესრეთ ბრწყინვენ ძლიერად...“ 15 r.

შენიშვნა: ი. გრიშაშვილის გამოცემაში 86 გვ. მოთავსებულ ტექსტთან შედარებით აქ გვაქვს დამატებით ორი სტრიქონი (ბოლოში):
„სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გეფლობდენ,
სიპაზუკეს და სიფიცხეს რაცა უნდესთ, მაშინც ჰყოფდენ.“

(31) „სიყუარულო! ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ მონებდეს...“ 15 r.
(32) „აღრეცულების [!] შიშები, ვისაც არ გამოეცადოს...“ 15 r.
(33) „როს ესჰგრეტ შენსა სიკეკლუცეს, შენსა სახეს, შენსა ქცევას...“ 15 r.
(34) „ვინ გიხილვოს — ინატრიდეს კუღლაცა გნახოს, კუღლაცა გნახოს...“ 15 r.
(35) „ერთგზის ჴელმან შემბრალემან ტრფიალებით მწყურვალესა...“ 15 r.
(36) „მცირეს სენის ეზომ შიში სიმჴნეს, ვგონებ, არა ჰგუანდეს...“ 15 r.
(37) „აჰა, ესე ვარდ-ზამბახნი, შენთა ელფერთ მომპარჳსნი...“ 15 rv.

შენიშვნა: ლექსის თავში: „ერთი ყრმა კაცი ქალსა ვისმე თაიგულის(ა) მირთმევაში ეუბნება.“

(38) „სხუა. — ნეტარ მას, ვინცა შენს ახლოს შენ მხოლოსათჳს ოჰჴრეცდეს...“ 15 r-v.
(39) „წარწერილებაჲ საფლავსა ზედა ყრმა წულასასა.—
შჳნიერ იყო! მარა რა? ამა სოფლისა ყოველი...“ 15 v.

შენიშვნა: ლექსის თავში, სათაურის წინ: „ნათარგმნი მის-მიერჳ.“

(40) „ჲ, თავო ჩემო, ამა სოფლის უწყი არა-რა...“ 15 v.

შენიშვნა: ტექსტის წინ: „ნათარგმნი მის მიერჳ სპარსულით.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

(41) „ვით ქარი ცეცხლსა, ეგრეთრე სიშორე ტრფიალებასა...“ 15 v.

შენიშვნა: ტექსტის წინ: „ნათარგმნი მის მიერთ.“

(42) „ლექსნი ანაკრეონულნი.—
„როსმე კუპიდონ გეჯიითგან თაფლისა მღები წყანარადა...“ 15 v.

შენიშვნა: სათაურის წინ: „ნათარგმნი მის მიერთ.“

(43) „რა ჰყოს გლახ-გულმან, შენგან წყლულმან, განგდებულმან ფუმა-
ლამოდ...“ 15 v—16 r.

შენიშვნა: სათაურის წინ: „თქმული მის მიერთ“.

(44) „რასტი გუშა გულპამანუმ ჯანუმის ვმა.—
მსურდა ოქრვა ჩემი დუმით მეკრძალა...“ 19 r-v.

შენიშვნა: სათაურის წინ „თავადისა ალექსანდრე გარსევანის ძის
ბაგრატიონისა მიერ თქმული, წესა ჩყგ-სა. ტბილისსა [!] შინა.“

4. „თქმული თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ.—
ჰ, სასურვო ფორტე-პიანო...“ 18 r—19 r.

შენიშვნა: 1. ლექსი 12 სტროფისაგან შედგება.
2. ავტორის სახელის წინ: ჩყკბ-სა წელსა, ოქტომბრის თ-სა დღესა.“

5. [ბაგრატიონი, დიმიტრი] „დიმიტრიანი“.

ა. „ანბანთა მიერ ქებაჲ.—
„ახლად აღვამკობ ალვასა, ანაგებ-ანაზებულსა...“ 20 rv.

ბ. „ელისაბედიანი.—
„ღმერთმან ინება აღორძინება...“ 20 v—21 v.

შენიშვნა: სათაური („ელისაბედიანი“) მოცემულია ლექსად:
„ელისაბედიანი, შეთხზეთ ვარდნი, იანი,
მამისგან ნათქუამი, აღარ დასაგვანი.“ 20 r.

გ. „ნანინა.—
ვეტყჳ ახოს ნანასა, მისსა შესაგუანასა...“ 21 v—22 r.

დ. „სხუა გუარი.—
ჩემო მთუარეო, შენთჳს ვარეო...“ 22 r.

ე. „კუალად სხუაჲ.—
ვაქო პირად ბადრია, განა თუმცა ადრია...“ 22 r—23 v.

ვ. „ელისაბედიანი ჩახრუხულად.—
ელისაბედმან, ვინ მიმჩანს მზედ, მან, დამსუა საქებრად, მოუწყინე-
ბი...“ 23 v—24 v.

ზ. „ალბომზედ (ა) საჴსოვრად მინაწერი ელისაბედისად.—
შვილო, შენც მივი ღმრთისაგან კურთხევით ზედაზედითა...“ 24 v—
25 v.

თ. „სევდის ბაღს შეველის“ ჴმაზედ.—
ჩემს ქალს მივმართავ გულ-სევდიანი...“ 25 v—26 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. „ქნეინა მარია ბეჟანოვნა ბარათაევას.—
„ვით აღგიწერო, არ ძალმიძს, მე ჩემი ანასტასია...“ 26 r—27 r.

შენიშვნა: ორსტროფიან ლექსს წინ უძღვის ერცელი განმარტება ლექსის დაწერის ს.ბაბანისა. იწყება: „ქნეინა მარია ბეჟანოვნა ბარათაევას სმენიყო რა სანკტპეტერბურღსა შინა შობაჲ მეორეასა ქალისა ჩემისა ანასტასიასი, მოელოცა ჩემთჳს წერილითა და ეკითხა თჳლადობაჲ მისი, რომელსაცა მივწერე პასუხად მადლობაჲ და მასთანვე შემდგომი. მოსკოვით: „რასა ქებასა შეჳასხმიდე ჩემსა სატრფო პატატა ატატოტასიასა?..“

ი. „ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიასად.—
გაკურთხოს, შვილო, მაღალმან, დღეთ სიგრძით, მრავალწლობითა...“ 27 rv.

ია. „ამმოვაებაჲ [!] ყოველთადმი.—მე მივის ორი ასული, უმკჳდრო-უმამულოსა...“ 27 v.

იბ. „შაირთა ღმრთისა მიმართ უბნობაჲ.— ღმერთო, რომელმან ყოველი ბრძანებით შეჰქმენ ზენითა...“ 28 r—32 r.

იგ. „ვარდისა მიმართ ალერსი.—
ედემს რგულო, არ დაზრულო, ვარდო, ტურფად განაშალო...“ 32v—34 v.

იდ. „მდურვაჲ სოფლისა. ძაგნაკორულად, ქართლით წამოსლჳათჳს.— აწ გზასა მივალ საჭიროს, არ დია საადვილოსა...“ 34. ა. r—35 v.

იე. „ღამის ალერსი, მისჳს თაჳადისა დიმიტრი ბაგრატოვანის მიერ.—ეჰა, ღამეო, ჩემისა გულისამებრ ბნელო! და დღისა, შენდა ერთმოჟამისა, მოშორებით მოწყინებულო! ნუთუ მზისა უნათლობაჲ შეგჭირდეს და მისსა სანაძაგოსა სამძღვარსა დახდომა გეურჳოდეს! რომლისაცა მიფარეთა დისკოჲსა მონასხივებთა შარავანდედთა მცხინვარებაჲ დაშრტების და შენისა მრუმობისა არეთა კედარეთა წყუდიადობაჲ შემოიყრების, ჭირნოვებისა საბურველი აღიჴდების, ციერთა უხილაობისა ფარდა აღიკეცების და მათი ორანოსა ფოროესა შეჩნიერად მოსხმულობაჲ წარმოჩინდების,...“ 35 v—39 v.

შენიშვნა: პროზით დაწერილს „ღამის ალერსს“ დართული აქვს სამ-სტროფიანი ლექსი:

„ღამის ალერსით დაშვრომა თუ ვინმე დამიწუნოსა,
ნუ ჰგავა ჩემი, მისმა მხეგ, მაგით ვერ დამაჭმუნოსა.
მაშინღა დამგმოს ვიტყოდე ვისაც სძაბუნოსა.
სხუად არა მგამა რაც ბრძანოს, უცილოდ დაეწუმუნოსა.

მეწყადა მეთქჳა ღამისა დღეზედ თავმომწონეობა.
მთჳარისა ჯობნა, მხისა და ვარსკჳლავთა მობრწყინეობა.
მასთან ქართუჺლთა ხრდილობა, ყოფა-ქცევა და ზნეობა.
ვერც ღამე ვაქე საფერად, ვერც მათ ლომ-გულთა მჳნეობა.

ცუდად ყოფამან დამაწყო ბეგრულად მოხღაჰრეობა.
წერა მოვიქმე ნიჭადად, ფიქრმან არ მიყოს მრეობა.
თჳარა ვერ ვიტყჳი, შორსა მაქჳს რიტორთა მოსამძღვრეობა.
ამისთჳს ჴელობს, აკლია სიტყჳათა სისწორეობა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. „შესაქმეთა, გალექსული თავადისა დიმიტრი ბაგრატოვანისა მიერ.—
ღმერთმან ჰქმნა ცა და ქუეყანა, უძლიერესმან ძალითა...“ 49 r—43 r.

იზ. „გოდებაჲ ადამისა, ძაგნაკორულად თქმული თავადისა დიმიტრი ბაგრატოვანისა მიერ.—
ძუელი დღეთ-მყოფი განცხადდა, ვიხილეთ დიდებულება... 43 r—51 r.

შენიშვნა: ლექსის უკანასკნელი სამი სტროფი ავტორის ანდერძს წარმოადგენს: პოეტი აღნიშნავს თავისს სისუსტეს მოლექსეობაში და სხვათა შორის, ამბობს: „რა გინდრა ბრძანოთ, რა მგამა! ვჩხაბე დროს გასარბინებლად...“!

იტ. „წამებაჲ ქეთევან-დედოფლისა, ახლად თქმული თავადისა დიმიტრი ბაგრატოვანისა მიერ და წარგზავნილი საქართუელოს მეფისა ირაკლი მეორეჲსა ასულისა ქეთევანისადმი.—
შენ, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მყოფელო...“ 51 v—59 v.

შენიშვნა: ქეთევანის წამების ტექსტის უკანასკნელი სტროფები წარმოადგენს მიძღვნას „მეფის ასულის ქეთევანისადმი“.

ით. „ესეცა მასუე მეფისა ირაკლისა ასულისა ქეთევანისადმი წარგზავნილი, „ჱ, რა ვნახეს“ ჴმაზედ-თქმული.—
შორით მომესმა ჴმა გოდებისა, უმწარეს-წჯსა, ცეცხლთა დებისა...“ 59 r—60 r.

კ. „ჴელმწიფე-იმპერატორისა ალექსანდრე პირველისა მოსკოვს მობძანებაზედ თქმული.—
ცამ ოქროს ბრუალით განგვიღო ორიონისა კარები..,“ 60 v.

შენიშვნა: ლექსი ოთხსტრიქონიანია.

კა. „კნიაზ პეტრე ივანოვიჩს ბაგრატოვანზედ თქმული.—
მეც აღმძრეეს ჩემთა სამკობლად ჩრდილოელთ მოშაირეთა...“ 60 v.

შენიშვნა: სქოლიოში (ტექსტის ხელით) წერია: „კნიაზ კუტუზოვმა გაჰეთში გასწერა—ფრანცუზთა ბაგრატოვანი მსუბრალად შევსწირეთ და მით განეერენით.“

კბ. „მეფის ირაკლის ძის ფარნავაზის ასულზედ თქმული.—
რა ვკადრო ქება შუენებით ქუეყანად უსაჩინოსა...“ 60 v.

კგ. „მეფის გიორგის ძის ბაგრატის ასულის დაბადებაზედ თქმული.—
ჩრდილოს აღმოჰჴდა იგერით ქალი, მართ ვითა მთიები...“ 60 v—61 r.

კდ. „კნეინა მარიაჲ ბეჟანოვა ბარათაევაჲსადმი მიწერილი.—
ნუ შეღრკები, გაუმაგრდი, ღმერთი მოგცემს კურნებასა...“ 61 r.

კე. „იამბიკონი „ლოცვამან ანნას“ ჴმასა ზედა.—
ნათელ მსხეები იოანე მზეები,
სოფლის ბრწეები, ეკკლესიის მთიები...“ 61 r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმ. „სოფლისადმი მდურავად სიბერეგანათჳს. ძაგნაკორულად.—
ოდეს რა დაჴსნა ადამ მცნებანი, ჴელ-ჰყო მაღლისა შემართებანი...“
61 v—62 r.

შენიშვნა: 1. ლექსის უკანასკნელი სტროფები ანდერძის ხასიათის ატარებენ.
2. ტექსტის ბოლოს, უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ: „დასასრული“ [დიმიტრი ბაგრატიონის თხზულებათაჳ].

3. დიმ. ბაგრატიონის ტექსტებს ყოველი გვერდის თავში უხის სრული სათაური: „დიმიტრიანი.“

კზ. „თავადისა დიმიტრი ბაგრატოვანის მიერ თქმული, გარინა შესაწუხებელად, შეუსრულებელი.—დღესა ერთსა თავის წინა მჯდომსა, ანა-სდად გულისა სევდისა მარბიელი მომიხდა, ცნობისა მიდამოჲ მომითარგმა და გონებისა კარსა კაეშანთა ლაშქართა შესევა დამიწყეს...“ 69 r—72 v.

შენიშვნა: 1. პროზით დაწერილ ტექსტში მრავალ ადგილას ლექსია ჩართული.
2. მოთხრობის სიუჟეტი საკმარისად თავისებურად არის მოფიქრებული: ალბა-ნელი დიდკაცები შეხვდებიან ერთმანერთს უცხო ქვეყანაში—არაბეთში; შემთხვევით გა-მოარკვევენ თავიანთ ნათესაობას. ერთი მათგანი უამბობს მეორეს თავისს რომანტიკულ თავგადასავალს.

3. მოთხრობა დაუმთავრებელია.

4. „ალბანელები“ „არაბეთში“—უნდა იყვნენ ქართველები რუსეთში.

6. „თავადისა ვახტანგ ორბელიანოვისა მიერ თქმული ან-ბანთ ქებაჲ.—
ალალებს ბაგეს, გულთ-დასადაგეს, ელვარებს, ვფუცავ, ზე ჳთერუ-ლად...“ 63 r.

7. „თავადისა დავით გურამოვისაგან თქმული.—
ეო, მეო, აქეთ მომხედეო...“ 63 r—64 v.

8. „სწავლად ხრისტეს [!] ვნებისათჳს და გლოვისათჳს სულისა.—მკუდარ-სა ზედა არა იტყებდეთ. მოსე სწერს მეორეჲსა სჯულისა იდ-სა თავსა შინა...“ 66 r—68 r.

შენიშვნა: ტექსტი ქრისტიანულ ქადაგებას წარმოადგენს: მოუწოდებს მორწმუნეთ სინანულისათვის.

9. „კატისა და თაგუთა ომი, ჟამსა სპარსეთსა შინა ქარიმხანისა მეფობი-სასა. თქმული [!] შაირად ისაკ—მციხისა მიერ, რომელმან აღწერნა მო-თხრობანი ჰამბავთა მისთანი ერთად ზახარიაჲძეთურთ [!]ზამოძღურა-ლით [გაბაშვილი].—
ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუაჲ წინ წარმოდგა ნაზად კატა...“
73 r—79 r.

შენიშვნა: ტექსტი ალაგ ნასწორებია მელნითა და ფანქრით.

10. „პირი საქართუ[ლოს მეფის არჩილის [II] მიერ მირთმეული ისა სათხოვრისა როსიის მეფისა დიდის პეტრე პირუ[ლისადმი.—ყოველად მოწყალეო

მეფევ, ჴელმწიფევ! თჳთ უკანასკნელსა ამას ჩემსა აღმოფშჳნებასა თქუმსნს მეფობის დიდებულებასა ყოველად მორჩილებით ხელ-დებული თქუმნი მოვაწსინებ...“ 79 r—80 v.

შენიშვნა: არჩილ II სიკუდილის წინ შეავედრებს პეტრეს თავის ქვეყანას და ცოლ-შვილს. პირველისთვის თხოულობს მფარველობას, ხოლო თავისი დაობლებული ცოლისა და ქალისათვის პეტრეს მიერ პირადად არჩილისათვის ნაბოძები ყმისა და მამულის დამტკიცებას და საქართველოდან ჩამოსულ ემიგრანტთათვის მის (არჩილის) ოჯ. ში მისვლისა და სტუმართმოყვარეობის სარგებლობის უფლებას.

11. „ჩლგ-სა წელსა, მაისის იე-სა დღესა, დიდმან ჴელმწიფე-მეფემ და დიდმან მთავარმან პეტრე ალექსის შვილმან ყოვლისა დიდისა, მცირისა და თეთრისა რუსეთისა თჳთმპყრობელმან, მოისმინა მეფის არჩილის, ვახტანგის შვილისა თხოვნისა წერილი და ბრძანა...“ 80 v.

შენიშვნა: 1. პეტრე პირველი არჩილის „სათხოვრის“ (ნ. § 10) საპასუხოდ განკარგულებას აძლევს „მმართებელს სენატს“, რათა არჩილისათვის პეტრეს მიერ ბოძებული მამული, სახლი და სხვ. დაუმტკიცონ „ასულსა მისსა და მემკვიდრეთა მისთა“ და საეროდ აკმაყოფილებს მისს „სათხოვარს“.

2. ტექსტის ქვეშ მოტანილია სენატორთა „ჴელრთვა“ (პირი).

12. „ანდერძი მეფის არჩილისა [II], ვახტანგის შვილისა; ვედრებაჲ, სასოებაჲ და მცნებაჲ ხრისტიანეთა სულთა სარწმუნოებისა.—ყოველსა შემოქმედსა და ყოველსა მპყრობელსა მამაო ღმერთო, ქეო ღმერთო, სულო წმიდაო...“ 81 rv.

შენიშვნა: 1. ანდერძი გულის სიღრმიდან მომდინარე სინანულისა და ვედრების ნიმუშს წარმოადგენს.

2. „ანდერძის“ ტექსტის წინ ჩართულია ფრაზა: „ესეცითარი სასოებაჲ ეუწყებისთ მკითხუელთა ამისთა...“, რომელიც ანდერძს არ ეკუთვნის.

13. „თავადისა თომა ბარათოვისა მიერ ჩივილი და მოთქმაჲ გაყრა-მოშორებასა ზედა ბატონისა თანა.—
ექსორიანი ვუწყდე ამ წერილს, ჩემგან თქმულებსა...“ 81 v—82 v.

შენიშვნა: „თომა ბარათაშვილის „ჩივილისა და მოთქმის“ ლექსი მიმართულია მისი პატრონის გიორგი ბატონიშვილის (ვახტანგ VI-ს ძე)-ადმი. გიორგი ბატონიშვილის განუყრელი მხლებელი დაუსმენია პატრონთან ვიწმე ფალავანდიშვილს, რასაც მოჰყოლია თომას განდევნა.

14. „მილოცუა მათის უგანათლებულესობისა თავადისა გრიგორი ალექსანდრეს ძისა პოტიომკინისა, თავრიისა მაღალ-მბრძანებელისა, უფლისა ღენერალ-ფელდ-მარშლისა და სხუადასხუა ორდენთა კავალერისა, რაფინდის გვირგვინისა დადგმასა ზედა მისსა, უფლისა ამაღლებისა ეკლესიასა შინა, რომელი არს ღოლიისა მონასტერსა თქმული ამბროსი არხიეპისკოპოსისა, ეკატერინასლავისა და ხერსონ-ტავრიისა, იანვარსა იე-სა დღესა. დაბეჭდილი ქალაქს იასსა შინა ჩლჳ-სა წელსა.—უგანათლებულესო თავადო...“ 82 v—83 r.

15. „სიტყუაჲ დამარხუასა ზედა მაღალ-ყოვლად-უსამღუდელოესისა სამოელ უწმიდესისა მმართებელისა სინოდის წევრისა, მიტროპოლიტისა კიევისა და გალაციისა [!] და საღმრთო-არხიმანდრიტისა კიევის მღუმისა ლავრისა ზე. თქმული კიევის სოფიის დედა ეკლესიისა დეკანოზის ძისა იოანე ლევან-დოვისა მიერ ჩლუგ-სა წელსა, იანვარსა ი-სა.—მწყემსმან დაიძინა...“ 83r—84 v.

16. „სულთან-მურად-ხონთქრისა მიერ მიწერილი სპარსეთის ჴელმწიფისა ყეენისა მიმართ.—პირველად ვაჴსენოთ დიდი და დიდებული, ყოვლისა მპყრობელი...“ 85 rv.

17. „ცაცების წამალია შემდგომნი ლექსნი.—აბრა, კაბრა...“ 85 v.

18. „ცოფიანის წამალია შემდგომნი ლექსნი.—აქაზ, ბაქაზ...“ 85 v.

19. „მელნის გაკეთების სწავლა.—ნახევარ-გირვანქა გუნდა...“ 85 v.

20. „თორმეტნი თავადისა გიორგი ავალოვისა მიერ რუსულით ქართულსა ზედა. გამოცდილებაჲ რაბბინის სიბრძნისა.—რაბბი—ასსი, დიდს სამწუხაროდ მოწაფეთა თჳსთა, გახდა ავად...“ 86 r—91 r.

21. „ცხოვრება და წამებაჲ წმიდისა დიდისა მოწამისა ბარბარასი, მეტაფრასისსა და დამასკინისა და ათორმეტთა თთჳსთაგან შეკრებული.—მეფობასსა მაქსიმიანე ურწმუნოჲსა მეფისა რომისასსა იყო აღმოსავლეთსა კაცი ვინმე აზნაური, მდიდარი და ჩინებული, სახელით დიოსკორ...“92r — 97 r.

1104

შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები (ფრაგმენტები) [მე-18 ს.].

21 ფ.; 14×18; ქაღალდი; უყდო, პუჭყიანი, დალაქებული, მხედრული (სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურით); [მე-18 ს.]; ნაკლული.

„...მე მიყვარდა, კარგად იცი, იყო თქვენი თანაზრდილი...“ 1 r—21 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...და ღორის კბილები უჩვენა, თქვა: ჩვენი ნაჭოცი არი...“

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა: ფურცლების არევით აკინძვის (უკეთ—შეკერვის) გამო სტროფები არ არის წარმოდგენილი ჯეროვანი თანამიმდევრობით: ხელნაწერში გვაქვს შემდეგი, არათანამიმდევრად დალაგებული სტროფები 4262—4266; 4287—4301; 4332—4336; 4302—4331; 4337—4371; 4232—4236; 4227—4231; 4242—4246 (შდრ. „შაჰნამეს ქართული ვერსიები. II. ტფილისი. 1934).

1105

ქალ-ვაჟიანი [მე-19 ს.]

13 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო, პუჭყიანი, დალაქებული; გაუმართავი მხედრული; თავნაკლული; [მე-19 ს.].

„ვაჟი შევიდა იმ ქალაქში და ხე[მ]წიფის სარისს ქვეშა გაიარა და კ[ა]რის კ[ა]ცებმა უთხრა: ტყვები [!] არ გინდ[ა]თ გას[ას]ყიდ(ად)? გ[ა]იგონა ხემწიფემ და უბძანა ვ[ა]ქსა: მამვ[ა]რე ტყ[ვე]ები...“ 1 r—13 r.

მ ი ნ ა წ ე რ ი: 12 v.

ა ნ დ ე რ ძ ა: (ქაღამწერისა) „დამწერს მწ[ვ]ილობა უბძ[ა]ნეთ. პატრონს ღმერთმა მ[ო]ახმ[ა]როს. თვესა აპრილსა დ[ა]იწერა თხუთმეტსა.“ 13 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1106

სწავლა ლექსთთხზულებისათჳს [მე-19 ს.]

14 ფ.; 22×16,7; ქაღალდი (ცისფერი); უყდრო; მხედრული; (ბოლონაკლული); მე-19 ს.

„ჰსწავლა ლექსთთხზულებისათჳს საზოგადოდ. § 1. ლექსთთხზულება არს მეოთხე ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს კანონიერსა შეერთებასა ლექსთასა ურთიერთისა თანა, ცხადისათჳს გამოღებისა ვითარისამე ჰაზრისასა...“ 2 r—14 r.

შენიშვნა: 51 მუხლში სათვითოდ არის განპირებული—როგორ იმარჯვებდა წინადადებაში არსებითი სახელი, ზედსწერული სახელი, ზმნა და სიტყვის ყოველი სხვა ნაწილი; როგორ უნდა შედგეს პერიოდი, რა ნაწილებისგან შედგება წინადადება და სხვ.

მინაწერი: 1 v.

1107

ტიბიკონი [მე-19 ს.]

I—IX+385 ფ.; 21×17; ქაღალდი, ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინჯარით); [მე-19 ს.]; დაუწერელია: I r—IXv; 1rv, 3rv, 4r, 367v, 368 rv, 369 r; თავ-ბოლო ჯაზმულობანი: 5 r, 43 r, 70 v, 82 v, 101 v. 126 rv, 152 r, 179 r, 214 v, 228 v, 237 r, 247 r, 268 v 269 r; შემოსწირა ეპისკოპოსმა კირიონმა 1914 წ.

„ტიბიკონი, რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიათა. განება წმიდისა იერუსალიმისა ლავრისა ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩვენისა საბასი. ესრეთ განგება იქმნება და სხეთა ი(ერუსალიმს პატრიოსანთა მონასტერთა მსგავსად და სხეთა წმიდათა ღუთისა ეკლესიათა. წესი მცირის მწუხრისა ტიბიკონისაებრ:—პირველ მზის დასწულისა, დღესა შაბათსა, მივალს პარა ეკლესე[ა]რხი (რომელ არს სამლოლის აღმთები) და უპირატესისა მიმართ ჰყოფს მეტანოასა, იუწყებს მისგან თუ რომელსა ჟამსა იწყოს რეკა და მიიღებს კურთხევასა და შეგალს სამრეკლოსა და რეკს მცირედ და შეკრბებიან ძმანი სტოასა ეკლესიისასა. ჰყოფს მღვდელი დაწყებასა...“ 8 r—26 8 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „თავი განგება წ~სა ამის წიგნისა“ 5 r—7 v.

2. დართული აქვს: ა. „ორმეოცი მარხვანი, ესე არს სპჱ[ს]გალობელი სამეთო წ~თჳრთ მჭიმებელი, რომელსა შეგაგს მას შედგომილება, კვირა, რომელსა შინა იკითხებიან სამღდელო და წ~ა სახარება—იგავი მუხერისა და ფარისეველისა.—შაბათსა მცირეს მწუხრსა ზედა დასდებელი აღდგომისა და ღ~თის მშობელისა, ჴვეულებისაებრ...“ 2ა9 r—317 v. ბ. „წმიდაჲ ერგასი. დასწყისი საღმოთისა წ~ა პენტიკოსტართა, რომელ არს ორმოცდაათი, იწყების წმიდასა და დიდსა კვირასა პასჴესისასა ცისკრად და აღსრულების ვიდრე ყოველთა წ~თასა...“ 318 r—3ა0 v. გ. „სეროპის ზედა შემდგომად ღირსა არსის და „წმიდაო ღმერთოსა“—ტროპარი ქრისტეს ეკლესიისა...“ 36ა r—267 r. დ. წ~ლიური რიგი საცისკრო სახარებისა] 369v—370 v ე [განგება ტაძრისა მწუხრი და ცისკრად დიდმარხვისა და დღესასწაულებთა] 371 r—374 r; ვ. „ჩასართავი საუფლოსა დიდისა და ღ~თის მშობელისა დღესასწაულთა, ითქმის გალობასა ზედა. 374 r-v.

ნინაწერები: 2 r, 4 v, 5 r. 375 v, 377 r, 385 r,

1108

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი [1823 წ.]

95 ფ.; 22×16,5; ქაღალდი (ჰგვრნიშანი 1821): მუყაოს ყდა, ყუაგაცეცხეთილი; მხედრული, 1823 წ. (85 r); 1—9, 85—95 ფ. დაუწერელია; თავკაზმულობა 10 r. შემოწირა არჩილ ჩხიკვაძე ჱ 1914 წ. .

7. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თქმული, ნაღიაწი და ნასიბრძნი ნეტარად-ხსენებულის მეფის ვახტანგისა, ჟამსა უფლისწულობისა მისისასა, რომლისა საუკუნო იყავნ ხსენება მისი. შესაჴალი პირველი.—მყოფისა, არამყოფისა, არსისა, დაუარსისა დამჴარისა მქებელი, არათუ ღირსად, არამედ შეძლებისაებრ ჩემისა მაქებელი და მმონებელი, უდებად მყოფი პოვ[ი]ელ [!] ვიქმენ, ვითარცა მეფესა დღითი დღე მრეველნი ხელთა მარგარიტთა შინა...“ 10 r—78 v.

შენიშვნა: 1. „სამოთლის წიგნის“ წინამდებარე ტექსტი ს ო (270) მუხლს შეიცავს. 2 ტექსტს დართული აქვს „ხანდუკი წიგნისა ამისი ესე არს.—ა. ახნაურის სისხლში...“ [ანბანური საძიებელი] 79 r—84 v;

თარიღი: 85 r. დაუწერელ ადგილზე: „18 $\frac{11}{9}$23.“

1109

კრებული [მე-18 ს.]

42 ფ.; 18,3×14,5; ქაღალდი; ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-18 ს. დაწერილია 40 v. შემოწირა ლეონტი ღვინიაშვილმა 1914 წ.

1. „წესი კურთხევისათჳს ეკკლესიისა მღუდელ-მთავრისა მიერ ქმნილისა.—ეკკლესიაი რა აღსრულებულ-იქმნების, მოვალს წარმოგზავნილი მღუდელ-მთავრისაგან, რომელსაცა უბრძანებს პირველ ერთისა დღისა, ანუ უფროსისა, და მოამზადებს ყოველთავე საჭმართა კურთხევასათჳს...“ 2 r—26 v.

2. „წესი სამღუდელ-მთავროსა ლიტურგიისა და სამღუდელონი ჴელისდასხმანი.—ოდეს ინებოს მღუდელ-მთავრამან შეწირვად უსისხლოსა მსხუერპლისა, შემდგომად ცისკრის გამოსლვისა, ოდეს მოიწიოს ჟამი წირვისა, უბრძანებს რეადა...“ 27 r—40 r.

3. „წესი შემდგომითი კურთხევა უპირატესისა მღუდლისა. რომ[ლსა ჯერუჩნდეს აღწევნად უპირატესობასა მღუდელთა ზედა მოიყუანების მთავარდიაკონისაგან და პროთო-დიაკონისაგან ანუ ორთა დიაკონთაგან წ[ი]სა პატრიარხის მიმართ, საშუალ წი[ი]სა ეკკლესიისა, სადაცა პატრიარხი დგეს ჟამსა სახარებით გამოსლვისასა და თაყუანის-ცემს პატრიარხსა გ გზის, ვიდრე სასარტყელედმდე და მოუდრეკს თავსა, ხოლო პატრიარხი მჯდომარე დასწერს ჯუარსა გ გზის თავსა ზედა, აღდგების და დასდებს ჴელსა თავსა ზედა. მთავარდიაკონი ანუ პროთო-დიაკონი იტყჳს: უფლისა მიმართ ვილოცოთ. და პა(ტ)რიარხი წარიკითხავს ლოცჳასა ესრეთ: უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან მღუდელობა მოანიჭე ნათესავსა ჩუ[უ]ნსა...“ 41 r-v.

შინაწერები: 1r-v, 42r-v

1110

დავით გერეჯელის პარაკლისი [მე-18—19 სს.]

8 ფ.; 17×11; ქაღალდი (სხვადასხვა); ქსოვილგადაკრული ქაღალდის ყდა; მხედრული (სხვადასხვა, ფრაგმენტი), ჰეირნშანი: [1796]/(5 ფ.). შემოწირულია ლეონტი ღვინიაშვილისაგან 1914 წ.

„...ნისა ქრისტჱ სახიერ. განმაბრძნობელო ბრმათაო, რომელმან მეთევზურნი ღ[ა]ს-მეტყუელ უჰქნ და უსჯაელენი განაბრძნ, მოვედინ სული შენი დიდრად [!] ჩემზედა, რათა ვიტყოდე სიმხნეთა, ღუაწლთა და ჴირთა, რომელნი დაითმინნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელსა ზედა შენსა ღირსმან დავით, ვარესჯისა განმანათლებელმან..." 1 r—8 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის 1 გვერდზე (და სხვებზედაც) სინჯურით: „გალობა ზ, სძლის პ(ირა)." 2. სავალობლები დავით გარესჯელისადმი არის მიძღვნილი (1 r, 3 v და სხვ.) 3. დავით გარესჯელთან ერთად იხსენიება აგრეთვე ანტონი (5 r). 4. მე-6 ფ.-დან, სხვა ქაღალდზე (უფრო ახალზე)—რუსეთის იმპერატორისა და მისი სახლის წევრთა მოხსენიება.

1111

კრებული [1758 წ.]

47 ფ.; 16,5×10; ქაღალდი (45 ფ. ნახევარი ამოჭრილია); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური (სათაური ოქროთი სინჯურით); 1758 წ. 17. IX (31 r); გადამწერი: ხუცესი დიმიტრი (31 r); ადგილი—ქ. მოსკოვი (31 r); დაუწერელია: 1 v, 2 r—5 v, 11 v, 46 rv, 45 v. შემოწირულია ლეონტი ღვინიაშვილისაგან 1914 წ.

1. [ნიკოლაოზ ორბელიშვილი]. „ესე არს შვიდთა მათ მომაკუდინებელთა ცოდუთა უპირველესი, რომელ წერილ არს ხესა მას ზედა პირველსა, აშპარტავნება. — აშპარტავნება ეს არის, რომელსაც თავისი ნაქმარი და ნათქუამი დიდად მოსწონდეს და თჳთან დიდების მოყუარე იყოს და სწავლების მოთაკილე იყოს..." 12 r—31 r.

შენიშვნა: ა. ტექსტს წინ უძღვის ათი სქემა; თვითოეული ამათგანი ხის სახით (ფერადებით ნაწერი) გამოხატავს მომაკუდინებელი ცოდვის განვითარებას (6 r—10 v). ბ. სქემებს დართული აქვს განსამარტებელი ტექსტი (11 r).

2. „ადსარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წ[მ]ა კრებათაჲთჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება, რომელი ესე ჯერ არს ყოველთა ქრისტეანეთათჳს, რომელნი კეთილად და გამოწულილვით მეცნიერ იყუნენ. იესუ ქრისტე, ადიდე სული წმიდისა მამისა გ[ო]რგისი, რომელმან სთარგმნა წმიდა ესე წიგნი. საუკუნო იყავნ ჴსენება მისი. ამინ.— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა ბ[ა]ჳრობელი..." 31 v—45 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ესე შჯული ცოდვანი, მომაკუდინებელნი სულისანი და შვიდნი წმაღნი მამაკუდინებელთა ამათ სენთაგან მაკუდავნი, ტფილელ მიტროპოლიტს ნიკოლაოზ ორბელის შვილს აღეწერა და იმისავან აწ მე გარდმოვწერე. გევედრები ყოველთა მხილველთა ამისთა, რაჲთა შენდობას ბრძანებდეთ მისთჳს და ეგრეთვე ჩემ უღირსისა ხუცეს დიმიტრისათჳს, რომელმან აღეწერე ესე. მით ჯ[ა]რ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნაჲ. დაიწერა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოს. 1758, 17. IX". 31 r.

მინაწერები: 47 v.

1112

დავით მეფე. ფსალმუნი [მე-17 ს.]

159 ფ.; 11,5×3; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტკივფრული, მოოქროვილი ხის ყდა; ნუსხური (სათაურები ოქრომელნით); ტექსტი ყოველ გვერდზე გარშემოვლებულია მოვარაყებული ჩარჩოთი; ფფ. კიდეები შემკულია ოქროცურვილი ფერადებით; ფერადი თავსაბმელობა: 8 r.; დავით მეფის ფერადი მინიატურა 7 v.; 42 ფ. დახრილნაწილია; [მე-17 ს.] გადამწერი საბა. (149 rv); დამკვეთი: თბილელ ეპისკოპოსი იოსებ საყაძე (150 v.); დაუწერელია: 1 r—7 r, 151 r—158 r. შემოწირულია იასონ ოქროპირიძისაგან 1914 წ.

„ფსალმუნი პირველი ა˘ლ̇ჲ.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღთოთასა და გზასა ცოდველთასა არა დადგაჲ...“ 8 r—149 v.

შენიშვნა, 1. ტექსტი თავდება: „დიდებაჲ. ფსალმუნი დავითისი გოლიათისთჳს.“ (144 v—145 v.), რასაც მისდევს: „ქებისათჳს დავითისა“ (145 v—146 v.) და „ა˘ლ̇ჲ ანგელი და ხატარიასი“ (146 v—149 v); 149 v-ზე მოთავსებულია გადამწერის სახის ანდერძი, ხოლო ამ ანდერძის ტექსტის შემდეგ, 150 r-ზე: „ესე ფსალმუნი, თ˘ჲსგან აღწერილი დავითის მიერ და გ˘რშე რ˘ნ ფსალმუნთასა, რაჟამს ეწყო ბოლიადსა.“

2. 158 r—159 v მინაწერში იხსენიება „მეფის ერეკლეს ძე, ბატონი ვახტანგ თეიმურაზ“—1732 წ. თარიღით.

მინაწერები: 1 r, 150 v, 158 v—160 r.

ანდერძი: 1. (გადამწერისა): „ქრისტე, მეუფეო, მშვიდობით დაიცევ აჭა და მერმესა მას საუკუნოსა პ˘ა˘ტ˘რ˘ო˘ნი თ˘ჳ˘ს˘ი˘ ე˘პ˘ი˘ს˘კ˘ო˘პ˘ო˘ს˘ი˘ ს˘ა˘ა˘კ˘ა˘ძ˘ე˘ ი˘ო˘ს˘ებ, რომლისა ბრძანებითა აღვსწერე წმიდაჲ ესე დავითნი მე, ფრიადცოდველმან მღ˘დელ წოდებულმან და არა ღირსმან საბაჲმან. შენდობას მიბრძანებდით, გეველრებით“. 149 v.

2. [ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა. (მე-18 ს.)] „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო, ჩ˘ნო, მშვიდობით დაიცევ დედოფალი ანნა და წმიდა ესე დავითნი სინანულში აქამრე, რათა შეწირულ იქმნას ლოცვა მისი წინაშე უფლისა და დაცულ ძით და ასულით და მე ბერი ცოდველი, წყალობისა მისისა მოქენე, მღ˘დ˘ელ˘მ˘ო˘ნ˘ა˘ზ˘ო˘ნი ჩერქეზის ძე ნიკოლოზ, შემოწყალე, უფალო, რაძეთუ წიგნი ესე მე ვიგულე მორთმად დედოფალს ანნას.“ 150 v.

1113

ძლისპირნი და ღ˘თი[სმ]შობლისანი [მე-18-ს]

175 ფ.; 10,5×7,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფოგრული ხის ყდა; დაზიანებული; თავ-ბოლო ნაკლულია; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-18 ს.].

შემოწირულია მღდელ- ონაზონი იოსებისგან 1914 წ.

„...უპირებდა ბრძენთა მათ დედათა და ეტყოდა: მჴსნელსა ჩ˘ნსა ღმერთსა უგალობდით დღეს. ღრუბელსა სულ მცირესა მიემსგავსე, მარიამ, ეგჳპტეს შესცილითა, რაჟამს გეტკრთა შენ შემოქმედი შენი მკლავითა ზედა, ქალწ˘ულო, და მზის თვალი სიმარტლისა შენ დაგეფარა...“ 1 r—175 v.

წ ყ დ ე ბ ა: „რომელი ეტყოდე სჯულისა მიერ და წინასწარმეტყუელთა, რომელისათჳსცა ჴმაჲ მამისა წამებდა: „მაგისი ისმინეთ“, რომელმან ჯ˘ურითა თქუენ ცხორებაჲ მოგჳ...“

შენიშვნა: სათაური „ძლისპირნი და ღ˘თისმშობლისანი“ ტექსტის 25 v, 49 r, 91 v, 94 v, 114 v—123 v, 153 v, 164 r, 166 r, და სხვ. ადგილებიდან.

მინაწერები: (მხედრული) 6 r, 9 r, 10 r და სხვ.

1114

სახარება მათესი და მარკოზისი [მე-18 ს.]

93 ფ.; 5,5×4; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-18 ს.]; გადამწერი: მბ ტერის ძე ალექსი (93 r.); დაუწერელია: 1 r, 2 rv, 57 rv, 90 v. 91 rv. შემოწირულია ბეჟანიძე არავაძისაგან 1914 წ.

„სახარება მათესი. თავი პირველი. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შჳა ისაკ...“ 3 r—89 v.

შენიშვნა: 1. მათეს სახარება სრულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მათეს სახარების ტექსტს წინ უძღვის: „შესხმა წმიდისა მახარებლისა მათესი, ს ო ფ რ ო ნ ი მიერ თქმული.—მათე, რომელსა ეწოდა ლევი მეზუერე, პირველად აღწერა წმიდაჲ სახარებაჲ ქრისტესი...“ 1 v.

3. მარკოზის სახარების ტექსტს წინ უძღვის: ə. „შესხმა ს ო ფ რ ო ნ ი მიერ წმიდისა მარკოზ მახარებელისა:—მარკოზ, მოწაფე ქრისტესი და მოშთხრობელი რაჲოდენიცა ესმა პეტრესგან მიერ ქადაგებაჲსა...“ 55 v—56 r; ბ. „მაისიე მახარებელისათჳს შესხმა დ ო რ ო თე ს მიერ წმინდისა მოწამისა და ს ა ნ ნ ო ს ს ე რ ი ს ა ეპისკოპოზისა ტ[ე]ქარელისა.—მარკოზ, მახარობელი და პირველი ეპისკოპოზი ალექსანდრიისა...“ 56 v.

4. დართული აქვს: ə. „შესხმა წმიდისა მახარებლისა ლუკასი, რომელი დაწერა დორე ო ს მოწამემან და ეპისკოპოზმან ტ[ე]ირონ სინოსელმან.—ლუკაჲ მახარებელი არს ნათესავით ანტიოქელი, მკურნალობისა ეკლესიებითა განსწავლული.... 90 r. ბ. „შესხმა წმიდისა მახარებელისა ლუკასი ს ო ფ რ ო ნ ი ს მიერ.—ლუკაჲ მკურნალი ანტიოქელი არს, ვითარცა წიგნი მისი გუაუწყებს...“ 92 rv.

5. მარკოზის სახარების ტექსტის ბოლო(თავი 16, მხ. 15—20) გადატანილია 89 v-დან 93 r-ზე.

მინაწერი: 93 v.

ანდერძი (გადაწერისა): „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მზატვრის ძე ალექსი, სასუფეველსა შენსა.“ 93 r.

1115

ბარათაშვილი ნიკოლოზ. ლექსები (ავტოგრაფი) [1842 წ.]

17 ფ.; 30,5×22,5; ქაღალდი: უყდო (რვეულად შეკერილი ჭრელი გრეხილით; დაშლილი და ამოვარდნილია: ფფ.: 1, 13, 14; მეტად დახიანებულია ფფ.—1, 6; ტექსტი მთელია); მხედრული; 1842 წ., ავტოგრაფი; დაუწერელია: 2, 3, 4, 17 ფფ. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1914 წ.

1. „ბუღბული ეარდზედ.—
ბუღბული, ეარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი...“ 5 r.

შენიშვნა: ტექსტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს, ავტორისავე ხელით, ლექსის დაწერის თარიღი: „1834“. 2. თავდაპირველად ნ. ბარათაშვილის კალამს ლაპსუსი მოსვლია: დაუწერია „1842“, რაც მოწმობს, რომ თარიღები მას 1842 წელს მიუწერია და, შესაძლებელია, მთლად ეს რვეულიც ამ დროს გადაუწერია.

2. „ქეთევან.—
ზვირთები მოდუდუნებენ...“ 5 v—6 r.

შენიშვნა: 1. „ქეთევან“ ერთადერთი ლექსია მთელ კრებულში, რომელსაც დაწერის თარიღი არ ახლავს.

2. ლექსის ტექსტი ნასწორებია ავტორისავე ხელით; 5 v-ზე ხაზგადასმულია მთელი სტროფი (რიცხვით მეშვიდე).

3. უკანასკნელი სტროკონი, თავდაპირველად დაწერილია: „მხოლოდ იმორდა სახელი ელიზბარისა ზვირთებში,“ შემდეგ „ელიზბარისა“ წაშლილია და დაწერილია ზემოდან „ამილბარისა.“

3. „ჭმა იდუმალი.—
ვისი ხმა არის ეს საკურველი?..“ 6 r-v.

შენიშვნა: 1. ლექსის ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორის ხელით: „1836.“

2. ლექსის ბოლოსტროკონები ნასწორებია ავტორის ხელითვე.

4. „შემოღამება მთაწმიდაზედ.—
ჵო, მთაწმიდავ, მთაო წმინდაჲ! ადგილნი შენნი...“ 6 v—7 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, I სვეტში, ავტორის ხელით „1836.“

2. ლექსი ნასწორებია ავტორის ხელით და ორი სტრიქონი („გინახავთ სული“) გადაწერილი არის I სვეტში (დაუწერელში).

5. „ფიქრნი მტკვრის პირას.—

„წარვედ წყალის პირს, სევდიანი, ფიქრთ გასართველად...“ 7 v—8 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს, მარჯვნივ, დაუწერელ I სვეტში, თარიღი: „1837.“

2. ტექსტი ნასწორებია ავტორის ხელით და მეხუთე-მეექვსე სტრიქონი (გასწორებული) გადატანილია I სვეტში.

6. „ჩემს ვარსკელავს.—

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკელავო...“ 8 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი: „1837.“

7. „ჩჩვილი.—

მიყვარს, მიყვარს მე ტიტიკი ჩვილის ყრმის...“ 8 v.

შენიშვნა: ბოლოში, მარცხნივ, თარიღი: „1839.“

8. „სული ობოლი.—

ნუგინ იტყვის ობლობისა ვაებას...“ 9 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს—თარიღი: „1839.“

9. „სატრფოვ, მახსოვს, თვალნი შენნი...“ 9 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი: „1840.“

10. „ჩანგურს.—

შენნი მოთქმანი, კაეშნის ქმანი...“ 10 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს თარიღი: „1837.“

2. ტექსტის პირველ სტრიქონში „მოთქმანი“ თავდაპირველად დაწერილი ჩანს „მოთქმანნი“ და გასწორებულია „მოთქმანი.“

11. „თავადის შავ...ის ასულს ეკა...ას.—

ვმით მშვენიერით...“ 10 v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს თარიღი: „1839“.

2. ტექსტის ქვემოთ, არშიაზე, ავტორის შენიშვნის ორი ვარიანტი (ამათგან I მხლინთ წაშლილი). 1. „ვარდი და ბულბული ლექსია რუსული, თავადი შავშავაძისაგან ნათარგმნი ქართულად:“

II „ვარდი და ბულბული რუსულიდამ ნათარგმნი ლექსია, სამღერალო თავადის შავშავაძისაგან.“

12. „საყურე.—

ვითა პეპელა...“ 11 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი „1839.“

13. „ნაპოლეონ.—

ნაპოლეონმა გარდმოაგელო თვალი ფრანციას...“ 11 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი „1838“, I სვეტში, მარცხნივ.

14. „ჩემი ლოცვა.—

ღმერთო, მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი...“ 12 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს—თარიღი: „1840“.

15. „ჩემთ მეგობართ.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ...“ 12 v.

შენიშვნა: 1. ლექსი მოცემულია ორი ვარიანტის სახით, I და II სვეტზე. ამათგან II სვეტზე დაწერილი, უფრო მკრთალი მელნით, ადრინდელად უნდა ჩავთვალოთ (ყველა ტექსტები II სვეტზე არის ჩაწერილი მთელს კრებულში, ხოლო შესწორებული ტექსტები—I-ზე).

2. II სვეტზე დაწერილი ტექსტის ქვეშ—თარიღი: 1841.“

16. „აღმოჩხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი...“ 13 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი „1840.“

17. „არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის თქმა...“ 13 v.

შენიშვნა: ტექსტის ქვემოთ თარიღი: „1841.“

18. „ეპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი...“ 14 r.

შენიშვნა: 1. ლექსის ტექსტის ორი სიტყვა გასწორებულია ავტორის ხელით. აქედან პირველ შემთხვევაში ავტორს ფანქრით გაუსწორებია „შესაწყნარი“. წაუშლია და დაუწერია „შესაფარი“ (1 სტროფში).

2. ტექსტის ქვემოთ თარიღი: „1841.“

19. „ქილის ყვავილი და მწირი.—
მწირი.
სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო...“ 14 v—15 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი „1842.“

20. „თაეგანწირული მხედარი.—
მირბის, მიმაფრენს უგზო-უკელოდ ჩემი მერანი...“ 15 v—16 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს: „მაისის 9-სა, 1842“.

2. აღსანიშნავია, რომ ასეთი ზედმ-წევნიერი თარიღი—არა მარტო წელის, არამედ თვისა და რიცხვის, აღნიშნა,—ბოლოდ ამ ლექსს გააჩნია მთელს კრებულში.

3. თარიღის ქვემოთ დარჩენილ დაუწერელ არეზე, მე-20 ს. ბარბაროსული ხელით მიწერილია: „რამშენივრად გიხდება ეგ ჟუჟუნი თეალები...“ ილარიონ ივანოვ [!] ჯაფარიძე“.

21. „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პიროშტკიცობას...“ 16 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს თარიღი. „1842.“

შენიშვნა: 1. ლექსებს წინ უძღვის ნ. ბარათაშვილისავე ხელით დაწერილი ნუსხა მისივე ლექსებისა, რომელიც 27 ლექსის სათაურს შეიცავს; ეს ნუსხა არ ემთხვევა ჩვენი კრებულის შედგენილობას არც რაოდენობით, არც თანამიმდევრობით.

2. კრებულის 1 r-ზე, სამსონ ფირცხალავას (1922 წლის გამოცემის რედაქტორის) ხელით: „ბარბალე იაკობის ასულის ერისთავის ვარიანტი.“ აქვე, კვემორე, ე. თაყაიშვილის ხელით: „ნ. ბარათაშვილის ლექსები. ავტოგრაფი“.

3. ნ. ბარათაშვილის ლექსების ეს ავტოგრაფი დაწვრილებით აწერილი აქვს ე. თაყაიშვილს (ნ. ბარათაშვილი. ლექსები ბედი ქართლისა. წერილები. ტფილისი. 1922. გვ. 129—131. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: „[ბარათაშვილის] ლექსის 1 თხზვის დასახასიათებლად ეს ავტოგრაფი ყველაზედ უფრო საყურადღებოა“ (131 გვ. 1922 წ. გამოცემისა).

4. ჩვენი დაკვირვებით თარიღების დიდი ნაწილი ლექსების ქვეშ მიწერილია სხვა მელნით [1842-ში?].

5. 1945 წლის გამოცემაში ეს ჭელნაწერი აღნიშნულია E-თი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1116

ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. [მე-18 ს.]

287 ფ; 33×21; ქაღალდი (მოლუსტრო); ტყავგადაკრული ტყიფრული ხის ყდა; მზედრუნელი (დასაწყისი ასოები სიგნატით); [მე-18 ს.]; ჭვირნიშანი: 1793 (1 ფ.). შემოწირულია აზარია მირიანაშვილისაგან 1914 წ.

„ანი არს პირველი ასო და ჴმიანი და ართრონი. მრავალრიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყუთასა და ბოლოდაცა, ეითარცა ზედით დამიწერიაო... 7v—267 v).

შენიშვნა: 1. ტექსტის თვითთული სტრიქონი და, ალაგ, ცალკე სიტყვაც გახაზულია ფაქრით.

2. ტექსტი აქა-იქ შევსებულია მკლნითა და ფანქრით და ზოგან რუსული განმარტება აქვს მიწერილი.

3. ტექსტს წინ უძღვის:

ა. „ანბანი პირტქლად სასწაველთნი ყრმათნი.“ 1 r.

ბ „ რიცხჳ ქართულთა ანბანთნი“ და [„ნუღა (არაბული ციფრები) და ქართული რიცხვის სწავლა“ 1—1000.000] განმარტებითურთ. 1 v—5 r.

გ. „საქცევნი ზუთთა ჴმიანთა ასონთანი [!] და სხვათა თავბოლოთანი“. 5 v—6r.

დ. „ანდერძნამაგი ამის მეშაკისა, ფრიად დამაშრომელისა, მოწაველეთათჳს“. 6 r-v.

ე. პრობაჲთ ნიშანთა განძარტება. 6 v—7 r.

4. ტექსტს დართული აქვს:

ა. საბას ანდერძი 267 v.

ბ. „მეფის ვახტანგის ნათქუამი:—სიყრმითგან ჴყო მეცადამად სიბრძნის სწაველისა მსახველი...“ 268 r.

გ. „საბას ნათქუამი—ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენთა დამიწუნოთა...“ 268 r.

დ. „მოკველნი, რომელნი არიან ქართველნი, რომელთამე არღარა ჴუნდენ და დავიწყებიესთ და სხჳა თურქთა ენათაგან მოუღიეს მისად ნატუნაჲ.“ [ქართულ-თურქული] 268 v—2c9 v.

ე. „განჯადჳის და მისის თამაშობის სახელები. ქართულისა და თათრულის“. 269 r-v

ვ. ქართულისა და ბერძნულ წელთაღრიცხეგისათჳის. 269 v.

ზ. „ათორმეტთა ზედიაქოთა სახელნი“; „წელიწადთა სახელნი;“ „შვიდეულის დღის სახელები“. 270 r.

თ. „იესო ქრისტეს ორ მოწაფეთა სახელები“. 271 r—273 v.

ი. „თქმული წმიდისა და ხეტარისა მამისა ჩუენისა ეპიფანე კჳპრელ ეპისკოპოსისა, ათორმეტთა... მოციქულთათჳის.“ 273 v—274 v.

ი. „ქართული და თათრული ლექსნი.“ 275 r—287 v.

მინაწერები: 1 ყდის სატავი ფურცლის r-v-ზე.

ანდერძი (მომგებელისა): „ჭ. ნეკრესელი ამოსრი ესწერ რაც ჩემს შეწირულობის წიგნებში სწერია, რ· მელიც შემიწირავს: წიგნი დაბადებისა, წიგნი კარგი კურთხევანი და ჟამნი და ხატი წჱნიდა გარდამოჴსნისა და ორჯელ ათორმეტის თჳისა წლის ხატი და კიდეც ხვები სანთლის სამკაული და ავიჯალოსა და ეკლესიაზე და აქაურობის შეორეთა და მესამედ შენობახე დიდად ხარჯითა და გარჯითა. ესენი სულ ფასით და ყიდვითა მორთმეული და ჩემგან შეწირული. და ახლა ეს ლექსიკონის წიგნიცა სამს თუმნად ნასყიდი და ეგრე ჩემთწერილი წიგნებიცა და სხვები ზოგი დამიწერია და ყველას ვერ დავსწერდ· და ან აჭ რაღა დავაწერო. ესენი წევიძენ ჟუნიცა და ახლა ამ დამწერარ-დაქცეულობაშიაცა გავრჯილარ და დავმაწყრალვარ და თუ კიდ ვმოწადინე ვყოფ·ილარ და ვარ დღესაცა, ჴუშმარიტებით, თუღა სოფელში მაცალა. მაგრამ მეტმა აჭაურმა მჴუხარებამაც და სხეულებამაც და აწ მოხუცობამაც სიცოცხლის ღონე მიმტაცა. და ესენი მაინც დარჩეს ჩემი მოსახსენებად ამ წმიდას შიდას ეკლესიაში. და გლო-

ცა, მამანა და ძმანო, ცოდვილი მოხსენებასა ჩემსა, წილკნელ-მანგლელ ყოფილი იმ წელსა, ნეკრესელი ამბროსი. წელსა ჩყიგ, აგვისტოს ზ.“ 1 r—3 r. (ქვემო არშიებზე).

1117

ვეფხის ტყაოსანი მე-17 ს., საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კატალოგში შეცდომით შეტანილი, კუთვნილებისამებრ დაბრუნებულია ქ. ქუთაისს, სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა—იხ. გაზ. „კოლხიდა“ № 111, 1911 წ.

1118

„ქართული პროპისის“ ნაბეჭდი ტექსტი.

1119

კრებული [მე-19 ს.]

173 ფ.; 20×16; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული (II ყდა მოცილებული); მხედრული (რუსული და ქართული); მე-19 ს; გადამწერი: ნ. სამკეთლოვი (1 r); დაუწერელია: 56—107, 135—173 ფფ. შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისგან 1914 წ.

1. [ანატომია და ფიზიოლოგია. რუსულად].

„1-ый урок.—Человек имеет пять чувств... 2 r—55 r.

შენიშვნა: ანატომიას უჭირავს 2 r—30 r. ფიზიოლოგიას 30 r—55 r.

2. „საქართველოს ისტორიიდამ. თამარ მეფის პერიოდი. გაკვეთილი პირველი.—საზოგადოდ შენიშნულია ისტორიაში, რომ რომელიმე პირი ბევრის თუ ცოტა ხნის შემდეგ თავისი მეფობისა უცებ კვდება [!]...“ 108 r—127 r.

3. „გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ილია ჭავჭავაძისა.—1860 წელიწადებში რუსულ მწერლობაში მოჰხდა დიდი გონებითი მოძრაობა...“ 127 v—132 r.

შენიშვნა: წერილი ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ და „კაკო ყაჩაღის“ კრიტიკული გარჩევის ცდას წარმოადგენს.

4. „ლაშა გიორგი. 1206 წელს თამარ მეფემ თავის სიცოცხლეშივე აკურთხა მეფედ თავისი შვილი ლაშა გიორგი...“ 132 r—134 r.

1120

რუსული ტექსტი.

1121

რუსული ტექსტი.

1122

რუსული ტექსტი.

1123

სამთვარიო და საეტლო [მე-19 ს.]

147 ფ.; 32×21,5; ქაღალდი; ყდით (აკინძული; 147 ფ. მოცილებული. თავბოლონაკლული); მხედრული; ვეირნშანი: 1819 (5 ფ., 106 ფ.). შემოწირულია მასწ. ივლიტა ბარნაბიშვილისაგან 1914 წ.

„...ვისაც სრულ პატარა მუცელი ქონდეს, ცოტა ხანს იცოცხლებს, მაგრამ უჭკუობით...“ 1 r—147 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი 31 თავისაგან შედგება.

2. შიგ ჩართულია მრავალი ნახაზი, ტაბულა, ილუსტრაცია, (20 v—22. ა. v. 27 r. 28 v—33 r. 40 rv—46 r. და სხვ.)

3. გადამწერის ხელი და ნახაზები მეტად მდარეა.

1124

სამკურნალო წიგნი [მე-19 ს.]

16 ფ.; 20,7×17, 5; ქაღალდი; ყდით (რვეულად შეკერილი); გაყვითლებული, ხმარებისაგან დაძველებული; მხედრული; [მე-19 ს.]. შემოწირულია პოლკოვნიკი ვასილ კვინიხიძისაგან 1914 წ.

„ამაში დაიწერების სხვადასხვა წამლობისათვის დაცდილი არის ბრძენთაგან და ძველთადმი [!].—ჭიის წამალი. ატმის ფოთელი დანაყე და წყალი გამოწურეთ...“ 1 r—13 v.

თავდება: „ცვარის საკმეველი ანუ თეთრი საკმეველი მოხარშე. ჩაიდანში და ჩაისავით დაალევინე. მორჩება, ღმერთით. ყველა დაცდილია“.

შენიშვნა: ტექსტს დართული აქვს სარჩევი (15 r—16 v.).

მინაწერები: 14 r-v, 16 v-ზე—სამკურნალო ხასიათისა.

1125

ქართული ანდაზები [1885 წ.]

32 ფ.; 17,5×11; ქაღალდი; ყდით (რვეულად შეკერილი); მხედრული; 1885 წ. (1 r.). შემოწირულია პოლკოვნიკი ვასილ კვინიხიძისაგან 1914 წ.

„ქართული ანდაზები, ძველად თქმული ბრძენთაგან. შეკრებილი 1885 წელში.—აღმართი და დაღმართი(ო) არცეთია [!] წაღმართიო...“ 1 r—32 r.

შენიშვნა: 1. ანდაზები ანბანურად არის დაწყობილი (2 r–32 r).

2. ხსენებული ტექსტის გარდა ხელნაწერში მერმინდელი ჩანამატებიც ჩანს (32v 1 r-v. და სხვ.)

3. ყოველი ანდაზის წინ დასმული რიგითი № მერმინდელი მიწერილი უნდა იყოს.

4. რიგითი №№-ის მიხედვით ხელნაწერში 80 ანდაზა აღინუსხება.

1126

კრებული—[1851 წ.]

39 ფ.; 33,6×21,7; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); თავბოლოკაზმულობანი (1 r, 33 v); ილუსტრაცია (34 r); 1851 წ. (39 r); გადამწერი: ციციანოვი დავით (39 r)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „სიბრძნე ბალავარისა, თქმული მამისა ისაკისა, ძისა სოფრონ პალესტინელისა მიერ. მივედ ოდესმე ქ-ყანასა იოპეთს და მუნ ვპოვე მე წიგნი ესე ინდოთა მეფისა საწიგნესა, რომელსა შინა წერილ-არიან საქმენი ამის სოფლისანი.—იყო ვინმე მეფე ქ-ყანასა ინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა რქჳან ბოლატ და სახელი მისი იაბენეს; იყო სარწმუნოებითა წარმართ და კერპთმსახური...“ 1r—33v.

შენიშვნა: ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ ტექსტთან შედარებით ვარიანტს წარმოადგენს (შდრ. სიბრძნე ბალავარისი. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1895).

2. „საგალობელი ხარებისა. იამბიკო წყობილი, უღირსის და ყოველად კნინის იერომონახის ნიკოლაოსის მიერ ქმნილი. გალობა ა. სძლისპირი. „აღაღე პირი.—ცემა ქნარისა შენოჳს არს დავითისა...“ 34r—38r.

შენიშვნა: ბოლოში „გალობა ო, რომლისა კიდურ-წერილობა არს აკროსტიხუნად ესრეთ: უღირსი შენი ბერი, ძისა შენისა მონა ნიკოლაოს“ (37v—38r).

ანდერძი (გადამწერისა):

„ბალავარ, კაცმან, მცნობმან, ღისამან,
მოციქულებრ მქადაგმან ქრისტეს სახელისამან,
აცნობა ღმერთი იოდასაფატს, ძესა მეფისასა,
ყრმას მარტოდ აღზრდილეს, არ მოვალის დღისასა,
განუმარტნა საღმრთონი წმიდანი წერილნი,
ქადაგებულნი, მოციქულთ დაწერილნი—
სიტყჳსა ღ~სა განხორციელება,
ქუჱყანად მოსვლა, მტერთ შეცილება.
ჰყო იოდასაფ მამისადმი მქადაგ,
ქრისტეს ჰსჯულთათჳს მეტყუჱლ ნიადაგ.
ჰსცნა ცნობა ღ~ისა, სამად ერთისა,
შემუსრუა კერპთა, ქუჱ დაკვეთისა.
ესე სათნონი მ~ღთისა მაღლისა
მკურნალად იქმნენ ბრმათ დახსნილისა;
ტაგრუცთაგანცა მოჰცემდენ ძალსა,
აღადგინებდენ მკუდართა მრავალსა.
საკჳრველ-არს სახელი წმიდათა შორის მისთა.
ჰსთქუა მეფემან დავით შეძენად სხჳდა.
აჰა, აღსრულდნენ ეს წინადთქმულნი,
შორის წარმართთა გამოჩნდნენ ეს დიდებულნი,
უვიცთ ქ-ყანად წინად განთქმულნი,
ღირსად ღ~ისანი, რტოდ დანერგულნი,
შემუსრუად კერპთა განღაღებულნი,
ქრისტეს ძალითა ამაღლებულნი.
ურწმუნოებამან შუა მორწმუნეობა,
თომა მარჩიენებრ სარწმუნოება,
სადა თჳთ თომამ პირუჱლ ინდოთა
უქადაგა ქრისტე, მუნ მისთ მინდოთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალავარ-იოდასაფით, განახლებულ ჰყუჩს;
ჯვარი ქრისტესი აღმართებულ ჰქმნეს,
ამხილეს იაბენეს პირუთნებელად, ვინცა აღიარა უცვალებელად.
წარრავიკითხე მოთხრობა მათი,
ჩემდა უეიცი, საამო კამათი,
დასტკბენ გრძნობანი ჩემ უნდოსანი,
ტკბილთ ჰსწავლათაგან სულთ სასოსანი.
მათ მოწამეთა ძალმან ძლიერმან
უმრავლოს წელნი ღმერთმან ციერმან.
ვინც წარმაკითხა ესე მოთხრობა,
ჰყო ჭეშმარიტად თჳს მეგობრობა.

ჩყნა-ს: წელსა. აპრილს კგ-ზა უმდაბლესი მონა დ ა ვ ი თ ე ვ ს ტ ა თ ი ს ძ ე თ რი ციანოვი. 1851. 23.4“ (38 v—39 r).

მინაწერი: 38 r (ხელით: „სრულ იქმნა ღვთით“), 39 v.

1127

ქრებული

75+1 (=13₃) ფ; 24.7×19; ჭაღალდი, ტყავგადაკრული მუყაოს ცალი ყდა (I ყდა აკლია); მხედრული (ძდარე); ქნ-19 სს; დაუწერელია: 1r—2 v, 3 r—7r, 27 v, 29 r, 44 r-v, 55 v, 64 v, 66 v, 68 r—75 v.

1. [ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი დ ი მ ი ტ რ ი] „ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ა ნ ი.“

ა. „ღმერთმან ინება აღორძინება...“ 8 r—9 r.

შენიშვნა: 1. „ელისაბედიანის“ ტექსტის წინ მოთავსებულია 8 სტრიქონიანი ლექსი—შესავალი (ანდერძისებური) „მეცა ყე ჩემსა ნაშრომსა უწოდებ დ ი მ ი ტ რ ი ა ნ ს ა...“ 7 v.

2. „ელისაბედიანის“ სათაური მოცემულია ლექსად: „ელისაბედიანი, შეთხზეით ვარდნი, იანი, მამისაგან ნათქუამი, აღარ დასაგვიანი.“ 8 r.

ბ. „ნანინა.—
გეტყუი ახოს ნანასა, მისსა შესავანასა...“ 9 r.

გ. „სხეავეარი.—ჩემო მთუარეო, შენთჳის ვარეო...“ 9 v.

დ. „კიდეე სხეა.—ვაჭო პირად ბადრია, განა თუცა ადრია...“ 10 r—11 r.

ე. „შაირი.—ღმერთო, რომელმან ყოველი ბძანებით შექმენ ზენითა...“ 11 v—15 v.

ვ. „ვარდის აღერსი. — ედემს რგულო, არ დაზრულო, ვარდო, ტურფად განაშალო...“ 16 r—17 r.

ზ. „იგივე ელისაბედიანი, ჩახრუხაულად.—
ელისაბედმან, ვინ მიმაჩნს მზედ, მან, დამსვა საქებრად, მოუწყინები...“ 17 r—18 v.

თ. „აღბომზედ სახსოვრად მინაწერი ელისაბედს.—
შეილო, შენმც მიეი ღ[თისაგან კურთხევით ზედა-ზედითა...“ 18 r—19r.

2. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„ჩემის მეორის ქალის თუალდამა ეკითხნა კნეინა მახიას შობაზედ და იმას მივწერე პეტერბურხს..—რასა ქებასა შეევასხმიდე ჩემსა სატრფო პატატა ატატო ტასიასა..."19 v—20 v.

შენიშვნა: პროზით დაწერილს წერილის ტექსტს დართული აქვს ლექსი: „ვით აღგიწერო, არ ძალმიძს, მე ჩემი ანასტასია..." 19 v—20 v.

3. [ბაგრატიონი დიმიტრი].—

„ალბომზედ სახსოვრად მინაწერი ანასტასიას.—

გაკურთხოს, შვილო, მაღალმან, დღეთ სიგრძით, მრავალ წელობით..." 20 v—21 r.

4. ბაგრატიონი დიმიტრი. „ანბანთ ქება.—

ახლად აღვამკობ ალვასა. ანაგებ-ანაზებულსა..." 21 v—22 r.

5. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„წალკოტს მეწადა მოვლა-მორება. ბულბულთა ბაძვა, შეცასწორება..." 22 r-v.

6. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„ მე მივის ორი ასული, უმკვიდრო-უმამულოსა...." 22 v.

7. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„მღუნრვა სოფლისა, ძაგნაკორულად, ქართლით წამოსულისა(თჳს).

აწ გზასა მიველ საჭიროს, არ დია საადგილოსა..." 23 r—24 v.

8. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„აჭა-იქ თქმული.—

ტრფიალთა გაწყეტ, გაუწყებ, ვინ მისდევთ მოჯნურობასა..." 25 r—26 r.

9. ბაგრატიონი დიმიტრი.—

„სევდის ბაღს შეველის" ჭვა.—

ჩემს ქალს მივმართავ გულ-სევდიანი..." 26 v—27 r.

10. „ვახტანგ ყაფლანისშვილის თქმული ანბანთქება.—

ალალებს ბაგეს, გულთ დასადაგებს, ელვარებს, ვფუცავ ზე ცეერულად..." 27r.

11. „რა ბრალია, ბულბულთ ნაცვლად დასჩხაოდეს ვარდსა ყვავი..."28r.

12. ბაგრატიონი დიმიტრი. „თქმული კნიაზ პეტრე ბაგრატოვან-ზედ.—მეც აღმძრეს ჩემთა სამკობლად ჩრდილოეთ მოშაირეთა. ომ გარდახდილსა უქებენ სიმვნეთა გასაკვირეთა..." 28 v.

13. ბაგრატიონი დიმიტრი. „ბაგრატ ბატონიშვილის ქალის დაბადებაზედ თქმული.—

ჩრდილოს აღმოხდა იევრითი ქალი, მართ ვითა მთიები..." 28 v.

14. „შესაქმეთა, გალექსული დიმიტრი ბაგრა[ტო]ვანისა მიერ.—

ღმერთმან ქმნა ცა და ქვეყანა, უძლიერესმან ძალითა..." 29 v—33 v.

15. „ჲოდება ადამისა, ძაგნაკორულად. დიმიტრის მიერ [ბაგრატიონისა].—

ძველი დღეთ მყოფი განცხადდა, ვიხილეთ დიდებულება..." 33 v—43 r.

შენიშვნა: დართული აქვს ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსი:

„ავი მწერალი ავად თქმით რად დავშვერ მოსაწყინებლად.."

16. „თქმული ჴელმწიფის მობძანებაზედ [დიმიტრი ბაგრატიონისა].—

ცამ ოქროს პრჭალით განგვიღო ორიონისა კარები...“ 43 v.

17. „ფარანაჯს ბატონისშვილის ქალზედ თქმული [დიმიტრი ბაგრატიონის მიერ].—

რა ვკადრო ქება შენებითი ქვეყანად უსაჩინოსა...“ 43 v.

18. „ღამის ალერსი, მისვე დიმიტრი ბაგრატოვანისაგან.—

ეჰა ღამო, ჩემისა გულისამებრ ბნელო, და დღისა, შენდა ერთ მოჟამისა, მოშორებით მოწყინებულო...“ 45 r—55 r.

შენიშვნა: 1. დაწერილია „თეთრი ლექით.“

2. დართული აქვს ლექსი: „ღამის ალერსით დაშრომა თუ ვინმე დამიწუნოსა...“ 55 r.

19. „წამება ქეთევან დედოფლისა, ახლად თქმული დიმიტრი ბაგრატოვანის მიერ და წარგზავნილი ქეთევან ბატონისშვილთან.—

შენ, ფუნარეს ყოველთა სიუკუნეთა მყოფელო...“ 56 r—63 v.

შენიშვნა: დართული აქვს „ქეთევან ბატონიშვილთან მინაწერი.—მეფის ასულო, ქეყნის-ქალთაც სულო, ძირო-უფასულო, ქეთევან რჩქულო...“ 64 r.

20. ბაგრატიონი დიმიტრი. იანბიკონი „ლოცვამან ანას“ ჴმაზედ.—

ა. „ნათელ მსხეები, იოანე მზისები..“ 64 r.

ბ. „რად უხამს ოდენ უქო მეფის ძეობა,

ფარნავაზს თვით აქენ კეთილ-სამოთხეობა...“ 64 r.

გ. „მიტროპოლიტი იონა, კაცი მღვთისა...“ 64 r.

შენიშვნა: მიძღვნილია იონა გელათელი ნიშნისდებით—აღნიშნულია, რომ გელათელი შვილთა გვარეულობას უკავშირდება მცხეთას კვართის მოტანის ლეგენდა.

21. ბაგრატიონი დიმიტრი. „ესეც მასვე ქეთევანთან. — „ჩი რა ვნახეს“ ჴმაზედ თქმული.—

შორით მომესმა ჴმა გოდებისა, უმწარეს წვისა, ცეცხლთა დებისა...“ 65 r—66 r.

22. ბაგრატიონი დიმიტრი. „სიბერისათვის სოფლის მდურვა, ძაგნაკორულად.—

ოდეს რა დასხნა ადამ მცნებანი, ჴელყო მაღლისა შემართებანი...“ 67 rv.

მინაწერები: 2 r. (საიათნოვას ლექსები).

შენიშვნა: 1. კრებული თითქმის მთლიანად დიმიტრი ბაგრატიონის თხზულებათა (ლექსები, პროზა) შემცველია.

2. გამონაკლისს წარმოადგენს „ვახტანგ ყაფლანიშვილის [ორბელიანი] თქმული ანბანთ-ქება.“ 27 r-ზე.

1128

რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი [მე-19 ს.]

333 ჯგ. (167 ფ.); 21,7×17,5; ჭაღალდი; ყუდო (დაწლილი, 331—333 გვ. დაფურცლილი დახეული); მხედრული (სათაური სინგურიით); [მე-19 ს.].

„ამა ამბისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად მშუსნიერის [!] სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელის [!] და ნესტან დარეჯანის [!] ვეფხის ტყაოსნობით უხმობენ.—რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1—333 გვ.

თავდება: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა,
ამდულმესია—შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ—სარგის თმოგველსა, მას, ენადაუშრომელსა,
და ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა.“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს ვეფხის-ტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს, ორნიშვნელო ვარიაციებითა და შეცდომებით.

2. 1712 წ. ნაბეჭდი გამოცემის ანდერძები, „თარგმანები“ და სხვა დამატებები არ გააჩნია.

3. ტექსტის ბოლოს, უკანასკნელი სტროფის ქვემოთ: „დასრულდა“.

1129

გეორგიევსკის ტრაქტატი 1783 [მე-19 ს.]

21 ფ.; 21.5×17; ქაღალდი; უყდო, დალაქებული; თავნაკლული; მხედრული; მე-19 ს. ქვარნიშანი 1823 (13,21 ფ.).

„...ხელმწიფედ აღიარებითა ყოველსა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართველთა და კახეთისათა ყოველად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცება მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი უგანთლებულესისა მეფისა...“ 1 r—9 v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს: „ხელი ასე აწერია; პავლე პოტემკინი. თავადი იოვანე ბაგრატოვანი. თავადი გარსევან ჭავჭავაძე.“

2. დარიული აქვს ქართლისა და კახეთის თავადაზნაურთა ნუსხები. 11 r—31 v.

3. ყოველი ცალკეული ნუსხის ქვეშ: „ერეკლე. ივნისის კ(-სა. ჩ(ჯ წელსა“ (29 ადგილას).

4. 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებულია (რუსულ-ქართული ტექსტი. ქართული ტექსტი ნუსხური დამწერლობით) [1783] წელშივე [ს. პეტერბურგს]. (ნ. „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. თბილისი. 1941. № 59)

1130

ბაგრატიონი დავით. ისტორია ნარკვევი [1814 წ.]

40 ფ.; 21,5×17; ქაღალდი (პოლუპოჯო, 20 v—21 r დახიანებულია); უყდო, მხედრული; 1814 წ. (40 r); გადამწერი იოანე იალღუზის ძე (40 r).

„თავი ა. ასურ, ძემან სემისამან, დაუტევა სენარი, მიზეზისა ძლით, რომელიცა მძლავრა ნებროთ და აოაშენა ქალაქი ნინეი...“ 3 r—40 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელი აკლია. თავფურცელის ტექსტის გაგრძელება 1 r „დავითიან ბაგრატოვანისა, ქართლისა და კახეთისა მეფისა გიორგი მეათსამეტისა პირმშოსა ძისა, ღენერალ-მაიორისა და კავალერისა. დავითისგან ქმნილი ისტორიაჲ, რომელსა ეწოდების ნარკვევი. წელსა დასაბამითგან სოფლისა ჳჭმ. ჯორციელად შობითგან სიტყჳსა ღ(თისა ჩჯ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ჳჯმ თთვესა მარტსა. რიცხჳსა ა.

2. ტექსტის წინ: „წინასიტყუაობაჲ წინა-მდებარისა ამის წიგნისა, ნარკჳსაჲ ზედ-წოდებულისა ისტორიისა. შემოკლებული ისტორიაჲ.—ვინაითგან ბუნება...“ 2 r-v.

3. ხელნაწერი შეიცავს 1800 წლის ტფილისის სტამბის გამოცემიდან გადმოწერილ. ტექსტს (შდრ. „ქართული წიგნი“ ბიბლიოგრაფია. ტ. I. № 83).

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა ჴელითა იოანე იალღუზის ძისათა თთუჳსაგვიასტს იგ. წელსა ჩჳიდ.“ 40 r.

1131

მეფის ასულის მარიამის ამბავი [1863 წ.]

16 ფ. (32 გვ); 21,8×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული (1 გვ. წითელი მელნით); 1863 წ. (32 გვ). გადამწერი: დავით ოსიტოვი (32 გვ.).

„კონსტანტინეპოლის კეისრისა.—იყო ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლის კეისარი, დიდათ სახელოვანი, ძლიერი და ახოვანი, მართლმადიდებელი ქრისტიანეთა [!], აღმაშენებელი ეკკლესიათა და მოწყალე გლახაკთა და დავრდომილთა...“ 1—31 გვ.

შენიშვნა: 1. აქ მოთხრობილი კეისრის ასულის მარიამის ამბავი დედინაცვლისაგან გერის შეძულებისა და დევნის სიუჟეტზე არის აგებული და მოგვაგონებს ხალხური ზღაპრების შესატყვის ვარიანტებს.

2. ამბავის ტექსტი მე-19 საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს (*რუსიციზმი* „ოტკა“. გვ. 21).

ანდერძი (გადაწერისა): „მსმენელნო და წარმკითხველნო ამა წიგნისანო! ვითარცა ასული იგი კელმწიფისა მარიამ მიხვდა თავის საწადელს, ისემც თქვენ მიხვედებით თქვენსა სანატრელსა.. დაიწერა ესე მეფის ასულის მარიამის ანბავი. მწიროშეელთა კელი მიწდების, ნაწირომი მისი განძად დაშთების, წერილითა კელითა დავით ოსიტოვისათა. დაიწერა მარტის იბ რიცხვსა ჩყვგ წელსა.“

1132ა.

ლექსთა კრებული [1859 წ.]

22 ფ. (41 გვ); 22×18; ქაღალდი; უყდო (რვეული) დაზიანებული, დაშლილი: 1, 14 ფ. დაზიანული; მხედრული; 1859 წ. 1 r

1. „მიწერილი იოსებ თბილელისაგან იაკობ შემოქმედელისადმი განსამარტებლად.—სიბრძნემ თავისასა [!] თვისისა სახლი იშენა გებული...“ 1 v.

2. „პასუხი განმარტებითი ზემო თქმულისა იგივისა, მიწერილი იაკობ შემოქმედელისაგან იოსებ თბილელისადმი. — სიბრძნე — ქრისტეა და სახლი—ეკლესია მისი მშობელი; მუნ შეიდნი საიდუმლონი ჰყო, მტერთა დასამხობელი...“ 1 v.

3. „თა. ს. მაჩაბელი [პასკვილი დავითისადმი] ...მკლავებსა შლი ინდაურის ფრთებიეთ...“ 2 r-v.

შენიშვნა: ავტორის სახელი: ტექსტის ბოლოს (2 v.)

4. [ალექსიევი ეფრემ (მღვდ.)] „თვითო ტრიქონზედ [!] ზმით გამოდის ყოველი ჭურჭელი ღვინისა და აგრეთვე დასალევიცა. მარნის კარებზე უნდა დაიწეროს.—ბახუსმა რანიც მოგვცა სახურა...“ 3 r.

შენიშვნა: ზმით გამოდის მარანი.

5. [ალექსიევი, ეფრემ] „კიდევ მარანზედ დასაწერი—ეს რეკტარი წყარო, ყოველთა სასურა...“ 3 v.

6. [ალექსიევი, ეფრემ] „გამოცანანი. ა. ერთგვარს ამ მასალას სხვას და სხვას, ოცდაცხრამეტს თუ იხმარებ, ფუძეს საქართველოს, დროსაც რიგზედ გაატარებ...“ 3 v—5 v.

შენიშვნა: ზმით გამოდის: ანბანი, ვარდი და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. [მღ. ეფრემ ალექსეევი] „კავკასიის მთა.—ორთა ზღუა შუა გრეხით მწოლარე, გმერი კავკასი ღრმად მძინარეობს...“ 6 r—7 r.

8. [მღ. ეფრემ ალექსეევი] „ზმები.—სხვამ უთაქალთოთ ცხენი გაკაზმოს კეხით, სადავით...“ 7 r.

შენიშვნა: ზმით გამოდის მუთაქა, ყურძენი და სხვ.

9. [ე. ალექსეევი] „ზმები.—გზა ქარიანშა რა ფიცხელ აურია საქმე ყველა...“ 7 r.

10. [ოთხსტრიქონიანი ლექსი. უსათაურო [პასუხი]

„თქვენნი სტიხნი მოგვიტანა მოვლენილმან კაცმან ცხენით.
ჩვენ საშიშრად გვჩანს პასუხნი, ნუთუ მით განიკიცხენით...“ 7 v.

11. [კრილოვი] (ივავი) „სოფლელნი და მდინარე.

—სადღაცა ერთსა სოფელსა პატარა ხევში წყარონი ჩაუდიოდენ ახლოსა...“ 7 v—8 r.

12. „ჭრიჭინა და ჭიანჭველა.

—ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული ატარა...“ 8 r-v.

შენიშვნა: შდრ. ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა 1940 წლის გამოცემაში გვ. 156: „ჭრიჭინასათვის, ლაფონტენით.“

13. „ვირი და ბულბული.

—ვირმან ბულბული ერთხელა ახლოს მჯდომარე იხილა...“8 v—9 v.

14. „ნარნარად ზრდილო, სასურო ხილო...“ 9 v.

შენიშვნა: ოთხსტრიქონიანი ლექსი უცნობი ავტორისა.

15. დვანაძე, გ. „სისხამი დილა.—ახ, დილავ! დილავ, კვლავ სანატრელო...“ 10 r-v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს „გ. დვანაძე.“ 10 v.

16. დვანაძე გ. „გამოსალმება თვისის ყმებისაგან კ. თაფლო ერისთავისადმი, როდესაც წავიდა კორინთიდგან ს. ჰალას.—რისთვის შემოგვწყერ, ჩვენო ბატონო...“ 10 v—11 v.

შენიშვნა: ავტორის ვინაობა—ტექსტის ბოლოს.

17. დვანაძე გ. „ქნიაჟნა თამარ რეგაზ ერისთავის ასულს.—პატარა თამარს მიუძღვნი ლექსსა...“ 11 v—12 r.

18. დვანაძე გ. „პასუხი ალექსანდრე ორბელიანს ქართველთ საზოგადოებაზედ.—ჩემო პუპლიავ! რა ცუდათა ჰსჯი...“ 12 r-v.

19. „ქალო, მინდა ლექსი ვსთქვა! ქალო, მაგრიტიზანო...“ 13 r—14 v.

20. გრ. ორბელიანი.—„აჰა, აღვილი, აჰა ის არე...“ 15r-v.

შენიშვნა: ავტორის გვარი და სახელი ტექსტის ბოლოს.

21. „შენს მზესა ვფიცავ, დიამბეგო, არ გეკადრება...“ 16 r-v.

22. „საყვარელსა განმაშორა სოფელმან...“ 16 r—17 r.

23. „როს არშიყი საყვარლის ხილვას ეშურებოდეს...“ 17 r-v.

24. „მბუნდოვან გულ(ს) შენ აღმიჩნდი დარადა...“ 17 v—18 r.

25. „[ჭავჭავაძე ალექსანდრე],—„მშვენიერთა ხელმწიფავ, მკლავს სიმორე შენია...“ 18 r.

შენიშვნა: ამ ლექსისა მხოლოდ 1 სტროფი არის აქ.

26. „მოისვენე, მოისვენე...“ 18v—20r.

შენიშვნა: ლექსის ტექსტის ბოლოს: „ეს ზემო წერილი „ნანნი“ ღვთის მშობელმა, ჭალწულ მარიამმა თავის საყვარელს ძეს იესო ქრისტეს უთხრა, როდესაც დაიბადა.“ 20 r.

27. „გაზაფხული.—შეტრფი გაზაფხულს, ღიმით მოსულსა...“ 20 r—21 r.
28. „დამწვარ-დადაგულთან მიმართე მზესა...“ 21 r—22 r.

1132გ

დვანაძე გიორგი. თავგადასავალი (ლექსად) [1875 წ.]

16 ფ; 21,8×17,5; ქაღალდი; უყდო რვეული; მეიდრული (ფანქრით ნაწერი); 1875 წ. 16 r; [ავტოგრაფი]; ადგილი: [ტფილისი, საჰყრობილე].

„ოკტომბრამდის რაც გადამხდა, ბომ დავწერე ყველაფერი...“ 1 r—16 r.

შენიშვნა: 1. გიორგი დვანაძის ავტობიოგრაფიულ ლექსში გადმოცემული ყოფილა ავტორის დაპატიმრებისა, პატიმრობაში ყოფნისა და მისთვის „გაციმბირების“ მისჯის ამბავი ორ ნაწილად. ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილია მეორე ნაწილი (121 სტროფი).

2. ტექსტის ბოლოს: „დასასრული მეორე ნაწილისა.“ 16r.

1133

ავგაროზი—[მე-19 ს.]

130×9; მოლურჯო ქაღალდი; დახიანებული (გახეული); [მე-19 ს.]; ფერადი თაქაზმულობა და ტექსტში („წმ. გიორგის საევედრებელი“) წმ. გიორგის მინიატურა.

1. „ყოველი სასოება ჩემი შენდამი დამიძ(ს), დედაო ღმთისაო...“
2. „ლოცვა ანგელოზისა მიმართ, მცველისა სულთა და ხორცთა ჩვენთასა სამარადისოდ.—წმინდაო ანგელოსო, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო...“
3. „სხვა საევედრებელი.—უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღვთისაო...“
4. „ლოცვა უკმურისა, სამას სამოცდა ხუთის ჰაირის განმა(ქარვებელისა).—ღმერთო, საბაო, ღმერთო ისრაილისაო...“
5. „წმინდაო წინამორბედო და ნათლის მცემელო იოვანე...“
6. „წმინდაო პირველმოწამეო სტეფანე, წმინდავო, პირველმოწამეო გიორგი...“
7. „ლოცვა კვეთებისა.—ღმერთო, განაშორე ამისგან ყოველი სნეულება...“
8. „ტყვეთა განთავისუფლებ(ა) და გლახაკთა ხელისა აპყრობა, სნეულთა მკურნალო, უძლეველო დიდო მოწამე, გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა ჩვენთვის.. წმინდა გიორგი კაბადუკიისაო, იერუსალიმისაო...“

წ ა დ ე ბ ა: „თქვენ მფარველ და მეოხ ეყვენით მონასა ამას სახელით მარიამ.“

1134

ავგაროზი—[მე-19 ს.]

253×9; ქაღალდი; ოდენ დახიანებული; მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-19 ს.]
ვადამწერი: მართა; ფურაული ილუსტრაციები: 1. თავქვამფლობა (იესო ქრისტე) 2. ღვთისმშობელი (ჩვილით) 3. წმ. გიორგი; ყოველი მინიატურა ფურადი ორნამენტის ჩარჩოშია მოთავსებული.

1. „სახარება იოვანესი. თავი ა. პირველითგან იყო სიტყუა...“

შენიშვნა: იოანე, I, მხ. 1—17.

2. „ყოველი სასოება ჩემი შენდამი დამიძს, დედაო ღუთისაო! დამიცევ მე საფარველითა შენითა მონა ესე შენი სახელით (მართა).“

3. „ლოცუა ანგელოზისა მიმართ მცველისა სულთა და ჴორცთა ჩუენთა, სამარადისო.—წმინდაო ანგელოზო უფლისა ჩუენის იესო ქრისტესო...“

4. „სხუა ლოცუა საგედრებელი.—უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღუთისა...“

5. „ლოცუა უფმურისა, სამას სამოცდა ხუთის ჴერის განმაქარვებელისა.—ღმერთო, საბაოთო, ღმერთო ისრაელისაო, სამებაო სრულო და მოუკლებელო...“

შენიშვნა: ამავე ტექსტში ლოცვანი: წინამორბედ იოანე ნათლის მცემლისადმი, ათორმეტ მოციქულთადმი, წმიდა მეუდელთ მოძღურთადმი (ვასილი, გრიგოლი, იოანე ოქროპირი) წმიდათა მამებისადმი: ათანასი, ეფთჳმი, ონოფრეადმი და წმინდა ნინოსადმი.

6. „ლოცუა კეთებისა.—ღმერთო, განაშორე ამისგან ყოველი სნეულება, ყოველი სული არაწმინდა...“

7. „წმიდაო გიორგი კაპადუკიისაო, წმიდაო გიორგი იერუსალიმისაო, წმიდაო გიორგი ბეთლემისაო... წმიდაო გიორგი ოდიშისაო, აფხაზეთისაო, ჩხარისაო, ატოცისაო, უძოსაო, უსანეთისაო, კავთისაო, კორინთისაო, გორისაო, ქცხინვალისაო, მუხრანისაო, დიღმისაო, ქაშეთისაო, კალაუბნისაო, თელეთისაო, გორიჯვრისაო, მარტყოფისაო, ხაშმისაო, ნინოწმინდისაო, საგარეჯოსაო, მანავისაო, ფხოველისაო, ზიარისაო, კონდოლისაო, თელავისაო, რუისპირისაო, შილდისაო, გრემისაო, ყვარელისაო, გავაზისაო, ალავერდისაო, ველისციხისაო, გურჯაანისაო, კარდანახისაო, ქიზიყისაო [!], მელაანისაო.“

1135

ავგაროზი—[მე-18—19 ს.]

133×7,5; ქაღალდი (გრაგნილი); დასიანებული (დასაწყისი დაფლეთილია, ბოლოში ნაწილი მოხეთქილი); მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-18—19 ს.]

1. „...(სოფელსა შინა იყო და სოფელი) მის მიერ (შეიქმნა და სოფელმან იგი) ვერ იცნა. თჳისთა თანა მოვიდა და თჳისთა იგი(არა) შეიწყნარეს...“

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს იოანეს სახარების თ. I. მხ. 1—17 და მათეს სახარების 10, 1—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „ოთხნო თავნო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე! თანა-შ[ე]წერენით და დაიფარეთ ყოველსა განსაცდელისაგან და მოაშორეთ ყოველი სულისა და ჴორცისა მავნე, ეშმაკი გრძნება [მეტყუელი?], ზაკვა მონასა ამას ღთისასა.—თქუენ გეტყვით, მტერნო ესო ნაზარეველისანო, რამეთუ მოგცეს თქუენ ბნელი საყოფელად, რასა იკადრებთ, სადა სახელი მისი არს საჩინოდ და გამოსელად ვერ ძალგიცსთ? გაფუცებ...“

3. „ძეო ღთისაო და სულო წმინდაო, რომელმან შეაძრწუნე სული უკეთური...“

4. „ღმერთო საბაოთო, ღმერთო ისრაილისაო, სრულო და მოუკლებელო...“

5. „წმინდაო გიორგი კაბადუკისაო, იერუსალიმისაო, ბეთლემისაო... გელათისაო, ატოცისაო, სურამისაო, წინდისაო...“

6. „ხატო ღთებისაო [!], წმინდაო შიო მღვიმელო, წმინდაო ესტატე ერთაწმინდისაო, ძლევისა მთავარმოწამეო...“

წ ყ დ ე ბ ა: „და დაიხსენით ყოველისა (მავნესა)გან მონა მღთისა...“

1136 ა

ავგაროზი—[მე-19 ს.]

1 ფ; 16,5×35 (დაკეცილი 18 კვადრატულ ნაწილად); ქაღალდი; მხედრული; [მე-19 ს.]. გადამწერი [ეკატერინე ამილახვრის ასული].

1. „პირველითგან იყო სიტყუა (და სიტყუა) იგი იყო ღუთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი...“ (იოანე 1.1—17) II—X ნაკეცი.

2. „ოთხნო თავნო სახარებისანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იუანე [!], თქუენ შეეწერენით და დაიფარეთ ყოველსა განსაცდელისაგან დავით ერისთავი.“ (XI ნაკეცი).

3. ლოცუა ოქროპირისა. „თქუენ გეტყვით, მტერნო იესო ნაზარეველისანო, რამეთუ მოგცეს თქუენ ბნელი საყოფელად. რასა იკადრებთ, სადა სახელი მისი არს საჩინოდ...“ (XII—XVI ნაკეცი).

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „...ძეო მღთისაო, მფარველ ეყავ მონასა შენსა, დავით ერისთავს.“

4. „ლოცუა კრთომისა.—უფალო იესო ქრისტე, ძეო მღთისაო და სულო წმინდაო, რომელმან შეაძრწუნე სული უკეთური და განხადე ყოველი მავნე...“ [XVII—XVIII ნაკეცი].

1136 ბ

ავგაროზი—[მე-19 ს.]

1 ფ.; 27×31 (30 კვადრატულად დაკეცილი ნაწილი; აქედან უკანასკნელი 6 დაუწერელია; ამათში ერთი მოხეული); ქაღალდი; უცდო; [მე-19 ს.]; გადამწერი: ეკატერინე ამილახვარის ასული.

1. „... (ხოლო რაოდენთა) იგი შეიწყნარეს. მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღვთისა ყოფად..." (1—4 ნაკეცი) იოანე 1. 12—17.

2. „სახარებისანო [!] მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე! თანაშეეწიენით. დაიფარეთ ჴისა განსაცდელისაგან მხეცალი შენი ეკატირინე ამილახვრის ასული..." (5—6 ნაკეცი).

3. „ლოცვა ჟამისა ჟამურისა [!], სამას სამოცდა ხუთის ჰირისა..." (7—9 ნაკეცი).

4. „წმინდა გიორგი კაბადუკიისაო, წმინდა გიორგი იელურსალიმისაო..." (11, 13—19 ნაკეცი).

5. „წმინდანო მღვდელთ მთავარნ[ო]: ვასილი, გრიგოლი, იოანე ოქრო-პირო! წმინდანო მამანო: ანდრია, ეფთვიმე, საბა, ონოფრე! თქვენ მფარველ და მეოხ ექმენით მხეცალსა შენსა [!] ეკატირინეს, ამილახვრის ქალს..." (12 ნაკეცი).

შენიშვნა: 1, 20, 21, 22, 23 ნაკეცებზე: მიმართვა მთელ რიგ წმინდანებისადმი,

2. ყოველი მიმართვა თავდება: «..მეოხ ექმენ მხეცალსა ღ[ისა]ს ეკატირინეს, ამილახვრის ქალს (ერთგან: „თავადის ასულს")».

1137

წარმოადგენს "Mus" ხელნაწერს.

1138

ლოცვები—[მე-18 ს.]

21 ფ.; 9,3×6,5; ქაღალდი; უყდო; ნაკლული: დაზიანებული (1 ფ. ნახევარი—მოხეული); ხედრული (სათაურები სინგურით); [მე-18 ს.]

„...გვაკურთხენ, მეფობისა დაურღეველო ზღუდო! გვაკურთხენ, რომლისა მიერ აღდგენ ძლევანი.." 1 r—21 v.

წყებ ა: „წმიდათა ანგელოსთა და მთავარანგელოსთა ძალთა..."

შენიშვნა: მეტად ნაკლული ტექსტის გადარჩენილ ნაწილში: 1. „ლოცვა ყოვლად წმიდისა ღ[ვ]თის მშობელისა მიმართ, თქმული ღირსისა ფილოთეოს კოსტანტინუპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა.—უბიწოო, შეუგინებელო..." 2 r—9 v.

2. „სხუა ლოცვა ყოვლად წმიდისა ღ[ვ]თის მშობელისა მიმართ.—მიიღე ყოველად კეთილმოდგაწეო, ყოველად წმიდაო დედოფალო, ესე პატიოსანი ძღვენი..." 10 r—12 v.

3. „ლოცვა დღითიდღე სათქმელი წმიდისა ღ[ვ]თის მშობელისა მიმართ, უკეთუ გსურის ხილვა მისი ჟამა სულისა შენისა განყოფისასა.—შეიწყალენარე აწ, დიდებულო დედოფალო..." 13 r—19 r.

4. „ლოცვა განთიად და მიმწუხრი სათქმელი. წმიდისა იოანე დამასკელისა.—დიდება შენდა, ღმერთო, დამბადებელო და აღმგებელო ყოველთა..." (პოლონაკლული). 19 r—21 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1139

მარკ ტვენი. უკანასკნელი ნუგეში [1907 წ.].

14 ფ.; 18×11; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1907 წ. (1 r); გადამწერი და მთარგმნელი ყაფლან ვაჩნაძე (1r); დაუწერელია: 12 v—14v.

„შედექ! ამას იქით გაშვება თქუენი არ შეიძლება!—ოჰ, კეთილო სალდათო, შამაშვილობას, გაგვიშვი ჩვენ..." 2 r—11 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის თავფურცელი: „უკანასკნელი ნუგეში. ისტორიული ანბავი მარკა ტვენა [!]. თარგმნილი 1907 წელსა, ოქტომბრის 5-ს, ყაფლან ვაჩნაძისაგან." 1 r.

2. დართული აქვს ვინმე როსტოფჩინის ლექსი, თარგმნილი ყაფლან ვაჩნაძისაგან, 1860 წ. 12 r.

1140

ინაშვილი, ნ. საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი [1869 წ.]

2 ფ.; 26,4×20,8; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1869 (2 v); ავტოგრაფი; ადგილი: კიევი (2 v).

„საჭიროა თუ არა რიგიანი ქართული ჟურნალი? (სხარტული შენიშვნა). —გავიგე რომ გამოჩენილან ჩვენში წინასწარმეტყველნი, რომელნიც უქადიან ახლად დაარსებულს ჟურნალს მიუცილებელს დაცემას..." 1 r—2 v.

შენიშვნა: 1. ცენზურის ვიზა თაჳსა და ბოლოში, რედაქტორის კალმით ნასწორები ადგილები, ასთა-ამწყობის თითების ნაკვალევი—მოწმობს, რომ სტატიას სტამბაში გაუვლია.

2. იგი გამოქვეყნებულია ჟ. „მნათობში", 1869 წლის მარტის ნომერში, გვ. 1—7.

1141

ინაშვილი, ნ. ქალების განთავისუფლება [1869 წ.]

15 ფ.; 20,7×13,5; ქაღალდი („ფოსტის"); უყდო, დაუფურცლილი; მხედრული; 1869 (15 v); ავტოგრაფი; ადგილი: კიევი.

„ქალების განთავისუფლება (ჯონ სტიუარტ მილლის თხზულებათაგან). წთარგმნელისაგან.—დარწმუნებული ვარ, რომ ბევრნი მკითხველთაგანნი უნებლიე შეკრთებიან, როდესაც წაიკითხავენ სტატიის ზედწარწერას..." 1 r—15 v.

შენიშვნა: ნ. ინაშვილის ეს სტატია, წამძღვარებული ჯონ სტიუარტ მილის [მეუღლის] თხზულების თარგმანისათვის, გამოქვეყნებულია ჟ. „მნათობში", 1869 წ მაის-ივნისის ნომერში, გვ. 1—40 (II განყოფ.).

1142

სამკურნალო წიგნი (ფრაგმენტი) [მე-19 ს.]

1 ფ.; 23×19; ქაღალდი; დახიანებული (კიდეჩამოხეული); მხედრული; [მე-19 ს.].

«...თუ ადამიანის შვილსა თიაქარი დაემართოს და ან ჩამოუვიდეს, ამისი წამალი ეს არის გამოცდილი. ეს წამლები ამ სნეულებისა არის. პირველათ

მოიტანე ხარდანჩო. დანაყე წმინდათა, რომი მი‖ნე. ცოტათ გა[ა]თბე და ეს ხარდანჩო ამ რომში აურიე და თეთრ(ი) ნარმა და(ა)სველე წელთბილ[ი]ა. შემოსდევი დღეში სამჯელა [!]. (მეორე) წამალი: მოიტანე აქლემის განავალი; სელის ზეთშია... და შემოსდევი ნელთბილი კაკლებზედა და ბოქონზედა. (დღეში) ორჯელა უცვალე, მოიყვანე ბაყაყი. წმინდათ დანაყე... ერთი და გინდა ...სელის ზეთშია... მოშუშე და კადლე(ბ)ზედა [!] შემოსდევი. საღამომდინა ასე დაედევას. მეოთხე წამალი: თუ დაუსივდეს კაკლები, მოიტანე ლოშტაკი, დანაყე წმიდათ და მეცრე მოიტანე ფურის რძე. ეს ლოშტაკი ამ რძეში ჩაყარე კარგათა და მოხარშე და პატარა შრეშიც უყავი და შემოსდევი წინა, მუცლადმა კაკლებამდისინ და ისე ჰქონდეს საღამომდისინ და, როცა აიღო, მაში ცხარე ოტკაშია ერთი შარი(ი)ს ჭონა ქაფური ვაურიე თბილათა და ნარმა და(ა)სველე და კაკლებზედა შემოსდევი თბილ-თბილი, რომა მაღლა ასწიოს. დიდათ გამოცდილი არის ეს წამლები“.

შენიშვნა: ტრაგმენტის ტექსტი მთლიანად არის გადმოწერილი.

1143

მურაბების მომზადება--[მე-19 ს.]

2 ფ.; 35×22; ქაღალდი (დაჭმუჭვნილი, გაყვითლებული); [მე-19 ს.].

„მსხლის მურაბა.--გულაბის სხალია კარგი; ცოტა კუბე უნდა იყოს, გაიფცქვნას, კურწი უნდა ცოტად ზედვე იყოს..“

შენიშვნა: ტექსტში მსხლის, ბადრიჯნის, ჭერამის, წენგოსი, ალუბლისა, შინდისა, აპელსინისა, ვარდისა და კომშის მურაბის მომზადების რეცეპტებია.

მიწაწერი (ტექსტის ხელით): „მონავარდისა! ოთხ მანეთს გიგზავნი, გეთაყვა! მალე მიყიდვინე ერთი კოკი ყვითელი ოქროშკედი. დუფაიილის საკრავათ მინდა...“

1144

ორი მინიატურა: გრიგოლ ღვთის მეტყველისა და ვასილი დიდისა [მე-17—18 ს.]

2 ფ.; 24×18; ქაღალდი (მაღალი ხარისხისა); უცვლო, დაფურცვლილი (მეორე ფ. მეტად დაზიანებულია; მოგეული აქვს კიდეები); ნუსხური, [მე-17—18 ს.].

შენიშვნა: 1. როგორც ჩანს, სურათები ამოღებულია კონდაკიდან.

2. გრიგოლ მღვდელმთავრის პორტრეტს წარწერილი აქვს [ტექსტის ხელით, ნუსხურად]: „წ~ო დიდო მღ(ვ)დელ-მთავარო გრიგორი, მეოხ-ექმენ მეფის ძეს ლეონს.“ 1 ვ.

3. ვასილი მღვდელ-მთავარის პორტრეტს წარწერილი აქვს: „წ~ო დიდო მღ(ვ)დელ-მთავარო ვასილი, მეოხ-ექმენ მეფის ძეს ლეონს.“ 2 ვ.

4. მე-2 ფურცლის ვ-ზე, ქვემო არშიაზე, მე-17 ს. კალიგრაფიული მხედრულით მიწერილია დაზიანებული ტექსტი: „...ნოდეს ქალაქსა, მწერლისა არა ბრალია, ბატონნო.“

5. ორივე ფურცლის ოთხსავე გვერდზე შემოხაზულია განიერი ოთხკუთხედი ჩარჩოები—მწვანე, წითელი და ოქრო-მელნით.

6. პორტრეტები შესრულებულია, ფერადი წამლებით და ოქროთი.
7. მეფის ძე ლეონ, რომელიც იხსენიება მინაწერებში, უნდა იყოს ვახტანგ V შაჰ-ნავაზის ძე (ვახტანგ VI-ის მამა) და არა ირაკლი II-ის შვილი. ამას დავასკვნით მინაწერების დაწერილობისა და, განსაკუთრებით, შემკულობის მიხედვით.
8. 2 v-ს შუა ადგილას [ს. გორგაძის?] ხელით, წარწერილია: „კონდაკი წმ. ევსტათისა, სამღვდელ-მთავრო“.

1145ა

ანტონ ჭყონდიდელი. განწესება. [1846 წ.]

2 ფ.; 35,5×22,2; ქაღალდი; უყდო (გაყვითლებული, ნაკეცებზე დაბეჭული); მხედრული; 1846 წ.; ადგილი: ს. ბეთლემი (2 v).

„განწესება. ყ-დ სამღვდელოებ ეპისკოპოსმან ანტონმან მეორემ განხილებისა შემდგომ ამა ეკლესიისა და აღწერისა, დასდვა შეწდგომი განწესება: პირები მეტრიჩესკისა და აღსარების სიებისა, აგრეთვე ობისკი ქორწინებისა აუცილებლად იყუნენ დაცულნი ეკლესიაში...“ 1 r—2 v.

თავდ. „განწესება ესე მტკიცდება ხელის მოწერითა ჩემი ხმითა, ღერბისა ჩემისათა ბეჭდისათა 1846-სა წელსა, ივნისის 12-სა დღესა. ბეთლემი. ეპისკოპოზი მინგრელი(ი)ს მწყემსთავარი, ყოველისა უსამღდელო ანტონ ჭყონდიდელი.“

შენიშვნა: 1. განწესებაში წარმოდგენილია სამეგრ. სამწყსოსა და ეკლესიების უნუგეშო მდგომარეობა (წირვა-ლოცვის დაუსწრებლობა და უქმის „გატეხა“ § 4), რისთვისაც ჭყონდიდელი 5 მან. ჯარიმას აწესებს; საეკლესიო ბეგარის სიმძიმე (§§ 6, 7, 8, 9); „მისობა“ და „ლუსრმით გადაცემა“ (§§ 12—13) და სხვ.

2. „განწესების“ ტექსტი გადაწერილია უწიგნურად.

1145ბ

საკითხავი პარასკევსა ვნებისათვის [მე-19 ს.]

1 ფ.; 33,7×22; ქაღალდი (ლურჯი); უყდო (ზედა ნაწილს მარჯვენა ნაპირი მოზეული აქვს); მხედრული; [მე-19] ს; ჭვირნიშანი [18] 07.

„საკითხავი(ი) პარასკევსა ვნებისათვის, მოსახსენებელი მაცხოვრისა ჩ-ნისა იესუ ქრისტესი, თქმული(ი) ა ნ ა ნ ი ა ე ბ რ(ა)ე ლ ი ს ა, დასისაგანისა ჯვარცმის(ა). ჭსქან უფლისა ჩ-ნისა იესუ ქრისტესი წიგნთაგან საღმრთოთა და სარწმუნოებით გულსა მოდგინენ ვსწრაფენ და (ა)ღსწერენ მოსახსენებელნი, რაჲ თქუეს ურიათა ღთისათვის პონტოელსა პილატეს, მსაჯულისა ზე, რომელ ესე აღსწერა ნ ი კ ო დ ი მ ო ს წიგნთა ებრაულთა. ხოლო მე გარდმოვსწერე წიგნითა ბერძულითა, (სა(ც)ნობელათ ყოველთათვის.—ოდეს მოიწია ჟამი წინასწარმეტყველებისა... და დრო ვნებისა უფლისა იესოსი, მაშინ შეკრბენ სჯულის მეცნიერნი...“ 1 r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო იგინი დატუმნეს. ჰრქუა პილატე პასენაკსა მას: განვედ და რომლითაცა სახითა გნებავს, შემოიყვანე იესუ. ხოლო პასენაკი იგი...“ 1 v.

შენიშვნა: ფრაგმენტი წარმოადგენს აპოკრიფის ნაწყვეტს.

1145 ბ

ქადაგება. (სიტყვა) ქება ჯვრისა [1858 წ.]

1 ფ.; 35,6×22; ქაღალდი; უყდო, მხედრული; 1858 წ.; ადგილი: თბილისი 1 v.

„ჯვარი, რომელმან დაარღვია მტეროება შორის მღუთისა და კაცთა და სრულ-ჰყო შერიგება...“ 1 r-v.

თ ა ვ დ. „მოვედ ცრემლით და უამბორე წმიდასა და ცხოვრების მომცემელსა ჯუარსა ქრისტესსა, რათა მოგცეს განკურნება ყოველთა ცოდვათა შინა. ამინ.“

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის ეპიგრაფი: „დღეს სამღრთომან მადლმან ყოველადწმიდისა სულისამან შემკრიბნა ჩუენ და ყოველს ვეპყარეს ჯუარი.“

2. ტექსტის ბოლოს, ნარცხენა ხაზის, მიწერილია: „ქ. ტფილისი. ჩყნშ წელსა სეკდომბრის იდ დ ღ ე ს ა. ალაევრდობისათჳს.“

1146

ლექსთა კრებული [მე-19 ს.]

2 ფ.; 35×21,5; ქაღალდი; უყდო (გაყეთილებული); მხედრული; მე-19 ს.; ქვირიშაში: 1823.

1. ბესიკი ა. „შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი...“ 1 r.

ბ. „სევდის ბაღს შეველ შენაოწნები...“ 1 v—2 r.

გ. „მე მივხედი მაგა შენსა ბრალებსა...“ 2 r-v.

2. ოდოევსკი. ვარდი და ბულბული.—„ვარდო, რათ ხარ თავდახრილი?..“ 1 r.

შენიშვნა: ოდოევსკის ეს ლექსი მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის თხზ. ი. გრიშაშვილისეულ გამოცემაში (თბ. 1940. გვ. 151).

1147

სოფლურნი სამხარნი (მოთხრობები) [მე-19 ს.]

11 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო (რვეული, 1—3 ფ. ამოვარდნილი და დახიანებული, 3 ფ. ქვედა, მარჯვენა, კუთხე მოხეული, ტექსტითურთ); მხედრული; [მე-19 ს.]; დაუწერელია: 5 v, 6 r, 11 v.

1. „სოფლურნი სამხარნი. სამხარი პირველი. ფანჯარა. სოფელსა ჩვენსა შინა ცხოვრებდა ერთი დედაკაცი, თუმცა მოხუცებული, მაგრამ საამური და საყვარელი...“ 1 r—5 r.

წ ყ დ ე ბ ა: „მე ესჩანდი დაფიქრებულად ანუ განბნეულად, გარნა თჳთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმესა შინა არა რაჲ იფარვოდა ჩემის ყურადღებისაგან: არა მისი მოუთმენელობა, არ(ა) მისი მოუსვენელობა...“

2. [უსათაუროდ] „მე მყავდა კ(ათ)ილის მყოფელი შვედი, ესრედ განბძოლებული, ესოდენ მგრძნობელი მშვენიერებათადმი ხელოვნებისა და ბუნებისათა, რომელ აღმწერელი მათ მოქმედებათა სულსა ზედა თჳს(ს)ა, იგი სჩანდა სრულიად პოეტად“...

წ ყ დ ე ბ ა: „აი უპირატესობა და სარგებლობა ჰავისა, ხადული ეეროპასა შინა მწუხარედ და საწყლად. არა, არა, პატიოსანო მეგობარო ჩემო! არსად კაცთა არა ძალუძდ [!] ყოფნად...“

შენიშვნა: 1. „სოფლურნი სამხარნი“ რუსული დედნიდან ნათარგმნი ჩანს.

2. ტექსტი ნასწორებია მთარგმნელისავე ხელით;

3. პირველია და მეორე მოთხრობაც მეტად ნაკლულოვანია (6 ამოხეული ფურცელი და 7—8 ფუ. შუა).

1148ა

სამკურნალო წიგნი (ფრაგმენტი) [მე-19 ს.]

1 ფ.; 34×22; ქაღალდი; უყდრო (ცალკე ფურცლად, ზემო მარცხენა კუთხე და ზემო არშია შემოცლილი); მედრული; [მე-19 ს.] ნაკლული.

„...ილათ ადუღე, გადმოიღე, შეინახე. გაარჯლებულს მუწუკს წაუსვი. მოარჩენს. დაკლიღია. ლოცვა. ყმაწვილი რომ ძილში ტიროდეს და შეშინებულიც იყოს—„სახელითა მამისათა“ თქვი. „მოვიდოდა ატურ-მატურა; მოკსინვიდა გველივითა, მოსტიროდა ვაჲვითა...“

შენიშვნა: ჩამოწერილია სამკურნალო საშუალებათა და შელოცვების ნუსხა შემდეგ სნეულებათა საწინააღმდეგოდ: მუწუკისა „გაარჯლებულის“, „ყმაწვილი რომ ძილში ტიროდეს“, „ტანი რომ ეძრას ყმაწვილს“, „დეღლფაღას [!] ლოცვა“, „ტაბასტისთვის“, „პირის სიმცრალისა და ღრძილების ტკივილისათვის“.

მინაწერები 1858 და 1859 წწ. თარიღებით 1 v, ტექსტის ბოლოს. მეორე მინაწერი (1 v) მეღორესთან დადებული ხელშეკრულების ტექსტს წარმოადგენს: „ჩვენ წელსა, იანვრის თორმეტსა დღესა დაგიჭირე მეღორეთ შენ, ტფილისის ქალაქში მცხოვრებელი ანდრია დათუნიაშვილი ამა პირობით დაგაბიარე დამდღლე ღორი ცხრა, ერთი კერატი და თორმეტი ბურვაკი, რომელიც შეიქმნება სულ ოცდაორი სული. უნდა მოუარო კარგათ სამ წელიწადს და რაც მოგვცეს ღმერთმან ნაშენიც და თავნიც, როცა ყოველს შეასრულებს, ნახევარი შენი უნდა იყოს და ნახევარი ჩემი; და თუ შეგამენიო ხელ-მრუდობა, არა მოგცე რა.“

1148ბ

სამკურნალო წიგნი (ფრაგმენტი) [მე-19 ს.]

2 ფ.; 22×18; ქაღალდი (მოლურჯო); უყდრო; მხედრული (თავნაკლული); [მე-19 ს.]

„... მერმეთ ეს აბი ერთი მიეცით და მეორეს დილაზედ ორი მიეცით, მესამეს დილაზედ სამი მიეცით, მეოთხეს დილაზე ოთხი, ვიდრე ათს დღემდე უნდა თითო უმატოთ...“ 1 r—2 v.

შენიშვნა: ხელნაწერის I ნაწილში მითითებული ვენერიული სნეულების სამკურნალო საშუალებანი—1 r—2 r; ბოლო II-ში—„ყმაწვილისათვის გასახსნელი ჯულაბი...“ 2 r.

1149

რომანი უცნობი ავტორისა (ფრაგმენტები) [მე-19 ს.]

20 ფ.; 36,5×22; ქაღალდი; უყდო (ორ რვეულად); მხედრული (თავ-ბოლონაკლულნი); [მე-19 ს.]

„... შეიძლებოდა შენიშვნა ქცევითა სეტლანინისათა ცოლისა თანა, პატივისცემითა მეზობელთაგან და წესდებულებითა მისსა სოფელსა და სახლსა შინა, რომელ იგი იყო ჭკუიანი, კეთილი, ბედნიერი ქმარი და მამა და კარგი სახლის პატრონი...“ 1 r—20 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი მეტად ნაკლულია: აკლია თავსა და ბოლოში, აგრეთვე ფიგინთაც (12-სა და 13 ფურ. შუა).

2. გმირები გვ.-რები: სეტლანინი, რამირსკა, ფლოვი, ხლესტოვი, არბატოვი და სხვ. რომანის მოქმედების ადგილი (მოსკოვი, ნიკოლსკი) და თარგმანის სტილისტური და ლიქსიკური რუსიციზმები მოწმობს, რომ რომანი რუსულიდან არის ნათარგმნი.

3. გადარჩენილი ნაწილი ტექსტისა: მესამე თავი (თავნაკლული) 13 r—17 r მეოთხე თავი (ბოლონაკლული) 17 r—20 v; მერვე თავის პოლო ნაწილი 1 r—2 r; თავი მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე (ბოლო ნაკლული) 2 r—12 v.

4. ფურცლებისა და რვეულების რიგის თანაძმდევრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სწორი, თუ რომანი რამდენიმე ტომისაგან არის შემდგარი.

1150

ბესიკი. რუხის ბრძოლა [მე-19 ს.]

4 ფ.; 36×22; ქაღალდი, უყდო (დაწლილ-დაფურცვლილი, ნაკეცებზე და კიდეებზე შემოცვეთილი); მხედრული: [მე-19 ს.]

„შესხმა იმერთა მეფე სოლომონ პირველისა, დავითიან ბაგრატოვანისადმი, თქმული ბესარიონ ზაქარიას ძის გაბაონისაგან, რომელიცა მიართუა მან მეფესა თვით ჴელითა თვისითა, დღესა ქრისტეს აღდგომისასა და მიუღოცა მით აღდგომა ქრისტესი და ძლეუა ძლიერი აბხაზთა, ჯიქთა და ალანელთა ზედა, პროზად და მაირად შეთხზული.—დღეს იხარებს დავით სულიერსა ჩანგსა თანა სულითა მაღალდებელი მეფე...“ 1 r—4 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შედარებულია ბესიკის 1912 წ. გამოცემის „რუხის ბრძოლის“ ტექსტთან (თბ. 1912 ს. გორგაძის რედ. გვ. 68—90).

2. ხელნაწერის ტექსტი სრულია, ალაგ შეცდომებით დამახინჯებული.

3. საგანგებოდ შემოხვეულ კანზე წარწერილია: „რუხის ბრძოლა“ ბესარიონ გაბაონისა. დღემდე ამ ოდა-პოემისა მარტო სამი ხელნაწერი იყო ცნობილი (წ. ქ. საზოგადოებისა №№ 3723, 2270 და 951). ეს მე-4-ე იქნება (-D). იხ. ჩვენი გამოცემა „ბესიკი“, თბილისი 1912 წ. გვ. 68. როგორც შედარებამ გვიჩვენა, ეს ხელნაწერი ძლიერი ახლო ნუდას ხელნაწერს B-ს (=წ. კითხ. № 2270). 1915 წ. იანვრის 10-სა. ს. გორგაძე.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

1151

[ავალიანის] ლექსთა კრებული [მე-19 ს.]

11 ფ.; 22×18; ქაღალდი; ფუდო (რვეული, 7-ფ. ამოვარდნილი); მეჯდრული („დედაბრული“); [მე-19 ს.] ნინო ბოლქარაძის შემოწირული 1914 წ.

1. „ოდეს ქმარი მოუკვდა.
—დავკარგე სიხარული, ცნობა, გული...“ 1 r—7 v.

2. „ოდეს ბიძა შადგა ბერად, დაუტევა ქვეყანა და ობოლნი ძმისწულნი სხვადასხვა ადგილს წავიდნენ.—თქვენ წახვედით, მე დამაგდეთ, უნუგეშოდ ცრემლთა მღვრელი...“ 8 r-v.

3. „ოდეს შეასმინეს ტყუილად მაზლს.—ნეტა რა უყო უწყალოდ ჩემი ბედისა წერასა...“ 8 v—9 r.

4. „თავს ნუგეშს აძლევს და სოფელს ემდურის.—სოფელი ესე შენია...“ 9 r-v.

5. „წინადადება და სამდურავი.
—ჰაჰა, რა ცრუ არის ესე სოფელი...“ 9 v.

6. „რძალთან წყენა მოუვიდათ.
—მოდი და, შვილო გაბრაზულ, ნუ სწყვიალითა დედასა...“ 10 r.

7. „ოდეს ვანა რუსეთს იყო.
—რაზედ მომიგზნე უწყალოდ უმრეტი ცეცხლის ალია...“ 10 r-v.

8. „ოდეს რძალთან სამდურავი მოუხდათ.
—მე არა მქონდა იმედი შენი კეთილის გულისა...“ 10 v—11 r.

9. „ოდეს შვილის შვილი გა(ა)თხოვა.
—ახ, რა უყო ესდენ ვალსა...“ 11 r.

10. „[ოდეს] მოაგონდა მკვდარნი ძენი ორნი...“ 11 r-v.

შენიშვნა: 1. ლექსებში ალაგ ავტობიოგრაფიული ცნობებია: „რადგან მომაშორა, ვემფური სულა, იესომ დეკანოზს გიორგი ავალიანოვის ძესა...“ „წელსა ათას რვა(ა)სიყო ოდამიუთვი. სკდებრის თკსპეტს ორშაბათს დღეი...“ „რადგანც გამოეჩინე ბღაღოჩინებში სრულად... შენ თუმცა სიონის კრებაში გამოსწყდი ჩემად მეელილად[!]...“ და სხვ. („ლექსში“ ოდეს ქმარი მოუკვდა“ 1r, 1v, 2 v). მოტანილი ადგილების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავტორი ყოფილა სიონის დეკანოზის („ბღაღოჩინის“) გიორგი ავალიანის ქვეიცი: დაქვრივებულა 1824—25 წწ. და სხვ.

2. ლექსების დაწერის თარიღი არ იძკვევა.

3. კონვერტზე, რომელშიაც ჩადებულია რვეული, ს. ჯორგაძის ხელით აწერია (წითელი და ლურჯი ფანქრით): „ლექსები. ნინო ბოლქარსკის (თარხნიშვილის ასულის) შემოწირულობა.“

1152

სომხურ-ქართულ-თათრული გრამატიკა (ფრაგმენტი) [მე-18 ს.]

6 ფ. (ძველი პაგინაციით ლ-ლთ გვ.): 22×17; ქაღალდი; ფუდო; თავ-ბოლონაკლული; ხელნაწერი; [მე-18 ს.]; ვეცრნიშანი: 1782 (5 და 4 ფ.); მეექვსე ფურცელი დაზიანებულია.

„... სომხური. ქართული. თათრული. ნაცვალსახელისათვის. — ნაცვალსახელი იგი, რომელი დაიდების სიტყუასა შინა ნაცლად სახელისა, სომხურისა ენისამებრ იწოდების დიერანუნ და თათართამებრ — ზამირ. ხოლო განიწვალებიან ნაცვალსახელნი არსებითათ, ჩუენებითათ, მოგებითად, კითხუითად და კულაე მოღებითად...“ 1 r—5 v.

წყდება: „... გულოე-ლინილოე. ყოფნით. ქმნით. ოლერქენ. ოლუფ.“

შენიშვნა: 1. გრამატიკა შეიცავს: „ნაცვალსახელისათვის“—1r—3 v და „თვის უღელიღებისათვის არსებითისა ზმნისა“—3 v—5 v.

2. ტექსტი წარმოადგენს სომხურ-ქართულ-თურქული პარალელური გრამატიკის ფრაგმენტს.

3. ხელნაწერში დაცულია ანტონ კათალიკოზის გრამატიკული ტერმინოლოგია.

1153

შესანიშნავ ადამიანთა ბიოგრაფიები [1879 წ.]

33 ფ.; 36×22; ქაღალდი („თაბახი“); უცდო; დაშლილი; მზედრული; 1879 წ. (33 r) ადგილი (თარგმანის): გორი (33 r).

1. „ეგნაზოდი მოცარტის ცხოვრებიდგან. მეჩვიდმეტე საუკუნეში.—ქალაქ პრაგის ახლო, კოზუზის ქედზედ, რომლის ძირში ხმიანად მომდინარეობენ მშვენიერი ჩქარი წყლები...“ 1 r—4 v.

შენიშვნა: 1. სათაურის გასწვრივ, ფრჩხილებში „ეს უნდა გარდაკეთდეს.“

2. ტექსტი ნასწორებია ტექსტისავე ხელით.

3. ნათარგნი ჩანს [რუსულიდან?].

2. „პაწაწა აზნაურა“—რუბენსი. მეთექვსმეტე საუკუნეში.—პეტუა, მე მოწყენილი ვარ! რანაირ გრძელდება სოლმე დღე, როცა დედა შინ არ არის!..“ 5 r—11 v.

3. „და იქმნეს ნათელი! ჰუტენბერღი. მეთუთხმეტე საუკუნეში. I. ჰუტენბერღი, ანუ სახელი კეთილის მთისა.—ახალგაზდა კაცი ასე თოთხმეტ-ხუთმეტის წლისა ადიოდა თხის სამარდით ფითალო კლდეზედ...“ 12 r—16 v.

4. „დომრემელი გლეხის ქალი ჟანნა დ'არკი. 1. ხე ფეია.—19 ოკტომბერსა, 1428 წელსა ღამდებოდა კიდეც, როცა ვიღაც კაცი შეშინებულის სახით და დაქანცული ფეხით მოჩოჩამდა მდინარე მეზის სანაპიროზე...“ 16v—22 r.

5. „დატყეეებული მძეული. გუსტავ ვაზა. მეთექვსმეტე საუკუნეში. 1. პატარა ვაჟი.—თოთხმეტის წლის ვაჟი—პავშვი იდგა მწვეტიანი კლდის კინწიროზედ...“ 22 v—25 v.

6. „გასსანდი. (მეჩვიდმეტე საუკუნეში). I. ფაიანსის ძაღლი.—ჩემო ცოლო, კარგად მიკიტე ეკლესიის კარებები?..“ 25 v—33 r.

1154

Varia

შენიშვნა: ხელნაწერი მოთავსებულია პაკეტში ე. თაყაიშვილის წარწერით: „ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართული წიგნების და ხელნაწერების კატალოგი, გამოგზავნილი ო ლ ივ ე რ ვ ა რ დ რ ო პ ი ს მიერ.“ (ლათინური ტრანსკრიფციით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1155

სარაჯიშვილი ალექსანდრე. „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები [მე-19—20 ს.]

598 ფ., 21×17,5 (პირველი 6 რვეული) და 17,5×22 (20 რვეული); ქაღალდი; უყდო (პირველი 6 რვეული—ლურჯკანიანი); მხედრული (პირველი 5 რვეული—მელნით, დანარჩენები—ფანქრით, ალაგ მელნით); მე-19—20 ს.; ავტოგრაფი; დაუწერელია: 588 r—598 v; დანარჩენი ფურცლები ნაწილობრივ ან მთლიანად ცარიელია. ალექსანდრე სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან შემოწირული 1914 წ.

„ზოგიერთი „ვეფხის-ტყაოსნის“ ხანების სიყალბე.—მკითხველს ეხსომება ამ ათის წლის წინათ ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარი კომისია „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტის აღსადგენად და შესასწორებლად...“ 1r—587 r.

შენიშვნა: 1. სათაური „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები“—მე-8-ე რვეულიდან; პირველ 6 რვეულზე კი, „ზოგიერთი „ვეფხის-ტყაოსნის“ ხანების სიყალბე“, მე-7-ე რვეულზე: „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ხანები“. 91 r.

2. ხელნაწერის უკანასკნელი თავი—XCV. 3. XCIV თავის ბოლოს (584 v), ს. ჯორჯაძის ხელით, წითელი მელნით, აწერია: „*) ამ წერილის თავები I—XCIV დაბეჭდილი იყო ჟურნალ „მოამბეში“ 1895 წლისა №№ 11 და 12; 1896 წლისა №№ 3, 4—8; 1897 წლისა №№ 2, 4, 5, 7, 9—11; 1898 წლისა №№ 1, 2, 4, 5 და 11; 1899 წლისა 1 და 10; 1900 წლისა №№ 3—5, 7, 8 და 10; 1901 წლისა №№ 5 და 6. წინამდებარე მე-95-ე თავი, რომელიც აქ იბეჭდება [იგულისხმება „ძველი საქართველო“ ტ. IV. ტფილისი. 1914—1915. 54—58 გვ.], განსვენებულის ქაღალდებში აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს თავია დამთავრებული. რედაქტორი“.

3. XCV თავს წითელი მელნით, ს. ჯორჯაძის ხელით წარწერილი აქვს სათაური (585 r); ამ თავის ტექსტის ბოლოს, იმავე ხელითა და მელნით, სქოლიოს სახით: „┼ ალ. სარაჯიშვილი. *) აქ წყდება ეს საყურადღებო წერილები. როგორც მკითხველი ხედავს, ეს უკანასკნელი წერილიც დაუთავრებელია, თუმცა ავტორის აზრი ცალია: მე-1591-ე ხანა ძას ყალბ ხანად მიაჩნია. ამავე აზრისა იყო განსვენებული პოეზის ბოლოსიტყვაობის ორი უკანასკნელი ხანის (1592 და 1592) შესახებაც, რაიც მას ხშირად გამოუთქვამს ჩვენთან კერძო ლაპარაკში. რედაქტორი“.

4. მესამე რვეულში და მეცამეტე რვეულში ჩადებულია: მე-3-ში—4 ფ., ბოლო მე-13-ში—1 ფ. ტექსტი, უსაგნისციოთ, მაგრამ ფურცლების საბოლოო სათვალავში (598) შეტანილი.

5. მე-10-ე რვეულს 175 r, 176 r-ზე, მელნით რუსული თარგმანი: „681 Пить кончилось, (каждый) к себе разошлись пившие домой...“ 692 სტროფამდის, ბოლო სტრიქონში: „...Только безумный с зверями ходит он в поле, плачет“.

1156

სარაჯიშვილი ალექსანდრე. თავადიშვილის მეურნეობა [1914 წ.]

38 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; უყდო (ლურჯკანიანი, დაფურცვლილი რვეული); ტექსტი დაწერილია ფანქრით, ცალ გვერდზე); მხედრული; ავტოგრაფი; 1914 წ. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„თავადიშვილის მეურნეობა ამ ასის წლის წინად.—ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ჩვენის უწინდელის შინაურობისა, კერძო კაცის ცხოვრებისა...“ 1—33 ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ა. გარეჯანზე აწერია „დაიბეჭდა 1914 წ. „კლდის“ № 19, 20, 21“.

ბ. 20—23 ფფ. ფანჭრით არის გადახაზული და, როგორც ჩანს, არ შესულა ნაბეჭდ ტექსტში.

გ. რვეულს უხის № 2, დაწერილი წითელი ფანქრით, ს. გორგაძის ხელით.

1157

სარაჯიშვილი ალექსანდრე. ერთის გლეხკაცის ოჯახის ბედი [მე-20 ს.]

46 ფ.; 21,5×17,5; ქაღალდი; უყდო (ლურჯკანიანი, დაფურცლილი რვეული); [მე-20 ს.] მხედრული (დაწერილი ფანქრით, ცალ მხარეს—r-ზე); ავტოგრაფი. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ერთი გლეხკაცის ოჯახის ბედი მეთვრამეტე საუკუნეში.—1684 წელს ფანასკერტელს ცისიშვილს, ბოქაულთა-უხუცესს პატონს ფარსადანს ავად გაუხდა თანამეცხედრე მისი, პატონიშვილი დარეჯან...“ 1 r—46 r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია 1914—1915 წ. „ძველი საქართველოს“ IV ტომში, გვ. 31—53 (ტფილისი).

1158

სარაჯიშვილი ალექსანდრე. არტანუჯის ვარიანტი „ვეფხის-ტყაოსნისა“ [1914 წ.]

58 ფ.; 22×17,7; ქაღალდი; უყდო (დაფურცლილი, ლურჯკანიანი რვეული, ფანჭრით ნაწერი ცალ გვერდზე); მხედრული; 1914 წ. (1 r); ავტოგრაფი; ადგილი: [ტფილისი]. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„არტანუჯის ვარიანტი „ვეფხის-ტყაოსნისა“. I—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში ინახება ხუთი ხელნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“, ეგრეთ-წოდებულის არტანუჯის ვარიანტისა...“ 1—57 ფ.

შენიშვნა: 1. პირველ გვერდზე, ს. გორგაძის ხელით, წითელი ფანქრით, აწერია: „წაკითხულია 1914 წ. მარტის 27-ს (ოქმი № 85)“. [საქართველოს საისტ.-საეთნოგრაფო საზოგადოების სხდომაზე].

2. ტექსტი გამოქვეყნებულია „ძვ. საქართველოს“ ტ. IV, 1—30 გვ. ტფ. 1914—1915 წ.

1159

სარაჯიშვილი ალექსანდრე. ავგიორგი. II ნაწილად [მე-20 ს.]

48 ფ.; 22×17,7; ქაღალდი (ლურჯკანიანი რვეული, დაფურცლილი, ცალ-გვერდზე ნაწერი); მხედრული, მე-20 ს.; ავტოგრაფი. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ავ-გიორგი. I.—ზამთრის სუსხიანი ღამე იყო. უმთვარო იცა, ურიცხვ ვარსკვლავით მოკენკილი, ალაზნის ველს წამოპბუროდა...“ 1—48 ფ.

შენიშვნა: მოთხრობა, მცირეოდენი ადგილების გამოკლებით, დაწერილია დიალოგების სახით (ალავერდელსა, ტფილელსა, სამებელსა და რუსთველს შორის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1160

სარაჯიშვილი ალექსანდრე. ვახტანგ V მეფის მეჯლისში [მე-20 ს.]

12 ფ. (24 გვ.); 17,9×22,2; ქაღალდი: უყდო: მზედრული: (ფანჭრით ნაწერი, ცალ-სვეტად); ავტოგრაფი; მე-20 ს.; დაუწერელია: 21—24 გვ.

„ვახტანგ V მეფის მეჯლისში.—ერთხელ ქართლის მეფე ვახტანგ V—არ ვიცით, თავის მმისწულს ითხოვებდა, თუ დისწულს, არც ის არის ცნობილი, თუ ვის აძლევდა, მაგრამ ეს კი ნამდვილად ვიცით, რომ ქორწილი მეფემ თავის სასახლეში გადაიხადა 6 თებერვალს, 1673 წელს...“ 1—20 გვ.

შენიშვნა: 1. მოთხრობა დაწერილი ჩანს შარდენის „მოგზაურობის“ სათანადო ადგილის მიხედვით.

2. ტექსტი გამოცემულია (ჯეჯილი, 1905, № 4, გვ. 35—47).

1161

სარაჯიშვილი ალექსანდრე. შახსეი. [მე-20 ს.]

48 ფ.; 17,9×22,2; ქაღალდი: უყდო (2 მოგრძო რვეული, ფანჭრით ნაწერი ცალ-მხარეზე); დაუმთავრებელი; [მე-20 ს.]. ავტოგრაფი; 40—48 ფფ. დაუწერელია.

„დიდი ხნის ამბავს მოგახსენებ... როდესაც ამ თორმეტის წლის წინად დერბენტში გახლდი...“

წ ყ დ ე ბ ა: „სიკვდილის სიახლოვემ ნორჩი ყასიმის,...“

შენიშვნა: „შახსეის“ წარმოშობის ისტორიისათვის ავტორს გამოუყენებია მოჰამედის წიგნი „ხუჭრათურ-რიაჰი“ 4 ტ.

1162

რუსული ტექსტი

1163

რუსული ტექსტი

1164ა

რიშ-ბაბა [ალ. სარაჯიშვილი]. **ნამცვრევი** [მე-20 ს.]

2 ფ.; 35×11; ქაღალდი; უყდო (დაფურცვლილი, სასტამბოდ ნაწერი, ფანჭრით, ცალ-გვერდზე); მზედრული; მე-20 ს., ავტოგრაფი. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ნამცვრევი [ნაკვესები].—ვინცა სვა, კიდევ დალევს, ვინცა სწერა, კიდევ დასწერს... მაგრამ გახსოვდეს კი, მწერალო—წერამაც სმასავით თავის ტკივილი იცის...“ 1—2 ფ.

შენიშვნა: 1. ტექსტი სულ 19 „ნაკვესს“ შეიცავს.

1. ტექსტის ბოლოს მოწერილია ალ. სარაჯიშვილის ფსევდონიმი „რიშ-ბაბა“.

1164 ბ

რიშ-ბაბა [ალ. სარაჯიშვილი].—უკუდო ვირი [მე-20 ს.]

1 ფ.; 35×11; ჭაღალდი; უყდო (ფანჭრით ნაწერი r-ზე); მხედრული; [მე-20 ს.]; ავტოგრაფი.

„უკუდო ვირი. არაკი.—ვიღასიც უკუდო ვირი, მეტად დატვირთული და ქანც-გაწყვეტილი, ტალახში ჩავარდნილიყო...“ 1 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს, ავტორის ხელითვე მოწერილია მისი ფსევდონიმი „რიშ-ბაბა“.

1165

რუსული ტექსტი

1166

მაჰაფჰარატა (თარგმნილი ალ. სარაჯიშვილის მიერ) [მე-20 ს.]

84 ფ.; 18×22,3; ჭაღალდი; უყდო (4 რვეულად, ფანჭრით ნაწერი, ცალ-სვეტად, მარჯვენა მხარის სუფთად დატოვებით); მხედრული; მე-20 ს.; მთარგმნელის ალ. სარაჯიშვილის ხელით; დაუწერელია 78 v—84 v. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„...IV. თათბირი.—ათას-სხივიანი დღის მნათობი ამოეფარა უტურფესს ასტის მთასა და დადგა საიდუმლოებითა და საშინელებით სავსე ჟამი მწუხრისა...“ 1 r—78 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს აკლია თავში მთელი I რვეული—28 ფ.—„მაჰაბჰარატას“ I, II, III თავის შემცველი. დანარჩენი რვეულები (II—V) IV—XVII თავს წარმოადგენენ.
2. მთარგმნელის ხელით გაკეთებული პაგინაციით რვეულებში 49—160 გვერდია
3. 1 r-ზე, დაუწერელ I სვეტზე, ს. გორგაძის ხელით წარწერილია: „ამ თარგმან(ის) სამი პირველი თავი (I—III) მთარგმნელის შესავალითურთ დაიბეჭდა სათაურით „კურუიანი“ ჟურნალ „ფსასუნჯში“, 1910 წ. № 1. გვ. 40—62“.

1167

მსაჯული ბიჭი [მე-20 ს.]

13 ფ.; 35,5×11; ჭაღალდი; უყდო (ფურცლებად, ცალგვერდზე, ფანჭრით ნაწერი); მხედრული; მე-20 ს.; რუსულიდან მთარგმნელის ალ. სარაჯიშვილის ხელით. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„მ ს ა ჯ უ ლ ი ბ ი ჭ ი. ზღაპარი სამს მოქმედებად „ათას ერთის ღამიდან“ (რუსულიდან).—...მეორე მოქმედება. ქუჩა ბაღდადში. ჭალამთა. სცენა ორად არის გაყოფილი. მარჯვენივ—ეზოა. მარცხნივ—ქუჩა. ეზოში პატარა სახლია, წინ ხეები და გრძელი სკამები. ერთი გრძელი სკამიც ქუჩაში დგას ეზოს ღობესთან. ქუჩის სიგრძეზედ სახლები ჩანს. შემოდიან ქუჩის მხრიდან **ჰარუნ არრაშიდ ხალიფა** და მისი ვეზირები—ჯაფარ, მანსურ, ვაჰრულად ჩაცმულნი. I. ხალიფა ჯაფარ და მანსურ, **ხალიფა** (მოვა გრძელ სკამთან). ძლივს!.. აქ დავისვენოთ...“ 1 r—13 r.

9. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტი იწყება მეორე მოქმედებით.
2. პირველი მოქმედების შესახებ—მთარგმნელის შენიშვნა: „მსაჯული ბიჭი". ნაბეჭდი „ჯეკილი" (ნომერი აღნიშნული არ არის).

1168

რობერტო ბრაკკო. ნიღაბი [მე-20 ს.]

39 ფ.; 17,8×22,2; ქაღალდი, უყდო (რვეულად შეკერილი); მეფრული (ფანქრით ნაწერი ყოველი ფ. ცალ მხარეზე); მე-20 ს.; ფრანგულიდან მთარგმნელის აღ. სარაჯიშვილის ხელით; დაუწერელია: 32 r-v. შემოწირულია აღ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ნიღაბი. დრამა ერთ მოქმედებად. მომქმედნი პირნი: ლუიჯი პალმიერი —42 წლისა. პაოლო—მისი მონაწილე, 35 წლისა... მოქმედება ნეაპოლში.—. ჩვენს დროს. მოქალაქის სახლის შინაურობა. სასტუმრო ოთახი. შუათანა შეძლების ოჯახის მოწყობილობით... ტერეზა (დუდუნებს თავისთვის ლოცვებს და ამაღლებს ხმას მხოლოდ ლოცვის პირველსა და უკანასკნელს სიტყვაზედ).—განსვენება საუკუნო მიანიჭე მას, უფალო..." 2 r—31 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი თავდება მეტწერ სანახევროდ.
2. ტექსტის ბოლოს, ცალკე სტრიქონზე: „რობერტო ბრაკკო".
3. აქვე, ქვემო სტრიქონზე: „ფრანგულიდან ნათარგმნი ალ. სარაჯიშვილის მიერ)"
4. გამოქვეყნებულია ჟ. „მოამბეში". 1904, № 10, ვანგ. I. გვ. 1—25.

1169

ბრეტონული ფოლკლორის ნიმუშები (ბრეტონულიდან) [მე-20 ს.]

I, 60 ფ.; 21,2×17; ქაღალდი (შავ-კანიანი სერთო რვეული, ფანქრით ნაწერი); ქართული ტექსტი—მეფრული; XX ს.; მთარგმნელის აღ. სარაჯიშვილის ხელით; 58—60 ფ. დაუწერელია. შემოწირულია აღ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ბატონი ნან და ალი.—ბატონი ნან და მისი ცოლი ადრე დაქორწინდნენ, მაგრამ ადრეც გაიყარნენ..." 1—5 ფ.

შენიშვნა: 1. მთელ რვეულში ქართული თარგმანის ტექსტი მოცემულია ყოველი ფ. v-ზე, r-ზე დაწერილი ბრეტონული ტექსტის პარალელურად.
2. თარგმანი სტრიქონობრივი ჩანს.

2. „ბუღბული.—სენ მალოს ახალგაზდა მეუღლე გუშინ ტიროდა თავის მაღალს სარკმელში..." 6—9 ფ.

3. „ტანი ალი.—I. ვინ მიცოცავს მთაზე? მგონია შავი ცხვრის ფარაა..." 10—14 ფ.

შენიშვნა: ნიმუში ოთხი თავისაგან შედგება.

4. „საქორწილო სიმღერები. I. მაყარი.—სახელითა ყოველად ძლიერის მამისათა..." 15—24 ფ.

შენიშვნა: „საქორწილო სიმღერები" სამი ჯგუფისაგან შედგება: I მაყრისა და მდადეს დიალოგები, II „სარტყელი", III „სუფრული".

5. „ლურჯები.—ძაღლების ღმეილი მესმის. აგერ, ფრანგი სალდათები! ტყეში გავიქცეთ!.." 25—33 ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „ნუკრი—თიკანი პოსტანში შევიდა...“ 34—36 ფ.

7. „ბეშერის ვაჭრის ცოლი.—მამა ჩემმა გამათხოვა თხუთმეტის წლისა...“ 37 v.

8. „გინდა ცოლი შეირთო, ვანო, ჩემო, ვანო?“ 39 v—41 v.

9. „ტოროლას და ჭვინტას ქორწილი.—ტოროლამ და ჭვინტამ ჯვარი რომ დაიწერეს და სახლში რომ მივიდნენ, საჭმელი არა დახვდათ რა...“ 43 v—45 v.

10. „მენახირე.—კორდის მენახირევ, ტყეში ხომ არ გამაცილებ?...“ 45 v—46 v.

11. „მკალავი.—იყო ერთი საწყალი მკალავი...“ 46 v—47 v.

12. „ერთხელ ერთი საწყალი კაცი იყო, სამი შვილი ჰყვანდა...“ 50 v—51 v.

13. „ვირის ანდერძი.—საწყალი ვირი რომ მიდიოდა, ორმოში ჩავარდა...“ 52 v—53 v.

14. „მაგალი.—ო, მაგალი, ჩემო საყვარელო!..“ 55 r—57 v.

შენიშვნა: ამ ნიმუშის ტექსტი დაწერილია ფუ. ორიენ მხარეს და თან არ ახლავს დედნის პარალელური ტექსტი, როგორც ქრებულში მოთავსებულ დანარჩენ თარგმანებს.

1170

სარაჯიშვილი ალექსანდრე. ამბავი იმამ ჰუსეინის წამებისა [მე-20 ს.]

12 ფ.; 21,8×17,5; ქაღალდი; (ლურჯკანიანი რეული, ნაწერი ფანჯრით, ცალგვერდზე); მეიდრული; [მე-20 ს.]; დაწერილია 8—11 ფ. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ამბავი იმამ ჰუსეინის წამებისა.—დამასკის ხალიფა აბუსუფიანის შვილი მოავია რომ კვდებოდა, იხმო თავისი შვილი იეზიდ და უთხრა:—ურჩი ყურეშითის გვარი დაგიმორჩილე...“ 1—6 გვ.

წყდება: „და მეოთხედ, ჰუსეინი რომ თავის ნათესავებით მედინიდან მექას მიდიოდა...“

შენიშვნა: 1. ჰუსეინის ამბავი შეტანილია ალ. სარაჯიშვილის „შახსეიში“ (შდრ. H1161, გვ. 4).

2. „ჰუსეინის ამბავი“ ავტორს დაუწერია მირზა ქამალის დახმარებით, მუჰამედის წიგნის „ხუჭრათ-ურ-რიახის“ გამოყენებით. (ს. H1161 გვ. 4).

1171

ორი ავარული ლექსი „რაჩვადინ გმირზე“ (დედანი და რუსული თარგმანი) ალ. სარაჯიშვილის ხელნაწერებიდან.

1172

„ვეფხის-ტყაოსნის“ რუსული სტრიქონობრივი თარგმანი—1—6 რეული 623 სტროფამდე. ალ. სარაჯიშვილის ხელნაწერებიდან.

1173

ალ. სარაჯიშვილის „Сходство в идее любви и изображении ея у авторов европейских и у Руставели“ (მე-3—6 რვ.). ავტოგრაფი.

1174

„Барсова кожа“ (რუსული თარგმანი 1—399 სტროფისა). ალ. სარაჯიშვილის ქალაქდებიდან.

1175

„О грузинской литературе XVIII века“. ალ. სარაჯიშვილის ქალაქდებიდან.

1176

Три аварские песни (რუსული თარგმანი). ალ. სარაჯიშვილის ქალაქდებიდან.

1177

ქართველთა გმირი (ლეგენდა) [მე-20 ს.]

10 ფ.; 28×22; ქალაქდი; უყდო (რვეულად შეკერილი); მხედრული; მე-20 ს.; დაუწერელია 6—10 ფფ.

„ქართველთა გმირი“. (ლეგენდა). თავი I.—

სამყარო, ბნელით მოცული, უწესრიგოთა ირევა...“ 1 ტ—5 ტ.

წ ყ დ ე ბ ა: „...შენი სასჯელი სიცოცხლეს აარსებს, უფასს ადიდებს...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. უცნობი ავტორის ეს ლექსი შესულია საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერებში ალ. სარაჯიშვილის არქივთან ერთად 1914 წ.

2. გაუმართავი ლექსით ნაწერს მდარე ხარისხის 23 სტროფს შეიცავს.

3. სათაური სამი ვარიანტის სახით არის მოცემული: „ქართველთა გმირი“,* „განთიადი“, „სიზმარი“.

1178

რამაიანი. ინდოეთის პოემა [მე-20 ს.]

78 ფ.; 21×17,5 და 35,8×22,2; ქალაქდი; უყდო (ორ რვეულად: I—ლურჯკანიანი, დაშლილი ფფ: II—დიდი ფორმატისა, ოთხფა ძაფით შეკერილი); მხედრული; ერთ-ერთი მთარგმნელის ალექსანდრე სარაჯიშვილის ხელით; [მე-20 ს.]; დაუწერელია—17—24, 74—78 ფფ. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„რამას განდევნა (პოემიდამ “რამაიანი“). თარგმნილი ნემეცურიდამ ნ. იასკოვ(ს)კისა და ა. სარაჯიშვილისა. თავი I. კრება.—დაზარათ, მეფე აიოძიისა, იჯდა თავის ტახტზე. ჩინებულნი მთავარნი ქვეყნისანი შემოვიდნენ და დასხდნენ, მათის ხარისხის დაგვარად, მეფის გარშემო...“ 2 ტ—73 ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ყ ვ დ ე ბ ა: „მერე ყველანი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ფარატამ რამას შარაჯნენ გარშემოუარა. რამასაგან დათხოვილი ლაშქარი აიოძიის ქალაქს მიეკლა“.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის I (ა. შარაჯიშვილის) წინასიტყვაობა: „მთარგმნელის წინასიტყვაობა.—„რამაიანი“ უდიდესი და უწარჩინებულესი პოემაა ინდოეთისა...“

2. ხელნაწერში ჩადებული ორი წერილი, მიწერილი ალ. შარაჯიშვილისადმი იური რომენსკის მიერ, არ შეეხება „რამაიანას“ ქართულ თარგმანს (რუსული ტექსტები „რამაიანას“ რუსული თარგმანისათვის).

3. „რამაიანას“ ტექსტი გამოქვეყნებულია: ჟ. „მოამბე“, 1897. № 2, განყ. I, 49—75; № 3, I, 71—94; № 4, I, 57—76.

1179

ბროსე, მარი-ფელისტე. „ვეფხის-ტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაობა [1898 წ.]

6 ფ.; 27×20,8; ქაღალდი (უმაღლ. ხარისხ.); უყდრო, შეუკერავი; მხედრული; ალ. შარაჯიშვილის ხელით (6 რ); 1898 წ. შემოწირულია ალ. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„ბროსესეს წინასიტყვაობა „ვეფხვის-ტყაოსანისა“, 1841 წელს გამოცემულისა. — რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ ვეფხვის-ტყაოსანს, იმთონი უფრო და უფრო მოგვწონს...“ 1 რ—6 რ.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს, ტექსტის ხელით: „ეს წინასიტყვაობა გადავწერე ი. ო. იოსელიანის ნასესხის წიგნიდან, 24 თებერვალს, 1898 წ. განჯა. ა. სარაჯ.“.

2. ტექსტი დაბეჭდილია „ჟ. ტ.“-ს 1841 წ. ბროსესეულ გამოცემაში.

1180

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში — Ros. № 213)

1181

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში — Ros. № 214)

1182

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში — Ros. № 215)

1183

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში — Ros. № 216)

1184

სარაჯიშვილი ალექსანდრე. დაუმთავრებელი წერილები [მე-20 ს.]

8 ფ.; 22×18; ქაღალდი, უყდრო, დაშლილი (ფანქრით ნაწერი); მხედრული, [მე-20 ს.], ავტოგრაფი; დაუწერელია; 4, 6, 8 ფ. შემოწირულია ა. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „მსოფლიო ისტორია. წიგნი I. ძველი დრო. ქვეყნის დასაბამიდან რომის იმპერიის დაცემამდე (395 წ. ქ. შ.). თავი I. ეგვიპტელნი. 1. ეგვიპტის ერი. 1. ევროპა ხუთი ათასი წლის წინადაც დასახლებული იყო. მაგრამ მაშინდელნი მისნი მცხოვრებნი ახლანდელებს როდი ჰგვანდნენ. 2. ისინი სცხოვრობდნენ ქვაბებში და ალაჩუხებში...“ 1 r—3 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... ამ სამუშაოზედ მეფეები ამუშავებდნენ თავიანთ ყმებსა და ტყვეებს...“.

2. „სიმონ ზაალიჩმა რატომ ცოლი არ შეირთო? — მე რომ აფიცრობა მივიღე და ჩვენს პოლკში მივედი, პირველადვე სიმონ ზაალიჩის როტაში დამნიშნეს...“ 5 r-v.

წ ყ დ ე ბ ა: „... მაგისთანებს სწავლისა არა სწამთ რა. მეცნიერებას ამაყის დაცინვით ეძახიან თეორიას, უქნი კაცის მოგონებულსა“.

3. „სმა-ჭამა ძველად. — ნუ გიკვირთ თუ კიდევ სმა-ჭამაზედ ჩამოვაგდე სიტყვა. ეგ ისეთი დიდი საქმე იყო ჩვენის მეფეებისათვის და ისეთი დიდი ადგილი ეჭირა ამათს ცხოვრებაში, რომ, უეჭველია, უნდა რამდენადმე ემოქმედნა მათს ზნეობაზედ...“ 7 r-v.

წ ყ დ ე ბ ა: „... თუ ჰურჭლის შესახებ ცოტა რამ ვიცით, სამაგიეროდ საჭმელის სიუხვისა და ნადიმის რიგის შესახებ უცილობელი ისტორიული დოკუმენტები გვაქვს. — ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“.

შენიშვნა: 1. კონვერტს, რომელშიაც ჩადებულია ხელნაწერი, ს. გორგაძის ხელით, ლურჯი ფანქრით აწერია: „ა. სარაჯიშვილის სხვადასხვა შენიშვნები და დაუმთავრებელი წერილები“.

2. მოთხრობა „სიმონ ზაალიჩმა რატომ ცოლი არ შეირთო“ დაწერილია მელნით.

3. „სმა-ჭამა ძველად.“ იწყება რუსთაველის ცნობილი სტროფის დასაწყისით; „სმა-ჭამა, დიდად შესარგი.“

1185

სარაჯიშვილი ალექსანდრე. სიტყვის მოქცევა [მე-20 ს.]

134 ფ.; 21,5×16,8; ქაღალდი, მუყაოს ყდა („საერთო რვეული“); მხედრული (ფანქრით); ავტოგრაფი; [მე-20 ს.]; დაუწერელია: 1, 2 v, 36 v—130 r, 131 r—132 r-v., დანარჩენისა მხოლოდ r არის დაწერილი. შემოწირულია ა. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

„სიტყვის მოქცევა. — ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, —პლატონ იოსელიანისა. სატრფო ფერცხალი ირაკლი ქახთა მეფისა (1) ფერცხალი — მეუღლე. წესი ეწმახიდან აღმოშობისა (ნათლობა?) 5. სჯული არღა ჰსჯულობდა (?) სამეფოში. 16...“ 2 r — 36 r.

შენიშვნა: 1. „სიტყვის მოქცევის“ ტექსტს (დაუმთავრებელს) დართული აქვს: ა. სიტყვის კოშა: „ბოლაური — დედაბოძი დარბაზისა; გვირგვინი—დარბაზის თაღი...“ (სულ 48 სიტყვა. 130 v, 131 v, 134 r), ზოგი რუსულად განმარტებული. ბ. „სახელები კაცისა (და) ქალისა.—მამაგული, გულია, თფლისა, ბეგნა ჩოლაყაშვილი [!], სულია...“ (15 სახელი) 133 r.

2. სათაური („სიტყვის მოქცევა“) ქვემოთ, ავტორის ხელით, რუსულად: „× пример управления глаголом надежа“. 2 r.

3. „სიტყვის მუქცევაში“ მოტანილია მაგალითები შემდეგი ტექსტებიდან: ა. პ. იოსელიანი. ცხოვრება მეფის გიორგი XII. ბ. ქართლის ცხოვრება. II. გ. თ. ჟორდანიას ქრონიკები. II. დ. საჭართველოს სიძველენი I და სხვ. ე. (იოსებ ტფილელი) „დიდ მოურავიანი“. ვ. დ. გურამიშვილი: „ქაცია მწყემსი“. ზ. ვ. ბარნოვი „საფლავის ქვაზე“. თ. რუსუდანიანი“. თ. ზღაპრები. ი. ვაჟაფშაველა. ია. „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“; ჲბ. „ცხორებაჲ ილარიონ ქართველისაჲ“. იგ. „ცხორებაჲ იოანე ღუთისმტყუელისაჲ“. ჲდ. ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“. იე. „ბარამიანი“.

1186

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექციაში Mus № 567)

1187

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექციაში Mus № 568)

1188

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექციაში Mus № 569)

1189

ევროპის სახელმწიფოთა ახალი ისტორია [მე—19 ს.].

100 ფ.; 35,5. 11; ქაღალდი; უყდო; დაშლილი: დაზიანებული (პირველი ფ-ლი გახეულია); თავსაკლული (აკლია პირველი 4 რვეული); მბეჭდური; [მე-19 ს.]; დაუწერელია: 1—96 ფ-ის ყველა v. 97 v—100 r. შემოწირულია ა. სარაჯიშვილის მემკვიდრეებისაგან 1914 წ.

[ევროპის სახელმწიფოთა ახალი ისტორია] „... მაშველად (1630 წ.). სამი დიდი ბრძოლა მოიგო, მაგრამ უკანასკნელში კი თვითონ დაიღუპა (1632 წ.)...“ 1 r—96 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი იწყება საფრანგეთის ისტორიით (თავი IV)—1 r.

2. თავები — „ევროპიელნი ევროპის საზღვრებს გარეთ“ (თავი VIII) და „ევროპიელები ამერიკასა და ამერიკაში“ (თავი IX) გადმოგვცემს კოლონიზაციის ისტორიას— 80 r—96 r.

3. ისტორიის ეს ტექსტი რუსულიდან უნდა იყოს თარგმნილი.

4. დასაწყისში ტექსტი ნასწორებია (ფანქრით).

5. 100 v-ზე: მინაწერი ს. გორგაძის ხელით „ევროპის XIX საუკუნის ისტორიიდან“.

1190

სჯულის კანონისაგან ამოწერილობა (მე-19 ს.)

52 ფ. (რ% გვ.); 7,5×11; ქაღალდი: მუყაოს ყდა; მბეჭდური (სათაურები სინგურით); [მე-19 ს.]; გადამწერი: ბოჭორიძე, ნიკოლოზ, პრიჰეტნიკი (17 v).

„ჰსჯულის კანონისაგან ამოწერილობაჲ“. [ა] „კანონ[ნ]ი შეცოდებულთანი, ამწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს-მიერ კოსტანტინეს-

პოლელ მთავარეპისკოპოზისა, რომელსა მ[მ]არხუჱლ ეწოდა.—პირველად უკუჱ ვსთქვათ რიცხვნი და სახენი ცოდვათანი და მერმე განყოფილება და თვითო სახეობა დიდთა და საშუალთა და მცირეთა და თვითო სულისა წესი და კანონი. ვითა ით(ხ)ოვს მორწმუნეთა მათ ძმათა განმარტება. არიან უკუჱ ხორციელნი ცოდვანი რუანი...“ 1 r—35 v.

შენიშვნა. 1. ტექსტის შედგენილობა: ა. იოანე მმარხველის ავტორობით მოცემული ტექსტი 2 r-დან 12 r-დე. 2. ბ. „კანონ[ი]ი ღმითი-დღეთა ცთომათანი, ვითა წმ-დნ მამამან ჩ-ვენ ვასილი განაწესა. — პირველი მოსვლა გულის სიტყვისა, რომელი მოუხდეს [კაცსა] და გონებამან მსწრაფლ განიატოს, უცოდველი არს...“ 12 r—17 v. გ. „ზარისხნი ქორწინებისანი ამისთჳს იწოდებიან ზარიხად, რომელ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვლენ ზარისხად...“ 17 v—35 r.

2. ტექსტსა წინ უძღვის: „ჳწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხველი...“—იოანე მმარხველის სჯულის კანონის დახასიათება. 17 v.

3. დართული აქვს: ა. „მაგალითნი ქორწინებისანი...“ ნაზაზებში ნაჩვენებია შემთხვევები უკანონო ქორწინებისა: „ვერავინ შემძლებელ არს შერთვად ცოლად დისა თჳსისა...“ 35 v—47 v. ბ. „სამ ნათესაობისათჳს მაგალითნი შემდგომნი“. 48 r—51 v.

4. ტექსტი ნასწორებია.

ანდერძი (გადამწერისა): 1. „ესე ჰსჯულის კანონი სრულის კანონიდან გადმოვწერე, შემოკლებით, ცხადი ცოდვილმან პროჩენტინგმან ნიკოლოზმან ბოჭორიძე.“ 17 v.

2. „აჰა სრულ იქმნა ორნათესაობა. მე ნიკოლოზ“. 48 r.

3. „მე ვარ კეთილ სჯულისა კანონი სამღორთო, კაცისა ჴელთა-მძღუანველი, მჭკორწინეთა ჯუროვან-დ შემაუღლებელი. მორწმუნეთათჳს დამოიგებელი. უფროს ღუთისადმი შეცვარებული, კუთვნილი მორჩილი ნიკოლოზ, ვვარად არის ბოჭორიძე. ხოლო ვინცა გულს იდვას პარვა ამისი, იყოს ღუთისადმი შერჱვნებული. ამინ.“ 52 r.

1191

ახალციხის კათოლიკეთა მიმართ [მე-19 ს.)

15 გვ.; 17,8×11, ქაღალდი; უყდო (რვეულად შეკერილი, 6 წინა ფ. ამოჭრილია); მხედრული; [მე-19 ს.]; გადამწერი: მღვდელი იოანე მესხი, გვარამაძე.

„სიტყჳსა და წერაის [!] შეუცვლელათ.—ვინათგან მესმის, რომ თქვენში არიან ზოგნი, რომელნი გაშფოთებენ და ეჭვს აგდებენ თქვენს გულში წ-ა ეკლესიის კათოლიკე სარწმუნოებაზედ და იმავე წ-ა ეკლესიის სწავლების წინააღმდეგს რამეებს გასწავლიან თქვენ და ამისთვის ზოგნი თქვენგანნი, რომელნი ეშვიანი შემჭმილან, ამბობენ: არ ვირწმუნებთ, მანამდინ პატრები არ მოვლენ...“ 1—15 გვ.

შენიშვნა: მიმართვა მიზნად ისახავს გაუახლოს ახალციხის კათოლიკეთ „იჯვან სწავლა, რომელიც თავიდამ პატრებს მოუციათ“ — და მათ (ახალციხელებს) დავიწყებიათ.

1192

ოთხთავი [მე-17—18 ს.]

I. 261 ფ.; 8,5×5,7: ქაღალდი (სხვადასხვა); ტყავგადაკრული ხის ყდა, ამობურცული ყვავილოვანი სახეებით ნაკეთები ოქროს ბუდით შემკული; დაზიანებულია ფფ.: I, 1—5, 250—

ეროვნული ბიბლიოთეკა

261 (ყდის ბუდის დაჭანჭყული ლურსმნების მიწოლით), გაბეჭდილია ფ. 261; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-17—18 ს.]; ხელნაწერი მდიდრულად არის გაფორმებული ფერადებით ნაწერი თავკაზმულობით—3 r, 7 r, 73 r, 115 r, 119 r, 183 r; ტექსტის ყოველი გვერდის ორ-ორი სვეტი ჩამოლულია ოქროცურვილ განიერ ჩარჩოში და ყოველი ცალკე სტრიქონი გარშემოვლებულია ოქრო-მელნით; დაუწერელია: 2 v, 6 v, 72 rv, 187 rv, 235 r—236 v.

„თავი პირველი. სახარებაჲ მათეს თავისაჲ.—წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი. აბრაჰამ შვა ისაკ...“ 7 r—234 v.

შენიშვნა: 1. ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის: „ე ვ ს ე ბ ი კარპ[ი]ანეს, საყვარელსა ძმასა, უფლისაგ მიერ გიკითხავ...“ 1 r—2 r.

2. თეითოეული თავის ტექსტს აქვს სათაებელი (3 r—6 v; 71 r—72 r; 115 r—117 v; 186 r-v).

3. ოთხთავს დართული აქვს სხვა (მდარე) ქაღალდზე, სხვა ხელით [მე-18 ს.] შესრულებული სახარების საკითხავების ნუსხა: „წ ჴ და დიდებულსა კ ჳ ესა აღსვებისასა სამრად სახარებაჲ იესი ა...“ 237 r—261 r.

4. ტექსტი მრავალ ადგილას [შეესებულია? ნასწორებია?] სინგურით.

ანდერძი (გადამწერისა): „ღმერთო, წარმარ[თ]ე საქმე ესე ჴელთა ჩემთა“. I v.

(საკითხავების ნუსხის გადამწერისა): I. „ნებამცა თვალსა არ მიკლოს, რომ კ'დ ერთიცა განვასრულო“. 245 r.

II. „ღმერთო, შეიწყალე ამის მწერალი წინამძღვარი ხაჭარია. ვინც ჴელთმოიღებდეთ, შენდობას ჰპოფდეთ ბერისთ'ნ“. 261 r.

1193

კრებული [1766 წ.]

201 ფ.; 20,5×15,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტყიფრული ხის ყდა, თავნაკლული (117 ფ. დაბეჭდილია); 186—187 ფ. შუა ფფ. ამოკრილია); მბეჭდრული (სათაურები სინგურით); 1766 წ. (118 v); გადამწერი: სიონის დეკანოზი ნიკოლოზ (118 v); ადგილი [ტფილისი]: დაუწერელია: 4 rv, 5 r, 9 v, 12 rv, 14 v, 17 v, 19 rv, 22 r, 24 v, 28 r, 29 v, 31 r, 32 v, 34 r, 35 r, 36 r, 37 rv, 40 v, 42 r, 43 v, 45 r, 46 v, 47 v, 50 r, 51 r, 52 r. 53 r, 58 v, 67 r, 69 r, 71 r, 72 v, 76 v, 81 r, 82 v, 84 v, 85 v, 87 rv, 89 r, 91 r, 93 r, 95 v, 96 v, 98 v, 101 v, 103 r, 105 r, 106 rv, 107 v, 108 v, 110 rv, 112 rv, 115 v, 117 v, 164 v, 165 r, 201 rv. შემოწირულია დიონისი კალატოზიშვილის მიერ 1915 წ.

[თეიმურაზ II].

1. „[მიჟინას სიკვდილზე].

ჭ. ვითა ესთქვენეთ ძნელად სათქმელნი აწ თქვენთან ჩემის პირითა...“ 3 r.

შენიშვნა: 1. ლექსი შედგება 5 ოთხ-სტრიქონიანი სტროფისაგან.

2. წინ უძღვის ლექსის დაწერის მიზეზის განმარტება: „სიმცროს ბატონისშვილობაში მეფე ერეკლეჲ შვილი გახარდა...“

3. დართული აქვს „ლექსი ბ ო დ ე ლ ი ო ნ ო ფ რ ე ს ი.—როს მოკვდა თქვენი ბიჭინა, შეექნა ეტლი წყეული...“ (3 rv) (შდრ. თეიმურაზ II თხზულებათა კრბ. 1939. თბ. გვ. 136, XXXIX. გვ. XI).

2. „ჭ: დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ე რ ე კ ლ ე ს ძის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებაჲ შემდგომად წელიწდისა ცხრისა, თქმისა ამისსა. აწ წიგნსა ამას სწორედებიეს სარკე თქმულთა.

—ვით ჴელეჭყო აღძრვად სიტყუათა, ვერ სიბრძნის ღირსმან სწაჲლობით...“ 6 r—117 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. „დღისა და ღამის გაბაასებას“ წინ უძღვის ოთხსტრიქონიანი ლექსი რომელიც თეიმურაზ II-ს პოეტური შემოქმედების შეფასებას წარმოადგენს: „ქ: შეფისა სიბრძნით ნაშრომმა უსიტყვ ყვნა ბრძენნი მისრისა...“ 5 v.

2. ტექსტში „დღისა და ღამის გაბაასების“ დაბოლოება არ არის გამოყოფილი და უკანასკნელ სტროფს (ყკდ) ზედვე მისდევს. (შდრ. გ. ჯაკობიას გამოცემაში „თავგადასავალი“-თ დასათაურებული ტექსტი: „როდეს ყეენმან სეფემან ყო საჭართველოს მცევლია...“ 116 r—117 r.).

3. „ყუმარზედ ზმა, ლექსად თქმული მისვე მეფისა [თეიმურაზ II] მიერ განჯაფისა, ჭადრაკისა და ნარდისა.

—ამისგან ჯაფას ბეგრს ვნახავ, ვინ მზესა დაედარების...“ 118 rv.

4. [ანბანთ-ქება 2.]

„ანი და ჩი კვალად მეფის თეიმურაზისაგან [II] თქმული.

—აღმეძრა ბაგე გულის დადებით, ეუწყო ვისზედ სწორეო თქმულება...“ 119 r.

შენიშვნა: გ. ჯაკობიას გამოცემაში: „ანბანთ-ქება 2.“ გვ. 125.

5. „ანბანთ ქება მეფის დავითისაგან, რომელსა უწოდდენ იმანყულიხანად.

—ადამ ბძანების განგებულებით დაბადა ევა, ვინ ზმნა Uერს თანად...“ 119 r.

6. „ჩი და ანი რუსთველის ნიკოლოზისაგან თქმული.

—ჩვსნი, ჰაფხაზნი, ჯიქ-ჭადელები, ხელად ჭართალელთ წირდაღს ძრავს ცაცა...“ 119 r.

7. „ანი და ჩი ბოდბლის ონოფრესაგან თქმული.

—არ ბაღში გამცენ დღე ესე, ვით ზი Uერსა თანადო...“ 119 r.

8. „ანბანთ ქება, ამიცანად ნათქვამი მისვე მეფის ერეკლეს ძის მეფის თეიმურაზისაგან.

—არის რამ უცხოდ საცნობელ, გამოუთარგმნელ ენათა...“ 119 v—122 r.

შენიშვნა: გ. ჯაკობიას გამოცემით „ანბანთ-ქება 4.“ (გვ. 131—135).

9. „ანბანთ ქება, ამიცანად ნათქვამი მისვე მეფის თეიმურაზისაგან [II] ცხებულებასა შინა, თავრეზს.

—აღვძრათ სიტყვა საცნობელი, არცა ძნიად გამოჩნდების...“ 122 v—125 r.

შენიშვნა: გ. ჯაკობიას გამოცემით: „ანბანთ-ქება 3.“ (გვ. 126),

10. „ანბანთ ქება თქმული მისვე ბრძნისა და მეცნიერისა, ღრვ გვირგვინოსნის მეფეთ მეფის და თჳთ ჴელმწიფის პატრონის თეიმურაზ პირველისა მიერ.

—აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 125 v—128 r.

შენიშვნა: აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემით: „ანბანთ-ქება 11“ (გვ. 149. ტფ. 1934)

11. „კვალად ანბანთ ქებაჲ თქმული ღრთიე გვირგვინოსნის თეიმურაზ ბრძნისა მეფეთ მეფისა მიერ, საამოდ სასმენელი ლექსი. აწ ისმინეთ.—აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძვალსა...“ 128 v—131 r.

შენიშვნა: აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემით „ანბანთ-ქება III.“ (154 გვ. ტფ. 1934.)

12. „თქმული მეფის არჩილის მიერ, ანბან-ლექსნი, ამიცანად სათარგმანებელნი უცებათათჳს მცირედრე საჭიროდ წერტილნი და ბრძენთა ადვილგულის-ხმის საყოფელნი.—

არსი ყოვლთა დამაარსი, სხჳა უარსო არსად არი...“ 131 v—137 r.

შენიშვნა: 1. სათაურში სიტყვა **ბრძენთა** დაწერილია ანტონ I-ის მიერ შემოღებული ასო ჳ-ს ჩამატებით.

2. „არჩილიანის“ 1936 წ. გამოცემაში: „ანბანთ-ქება ამიცანად სათარგმანებელნი“ გვ. 277.

13. „კვალად მეფის არჩილისაგან ნაბძანი ანბანთ ქება.—

აღვძრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვის ზე ჱე თამაშობდეს...“ 137 r.

შენიშვნა: 1936 წ. გამოცემით „ანბანთ-ქება არჩილისა (სულხანის პასუხად)“. (გვ. 273).

14. „ქება და დიდება წმიდისა და ერთარსებისა სამებისა და ღ-თაებისა, ბუნებით განუყოფელისა ხოლო გვამებით განყოფილისა, კრებათაგან დამტკიცებული, ლექსად თქმული მეფეთ-მეფის ღ-უ გვირგვინოსნის პატრონის თეიმურაზისაგან [I], კუთხეებითამც არს სახსენებელი მისი უკუნისამდე.—

აღვაღო პირი, სიბრძნე და მძჯრი, ზესთა ძალისა ჩემისა მბობად...“ 137 v—139 v.

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემაში—სათაურით: „შვიდთა კრებათათვის“ (გვ. 161).

15. „ქ. იესუს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავითის რტოდ აღმოფურჩნილის და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა და ღ-ის-მეტყუელებისა მადლსა ღირს-ქმნილისა, ღ-ეს გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფის და თვით ჴელმწიფის თეიმურაზის [I] მიერ აღმოთქმული წჱიდათ ქება ანბანზე ლექსად თქმული.

—ადამ ვახსენოთ პირველად, თვით შექმნა ღმერთმან რომელი...“ 139 v—142 v.

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემით: „ანბანთ-ქება I.“ (გვ. 145).

16. „ქ. ეს ანბან ლექსი სათარგმანებელნი, ამიცანად მეცნიერთათვის საამო, ხოლო უცებათათვის ფრიად საჭიროდ გულისხმის საყოფელნი, ნათქვამი პეტრე მგალობლის სიონელის ტფილისის ქალაქელისა ნაქაძეს მიერი.—

ქ. არსთა მაარსჱან, თჳთ დაუარსმან, სამოთხე შექმნა აქ ადამისთვის...“ 142 v—145 r.

17. „ქ. საქართველოს ზეობანი, რომელი ჯერ არს ესეეთარად წერთილობა ქცეთა, რომელთა ჰნებავს, რათა სრულ იყოს საწუთოსა ამის ზნეკეთილობათა მიერ, ესე ყურად იხვენ და გულად მიიხვენ, რომელი ესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წარმოუთქჳამს, რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იქცეოდენ: აჰა ისმინე ესე მკითხველო.

—მოწყალე ხარ მართლის გულით, მოქცნეთა ჯხვად, ღმერთო...“ 145 v—152 v.

წყება: „და თორ უამისოდ ცუდია, იქნება მართ მამონება. ნუგეშინითა“ (1936 წ. გამოცემით „საქართველოს ზნეობანის“ 96 სტროფის ბოლო და 96 სტროფის პირველი სიტყვა. გვ. 13).

18. „ქ. ანბანთ ქება, ახლად თქმული ბაბათაშვილის ტბილელის [!] იოსების მიერ თქმული.

—აღვახვამ ბაგეს საქებრად, ყოვლთ სულთ ღვთად ერთად ქმობილო...“ 153 r—155 v.

19. „ქ. ეს ანბჱნთ ქება უცხოჲ და ახალ შემოღებულნი და არ ადვილად სათარგმანებელი ბატონისშვილის ვახტანგის მიერ, უფალმან მრავალ ქაშიერ ყოს და განაძლიეროს მტერსა ზედა ამინ.

—ასრე არის: აგებული ამგებელსა აქ აქებდეს...“ 156 r—158 v.

შენიშვნა: ვახტანგ VI-ს „ანბანთ-ქების“ ტექსტის ქვემოთ, ოთხსტრიქონიანი ლექსი.

—ქ. ჯუფთარს არავის, ეთქვა არავის, თუ ვინ აწ ბრძანებს, ვეჭვ არ შემდგომი...“

20. „ქ. აქა სხვადასხვა ანბან ქებანი იწყებიან.

—აჰა, ამბად აღვამაღლო აწ ალეისა აღნაგობა...“ 159 r-v.

21. „ქ. ანბანთ ქება, ცხრა ლექსად თქმული, ღარიბი.

—ანო, ავთქვი ჩემი ლხინი, თუცა მზესა გავეყარე...“ 159 v—160 r.

22. „ქ. ანბან ქება, ცხრა ლექსად ნათქვამი, ღარიბი.

—ანო, არ ვიცი რა სენსა დაუდგამს ჩემთვის თვალები...“ 160 v—161 r.

23. „ქ. ანბანთ ქება, ცხრა ლექსად ნათქვამი, ღარიბი.

—ანო, არსთა საქებარი მე ვით ვჰქო, ჯავარ-სრულად...“ 161 r-v.

24. „ქ. ანბანთ ქება.

—ანო, ალვა დანერგული, ედემს ნორჩი ტანი ვნახე...“ 162 rv.

25. „ქ. ანბანთ ქება ცხრა ლექსად ნათქვამი, ღარიბი.

—ანო, აღმოვსთქვამ სიტყვასა, ცხელის ცრემლითა მტირალი...“ 162 v—163 r.

26. „ქ. კვალად ანბანთ ქება სხვებრი [ქეთევან წამებულისა].

—ან, ამას ვსტრი, ბან, ბნელსა მჯდომი, განძ. გულთა მდუღრად, დონძ. დადაგული...“ 163 v.

27. „ანბანთ ქება.

—ქ. აღვაღს ბედსა, გვაჩით დავით, ედემს ვრცელად, ზის Ⴟე თხემსა...“ 163 v.

28. „ანბანთ ქება.

—ქ. ადამ ბრალ-გარე-დებული ევას ვერ ზევს Ⴟეთერსა თმენით...“ 163 v.

29. „ანბანთ ქება.

—ქ. ამისთჳს ბაგე გავძარ დადებით, ესმეს ვის ზრდანი Ⴟეთერის თმასა...“ 163 v—164 r.

30. „ანბანთ ქება.

—ამას ბრძენი გულდგმით ერჩდეს, ვლტოლით ხმნიდეს, ესრეთ თქმულსა...“ 164 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. „ანბანთ ქება.

—აღვძრავ ბაგეთა, მოსადაგეთა, მცირედ რაც ძალმიცს ვიტყვი ენითა..." 164 r.

შენიშვნა: ეს „ანბანთ-ქება" მთლიად 2½ სტრიქონს შეიცავს.

32. „ანბანთ ქება ცხრა ლექსად ნათქვამი, ღარიბი.

—ანო, ჰა, დრო და ჟამი ჩემად მოდგა დასამჭობლად..." 165 v—166 r.

33. „ქ. სამი ანბანთ ქება დოსითეოს ჩერქეზის შვილის თქმული, ორი ანითგან და ერთი—ჩითგან.

—არიოზ ბნელ გულ დასახავს ესრეთ, ვერ ზომით ცოობს თჳთება-თადა..." 166 r.

34. „[არჩილი]—პირველის მეფის თეიმურაზისგან თქმული გლოვა დედოფლისათვის.—ქ. ჟამი გარდავდა შვებისა, მოვიდა გლოვა, წუხილი..." 166 v—167 r.

35. „ეს ვახტანგ [VI] ბატონის შვილისაგან თქმულია.

—ქ. მე, უმცირესმა ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად..." 167 v.

36. „აქა ქელმწიფეს მეფეს თეიმურაზს [I] გრემის სასახლეზე ლექსები ეთქვა და ბაღის სახლებზედ დაეწერა. ისმინეთ ყოველთა.—ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ განვადიდოთო..." 167 v—168 r.

შენიშვნა: ტექსტში: „ღმერთი არს რომელ ყოველთა იგ ვაქოთ, განვადიდოთო." შესწორებულია 1934 წ. გამოცემის მიხედვით. 142 გვ.

37. „ენა ცწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი..." 168 r.

38. „ქ. (იოსებ) ტფილელის ნათქვამი.

—სიბრძნემ თავისა თვისისა, სახლი იშენა გებული..." 168 r.

39. „ქ. (იაკობ) შემოქმედელის ნათქვამია.

—სიბრძნე ქრისტეა და სახლი—უბიწო მისი მშობელი..." 168 r-v.

40. [„შეი-ხონია] „ზამბახის პირი, მნახავთა ჰპრი, კეკლუცს უფარავს, მაზე წარებით..." 169 r—174 r.

შენიშვნა: პოლში დართული აქვს:

„აშიას ეთქვა ადამიანს ესე ლექსი მასაზელად.
უტყვად ექმილეარ მგრძნობი ეხე, მეც მნებავი მასაზელად..."
ზემაში: „იესუ" უნდა გვკითხოს ავტორის სახელი.

41. [ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო] „აქა კარი პირველი წიგნისა ამის შესაეალი, რომელსა ეწოდების სახელად მიჯნურთ ბადე, ამად რომე მიჯნურსა ბევრი საცდომელი სდგას და თავის შენახვა მართებს, რომე ბადესა ამას შიგან არ გაებას, თვარა გამოხსნა ძნელიღაა, ამად რომე არა ყველასგან შესაძლებელია მიჯნურობა და თუ ვისმე მიჯნურობა გწადდესთ, ესე წიგნი აღმოიკითხეთ და ამ წიგნსა შიგან რაცა ეწეროს, თუცა სრულად გჭირდეს, ჴელჰყავ სამედ და თუ არა და თავი ამოდ შეინახე.

—ახლა გამოვსჩნდი, დამერქო სახელი მიჯნურთ ბადია..." 174 v—186 v.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ... „ბრძანა-თუ, ნახვა სწადიან."

42. [ორბელიანი, დიმიტრი]. „ანზე ვისი ყმა ხარ, ლექსად თქმული.

—ქ. ანის ქალაქით წამოველ, ალაერდისკენ რებული...“ 187 r—189 v.

შენიშვნა: 1. დიმიტრი ორბელიანის ავტორობისათვის იხ. კ. კეკელიძე. ისტორია. II, 619.

2. დიმიტრი ორბელიანის აღტორობის უტყუარობა ირკვევა H 1103 „ავალიშვილის დავთრის“ მიხედვით, სადაც ამ ლექსს წინ უძღვის და ბოლოში დართული აქვს დ. ორბელიანის ანდერძები.

43. [შავთველი იოანე. ამბულ-მესია.]

—სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა, თქვენდა შემკობად...“ 109 r—197 v.

შენიშვნა: 1. კრებულისათვის წამძღვარებულ საძიებელში ეს ნაწარმოები აღნიშნულია ამგვარად: „თქმული კეთილად ქებას ვგონებ არჩილისა იყოს: სამებით ღონ̃ე..“ 2 v

2. ტექსტში თამარის სახელის ნაცვლად ჩაწერილია არჩილის სახელი „არჩილს ვაქებდეთ“ და სხვ.

44. „სხვა გვარნი ლექსნი დაიწყებიან, რომელ არს მაირინი.

—ღმერთო, რომელი შენ მსუფევ ბაერთა თანა, ცაშიგან...“ 197 v—199 v.

შენიშვნა: საძიებელში ეს ლექსი გამორჩენილია.

45. „ქ: არს კაცთა ტომი, დიდებით მჯდომი, შორის ჰაერთა, ცის სამყაროსა...“ 199 v—200 r.

შენიშვნა: საძიებელში ეს ანბანთ-ქება აღნიშნულია ამგვარად: „თქმული კვალად ანბანთ-ქება ჩაბრიხულად [!]: არს კაცთა ტომი“. 2 v.

46. „ანტონი კათოლიკოზის თქმული ანბანთ ქება.

—ქ. აქვირვებს, ადენს ალებსა, ალმასი აელვებული...“ 200 r-v.

შენიშვნა: კრებულს წინ უძღვის თავსაკლული საძიებელი (1 r—2 v). „ერთად ჰამასთჳს, ღამისაგან თქმა. უმჯ...“ 1 r— 2v.

მინაწერი: 1 ყდის v-ს და მეორე სავარც ფურცლის v-ზე.

ანდერძი: „ქ. აღიწერა წიგნი ესე ლექსთა მეფის თეიმურაზის ნაბძანები, ჴელითა სიონის დეკანოზის ნიკოლოზისათა, ქორონიკონს უნ̃დ“. 118 v.

1194

ოთხთავი [მე-18 ს.]

325 ფ.; 31×20; ქაღალდი; ხავერდგადაკრული ხის ყდა (I ყდა გატეხილი); ნუსხური, [მე-18 ს.]; ჩართულია ფერადებით ნაწერი პორტრეტები: მათეი (39 v.), მარკოზისა (84 v): ლუკასი (120 v) და იოანესი (191 v.); ფანქრით ნახაზი კონტური იოანე მახარებელისა (190 v); დაუწერელია: 1 r—39 r, 119 r—120 r, 187 v—190 r, 191 r, 243 v—245 v, 285 r—325 v; ტექსტში დასწორების ასოები თავებისა და სათაურები თუროშელნით არის ნაწერი. შემოწირულია ალექსი გულისაშვილისაგან 1915 წ.

„სახარებაჲ მათესი. თავი პირველი. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შვა ისაკ...“ 40 r—243 r.

შენიშვნა: 1. მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა ტექსტების წინ უძღვის სოფრომისა და დოროთე სინოპელ ეპისკოპოსის მიერ თქმული შესხმა თვითეული მახარებლისა (83 v—84 r; 118 r-v; 156 r—187 r).

2. ტექსტს დართული აქვს ა. „(ს)აძიებელი წრისა სახარებისა და ღ[მრთ]ბრწყინვალესა კრიაკესა აღესებისასა წორეის სახარება.“ 246 r—267 r. ბ. „თქვეთა მეტყუელნი...“ (სქელემბერიდან—აგვისტომდის).—267 v—282 r. გ. „სახარებანი წ[მ]თა მამათა ჩუნა ქართველთა მნათობთა ათორმეტთა, ასურეთით ღ[მ]ა მიერ მოვლინებულთანი.. [და სხვათა].“ 282 r, 284 v.

1195

ქრონოლოგიური ცნობები საქართველოს ისტორიიდან [1808—1817 წ.].

2 ფ.; 34×22,5; ქაღალდი (ლურჯი); უყდო (ციტებზემოცვეთილი); მხედრული; 1817 წ. ჭვირინაში; 1808. შემოწირულია ალ. ჯაფარიძისაგან 1915.

„ქ. 1812 წელთა, სკკდემბერს, ალექსანდრეს გამო იქმნა აღრეულობა შორის კახთა და რუსთა და ჯერ არ ვიცით. 1813 ქ. დიდი უბედურობა შეიმოხეიეს კახთა და აღაოხრეს კახეთი რუსთა...“ 1 r—2 v.

წყდება: „ქ. მეფე [!] სოლომონ გაეპარათ ტფილისიდამ. ახალციხეს ავიდა. მაისს(ი) 11 წვიდა და თან წაყვა წერეთელი ქაიხოსრო და ორი სეიმონები და ორი ერისთეის შვილები: დავით და გრიგოლ. მაისის 11 ია.“

შენიშვნა: 1 ორი ფ. (1 თაბახი), ქაღალდის 4 გვ. მთლად დაფარული ქრონოლოგიურ-ისტ. ხასიათის მინაწერებით, მოთავსებულით ძირითადად ორ-ორ სვეტზე და ზოკან არშიებზედაც (2 v. მარჯვ. არშ.).

2. ცნობების დიდი ნაწილი თანამედროვეს მიერ ჩაწერილი ჩანს (ცნობები 1812—1817 წწ.)

3. ქრონოლოგიური ცნობების ნაწილი ამოწერილია წყაროებიდან: „ჩ[ა]ე ქ. პირველი სოლომონ მეფე [!] იმერთა მიიცვალა...“ (1 r). „ქ. წელთა ჳ[ს]თა 2 ნ. ყ. ხ[ე]. მეფედ [!] იქმნა მირიან ზვასროიანი... კნიაზ ციციანოვს პაველს გაემარჯვა სპარსეთს, მეედრთ-მძღვანელობათა თვისათა. და მოიკლა ყიზილბაშნი... და რუსი თუ ქართველნი მოიკლნენ მცირე რამ და სახელგიანად აღეღჭნენა აბაშიძე ქაიხოსრო, ლევანის შვილი და მოიკლა იქვე თვესა ივნისსა: ქრისტესით 1804“. 1 v—2 r. და რუსთის საჭართველოსა და ა. კავკასიაში დამკვიდრების ამბები, ციციანოვის მოღვაწეობიდან მოყოლებული, ვიდრე ფოთის ციხის ისევ ოსმალეთისათვის დათმობამდე 1812 (წვენი ხელნაწერით: 1813 წელს. 2r-v).

4. ქრონიკების ჩაწერამდე ხელნაწერში ჩაწერილი ყოფილა ამჟამად მელნით გადაბაზული: ა. ზემო იმერეთის სათავადო აზნაურთა და გლეხთა საბჟერო დავალიანების ნუსხები, სოფლებისა და მობეგრეთა გვარების ჩამოწერით: „ქ. აქ ჩამოვიტანეთ წი(რ)ქვლითგან ბური კოდი 3. ქ. კიდევ ჩამოვატანინე ბური კოდი 5 და ნამგალი.“

საწინაო ბოქმორისშე. და ორი გლეხი სხვა...“ 1r. ბ. [საღორაში შენახული [?] ფულის ნუსხა: „46 ქ. [ორ] ყორუშიანი მე ქ. იოსღული ია. ას ფარიანი...“ 2v.

5. ქრონიკის აბალი ცნობების დამწერი და ძველის გადმომწერი უკანასკნელი წყაროს ამბების მოხსწრეა: „ალექსანდრეს გამო იქნა აღრეულობა შორის კახთა და რუსთა... და ჯერ არ ვიცით.. (1 r).“

6. ქრონიკების „დამწერი ზემო იმერეთში ცხოვრობს: „რუსებს გამოეპარა კოსტანტინე და აქ ჩამოვიდა... აქ მღვიმეს, მობძანდა...“ 1 v. 1817 წლის წყალობიდობის აწერის დროსაც: „... აქ, მღვიმეს, საშმბეები რომ არის, იქამდე მიუწია წყალმა...“ 1 r. I სვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1196

გ. ავალიშვილის კრებული [1818 წ.]

I, 397 ფ.; 21×16; ქაღალდი; მუყაოს ყდა; დაზიანებული (ბრავალი ფუ. ამოვარდნილია. ზოგი—გაბეული: 108. 188, 244, 335); თავნაკლული; მხედრული (სხვადასხვა ხელით, სათაურები სინგურით); 1816—1817 წ.წ. (106 r, 203 r, 262 v. 263 r, 297 r, 306 r) (1 r—317 v); გადამწერი—გ. ავალიშვილი (I v.); დაუწერელია: 34 r-v, 35 v, 71 v, 72 v. 106 v, 107 v, 156 v, 202 r-v 203 v, 262 r-v, 263 v, 296 v, 297 v, 305 v, 306 v, 310 v, 323 r-v, 334 v, 336 v,—397 r. შემოწირულია სიო კალანდაძისაგან 1915 წ.

1. „სპისა. მოხუცი ყოველგან და არსად".—...მამული გოგენშტაუფენისა. ძენი მისნი არიან ესევითარნივე გარდამხდომელი..." 1 r—105 v.

შენიშვნა: თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ და მესამე ნაწილს სათაურები: „მოხუცი ყოველგან და არსად. ქმნილი უფლისა სპისას მიერ" (35 r, 72 r).

2. „რუდოლფ ფონ ვესტენბურღი. სახე აღწერუსხმელთა ტრფიალებათა, სახმარი განსაკრძალულოდ ყოველისა ჰაბუკისა კაცისა.—არა შორს ძმულისა იმპერიის ქალაქის სპეიერისა, იყო ძმულად ესე ფრიად ძმული ციხე, აღშენებული მაღალსა მთასა ზედა რეინის კიდურისასა..." 108 r—201 v.

შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: 1. თავფურცელი: რუდოლფ ფონ ვესტენბურღი. სახე აღწერუსხმელთა ტრფიალებათა, სახმარი განსაკრძალულოდ ყოველისა ჰაბუკისა კაცისა. თარგმნილი როსსიით ქართულსა ზედა, თავადის გიორგის ავალოვის მიერ. წელსა ჩყივ. იანვრის ათს რიცხუსა. სანკტ-პეტერბურღსა შინა". 106r, 156r.

2. წინასიტყვაობა „დამწერის მიერ..." (107 r).

3. ტექსტის ბოლოს: „სრულ იქმნა თუმსა ივნისსა, რიცხუსა ათოთხმეტსა, სანკტ-პეტერბურღსა შინა".

3. ხარიტონ აფროდიელი. გარდასავალი კერეი და კალლიროისი. წიგნი პირველი.—ღერმოკრატს, უჩინებულესსა მწედართმთავარსა სირაკუზიისასა, დიდებულსა ათინელთ ზედა მიღებულისა მძლეველობისა მიერ, ოდესცა წარჰგზავნიდიანეყე იგინი ნაცთა დასამორჩილებელად სიცილიისა, ესეა ასული, საველით კალლიროისა..." 204 r—261 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის თავფურცელი: „გარდასავალი კერეი და კალლიროისი. ქმნილი ბერძულსა ენასა ზედა, ხარიტონ აფროდიელის მიერ, ხოლო რუსულით ქართულსა ზედა გარდმოღებული თავადის გიორგის ავალოვის მიერ. სანკტ-პეტერბურღსა შინა, ვიწყე ჩყივ წელსა, დეკემბრის კზ". (203 r, 261 v).

2. ტექსტის ბოლოს: „სრულ იქმნა წელსა ჩყიზ, თებერვლის იგ. სანკტპეტერბუღსავე შინა".

4. „ოლტერი. ზადიღ ანუ ბედი. ამბავი აღმოსავლეთისა, თავი სამოცდა მეოთხე. ბრმა.—დროთა შინა მოაბდარ მეფისათა იყო ევიღლონს შინა ყრმა, საველით ზადიღ..." 265 r—296 r.

შენიშვნა: წინ უძღვის ა. თავფურცელი: „ზადიღ ანუ ბედი. ამბავი აღმოსავლეთისა და ჭკუსყანა, ვითარიცა არს ხილუად ბაბუკასი, თუთ მის მიერ დაწერილი, ქმნილი უფლისა კოლტერისა. მისდამი არს დამატებულ ულეგია კლეოპატრი ცივნის მიმართ, ქმნილი უფლისა დუშასა. როსსიის ენით ქართულსა ზედა გარდმოღებად წყებული სტატსის სოვეტნიკის თავადი გიორგის ავალოვის მიერ, ჩყიზ წელსა, ფებრუვრელის იგ. სანკტპეტერბურღსა შინა". 263 r.

ბ. „მსტერპლი სულთანნა შერაპეს სადის მიერ. ოთ რიცხუსა თთუსა შვაღლისასა ჯუგირსა ყლზ წელსა.—შემნებაო თრალთაო, ტაბჯტაო გულთაო, ნათელო გომები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, არ ვემბორვები მე მტკიცესა ფერკთა შენთასა, ამისათჳს, რომელ პოლოდ დახტილ შენ ანუ ვითარმედ ხტილ, ხალიჩათა ზედა ირანისათა და ანუ ვარდთა ზედა..." 264 r-v.

5. „ქუსკანა, ვითარიცა არს, ხილუად ბაბუკასი, დაწერილი თჳთ მის მიერ. —შორის სულთა, რომელნიცა მთავრობენ სამფლობელოთა ზედა ქუყნისათა, იყო იტურიელ უპირატესი და აქუნდაცა საკუთარსა განმგებელობასა შინა ზემოდ ბზია..." 298 r—305 r.

შენიშვნა: წინ უძღვის თავფურცელი: „ქუსკანა, ვითარიცა არს ხილვად ბაბუკასი, დაწერილი თჳთ მის მიერ, როსსიის ენით ქართულსა ზედა გარდმოლებული ს... ს... თ... გიორგის ავალოვის მიერ, ტფილის ქალაქსა შინა, წელსა ჩყიე, დეკემბრის ი დღესა" 297 r.

6. „ელეგია კლეონა[სი] ციხეის მიმართ.—გთხოვ ერთსა ოდენ სიტყუასა. დავესწრობია მას ოდესმე? ანუ საუკუნოდ ვიყო მე შიშსა, ტანჯუასა და მდუმარებასა შინა..." 307 r—310 r.

შენიშვნა: წინ უძღვის თავფურცელი: „ელეგია კლეონასი ციხეის მიმართ ქმნილი უ. დუშასი. როსსიის ენით ქართულსა ზედა გარდმოლებული ს. ს. თავადის გიორგის ავალოვის მიერ, წელსა ჩყიე, დეკემბრის ოვ. თბილისს". 306 r.

7. პლატონ მიტროპოლიტი.

ა. „შესხმა პლატონის მიერ, მოხსენებული მათის იმპერატორების დიდებულების იმპერატრიცა ეკატერინე მეოთხისადმი, ოდეს მიბძანდა იგი ლივრასა შინა.—გეხვეწ ჩენ სამ. რთლად..." 311 r.

ბ. „მათის იმპერატორების დიდებულების ალექსანდრე პირველის მოსკოეს მისლჳს ჟამს და უსპენსკის მონასტერსა შინა შესლუასა ზედა თქჳული შესხმა პლატონის მიერ.—ყოველად უმოწყალესო ჴელმწიფეო იმპერატორო!.." 311 v.

გ. „სამღუდელო ანდერძი განსუენებულისა ყრ სამღუდელოჲსა მიტროპოლიტისა პლატონისა..—უფალო ღმერთო..." 313 r—314 v.

დ. „წერილი პლატონ მიტროპოლიტის მიერ ჴელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე პაველს ძეს მიმართ.—მოხუცებულსა სჳეოხს..." 318 r.

8. „თქმული საქართუელოს მეფის ირაკლი მეორის მოძღურის და შემდგომად ნამოძღურალად წოდებულის ზაქარია გაბაშვილის მიერ.

[გიორგი—ვახტანგ VI-ს ძის შესხმა].

—დავითის ვარდად, ყრმად წარმოზარდად მჴეპია მხნის ფარდად, გიორგი მარდად..." 312 r—313 r.

შენიშვნა: ზაქარია გაბაშვილის ამ ნაწარმოების შესახებ იხ. კ. კეკელიძე. ისტ. II გვ. 609—610. სქოლიო.

9. „თქმული გიორგი ავალოვის მიერ [33 გამოცანა].

—სიბრძნედ კმა არს, ვინც გამოჰსცნობს ნივთსა ამას საკელ-დებიო..." 315 r—317 v.

10. მაჩაბელი სჳმონ.—„აწ აღიღე კალამი და მკჳდრი იპყარ ხელოდა..." 317 v.

შენიშვნა: ორ-სტროფიანი ტექსტის გასწორივ, სხვა ხელით (ასწერივ), მიწერილია „თავადის სჳმონ მაჩაბლის მიერ მიწერილი იესე ერისთოვისადმი, ჟამსა კახეთსა შინა მყოფობისასა. 1832-ს წელსა".

10. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III.

11. ჭავჭავაძე ალექსანდრე.

ა. „თქმული თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის გოგჩის ტბაზედ.
—გოგჩა, ტბა ვრცელი, ხშოვანებით ზღუსა მბაძავი...“ 318 v—319 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „ჩემ-სა წელსა. მარტსა“.

ბ. „თარგმნილი თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის. [ა. პუშკინი] ანჩარ.
—უდაბნოს მწირსა და განხრკილსა...“ 319 v—320 r.

გ. „მისგანუმ თარგმნილი [ა. პუშკინი. Обвал]. კავკასიის ზღავი.
—ზჯრთნი ხმოვანნი, აღქაფებულნი
შავთ კლდეთ ებრძვან, ზე ემსხურევიან...“ 320 r-v.

დ. „მის მიერუმ თარგმნილი. ყუავილი.
—ყუავილი მხმარი, სუნ მიღებული,
წოგნწმ[!] იდუა სრულად დავიწყებული...“ 321 r.

ე. „მისუმ ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი.
—მეფე რომ ვიყო ესრეთი, ჭელთ მეპყრას მთელი ხმელეთი...“ 321 r.

ვ. „მის მიერუმ თარგმნილი.—[პუშკინით „Мечты, мечты.“]
სადა არიან, ოცნებან[ნ]ო, სიტკბონი თქუნნი...“ 321 v.

ზ. „მისგანუმ თარგმნილი.
—ა. ფერსა ბნელს, ფერსა შავს
მე ვეტრფი მარად ჟამს...“ 321 v.

ჱ. „მის მიერუმ თარგმნილი.
—ვარდო, რათ ხარ თავ-დაბრილი...“ 322 r.

თ. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ მიწერილი კნეგნა თინიასთან დიდ მარხუაში.
—მარხულნო, მანამ ცხონდებითო...“ 322 r.

შენიშვნა: ალექსანდრე ჭავჭავაძის ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები დაწერილია სხვა ხელით [1840 წ.].

12. ორბელიანი გრიგოლ.

1. „საამო არს სახილველად, ოდეს ნინას ვარდი ეპყრას...“ 322 v.
2. „მირზაჯანას ეპიტაფია.
—მეხთაღს ამ სოფელს გჰსურს ვისაცა იყო ბედნიერ...“ 322 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „1832 წელსა, პეტრბურღი“.

13. „მანიფესტი ალექსანდრე პირუ[უ]ლის, სრულიად როსიის იმპერატორის მიერ გამოწერილი რუსეთის ერისადმი.—ოთხსა წელსა შინა მოშბდარნი საქმენი სიდიდითა და სიმძიმითა ღირს არიან საუკუნოდ სახსენებელ-სა...“ 324 r—327 v.

შენიშვნა: დართულია მთარგმნელის ანდერძი: „მაიძულეს მე სრულ ყოფად ამის თარგმნის, თუმც მეწყო ადრე და მცოდნოდა სრულ ყოფა, გრიგოლ, ჩემმა ძმამ და თემურ აბაშვილმან აღსთქუს, დამტუჭესე, ყოლე უვახშმელობით ორს ჟამს, თუ არა სთარგმნიო ამას ყოველად. შეშინებულმა უვახშმოდ შთიჲსამან[!] მსწრაფლ ვსთარგმნე, თუმცა უღონოებდა გული, კაეშანთაგან გესლ-სევდითა მუსტრილი. ათას დ ა რ ვ ა ს ს ო რ მ ო ც დ ა ო თ ხ ს ა წ ე ლ ს ა, იანურის **ოთხსა** დღესა, სამშაბათისას“. 327 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. [გრ. ორბელიანის თარგმანი]:

ა. „ნადირთა ჭირი. არაკი კრილოვისა.

—ჯოჯოხეთისა ნაშობი ქვეყნისა შესაძრწუნებლად...“ 328 r—329 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „1833 წელსა. ნოვღოროდის პოსელენიე“.

ბ. „ვირი და ბულბული. არაკი კრილოვისა.

—ვირმან ბულბული ერთხელა

ახლოს მჯდომარე იხილა...“ 329 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს “1832 წელსა, ნოვღოროდი“.

გ. „სოფლელნი და მდინარე. არაკი კრილოვისა.

—სადღაცა ერთსა სოფელსა

პატარას ხევში წყარონი ჩაუდიოდენ ახლოსა...“ 330 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „1832 წელსა, ნოვღოროდი“.

15. ორბელიანი გრ.: ა. „იარალისადმი

—ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს

ლხინით აღსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს...“ 330 v—331 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს „1832 წელს. ნოვღოროდის პოსელენიე“.

ბ. „ღრ. ოპ.

—შესტრფი საღამოს,

ტკბილ სუნნელ მყუდროს...“ 332 r—333 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს „მაისის 7. 1840 წელსა. გორი“.

16. „პეტრე. ფუშკინისა [!]. თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი.

—ადგილს უდაბურს, დგა იგი კიდეს ზედა

ზვირთოვანისა, ფართოჲსა მდინარის...“ 333 v—334 r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ა. პუშკინის „Медный Всадник“-ის შესავალის თარგმანს.

17. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისნი მიწერილნი ლექსნი. კნეინა მელანიი სუმბათოვისად, თჳსსა დღეობასა შინა.

—ესდენს დაესწარ დღეობას, რავდენიც გულით გეწადოს...“ 334 r.

შენიშვნა: სათაური მოწერილია ლექსის ტექსტის ქვეშ.

18. „ანდერძი დავით მეფისა აღმაშენებელისა.—გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით დღეთა შინა სიკვდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა ჩვენ მიერ, უნდოსა და უღირსისა მლოცველისა მამისა, ბერისა პირითა, თქუენ, ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა...“ 335r—336 r.

19. „თქმული რუსთველის, რომელი დაწერილ არს ხახულისა ღ[ვთის]მშობლის ხატსა ზედა იამბიკოდ, ესრეთ.

—ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო...“ 336 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის I ყდის სცავ ჭალაღბუ, შიგნიდან, მიწერილია ტექსტის ზელით: „ბრწყინვალეო თავადო დავით იოანესო ორბელიანო! მსმენმან ბრწყინვალებისა მიერ თქვენისა თარგმნილთა ჩემთა კითხუს სურვილისა, გიწინაშე მჱსჯარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლად ნამუშაევი ესე ჩემი, რომელსაცა შინა იცტუბიან წიგნნი „მოკუცისა ყოველგან და არსად“ რუდოლფ ფონ ევსტენბურღისა, კერესა და კალლიროისა, ზადიღისა, ელლენა კლეონას მიმართ; მცირენი სხვანი—და მათთანა ჩემ მიერ თქმული გამოცანანი და, ყუელთ მიიღებთ საკმოდრად მარად თქუენდამი თანაგრდემილისა, მაშინ უმეტეს დაავალებთ თქუენსა ბრწყინუალებისა უმორჩილესსა მოსაბმასა გიორგი ავალოვსა. ჩყკ წელსა, ე ოკტომბერსა. თბილისს“. 334 r, 334 r-ზე, იმ ხელით, რომლითიც კრებულში ჩაწერილია აო. ჭავჭავაძის ლექსები და თარგმანები, მიწერილია:

„1848-ს წელსა, დეკემბერს 19-ს, ოდეს პოდპოლკოვნიკი ტერპილოვი განვიდა [ოპერაციადე?] შესაპყრობელად უწესოთ თავთასა და შუდსი მეგრელთა ჭურვილება ჩამორჩა და დავიწუდა კიდეც, იმ დღს გრიგოლმა [დდიაბნმა?] სთქუა ცეცხლის პირ თფილს ოთახში:

„აქეთ—ივა დგას ქურქი[თ] ჩაცმული, იქით გრიგოლ ზის ჩესკუ სიმარე. *) პესარიონი ახლოს ბძანდება, მკვირცხლი, შუშლაევით მსწრაფლად მოარე; ბარბარეს ვხედავ—მოწყენილია, ვითა ღრუბელში ჩენი მთოვარე. მე გული მიფეთქს და უცთი ჯვარსა: არ წავყევი და ტყუსა შეყვარე.

*) ჩესკუ სიმარე სვანურია—შე კაცო. დაჯექ. და გრიგოლ ტარიელიჩი ხუმრობს“.

1197

სწავლა ზნეობითი. I—II ნაწ. [1834 წ.]

236 გვ.; 31.7×19.5; ქაღალდი; ყუდო, მიტად დაზიანებული (1-2, 169-170, 235-236 გვ. დაზუელი; 1-14, 147-236 გვ. დაშლილ-დაფრცელილი); ნაკლული; მხედრული (სათაურები და დასაწყისი ასოები სინგლურით); 1834 წ. (236 გვ); თარგმნილი იოანე ბატონიშვილის წელმძღვანელობით; მთარგმნელი: ვარძაქ სვიმონ სოლღომონის ძე (233 გვ.). შემოწირულია დიმიტრი დეკანოზიშვილისაგან, ს. კურდღელაურიდან 1919 წ.

„I. სწავლა ზნეობითი და კანონი პატიოსნისა კაცისა.—ყოველსა პატიოსანსა კაცსა ჰსწამს ყოფაჲ ღ~თისა და უკუდავება სულისა...“ 1r—232 v.

წყდება: „ 3. სიცრცე არა არს არსება, არცა არსი საკუთრო და დაუსრულებელი, არამედ თვისება ანუ შედგომილება არსებობისა არსისა დაუსრულებელისა და საუკუნოჲსა. სივრცე დაუსრულებელი არს—განუზომელობა. ხოლო განუზომელობა არა არს ღ~თი; და ესრეთ სივრცე არა არს ღ~თი, არცა...“

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს ნაკლული სიძიებელი რომელიც, იწყება 54 ნ-დან: „თჳს თანაჲდებობა ჲანსჯასა შინა სახლეულთა ჩუენთა, ანუ შინაურთა კეთილ-მოქმედებათაჳს“ და თავდება 62 ნ-ით.

2. „სწავლა ზნეობითი“ თარგმნილია ფრანგულიდან რუსულად ნათარგმნის და 1807 წ. ს. პეტერბურგში დაბეჭდილი წიგნიდან. (Учение, нравственность и правила честного человека, содержащия в себе: собрание разсуждений и разныя наставления, взятыя из древних и нынешних писателей, служащия к распространению, как духовных, так и гражданских добродетелей, для каждаго возраста людей и состояния, перев. с французскаго статский советник А. Бестужев, Спб. 1807. Сопиков, В. С. Опыт. Р. б. Спб. 1906. ч. V. 54 გვ.)

3. თარგმანის ტექსტში, 62 § ბოლოს (თვით ამ მუხლშია თუ დართულია, არ ჩანს ნათლად): „პირუმლი მიწყრა ღეიბნიცესა: 1. ჰსჩანს, რომელ ბუნებითიცა ჰსჯული მოუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურდების ფრიად. ანგელიასა შინა მრავალნი რაცხენ სულსა სზეუულეგანად და ვითონმე თჳთ ღმრთისაცა ნიუიერად..." 193—231 v.

ანდერძი: იოსა იერო-მონაზისა [ხელაშვილის]: „წიგნი ესე, უკეთილესი ხოტბონნი, თარგმნილ იქმნა იოანე ბატონის შვილის ყელ-მძიფნე[ნ]ობითა, თავადის ეანანაე სუმის სოლღამონის ძისაგან. წელსა 1823-სა, თთჳსა ტორისდენსა ე. ი. დეკემბერის, 30-სა. რომელისათჳსცა შეეძინოვნეს მის უგანათლებულესობის მეფის ძეს იოანეს, რათა წიგნი ესე გარდმოთარგმნილ-იყო რუსულის ენისაგან ქართულსა ენასა ზედა. და მიიღო შრომა და იჭიმნა წინამძღოლ ზემოხსენებულსა თავადსა, რომელითა ერთმან საქმიერებით განატარა წელისა თთჳსში ცხრანი და მეორე შეიჭირა თარგმანთა ენათაგან როსთასა ჩუენსა ჴმასა ზედა და ვინაჲთგან წიგნი ჩემი იყო და მიზეზსცა ვეძებ ორთავე, ამად წინა-სიტყუაობანი საბეჭდა ჩემ ზედა დაჭსეცს და თჳსნი სახუნენიც მასჳე წინა-სიტყუაობასა შინა აღმოაჩინეს, რათა მკითხუელთა ამის წიგნისათა ეაშა ვაშა მიზეზთა ურამაღნონ და თჳთ ისნოვაგან სულიერისა ნოვაგითა, სანატივოთ დატჯურულითა, რომელსა შინა სამეოდა-ორნი ტაბლანი დაგებულნი, გულისჴმის ჰყოფით მშიერ-თათჳს, განსჯით მგებელ-თათჳს, წმიდა ნებითა მოსურნეთათჳს. შენიერებისა მოყუარეთათჳს, სიმჴნით ულუთოდ მცოხებელისა მეფე სულისა განმდიდრებად და ქალაქ გუმბისა პატრიოსან ყუნებად და გამოფერად ხნიერთა დღეებთა შინა საუკუნოთა საუნჯისა, ვინაჲთგან ჟამნი ბოროტისანი უნებლიეთ და კაცად კაცადი მნენი ვართ ითითუელნი სულისა თჳსისა საგრობითა, რათა მორამეთუცა-ვრთ ესე ეითართა წიგნითაგან, მეც თანა წარსტაწენი, შთაბეჭდითა სულისა დარიგჳსაც შინა ყოველნივე კეთილნი წიგნისა ამის, რომლისა აღმოჩინებჳ ზედას ზედა თაჳს სიტკბოებისა არიან და დახსომება—გოლ საუკუნო. და მრავალზის გაკუსლადება წარკითხეით—მანანა სულისა არს და განრთულება ამას შინა ფრიად, მკაცრ—არს სწავლათა მჭიელეულებისა, დაზნებად ბჭვენი, მეფე—სულსა შინა საგემებლად და ზეით განმჳაზიბებელად გრძნობათა ხუთთაჳე და ხელებითითა სწავლა ამა წიგნისა, მსგავსად ღუნისა მამხიარულებელ გულისა და თირკმლებთა [!]—არს. აჰა, შევლე, სიბრძნის მოყუარეო, წიგნისა ამის წალკოტსა შინაგან და იხილე მრავალთა მტილთა და ვარჯოვანთა აგარებსა და ჭეშმარიტსა ენაკსა და ჰპოებ საამოთხისა [!], დაკარგულსა წინაპირთაგან და რასაცა სურეიელეობ მიბნელებულად, იხილავ ცხადად. საჳგზოო, ე. ი. არსებისა შენისა საუკუნოდ გემისა და ბენებისა უკდავებასა და დასაბამისა შენისა დაუსრულებლობასა ღრთისა მყოფისა—თანა-სათნოდ მის მაღლისა. აჰა, ესე ყოველნივე მოგებებებიან წიგნსა ამას შინა, დაბშულსა სიბრძნისა მოკლეთითა, რომლისა გასაღები არს თავისუფლება და ნება მისი და უფროს-ღა სურეელი შენი, დაფიქნებელი შურითა სალრმოთადმა მგვაჯიობელი, არა თუ კაცთა, არამედ ზეცისა ერთა. მე იოანა იერო-მონახს მეგუთვნის წიგნი ესე, ეგრეთ, ვითარცა სწამებს წინა-სიტყუაობანი კიდურთა ზედა ტეეებსა [!]: ვჰყავ ქება წიგნისა ამის წელსა 18[3]4-სა, იანვ(ა)რს 31-სა.

1198

ხრონოგრაფი [მე-18 ს.]

400 ფ.; 32×21; ქაღალდი; ფუდო; მეტად დაზიანებული (დაწლილ-დაფურცლილი, კიდეებშემოცვეთილი—1—76, 380—397 ფუ.; ნაწერებს წარმოადგენს: 4, 11, 12; 27—32; 398—400 ფ.ფ.) მხედრული (ნაკლული, სათაურები სინგურით); [მე-18 ს.]; [მთარგმნელნი: 1. სოლოლოვშილი ბაგრატ (ბერძნული ენიდან); 2. არჩილ II (რუსული ენიდან)]; გადამწერი, [ჩაჩიკაშვილი, ნიკოლოზ]. შემოწირულია იოანე კასრაძისაგან, ხვედურეთიდან 1916 წ.

„...ათვის, რომელ არს დიდისა ეკლესი(ისა) . . . . . ლისასა... განგეზათა.—(ჯერ უ)ჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა (ჩუენსა) რათა შექმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა და აურაცხელითა სახიერებითა თჳისითა..." 1 r—394 v.

2. „იგავი ესოპესაგან [თავნაკლული].—...მწარედ. მაშინ რქვა მელმან მან ჩიგვსა მას: ვაი, ჩემდა...“ 26 r—34 v.

წ ყ დ ე ბ ა: [ოცდამეჩვიდმეტე იგავზე „ყრმისა და დედისა.“] „იხილა რა ყრმამან მან დედა თვისი, ეეედრებოდა მტარვალსა მას...“

შენიშვნა: „იგავი“ იწყება პირველი იგავის „მელისა და ჩიგვის“ დასაწყისის მე-4—5 სტრიქონით. აკლია: შიგნით მერვე იგავის უდიდესი ნაწილი და მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე იგავი მთლიანად და მეთოთხმეტე იგავის დასაწყისი სტრიქონები (27—28 ფ. შუა); აგრეთვე მეჩვიდმეტე იგავის უდიდესი ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პირველი ორი სტრიქონის გარდა), მეთვრამეტე იგავი მთლიანად, მეცხრამეტე იგავი, უკანასკნელი ორი სტრიქონის გარდა (28—29 ფ. შუა) და უკანასკნელი სამი იგავი (38, 39, 40) მთლიანად.

3. თეიმურაზ I. „(ვარდ)ბულბულიანი.

—...რა წახვალ, დაიკარგების. რა მოხვალ, მოვა ესეცა...“

შენიშვნა: აკლია: 1 თაგში პირველი 31 სტროფი (1934 წ. ნაბეჭდი გამოცემის მიხედვით).

2. ტექსტის ბოლოს: „განსრულდა ეს ვარდ ბულბულიანი“. 42 v.

4. „გაზაფხულისა და შემოდგომისა ერთმანეთის თავის ქებანი, ჯობნისა ბა(ა)სი, დაცილება, ლექსად თქმული მეფის თეიმურაზისაგან [I].

—ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთ(ა) კრებულნი...“ 43 r—56 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „გასრულდა ეს შემოდგომის გაზაფხულის ბა(ა)სი.“

5. „ქ. შელაპარაკება და ბა(ა)სი მათმაოი შესაფერი მიჯნურობა ფარვანისაგან თავის დაწვისა გაწირვა, ლექსად ნათქვამი დიდის მეფის პატრონის თეიმურაზისაგან.

—ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალთ დაუფარაო...“ 56 v—61 v.

წყდება: ...„და თავითგან ჩემო დამწველო, აწ ჩემო აღსასრულოდა“... (ნაბეჭდის—1934 წ.—ტექსტის სტროფი 44. გვ. 20).

შენიშვნა: ხელნაწერის სტროფების განლაგება (34—35, 38—40 ნაბეჭდისა) და ზოგიერთი სტროფის ტექსტი ვარიანტულად განსხვავდება გამოქვეყნებულისაგან.

6. „ქ. ვიწყოთ ლექსთა ღარიბთა და მოწასიბთა. აღწერად, ნათქუამი დიდის მეფის თეიმურაზისა, კეთილ-სასმენელი და ტკბილს(ა)მოვნო, მსმენელთა საძებარ-სათარგმანებელი, სუფრისა და ლხინის დიდათა შემამკობელი.

—კელავც მითქვამს სიტყვა უქმისა—პატიჟმან შემაშინაო...“ 62 r-v.

წყდება: „და გლახ ცრემლთა ჩემთა ნაკადი, ვფიცავ, სოფელსა დაეყო...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი შეიცავს 1934 წ. გამოცემის შესავალსა (3 სტროფი) და „მზე ცუდ მაშვრალობს...“ (4 სტროფი) დანარჩენი აკლია. (1934 წ. გამოცემის 113 გვ.).

მინაწერი: 63 v. (ხალხური ლექსი).

—„ქალაქისკენ მივდიოდი, მინდა განცხრომით მეხარა...“

1225

ცხოვრება წმინდის ნინოსი (ლექსად) [მე-19 ს.]

32 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო (დაშლილი რვეულები—32 ფ. დაზიანებული); ბოლონაკლული, მძიმდრული; მე-19 ს.

„ცხოვრება წმინდის ნინოსი.

—ინება რა მეუფემან და უფალმან ყოველთამან,
მთავრობით და ჴელმწიფობით იესომ, ძემან ღუთისამან,
თანასწორმან მამისა და სულისა წმიდისასმან,
და დიდი მოგვცა სიხარული მისის ქუყანად მოსვლისამან...“ 1 r—32 v.

წყდება: „პატრიაქი მოიწია სანახებსა ქართლისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე წინა მიეგება, იქმს შემთხვევას ჯვარისასა;
მაცხოვრის ხატს თაყვანის ჰსცა, მერმე მისის დედისასა,
პატრიაქსა ამბორს უყო, ამბავს ჰკითხავს მეფისასა.“

შენიშვნა: 1. გალექსილი ტექსტი არსებითად -მისდევს წშ. ნინოს ცხოვრების ცნობილი რედაქციების ტექსტს.

2. გალექსვის დრო მე-17—18 სს. ადრე არ უნდა ვივარაუდოთ; ამას, სხვათა შორის, მოწმობს 23-ე სტროფი: „ზაპულიმს ჰრჭეს: წამობძანდი, ჩვენც თან გიყოთ წამოყოლა. მობძანდი და განანათლე იქა მყოფი ჩტუში ყოლა. სულ გავყაროთ პატრიაპუტრი, ჩვენ ვეძებოთ აღარც მოლა და მღდელნი მოგტმც, გუსსწავლიდენ, ქრისტესი გვქნან ერთგული მონა.“ 4 v.

2. ჩვენი ნუსხა მე-19 ს. შესრულებული ჩანს; 32 v. გადამწერის ხელით, ზემო არშიაზე მიწერილია: „აქ აკლია ბევრი სტიხები.“

1226

მირიანი [მე-19 ს.]

69 ფ.; 22,3×18; ქაღალდი; უყდო; მხედრული; მე-19 ს.

„აქა ანბავი დასაწყისი ჩინეთისა ხელმწიფისა და შვილის მისისა, მირისა, რომელი მისცა ღმერთმა ფერისა ასულთანა.—იყო ხემწიფე ერთი ხოშროსა. ჩინეთსა იდგა. იმისთანა ძლიერი და მაღალი ხემწიფე იყო, უშვილობას ასე შე[ე]წუხებინა, რომ ყოველიე თავისი სახემწიფო არათა მიაჩნდა...“

მინაწერები: 2 r, 3 r, 21 r, 28 v, 69 v.

შენიშვნა: 1. „მირიანის“ ეს ნუსხა განსხვავდება სხვებისაგან განსაკუთრებულად ვულგარული, გაუმართავი, უშიგნური ენით.

2. ტექსტი შემოკლებული („პერიფრაზი“) არის.

1227

კრებული [მე-19 ს.]

20 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო (დაშლილი, ნაკლული); მხედრული; მე-19 ს.

1. თეიმურაზ I. ლეილ-მაჯნუნიანი (ნაკლული) ...„(ვაჟსა) მონათლვენ, სუნათით უყუჩს სჯულისა წესთა...“ 1 r—14 v.

წ უ ყ ე ბ ა: „ვით მიყვარს, სრულად დაწერა არ შეუძლიან კალამსა და ხამს მას უძრწოდეთ, რომელი მოგკემს ტახტ-გვირგვენ...“

შენიშვნა: 1. „ლეილ-მაჯნუნიანის“ წინამდებარე ტექსტს აკლია: თავში 15 სტროფი; შიგნით—24—31 (ამ უკანასკნელისა—პირველი ორი სტრიქონი); 48—59, 77 (მეოთხე სტრიქონი)—79 (ამ უკანასკნელისა—ორი პირველი სტრიქონი); 48—89; 114—125; 156 (მეოთხე სტრიქონი)—162; ბოლოში: 170—270 სტროფი.

2. ჩვენი ხელნაწერის „ლეილ-მეჯნუნიანის“ ტექსტი ზშირად მნიშვნელოვან განსხვავებას გვაძლევს 1934 წ. გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით.

2. [დ ი მ ი ტ რ ი] „ბაგრატოვანისაგან ნათქვამი თავის ქალზედა. ქ. ელისაბედიანი, შეთხზვით ვარდნი, იანი...“ 15 r—16 v.

3. ბაგრატოვანი, დიმიტრი. „ნანა
—ვეტყვი ახოს ნანასა მისა შესაგვანასა...“ 16 v.

წ უ დ ე ბ ა: „...ქვეყნად, ვითა აეროა ვარსკვლავთ მოტატანასა, ახალ უანოვან(ა)სა, არ უგვაროვნებასა...“

4. თეიმურაზ I. ვარდ-ბულბულიანი (ნაცლული).—

„...და სხეგან ჰქმენ შენი ბუნაგი, სამყოფი გარდიცვალეო...“ 17 r—20 v.

წ უ დ ე ბ ა: „...შენს მეტი ჩემად პატრონად ნეტარ ვიშოვნე სად აღა...“

შენიშვნა: 1. ვარდ-ბულბულიანის ტექსტს თავში აკლია 40 სტროფი მთლიანად და 41 სტროფის პირველი სამი სტრიქონი; შიგნით: 47—50, 56—61, 73—76 და ბოლოში: 85—95 სტროფი.

2. ამ ხელნაწერის ტექსტი ვარიანტულად განსხვავდება 1934 წ. ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობაის მიერ გამოქვეყნებული „ვარდ-ბულბულიანის“ ტექსტისაგან (შედარებულია: თეიმურაზ I თხზულებათა სრული კრებული. ტფილისი. [1834] გვ. 3—14).

1228

კრებული [1830 წ.]

34 ფ; 22,5×17,5; ქაღალდი; უყდრო, დაზიანებული, დაშლილი, დასაწყისში სამი ფურცლის ნაწილი მოხეულია, მხედრული (სათაურები სინგურით, მთავრული); 1830 წ. (30 v); გადაწერილი: პეტრე ტაბლიევი (30 v).

1. „ეჭვს ნაწი[ლე]დი სჯნდისისა ლოცვა—განზრახული“. „ნაწილი [პირველი]. გლოვა არს მჭვიეფნარება სულისა ...ლისა მოწლეობისასა მარადის საწუთრელისა ზედა დადგრომით მეძებელი. ტკივილით მოგონება და გოდება თჳსთა ცოდუთთა ზედა. განზრახუა ა.—ნუ თავმოყუარებითა და ჴროცისა ნებიერობითა გასინჯვე და განჭსჩხრეკ თავსა შენსა, სუეო ჩემო...“ 1 r—26 r.

შენიშვნა: I ნაწილში შედის ლოცვა ორშაბათის „ტკივილით მოგონება და გოდება“ („ა განზრახუა“).

II „სიკუდილისათჳს“ (6 განზრახვა).

III „ჯუარცმისათჳს უფლისა ქრისტესა“ (6 განზრ.).

IV „სასუფეველისათჳს“ (7 განზრახვა).

V „გოდებით მოხსენება ჭირთა ჯუჯუხეთისათა“ (7 განზ.).

VI „შაბათსა მეორედ მოსჳლისათჳს“ (5 განზრახვა).

ანდერძი (გადაწერისა): „[დ]ასასრული ეჭვს ნაწი[ლე]დისა სჯნდისისა ლოცუსა. ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოველისა კეთილისასა. სრულ იქმნა ძალითა ღმრთისათა“. 26 v.

2. „ჯამბაკურიან [ორბელიანი], მზეჭაბუკ.“ „თუ ვითარ ჯერ არს ლოცუა მამაო ჩუენოსი. პირუელად ჰსთქუ მამაო ჩუენოს (წყე)ბადმდე: ლოცუითა წმიდათა მამათა ჩუენთათა... მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა.—შეძროუწუნდი, სულო, ამ საშინელის ჴმისაგან, რომ ცოდუილი მიწა და მტეერი, ღმერთსა ჰხადი საშინელსა მამად...“ 27 r—30 v.

ანდერძი: „დასასრული მამაო ჩუენო“ განმარტებითი ლოცუისა. თქმულ არს მზეჭაბუკ ჯამბაკურიანისაგან აგვისტოს 10. წელსა ქრისტეეი 1767. ხოლო ქართულსა ქრონიკონსა, უნე. ხოლო აღწერილ არს გეოპაკის პეტრე ტაბლიევისაგან თუმსა უგბერეელსა რიცხუსა 5, წელსა ქრისტესით 1830—ქ-კს ფიწ.“ 30 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „წარკითხუა მოსახსენებლად თუ ვითარ ჯერ არს მონაზონთა ანუ ერისკაცთა მიერ ყოველსა დღესა აღსრულება თჳსსა სენაკსა შინა...—მოიხსენე, უფალო, იესო ქრისტე, ღ~თო ჩუენო, წყალობითა და მოწყალებითა შენითა საუკუნითგან მყოფნი, რომელთათჳს განკაცენ, ჯუარცმა და საფლი იგი იდევ...“ 31 r—34 r.

1229

თთუენი (ფრაგმენტი). [მე-11 ს.]

6 ფ.; 25×18; ეტრატი; უყდო; თავ-ბოლოწაკლული; წვრილი ნუსხური; მე-11 ს. შემოწირულია აკაკი შანიძისაგან 1916 წ.

„ზაკუესა ისარნი დაგასრინა მტერმან ბოროტმან, მინა, მოწამეო, და ვერ მოწყალა გონებაჲ შენი მტკიცჱ. რამეთუ გაჭურდა ფარი საწმუნოებისაჲ და დაგედგა ჩაფხუტი ძლევისაჲ და სიმჴნით მოაღუაწე ღუაწლი იგი უძლეველი...“ 1 r—6 v.

წყდება „...მხეცმან განძჴნებულმან განგმარცუა, სანატრელო მამაო ბასილი, და არაჲ დაჰრცხუენა მას მჴრცეთაგან შენთა პატიოსნებისა. არამედ საღმრთომან მადლმან ზეგარდამო შეგმოსა და გჴოგჴნი დიდებისაჲ დაგადგაჲ, ვითა ახოანი მოღუაწე შეჲმ(ურუე)...“

შენიშვნა: 1. ფრაგმენტში წარმოდგენილია „თვენი“ ნოემბრის 11-დან (თავნაკლული) ვიდრე ნოემბრის 17-ე: „ნოემბერსა ი~ზ.—ბასილი გრიგოლთაჲ დასდებელნი—უფალო დაღატჳავსა-ჴმაჲ დ გ~ი“ (6 r, ბოლონაკლული).

2. „თვენში“ შემჩნეულია ქართული სანოტო ნიშნები (სინგურით—2 r, 3 r-v, 4r-v).

3. თეთრი ქაღალდის კანზე წარწერილია: „ეს ეკუთი ფურცელი კელნაწერისა ნაწყვეტია „თთუენისა“ (ნოემბერი 11—17). იგი ვიპოვე ლების მატოვრის ეკლესიაში (რაჭის თავს არის) და საქართველოს სასიტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის წამოვიღე. აკაკი შანიძე 1916 VIII 24. ტფილისი.“

1230

წურთნანი თარგმ(ა)ნობანი: „მრწამსისაჲ,“ „მამაო ჩვენოსი“ და სხვათა. [1778 წ.]

340 ფ.; 21×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა (I ყდა მოცილებული); დაშლილი, დაზიანებული; მხედრული (დასაწყისში სათაურები სინგურით); 1778 წ. (339 v); გადაწერი: მღვდ. იოანიანი იოვანე (339); ძველი პაგინაციით აკლია 10—11 გვ.; დაუწერელია: 340 r.

„ქრისტიანის ვალისათჳს [წურთნა პირველი].—ქრისტიანო ძმანო, დღეს მე სწორე გეტყჳი თქჳენ: როდის ჱე ვხედაჳ და ვფიქროთ თქჳენს დიდს უმცოდინარობაზედა, რომ გაქვთ თქჳენი სარწმუნოების საიდუმლოებისათჳს და კიდეც თქჳენს დიდს ვალზედა, როთ გაქუთ ამისთჳს რომ ქრისტიანენი ხართ...“ 1 r—339 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. დართული აქვს **სახიებელი** (ბოლონაკლული). 340 v.

2. ტექსტის ხელით ტექსტში ჩართული სომხური ფრაზები და სიტყვები, სომხური დამწერლობით (67 v, 195 r) და ვულგარული, ქალაქური ენა ვეფიკრებინებს, რომ ტექსტი სომხურიდან სომხის მიერ თარგმნილი უნდა იყოს.

მინაწერები: 54 r, 67 v, 97 v, 131 v, 132 r, 150 r, 187, 188 r, 195 r. და II ყდაზე.

ანდერძი (გადაწერისა): „ჭ. სრულად გამოიწერა ესე ყოველი წერთნანი (რომელ არს თარგმანობანი მრწამსისა, მამაო ჩუენოსი, გიხაროდენისა, სხვისა და სხვისა), ველითა იოჰანიანი იოვანე ულიერსი მღვდელისათა: წელსა უფლისა 1778, რომელ არს ჩლოზ, ხოლო ქართველთა ქრონიკონსა ფჟვ, თვესა მაისსა, **იდ.** ჰოი, კეთილ-მჭეველ აღმოგითხეველნო, მსწრაფულ წერისათვის ნუ მბასრებთ, რომელი საჭიროდ თანამედვა და ნუცა ჯერიოვანსა შენდობასა მჭრიდებთ, უფალნო.“ (339 v).

1231

ჟამის ლოცვანი [მე-19 ს.]

63 ფ.; 21×17,5; ქაღალდი; მუქაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით, ზელი და ქაღალდი სხვადასხვა); მე-19 ს.

„ჟამის ლოცუა ვნების კვირისა დიდხუთშაბათის განთიადისა იესოს სატანჯუელზედა. ა. მამაო ჩუენო. ა. გიხაროდენი. ა. მრწამსი პირუელი სახუმილავისა.—შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე და ჟუმდრებანი მაყუმდრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემზედა...“ 1 r—61 r.

შენიშვნა: 1. დართული აქვს ლათინური საგალობლები, ქართული ტრანსკრიპციით—„მიზერერე მეი დეუს...“ 61 v—63 r.

2. შედგება: ა. ვნების კვირის დიდხუთშაბათის (1 r—28 v.), ბ. დიდ-პარასკევის (28 v—49 r), გ. დიდ-შაბათის ჟამის ლოცვათა და საკითხავთაგან.

1232

ველისარი. ისტორია ღელიმერისა [მე-18—19 ს.]

120 ფ.; 21×16,5; ქაღალდი; ჭსოვილგადაკრული ბის ყდა (მოცილებული, დაშლილი); მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-18—19 ს.]; თავ-ბოლოკახმულობანი: 1 r—120 v.; დაუწერელია: 32 r-v.

„ველისარ. თავი ა.—ეჰა, საღმრთო მყუდროებაე ამისა უდაბნოსაო! არა რაგმესა ძალუძს აღრევად შენი! არცა მას, რაცა მოიყუანს უბრალოთა ერთა განკვირვებათა შინა, არამედ მისცემს კუალად უმეტეს გრძნობასა შეუცუალებელისა სიამოვნისა შენისასა...“ 1 r—120 v.

შენიშვნა: ტექსტი 21 თავისაგან შედგება.

მინაწერები: 8 v, 9 r-v, 10 r, 12 r, 15 r, 17 r, 19 r, 33 r, 34 r, 35 r, 49 r, 51 r, 54 r, 59 v, 62 v, 120 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1233

ორბელიანი, სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა [1839 წ.]

110 ფ.; [3—220 გვ.] 22,2×18; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; დასაწყისი აკლია; 1839 წ. (110 v).

„...იცინიო, მან ფიცი სთხოვა მოუკლაობისათვის და მეფემან თავი თვისი ფიცა...“ 1 r—110 v.

წ ყ დ ე ბ ა „... ჰე, სედრაქ, მეც მიმძიმს თქვენი ასრე გადაკიდება. მაგრამ ესე ვხედავ, ვერც შენ გარდარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც ხხვა ვინმე.“

შენიშვნა: ხელნაწერს აკლია, 1938 წ. გამოცემის მიხედვით, თავში „ფინეზ მეფე“ და „მეფე ხოროსანისას“ არაკის პირველი თერთმეტი სტრიქონი, ბოლოში უკანასკნელი სამი სტრიქონი (შდრ. ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. ტფ. 1939. გვ. 1—2 და 173).

მინაწერი: 110 v.

ანდერძი (გადამწერისა): „დასრულდა წიგნი ესე სიბრძნე-სიცრუისა წელსა ჩყლთ, კათათვის ცამეტსა დღესა.“ 110 v.

1234

სამართლის წიგნები [მე-19 ს.]

177 ფ.; 21×16,6; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; მე-19 ს.—ჰვირნიშანი: 1822 (171 ფ.); დაუწერელია: 6 v, 20 v, 54 r—57 v, 156 r-v, 176 v, 177 v.

1. „თავი პირველი. ქ. ს ა მ ა რ თ ა ლ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა. სახელითა ღ-თისათა, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან, ყოელისა საქართველოისმან კათალიკოზმან...“ 1 r—6 r.

2. „თავი პირველი. ქ. ძეგლის დადება მ ე ფ ე თ მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს მიერ.—ჩვენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ...“ 7 r—20 r.

3. „სამართალი ა ღ ბ უ ღ ა ს ი პირველი.—მევიყარენით ჭოლთა, მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღვთისმშობლისან(ა)...“ 21 r—53 v.

ბ ო ლ ო: „ როვ. თუ დედაკაცს ქმარი მოუკვდეს და საქონელი მან ქვრივმან მონასტერს შესწიროს, შვილნი ნუ ეცილებიან.“

4. კარი პირველი, დასაწყისი სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მ ო ს ე ს, რომელი დასწერა მან მოსე წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსვლათასა. მცნება ღთისაგან. სამართალი მოსესი.—მცნება მღვთისაგან: თუ უყავნ მამასა შენსა და დედასა შენსა...“ 60 v—77 v.

შენიშვნა: წინ უძღვის შესავალი: „ქ. დასაბამითგან დამბადებელმან საფუძველთა ქვეყნისათამან...“ 58 r—60 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, სჯულისაჲრ მართმადიდებლისა ქრისტიანისა განწესებულ იქნა:—ჯერ ეს გკადროთ და მოგახსენოთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომ კაც[ებ]ს..“ 80 v—155 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: „შესავალი პირველი ბატონიშვილის ვახტანგისა.—მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამარსისა მქები...“

2. დართული აქვს: სამართლის ყველა წიგნების საგნობრივი საძიებლის ცხრილი. 157 r—171 v, 173 r—176 r.

3. საძიებლის ცხრილში ჩართულია (შემდეგში ჩაკინძული?) საბუთი: **ჩყნგ**-ს წელს, მარტის 8 დღესა დავაზიარე ჩემი ცხვარი [კოდრე?] ხვედაბერიძეს, თუშს, ჩოჭორმაში მცხოვრებელს...“ (დაუხიარებია აგრეთვე ორი ფშაური ცხენი—ლურჯი და წაბლისფერი და ვრთიც ულაყი კვიცი) 172 r-v.

1235

საეტლო და სამთვარიო [1817 წ.]

74 ფ.; 21×16,5; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ტეიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1817 წ. (65 v.); გადამწერი: ოჭან მანდიევი (65 v.); ადგილი: ტფილისი, 2—4 ფ. და 67 v—74 v. დაუწერელია, ნახაზები და ილუსტრაციები: 1 r, 11 r, 28 v, 34 v, 35 r, 39 v, 53 v. 55 r. 63 v. 64 r.

„პირველი დასაწყისი ფილოსოფოსთაგან გამოკრებული მათემატიკა თუ კაცი რომელსა ეტლსა ზედა იშვების.—წიდა იოჰ ბრძანებს, რომ ყოელის კაცის ჴელზედ შეეტყობის თჳღ ყოფაღნი საქმენი, რასაცა იქმს ეს წიდისა იოჰისაგან თქმული ფილასაფოსთაგან გამოცხადებულია. ესე მეცნიერება, რომელცა ლათინურის ენისაგან ჴირონმაცია ეწოდება...“ 5 r—65 r.

თავდება: „...მზე ერკემლის ბურჯში იყო და მაშინ დადგების ეტლი წელიწადისა უფლობაზედ და ეტლის დგომა [!] ამგვარად შევიტყობთ. ამ დახატულებითა, ამისწინ რომ ხატია.“

შენიშვნა: ტექსტს დართული აქვს: ა. „უგბილთ სწავლება ცუდია, ბრძენნი აწროებენ ენასა...“ ოთხსტრიქონიანი ლექსი. 65 r.

ბ. „ყოველად უმოწყალესო ჴელმწიფეო! ეჰა, რაბამ ბედნიერ არიან ახალნი ძენნი ქვეშეწრდომნი ქართველნი, რომელთა ანიებებ შენ სიბრძნით აღსავსესა სჯულსა, მოსწრაფებითითა კეთილდღეობითა, რომელ ესე ვითართა ქვეყნის მოქმედებათა თქუენთა შვეს ჩემ შორის სურვილი გარდმითარგმნად რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა უსტაჟი ესე ვალისაგან გატეხილთა კაცთა...“ მიმართვას (იმპერატორისადმი) ხელს აწერს: „ყრ უქვემეერდომილესი ახპაური საქართველოსთ“ (სახელი არ სწერია) 65 r-v.

გ. ქრონოლოგიური ცნობები: „1773 წელსა და ქართულ ქრონიკონს... **უჲა**. ამა წელსა უფლისციხეს საქართველოს ჯარი დამარცხდა დღეთაგან. დარჩა საქართველოს ხალხთაგანი მკედარი და ცოცხალი 750. შეიდას ორმოცდაათი. 1785-სა წელსა, ქართულს ქ'ჯს **ყოგ**. ამ წელს საქაშეთი აიღეს ლეკთ და ოსმალთ ჯართ. მრავალი ტყვე და საქონელი წაიღეს და მრავალი დახოცეს და დახვდნენ რუსნი და საქართველოს თავადნი ქართველის ჯარით ქარელსა და ოსიაურს შუა. ტყვე და საქონელი სრულებით დაუყრეინეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარელსა და ოსიაურს შუა. ტყვე და საქონელი სრულებით დააყრევინეს და ლეკიც მრავალი გაჰყოლა, ოსმალნიც. რომ ასე ანბობდნენ: მესაჭედი ძღვის გარდარჩენო.

1785 წელს, მარიამობის თვეში, გამოვიდა ომარაან და აიღო ახტალა, მოვიდა ვანანს. ვანანი აიღო და მრავალი სული ამოსწყვიტა და დაატყვევა. 1786 წელ ა, ქ-ს უპგ, გამოვიდა ბოყა აღა-მაჰმადხან. აიღო ტფილისი და მრავალი სული დატყვევდა და ამოსწყვდა.

ამავე წელს რუსი გარდმოვიდა" (დაწერილია ტექსტის ხელით, 66 r-ზე).

დ. „და თანა-შეჭკობელს მეგობარს, სულებრ საყვარელს, ჩემსა საკუთრად ძმათ განკუთვნილსა და მწყალობელს..." [უცნობი პირის წერილის ნაწყვეტ-ი წერილის დამწერი რუსეთში უნდა იმყოფებოდეს; „ვართ ესრედ დაუცხრომელ ქეიპნასა ამას უცხოსა. რაფაელ არაენ არს ჩვენდა მანუგეშებელ..."] 66 v.

ე. „გოჰარის ხმაზედ თქმული.—მომაწოდა სვემან მზეს მცინვარესა..." (5 სტროფიანი ლექსი). 67 r.

მინაწერი: I და II ყდაზე, 1 rv, 41 r.

ანდერძი: (გადაბეწერისა): „ღ-თით გარდმოვსწერე მათემათიკა ესე მე ოჰან მანღოვემა, 1817-სა წელსა, ნოემბრის 15-სა დღესა. ქალაქსა ტფილისს. ქართულს ჯოროჯიოსა ქ-ს ფე." 65 v.

1236

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი [1784 წ.]

73 ფ; 23×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივერული ყდა, ხისა (II ყდის ფიცარი—გატეხილი); მხედრული; [17ე4]. 73 v.

„წიგნი სამართლისა მართალი. დაბეჭდული, თქმული ვახტანგ მეფისა პირველი.—ქ. პირველ ჯერ ეს მოგახსენოთ და (გ)კადროთ მეფეთა და მსაჯულთა და ყოველთა სამართალში მჯდომსა კაცს. ეს იცოდეთ, დამარხვით ბუნებაში გქონდესთ..." 13 r—73 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. მოლურჯო ქაღალდზე, სხვა ხელით: 1. „ქ. ხოლო ჩვენ, ნებითა ღვთისათა და წყალობისა დიდისა ბელმ(ო)იფისა, პირველიდგანვე ზეცით საჭართ(ლოს მეფედ განკეთილისა და აწ სასუფეველ ცათა სულბრწყინვალედ მანთობელისა, პირველ ვახტ ანგ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა წინავახ ხმობილისა. ძისა მისისა სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისთხროშეულისა, ქართველთა მეფისა და ერთელთა სფადარ სპარსალარისა ...გიორგი წოდებულისა..." 11 r—12 v.

ბ. „ზანდუკი ამ წიგნის." 4 r—10 r.

2. მინაწერების მიხედვით ვახტანგის „სამართლის წიგნის" ეს ნუსხა გურიაში ყოფილა ხმარებული.

3. ხელნაწერი ხ ე გ (263) პარაგრაფს შეიცავს.

4. ტექსტის ბოლოს, ტექსტის ხელით: „თვესა იანვარსა ათხუთმეტსა, ქ-ს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდა ოთხსა".

აქვე მიწერილია (სხვა ხელით?) „ამ წელს მი(ი)ცვალა დიდი მეფე სოლომონ." 73 v.

მინაწერები: I საცავ ფ. 2 r-v, 3 r-v, 73 v.

1237

ზატიკი [მე-18—19 ს.]

XIII+415 ფ.; 19,8×14,4; ქაღალდი; მუყაოს ყდა (ყო—ტყავგადაკრული); თავ-ბოლონაკლული, (მე-260 ფ. ზემო ნახევარი მოხეულია); ნუსხური ჭათაურები და ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი სინგურით; მე-18—19 ს. დაუწერელია: III—XIII ფ.; მე-18 ს., თავჯახუნოსანი და ბოლოკახმულობანი: 11 v, 12 v, 13 v, 19 r, 21 r, 22 v, 24 v, 28 r, 29 r, 32 r, 41 r, 42 r, 43 v, 45 r, 56 v, 58 r, 63 v, 64 v, 68 r, 73 r, 77 v, 82 r, 88 v. 89 v, 93 v. 112 r-v, 115 v, 118 r, 120 v, 122 v, 125 r, 127 v, 178 v, 132 v, 137 r, 143 r, 144 r, 158 r, 162 v, 167 r, 181 r, 184 r, 185 v, 190 v, 213 v, 218 r, 219 r, 220 v, 222 v, 225 r, 227 v, 230 r, 232 r. 235 r. 238 v, 253 v, 259 r. 264 v, 271 r-v, 276 v, 290 v, 294 r, 295 r, 300 r, 312 v, 314 r, 315 v, 336 v, 320 r, 321 r, 323 v, 345 r, 346 v, 359 v, 365 v, 368 r, 374 v, 375 r, 376 r, 381 r, 400 v. შემოწირულია აკაკი შანიძისაგან 1916 წ.

„(წმიდასა და დიდსა კჳრიაკესა პასექისასა) (ისკრად...“ „...კმევისა, მივალს უპირატესი წინაშე დიდისა სამეუფოსა კარსა და უკმევეს სანთლითა წინა მძღოლელსა დიაკონსა...“ 1 r—414 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...ესე აღდგომის სტიქარონი უცვალებელად ითქმის პარასკევსა მწუხრადეე...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი, მცირედი (ორთოგრაფიული ხასიათის) განსხვავებით, მისდევს მოსკოვში 1738 წ. დაბეჭდილი ზატიკის ტექსტს. თავში აკლია თავფურცელი და 1—2 გვ.; ბოლოში—871—874 გვ. (ნაბეჭდისა).

2. ტექსტში მრავალ ადგილას სინგურით ნაწერი დასაწყისი ასოები მხატვრულად არის გაფორმებული.

3. თავჯახუნოსანთა **ორნამენტები** წაადგა ეროკლე II-ს სტამბის წიგნების შემკულობას (1783—1794 წწ).

4. II r-v-ზე აკაკი შანიძის ხელით: „ეს ჴელნაწერი ზადიკი ეკუთვნოდა ნოღის წმ. გიორგის ეკლესიას (საყავახთს მკარეს, გურია იმერეთის სამხღვარზე, მდ. ჴეცის-წყალზე). ამ ეკლესიისათვის იგი შეუწირავს,—თუ გადმოცემას დავუჯერებთ,—მიზეილ ერისთავს. ამავე გადმოცემის თანახმად, ამ წიგნის ჴადამწერი ყოფილა ვიღაც კუტი რომელიც ამასთანავე შეანიშნავი მგალობელიც ყოფილა.

ეს ზადიკი ჴელ-ახლა შეეკინძვინე ჭუთაისში 1908 წელს. ამკინძულმა წიგნს გვერდები ჩამოსჭრა და ფორმატი დაპატარავა. წინად კი ყდად ხის ფიცარი ჰქონდა გაკეთებული და ზედ ტყავი იყო გადაკრული. მაგრამ ეს ყდა თითქმის მოცილებული ჰქონდა და ზოგიერთი ფურცელი ამოცვივნული იყო. გვერდები ჩემ მიერაა აღნიშნული არაბული ციფრებით.

აკაკი შანიძე.
1916.VIII.24.
ტფილისი.

1238

ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი [მე-18 ს.]

528 ფ.; 20,7×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნაკლული, მეტად დახიანებული, დალაქებული, ყდა თითქმის მოცილებული, 1 ფ. I ყდაზეა მიკრული, 2—12. ფ. დახეულია, 4—34 ფ. ამოვარდნილია: მხედრული; [მე-18 ს.] ჰვირნიშანი: 1783—420 ფ. და სხვ. დაუწერელია: 193 v—194 r; გადამწერი: ბეგთაბეგოვი სულხან მდივნის ძე მდივანი იოანე. 527 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...აბბია მამა ჩვენი უფალი. აბბიუ მამაო. აბდე მელიქ მონა მეფისა, აბდიჰუ მონა აღსარებისა. აბდონ მონაო...“ 4 r—520 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი არსებითად მისდევს 1928 წელს თბილისში აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ ტექსტს.

2. ტექსტი ნაკლულია: თავში აკლია სწენბული გამოცემის 1—3 გვ. და შიგადაშიგ მთელი რიგი სიტყვები და მათი განმარტებანი.

3. დასწყისში სიტყვათა პირველი ასოები სინგურით არის ნაწერი, ხოლო 127 v-დან პირველი ასოები სრულიად აღარ არის აღნიშნული.

4. ტექსტს წამძღვარებული აქვს: ა. „ანბანი პირველად სასწავლონი ყრმათანი“ 1 r v ბ. „რაცხჲ ქართულთა ანბანთანი“. 1 v—2 r. გ. [„ნუსა და ქართული რიცხვის სწავლა...“] 2 v—3 v. (ფრაგმენტი).

5. ტექსტის ხელი სხვადასხვაა: 1-3 ფ. ხელი ძველია—მე-18 ს. პირველი ათეული წლების კალიგრაფიული მხედრული. ძირითადი ტექსტი კი გაკრული ხელით არის ნაწერი.

6. ტექსტს დართული აქვს:

ა. ლექსიკონის ეტორის ბოლონაკლული ანდერძი: „(ა)მა წიგნისა მომღვაწებელსა სულბან-საბა ორბელიანსა ღლიცვით მოისსენებდეთ...“ 520 r-v.

ბ. იესო ქრისტეს სამეოცდაათერთმეტ მოწაფეთა სახელები: „აგაბოს ფწ'ყლი საკმე 11 თავსა შინა მოგისენებული...“ 521 r, 522 v.

გ. სამოსელეო სახელების შედარება ქართულად და თურქულად: „ბდარი ყალთაწე: ნაიბი: არხაპანი...“ 523v —525 r.

დ. [ლექსიკონის დამატება]: „გეომეტრი: ქვეყნის მზომელი...“ 525 r-v.

ე. „[თქმული მეფის ვახტანგისა“] „(რ)ადგან დაშვრა ასრე საბა, ქება მმართებს აწყა მცა...“ 2 სტროფი. 525 v.

ვ. [თქმული სახელოუბეცესის დიმიტრი ორბელიანისა]: „სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ რასა სწერს სულხან საბანი...“ 526 r-v.

ზ. [თვით საბას ჩათქვამი]: „აქ ლეჭსიკონი არ იყო. დაცაკარგოდათ ქართველთა...“ 2 სტროფი—526 v.

თ. [ქართულისა და ბერძნული კორონიკონისათვის]: „დასაბამითგან ქ'ეს მოსვლამდე ქართულის რიცხვით გარდაჴდა წელიწადი 5198...“ 526 v—527 r.

მინაწერები: 528 r-v. II ყდის საფარი ფურცელი.

ანდერძი (გადამწერისა) „აღიწერა ლექსიკონი ესე კელითა ბეგთაბეგოვის სულხან მდივნის ძის მცირის იოვანესითა, რიცხჳსა წლისა ჩემისასა (ჩჯ), ხოლო კორონიკონსა ქ'ეს უ:“ 527 r.

1239

სახარება—აპრაკოსი [მე-15—16 ს.]

251 ფ.; 18,4×14.; ეტრატი (პალიმფსესტი): ხის ყდა, შემოძარცული, I ყდა მოტეხილი; (ნაკლული); 1 r—3 v, 250 v—251 v გაკვეშლულია, 240—251 ფფ. ამოვარდნილია, შიგადაშიგ დაბეჭდულია; ნუსხური (სათ ურები და ტექსტის ზოგიერთი ადგილი სინგურით); მე-15—16 ს.; გადამწერი: მაზარობელი; დამკვეთნი: „ხაქას ძე მიქაელ და მიწნი წილნი გიორგი და...“ 251 v. შემკულობანი: 1 r, 27 r, 32 r, 100 v, 101 r, 113 v, 114 r, 174 v. 237 v, 250 r, 251 v.; შემოწირულია ალექსი თევზაძისაგან 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წმიდისა და დიდებულისა ⟨აღსებისა კეირიაკის სახარებანი ჟამის წირვისანი. სახარება იოანესი).—პირველითგან იყო სიტყუაჲ...“ 1 r—237 v.

შენიშვნა: 1. სახარების საკითხავები მოცემულია აღდგომიდან აღდგომამდე: იწყება აღდგომის პირველი დღის („კეირიაკის“) ჟამის წირვის) საკითხავებით და თავდება „შვიდეულის“ — დიდმარხვის უკანასკნელი კვირიის დღის („დიდშაბათის“— „დიდისა მწუხრისა“) ჟამის წირვის, სახარებისა და აღდგომის დღის („სახარებანი აღდგომისანი საკისკრონი“) ტექსტებით. 1 r—237 v

2. ტექსტს დართული აქვს: ა. თვითა და დღესასწაულთა მიხედვით განრიგებული საკითხავები (სახარებისა) სხქტემბრის 1-დან აგვისტოს 31-მდე. (237 v—250 r). ეს ნაწილი ნაკლულია. აკლია: 22 სექტემბრის ტექსტის ნაწილიდან აგვისტოს 17-ის ტექსტის ნაწყვეტამდე (247—248 ფ. შუა). ბ. სახარებანი: სტიქარონისანი, ზეთისა ზედა სნეულთასა, სქემის კურთხევისაჲ და მზეგუისა. 250 r—251 v.

3. ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს: 80 r-v, 81 v—87 r, 90 r-v, 93 r-v, 104 r—105 r, 110 r-v, 117 r-v, 124 r-v, 125 r-v, 128 r, 129 r-v, 133 v, 236 r, 241 r, 251 v, და სხვ. მრგლოვანითა და ნუსხურით ნაწერი ძველი ტექსტის ნაშთი მე-10—11 ს.

მინაწერები: 24 r, 51 v, 88 r, 100 v, 107 v, 108 v, 109 r-v, 112 r, 114 v, 126 v, 137 v, 138 r, 167 v, 175 r-v, 190 r, 192 v, 195 v, 199 v, 215 r, 239 v, 240 r.

4. გადამწერის ანდერძი ბოლონაკლულია.

ანდერძი: (გადამწერისა): 1. „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე სული მახარებელისაჲ“ 250 r. (სინგურით).

2. „სახელითა ღრისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოველადწმიდისა ღრისმშობელისაჲთა, ძალითა და ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲსა, ძალითა და ძლიერებითა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისაჲსა, ამა ყოვლისა შეწევნითა და მეოხებითა ღირს ვიქმენ მე, ფოიად ცოდვილი და უჯარესი ყოველთა მოწესეთა, ცოდვითა მდაბალი და სარწმუნოებითა გლახაკი მახარებელი, ღირს ვიქმენ აღწერაჲ სახარებისა ამის და დამაწერიეს ხაჯას ძეთა მიქელ და მისთა შვილთა გ⟨იორგ⟩ი და...“ 251 v.

1240

ოთხთავი [მე-11 ს.]

171 ფ.; 14,5; ეტრატი; ყუდო; ფტად დაზიანებული: 1—29 ფ. კიდეებშემოგლეჯილი, 29—30 ფ. შუა 1 ფ. ამოხეული; 30 ფ. გახეული, 165 ფ. ამოვარდნილი, 165—170 ფ. შუა ადგილას გამოხეული (თაგისაგან გამოხრული?). 171 ფ. ერთი მესამედი, ტექსტითურთ, მოხეული, 6—64 ფ. დაჩეული; ნუსხური (წვრილი, ორ-ორ სვეტად, სახარების ცალკე თავების სათაურები და დასწყისი ასოები—სინგურით); [მე-11 ს.]; ფერადებით ნაწერი მინიატურა (უმეტესი ნაწილი გადასული) 133 v. შემოწირულია ალექსი თევზაძისაგან 1916 წ.

„...(და უკეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ), აღმოიღე იგი და განაგდე (შენგან): უმჯობეს არს (შენ)და ერთ-თუ(ალ)ისაჲ შესულად ცხორებასა, ვიდრე ორთა თუალთა სხჳასა და შესულად გეენიასა ცეცხლისაჲსა...“ 1 r—171 v.

წყდება: „... და აწ მადიდე მე, მამაო, ოავისა შენისა თანა, დიდებითა მით, რომელი მაქუნდა წინაწე შენსა, უწინარეს ყოფისა ჩემისასა...“

შენიშვნა: 1. თავ-ბოლო ნაკლული ტექსტი იწყება მათეს სახარების 18 თავის მუხ. 10-ით; წყდება იოანეს სახარების 17 თავის მუხ. 5-ით.

2. ტექსტი შიგნითაც ნაკლულოვანია; შემჩნეული ხარვეზი: მათეს სახარების ტექსტს აკლია ბოლოში 28 თავის მხ. 13—20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1241

ბაუმეისტერი ფრიდერიკოს ქრისტიან. ლოღიკა [1809 წ.]

203 ფ.; (405 გვ.); 18,2×10,5; ქაღალდი; ხის ყდა, ქაღალდ-გადაკრული; მზედრული (სათაურები და ტექსტის ზოგიერთი ადგილები ნუსხურითა და მრგვალოვანით); 1809 წ.; ჰოარგ-შნელი: ანტონ I (1 r); გადამწერი: სოლომან სულხანი (203 r); დაუწერელია: 17 r,37 v, 117 r-v.

„ნაწილი პირველი ლოღიკისა სათეორეტიკო ანუ სამთათუჳს მოქმედებათა გონებისათა: თავი პირველი. მოგონებათათუს ანუ იდიათათუს: § 29.—პირველსავე ვიდრემე მოქმედებასა გულის-ჴმის ყოფისა ჩვენისასა მარტივად მოგონებად, ანუ იდიად წოდებულ ეყოფთ...“ 38 r—203 r.

შენიშვნა: 1. ლოღიკის ტექსტს წინ უძღვის: ა. თავუურცელი: „ფრიდერიკოს ბრისტიანოს ბაუმეისტრისა, გორლიციერისა დიმნაზიისა რექტორისა დასაბამი ფილოსოფიისა აზელის, სარგებელად ყრმათა სწოლის შინათა. კმნილი და მრავალთა მიერ იგავთა და მაგალითთა ძნელთაგან წერეოლთა, რომელთასა მოღებულთა განმარტებული ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებითი შრომითა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დაჳითარ-ბაგრატოვანისა. დროსა ყოვლად უბრწყინვალესისსა და უმჯობროესისსა დადის ხელმწიფის იმპერატორისა ეკატერინა ალექსიევნასა, თჳთ მპყრობელისა ყოვლისა რუსიი(ს)ა და ჴემკჳდრისა მისისა კეთილ-მორწმუნისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე პეტროვიჩისა. წელსა დასაბამიდგან სოფლისა 7270. ქორციელად შობიდგან სიტყჳსა ღ(ა)ს 1762. ინდიკტონსა 10. თჳესა მეშიდღესა, რიცხჳსა 30ჱ. (1 r-v) ბ. „ანტონის მიერ არხი-ეპისკოპოსისა წინასიტყუაობა ფილოსოფიისა ამის, წინა-მდებარისა: აალწმცსა ვიდრემე გონებისასა ვერ სადამე მიზდი სიბრძნესა, მით რა წოდებულ-ჰყოფენ მას ფილოსოფოსნი მეფად ანუ მთავრისად სხუათა ძალთა სხეულისათა ითრა § 137.“ იხ. აღწერილობა. I ტ. № 255 გვ. 181. 2 r—16 v. გ. „პინაკსი ლოღიკისა“ (17 v—18 v.). დ. [ბაუმეისტერი]. „თავი ა. წინასიტყუაობა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა: § 1.—ვინაჲდგან აწ შრომა ჩვენი არს ამის შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსო-ფი(ი)სანი უმჯობებეს და შესაბამ აღწერით განვჰკარგენითქცა, ვინა პირველ განვარტებისა გამჳჯნეთ სახმარად მოკლედ წინა-დადებად რაჲსაცა გუეთჳ(ე)ა. ვჰყოფთ ფილოსოფი(ი)სა მიერ...“ 19 r—37 r.

მინაწერები: 24 r, 29 r, 59 v, 60 v, 75 v, 85 r, 91 v, 99 v, 107 v, 113 v, 115 r, 137 r, 145 r, 203 v.

ანდერძი (გადამწერისა): „დასასრული ლოღიკისა. დიდება ღმერთსა, სრულ—ჰყოფელსა ყოველთასა. სრულ-იქმნა ძალითა მღთისათა სეკდებრის ი0. ქ̃ს უ. ჟ. ზ. სოლომან სოლხანოჲ.“ (203 r. სინგურით, მთავრულით, ჩართულად.)

1242

კრებული [1840—1841 წ.]

VI+455 ფ.; 17.3×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; თავსაკლოტი; მზედრული (აბზაცის პირველი ასოები ნუსხურით); 1840—1841 წ. (111 r. 245 r. 455 r.); გადამწერი: იაკ ვარდიევი (111 r. 245 r. 455 r); ადგილი: [თბილისის სასულიერო სემინარია] (111 r. 245 r. 455 r); დაუწერელია: I—IV. 110 v, 111 v, 112 r-v, 200 v, 215 v, 216 v, 244 v, 245 v,—248 v, 292 v, 332 v, 401 v, 550 v, 454 v.

1. „[შესხმანი ღვთისმშობლისანი. შესხმა ბ.]... მწყარესა მონებასა მიეცნეს პარპაროსთა მათ შორის...“ 1 r—45 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაშვნა: 1. შესხმანი ღვთისმშობლისანი შედგება 12 (ა-იბ) თავისაგან.
2. I თავი და II თავის ნაწილი აკლია.

2. „[შესხმანი იესო ტკბილისანი]. სიტყუა ოგ, შუენიერისა იესუ ტკბილისა, ყოველად საყვარელისა.—უფსკრულმან უფსკრულსა ჰქადა ჴმით ზეგარდამოთა..." 45 r—55 r.

შინაშვნა: შესხმანი იესო ტკბილისანი შედგება 3 (იგ-იე) თავისაგან.

3. „[შესხმანი პატიოსნისა ჯუარისანი] შესხმა ოვ. ღ~ო შენიერისა და ცხოველმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისა.—კორთხეულ არს ძელი იგი, რომლისა მიერ ივ~ხნს წარმართნი..." 55 v—63 r.

შინაშვნა: შესხმანი პატიოსნისა ჯუარისანი შედგება 2 (ივ-იზ) თავისაგან.

4. „[შესხმანი ანგელოსთანი] შესხმა იზ წ~თა ღ~თივ განსთლებულთა ზეცის ძალთა, ყოველად პატიოსანთა ანგელოსთა.—უფალმან შექმნა ანგელოსნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა..." 63 v—70 v.

შინაშვნა: შესხმანი ანგელოსთანი შედგება 2 (იზ-ით) თავისაგან.

5. [შესხმანი ნათლისმცემლისანი]. „შესხმა კ. წ~დისა და ღ~ივ დიდებულისა ნათლის მცემლისა იოანესი.—იხარებდით მართალნი უფლისა მიმართ და წრფელთა შჳენ~ს ქება..." 71 r—81 v.

შინაშვნა: შესხმანი ნათლისმცემლისანი შედგება 3 (კ-კბ) თავისაგან.

6. [შესხმანი მოციქულთანი]. „შესხმა კგ. წ~დითა ღ~ივ დიდებულთა და ყოველად ქებულთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.—ცანი უთხრობენ დიდებასა ღისასა..." 81 v—93 r.

შენიშვნა: ტექსტში გვაქვს: ა. შესხმანი პეტრესი და პავლესი ბ. შესხმანი იოანე ღ~ისმეტყუელისა გ. შესხმანი მახაროპელთანი.

7. [შესხმანი მოწამეთანი]. „შესხმა კვ. წ~დისა და ღ~ივ სახეოვანისა დიდებულისა მოწამისა გიორგისი.—გულს ვჰა ჰყავთ, რ~ საკეთილ ჰყო უფალმან წ~დად თჳსი..." 93 v—110 r.

შენიშვნა: ტექსტში გვაქვს შესხმანი: წმ: გიორგის, დიმიტრის, იოანე აღმსარებელისა, ნიკოლოზისა და ვასილი დიდისა.

ანდერძი (გადამწერისა): ტფილისის სასულიერო სემინარ(ი)ის საშუალო კლასის განყოფილების მოწაფემ ისაკ ვარდიევმან გარდავსწერე ჭელითა ჩემითა ქადაგებანი ესენი, როგორც ვიპოვე, ესოდენ, და თავიდამაც ნაკლები იყო და ესრეთვე გარდავსწერე. არა ძალ-მედგა შესრულება ნაკლულევანებისა, რათამე გამემართა და ამისთჳს, როგორც ვნახე, ისრე გარდავწერე. ამისთჳს ვითხოვ, წარმკითხველნო, შენდობას თქუენ მიერ, რათა შემინდოთ თუ რაჲმე ნაკლებულება ი(ხ)ილოთ, რათა თქუენც მოგეტევნეს შეცოდებანი თქუენნი. ვიწყე წიგნი ესე ჩყმ-სა წელსა, ღეინობისთჳს ი~ა-სა და შევასრულე ამავე თჳს კვ-სა დღესა." 111 r.

8. „წიგნი სამოძღურო სჳმეონ თესალონიკელისა მიერ თქმული.—ჯერ არს მოძღურისა მიერ, რათა ჰქონდეს ადგილი განმზადებული..." 111 r—129 r.

ანდერძი [ძველი ნუსხისა]: „ბევრჯერი ყოველთა, რ~თა სახმარადმე გიჩნდეს წიგნი ესე, რათა ღ~ცვა ჰყოთ ჩემ ცოდჳლ(ი)სა მ~ფის ერეკლის ასულის ენკრატის მკონენთჳს, რ~ ფრიად(ი) შრომა დავსდევ ამას ზედა და გამოუწყვიტეთ გამოვიძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სადაც რამ ვჰპოვე, შეეჭვრიბე და გავმრთე. რომელთა გენებოსთ, მიიღეთ ფუძრიცლად და რომელნი სწორდეთ, ვითა აქა სწერია, ნუ რა ღას დაიკლებთ, ღრის სიფაერულისათს. თუ უმჯობესი ანუ თუ უმეტესი ჰპოვოთ და ამას აკლდეს. შეჰმატეთ: უკეთუ არა გენებოსთ, ანუ თუ არად სახმარ იყოს. თქუენ უმჯობესი უწყით. ნება თქუენი ყოვნ და მე ნუ საქირდეტ-მყოფთ და ჩემი უსწავლელობისაგან გიკეირდესთ, თუ ვითარ შეეძლე ამისი აღწერა. არამედ ფრიად მიკერდა. რ ფრანგთა და სომეხთაცა ჰქონდათ ფსეერთარი აღსარების წიგნი. მეც ამისათს დავჰვერ, რ ჩვენდა არა სადა ყოფილი ყო. გარეა არა სადა კეთილად. რ უცები უცებს რასმე იგუოლხვებს. ამისთს ნუ განხვებულ-მყოფთ და შენდობრია წილ ნუ მწყვედ. რ მე საფუძველი დავსდევ და რასა მოგცესთ ღერთმან გულისხმის ყოფა, თქუენ უჯობესად შესცვალეთ და აღაშენეთ საფუძველსა ამას ზედა. უკეთუ გენებოსთ და აღწეროთ, ეს ანდერძიც ასე აღწერეთ და ღმერთმან თქუენც წყალობა თჳსი მოგჳანჯოსთ. აღიწერა ქრისტეს აჰეი ჩიჯა. ქ-ს ყოთ, დღეს ხუთშაბათსა, მეექუსესა კვირიაკისა წმიდათა მარხუათსაჲ.“ 129 r—130 r.

9. „სჯულის კანონი და [!] დიდება ვასილისა.—რომელსა ეგულებების შემოკლება, [!] მოუდრიკნეს მუხლი მოწაფეთან მოძღუარსა და თქუას: აღგიარე შენ, მამაო, ცოდვათა და ბრალთა ჩემთა...“ 130 r—142 v.

10. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა-წმიდისათა ამინ. საქრისტიანო მოძღურება პირუმლად სასწაველო-ქმათათჳს, აღწერილი სულხან ორბელიანისაგან და მის მიერ თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის ჴარი. სარწმუნოებისათჳს მართლისა და უბიწოსა სჯულისა რომელი მოგვცეა წმიდათა მამათა მიერ.—მოძღუარმან ჰკითხა ყრმასა ვისმე, ვითარმედ შენ ვინ ხარ? ყრმამან მიუგო და ჰრქუა: ქრისტიანე...“ 143 r—200 r.

11. „წმიდა ეკლესიაი სახე არს ხილულისა ამის სოფლისა...“ 201 r—215 r.

შენიშვნა: ტექსტში მოცემულია „ეკლესია“—სიტყვისა და ქრისტიანული მღვდლთმსახურების სიმბოლიკის განმარტება.

12. „მოთხრობა საუფლისა მისთვის ხატისა ჴელით-უქმნელისა, რომელ არს მანდილი, ასლად ქმნილი სხუათა და სხუათა სამოთათა წერილთა ძველთა და ახალთაგან და ეგრეთვე სასულიერითა მოთხრობათაგან, და კ-დ ისტორიათაგან ნანდვილად გამოძიებული და უწყებული, და ეგრეთვე სოფეხი საეკლესიო წერილი სვინაქსართაგან და ისტორიათა მოთხრობათაგან ცნობილი და აღწერილი ქალაქსა შინა ტფილისსა.

დასაბამითგან სოფლისათ ხუთი ათას ორმოცდა ერთსა წელსა, ხოლო ქრისტეს შობითგან ოცდა ათცამეტსა წელსა, ჟამსა ტიბერიისა კეისრისასა და მთავრობასა პონტიელის პილატესსა ურიასტანს, მღუდელმოძღურებასა ანნასა და კაიაფასა, ჟამსა ენებისა და ჯვარცჳსა უ-ნა ჩვენისა იესო ქრისტესსა, რომელი იქმნა ქალაქსა შინა იერუსალიმსა.—ოდეს ყოველი სოფელი დაეპყრა კერპთმსახურებასა და ურწმუნოებ(სა), მას ჟამსა შინა იყო ქალაქსა ედესიისასა მეფე ვინმე კერპთმსახური სახელით ავგარ, რომელ არს ავგაროზ, ფრიად სნეული და მდებარი ცხედარსა ზედა, სენითა კეთროვნებისაჲთა, რომელსა ყოველი მონაგები თჳისი წარეგო მკურნალთა ზედა და ეგრევს განკურნა და ამის გამო უსა ხო ქმნილი და მწუხარე მიმოეკეთებოდა გრნებითა თჳისითა...“ 217 r—239 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს დართულია: „ხოლო ესეცა საუწყო არს ცნობა მსმენელთათჳს საუფლოსა მის ხატისათჳს, რომელ არს ფიცარი, თუ ვითარ და ოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვენებულ იქმნა სათაბაგოს ანჩის ქალაქიდამ ტფილისსა შინა. ხოლო ოდეს საქართველოს მეფეთ მეფე თამარი, ღირსი ხსოვნისა, გამოჩინდა და მიიღო მეფობა საქართველოსა ათას ას სამოცდა თოთხმეტსა წელსა ქრისტესსა, მეოცესა წელსა მეფობისა მისისა, რისასაც პრძანებითა და ნიჭითს მოგებითა, იოანე ანჩელს, ღუნებურს ეპისკოპოზს, პატიოსნად მოეწყო და და კლარჯეთს მოესვენებინათ, წელსა ქრისტესიო ათას ას ოთხმოცდა თოთხმეტსა, ვითარცა ცხად ჰყოფს ზედა წარწერა საფუძელსა მის ხატისა ესრეთ: „ადიდეს ღ(მრ)თ(ა)ი ეს პატრიარქი დოშეტი, რომელმან განაახლა ხატი ესე ხელით უქმნელი“. პირველად ედესიიდგან კოსტანტინეპოლედ მეესვენებინათ და მუნ სვენებულ იყო და ოდეს ლეო ისაკონ და სხვანი ხატმპრძოლნი გაბოროტნდნენ, მუნით წაიღესვენებინათ საათაბაგოსა შინა, შიშისათჳს მწუალებელთისა და დაესვენათ ანჩითს ქალაქსა შინა-ს ყდარსა, ყიდრე გამოჩინებამდე საქართველოს დედოფალთ დედოფლის თამარისადმე. ხოლო მისითა პრძანებითა და ნიჭითს პრძებითა იოანე ანჩელს პატრიარქად მოეგებდა და კლარჯ(თ)ს მოესვენებინათ, ვითა ცხად ჰყოფს ხატისა წარწერა ესრეთ: „მე იოანე ანჩელმან რკი(ნ)აულმან ხელ ვჰხვე საშინელისა ამის ხატისა მოგებდაც. მფარველ არს მეფობისა მათისა აჰა და საუკუნესა. მოიქმედა ჴელითა ბაჭარისათა.“ (ქვაზედ სწერია) „სულსა პატრონისა, მონასა მანდატურთ უხუცესა (სარგის) და ცნირო უხუსა ბეჭასა და მეუღლესა მისსა მარინეს განუსვენე ღ(მრ)თო. ცნი მანდატურთ-უხუცესა სარგის, ყვარყვარე და შალვა ადიდეს ღ(მრ)თ(ა)ნ.“ ხოლო შეიდგომად მეცის მეცის ძამარასა, ოდეს გათათრდა სამცხე და სათაბაგონი, მაშინ აღრეულ იყო ტფილისის ვაჭარი ვინმე და ეყიდნა მას სადისითა თჳსითა და მოესვენებინა ბიძისა ჩვენისა კათალიკოზის პატრიარქის დოშებრძანათჳს და მასმცა ძვირ ფასად ეყიდნა და დაესვენებინა ტფილისს, საყდარსა შინა საკათალიკოზოსა, მეფობასა პაპისა ჩვენისა ე.ტატნგისსა. მას აქეთ დაძველებულ იყო გუმბათი ყდისა. ჩვენ, მეფეთ შარავანდედმან, ყოველის საქართველოს პატრიარხმან, მეორემან დოშტიმ კ'დ განვაახლე და მოვქედე გული და კუბრი და შეგმატე თჳალი და მარგალიტი. კ'ს ტ'ჯ (კ'დ სწერია სულსა ხატის კარებზედ: „ჰაი, სანიერო და სამნათლეო სამებაო და ერთ არსებაო მამაო, ძისაგ'ნ განდეშრებელო და ძეო, შამისათანა სწორო და სულო წმიდაო. ორთავე შორის ცხორებად[ა], ყოველთა ხ'ლულთა და უხილავთა წამის ყოფით მაარსებელო და შემოქმედო. ჩენს, მსასრებელმან და სურვილით თქუენ-და მონდობილმან, ქმან იოთამ ამიღან[ორ]ისამან, და [მ]ეთ ამიღაზოროვან გიმან და თანა მემცნებელმან ჩენმან, ქართველთ მკუის შანაზის ასულმან თამარ და ძემან ჩენმან ანდუყაფან და დემეტრემ, ოდეს ვიბიერთ ანჩის ხატი ქაოლეში ჩამოსვენებული, მოჰდა სატჳე, რომელ ბევრს ხანს ჩვენს სახლში ესენება და მისის უარეთია და შემწუობით მრავალს ძნელს ავადყოფობას და განსაცდელსა გავეწევინით და ჳ კარები არა ჰქონდა, ვიწუალინეთ და კარები მოვაბედინეთ და გავაკეთეთ, რათა შემწე გვყოს ორთავე შინა ცხორებითა ძით და ასულით ჩვენით. და ღუნიდგან აქამომდე ასვენია ტფილისს, საყდარსა შინა სპატარიარხოს ეკკლესიასა. მფარველად ყოველთა მასოებელთა მისთა.“

„და თუ ვითარისა მიზეზისათჳს ჴშიდა სულსა ამას ხატსა ანჩის ხატი, ვინაიდგან პირველადვე სვენებულ იყო საათაბაგოსა შინა ქალაქსა ანჩისასა ეკკლესიასა. აჰა მიზეზისთჳს და მის ქალაქის სახელის დებითა ჴშიდეს ხატი თჳთ საუფლოსა მას ჴელით უქმნელსა ხატსა და არა ეკკლესიასა, ვინაიდგან არს ეკკლესია ესე აღშენებული სახელს ღ'თის მშობლის შობისა და ოდეს ეკკლესიასა ამას შინა ა ასვენებულ იქმნა სულთა ესე ხატი ჭმსა კ'თალიკოზ-პატრიახისა დოშებ'ისასა, ამ ხატისა გამო ჴშიდეს ეკკლესია ამას სახელი თჳთ მის საუფლისა ხატისა ანჩისასაი. ხოლო ჴშინარეს ამისა ჴშიდებოდეს ეკკლესიას ამას ტფილისის სპატრიარხოს საკათედრო ეკკლესია ღ'თის მშობლის შობისა და არა ანჩის ხატი. და ვინადგან ჩვენ ყოველნი მართმადიდებელ-ნი, მსასოებელნი და მინდობილნი კურთხევისა მისისანი სახელს ვდებთ და ჴშიდებთ სურვილით და სასოებით ხელით ჴშ'ლსა ანჴსა მაცხოვრისასა და სიყჳარულით თაყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ესცემთ მას, თანა მაქით და სულით ჭმიდითურთ. არამედ, ჰოი, შენ, ძეო და სიტყვაო ღ~თისა! დაიცევ და დაიფარენ სულით და ხორცით მონანი და მსახო ბელი და თაყვანისმცემელნი პირისა და სახისა შენისანი და ღირს ჰყენ დადგომად მარჯუენით შენსა დღესა მას საშინელსა მეორედ მოსვლისა შენისასა და აღიარებენ რჩეულთა შენთა. ამინ.“

ანდერძი (კრებულის შემდგენელისა): „მისის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ირაკლის ასულის ქეთევანის ბრძანებითა, სურვილისამებრ მისისა, შეეთხზენ ! ხვადაბალთაგან წერილთა, ძველთა და ახალთაგან და რაჲცა ვანდერლად ვსცან, ეს დავსწერე, და თუ ვინმენ ზედმიწევნით იცოდეთ ამისი ნაკლულევანება, ეითხოვ ვიდრემდი, ოგიცა აჰა აღიაჩროს, რათა ნაკლულევანება ესე ჩემი აღავსოთ, ღ~ის სიყვარულისათჳს და მიიღოთ შოშისათჳს თქუენისა მისაგებელი კეთილი სუყუნეს მას შინა დიდებასა.“ 244 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ტფილისის სასულიერო სემინარი(ი)ს საშუალო კლასის განყოფილების მოწაფემ, ისაკ ვარდიევმან, გარდავსწერე ჭეშით ჩემითა სამოძღვრო წიგნი ესე და ამასთანავე ისტორიაცა ჭეშით უქნელისა და ეკლესიის განმარტებაცა და ვინცავიმ წარიკითხოთ და შეცთომა რაჲმე იხილოთ, ნუ გვწყევთ, არამედ მოჳვიხსენიეთ ლოცვითა და თქუენც ღირს გყოსთ სასუფეველსა ცათასა. ვიწყ ! წიგნი ესე ჩ~მა-სა წელსა, იანვრის ე-სა დღესა და სრულ ეყავ ამაეე თჳს ქ~სა დღესა. (245 r).

13. „ღ~ივ სულიერნი თხრობანი, სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვირგვინი. თავი პირველი. მღდელ-მოქმედებისათჳს და სამღდელოთა გამოცხადებისა. თავი ა. თხრობა ა. გამოცხადებისათჳს წმიდისა სადუმლოსა და სიყუარულისა.—ღმერთი, რომელი სიყუარული არს ნამდჳლეც, რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღ~თი მის თანა ჰგიეს...“ 249 r—449 v.

შენიშვნა: „გვირგვინის“ ტექსტს დართული აქვს: ა. განმარტება: „ღ~ივ სულიერსა ამას წერილსა ეწოდების გვირგვინი ამად ესე ეითართა მიჴეზთათჳს, რ~ი ვითარცა გვირგვინი პატიოსანი შემკობილ არს მრავალფერთა პატიოსნთა ნივთთა და თუალ-მარგალიტთა მიერ...“ 450 r. ბ. ზანდუკი 451 r—454 r.

. **მინაწერები:** 54 r, 168 r, 175 v, 176 r, 180 r, 188 v, 257 r, 272 r-v, 421 r, 431 r, 444 r, 454 r (უმეტესი ნაწილი სკოლიოს წარმოადგენს).

ანდერძი (გადამწერისა): „ტფილისის სასულიერო სემინარი(ი)ს საშუალო კლასის განყოფილების მოწაფემ, ისაკ ვარდიევმან, გარდავსწერე გვირგვინი ესე. ასი მთთხრობა, ველითა ჩემითა. შეცთომა ჳცნეთ იხილოთ რაჲმე, ნუ გვწყევთ, არამედ ლოცვით მოგვიხსენიეთ: ჩ~მა-ს წელსა, მაისის 3-სა დღესა, ისაკ ვარდიევ“. 455 r.

1243

საგალობელნი [მე-18 ს.]

XIV+280 ფ.; 14.5×10.3; ქაღალდი; ხის ყდა, ტყავგადაკრული (I ყდა და ყუა მოშლილი, I ყდის ფიცარი ჭიისაგან დახრული); მხედრული (ასათაობი სინგურით, დასაწყისი ასოები ნუსხურით); მე-18 ს. 1-XIV, 248 v.—249 r. 256—257, 275—280 ფ. დაუწერელია.

„სძლის-პირი საცისკრო, ჴმა ა: გალობა ა; სძლის პირნი.—სასწაულითა იხსნა ერი უფალმან და ზღვა მღელვარე სიტყუთ განახმო...“ 1 r—274 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტის შემადგენლობა: ა. სძლისპირნი საცისკრონი და სამწუხრონი (რჭ. რვა „ჯმა“ და ამდენივე „გალობა“). აქ ჩართულია ღვთისმშობლის მიცვალებისა და იოანე ნათლისმცემელის საგალობლები, „სძიღის-პირნი სვეტის ცხოველისა და კუართისა საფეხურსა“, „სძლის-პირნი ქრისტ ს შობის წინაღ ათანი, ხვ დრნიცა და საცისკრონიცა“. 65 r—75 v, ბ. „დაწყება მარხვისა საგალობელისა, კრიაკესა მეხვ რისა და ფარისეველისასა“ (დიდმარხვის შესახებ ულისა და აღდგომის დღესასწაულთა ს გალობლები). 76 r—198 r. გ. „[თვენი]. დაწყება თთჳსა სეკუნდნებრისა, რომელ არს აპრილისა თთჳსა“ (თვეთა მიმდევით განრიგებული დღესასწაულთა საჯილობელნი სექტემბრიდა აგვისტომდე). 199 r—269 v. დ. „ქართველთა წმიდათ სამწუხრო დასდებელნი სძლისნ პირთა ზედა.—იოანე ზედაძნელისა, დავით გარესჯელისა, ევთიმე ქართველისა, ქართმანთლისა ნინასი (ერთ-ერთი საჯილობელის ავტორად დასახელებულია შიო: შ ი ო ს მიერ თქმული ოხითა“) 270 r—274 v.

მინაწერი: 1 r.

1244

ტლუკაანთ დავითი, გორელი. საქრისტიანო მოძღუარება [1800 წ.]

167 ფ.; 16.5×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივრული ყდა ბისა (მოშლილი); მხედრული; 1800 წ. (164 v.); ავტორი და იტალიურიდან მთარგმნელი: ტლუკაანთ დავითი, გორელი (1 r); გადამწერი: ათანასე (150 r. 164 v.); თავსაზმულობა: 3 v, 4 r, 14 v, 15 r, 17 v, 20 r, 24 r, 26 r, 27 v, 30 v, 32 v, 35 r, 37 r, 39 v, 44 v, 50 v, 62 r, 64 r, 65 v, 67 v. პოეტიკაზმულობა 150 r, 164 v.

„ვრცელი საქრისტიანო მოძღუარება, რომელსა შინა ქრისტიანი კეთილად გაწურთნილი უნდა იყოს. საკითხავი ა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.—მღდელი ჰკითხავს ერისკაცსა: ვინ დაგბადა შენ? ერის კაცი უპასუხებს: ღმერთმან...“ 4 r—164 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელი (1 r.), ავტორის (იგივე მთარგმნელი) ანდერძი (1 v.—3 r) და ტექსტი, მცირეოდენი შეცთომებით, 1741 წ. რომის ნაბეჭდ გამოცემას მისდევს.

2. ხელნაწერში არა გვაქვს: იტალიური თავფურცელი და საცენზორო ვიზის ტექსტი.

3. „ზანდუკი ანბან'განური,“ რომელსაც ნაბეჭდ გამოცემაში 360—366 გვ. ჭვირავს, ხელნაწერში 9 სიტყვისაგან შედგება (164.).

4. ხელნაწერში ჩადებულია 3 ფ. სხვა ხელნაწერიდან, ტექსტის მსგავსი მხედრულით ნაწერი. 165 r—167 v.

ანდერძი (გადამწერისა): „ჴელ(ი)თა ათანასესისა. თვესა მარტსა, რიცხჳთა კ'ჳს ჳშჳ.“ 164 v.

1245

კრებული [მე-19 ს.]

100 ფ.; 17×10,5; ქაღალდი; ტყავისკრული ხის ყდა, ტიფრული; თავნაკლული, დაზიანებული: 1, 9, 29 ფფ. ნაწილი მოხეული, 27, 28, 30, 66 ფფ. გახეული, 9, 10, 11, 12 ფფ. არევით ჩაკრებული; მებეჭდური (სათაურები, ალაგ, სინგურით); მე-19 ს. 1846 წ. შემდეგ 85 v). 40 v, 41 r დაუწერელია.

1. „ღ[მრთი სულიერნი სწავლანი უფლისა ჩუენისა იესო[ქრისტესნი]... ნა დიდსა სასყიდელსა ღ...ათთა მცნებათათჳს, რომელნიცა ღმერთმან სინას მთასა ზედა მოსეს მიერ მისცნა ისრაელთა, შემდგომად გამოს(ლ)ვისა მათისა ეგვიპტოთგან 50-სა დღესა.—კითხვა: მარჭჳ მცნებანი, რომელნიცა ღმერთმან მოსცა ისრაელთა. მიგებაჲ: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი...“ 1r—8 v.

წყდებაჲ:... ჰდევნიდეს უკუე [ქრისტეს, ჩუენობაში] მდეგარნი იგი და ვერ ჰპოვეს, რამეთუ დაფარა მოწყალებამან ღ[თისამან. და ოდეს ჰქადაგებდა...“

2. „(საუფლო)სა ლოც(ა)სათჳს.—(კითხვა.) რაოდენად განაყოფების საუფლო ლოცვა, რომელ არს მაძაო ჩუენო?...“ 11r—12 v. 9 r-v.

3. „პირი წიგნისა. წარვლინებულსაჲ იერუსალემით ტიბერის, იმპერატორისადმი ჰუბლიო ლეტუულო მთავრისაგან ჰურიასტანისა იესო ქრისტესთჳს.—წიგნი ესე დამარხულ არს რომს, მონასტერსა შინა ბატონთა კესარიელთა...“ 10 v, 99 r-v.

შენიშვნა: ტექსტს აკლია აღნიშნულ ფფ. შუა (10 სა და 99 r-v).

4. [დიალოგი ბასილისა და გრიგორისი, საღვთისმეტყველო საკითხთათჳს. თავნაკლული].—... „კითხვა: და დასხეს მას ზედა სამოსელი და დასჯდა მას ზედა იესო. რა სახე იყო? მიგებაჲ. სამოსელი—კეთილთა საქმეთა სახე იყო...“ 13 r—30 v.

5. „სახარებასა და სამოციოთა წერილებთა შინა შვიდთა საიდუმლოთათჳს.—კითხვა: რაჲ ძალუძს ნათლისღებასა?..“ 30 v—48 v.

6. „მცნება წმიდისა ეგზეკიელისა მღუდელთა მიმართ, თარგმნილი არსენისაგან. —ჰრიდე თაყუა, ჰოი, ხუცესო, და ეკრძალე მსახურებასა, რომელი მიიღე...“ 49 r—50 v.

7. „ეთაო ჯერ არს მღ[ელი, რომელი დგეს წინაშე საკურთხეველისა მის წმიდისა.—აჰა, ესერა გამოისახა ჯვარცმა ქრისტესი...“ 50 v—53 v.

8. „განმარტება წირვისა.—დასაბამსა წირვისასა მამათ-მთავართაგან ქრისტეს მოსწულს სასოება მოესწავებას...“ 53—56 r.

9. „განმარტება წირჳსა კეკლად.—ტილო იგი, რომელი განეფინების წმიდასა ტრაპეზსა ზედა, გამოსახავს იოსებ არიმათიელის მსახურებასა...“ 56 v—57 v.

10. „მონაზონთა წესისათჳს.—წესი და სახე მონაზონთა მსგავს არს დაბრძანებულისა მოქალაქჱსა მის იოანე ნათლისმცემელისა...“ 58 r—60 r.

11. „წერავის იარაღის განმარტება, რუსულით გარდმოღებული.—ფეშხუმი ნიშნავს_ბაგასა...“ 60 r—64 v.

12. „განმარტება მღუდელთ-მთავრის ლიტურღიისა, სახის მეტყუელებით. კეალად ყოველსავე მღუდელ-მოქმედებასა მისსა საიდუმლოობითად ძალი უპყრიეს. წმიდა ეკკლესია არს სახე ხალხისა ამის სოფლისა...“ 63v—80 r.

13. სხუა გვარი მღუდელ-მთავრის ლიტურღიის განმარტება.—შემდგომ შესულისა მღუდელთ-მთავრისასა ეკკლესიასა შინა და ამბიონსა ღოცვისასა მღუდელ-მთავრისა, იგი მო(ი)ქცეცა დასავლეთის კარისაკენ...“ 80 v—85 r.

14. „მოკლე ჰსწავლა, თუ ვითარ ჯერარს დგომა ეკლესიასა შინა, გამოკრებული სასულიეროს წიგნებთაგან და დაბეჭდილი მოსკოს ტიპოღროფიასა შინა, ჩყმგ-სა წელსა,—ტაძარი არს ადგილი, დაწესებული პატივად სახელისა ღთისასა...“ 85v—91 r.

15. „ჰსწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა და სხვათა ფილოსოფოსთა, მეორედ მოსლვისა თჳს ძისა ღთისა ქჳყანად, ფრიად შეენიერი.—ვითარმე ვიყუენთ მაშინ, ანუ რასა და ვითარსა წრწოლასა და შიშსა შეევეკრნენთ. მაშინ იხილოთ და გულისჴმა ჰყოთ...“ 91 v—97 r.

16. „ჰსწაველ(ა) ფრიადი სასარგებლოა ცხოვნებისათჳს სულისა.—ნუ გიყვარს ძვირისა ზრახვა...“ 97 r—98 r.

17. „წყლულებათათჳს ქრისტეთა.—ოღესცა წმიდა ელისაბედ საკვირველთმოქმედი ევედრებოდა უფალსა იესო ქრისტესა გამოცხადებად მისდა სატანჯველი მისი, მაშინ გამოეცხადა მას და რქუა...“ 98 v—10 r.

1246

მარგალიტი [1754 წ.]

II, 225 ფ.; 15×10; ქაღალდი: ბის ყდა, ოქრო-ვარაყით ტკეიფრული ტყავით შემოსილი; სწორი ნუსხური (სათაურები სინგურით); 1754 წ. (103 r, 113 v, 189 r, 221 r); გადაწერი: ნიკოლაზ, სოფლის დეკანოზი, გაბრიელ დეკანოზის შვილი (103 r, 113 v, 189 r, 221 r); ადგილი მოსკოვი (103 r, 105 r, 189 r); თავკაშტულობა: 1 r, 9 r, 114 r 165 r, 190 r; 204, დაუწერელია 1—II, 7 v 8 r-v, 103 v, 105 v, 164 v, 223 r, 224—225 v.

„სწავლანი, გამოკრებულნი, სულიერნი დიდთა წმიდათაგან მარგალიტისა დაბდებისაგან ღთისა.—დასაბამად შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა...“ 1 r—221 r.

შენიშვნა: 1. კრებული დაახლოებით იმავე შინაარსისა არის, როგორისაც H 377 ხელნაწ. (იხ. აღწერ. I. 377)

2. „მარგალიტის“ ამ ნუსხაში გვაქვს შემდეგი ავტორების თხზულებათაგან „გამოკრებულნი სწავლანი“ და სხვ. თხზულებანი:

ა. მაქსიმე აღმსარებელის: „სწავლანი“ (18 v—21 r) და თალასესათჳს კითხვა-მიგებათაგან. 114 r—119 r.

ბ. იოანე ოქროპირის „სწავლათაგან:“ „ფიცისათჳს“, „მოწყალებისათჳს“, „ღვთის დიდებისათჳს“, „საღთოჲსა სიტყჳსათჳს“ და სხვ. 21 v—27 v. 28 r—32 r.

გ. ეფრემ ასურის თქმულთაგან. 27 v.

დ. გრიგოლი ნოსელის თქმულთაგან. 32 r-v.

ე. „წმ. ბასილისი. მღდელთა მიმართ. თარგმნილი არსენისი. 34 v—35 v.

ვ. „სახის—მეტყუელებით სიტყჳსგება... ბასილისი და გრიგოლისა.“ 54 r—67 r.

ზ. „კითხვა-მიგება გრიგოლი ღის-მეტყუელისა ანგელოზისა მიერ.“ 67 r—69 r.

თ. „კითხვა-მიგებანი დიდისა ბასილისა და გრიგოლი ღთის მეტყუელისანი.“ 129 r—132 r.

თ. „ბასილი მთავარ-ეპისკოპოსისა კესარია-კაბადუკიისა. მოთხრობა საიდუმლოებითი.“ 165 r—175 r.

ი. „ათანასე ალექსანდრელისა თქმული (კითხვა-მიგება)“. 69 r—83 r.

„ „ კითხვა-მიგებანი... [ბ]არსანუფი და იოანესი.“ 119 r—126 v.

„ „ აღსარება მართლისა სარწმუნოებისა.“ 132 r—144 r.

ია. „მიქაელ სჳნკელისა... მართლისა სარწმუნოებისა.“ წარმოთქმა. 144 r—148 v.

იბ. „წმ. ნილოსისა-ღრმნი სწავლითნი.“ 153 r—164 r.

იგ. „თარგმანი მამაო ჩუენოსი“ 175 v—189 r.

იდ. „ამას წიგნსა ეწოდების ხონოროფი, სიტყუა მეორედ მოსლვისათჳს. პატრელეისონ.“ 190 r—201 r.

იე. „აღდგომისათჳს მკდართასა, თქმული იოანე დამასკელისა.“ 201 v—202 v.

ივ. „გოდება იაკობ მონაზონისა.“ 202 v—203 v.

იზ. „სიტყჳს მიგება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიერ, სომეხთა მოძრისა.“ (შდრ. საბინინი. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი. 1882. 615—621 გვ. შდრ. აღწერ. I. 377. ლთ.) 204 r—212 v.

იჱ. „უწყება პეტროზ მკაწურელისათჳს და ალაჯართა მარხვისა.“ (შდრ. საბინინი. საქართ. სამ. გვ. 629—631. აღწერ. I 377, მა.) 212 v—215 r.

ით. „უწყება სუბალიძისა სურბ სარქისისათჳს.“ 215 r—217 v. (შდრ. საბინინი საქართ. სამ. გვ. 631—633; შდრ. აღწერ. I. 377-მბ.)

კ. „თარგმანება სომეხთა წვალებათათჳს და თუ რომლითა პირითა შეიჩუნებიან სომეხნი“ (შეადრ. საბინინი. საქართვ. სამოთხე. გვ. 633—635. შდრ. აღწერ. I. 377-მგ.) 218 r—221 r.

3. ხელნაწერის თავკაზმულობანი წაიგავს მე-18 ს. ქართული ნაბეჭდი წიგნების თავკაზმულობას (9 r, 114 r, 190 r.).

4. 2 r-v-ზე ტექსტში ჩაწერილია ქართული ფრაზები რუსული ტრანსკრიფციით.

5. გადამწერი სიონის დეკანოზი ნიკოლოზ, გაბრიელ დეკანოზის შვილი—ცნობილი იესე ოსეცძის ბიძაშვილია. მისივე ხელით გადაწერილია H 334—ლოცვანი და სხვ. მ ი ნ ა წ ე რ ი 225 ს.

ანდერძი (გადამწერის). I „1754. უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლოზ აღეწერე ქალაქსა ჳოსკოს.“ 103 ს.

II. „ჳოსკოს ვიყავ, წიგნსა ვწერდი მარგალიტსა ობოლსა მე.
ნაღვლისაგან შეიწრებულს ჴელი მივყავ ჩაბახსა მე.
როდეს მესმა ჴმა წასლისა, ტფილისს წავალ ძმასთანა მე.
და ჰი, იესო, მიძღოდე სლვად ნიკოლაოს მწერალსა მე.
მშვიდობით, თქვენ, ჳოსკოველნო, ვეღარ მოვალ თქვენთანა მე.
შენდობა ყავთ ჩემ ცოდვილის დეკანოზის მეზავრისა მე.“ (მხედრული ხელით) 105 ს.

III. „ფრიად ცოდვილი წმიდისა ამის წიგნისა მწერალი, უღირსი დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ, გაბრიელ დეკანოზის შვილი, მცირედცა შენდობაჲ ვითხოვ, უფალნო ჩემნო. 1754.“ 113 v.

IV. „ოდეს მოჰკდე დიდებით, მართლ-მსაჯულო იესუ, მაშინ შეიწყალე მრავალ ცოდვათა შინა წაგრაგნილი მწერალი ამისი. მაისს 21. 1753. ჩ[ნ]ა.“ 204 ს.

V. „ქრისტე! შეიწყალე ცოდვილი მღდელი დეკანოზი სიონისა ნიკოლოზ. 1754.“ 221 ს.

1247

მანანა [მე-18 ს.]

139 ფ.: 16.5×10.7, მოლურჯო ქაღალდი; მუყაოს ყდა; 1—23 ფფ. ზემო მარჯვენა კუთხეები მომწვარი; მხედრული (სათაურები სინგურით): მე-18 ს; ჰერონიშანი: 1798 (22 ფ. 23 ფ. 35 ფ. 134—135 ფ.); 2 v-ზე ილუსტრაცია.

„ღ[მ]თივ დიდებულთა წმიდათათჳს შესხმანი, სულისა დამატკბობელნი, რომელსა ეწოდების მანანა. შესხმა ა. ღ[მ]ივ ბრწყინუალისა და ყოვლად დიდებულისა დედოფლისა ჩ[ნ]ისა ღ[მ]ის შობელისა.—აღსდგე, უფალო, განსასუენებელად შენდა..“ 3 ს—136 ს.

შენიშვნა: 1. „მანანას“ ამ ნუსხის შედგენილობა და ტექსტი კვალდაკვალ მისდევს H 261 ხელნაწერის—გაბრიელ მცირის „მანანას“ შედგენილობასა და ტექსტს (შდრ. აღწ. I, 261).

2. ამ ხელნაწერის ხელი და H-1248 („სამასეული“) ხელნაწერის ხელი ერთი და იგივე ჩანს (—გადამწერი H 1248-სა იერომონაზი ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ო რ გ ი ა ს).

ანდერძი (გადამწერის ნიკოლოზ ვაჩნაძისა): „სრული იქმნა სულისა დამატკბობელი მანანა, დიდებად ღ[მ]ისა დედისა.“ 136 ს.

1248

„სამასეული“ [1797 წ.]

96 ფ.; 16×10,5; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით ასო-მთავრულით); 1797 წ. (96 ნ.); გადამწერი: იერომონაზონი ვასილე ნიკოლაოს (96ნ.); ადგილი: იოანე ნათლისცემლის მონასტერი (96 ნ.).

1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგორი ღ˘სმეტყუელისა.—დასაბამად და აღსასრულად ყოველთა საქმეთა შენთა ღმერთი გაქუნდინ...“ 1 r—32 r.

2. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისნი.—ლოცვა უბნობა არს ღ˘ისა მიმართ...“ 33 r—61 r.

3. „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისანი.—პირველი უენებელობა არს, რათა კაცი საქმეთაგან კოდგისათა უცხო იქმნას...“ 62 r—91 v.

4. „გრიგორის მიერ ღ˘ის-მეტყუელისა დიდისა ვასილის საფლავსა ზედა წარწერილნი სიტყუანი, რომელსა ეწოდების ეპიტაფია: ქება, ქრისტეს მოყუარეო და მსახურო და მნეო მისო ერთგულო, ვასილი...“ 92 r—95 v.

ანდერძი (გადამწერისა): „აღმწერი საღთო ესა ამის წიგნისა (რომელ არს სამასეული) ყოველად უღირსი იერემონახი ვასილე ნიკოლაოს მშილველთა ამისთა და აღმოჩინთველთა ცოტაჰისათჳს წენდობის მოკუნე და ლოცვით მოხსენების მეედრი. აღიწერა მონასტერსა იოანე ნათლისცემლისასა, წელსა ჩჟჵზ. ნოემბერს იდ.“ 96 r.

1249

ალექსანდრიანი [მე-19 ს.]

68 ფ.; 22×17.3; ქაღალდი; ყუყო (დახიანებული, თავ-ბოლო ნაკლული, 67—68 ფფ. ჰოცილებული, 68 ფ.—მცირე ნაშთს წარმოადგენს); მხედრული; მე-19 ს.

„[ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა]... ნეკთანაფ ეგვიპტის მეფის ფარულად განსუენება პალატისა თჳისისა.—ხოლო ცისკარსა მეგვიპტენი გავიდნენ სამეფოსა მისსა სახლს, შეუდგნენ და სამეფო პალატსა ვერა ჰპოვეს თჳისი მეფე ნეკთანაფ...“ 1 r—68 v.

წ უ დ ე ბ ა: „დედოფლისა რასკანისი [!], მეუღლისა... დეოფალი ალექსანდრესი... ირითია და ალიმპიადე . . . . . ა თჳისისა და . . . . . ისა რასკანა...“

შენიშვნა: 1. ალექსანდრიანის ეს ტექსტი „ნეკთანაფ ეგვიპტის მეფის ფარულად განსუენებიდან“ ალექსანდრე მაკედონელის მოწამებით მოკვლის განზრახვამდე სრული ჩანს. ბოლოში 66 და 67 ფ. შუა ტექსტს აკლია.

2. 67—68 ფ. ალექსანდრეს დატირებისა და „რასკანა“ დედოფალის [სიკვდილის] ამბავის ფრაგმენტს წარმოადგენს.

3. „ალექსანდრიანის“ ეს ტექსტი არჩილისეულ რედაქციას მისდევს (შდრ. ალ. ბარამიძე. ქართული ალექსანდრიანი. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. IX. ნ. 1935—1936 (1). ტფ. 1936. გვ. 50)

1250

კრებული [მე-19 ს.]

37 ფ; 26.5×21.5; ქაღალდი; მუქაოს ყდა; ფფ. დაწლილ-დაფურცვლილი (1 ფ. მოცილებული, 2—7 ამოვარდნილი); მხედრული (სხვადასხვა); მე-19 ს. 7v, 12 v, 33v, 34 r—36 v. 37 v — დაუწერელია. შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1916 წ.

1. ორბელიანი, გრიგოლ. „იარალისადმი.
—ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს...“ 1 r—2 r.

შენიშვნა: 1. სათაურის ზემოთ, მარჯვენა მხარეს, ზემო არშიაზე, ტექსტის ხელით: „1832 წელსა. ნოეგოროდის პოსელენიით“.

2 ტექსტისავე ხელით (1 v. ქვემო არშიაზე, 2 r. ქვემო არშიაზე და 2 v-ზე—) დაწერილ სქოლიოებში—განმარტება ტექსტის ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმისა [სიტყვა დღესასწაულისათვის: „თელეთობას ანუ სხვას დღესასწაულსა.“ (1 v); თასსა ნიშნად დგმელსა „ყაბახზე იდვა ორი მაღალი ქვა, თ.ესა და ბოლოს, მათზედ დაჰსდგმიდენ ნიშნად ვერცხლის თასსა და ეყოდნენ გაჭენებულნი ცხენდაცხენ თოფსა, ანუ ჯირითსა.“ 2 r. ტექსტში ნაშთარი ნაცვალსახელის „იგი“-ს გასასმარტებელად: „მეფე ირაკლი.“ (2 r.) სიტყვა „უგარია“ განსამარტებლად იქვე, სტრიქონის გასწვრივ. ტექსტის ხელით: „ეგრის სუეი, ანუ ნაშთირისა;“ ამავე ადგილისათვის სქოლიოში: „აშის. მიწყოის დროსა ძალიან ავად ვიყავ—“მოწმობს რომ ამ ხელნაწერის დიდი ნაწილი გრ. ორბელიანის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს.

2. ორბელიანი, გრიგოლ. „ღრ: ოპპ...—
შეჰსტრფი საღამოს,
ტკბილ, სულნელ-მყუდროს...“ 3 r—4 r.

შენიშვნა: ტექსტის თავში, 3 r. ზემო არშიაზე, ტექსტის ხელით: „ 7-ს მაისს 1840. გორს.“

3. ორბელიანი, გრიგოლ. „პუშკინიდამ თარგმნილი... Дар напрасный...
—სიცოცხლეე, ფუჭო...“ 4 v—5 r.

შენიშვნა: სათაურის „Дар напрасный“-ს შემდეგ: „1847 წელსა. თემირხანშურა.“

4. ორბელიანი გრიგოლ. „საღამო გამოსალმებისა.—მზე ჩაესვენა. მაგრამა მის შუქი ჯერაც კაკაჯზსა თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა...“ 5 v—6 r.

შენიშვნა: ლექსის სათაურის ქვერდით, ზემო არშიაზე, ტექსტის ხელ თ: „1846. მაისის 1-ს, ჯუნგუთაი.“

5. ორბელიანი, გრიგოლ. „მოგონება...
—აჰა. ადგილი! აჰა, ის არე...“ 6 v—7 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: სათაურის ზემოთ, მარჯვნივ, ზემო არშიაზე: „1851 წელსა. 10 მარტსა. თბილისი.“

6. [ორბელიანი, გრიგოლ. სადღეგრძელო. ფრაგმენტი. თავნაკლული.].

—„... ფრანგი, ინგლიზი წინა მოუძღვის
ასატირებლად,
ასაობრებლად...“ 8 rv.

შენიშვნა: 1. „სადღეგრძელოს“ ამ ვარიანტის ფრაგმენტის ტექსტის ბოლოს, ტექსტის ხელით: „თ . . . . . ბ . . . . ო . . —“ (—თავადი გრიგოლ ორბელიანი—).

2. „სადღეგრძელოს“ ფრაგმენტის ტექსტი დაწერილია სხვა მელნით.

7. „თავისუფლება.—
მე ვაქებ მხნესა, სულითა მამაცს,
რაღა ბევრი ვსთქუ, აი, ესრეთ კაცს...“

შენიშვნა: 1. ლექსის ტექსტის ბოლოს ინიციალები: „რ. ერ“ [რევაზ ერისთავი?]

2. ეს ლექსი სხვა ხელით არის დაწერილი.

8. — „ერთს მწირსა სოფლად
ნაქცევსა კომკუნედ
იყდა ბუ ერთი დაბერებული...“ 10 r—12 r.

9. „სასოწარკვეთილება ლომარტინისა [!]. კაცი. ლორდ ბაირონისა.— ნამდვილი სახელი შენი, რომელიცა ქუყანასა ამას ჯერეთ არ უცნენი, საიდუმლო ნიქო, მომაკუდაო, ანგელოზო ანუ მაცთურო, ბაირონო, ვინმცა რა ხარ, კეთილი ანუ საუბედურო გენია, მასიამოვნებს მე შენთა მუსიკობათა ბჰეცთა მგზავსი ხმოვანება, ვითარცა მიყვარს გრგვინვა მეხისა...“ 13 r—33 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი დაწერილია იმავე ხელითა და მელნით (ლურჯი მელანი), რომლითაც გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ფრაგმენტი (6. ს. 6).

2. H ფონდის საინვენტარო დავთარში, 1250 №-ის ქვეშ, ე. თაყაიშვილის ხელით: „ლექსები გრიგოლ ორბელიანისა და სასოწარკვეთილება ლომარტინისა. მხედრ. რვეულად, ყდაში. აქვე ლექსები რაფიელ ერისთავისა და სხვა. ივანე ელიაშვილისაგან.“

3. რაფიელ ერისთავის ნაბეჭდ ლექსებში ვერ მოიძებნა ხელნაწერში მოთავსებული ლექსების ტექსტები.

მინაწერები: 37 r.

1251

ბაგრატიონი, დავით ისტორია—ნარკვევი [1850 წ.]

20 ფ; 22×17,8; ქაღალდი; უყდო, ერთ რვეულად შეკერილი, მეტად ნაკლული; მხედრული; 1850 წ. (20 r); გადამწერი: „აზნაური იოანე საამის ძე ჩერქეზოვი“ (20 r).

„[ისტორიაჲ ანუ ნარკვევი]... მირიან მეფე იყო ხოსროიანი...“ 1 r—20 r.

შენიშვნა: 1. დავით ბატონიშვილის „ისტორიაჲ ანუ ნარკვევი“ დაბეჭდილია ტფილისის სტამბაში 1800 წ.

2. წინამდებარე ხელნაწერი ნაბეჭდი ტექსტიდან არის გადმოწერილი (იხ. ანდერძი).

მინაწერები 20 v.

13. ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. III.

ანდერძი: (ნაბეჭდი გამოცემისა): „განსრულდა. დიდება ღმერთსა. მუშაკთა წიგნისა ამის შენდობა უბრძანეთ ცთომათი [!]. მარტა ჲთ. ჩ'ცს ჟაᲣᲔ. (20 ტ).

ანდერძი (გადამწერისა): „ნარკვევდამ გარდმოწერილ არს ახნაურის იოანე საამის ძის ჩერქეზოვის მიერ. **ჩყნ** წელსა. დეკემბრის დ. 4.“ (20 ტ).

1252

კრებული [მე-19 ს.]

9 ფ; 21,8×15,5; ქაღალდი; უყდრო; მხედრული, მე-19 ს. შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1916 წ.

1. აკოფოვი, ვასილ. „საღამო.—მთებისა უკან მზე იმალება...“ 1 r—1 v.

შენიშვნა: ვ. აკოფოვის ეს თხზულება 4-ტაროფიანი ლექსია.

2. აკოფოვი, აღ. „(უძღუნი ჩემს მეგობარს).—გაცნობო, ძმაო, ანბავი ჩემი...“ 1 v—2 v.

შენიშვნა: აღ. აკოფოვის ეს ლექსი 6 სტროფისაგან შედგება.

3. აკოფოვი ვასილ. „კარებთან.—სიმდიდრისა კარებთან დიდხანს ვარაᲮუნებდი...“ 2 v.

4. აკოფოვი ვას. „სევდა. მახსომს ის ჟამი ყმარწყივლობისა...“ 3 r—3 v.

5. „ძალა გულკეთილობისა.—არაბეთის უდაბნოში განთქმული იყო ერთი ჭაკი ცხენი, ისე **რომ**, არა თუ ხალხი, მაგრამ პოეტებიც [!] შეამკობდნენ მას ლექსებში. ერთს ბედუინს, სახელად დაგერ, ისე ენატრებოდა ის ცხენი, რომ სულ იმაზე ფიქრობდა დღე და ღამ...“ 4 r—5 v.

6. „სათვალე[ე]ბი. (იგავი).—ერთმა სოფლის კაცმა შენიშნა, რომ ბერიკაცნი ყიდულობდნენ სათვალეებსა წიგნის საკითხავათ. მაშინ ისიც წავიდა ქალაქში...“ 5 v.

შენიშვნა: §§ 5 და 6-ის ტექსტს, ზემო არშიაზე, სათაურად: „პროზა“ 4 v—5 v.

7. „ქუთაისი. მოკლე ისტორიული მიმოხილვა.—ქუთაისი არს ერთი ძველთ ქალაქთაგანი კავკაზიისა. სიძველე მისი არ არის საეჭვო...“ 6 r—7 v.

შენიშვნა: ქუთაისისა და იმერეთის მოკლე ისტ. მიმოხილვა, არგონავტების დროიდან მე-19 ს. დასაწყისამდე.

8. „წმინდა ხრისტოფორე. (მოთხრობა).—ეს წმინდა იყო უწინ კერპს მსახური...“ 8 r—9 v.

1253

კრებული [1861 წ.]

I+17 ფ; 21×17; ქაღალდი; უყდრო, ბოლონაკლული; მხედრული; 1861 წ. (9 r): „დაბეჭდილიდან გადმომღებელი: ბერი ნაომ რეგანოვი“ (1 r): გადამწერი: მღვდელ-მონაზონი სტეფანე (9 r); I r-v. დაუწერელია; ილუსტრაცია: 1 v. შემოწირულია ივანე ელიაშვილისაგან 1916 წ.

1. „[რაპორტი პილატეს მიერ რომის კეისრისადმი წარდგენილი და გასამართლება პილატესი რომის კეისრის მსაჯულისაგან]: მათს დიდებულებას თჷმპყრობელს კეისარს, მეფესა რომაელთასა აღმოსავლეთის კერძოთ მთავრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და იერუსალიმისსა გამგისა პილატეს მიერ რაპორტი.—მოხსენდეს თქუენს მპყრობელობას დიდებულებას საქმე იგი საოცარი, რომელიცა იქმნა ამ ჟამად ქუეყანასა ჩ~ნსა შ~ა..." 2 v—8 v.

შენიშვნა: 1. პილატეს რაპორტისა და გასამართლების ტექსტს წინ უძღვის: ა. ებრაელთა სინედრიონის წევრების კამათი ქრისტეს გასამართლებისათვის.—ყოველი წევრის სახელის ქვეშ მიწერილია მის მიერ წარმოთქმულის ტექსტი. 1 r. ბ. „წინასიტყვაობა მთარგმნელისა" (საფიქრ²ელია **რუსული** თარგმანის წიასიტყვაობა იყოს): „...რაპორტი ესე თარგმნილ არს წიგნისაგან, ქმნილისა იაკობ უფ~ისა ძისა მიერ, დაბეჭდილ არა ~კოსტანტინოპოლსა შინა წელსა ,ჩჟი-სა. 1710-ს." (2 r.).

2. დართული აქვს: ა. „ლექსი მთარგმნელისაგან.—ცერცხლი აიღო მღუდლისაგან, თავი დაიჩრო იუდა.." (9 r). ბ. „ლექსი სხუა სიტყუაობითი.—ჰჯუარჰნ ერთმა განმაცოცხლა და მეორემ არ მაწყინა.." (9 r).

ანდერძი (გადამწერისა): „ღ~თის მადლით განსრულდა აპრილის ია-სა, წელსა ჩყჲა: —ცოდვილის მღუდელ-მონაზონის სტეფანეს მიერ". (9 r).

2. „წმინდისა და ნეტარისა მოციქულისა თავისა პაულესი, რომელმან სახედ მზისა მოჭრა და განნ[ან]თოლ[ა] რა ყოველი ქუეყანაჲ, რომელი სულისა მიერ წმინდის აღტაცებულ იქმნა სამოთხედ და აღიწია სამ ცამდე და ესმნეს სიტყუანი უთქმელნი და იხილნა საყოფელნი მართალთა და ცოდვილთანი: —იტყჳს ნეტარი პაულე, ნესტუ ბრწყინვალე ეკკლესიისა, ჳმაჲ მაღალი ქადაგი ყოველისა სოფლისა: ხოლო აღსლვასა ჩემსა სამ ცამდე, ვჰკითხე ანგელოზსა მას.." 9 r—14 r.

3. „კითხვა-მიგებაჲ იესუსი და განრღუსულისაჲ.—ოდეს შევიდა იესო იერუსალიმად, მუნ იდვა განრღუსული, რომელი წვა ცხედარსა ზედა..." 14 r—15 r.

4. „თქუენი მისივე [!] მოწყალებისა-თ~ს მდიდრის და ლაზარეს-თ~ს, გლახაკისაჲ. გვაკურთხენ მამაო.,—საკუარელნო! სამოთხესა შინა მრავალფერნი ყუავილნი არიან..." 15 r—17 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...დამარხულად გედუას იგი დღისა მის ჭირისათჳს და სადა,იგი ფრიად გეგმარებოდის, მუნ მიიღოჲ იგი აღნა..."

1254

ბეჟანიანი [1847 წ.]

10 ფ; 33,5×21; ქაღალდი: ფუდო, დაწლილი, დაუურცვლილი (1—3 ფ.) დაზიანებული; მაკრული (ნაკლული); 1847 წ. (10 v); გადამწერი: გიორგი ჩარიკოვი (10 v).

„აქა აწბაჲ ბეჟანისა და მანიჟავისა, აფარასიობის ქალისა.
——თურანს ტახტი დაიკარგა, ხორკილი ყველა სცნობდა,
დაემთყრა თავადებსა, ქაიხოსროს ყველა ჭყმობდა..." 1 r—10 v.

შენიშვნა: 1. „ბეჟანიანის" წინამდებარე ტექსტი ნაკლულია. აკლია 2 v და 3 r შუა 4204—4259 სტროფი.

2. ტექსტი მისდევს „შაჰნამის" 1934 წ. გამოცემის 4177—4372 სტროფის ტექსტს.

3. ალაგ შემჩნეულია ლაფსუსები: ა. 4178 სტროფში „ხუბარჯანია ტაბტსა ზედას..." ნაცვლად: „ხობარჯანია ტახტსა ზედა". ბ. 4355 სტროფში „ხაალ იტყვის"—ნაცვლად „როსტომ იტყვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერისა): „აჰა დასრულდა ბეჟანისა და მანიჟავის ამბავი გიორგი ჩაჩიკოვის ჭელითა და ვინც წაიკითხოთ, ჯერ დღეგრძელობა მიბრძანეთ, მერმე შენდობა. ღმერთო, მშვიდობაში მოახმარე ჩემს ნათლულს ნენეს. აღიწერა ლვინობისთვის იბ-სა დღსა, წელსა ჩყმზ-ს“.

1255

ა

კარაბადინი [მე-19 ს.]

8 ფ; 16,5×11; ქაღალდი, უყდო; ზემო ნაწილი თავისაგან მოხრული; მხედრული (თავბოლო ნაკლული); [მე-19 ს.].

„უშობინარის ნეჩეი შინდის . . . ძმარში მობაძაში, თავზედ წაუხვიეთ. თუ კაცმა ოფოფის ნაღველას ჭსონოს, მიდღეში არ მოიწამლება...“ 1 r—8 v.

წყ დ ე ბ ა: „შაკეკი თუ სჭირდეს, პურში რომ შაჭიოტა ურევია, ის დანაყეთ, ან წყლით და ან ქალი(ს) რძით, რომელსაც მხარეს სტკიოდეს...“.

ბ

ცხენის კარაბადინი [მე-19 ს.]

28 ფ; 17,7×11; ქაღალდი: უყდო, დაშლილი, 27—28 ფფ. ქვემო ნაწილი ტექსტითურთ ნოხებული; მხედრული, თავმაკლული; მე-19 ს.

„...იმ ზაჯხულ კარგმან მეჯინიბემ წყალზედ რიგიანის სიარულით ტარებას ეცადოს, რომე სიარულში ჩაავდოს და იერიშით მიბრუნ-მობრუნება ასწავლოს.. “ 1 r—28 v.

შენიშვნა: 1, დართული აქვს ზანდუკი: 1. „კარი ჯოჯის შეყრისა. 2. კარი მეორე—აჯილღი...“ 28 v.

2. ცხენის კარაბადინის ტექსტი 116 პარაგრაფისგან შედგება (იწყება § 15-ით).

1256

კრებული [1843 წ.]

II, 38 ფ; 16,5×11; ქაღალდი (ქაღალდის ყდა), მხედრული; 1843 წ. (37 r), გადამწერი: ისაკ ვარდიევი (37 r); ადგილი: „ტფილისის სასულიერო სემინარია“. (37 r), II, 14—15 ფფ. დაუწერელია.

1. [სახარების იგავთა თარგმანებანი] „იგავნი მოწოდებულთა ზედა ტაბლასა ზედა. ა, კბ მათეს თავიდგან, მეორეს მუხლიდგან ია-მდე. ვითარი მნიშვნელობა აქუს ამა იგავსა?—ახსნათამებრ წმინდათა მამათა, ამა იგავსა აქვს შემდგომი მნიშვნელობაჲ: მეფე, რომელმანცა ჰყო ქორწილი, არის ზეციერი მამა...“ 1 r—10 r.

შენიშვნა: განმარტებულია 7 იგავი: 1. „მოწოდებულთა ზედა ტაბლასა ზედა“ (მათე. თავი 22, მხ. 2—14); 2. „უმოწყალო თანამდებობაზედ“ (მათე. 18, მხ. 23—35). 3. „უძღებ შვილზედ“ (ლუკა. 15. მხ. 11—32). 4. „ათთა ქალწულთა ზედა“ (მათე. 25. მხ. 1—14). 5. „კეთილმოქმედსა სამარიტელზედ“ (ლუკა. 10. მხ. 25—37). 6. „ტალანტებზედ“ (მათე. 25. მხ. 14—30). 7. „ბოროტთა მოქმედთა ზედა ვენახისათა“ (ლუკა. 20. მხ. 9—20).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. [ხელთუქმნელი ხატის სასწაულნი].—„ოდესცა მხედართმთავარნი სპარსეთის მეფის ხოსროჲანი თვისითა მრავლითა სპითა (ანუ ჯარითა) შემოესხნენ კოსტანტინეპოლეს, მაშინ პატრიარქმან სერგიმ აღიღო ხელთა უქმნელი ხატი მაცხოვრისა..." 10 v.

შენიშვნა: სულ მოკლედ გადმოცემულია—კოსტანტინეპოლის სასწაულებრივი ხსნა სპარსთაგან და ქალაქ ბივრიტიას (ტექსტში: „ქალაქსა ვირიტისასა") სნეულთა განკურნება მაცხოვრის ხატიდან გამონადენი სისხლით.

3. „მოზღვნი უთანხმოებისა ურთიერთისა შორის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ეკლესიისათა. ა. დამატება, რომელ სული წმიდა გამოვალს მისგანაცა, ბ..." 11 r.

4. „მოციქულნი იესო ქრისტესნი იყვნენ შემდგომნი: ა. პეტრე ამან, გარდა მრავალთა სხვათა ადგილებთა, იქადაგა რომსა..." 11 r—12 r.

შენიშვნა: მოციქულნი იესო ქრისტეს მოწაფეთა მოციქულებრივი მოღვაწეობის სათვითო, მოკლე-მოკლე დახასიათება.

5. „წინასწარმეტყველებათაჲს საზოგადოდ. ესაია შვიდას ორმოცდაორ წელ წინათ მოუხსრა, რომელ მესია ოშვების ქალწულს მარიამისაგან. ზ, იდ მუხლში..." 12 v—13 v.

შენიშვნა: ჩამოთვლილი არიან წინასწარმეტყველნი, რომელთაც ქრისტეს მოელინება და მისი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები უწინასწარმეტყველებიათ.

6. „წამება და ღვაწლი წმიდათა დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი. რომელნი იწამნეს ქუჱყანასა ჩრდილოეთისასა: მეფობასა ბერძენთა ზედა ღ~თის მსახურისა ირაკლისსა, ოდეს იგი განაგებდა საბრძანებელსა თჳსსა კეთილთჰოითა მეფობისა თჳსითა, განილაშქრა სპარსთა მეფემან ხვასროო ქალაქსა მას ზედა. ღ~თივ დაცულსა წ~ისა იერუსალიმსა..." 16r—36 v.

მინაწერები: 37 v. 38 r.

ანდერძი: (გადაწერისა): „აღწერილ არს წიგნი ესე ტუილისის სასულიეროს სემინარი(ი)ს ღუთისმეტყველების კლასის მოწაფეს ისაკ ვარდიჲისა მიერ". „18$\frac{2}{13}$-43". (37 r.)

1257

კობიას შვილი ზაალ და ალადაშვილი გოგია. ანდერძი [1807 წ.]

5 ფ; 12×10; ქაღალდი (ლურჯი); ფყდო (ბრეშმის ძაფით შეკერილი); მხედრული; 1807 წ. მკათათვის 20 (4 v); ადგილი: ქალაქი პერში (4 v.).

„ჩყზ. წელსა ათას რვა(ა)ს შვიდსა, ჩვენ, ეს ოთხნი გვამნი, საქართველოს თავადნი, დავეკარგეს ჩვენის ქვეყნიდამ რუსთა. ამისთვის რომ მათი უგანათლებულესობა ჩვენის ბატონის შვილი ფარნავაზ მთიულეთს რომ მობრძანდა, იქ ამას ვახლდით და ამის გულისთვის ეს ოთხნ[ი] გვამნი დაგვკარგეს. დამდგეს მარტს უეცრივ ღამე გამოგვისტუმრეს და დამდგეს თიბათვეს ცხბირის მამულში, პერმისა ქალაქში მოგვიყვანეს და საწყალობელი ქობულოვი, მდივანი სვიმონ, სამს თიბათვეს გარდაიცვალა. იმთენს მწუხარებასა და თელეგაში გდებას ვერ გაუძლო და ეს სამნი გვამნი დავრჩით: ჩოლაყოვი, თუშმოურაიის შვილი დიმიტრი და ვახვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვი, ბაზიერთხუცის შვილი დიმიტრი და მე, არაგველი აზნაურიშვილი, მთიულეთის მოურავი კობიასშვილი ზაალ. ე(ს) სამნი ღა დავრჩით და თქვენე იფიქრეთ მდივნის სიკვდილით რა დღე გვექნებოდა ამ უცხოს ქვეყანაში ვადაკარგულთა! და მეტის წწუხარების და უსაქმობისათვის მოვიგონე ამ დაუჯდომლის გარდმოწერა და თუ მეტნაკლები ეწეროს რამე, ნუ გამიწყრებით ამისთვის. დედანიც ძველი იყო და (ა)რც შესაფერი მელანი და კალამი იშოვებოდა ჩემგან. ამისთვის რომ უცხო ქვეყნიდამ გადმოკარგული ვიყავ და (ა)მ მდივნის სვიმონის კაცს, კონდოლელს ალადაშვილს გოგიას ამ დაუჯდომლით ვასწავლე წიგნი. ამ უცხოს ქვეყანაში ჩვენცა და ესეც რომ მწუხარე იყო თავის ბატონის სიკვდილისათვის, უსაქმობისათვის მოვიგონე ამისი გარდაწერა და ვისაც ამ დაუჯდომელმა გა(ა)მოსო, სიმთელით, პედნიერებით დღეგრძელობას და ამ პყროპილობიდამ გამოხსნას და სასუფეველს მიბრძანებდეთ. აგრემც ღმერთი თქვენც სასუფეველს ცათა ღირს გყოფსთ. დამდეგს მარტს წამოვიყვანეს თფილისის ქალაქიდამ და სამს დ[!] თიბათვეს აქ, ზემოხსენებულს ციბირის მამულში, პერმის ქალაქში მოგვეყვანეს. ვინც წაიკითხო სიმ[!]. ვინც წაიკითხოთ, სიმთელით დღეგრძელობას და სასუფეველს მიბრძანებდეთ და ღმერთმა თქვენც გადღეგრძელოსთ და გაცხოვნოს. საქართველოდამ გადმოკარგულმ არაგველმა აზნაური შვილმ კობიას შვილმან, მთიულეთის მოურავმა ზაალმა გარდაისწერე ციბირის მამულში, ქალაქსა პერმისასა. წერსა ჩყჳზ. ათას რვა(ა)ს შვიდსა. მკათათვის კ, ჴქს უფე. საქართველოს აზნაურშვილი [!] არაგველი კობიას შვილი, მთიულეთის მოურავი ზაალ (ჩართულად)« 1 v—5 r.

„მე, ალადაშვილმა გოგიამ, გარდავაწერინე ეს დაუჯდომელი, წიგნის სასწავლებლად. ჩემის სწავლის ყმაი კი აღარ იყო, მაგრამ, რადღანც [!] ბატონი ჩემი აქ გარდიცვალა და მწუხარებისაგან ილაჯი არ მქონდა და ჩემის სიცოცხლის წაწლათ გამოვეკიდე ამის სწავლასა. ბატონს ჩემს გადმოვაყევ ციბირს ჩემის ნებით და იმის გულისთვის დავეკარგე. და ვინც წაიკითხოთ, შენდობას მიბრძანებდეთ“. 5 rv.

შენიშვნა: 1. ანდერძებს წინ უძღვის დაუჯდომელის (რომლის ტექსტიც აქ არ მოიპოვება) ბოლო: „ქორონიკონს ს ი თ ან იანვრის თცდა ცხრას, ჯორცთა აკრება...“ 1rv.

2. ანდერძების ტექსტის ხელი ერთი და იგივე ჩანს.

1258

ა

ლოცვები და შელოცვები [მე-19 ს.[

34 ფ; 14,5×10,5; ქაღალდი; თხელი მუყაოს კანი (ყუა—ძაფით შეკერილი); მეტად თაეისებური („აჯარული“) ხელწერილით; მე-19 ს.

„...აი ეგე ვითარუ წიმიდისაო იქანა წუთოსოსა ამასა შინა ითუხოვა უფუ-ლისაგანუ ისოსუ ქრისეთისაგანუ. მოიწოდა, თუქმი: გიგალობუ...“ 1 r—34 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...სახელითა მუხუთითა, სულისა წუმინუდისა. ლოცუვა თუვა-ლისა: „ზეცადანა ჯოვიდოდა სამი ძმანი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ხელნაწერი საყურადღებოა, როგორც დამწერლობის, აგრეთვე ტექსტის (ენობრივი) თავისებურებით.

2. საინვენტარო დავთარში ე. თაყაიშვილის ხელით, მოკლედ აწერილია: „კარაბადინი, ქობულეთში ნაპოვნი. მხედრული. რეცეპტად".

3. შელოცვებში და ლოცვებში ვედრება ხუროების, ავი თვალისა და სხვ.—საერთაშორისოდ.

წინაწერები: ყდის შიგნითა მხარეებზე.

ბ

მოკითხვის წიგნი [მე-19 ს.]

4 გვ; 33×18: ქაღალდი (2 ფ. გრძლიურ, ორად შეკეცილი) და შენახვის დროს (მუზეუმში შემოსვლამდე) ოთხად ნაკეცი; უყდო (განაკეც ადგილებზე გაცვეთილი და დაზიანებული ფანჯრით ნაწერი); აბჯრული („დედაბრული") ხელით; მე-19 ს.

„დიულეთული ბედუინისაო ბედუინისარაბუ და აზიზათუ გასახუსენებელო, ჩემო ამოსაცალო სულო და სიცოცხლეუ..,"

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ბოლო წინა (1258. ა.) ხელნაწერთან შედარებით, მეტი კუთხოვანობა ახასიათებს.

2. საყურადღებოა, რომ წერილის ტექსტი სიერთოდ მარცხნიდან მარჯვნივ დაწერილი, გვერდებზე განლაგებულია მარჯვნიდან მარცხნივ.

3. საინვენტარო დავთარში შეტანილია 1916 წ. ე. თაყაიშვილის ხელით: „მოკითხვის წიგნი გადასახლებული, ქობულეთიდანა":

4. 1258 ა. და 1259 ბ. გაზეთულია თეთრ ქაღალდში, რომელსაც ლურჯი მელნით აწერია: 1) [1258 ა.] ქობულეთში ნაპოვნი ხელნაწერი ქართული კარაბადინი. 2) მოკითხვის წიგნი 40 წლის წინად გადასახლებულ (მოჰაჯარ) ქობულეთელიდან ქობულეთში გამოგზავნილი ამ 8 წლის წინად".

1259

კრებული (ფრაგმენტი) [მე-18 ს.]

7 ფ; 16,4×12,2; ქაღალდი; ტყავი; ნესტური (სათაურები სინაურით); მე-18-ე ს.

1. „...[რო]მელი დაამკჳრებს თჳსსავე სამკჳდრებელსა [ადრე მოყურ..ჭ]. რომელი დასწეულდეს, ანდერძი ქნას. მონა მწეროტა[!] [გჳანდე?] მოიქცეს. მგზავრობაჲ არა კეთილ..." 1 ვ—3 ვ.

შენიშვნა: ტექსტში მოცემულია მთავარის დღეების მიხედვით დალაგებული წინასწარმეტყველებანი („სამთავარიო"), რომელსაც აკლია ა—ი დღის ტექსტი.

2. „ცრთ მოხილვა წრისა ღრის მშობლისა გამოცხადებაჲ სასჯელთა. გჳკურთხენ.—ეგულებოდა რაჲ წმიდაჲ ღრის მშობელსა აღსლვაჲ მთასა წჳდ, ლაღდყო და თქ..." 3 ვ—5 ვ.

3. „კჳრიაკის საკითხავი. უჭი დიდი ყოველთათჳს. დაკრძალ[ჲ] უფლისა ჩნისა იესუ ქრისტესი, როველი მოიწია რომს სლეპასკოპოსოსა ზედა. გამოეცხადა ანგელოზი ნათლისა პაპასა. აღდგა პაპა და შევიდა ეკლესიასა..." 5 ვ—7 ვ.

წყდება: „ვინ მისცეს სათხოველი გლახაკსა, ანუ მშიერი გააძღოს, ანუ წყურიელსა ასუას, [ანუ] შიშველი შემოსოს, მჱ ვარ გარდამხდელი აჲა და მას საუკუნოსა. ვითარცა მას კაცსა, რომელი არა..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „...იმ[თა]ც ქვებსა დაუშენდნენ და ნებას აღარ დაყენებოდნენ...“ 155 r-v. **ზ.** ლოცვები 139 r—149 r.

ანდერძი (გადამწერისა): „წამკითხველთა[მი]. გეკედრებით, უკეთე რაამე ცდომილება ჰპოვოთ, შენდობა უბძანოთ დამწერსა, ძმანო! დამიწერია შიშით და ფიქრით ტყეთა ქმნილსა თ. მიხელ ედი[შო] ვაჩნაძესა“. 99 v.

1263

პარაკლისი [1802 წ.]

I+112 ფ; (225 გვ.); 11,6×8; ქაღალდი; ტიპოგრაფული, ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები ასომთავრული, სინგურით, ჩართულად; ტექსტის ნაწილი სინგურით); 1802 წ. (111 r); დაუწერელია: 1 r-v. 111 v.

„ღთ[ა]ე შემკობილნი პარაკლისნი ყოველთა წმიდათათჳს, მოსაზავებელნი. პარაკლისი საყდრებელი წმიდისა ღ[მრ]თისმშობელისა, ყოვლად ბრწყინვალეთა დღესასწაულთა მისთათჳს.—მ[ა]ღ[ა]ნ: „ჯუარხეულ არსი“. გუნდმან—„ამინ“, „დიდება შენდა, ღმერთო“. „მეუფეო ზეცათაო...“ 1 r—112 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს 10 პარაკლისს.

მინაწერები: 50 r. 112 v.

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ იქმნნეს სულისა განმანათლებელნი პარაკლისნი სადიდებელად ღ[მრ]თისა და ყ[ო]ვ[ე]ლ წ[მ]თა მისთა 1802. 9. 26.“ 111 r.

1264

დავით წინასწარმეტყველი. ფსალმუნი [1778 წ.]

147 ფ; 9,3×6,8; ქაღალდი; კრემისფერ ტყავგადაკრული ხის ყდა, ტიპოგრაფული, ტყავის თასმებით შეკრული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1778 წ. (147 r); გადამწერი: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი] (147 r); დამკვეთი: [ბატონიშვილი ანანაუ] (147 r); დაუწერელია: 146 v. 147 v.

„დავით წინასწარმეტყ[ვ]ლისა მიერ ქებაჲ. კანონი ა. ფსალმუნი დავითისი, ზედა წარუწერ[ი]ლი ებრაელთა.—ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულ[ა]თოთასა...“ 2 r—146 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ზელი და ანდერძის ზელი სხვადასხვა ჩანს.

2. 1 r 7 ადგილას დასმულია ბეჭედი, რომლის წარწერებში იკითხება I „გრიგოლი“, II „გიორგი“, III „გიორგი“ (სხვა ვარიანტი), IV „ბატონის შვილი მზეპათუნ“ (მხედრ.), V „გიორგი“.

მინაწერები: 147 v.

ანდერძი (გადამწერისა): „აღიწერა წმიდაჲ ესე სულთა და ჭირვეთა განმანათლებელი დავითნი კელითა ჩაჩიკაშვილის მღდლის ნიკოლოზისათა და მიერთო ბატონის ძემის შვილს ანაკანუს, ღმერთო, ორსავე ცხოვრებაში აჰპარე. რომელმანცა აღმოთქუა წმიდაჲ ესე დავითნი, მის დავით წინასწარმეტყველ მეფის მადლო, დაუკვირდე მეფობა დავითსა და ტახტი და მეუღლესა მისსა ანაკანუს დედოფლობა. აღიწერა სულდმბერს ლ. ქ[რს] უ[ო]ჱ“. 147 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1265

სძლისპირნი და ღრისმობელისანი [მე-19 ს.]

164 ფ; 8,4×5; ქაღალდი; ხაერდგადაკრული ტის ყდა; მხედრული; მე-19 ს; დაუწერელია: 152 v. 162 r. 164 v.

„სძლისპირი და ღ~რისმობელისანი: უგალობსა, ჭმად ა.—სასწაულთა იჴსნა ერი უფალმან და ზღუად მღელვარე სიტყუთ განაჭმო...“ 1 r—133 v.

შენიშვნა: ტექსტს დართული აქვს: ა. „გალობა(ნი) ყოველთა წმიდათანი, რომელნი მატყუნ რიცხუსა ყოველთა წმიდათასა, წესისაებრ ტკბაკონისა. თვეს სკდემბერსა აქუს დღე ლ. დღეთა აქუს ჭამი იბ. და ღამეთა ჭამი იბ. ჭმად ბ გ ი: „ზღუა მაწამელი“. „უგალობსი“.—„ჭამთა და წელთა ჴელმწიფებითა ღმერთ-მთავრობით მოქმედო უფალო, სამგუამთ(ა)ნებით დიდებულო, ბოლო ერთარსად თაყუანისცემულო! გვაცხოვრენ ქმნულნი შენნი, აწცა მოწყალენი დასაბამსა მოსრულისა ამის ჭამისა მაქცუნისანი. ა. ღირსი სუმიოს...“ 134 r—151 r. (მოცემულია „ყოველთა წმიდათა“ სიები, თვეთა მიხედვით—სექტემბრიდან აგვისტომდე). ბ. საგალობელნი: ჯუარის, ფერისცვალების, ღვთისმშობლის მიცვალების, ნათლისცემლის თავის-კუეთის, წმიდათა ორმეოცთა. 151 v—161 v.

1266

მთავარის მს[რ]ა...ლობა [მე-19 ს.]

42 ფ; 10,3×8,2; ქაღალდი; ცალი (I) ყდა ტყავისა; მეტად დახიანებული; ფფ. მარჯვენა მბარეზე არშიების ნაწილები შემოხრული აქვს, 23 ფურცლიდან მოყოლებული ბოლომდის ტექსტიც დახიანებულია; 35—42 ფურცლებისა მხოლოდ ცალი ნაწილი ღა არის დარჩენილი; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს.; ადგილი: სამეგრელო (42 r).

„მთოვარის მსბოლობა.—თითოეულს მთოვარესა აქუს დღე ოცდაცხრა ნახევარი, დღისა ანუ ღამისა და ჭამისაც ნახევარი და მესუთე ნაწილი საათისა. იწყების მოქცევა ესე პირველის მოქცევიდგან და აღეალს ვიდრე მეაოუთხმეტე მოქცევამდე: ა. მთოვარის მოქცევა პირველი, საფუძველი დ: ჭამი პირველი: დაცხრობა. მარტის ა...“

ბოლო: „....დასასრული მოქცევათა: ოდესცა დაასრულო ათცხრამეტნი მოქცევანი ზემორე თქმულთა წელთანი, მაშინ კუალადცა იწყე პირველის მოქცევიდგან და არაოდეს არ დასრულებულ იქმნების თქმული ესე რიცხუი“. 1 r—32 v.

შენიშვნა: 1. „მთვარის მსბოლობაში“ წვდის მთვარის დაცხრობა დაწყებულა მარტიდან თებერვლამდე.

2. ტექსტს დართული აქვს: ა. „ათორმეტთა თთვეთა საკვიმატონი დღენი“ 32 r—33 r. ბ. „ხასიათი სისხლის გამოღებისა შაშრითა თუ კოტაშითა“ 33 r—34 v. გ. „ხასმთავარიო სისხლის გამოღებისა ავისა თუ კარგისა“ 34 r—35 v. ანდერძი და მინაწერები დახიანებულია 41 r—42 v.

ანდერძი (გადაწერისა): „სრულ იქმნა... აღიწერა.. წელსა სი.. ჩაკე წელსა... [დაბადებულსა ჩაკე წელს . . . . . მოციქულთა თარეზებს] ჩანგ წე[ლს] . . . . . [ყოფილა:

ჩანგ [წელს] . . . . . ოტაც იმ წელს მომკუდარა . . . . . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

1265

სძლისპირნი და ღრსმშობელისანი [მე-19 ს.]

164 ფ; 8,4×5; ქაღალდი; ხაერდგადაკრული ხის ყდა; მხედრული; მე-19 ს; დაფწერილია: 152 v. 162 r. 164 v.

„სძლისპირი და ღრსმშობელისანი: უგალობსა, ვმაჲ ა.—სასწაულითა იჳსნა ერი უფალმან და ზღუაჲ მღელჳარე სიტყჳთ განაჴმო...“ 1 r—133 v.

შენიშვნა: ტექსტს დართული აქვს: ა. „გალობა(ნი) ყოველთა წმიდათანი, რომელნი მატყუნ რიცხუსა ყოველთა წმიდათასა, წესისაებრ ტჳპიკონისა. თვესა სექდემბერსა აქმს დღე ლ. დღეთა აქუს ჟამი იბ. და ღამეთა ჟამი იბ. ვმაჲ ბ გ ი: „ზღუაჲ მწყრალი“. „უგალობსი“.—„ჟამთა და წელთა ჴელმწიფებითა ღმრთა-მთავრობით მოქმედი უფალო, სამგჳამოვნებით დიდებული, ბოლო ერთარსად თაყუანისცემული! გვაცხოვნენ ქმნული შენი, აწცა მოწევნული დასაბამსა მოსრული ამის ჟამისა მოქცეულისა. ა. ღირსი სჳმონ...“ 134 r—151 r. (მოცემულია „ყოველთა წმიდათა“ სიტი, თვეთა მიხედვით—სექტემბრიდან აგვისტომდე). ბ. საგალობელნი: ჴუცარის, ფერისცვალების, ღვთისმშობლის მიცვალების, ნათლისმცემლის თავის-კვეთის, წმიდათა ორმოცთა. 151 v—161 v.

1266

მთავარის მს[რ]ბ...ლობა [მე-19 ს.]

42 ფ; 10,3×8,2; ქაღალდი; ცალი (I) ყდა ტყავისა; მეტად დახიანებული; ფფ. მარჯვენა მხარეზე არშიების ნაწილები შემორჩენილი აქვს, 23 ფურცლიდან მოყოლებული ბოლომდის ტექსტიც დახიანებულია; 35—42 ფურცლებისა მხოლოდ მცირე ნაწილი ღა არის დარჩენილი; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს; ადგილი: სამეგრელო (42 r).

„მთოვარის მსბოლობა.—თითოეულს მთოვარესა აქუს დღე ოცდაცხრა ნახევარი, დღისა ანუ ღამისა და ჟამისაც ნახევარი და ზეხუთე ნაწილი საათისა. იწყების მოქცევა ესე პირველის მოქცევიდგან და აღეყენე ეიდრე მეაოთხმეტ მოქცევამდე: ა. მთოვარის მოქცევა პირველი, საფუძველი დ: ჟამი პირველი: დაცხრობა. მარტის ა...“

ბოლო: „...დასასრული მოქცევათა: ოდესცა დაასრულოო აოცხრამეტნი მოქცევანი ზემორე თქმულთა წელთანი, მაშინ კუალადცა იწყე პირველის მოქცევიდგან და არაოდეს არ დასრულებულ იქმნების თქმული ესე რიცხვი“. 1 r—32 v.

შენიშვნა: 1. „მთავარის მსბოლობაშია“ შედის მთავარის დაცხრობა დაბადება მარტიდან თებერვლამდე.

2. ტექსტს დართული აქვს: ა. „ათორმეტთა თთვეთა საკვიმატონი დღენი“ 32 r—33 r. ბ. „ხასიათი სისხლის გამოღებისა შაშრითა თუ კოტაშითა“ 33 r—34 v. გ. „სათავარიო სისხლის გამოღებისა ავისა თუ კარგისა“ 34 r—35 v. ანდერძი და მინაწერები დახიანებულია 41 r—42 v.

ანდერძი (გადაწერისა): „სრულ იქმნა... აღიწერა... წელსა სჳ... ზაკ(ი) წელს... [დაბადე]ბულა ჩემგ წელ . . . . . მოუკლავთ თაფრებს]

ჩრნვ წე[ლს] . . . . . [ყოფილ:

ჩრნგ [წელს] . . . . . .

ოტიაც იმ წელს მომკუდარა . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 v. . . . . [ა]ულიათ.
. . . . . ყოფილა
. . . . . [პეფე] სოლომონ მო-
[მკვდარა] . . . . . [დ]ადიანი კაცია მომკდარა
. . . . . [დ]ადიანი გრიგორ მიი-
[ცვალა] . . . . . [დეკოფალი ნინა წარვი-
[და] . . . . . ყო იმერეთს . . . . .
. . . . . მოიყვანეს.
. . . . . დავით დადიანი დაიბადა.
42 r. ჩყიე წ[ელს] . . . . . [მიი]-
ცვალა ტრაპი[ზონს]
ჩყკ წ[ელს]
წაყვანეს რუ[სეთს]
ჩყკმ წელს
მიიცვალა
ჩყლდ წელს დ[ადიანი]
გარდაიცვალა
ჩყლთ წ[ელს]
გარდაიც[ვალა]
ჩყმბ]წელს]
მენგრელიის . . . . . "
აქეე, სხვა ხ ელით:
„ჩყნბ-სა წელსა, დეკებრის . . . . [მიიც]ვალა მეგრელიის ეპისკოპოსი ა[ნტონ?] ჭყონ-
დიდელი".

1267

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექცია Mus-ში № 570).

1268

კრებული [მე-19 ს.]

36 ფ; 22×18; ქაღალდი (უყდო რვეული); მეჭდრული: მე-19 ს; გადამწერი: ღვთისავარი ივანე (1 r, 28 v). შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

1. „თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ[ნ]ისა ი ო ა ნ ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა. გვაკურთხენ მამაო. თავი პირველი. ა.—დიდ არს, საყვარელნო, მოთმინებისა ძალი..." 2 r–v.

2. „თქმულისაგან მკვდართა აღდგომისათვის... რამეთუ ვითა ბრძოლასა შინა რომელთა ენებოს პატივისა მოღებად, ახოვნად უბძს შესლვად წყობასა მას და წყლულებათა თავსდება და შრომითა მოთმინება და სიცხისა მიერ დაწვა და სიცივისა მიერ შეიწრება. ეგრეთვე, რომელსა სურის მოღებად ცათა შინა ბრწყინვალეთა მათ გვირგვინთა და სუღეველსა მის წარუვალისა, თანაჰაძს მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა ამა საწუთოსა დათმენა..." 2 v—7 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თქმული მისვე [იოანე ოქროპირისა] სინანულისათვის და სათნოებათა მოკვეთისათვის და ვნების სივლტოლისათვის.—მოკვედით და ისმინეთ სიტყვა სინანულისა..." 7 v—13 v.

4. „მისვე წ[ა]რისა იოანე ოქროპირისა სწავლა სიყვარულისათვის.—არა რაჲ არს სათნოებათა შორის უფროს სიყუარულისა..." 14 r—17 r.

5. „თხრობა დიდებულისა სასწაულისა, რომელი იქმნა წ[ა]სა მას ჯუარღმოსლა დიდისა ეკკლესიასსა სოფია წ[ა]ს საუფლოსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა და ღ[მრ]ისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქ[რისტ]ისა და მუნ მისრულისა მისთვის პატრიკისა და ქ[ვ]ეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა. გვაკურთხენ მამაო: რ[ა]ტ არს სოფია წ[მი]და, რომლისა აღმაშენებელ თჳით თავადი ღმერთი იქმნა..." 17 r—21 r.

შენიშვნა: ტექსტის ნაწილი კითხვა-მიგების სახით არის მოცემული.

6. „სიტყუა წმიდისა იოანე ოქროპირისა დაბადებისათვის.—დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა..." 21 r—24 v.

შენიშვნა: ტექსტი კითხვა-მიგების სახით არის წარმოდგენილი.

7. „წიგნი სამოთხისა. თქმული წ[მი]დათა მამათა.—რ[ა]ტ ეკლესიისა წესაწირავთაცა, რომელნი წმიდა იყუნენ ყოველისაგან მონახჳეჭისაგან, შეიწირაჲს უფალი..." 24 v—26 r.

თავდება: „...და აწ ინებენ აღრაცხვა ჩუენი, მადიდებელთა მისთა თანა სახიერმან უფალმან, რომელი მსაჯული არს ცხოველთა და მკუდართა და მისა შეენის დიდება უკ[უ]დე ამინ".

8. „[თეიმურაზ I. ანბანთ ქებაჲ].—აღახჳენ ბაგენი ჩემნი [!], ღმერთო, სამებით ქებულო!..." 27 r—31 v.

შენიშვნა: ტექსტი ალაგ შესამჩნევ ვარიანტულ განსხვავებას გვაძლევს თეიმურაზ I თხზულებათა სრული კრებულის 1934 წ. გამოცემის ტექსტთან შედარებით. (შდრ. ნაბეჭდის გვ 149—154).

ანდრძი (ავდამწერისა): „ჲ, ძელისაგან დატკბობილი, წყლისა მწარისა მერარი,
ვინც იბილოთ, ნუ მიხრახაჲთ, კარგი ჴელი ვერ არი.
სიცრ(უ)ცით შეურეველი ნაკვეთი წითელ მელანი.
ღვთისაგარო შეიწყალე—ივანე, ამის მწერალი".
(28 v.° ჩართულია „ანბანთ ქების" სტროფებს შუა, მკრთალი მელნით).

9. „თქჳენ მაბრძენეთ შაირთ მორთმეაჲ, მისთჳს ებედავ ამის წერას..." 31 v—32 r.

შენიშვნა: 1. ლექსი ჯადამწერის ივანე ღვთისაგარის დაწერილი ჩანს.
2. მიძღვნილია ვინმე ნიკოლოზ გიორგისძისადმი 31 v.

10. „[ყოვლად წმინდის ღვთისმშობელის შესხმა. ანბანთქებითი].—აღვსილხარ, ყოვლად წმინდაო, ყოველისა მადლით უფლისა. ბაღი ხარ აყვავებული, სადგური სულის წმიდისა..." 32 v—33 v.

11. „[იესო ქრისტეს შესხმა ანბანთქებითი].
—ან; ასრეთია. ბე, წესრეთ იყო, ჲე, ჲეორდანეს, ფარ ფლობელეა,
ბან, ბეთლემს იშჳა. თან, თავადია. ონ, ოდეს იქმნა. ქან, ქრისტე ღ[მრ]თი..."
33 v—34 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „ღმერთო, სამებით ქებულო, არსებით განუყოფელო,
ყოველთა გარეშემცველო, თვით გარეშეუფუძნელო...“ 34 r—36 v.

შენიშვნა: 26 სტროფიანი ლექსი. შინაარსით სალმრთო-სასულიერო, შესაძლებელია, ეკუთვნოდეს კრებულის გადამწერის „ივანე ღვთისავარის“ კალამს, ვინაიდან უკანასკნელი სტროფი (ქვ). წარმოადგენს იმავე ანდერძს, რომელიც მოთავსებულია 1 r-ზე და ჩართულია თეიმურაზ I-ლის „ანბანთ-ქების“ სტროფებს შუა (ნ. ჯ ბოლოში მოთავსებული „ანდერძი (გადამწერისა)“. აქვე).

ანდერძი (ავტორისა): „ძელისაგან დატკბობილი წყლისა მწარისა ერრარი.
ვინც იხილოთ, ნუ მიხრახავთ, კარგი ხელი ვერ არი“ და სხვ.
(იგივე ანდერძი, რომელიც ჩართულია თეიმურაზ I-ის „ანბანთ-ქების“ სტროფებს შუა (ნ. 28 v და 1 r. თავში მოთავსებული ანდერძი გადამწერის ივანე ღვთისავარისა).

1269

კრებული [მე-19 ს.]

14 ფ; 22×18; ქაღალდი; უყდრო: მხედრული; მე-19 ს.

1. [თეიმურაზ II. სარკე თქმულთა ანუ ჴდისა და ღამის გაბაასება...] „ენება უფლისა ჩ[უ]ენისა იესო ქრისტესი.—შენც ნახე, დღეო, ჩემგანა სიტყვისა აწ დაწყებანი...“ 1 r—5 v; 12 v—14 v.

შენიშვნა: 1. ტექსტში გაკვეს თეიმურაზ II თხზ. 1939 წლის გამოცემის სტროფები: 290—315 (ჩათვლით): 360—382; 211—230.

2. ტექსტი ალაგ ნასწორებია.

2. „ანბანთ ქება მეფისა არჩილის ნათქვამი.—არ ადვილია აღკრძალვა ამობებისა ამოსა...“ 5 v—9 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი შედარებულია არჩილის „ანბანთ ქება“-სთან (თხზულებათა სრული კრებული“ 1936).

2. ბოლოში აკლია სამი სტროფი (ავტორის ანდერძი?).

3. [თეიმურაზ I] „ანბანთ ქება.—აღამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა როგორი...“ 9 r—12 r.

შენიშვნა: 1. თეიმურაზ I-ის ანბანთ ქებასთან შედარებით („თხზულებათა სრული კრებული“) ხელნაწერ ტექსტს აკლია სტროფები: „ტ“-ზე (10 v), „უ“-ზე (11 r). „ქ“-ზე (11 r), „ძ“-ზე (11 v). „ჯ“-ზე (11 v) „ჰ“-ზე (12 r).

4. „არს ბრძენ გრძნობით, დაკლის ეთერს კლა ზეუროა ცლვათნობით,
იად ჭმობით, ლალ-მინობით ნებერობით, პირკეროობით.
როს სძრაუს ტანს უქმ ფერქრობით, ღია ჭელშლით, ჩაგრავს ცნობით.
დაძრვა წელჭერ, ხედვა—ჭმობით, ჯილდოვანობს ჰაე ჩოეობით.“ 12 r.

შენიშვნა: ტექსტის გვერდით, დასწერილ. შინაწერი: „მოკლე ანბანთ ქება. სწაღლა და არა ლექსი“,

5. „მთურალი კაცი ვნახე და ესრეთ ვარქვი: ბოროტით აღუსილხარ და მისთვის ირყევი...“ 12 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს მოსწრებულ თქმათა კრებულს: მთვრალის, მდიდარის, ცოდვილის, ლაღისა და სხვ. კაცთა შეხედრის შემთხვევებში.

2. ავტორი უცნობია.

მინაწერები: 11 r. 12 r-v. 13 v. 14 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1270

ანტონ I. კატოლორიათა შეყვანილება [1769 წ.]

87 ფ; 21×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფური ყდა ხისა; მხედრული (სათაურები მთავრულით); 1767 (87 r); გადამწერი—ხაჭარია (87 r); ადგილი [თბილისი]; „არსება“—ცნების სქემა 18 v; დაუწერელია: 1 v, 3 rv, 87 v.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატოლორიათა არისტოტელითთად შეყუანილება § 1.—საჭირო ვიღრემე არს სიბრძნისმოყუარებისად მოწუფექმნილთა ცნობად, რაოდენ გუარობს შედმიწევნილებად კაცობრივი...“ 4 r—69 r.

შენიშვნა: „კატოლორიის“ ამ ნუსხის თავფურცელი (1 r). „წინასიტყუობა“ (2 r-v) „პინაკს-სიტყუობა“ (69 v—86 v) და თვით ტექსტიც ისეთივეა, როგორც H 259 (შდრ. აღწერ. I № 259).

ანდერძი (გადამწერისა): „სრულ-იქმნა 1769. 8. 10. იყავნ სადიდებელად ემმანუილისა და უბიწოდ მშობელისა მისისა. აღწუწერე ყოველად ღირსმან ხაჭარიამან (ჩართულად)“ 87 r.

1271

იოანე სინელი. კლემაკსი [1883 წ.]

292 ფ; 19×15,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით), 1883 წ. (290 v.), მთარგმნელი: ეკვთიმე თაოშვილი (2 v); გადამწერი: მონახუნი პიმენი (290 v). მფლებელ-მონახონი თეოდორეს ბრძანებით; ადგილი: ათონი (290 v). შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

„სწავლანი წ[ი]სა და ნეტარისა მამისა ჩ[ე]ნისა ი[ო]ანე სინელ მამასახლისისანი, რომელნი მიუძღ[ო]ნა მამა იოანეს, რაითელ მამასახლის(ს)ა, რ[ო]მ ითხოვა მისგან, რ[ა]თა აღუწერნეს სწავლანი მონახონთა მიმართ. პირ[ე]ლი თავი გამოსულისათ[ა]ს სოფლით.—შეწევნითა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა და მოწყალისა ღ[მ]ისა და მეუფისა ჩუ[ე]ნისათა, ვიწყოთ სიტყუად რ[ა]უ [!] კეთილ არს რ[ა] ღ[მ]ი ეყოთ დასაბამად სიტყუისა მონათა მრ[ა]თ ღ[მ]ისათა რ[ა]უ ყოველნიცე, რ[ა]ნიცა დაბადნა სახიერმან და დიდებულმან ღმრთთმან სიტყუიერნი და თვით მფლობელობითა პატივ-ჰსცა...“ 15r—290 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა. „კიბე სათნოებისა, ცად აღმყვანებელი, თქმული დანიელ მონახონისა, რაითელისა, წიგნისა ამისათ[ვ]ს სულთა (განმანათლებელისა), რ[ა]ლსა ეწოდების კლემაკი“. (2 v—3 r). ბ. ზანდუკი 3 v—4 r. გ. „ცხოვრება წ[ი]სა ნეტარისა მამისა ჩ[ე]ნისა ი[ო]ანე[ს] სინელ მამასახლისისა, მოძღვრებითა განმაქმულისა, სულთა განმანათლებელისა და ჭეშმარიტად სანატრელისა, რომელი ესე აღ(ე)წერე დანიელ მონახო(ნ)მან რაითელმან“ 4 v—11 r. დ. „ეპისტოლე[ნი]“: 1. იოანე რაითელისა იოანე სინელისადმი (11 v—12 v) და იოანე სინელისა იოანე რაითელისადმი (12 v—14 v). 2. იოანე სინელის კლემაკსი გამოქვეყნებულია 1902 წ. ქ. ფოთი. (ნ. „ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. ტ. I. თბ. 1941. № 2551).

მინაწერი: 1 r.

ანდერძი (მთარგმნელის ეკვთიმე მთაწმიდელისა): „ესე საკუარ იყავნ წ[ი]ნა, რომელნი იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ წ[ი]სა ამას წიგნსა, წმიდანო ღ[მ]ისნო! ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა თუ კლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჭსი ეწოდების! ნუ იყოფენ! არამედ იოანე არს სახელი მისი. ხოლო კლემაჭსი წოდსნა ეწოდების და არს კლემაჭსი ბერძნულითა ენითა, ვითარმედ კიბეი. ხოლო ამისთჳს ეწოდების წოდსნა ამას კიბე, რაჲ ვითა კიბე სათნოებათა შეჰმნა წოდნი ესე და მდაბალითა საქმეთთაგან იწყების თა მაღალთა მიმართ აღვალს, ვითა თჳით აღსასრულს წოდნისასა ჰპოოთ გამოსაღები კიბე სათნოებათა. ხოლო რომელსა გამოკრებული იგი მცირედ პირველ ეთარგმნა, კლემაჭსი ეთქუა მის წმიდისა და აწ, უკეთუ ვინმე წოდნისა სახელს იტყოდეს, ჰოჭენ კლემაჭსი. რომელ არს კიბე. ხოლო უკეთუ წმიდისა მის სახელს იტყოდეს-თჳნ იოანე. ვინათგან უკუე პირველს მას თარგმანსა მრავალი მდუმრიად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთ*ს მე, გლახაკმან ეფთჳმ, ბრძანებითა წ*ისა მამისა ჩემისა იოანე-სითა, ვთარგმნე ესე, ვითა თჳით მას წ*ანდა [წმიდასა?] ეთქუა ბერძულად. რამეთუ ბერძენი იყო იგი, მათესავით. აწ უკუე, რომელნიცა ამას წ*ა წოდსნა იკითხვიდეს, ლოცვა ჰყვნეთ წმიდისა ჩემის მამისა იოანესთჳს და ჩემ*ს, ცოდვილისა ეფთჳმესა და რომელნი სწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ და თაჳნი, ვითა აქა იფუნენ, ეგრეთ დასხჳნით. რ*ამეთჳ მე [ვითარცა] მიპოვნიან, ეგრეთ დამისხმან ყ*ნი წოლითა. და ამათ-ცა სიტყუათა ნუ ვინ დაავგდებთ, არამედ დასწერდით, ღ*ისათჳს, და ჩემსაცა ცოდვილ-საცა სახელს“ 2 r-v.

ანდერძი (გადამწერისა): „მე უღირსმა მონაზომმა პიმენმა, ათონს შინა იოანე ღ*თის მეტყველის სავანეთგან, იელისის. **აა** დღესა ბრძანებითა და შენდობითა მამისა ჩვენისა მღდელ-მონაზონისა თეოდორესითა. აღვწერე კლემაჭსი. დავიწყე **ჩჟჱ** წ*სა, მარტის **იე** დღეს. დავასრულე **ჩჟჳ**. წარმეთხეულნი ამ წიგნისანმ რავდენიც შეცთომა იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ შენდობას მიბრძანებდით. 1883-სა წელსა, იელისის 11 დღესა“. 290 v.

1272

სჯულის კანონი (307 თავად) [მე-19 ს.]

104 ფ; 19.6×16; ქაღალდი (ლურჯი); ყდა ხისა, ტყავგადაკრული, ტვიფრული (1 ყდა-გატეხილი); ნუსხური (სათაურები სინგურით, მოგვლენანით, ალაგ—ჩართულად); მე-19 ს. ჯვრ-ნიშანი: 1808—1809; მთარგმნელი (ბერძნულიდან): ექვთიმე მთაწმიდელი (56 v. 85 v) თავკაბ-მულობა: 1 r. შემწეობულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

1. „წესი ღ*თა განგებაჲ და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა, ას სამეოცდარვათა წ*თა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტიპოლს პალატსა, (ახალ-სა) ჰრომსა, კოსტანტინე ღ*ჲ მსახურისა (მორწმუნისა) მეფისა ზე, ძის წული-სა) ირაკლი მეფისა. იყუნეს წინა მძღვარ კრებისა ამის: აგათოს, პაპა ჰრომი-სა, და გრიგო(ლი), პატრიარხი კოსტანტინეპოლისა, და თეოფანე ანტიოქიისა და სხ*ანი იგი ღ*ცერთ-მოძღვარნი მამანი.—ამან წმიდამან მეექუსემან კრებამან ასსამეოცდარვათა წმიდათა მამათამან, რომელნი შეკრბეს კოსტანტიპოლს, სამეუფოსა პალატსა და დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ და დაწერეს ძეგლი...“ 1 r—56 v.

შენიშვნა: სათაურში შემჩნეულია შეცდომები: ა. „ახალსა ჰრომსას“ ნაცვლად სწერია: „პალატსა ჰრომსა“. ბ. სიტყვების მოკვეცილი ბოლო ასოები დაბოლოებანი.

ანდერძი (მთარგმნელისა): 1. „რომელნიცა ამ რჩულს კანონს იკითხვიდეთ, ლოც-ვასა მომიხსენებდით. გლახაკი ეფთჳმი, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულისაგან ქარ-თულად. ამინ.

2. „ლოცვა ჰყავთ მამისა გრიგოლი მთაწმიდელისჲ. რომელმან ინება აღ-წერა ამის რჩულის კანონისა, სალოცველად სულისა მათისა და სულდგმულთა ბედნიერთა მშობელთა მათთა. ქრისტემან დიდებულ ჰყავნ სულნი მათნი სასუფეველსა ცათასა. ამინ“.

56 v."გამოცემულია: იხ. А. Хаханов „Правила VI всел. Собора", Древности Восточные, т. II, вып. 3, Москва. 1903 г.

2. „კანონ[ნი]ი შეცოდებულთანი, აღწერითა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელ არხიეპისკოპოსისა, რომელსა მმარხუელ ეწოდებოდა.—უწყებულ იყავნ, ვითარმედ ესე ნეტარი იოანე მმარხუელი იყო უფროს უკანასკნელ ყოველთა მათ, რომელთა რჩულის კანონისა წესი აღწერნეს..." 53 r—85 r.

გამოცემულია: იხ. Проф. Н. Заозерский и А. Хаханов. Номоканон Иоанна Постника в его редакциях: грузинской, греческой и славянской. Москва. 1902 г.

შენიშვნა: ტექსტში სინგურით გამოყოფილია: „წმიდასა პავლეს ეპისტოლესა შინა ბერძულად სწერია: ჩუკუნებაა ჭელით დაცემასა იტყჳს" (შენიშვნა მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს).

ანდერძი (მთარგმნელისა): „ლოცვა ჰყავთ გლახაკსა ეფთჳმისათჳს, წმიდანო ღ~ნო. ამინ". 85 r.

3. „ქორწინებისა თავთათჳს. თავი **სჯა**. მატთესი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიღრემე იწოდებიან ხარისხად, რ~ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღვალნ ხარისხად და შთამოველნ, ეგრეთვე არს ნათესაობად ცხარისხად..." 85r—104r.

შენიშვნა: 1: ეს არის თარგმანი იოანე ქსიფილინოს პატუროშვილისა, შესრულებული 1785 წ. (იხ. ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I[3], 363—364).

2. ტექსტს დართული აქვს „მაგალითნი ქორწინებისანი, რომელნიცა დახსნა [!] უბრძნესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან, ესე იგი არს წიგნთა მცუსლმან, წუმინდესისა ქრისტეს დიდებისა ეკლესიისა კოსტანტინეპოლისამან, იეროდიაკონთა შორის ო~ს მ~ნეულ ქსანთინოს...". 95 v.

3. „მაგალითნი ქორწინებისანი" მოცემულია სქემების სახით, ნათესაობის აღმნიშვნელი ტექსტების მიუხედავად. 96 r—104 r.

მინაწერები: 1 r. 55 v („ეს სჯულის კანონი იტრიის სიონთა...").

1273

შედეგი მცირისა სახისა მიღებისა [მე-18 ს.]

12 ფ; 20×15,2; ქაღალდი; თხელი მუყაოს ყდა; ნოსხური, სათავურები და ტექსტის დიდი ნაწილი სინგურით; მე-18 ს. შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

„შედეგი მცირისა სახისა მიღებისა, ესე იგი არს მაზარისა, ხოლო დიდს სახეს უწოდებდნ სქემასა.—შემდგომად რეკისა, იწყებენ ძმანი ჭამნობათა და მოყ~ანებულ იქმნების აღსაკუსელი იგი ეკკლესიარისაგან..." 1 r—12 v.

1274

საგალობელნი [მე-19 ს.]

128 ფ; 16,5×10,8; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; მე-19-ს.—ჭერონწაწი [18]14 (125 ფ.). შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

„თთჳსსა სეკდენბერსა. ჲ. ტროპარი ჭმად ბ.—ყოველისა დაბადებულისა შემოქმედო, ჭამთა და წელთა თ~ისითა ხელმწიფებითა დამსხმელო! აკურთხე გუირგჳნი ამის წელიწდისა სიტკბოებითა შენითა..." 1 r—128 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: საგალობელთა კრებულში მოთავსებულია: 1. ტროპარ-კონდაკები და იბაკონი სეკვემბრის პირველიდან ავგისტოს 28-დე (შეშანიკის საგალობელნი). 1 —39 r.

2. მარხვათა საგალობელნი (იბაკო, ტროპარი, კონდაკი). 40 r—50 r.

3. ზადიკის საგალობელნი („პრწყინვალესა კვირიაკესა პასექისასა"). 50 v—56 v.

4. „ოხითა-იბაკო აღდგომისა რუა ხმათა". 57 r—62 r.

5. სძლის პირნი, დასდებელნი აღდგომისანი რუა ხმათა, სძლის პირი საკვირაძლო და სხვ. 63 r—125 r.

6. „დაცით გარეჯულისა დასდებელი..." 126 r—127 v.—აქ მოთავსებული დაცით გარეჯელის საგალობლების ნაწილი შეტანილია ა ნ ტ ო ნ ი ი-ს „წყობილსიტყვაობიდან" („თქუს ღირსისა მამისა ჩუენისა დაცით გარეჯ[ელისა"—პლ. იოსელიანის 1853 წლ. ტფილისის გ-მის §§ 543—545).

7. ექვთიმე ათონელის საგალობელი „ოჭრო ნილოსით" და „არჩილი დიდი მართლი" ნ ა კ ო ლ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს უნდა ეკუთვნოდეს (127 v—128 r—შდრ. წყობილსიტყვაობა. პლ. იოსელიანის შენიშვნები, 154. 159 გვ.).

8. საგალობლების ტექსტების ნაწილს უხის [ქართული სანოტე] ნიშნები: 11 v 15 r-v, 17 r, 44 r, 49 rv: 82 v და სხ. ტექსტის მელნით.

1275

სახარება მათეს, მარკოზისი და ლუკასი [მე-16—17 ს.]

106 ფ.; 28,7×20,5; ქაღალდი; უყდო, მეტად დაზიანებული: დაშლილი, დაფურცვლილი, დანესტიანებული, დაღაქებული, 11—36, 73—76 ფფ. კიდეებშემოჭრილი; ნაკლული; ნუსხური სათაურები და დასაწყისი ასოები სინგურით, ზოგან მწვანით; მე-16—17 ს.; გადამწერი დეკანოზი საბა (31 r, 77 r); ფერადი თავკაზმულობა 31 r, 80 r. შემოწირულია კირიონ ეპისკოპოსისაგან 1916 წ.

„(მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო) იგი ფქვილსაჲ სამსაჲ საწყაოსსა, ვიდრემდის აღფუვნა იგი ყოველად..." 1 r—106 v.

წ ყ დ ე ბ ა: „ხოლო დამთხუეცით მღდელი ვიმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი..."

შენიშვნა: 1 ტექსტი იწყება მათეს 13,33-თ. წყდება: ლუკ. 10,31.

2. მარკოზისა და ლუკას სახარების პარველი თავის წინ მოთავსებულია თვითოული ამ სახარების თავების ნუსხა (29 v—30 v, 77 r—79 v).

მინაწერი: ტექსტის ხელით, მარცხენა არშიაზე, დასწერიე (76 v): „ჭ. ვაამე, მწერალი ვიმჯნე".

ანდერძი: (გადამწერისა) 1. „წიდაო მარკოზ, შეიწყალე საბა". (31 r მარკოზის სახარების პირველი თავის ფერადი თავკაზმულობის თაღის ქვეშ, მწვანე მელნით).

2. „ღმერთო, ოთხთაო, პირო ღ[ისაო და წიდაო მარკოზ, შემიწყალე ამისი მწერალი დეკანოზი საბაჲ". (77 r, მარკოზის სახარების ტექსტის ბოლოს, II სვეტი).

1276

ორბელიანი, სულხან-საბა. ლექსიკონი [მე-19 ს.]

199 ფ.; 34×21; ქაღალდი: ტყავგადაკრული ტივიფრული ყდა ბისა, გაჩეხილი; მხედრული (სათაურები და პირველი ასო სიტყვისა სინგურით); მე-19 ს.; ჰეირინშანი 1828, 1829; 4 v, 102 v, 199 v—დაუწერელია. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„აბბი-აბმა უყავ. აბბინე-ზე შეაბნიე. აბბრუნე-ზე შეაქციე. აბგდე-ზე შეაგდე..." 5 r—195 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ტექსტის წინ და პოლოში მოთავსებულ ჩვეულებრივი დანართებს გარდა აქ გვაქვს: „წეფობა პირველითგან დასასრულამდე საქართველოსი.—მეფე პირველი ქართლისა ფარნავაზ. იმეფა წელი 65...“ 198 v—199 r.

წყდება: „მოვიდა მურვან ყრუ და მოაოჯრა ქართლისა ამერ-იმერნი და აწვმინა ქრისტესთჳს მთავარნი არგუმთისანი დავით და კოსტანტინე. ხოლო შემდგომად ამისსა გამეფდა ძმა მისი [!] არჩილ ჭაბ...“

1277

საპოლიტიკო თეატრი [1817 წ.]

244 ფ. (488 გვ.); 34×21: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული: 1817 წ. (1 r); თარგმანი არხიმანდრიტი ევდიკტესი (1 r); ადგილი: ტფილისი—ეკლესია პატროსანისა ჯუარისა (1 r); დაუწერელია: 1 v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„საპოლიტიკო თეატრი ანუ საყოფაქცეო სახილველობა, რომელსა შინა შეკრებულ არიან უალრესნი განზრახუანი, თუ რაჲ უხმს ქმნად და რაჲსაგან ლტოლვად სათანადო არს მთავარი. თავი ა. ეითარმედ თანა ახს მთავარსა, რათა განატაროს ცხოვრებაჲ თჳსი პატიოსნებით, რამეთუ მას შეუდგებიან ჴელის-ქუშეფნი თჳსნი. ეითარცა აჩრდილი გუშასა.—თუმცა თჳთოეული კაცი თანამდებ-არს, რათა გარე შეიცვიდეს სათნოებასა, ეითარცა ბუნებით სასურუელსა, და ბრწყინვიდეს წინაშე კაცთა კეთილ სახილველობითა თჳსითა, გარნა ესე პირველ თქმითა უმეტეს საძიებელ არს მისგან...“ 6 r—244 v.

შენიშვნა: ტექსტის წინ უძღვის: ა—თავფურცელი: „საპოლიტიკო ტეატრი (ესე იგი) საყოფაქცეო სახილველობა. თარგმნილი ლათინურისაგან ეპლინურსა ენასა ზედა, უმაღლესისა და ყოველად ბრძნისა უწყრთველჰაიისა მთავრისა ნიკოლაოზ მაკროკოდატოვისაგან, რომელიცა მიეძღუანა ძესა მისსა, ღ-თის მსახურსა და ყოველად ბრძენსა უმაღლესსა მთავარსა უნგროვლახეთისასა უფალს უფალსა კოსტანტინე ნიკოლაოზის ძსა მავროკოდრატოვსა. შრომითა და გულსმოდგინებითა სერაფიმ პისიდიელის არხიმანდრიტისაგან. ხოლო ქართულსა ენასა ზედა გარდმოდებულ-იქმნა ტფილისს იერუსალიმის მონასტერსა შინა, ეკლესიასა პატოსანისა ჯუარისასა, არხიმანდრიტისა ევდევდიტესაგან, წელსა 1817. ჩაზ“. 1 r. ბ—მიმართვა იერემიანი სერაფიმ პისიდიელისა უნგროვლახიის მთავრისადმი. (2 r—3 r); გ—მიმართვა ამავე იერ. სერაფიმ პისიდიელისა „კითხუის მოყუარეთადმი“ (3 v—4 v): დ—„პინაქსი“... (4 v—5 v) ე—დართული აქვს: პონტოელი პილატეს [განმარტება] 244 rv.

1278

ყარამანიანი. V—VII კარი [1846 წ.]

193 ფ.; 34×20; ქაღალდი: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (დაშლილი, დალაქებული); მხედრული; 1846 წ. (195 r); დაუწერელია: 5 v, 17 v, 27 v, 48 v, 60 v, 64 v, 79 v, 104 v, 107 v, 114 v, 128 v; ილუსტრაციები: 5 r, 17 r, 28 r, 49 r, 58 r, 61 r, 65 r, 68 r, 70 r, 71 r, 81 r, 83 v, 88 r, 89 r, 92 r, 106 r, 109 r, 116 r, 127 r, 130 r, 141 r, 194 v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ქ. აჲა უშანგის და რაიხაზამანის ანბავი მოიხსენიეთ.—ამ ჟამად, ოდეს ქეთან შაჰი ჴელითა დაიმორჩილა, იმის უფროსს ძმას, რაიმანს მოხსენდა, რომ ერთანდამ ერთი ჴელმწიფე მოსულა, სიჴელად უშანგ ჰქვიანო...“ 2 r—161 v.

წყდება: „რა ამა საუბარსა იყუნენ, ნახეს რომე ის შავი ღრუბელიც მოახლოუდა და ერთსა ალაგსა ჩამოხდა. ქეჩუმგმა [!] და გულიჯან აჲა დაუტეოთ [!] და იმ ფერისა ანბავი მოიხსენეთ, რომელიც მათ დაიჭირეს და წაიყვანეს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ბელნაწერის ტექსტი სათაურების დაყოფითა და სხვა რედაქციის დაცვით განსხვავდება ლეხარევისა და კობალაძის თბილისის 1877—78 წწ. გამოცემის ტექსტისაგან.

2. წყდება VII კარის 569 გვერდზე (შდრ. ბელნაწერის ბოლო 1878 წ. გამოცემის VII კარის, 569 გვ. ტექსტს).

3. ბელნაწერის 162 v—163 r-ზე რაღაცა პიესის პირველი მოქმედების **დასაწყისი:** „მოქმედება პირველი. მოქმედება ესე ქალაქსა ტიფლისა [!] შინა, სალაბო მეიდანზედ, ერთსა დიდს სახლშია. შემოსულა პირველი...“ 163 r.

მინაწერები: 1 ყდის შიგნით, ყდის 1 v-ზე („ყართამანიანის“ ნაწყვეტი ლექსად); 2 r (ე. თაყაიშვილისა: „შევიძინე ბუკინისტისაგან ხუთშეტ მანეთათ.“); 162 r, 191 v, 192 v, 194 v, 195 r.

„მოდი, ჩემო კალამო, დრო არს მოგესალამო და შენით შევიმხადო წყლული გულის მალამო. [აკაკის]“. „1855 იოანე შათიროვი“. 147 r.

1279

რუსთველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი [მე-19 ს.]

I, 88 ფ.; 34×20,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ყდა ბისი (გატხსილი, მოცილებული; ფფ დალაქებული, კიდეებშემოხეული: I ფ. დარჩენილია პატარა ნაფლეთის სახით. 5, 69, 70, 71, 84—88); თავბოლონაკლული; მხედრული; (სათაურები სინგურით); მე-19 ს. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„... მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი...“ 1 r—88 v.

წ უ დ ე ბ ა „როსტევანისთვის წატანა [!] ძღვნად ტურფები ჯუბაჩები. კელავ ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჯამები [!]“.

შენიშვნა: 1. ბელნაწერის ტექსტი ვახტანგისეული „ვ. ტ.“-ს ტექსტს მისდევს.

2. აკლია: თავში—სტროფები ა-ნა (1—51), ბოლოში—ფჭ-ჭით (587—629), შეჩის (აბე) (986—1018 ე); ჩაფრ (ჯ)—ჩუჯო (1528—1589 გე). (შდრ. ვახტანგისეული გამოცემის ა. შანიძის მიერ აღდგენილი „ვეფხის-ტყაოსანს“. თბ. 1937)

1280

რუსთველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი [მე-19 ს.]

109 ფ.; 33×20; ქაღალდი (ლურჯა); მუყაოს ყდა; სრული; მხედრული; მე-19 ს.—ჭვირნიშანი: 1822 (24 ფ.). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„(ამა) ამბისა დასაწყისი პირველი ამო და ამო სასმენელად შენიერი სწავლისათჳს, რომელნიცა უხმობენ ტარიელსა და ნესტანდარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით.

—რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“ 1 r—109 r.

წყდება: „... და ტარიელ, მისსა რუსთველსა, მიისჳს ცრემლ-შეუშრომელსა“.

შენიშვნა: 1. ტექსტი მისდევს ვახტანგისეულ გამოცემას, უმნიშვნელო შეცდომებით.

2. „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის ბოლოში, მთელი უკანასკნელი გვერდი უჭირავს ლექსს: „ოუწმა, ფშავთა და სვსუოთაგან ჯლეჳან სამარეოსა და ღ-ისადმი განსუენებულისა საქართუოჲლოს მეფის ირაკლის მეორისა, თქმული მათებრ ლექსად ნადვირნი სოვეტნიკისა და კავალერისა [გოდერძი] ფ ი რ ა ლ ი ა ნ ა ნ.—

აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმინ გმანია, ...“ 109 v.

3. 1 v-ზე მიწერილია ვეფხის ტყაოსნის სტროფების ნაწყვეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1281

სამკურნალო მცენარეებისა და წამლების ლექსიკონი [მე-19 ს.]

71 ფ.; 34,5×22,6; ქაღალდი; უყდო, დაშლილი, დაზიანებული: დახეული და დალაქებული, განსაკუთრებით: 49,53 ფ.; მე-19 ს.; დაუწერელია: 12 r, 13 r, 14 r, 16 v, 21 v, 25 v, 27 r, 33 r, 42 v. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„მოკლეთა ლექსიკონი ამაე კარაბადინის. თქმული არის დიდი მცოდინარე მკურნალისაგანა. ჯუღელი ბატონი იოვანი ქალანთაროვისაგანა. დაიბეჭდა ყოველიად უფალს ქათალიკოსი ქათალიკოზის ბრძანებითა. წელსა 1793, აპრილისა 6 დღესა. ითარგმნა სომხურათა. ქართულათა და მხოლოთა პირველათ დაწყობ[ილი] წამლები[ს] სახელი ლათინურათა და ზოგი პარსულათა, ზოგი თათრულათა და სომხურათა არს.—აბსინთუმა არსა წამალი ბალახის, რომელი მდაბურათა ეტყვიან აბზინტუმ. ესა არს დიდი მწარე მარგოზელი დუნე სტომაწის, ციებისათენ და იზმორობის სხვადასხვა წამლებში...“ 1 r—71 v.

შენიშვნა: დართული აქვს ლათინურად ნაწერი რეცეპტები (53 r, 64 rv. 65, 66 67, 68, 69, 70, 71 ფ.:).

2. ტექსტი მრავალ ადგილას წაშლილია (შავი მელნით, ჯვარედინად გადახაზული).

1282

ლექსთა კრებული [მე-19 ს.]

129 ფ.; 32×19; ქაღალდი: ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); [მე-19 ს.] გვირნიშნი 1828 (61 ფ. და სხვ.); დაუწერელია: 1 r—21 v, 47 v. 54 r—v, 56 v, 60 v, 63 v, 68 v 116 v—128 v. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. ტულოვეი იოსებ. „უფალი ზურაბ მელიქოვის შესხმა ლექსითა.— რაზედ მტანჯავს მელიქოვი ზურაბა!..“ 22 r—23 v.

2. ტულოვეი იოსებ. „მოწყალეო ჭელმწიფეე, თქვენო ბრწყინვალებაე! ვიცით, მწყალობთ, მისთჳს ესე კადნიერათ გაგბედეთ უმდაბლესად ლექსით თხოენა.

—ვდგიარ ამ წუთ-სოფელშია, დიდად ეწუხვარ დღე და ღამე...“ 24 r—25 r.

შენიშვნა: სინგურით ნაწერი სათაურის (მოწოდების) ბოლოს, მკრთალი მელნით მიწერილია: „მოვრაი (იანვარ)თან“ (24 r).

3. „ბესარიონის ჴმაზე.

შენიშვნა: ამ ტექსტის ქვემოთ ჩართულია ახალი აბზაცით, სინგურით ნაწერი ასოთი დაწყებული ტექსტი: „განვედე, ჰოი, ირაკლი მეფეო, პანკრატითო...“ 300 r.—ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ე. თაყაიშვილი „სასტორიო მასალანი“ § 67. „ძვ. საქართ.“ ტ. II. ტფ. 1913. გვ. 45).

84. „მსაჯულნი ისრაჱლთანი. ი᷄.“ „მეფენი იუდანი იჱრუსალიმს.—მოხუცებულთა ლ᷄ წელ. ქუსარსა თომ—მეფე ასურეთისა ᲔᲑ წელ...“ 301 r.

85. „ქ. ეპისკოპოსი, მღვდელი თუ დიაკონი შესმენაზე თუ რაოდენთა მიერ ეპისკოპოსთა განიკითხოდეს. კართაგენ[ე]. ი᷄ᲒᲑ კეალად იხილე ᲔᲑ, თ....“ 301 v—305 v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს სჯულის კანონთაგან ამონაწერებს ეპისკოპოსის უფლება-მოვალეობის შესახებ.

ანდერძი (ამგროსი ნეკრესელისა. ლექსად):

„სვეტად სულისა მსგავსებულ ვყავ ყოველთა
წიგნისა ამის ქმნა, არ საქებ რომელთა.
გარნა მაწვედა თნება სიტყვითთ ცხოველთა.
საქმარ თუ რადმე იქმნას სახსენ მშრომელთა.
ვინც ვისმენთ, ეპოოთ მუნ, სუფევის მპოვნელთა.

ვიცი, ჩვეულებრ ჩვენ მამათ მოძღუართ თქმანი:
არად ჰრაცხვენო ქართველთ ეს ვითა ვმანი;
უფროსღა ჰკიცხვენ რა გლახ ესე წართქმანი.
გარნა არ საქებ თავისა ესე ქმნანი,
უფროსღა-სურვით სამწყსოთ ქრისტესთ დამწყსანი.

ჱსთქვეს ვითა ბრძენთა დაქსვით მდებარეობით,
დიდთა მამათა კეთილ-მწყემსობრიობით;
ჱსჯიდეთო მწყემსნი ტკივილ-მოყვარეობით,
სამწყსოთა თქვენთა სწავლის-განმგებლობით.
უკეთუ არ ჱსჯა, ღ᷄ისა გეკმნას მსჯელობით.

ზესთ-მბადო, ძალმეც აღხმად ჩემთა ბაგეთა,
რა ვსწავლიდე ქრისტეს სამწყსოთ არეთა,
წერით ანაქსეთ არ ბრძნად ნაკად-ნაღვნთა,
გარნა გულ-დგენით, სურვით აღმონაცენთა.
ეც, ღმერთო, სმენა შენდა სრბით მოკარეთა“. 306 v.

86. [ამგროსი ნეკრესელი.—] ქ. დედათა შორის კურთხეულო ქალწულო!
საუკუნოსა მამისა თვით ასულო!
ყოველად წმიდისა სულისა სძლად წვეულო.
ხოლო მშობელად ძისა ღ᷄ისა რჩეულო,
მეც ოხა შენი, სჱსოდ ჩვენდა ჴმეულო“. 306v.

87. „ენება—ნათესავი უნათესავესი.—ენება სასრჯულო, ვითა ცეცხლითა იწვის შუშა და აგვეითარი. არამედ ჩვენ უენებელად დაგვიცავს...“ 307 r—308 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ფ.—308— 41.5×35 ზომისა არის.

2. 307 r-v-ზე და 308 r-ზე სქემების სახით წარმოდგენილია საჭრისტიანო მოძღვრების ზნეობრივ-ფილოსოფიური დებულებანი.

3. 308 r-ზე სქემებს დართული აქვს კრებულის შემდგენელის ამგრთსი ნეგრესელის ანდერძები: I (ლექსად):

„ამა ხედრისებრ კრებანო თან შემწენო!
ვჰს[ც]ნათ ვინ ჭნარსა სცემს: მიიღეთ სწავლა, ძმანო.
რადენ სურვილით სულსა ჩემ შორის ზანვო.
ორ ხედვითის ძლით მის ერთისად ნახვნო.
სიბრძნით აწ ესრეთ ისმინეთ ჩემთან კმანო“. 308 v.

II. „ყოველად წმიდაო სულო! შემწენე წილკნელ-მანგლელ ყოფილს ნეგრესელს ამგრთსის“. 308 v. (გალექსილი ანდერძის კვეთოთ).

88. „მეათორმეტე რუსულისა ეს სახელები: 1. ანტიოხია პისიდიისა არს საზღურისაგან პამფილიისა. 2. „აპამია •არს საზღურთართა შინა ეითინიისათა, ანტიოხიისათასა და დიდისა მიდიისათა. სამგანეე...“ [310 v. 310 r. 311 rv, 312 r-v (ეს ფურცელი შეწებილია რამდენიმე ფურცლისაგან). 313 r-v, 314 v-r.

შენიშვნა: 1. გეოგრაფიული სახელების ეს სიიბეელი რაღაც გეოგრაფიულ თხზულებასთან—„რვეულებთან“—უნდა იყოს დაკავშირებული.

2. მრავალ შემთხვევაში გეოგრაფიულ სახელს მიწერილი აქვს (იმავე ხელით): „არ ეწერა“, „არა სწერია“.

89. „ევფუდი, რომელ აღწერეს წმიდათა წინასწარმეტყუ[ლთა და მამათ-მთავართა ყოველთა: მოციქულთა, მღუდელთმოძღვართა, რათა არა მივიდნდეს მორწმუნენი კაცნი კითხვად და რასაც მისანს ქერისმყრელთა თანა უკეთუ იკითხვიდეთ, ვითაც მთავარმან მოგვეს, ეგრეთ იკითხვიდეთ, მამანო და ძმანო.—ერთსა მთავარსა დღე ყოველ იკითხე, ორსა—პირველ ჟამს იკითხე...“ 315[r—319 r.

შენიშვნა: 19 სტრიქონიანი ტექსტის კვეთოთ (315 r.) ჩამოწერილია „საკითხავად“ მოსულთა მრავალი კითხვები: „თუ მამცეს ციხე?“, „თუ მივიდე, სად მინდოდეს?“, „თუ ვიგსაობრო, ვიეთ იყოს?“, „თუ სამართლად მოვიდეს მგზავრი?“, „თუ განვაღო სავაჭრო?“ „თუ ავმაღლეც სად მინდოდეს?“, „თუ წვიდე შორად?“ და სხვ. მრავალი. ჩამოწერილია ავრეთვე პასუხები „წინასწარმეტყველებანი“: „მოგცენ ციხე“, „ძნელად აღასრულო საქმე“ და სხვ.

90. „კალანდრა“.—ორშაბათს თუ დადგეს [ახალი წელი?], ზამთარი იყოს ტფილი, ზაფხული—არე კეთილი...“ 321 r—322 v.

შენიშვნა: ტექსტში ჩართულია: „სამეცნიერო წელიწდისა, თუ ვითარნი იყვნენ ზედდადებნი“. 321 r—322 v.

91. „სამთვარო მართალი და ჭეშმარიტი.—ა. მთვარისასა დღე კეთილი: თესვა, ნერგვა, ცხოვართა რისვა, წარწყმედული იპოვოს...“ 323 r—325 v.

შენიშვნა: 1. კ (20) მთვარის წინასწარმეტყველებათა ტექსტის კვეთოთ დაწერილად დატოვებულია 4 სტრიქონი და შემდგომი 325 r.—გვერდი მთლიანად, მინაწერით მარცხენა არშიაზე, დასწერივ: „აკ აკლდა“.

2. 325 ფურცლის მარჯვენა არშიაზე მიწებებულია 34×21 ზომის ფურცელი, საგანგებოდ დახაზული ცხრილ—ცხავით, სადაც ნაჩვენებია: „მთვარეები, რომელშიაც სისხლი გამოიშვება“, „დღე კარგი მთვარეებისა“, „დღე ავი, რომელშიაც სისხლი არ გამოიშვება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 325 v-ზე, სინგურით ნაწერი სათაურით: „ქელის განწესისა სამთავარო [ხ]ალა და ჭეშმარიტი“.

92. „სიეტლო მართალი და ჭეშმარიტი.—პირველი ეტლი ეერძსა ზედა წოლილ[ა]რად უნდა [!], რომელი იშვას, იყოს ბედნიერ...“ 328 r—331 r.

შენიშვნა: დართული აქვს, თუ გინდეს ცნობა თუ რომელს ეტლსა ზედა [ხ]ალა კაცი...“ 331 r.

93. „სიტყვანი მეცნიერებისანი ფილასოფოსთა ბრძენთა გამოკრებულა. —კეთილ არს პირველად თჳსთა ცოდოთა ჩვენება კაცთათჳს...“ 331 v—333 r.

შენიშვნა: 1. „სიტყვანი მეცნიერებისანი“ ქრისტიანული მოძღვრების სხვ. ჯეელზე შედგენილი მორალური წესების კრებულს წარმოადგენს.

2. განსაკუთრებით საყურადღებოა ყრმის აღზრდის აქ მოცემული წესები—332 r—333 r.

94. „ქ. მოთხრობა შიშველ-მართალთა და ჴსენება მათი.—ედემსა შინა რომელნი შიშველ-მართალნი არიან, ადგილი იგი, ვითა მზე, აღმოვალს გეოგრაფიით მისით...“ 333 r-v.

წყ ე ბ ა: „რაოდენი აღმოსავლეთით დასავლეთამდის, ესე არს ესე სიმეცნიეროა ცისა და ქ[ყ]ანისა“.

შდრ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან II, გვ. 127—128.

95. ქ. ძვრისა და ქუხილისა, ელვისა, ცისარტყელის გამოჩენის...სეზონი დენბრის ოციდამ, ვიდრე ოქტომბერის ოცამდის თუ ელვა იყოს, სნეული დიდი იქნების...“ 334 r—335 r.

შენიშვნა: აქვე, კეგმოთ: 1. „კალენდრა, თქმული ებრა წინასწარმეტყუელსა...“ 335r-v.

2. „უკეთჳ ვისმე აცხელებდეს დაჭორნებდა“ (სამეურნეო რჩევა-დარიგება— 335 v).

3. სამეთხაო „კენჭების ყრით“ 335 v—336 r.

96. „ქ. სახელითა მღ[ა]თა, მე, კოსტანტინე მეფემან, ძემან სულკურთხეულის ბაგრატ აფხაზთა მეფისამან, ვჰოე საჭურჭლესა ქუთათის ქუთა[ისა]ს[!] მდებარესა მეფეთა, [რომელსა] შინა ეწერა სახელები მეფეთა. და დაძველებული იყო და ახლად გარდავაწერინე.—პირველი მეფე აფხაზეთისა იყო ანო. წყარე—შვილი მისი ღოზარ...“ 336 rv.

შენიშვნა: 536 rv-ზე მოთავსებული ტექსტი მთლიანად, ვრცელი შენიშვნებით, გამოქვეყნებულია (იხ. ე. თაყაიშვილი „საისტორიო მასალანი“. „ძვ. საქართველო“ II. ტფ. 1913; გვ. 46—54).

97. „ქ. დასაბამითგან ქრისტეს მოსლვამდის წელნი იყვნეს ხუთიათას და ხუთასდაოცდაექვს. ქართლი მოიქცა ნინოს ქადაგებითა...“ 336 v—337 v.

შენიშვნა: 1. 336 v—337 v-ზე მოთავსებული ტექსტი მთლიანად, ვრცელი შენიშვნებით, გამოქვეყნებულია (იხ. ე. თაყაიშვილი „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ „ძვ. საქართ.“. ტ. II. ტფ. 1913. გვ. 54—66).

2. 1. მოცეი ეს კრებული—1283—დაწერილებით, მრავალი შენიშვნით, აღწერილი აქვს პროფ. ე. თაყაიშვილს („საისტორიო მასალანი“. ძვ. საქართვ. II, ტფ. 1913. გვ. 28-66).

3. ე. თ—ს ხსენებულ გამოკვლევაში მთლიანად გამოქვეყნებულია კრებულის აღწერილობის სათანადო ადგილს ნაჩვენები საისტორიო მასალები—და აღნიშნულია, რომ ჩვენს ხელნაწერს შემოუნახავს „ქართული ტექსტი იმისი, რასაც [იერუსალიმის პატრი-

არქი] დისიათეოსი (1641—1707) უწოდებს „აფხაზეთის ისტორიას ბაგრატ მეფისა“—ამის მიხედვით ჩვენი ხელნაწერი უნიკალურ სასიტორიო ძეგლს წარმოადგენს.

4. კრებული შედგენილია ამეროსი ნეკრესელის მიერ და მასალის უდიდესი ნაწილი ამავე პირის ხელით არის გადაწერილი. **ამას მოწმობს:** ა. 308 ს-ზე მიწერილი ანდერძი, რომლის პირველი (გალექსილი) ოთხი სტრიქონის თავში იკითხება „ამეროსი“—და ქვემოთ: „ყოველად წმიდაო სულო! შემიწიე წილკნელ-მანგლელ ყოფილს ნეკრესელს ამეროსის“. ბ. ცალკე რვეულზე (210 რ.—225 ს.) ღეთისმშობლის დაუჯდომელის ანდერძში იკითხება: „ყოველად სამღ(ერთ)ოსან ნინოწმინდელ მატროპოლიტმან საბა მიბრძანა უკუწ და აღვწერეცა წიგნი მცირეი ესე თჳსად საკუთრად საკვდრებლად ყოველად უდირსმან მღდელმან, ძემან სიონის დეკანოზის გაბრიელისამან ბაქარი... ოდეს მეცა უდირსი ვინმე დავხვედი აქა [დავით-გარეჯს]! მყოფად“. სიონის დეკანოზის გაბრიელის ძე ბაქარაი იგივე ამეროსი წილკნელ-მანგლელ ყოფილი, ნეკრესელი არის. გ. ამავე ბაქარაი-ამეროსისთან მიეყეართ ტექსტში ჩართულს მოკლე შენიშვნებს: „უდაბნოში [დავით-გარეჯს]! რომ ვიყავ წელსა ქრისტესით ჩრ'ოვ ერთად შეკრებილის წიგნიდან ამოვწერე“ (36 რ). „წმიდას მონასტერს მიეცელ დავით გარეჯსჯას პარასკევს, თებერვალს ო, უკე“. (154 ს). დ. კრებულის ამე როსის მიერ შედგენის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორია არის კრებულის ტექსტის უდიდესი ნაწილის **ხელი**, რომელიც იგივეა, რაც H: 1334 ხელნაწერისა, რომელიც ბაქარაი ყოფილი ამეროსის (ნეკრესელის) ხელით არის დაწერილი. ე. ამავე ამეროსის ხელით არის გადაწერილი იოანე პეტრიწის ნათარგმნი „კავშირნი ღვთისმეტყველებისანი“, რომელიც, როგორც ტექსტისთვის წამძღვარებული ანდერძი მოწმობს, ამეროსის გადმოუწერია გერმანე ხუცეს-მონაზონის ხელით დისიათეოს ნეკრესელის ბრძანებით თელავში 1764 წ. გადაწერილი ნუსხიდან. ვ. კრებულის შემდგენელი ზოგჯერ მიუთითებს იმ წყაროს, საიდანაც მას ესა თუ ის მასალა ამოუღია. ერთი ასეთი შემთხვევა აღნუსხული გვაქვს ა-ში „ბ“ შენიშვნაში (დავით-გარეჯის „უდაბნოს ერთად შეკრებილი წიგნი“—36 რ), სხვა ადგილს მითითებული „უდაბნოს სჯული მეტოფრასი“ (39 რ.), რომელიც, შესაძლებელია, ამავე „ერთად შეკრებილ წიგნს“ გულისხმობდეს. როცა შემდგენელს წყარო გარკვეული არ აგონდება, ამბობს—„სადღაც მინახავს ნაწერი“. (39 ს) ან „ამას ლათინნი ასე იტყვიან. სადღაც მინახავს“. (40 რ.).

მინაწერები: 45 ს.

1284

წიგნი დაბადებისა (აპოკრიფული მოთხრობები) [მე-19 ს.]

237 ფ.; 20,3×16; ქაღალდი (სხვადასხვა); ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; დაზეუნია: 33, 34, 35, 51, 56, 66, 89, 90, 114, 125, 126 174; მხედრული; სხვადასხვა ხელით (სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით); [მე-19 ს.]; გადამწერი: 1. მელქუა დიაკვანი (27 რ, 33 რ, 36 ს, 40 ს, 48 რ, 69 ს, 79 ს, 84 რ, 88 ს, 89 რ, 96 რ, 108 ს, 115 რ, 124 ს, 131 ს, 179 ს, 207 ს,); 2. ისაკ ტერ ხაჩატეროვი (7 რ, 11 რ, 13 რ, 18 რ, 23 რ, 102 ს, 111 ს,); ადგილი: გორი (89 რ, 131 რ. 148 ს); გადაწერილია ავთანდილისათვის (33 რ, 54 რ, 84 რ, 108 ს, 124 ს); ილუსტრაციები: 1 რ, 4 რ, 7 რ, 11 რ, 13 რ, 27 ს, 33 ს, 37 რ, 41 რ, 48 ს, 50 რ, 54 ს, 55 რ, 58 რ, 70 რ, 80 რ, 84 ს, 89 ს, 90 რ, 96 ს, 97 რ, 102 ს, 103 რ, 108 ს, 112 რ, 115 ს, 125 ს, 132 რ, 136 ს, 141 რ, 146 რ, 149 რ, 152 ს, 171 ს, 173 ს, 174 რ, 180 ს, 186 ს, 188 ს, 190 ს, 194 ს, 195 რ, 197 რ, 208 ს, 213 რ, 230 ს. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან. 1916 წ.

„წიგნი დაბადებისა. დაბადება და ქვეყანისა თავი ა.—პირველად განაჩინა ღ'თი[!] ქვეყანა. და ქვეყანა იყო უხილავი და მოუმზადებელი და ბნელი იყო ქვეშეწელი და სული მრ'ვთისა დადიოდა წყალზედა...“ 4რ—212 ს.

შენიშვნა: 1 „დაბადების წიგნი“ ორი ნაწილისაგან შედგება: ა. ძველი აღთქმის ამბები. 4 რ.—88 ს. და ბ. ახალი აღთქმის ამბები („სახარება ოგაკიმა და ანნასი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა ყველა წმინდისა მარიამისა". თავი ი‹ზ.—მშობელნი მღთის მშობლისა ოვაკიმ და ანნა დაბერებულნი იყვნენ და შვილი არა ყავდათ...". 90 r—196 v.

2. ზოგიერთი მოთხრობის ბოლო გალექსილია (36 v, 89 r, 96 v, 125 r, 136 v, 141 r, 145 v, 152 r, 171 r, 180 r, 186 r, 188 r, 196 v, 208 r.).

3. დართული აქვს: ა. „მიცვალება დედა მღთისისა". 197 r—207 v. ბ. დღესასწაულობა ჯვართამაღლებისა". 208 v—212 v. გ. „სატანჯველი წმინდა გრიგოლისა, სომხეთის განმანათლებელისა". 213 r—220 v. დ. „სატანჯველა ათორმეტ წ'ა გრიგოლის" (ბოლო-ნაკლული). 221 r—230 r. ე. [ქადაგება სულის წმიდის გამოსახე]. წინ უძღვის 8 სტრიქონიანი ლექსი: „ბოროტი ენა გველია..." 231 r—232 v. ვ. [ნაწყვეტი მ.ხეს სახარებისა] თ. 4. მ. 18—თ. 7, მ. 21. „.... [ითვეელიდე] რა სათნეველითა ზეუსა მკას, რამეთუ იყუნეს მესთხველ და ჰქვა მათ და შემომდგეთ მე და გყენე თქუენ მეთხველე კაცთა..." 233 r—236 v. წყდება: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, შეიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა".

4. ძველი ტექსტი, დაწერილი 18—19 ს. გამართული ხელით. თავნაკლულია—ნაკლული ნაწილი შევსებულია 1842 წ. „მეორეთ გადამწერის" ისაკ ტერ-ხეიკტოროვის ხელით. 7 r. და სხვ.

მინაწერები: 1 rv. 2 rv, 3 r, 33 r, 69 v, 131 r. 151 v, 194 rv, 207 v, 212 v, 237 rv.

ანდერძები („თარგმანისა" და გადამწერისა): 1. „ღმერთო, შეუნდე ამის თარგმანს და დამწერს მელქუას სულსა. ამენ." 27 r.

2. „ღმერთო, შეუნდეე ამ წიგნის თარგმანს და პატრონს აეთანდილს სულს. ამინ დამწერს მელქუას. ამენ". 33 r.

3. „გამაშინჩელეს ყაზახებმან ნათლის შესამოსისგანა.| რაცა მჭონდა, სულ წამართვეს|, ნაშოენი ბერობისაგანა.| მოდი, მინახე ნაცემი, დაჭრილი მახეილისაგანა.| ცოცხალ-მკედარი გორსა ვგდივარ, გაბასრული ცოდესაგანა". 131 v. ანალოგიური ანდერძებია: 36 v, 40 v. 48 r, 54 r, 69 v, 84 r.

4. „.... გორეული საწყალი ბერი და მელქუა დიაკვანი". 89 r.

5. „ოომ ყმარწვილაკით გიხსნასთ თქუენ ყოვლი დიდი საცთურისაგან, ვინც ესენი ამოიკითხოთ და თქვათ თუ: „ღმერთო! შეუნდეე ამის თარგმანს და დამწერის მელქუას სულს და ღმერთო, ადღეგრძელეე ამ წიგნის პატრონი [ავთანდილა]. ამინ." 124 v.

6. ანდერძი „მეორე გადამწერის" ისაკ ტერ ხეიკტოროვის: „ქრისტეე, ღმერთო, შენ ულხინე და აცხონე ამის დამწერის დედამის სული და თითონ დამწერი ადღეგრძელე. ისაკ ტერ ხანატუროვი." 7 r. (ანალოგიური ანდერძები: 11 r, 13 r, 18 r, 23 r, 102 v, 111 v.)

1285

რუსულ-ქართული ლექსიკონი [1825 წ.]

204 ფ.; 21×16.5; ქაღალდი (ცისფერი); მუყაოს ყდა; მხედრული; 1825 წ. (204 v); გადამწერი სიონის სობოროს დიაკონი გრიგოლ ჩრელაური (204 v.); ადგილი: ქ. თბილისი (204 v). შემოწირულია კ.ქეთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„А, союз. ბოლო, ა'დ და კაეშირი. агнец — ტარიგი, კრავი. агничий— კრავისა. аламатовый—ადამანტისაგანი..." 1 r—204 v.

მინაწერები: ყდებზე და ყდის საცავფურცელზე, 204 v.

შენიშვნა: 1. ლექსიკონში მოცემულია 8000-დე რუსული სიტყვის ქართული შესატყვისი (თვითეული გვერდზე 19 სიტყვა (19×2=38×207=7722).

2. შემჩნეულია მცდარი განმარტება: „глупец ვყრუვდები..." 27 r).

ანდერძი (გადამწერის ხელის მსგავსი ხელით). „აღიწერა ლექსიკონი ესე ტფილისს ქალაქსა შინა, სიონის სობოროს დიაკონის გრიგოლ ჩრელაეულისაგან, დეკემბრის 5, წელსა 1825". 204 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1286

შვიდვეზირიანი [მე-19 ს.]

109 ფ.; 21.5×16,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, მე-19 ს.; გადამწერი: ისაკ მატიასძე წოვანოვი (109 v). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„თავი ა.—იყო და აღარ იყო ჰრომეთ ჴემწიფე. სახელი მისი მიღულიე კაისერი. იმას ჰყვანდა ერთი კარგი ძრიელი სარდალი, რომე მრავალთ ქვეყნების ამღები და ჰკეიანი. სახელათ ეწოდებოდა ფანციანე. ძალიან შეეყუარდა მუღულიე კაისერსა. ინება თავისი ქალი მისთვის მიცემა...“ 1 r—109 v.

მინაწერები: 1-ლ ყდაზე, შიგნით, 10 r.

ანდერძი: 1 „მამამეულო, ვინც წაიკითხავთ, ვინც მოისმენთ, მოჭცესთ დღე დიდი და წყალობა ღ'ვთისა. და მე ამის ამაგ დამდები და დამწერი, მე ისაკ მატიას ძე წოვანოვი“. 109 v.

2. „ესე იოთნი მასტასირი არს ნაკლულოვნებითი ლექსთა მიერ სომხურიდამ ქართულად თარგმანსა ზედან. ვინადგან არა ყოფილა სრულ ზედმიწევნილი ქართულს ენასა ზედან. მაშასადამე ვითცა ძალ(ძ)ს თარგმანდ მისაცე ახალი დაუმსხვრევია და ნაცვლად სპილე(ზ)ძისა დაუყურსებია და გარნა ამით მიტევებისცა ჴამპოთხველთა მიერ აღმწერელსა ამისსა ესე შეცდომილება წვენისა ამისსა.“ 1 ყდა v.

1287

კრებული [1863 წ.]

94 ფ.; 22×17.; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, (სხვადასხვა, სათაურები სინგურით); 1863—1864 წ. (8 v, 94 r.); ადგილი: ახალციხე (94 r). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „განსაწმედელის სულებზე მოთხრობა. პირველი მოთხრობა.— დასაწყამს მართალი მიცვალებული უღმრთოსა კაცსა და მრავალთა ამფერთა მაგალითთაგან წინ მოვიღო მხოლოდ ის, რომელსაც მოგვითხრობს თომა ქანთიფრელი...“ 1 r—8 v.

შენიშვნა: 1. „განსაწმედელის სულებზე მოთხრობა“ რიცხვით ხუთი არის.

2. ტექსტის ბოლოში: „წელსა 1864-სა მაისის 15-სა, დასრულდა მოთხრობა განსაწმედელის სულებისა“

2. [შვიდვეზირიანი] „წიგნი ისტორიისა კეისრის შვილ დეოკლეტიანესა ზედა წარმოთქმული.—ჰრომის ქალაქსა შინა იყო ერთი ჩინებული კეისარი, სახელათ მოზოლოს და ამასა ჰყავდა ერთი მხნე და ძლიერი სარდალი, გინა ნამესნიკი, სახელათ ფონციანე...“ 9 r—94 r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოში „დასრულდა წიგნი ესე ისტორისა 1863-სა აპრილის 5-სა, ახალციხეში“ 94 r.

2. „შვიდვეზირიანის“ ტექსტის ბოლოს, v-ზე—ლექსი: „მსურს გიამბო საქმე, ომი სამხედრო...“ გამოხატავს რუსეთისადმი სიმპატიას 1853 წ. თურქეთთან ომის გამო. 94 v.

1288

შემოკრებული მოთხრობა საქართველოისა [1831 წ.]

94 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1831 წ. (94 r,); ერთი ფ. (ძველი პაგინაციით: 11—12 გვ.) ამოხეულია; 1 r—v. 94 v. დაუწერელია. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა, კახთ დედოფლისა.—ოდეს ლუარსაბ მეორე, მეფე ქართლისა და მოწამე,ძე გიორგი შეათთერთმეტისა [!] ქარ-თლის მეფისა, ლტოლვილი ლიხთ-იმერეთიდამ, გარდმოიყვანა შააბაზ პირ-ველმან, სპარსთა მპყრობელმან, ოდეს შააბაზ მოვიდა თფილისს, მრავლის მხედრობითა სპარსთათა. დიდისა ძლიერებითად და ესრეთ მოტყუებული მეფე როდესაცა მრავლისა ღონისძიებითა და შუამდგომლობითა არწმუნა, რომელ არა რასამე ავნებდა მას და არცა სამეფოსა მისსა, არამედ განამტკიცებდა ყო-ველსა სამეფოსა ზედა ქართლისასა, მიიყვანა თჳსთანა და წარიყვანა სპარსე-თად, წელსა ქრისტესით 1615-სა, მაშინ საქართველოჲთ წარსული, მოვიდა მა-ზანდარანს შააბაზ...“ 2r—19 v.

2. „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძისა სიკვდილი.—ოდეს შააბაზ ყე-ნისა მიერ წარმოვლენილნი ყარჩიხან სარდარი„მოვიდა თფილისს დიდის ლაშ-კრითა, მოურავი და ზურაბ ერისთავი თან ახლდნენ...“ 20r—27 v.

3. „[თ ე მ უ რ აზ, მ ე ფ ის გ ი ო რ გ ი XII-ის ძ ე. „დიდებულისა ს’ღ საქართველოჲსა: ზემოჲსა ქართლისა, კახეთისა და სხ’თა მეფის გიორგი მეთა-ცამეტისა პირმშოსა ძესა და მემკუდრე(ე)სა საყდრისა მათისა სამეფოსასა მეფის ძეს დავითს, დავითიან ბაგრატოვანსა მამულსა შინა თჳსსა სადაც შეძ-თხვეევეს ბრძოლანი პირის-პირ მტერთა მომართ მამულისა მათისასა და ძლე-ვა-შემოსილებანი მიუღიეს სიჯაბუკისა ასაკსა შინა მყოფსა, მეორედ უწყებაჲ მათთჳს. ა]. მხედრობა თურქთა ზედა,—განხორციელებითავან ქრისტესსა წელსა 1789-სა, მკათათჳს, რომელ არს ივლისის თვე, 9-სა, ქორონიკოს მეაოოთხმე-ტისა მოქცევისასა, ესე იგი 477-სა, დღესა სამშაბათსა, ქართლსა შინა, ადგილ-სა საციცანოსა, დაბასა ქარელს მოუხდეს მხედრობანი თურქთა...“ 28r—93 v.

შენიშვნა: 1. სათაური „შემოკრებული მოთხრობა საქართველოსისა“— ხელნაწერ-ში არა გვაქვს; იგი (სათაური) გადმოღებულია მარი ბროსეს მიერ პარიზში, 1833 წ. ლიტოგრ. გამოცემულის კრებულის თავფურცელიდან.

2. 1288 ხელნაწეროის მასალა მთელი თავისი მოცულობით გამოქვეყნებულია მ. ბროსეს მიერ ლიტოგრაფიულად, პარიზში, 1833 წ. „შემოკრებული მოთხრობა სა-ქართველოსი“. ნაწილი პირველი [და მეორე]. 1833.“

3. ხელნაწერში ნაბეჭდ გამოცემაში ხელნაწერის მასალა შეტანილია ამგვარად: „მო-წმობა წმიდათა შორის ქეთევანისა...“ და „დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძისა სი-კვდილი“ (ჩვენი ხელნაწერის §§ 1 და 2. 2 r—27 v.) შესულია პირველ ნაწილში, ხოლო თემებრაზ ბატონიშვილის „აღწერილი მოთხრობა“ დავით ბატონიშვილის „ბრძოლათა“, დამატებებით (აღა-მაჰმად—ხანის სიკვდილი, მეფის ირაკლის სიკვდილი, მეფის ძის და-ვითის სიკვდილი და მისივე საფლავის ეპიტაფია) გამოქვეყნებულია „შემოკრებული მოთხრობისა“ მეორე ნაწილში.

4. „ქეთევანის „მოწმობისა“ და გიორგი სააკაძის სიკვდილის „მოთხრობათა“ ავ-ტორები ტექსტში დასახელებული არ არიან. 1833 წ. პარიზის გამოცემისათვის წამძღვა-რებული „შესავალში“ თეიმურაზი ამბობს: „...არცა ერთი სიტყვაჲ [ამ „მოთხრობათა“] მომ-ტებული არს ვინ დაკლებულ ჩემ მიერ, არამედ ყოველივე გამომიკრებიეს დიდისა შრომითა უ წ ი ნ ა რ ე ს თ ა მ ჯ ო მ ა რ ი ს ა ამის საკუნოჲსა აღწერილ-თაგან საქართველოჲსა ისტორიისათა. სხვათა და სხვათა. ყოველივე უცთომელ არს აღწერილი...“

5. ხსენებული „შესავლის“ ავტორი და მთელი ამ გამოცემის (კრებულის) რედაქ-ტორი—გამომკრებელი ჩანს მეფის ძე თეიმურაზ, რომლის ინიციალები უხის ბოლოს „შესავლის“ ტექსტს: „მ. ძ. თ.“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „მეფის ძე თეიმურაზ, ჩვენი კრებულის I ნაწილის „გამომკრები“, ამავე კრებულის II ნაწილის **ავტორი** არის: როგორც ხელნაწერ, აგრეთვე ნაბეჭდ ტექსტშიაც, ირკალი II-ს სიკვდილის აღწერის ბოლოს გკითხულობთ: „და ვიყოფოდი მეცა, თუთ აღმწერელი ამა მოთხრობათა, მეფის გ'ის ძე, თეიმურაზ, ჯერეთ სიყრმისა ასაკსა მყოფი, მუნ...“

7. ამავე თეიმურაზს უნდა ეკუთვნოდეს საყურადღებო სქოლიოები, კრებულის I და II ნაწილის ტექსტისათვის დართული.

ანდერძი: (გადმწერისა): „სრულ იქმნა წერსა ქრისტესით **ჩყლა**, ქართულს ქრონიკოს, **იდ**-სა მოქცევისასა. **ფით**, თვესა მარიამობისსა, რომელ არს აგვისტო“. 94 r.

1289

კარაბადინი. [მე-19 ს.]

90 ფ. 19,5×15;7; ქაღალდი (ცისფერი); მუქაოს ყდა, მხედრული; თავ-ბოლო ნაკლული ფფ. 6—7 შუა ამოხეულია; მე-19 ს. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ. დაუწერელია: 1—3, 17—90,

„...ვისაც ან თავი უთრთოდეს, ან ხელი, კურდღლის ტვინი შეწვი და სამს დილას აჭამე...“ 6 r—16 r.

წყდება: „კოლინჯის წამალი: სოლინჯი [!] უნდა დანაყოთ, გასცრათ, კვერცხის გულსა და ცილაში გამოსრისოთ და თაფლში ერბოკვერცხათ მოსწვათ და სჭამოს და ცოცხალს კოლინჯს დაბადებს და მორჩება ღვთითა...“.

მინაწერები: 4 ry, 5 r (საყურადღებოა მზარეულისა, „კუჭერის“, „დვორნიკისა“ და სხვ. თვიური ულუფა). 83 v. (რუსული).

1290

კრებული [მე-19 ს.]

99 ფ.; 22×17.5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი, ნაკლული (აკლია 8 და 9 ფ. შუა და სხვ.); მხედრული; სხვადასხვა ხელით; მე—19 ს; ჭეირნიშანი: 1809 (3ı—33 ფ. ფ'); დაუწერელია: 94 v, 99 rv. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან. 1916 წ.

1. „წიგნი სიბრძნე სიცრუჱისა, ნათქუამი სულხან ორბელიანისა, სიჭაბუკისა ჟამსა.—იყო ჴელმწიფე[ე] ერთი, რომლისა საქმენი არავისგან მოიგონებიან...“ 1 r—66 v.

წყდება: „ხვარბალი აღარ დ(ა)იხსნა. მოვიდა ვაჭრები და ხვარბალი მოუტანეს; თასი (!) სთხოვეს. მან შორს დაუჭირა: მე თასი ვინ მამცა! ჩვენს თემს მაგას ვთესავთ...“

შენიშვნა: 1. ტექსტის აკლია: ა. 8 და 9 ფ. შუა: „დღუა და აზნაურის“ არაკი მთლიანად და „მეფე და მსატვარის“ არაკის პირველი 7 სტრიქონი (შეადრ. 938 წ. გამოცემის 20, 21—22 გვ.). ბ. წყდება: „ცაზან შაჰ და მისი ცოლის“ არაკზე. (შდრ. 1938 წ. გამოცემის გვ. 158).

2. [თეიმურაზ I. მაჯამა]

„—... სრულ შეენებისა ყვავილი უმზეობამან დალალა...“ 67 r—v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შეიცავს თეიმურაზ I-ლის მაჯამის „ტურფა ხარ მშვენიერებით“-ის—9, 10, 11, 12, 13 სტროფებს. (შდრ. 1934 წ. გამოცემის გვ. 115—116).

2. მე-9 სტროფს პირველი სტრიქონი აკლია.

3. [თეიმურაზ I. მაჯამა. გაბაასება ღვინისა და ბაგისა].

—„ღვინო ეტყოდა ბაგესა: „სიტყვითა დაგებასო და...“ 67 v—68 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ სრულია, ოდნავი ვარიანტული განსხვავებით ტექსტში (შდრ. 1934 წ. გამოცემის, გვ. 117. 1—7 სტროფი).

4. [თეიმურაზ I. მაჯამა. მზესა შესწრფა მისგან შუქი].

—„შავმან მშვილდმან ისარი მკრა, გულსა ლახვრად დანასობა...“ 68 r—v.

შენიშვნა: ხელნაწერში გვაქვს „მზესა შესწრფა მისგან შუქი“ მაჯამის 3—7 სტროფი (შდრ. 1934 წ. გამოც. 118 გვ.).

5, [თეიმურაზ I. მაჯამა. „ბოლოსიტყვაობა“].—„არ მამეწყინა ლაყაფი ეს უსარგებლო სულისა...“ 68 v—69 r.

6. „აქა ჴელმწიფეს თ ე ი მ ურ აზ ს [!) გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქვა და ბაღის სასახლეზედ დაეწერა.

—ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განავადიდოთო-..“ 69 r.

შენიშვნა: ტექსტში გვაქვს თეიმურაზ პირველის ლექსის „გრემის სასახლეზე“ მხოლოდ I სტროფი.

7. [თეიმურაზ II. თიმსარიანი] „კარი პირველი. დასაწყისი ინდოთა ჴელმწიფისა ამბავი მეფის ბატონის თეიმურაზისაგ(ან) სპარსულთა წიგნისაგან ქართულად გარდმოთქმული.—იყო ერთი ჴელმწიფე ინდოეთის სამეფოსა. ნათესავად ჩინგთა, ძველთა გვართა ჴელმწიფეთა შვილი...“ 69v—94 r.

წყდება: „დიაცმან ეკრე უთხრა: ნუ გე შინიან! აღეგ, შეხლტი, ბარგთა შესაწყობელთა ჩუკუნათა შეწევი, ქვეშაგებელთა შიგან დაიმალე. მე იმას გავისტუმრებ და მერმე შენ მშვიდობით გაგგზავნი. მ...“

შენიშვნა: ტექსტი წყდება მეექვსე თიმსარზე. (შდრ. თეიმურაზ II. 1939 წ. გამოცემა. გვ. 164).

8. [რუსთაველი შოთა. ვეფხის-ტყაოსანი (ორი სტროფი)].

—„სისხლმან და ცრემლმან გარეეთ ღაწვი ჭნის ღარად და ღარად...“ 95 r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს „ვეფხის ტყაოსნის“ 714 და 715 სტროფს, (შდრ. 1937 წლის საიუბილეო გამოცემა).

9. „მოთხრობა პირველი ცოდვილისა და მართლისა სიკვდილისათვის.—იყო ვინმე ბერი წმინდა და ღ~თ შემოსილი, სრულსა სიზომსა მიწევნილი...“ 95 r—96 r.

10. „თხრობა მეშველთა შემოსისათვის.—ბერსა ვისმე აქ(ე)ნდა ორი სამოსელი: ერთი ახალი და ერთი ძველი. და მივიდა მისა გლახაკი ვინმე...“ 96 r.

11. „თხრობა გლახაკთ მიმცემის მრავალწილად მიღებისათვინ.—იყო ვინმე დედაკაცი ქრისტიანე, რომელსა ჰყვა ქმარი წარმაროი...“ 96 r—97 v.

12. „გეგონებ, ლალო, ლამაზო, ვინ გაშრით ბროლსა დაღობავ!
ჩემო იავ და სუნბულო, ჩემო ვარდისა ბაღობავ.
წამს შვებ[ა]ო, წამსე მამკვლელო, წამს მწყრომ[ო], წამს ნასაღობავ.
სიამეე, ნებიერობავ, სიხარული და ლაღობავ..“ 97 v—98 v.

წყდება (?): „წენთვის ხელთა მჯურნალობა გჩანს აუგად, ქალო, ნურად.
მიაქიმე ეშხით მოწყლულს, რაზომ გეძლოს ხელოვნურად.
გე[ვედრ]ები, ნუ გამიხდი მე სიცოცხლეს სანანურად.
რად არ გინდა ვცოცხლო, ვიყო, გმსახურებდე მონა-ყმურად?“

შენიშვნა: ლექსი 15 სტროფისგან შედგება.

16. ხელნაწერთა აღწერილობა, III

ეროვნული ბიბლიოთეკა

1291

ცხოვრება ფრანჩისკესი [1825 წ.]

III+56 ფ.; 22×17; ქაღალდი; ცალი (I) ყდა, მუყაოსი; მხედრული; 1825 წ. (1 r); გადმწერი: ა. ჩიქოანი (56 v); დაუწერელია I—III. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„თავი ა. შობა, აღზრდა და მოქცევა წ~ა მამა ფრანჩისკოსი.—რაჟამს დამწყსიდა წ~ა ეკკლესიასა პაპა ლუციო მესამე ამ სახელისა და ალექსიო ქომნენო მთავრობდა აღმოსავლეთის კაისრობასა და ფრიდერიკო პირუელი სუფევდა დასავლეთის კაისრობასა, იშობა წმიდა მამა ფრანჩისკე ასიზს საველაზნამებულ ქალაქსა უმბრისასა...“ 2 r—54 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის თავფურცელი: „ცხოვრება წმიდა მამა ფრანჩისკესი. წელსა 1825-სა, სექტემბრის 13-სა დღესა“. 1 r.

2. დართული აქვს ფრანჩისკეს ხსენების დღის საგალობლები: „გალობა 17 ენკენისთჳსა, დაჯდილებათა წმიდა მამა ფრანჩისკესი. ციასარსა. — ფრანჩისკე, მლოცველო მაღლისა კლდის ჭეშმ...“ 54 v—56 v.

ანდერძი (გადმწერისა): „დასრულდა ცხოვრება წ~ა მამა ფრანჩისკესი ა. ჩიქოანის მიერ მხოლოდ გარდაწერითა და ვიხმეთ, ჴელმწიფენო და ჴელმწიფანო, რათა მოგიტევებდეთ თხზჳსა ზედა, რამეთუ პატრისა მიერ იყო თხზეა ესე, რადგანც მშობელი ენა არა არს [!] და მე სიჭარისა გამო ვერ ძალმედვა განსწორებად თხზვისა, ამისთჳს რომელ სამს დღეს და მეოთხე შუადღემდისინ სრულებით გარდმოვსწერე ცხოვრება ესე წ~ა ფრანჩისკესი, რამეთუ პატრონს ეშურუბოდა.“ 56 v.

1292

კრებული [მე-19 ს.]

26 ფ.; 19.5×17.; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს.; ჰვირნიშანი: 1815 (20—26 ფ); გადმწერი: იოსებ ფოცხვერაული (25 r); 21—26 ფ. ფ. ამოვარდნილია; დაუწერელია: 25 v. 26 r—v. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1816 წ.

1. ანტონ I [საქართველოს მოკლე ისტორია]. „სიტყუა პირუელი.—პირუელად, ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართუელთა, ესე იგი: ქართუელთა, იმერთა, კახთა და ჴევსურთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართუელი, იყო ქართლოს...“ 1 r—18 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: „მისსა მაღალმსჳლეულობას ღირებულ—მაიორს ივან ლეონტიჱს, ყიზლარის კამენდატს ფრონუდროჳს. მე უღირსი ანტონი კათოლიკოსი სრულიად საქართუელოჲსა მოვახსენებ, მათგან ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა დაღათუ მრავალ-განსაცდელ შემოხუედისაგან დავიწყებით სახელნი მეფეთა საქართუელოჲსათანი თჳთო-თჳთოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახელი, ანუ გარდაცუალებანი მეფეთანი და გუართა და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ სამეფოდ, ესენი არიან, რომელნიცა ძუელთა შინა მატიანეთა საქართუელოჲსათა წარმიკითხვენ.“ 1 r.

2. მოკლე ისტორია დაყოფილია თექვსმეტ „სიტყუად“.

2. „მე, უმცირესი ვინმე, ძე ალექსისა და თეოდორეს ქალაქის სემინარიის რექტორი დავით მოვახსენებ, მებრ თხოვისა მათისა და რომელთამე საქართუელოჲსა მეზობელთა მჳვარეთა ადგილთა ამის უკუე წერილთა აღუწერ თქუენსა ღუოლრაფიურებრ, რომელ არს ინსტრუქცია. აღწერა ახალციხისა.—ახალციხისა ქვეყანა, რომელიცა არის ქართლისა ქვეყანისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახლა ხვანთქარსა ძალითა და არიან გამახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანებულნი და ადგილ-ადგილ მცირედნი ქრისტეანენიცა იპოვებიან და ჰქვიან ადგილთა ამით საათაბაგო...“ 18 v—25 r.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს აღწერას: ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთის, ერევნის, განჯის, ხამსის, ყუბის, კუმუხის, შაქის, ალისულტანისა, „ქარელი და იმ ძირობისა“, ხუნ(ა)ხისა, დიდო-ქისტისა, ღი(ლ)ღისა, ძეროძკისა, თუშ—ფშავ—ევეთურისა და ქევისა და აღწერას ქერიმხანის საქმეებისა.

ბოლოში (სხვა ხელით): „მრავალ განსაცდელ შემთხვევისა გამო არლარა იპოვებოდა ისტორიანი მშობელსა შინა ჩემსა სახლსა და ესე ისტორია მოგიძღვნე მშობელთა ჩემთა, ყოველთა მონაზონთა უნარჩევესმან, სულით გლახაკმან ზუცეს-მონაზონმან გაბრიელ მაყაშვილმან, ძმამან თქვენმან. წელსა 1823-სა იანვრის 25-სა დღესა.“ 25 r.

1293

კონდაკი [მე-18 ს.]

60 ფ.; 20,5×15. 5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა, ტეიფრული; დახიანებული, დაშლილი (59—60—ამოვარდნილი, ნაკლია. აკლია: გ რვეულს 2 ფ; დ—ს—2 ფ.; ე და ვ. რვეული მთლიანად; ია რვეულს—6 ფ.) ნუსხური (სათაური სინგურით); [მე-18 ს.]; გადმწერი: სიონის დეკანოზის შვილი ამბროსი (59 r); ადგილი: [თბილისი] (59 r). შემოწირულია ქ.ქუთაისელისაგან 1916 წ.

„ლოცვანი სამწუხარონი ყოველთა კეთილაკეთა და დღესასწაულთა. ოდეს ცისკრად სახარებაჲ აქუს, მღდელმან „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი“, ეფისკოპოზმან ანუ წინამძ~ღრმან „მოვედით თაყ~ნისცეთ...“ 1 r—60 r.

ანდერძი (გადმწერისა): „ღმერთო, შეიწყალე ამის მჭაბუკისი სიონის დეკანოზის შვილი ამბროსი“. 59 r.

1294

ორბელიანი ნიკოლოზ. მროველის სამწყსოს დავთარი [1715 წ.]

III, 49 ფ.; 20,6×14,5; ქაღალდი; მუქის ყდა, ტყავგადაკრული, ტეიფრული; მსედრული (სათაურები სინგურით); 1715 წ. (1 r); ავტოგრაფი (1 r); დაუწერელია I v, II v, III r, 47—49 ფ. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916. წ.

„არადეთს: ქ. იმანელიშკილი ფირან. საწირაჲი აძლს...“ 2 r—46 v.

შენიშვნა: 1. მროველის სამწყსოს დავთარი დაწერილებით აღწერილია და მისი ტექსტი მთლიანად გამოქვეყნებულია ე. თაყაიშვილის მიერ (არქეოლოგიური მოგზაურობანი. დავთარი რუისის სამწყსოისა. გვ. 126—207 თბ. 1907.).

2. ეს დავთარი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დ~მოგრაფიული ძეგლი, განსილული აქვს აკადემ. ივ. ჯავახიშვილს (საქართველოს ეკონომიური ისტორია. I. ტფ. 1930. 10—14 გვ § 2- სამროველოს 1715 წ. დავთარი).

3. ნ. ორბელიანის ანდერძის ტექსტის ჩვენი წაკითხვა, ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით, რამდენიმე შემთხვევაში განსხვავებას წარმოადგენს (იხ. ანდერძი).

4. ნ. ორბელიანის ანდერძის ტექსტის 1 გვ. მეტად გადასული.

5. ტექსტია დასაწყისი (პირველი 5 სტრიქონი) სინგურით შემოხაზული როზეტის შიგნით არის ჩაწერილი.

მინაწერები: 21 v. 26 r. 38 r, 40 v. 41 r. 46 v.

ანდერძი: ნიკოლოზ ორბელიანისა: „ქრისტეს აქეთ ჩ ღ ი ე წელსა. |აპრილსა ერთსა, თვით სა|ფლ|ავით] აღდგომასა უ|ფლისა ჩვენისა იესო |ქრისტესა|. ქართველთა მეფეთ მეფისა დიდისა გიორგისსა და |ძმისა მათისა იმერთა [და] კახთ მეფისა არჩილისა და ძმისა მა|თისა სრულიად სპარსეთის მოსამართლეთ უზეცესის [ბატონის] |ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანისა, ამა მეფეთა დედის ძმისწულისა.... ძის საჭართველოს მოსამარ | თლეთ უზუცესის-ორბელი|ს ძესა ნიკოლოზს [მაშეულის მფლობელად ?] ამის.....| სამწყსო ჩემი [და] აღეწერე ველითა ჩემითა..... და მამული და სადაც ვის [.....]| [მო] საკსენებელი როგორ [სძ]ეს... და სადაც და რასაც კაცსა... ერთის მღდელის, მათისა სახეცოთა..... |უფლისა წყსა. [და] აწ ამას გეეკერებით ყოველთა....|წმიდა საყდარსა ამას ზედა, რომელისა მიერ....|..... ვიდრე ესე... სამწყსო და.... |დ იესო[ს] ქრისტეს მცნებისათვის, რომელი ბრძანებს ჭმა მაღალ მოციქულის პაველს პირითა: ურთიერთს სიმძიმე იტვირთეთ და სჯული იგი ქრისტესი აღასრულეთო. ჩემ ცოდვილისაგან, რაც შეიძლებოდა ან დამცალდა, აშენებითა, ყმისა და მამულის შემატებითა და რაც ღმერთმან შემაძლებინა, მისი მატიანე ბოლოს დამიწერია და დღეი წალმა უფალმან განაგოს. თქვენც ჩემი სიძძიმე იტვირთეთ, ჩემ ცოდვილისათვის. თქვენის წმიდის წირვითა და ლოცვით ვიქსენებოდე, უფლისა ღ-თისა ჩვენისაგან, ვედრებითა თქვენითა ვპოო ლხინება სულისა ჩვენისა და საბიბლიმან ღმერთმან მიგმადლოსო კეთილი მუყმესობა და სულიერი კეთილდღოვრება. ხოლო უკეთუ სათნო იჩინოთ ჩემ მიერ განწყსებული ესე გარიგება, თქვენცა ესრეთ ყავთ. და უკეთუ არა გინდეს, თქვენ, რომელი ი ებოთ, იგი ქმენით და მე უკანონო ვიყო. ერთს ამასაც ვიტვენები: ამ სამწყსოს დავთარს მეფის მოსაქმეს ნურაკის აჩენებთ: კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარდვიან და მე არ მიჯობს. მე დრამისაცთვის აგწერე. საყდარს მოსაველის ანგარიში არ დაეკარგოს, ღ-თის სიყვარულისათვის, ამ სამწყსოს მატიანეს ნურას მეფის მოსაქმეს ნუ აჩენებთ, თუ ქრისტე გწამთ. ამას გარდა ამ საყდრის მამეული და ყმა სულ დამიწერია: თარხანი ვინ არის და თარხნობით რა სამსახური აქეს და მობეგრე ვინ არის და რა ბეგარა აქეს. და თქვენ, რომელიც გინდოდესო, ვიცი იმას იქით და მე კი ნუ დამწყვედ. რაც მე შემიმატებია, ის, როგორც მე მიმდოდა, ისე გამიბეგრაცს და ნურც მოუწყლით და რაც თქვენ შეიმატოთ, ის, როგორც გენებოსთ, ისე გაარიგეთ [ქვეყლის] მემკვიდრეებისა, ჩემს უწინდელის მოველების გარიგებ[ული], როგორც ყოფილა, მე არ მომიწყია რა. ამას იქით თქვენ იცით....“ 1 r—v.

ანდრძი (შემკაზმაცისა): „მე, წინამძღვრის შვილმა მროველ მიტროპოლიტმა გერმანემ შეუკვრეგინე წიგნი ესე. ყაფალანის შვილის მროველისაგან დაწერილი იყო. წამედრიყო და გავკეთებიე კ'ას უნა [1763 წ.]“. III v.

1295

ჩარ—დავრიშიანი. შვიდ კარად [მე-19 ს.]

146 ფ.; 21×17; ქაღალდი; მუქაოს ყდა; მხედრული (სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით); მე-19 ს. შემოწირულია [ილია] ოქროპენტლიანისაგან 1916 წ.

„კოსტანტინეპოლის ჴელმწიფის უშვილობის მოთხრობა, თუ ვითარ შეწუხებული იყო.—იყო ჴელმწიფე ერთი კოსტანტინეპოლის შინა, მორჭმული და გამდიდრებული, ყოველს ქვეყანას სახელ-განთქმული....“ 1 r—146 v.

1296

სწავლანი სულიერნი [1826]

300 გვ. 21×17; ქაღალდი; მაგარი ხის ყდა, ტყავგადაკრული. ტკეცხრული; მხედრული; 1826 წ. (299 გვ.); მთარგმნელი (ბერძნულიდან ქართულად): პაპეწყშვილი იოანე მიხაილის ძე „ქსიფილიონი“ და „ქართულს ენასა ზედა შემწყ-ბი ოსეს ძე მღუდელი იოანე“; გადამწერი: „სიონის სობოროს დიაკონი გრიგოლ ჩრელაევი.“ (299 გვ.); ადგილი: თბილისი (299 გვ.); შემოწირულია ქეკთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი წ-თაგან, წიგნისაგან მარგარიტისა და დაბადებისაგან ღ-თისა.—„დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანა ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო უხილავ და განუმზადებელ".—ესე იგი არს საიდუმლო უცნაური ჯორ-
შესხმა ქალწულისაგან. „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა".—ცოიმი არის ადამისი.
„სული ღ~თისა იქცეოდა ზედა წყალთა".—ნათლისღება არის წარმართთა.
„თქუა ღმერთმან—იყავ ნათელი."—ჯორცითა შესხმა არის ქრისტესი..." 1—26 გვ.

შინაარსი: ა ბიბლიური კოსმოგონიისა და ახალი აღთქმის (ქრისტეს განხორციელებისა და ამ ქვეყნიური ცხოვრების ამბების) სიმბოლური დაკავშირების ცდა. 1 გვ.

ბ „მარტსა ია შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა: ივ—სამყარო და საყდარნი..." 1—3, 9, 26—27 გვ.

შენიშვნა: აქ მოცემულია ქვეყნის შექმნის სხვადასხვა მომგეტის, იესოს ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბების და იოანე ნათლისმცემლის მოღვაწეობის თარიღები და სხვ. ქრისნოლოგიური ცნობები.

გ. „კითხუ.—წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩუენ. მიგებაა: ოდეს ღმერთმან სამაჲლ და სატანა ზეცით ქვეყანად გარდამოყარნა, მიქაელ მთავარანგელოზმან ბრძანა: წმიდაო ღმერთო..." 2—4, 27—28 გვ.

შენიშვნა: 1 „წმიდაო ღმერთოს" ტექსტის ასახსნელად გამოყენებულია აპოკრიფული ამბები ღვთისაგან ზეცით ქვეყნად სატანისა და სხვ. გადმოყოისა და სხვა ლეგენდები.

2. აქ მოთავსებულ „კითხვა-მიგებაში", სხვათა შორის, ვკითხულობთ: „რა ჴელონებაა დაბადა ღმერთმანმა... უწინარეს? მიგებაა... კერვა... ოდეს ადამ და ევა... მოიკერეს ფურცელი ლელვისა და დაფარეს სიშიშვლე თაჳისი." 3 გვ.

3. ზოგიერთი კითხვა გამოცანის ყაიდაზე არის ჩამოყალიბებული: „კითხუა: მკუდარი ცოცხალსა ეძებს. მიგებაა: მკუდარი მარიამ, ცოცხალი ქრისტე..." 3 გვ.

დ. „აწ მოციქულთა სახელები ვიწყოთ: პეტრე, პაულე..." 4—9, 12—20 გვ.

შენიშვნა: მოციქულთა სახელების ნუსხის ქვემოთ მოთავსებულია ცნობები: ღვთისმშობლის მიცვალებისა, ზოგიერთი მოციქულის მკუდრეთით აღდგომისა, ცნობები ზოგიერთი წმინდანის და ბიბლიური პერსონაჟის გენეალოგიიდან და მრავალი სხვადასხვა კითხვა-მიგებანი.

ე. „მოგუნენ, რომელთა წარმოგზაენეს მთავართა მეფეთაჲ მათ დიდთა, ესე არს სახელები მათი..." 9—10 გვ.

ვ. „შესხმა და სახელები წ~ისა ღ~თისმშობლისა: მარიამ დედოფალი..." 10—11 გვ.

ზ. „უკეთუ გინდეს ნათესავნი რაოდენნი არიან ქვეყანასა ზედა.—ინდოეთი, გუთიე~ნი..." 11—12 გვ.

შენიშვნა: 25 ეროვნებათა შორის დასახელებულია: „აფსახნი, სუანნი, მეგრელნი, დჳალნი..." 11 გვ.

ე. „სახელებაი შვიდთა ცათაჲ: ა ანდამატი... 12 გვ.

ვ. „ეითარ ჯუარსა მოვდელი, რომელი დგეს წინაშე წმიდისა მის საკურთხეველისა. — აჰა, ესერა გამოისახა ჯუარცმაჲ ქრისტესი.." 20—24 გვ.

შენიშვნა: მოცემულია მღვდელმსახურების სხვადასხვა წესის განმარტება.

ზ. „სახისათჳს მონაზონებისა. გ~კორთნენ, მამაო.—ხოლო წესი და სახე მონაზონთა მსგავსი არს და მობაძავ უდაბნოს მოქალაქისა მას იოანე ნათლიმცემლისა..." 24—28 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: აქაც, როგორც წინა პარაგრაფში, განმარტებულია მონაზონთა ცხოვრების და მონაზვნური შესამოსელის ყოველი ნაწილის საკრალური ახრი და მნიშვნელობა.

ზ. „ამას წიგნსა ეწოდების ხნოლორწორი (sic). სიტყუა მეორედ მოსელისათჳს და აღსასრულისათჳს [და ანტექრისტესათჳის]. — ოდეს იგი მოეახლოს აღსასრული ჟამთა და დღეთა მათ უკანასკნელთა, გამოვიდენ ბარბაროზნი ესე იგი არს თურქნი...“ 28—49 გვ.

თ. „აქა დიდებით მეორედ მოსვლა უფლისა და მკუდართა აღდგომა. აღდგომისათჳს მკუდართასა, თქმული იოვანე დამასკელისა. — გურწამს უკუმ აღდგომაჲ კუდართა...“ 49—51 გვ.

ი. „ვოდება იაკობ მონაზონისა, რომელი წინასწარმეტყუმლებით თქუა.—განიოჴძე, იერემია...“ 51—53 გვ.

ია. „სიტყჳს-გება ბერისა ეფთჳმე გძელისა, სოსთენის მიმართ, სოსთენ მოძღურისა.—ჟამთა უკუმ ღ-თის მსახურისა მეფისა ბაგრატისთა, იქმნა კ-დ კრებაჲ...“ 53—67 გვ.

იბ. „სოლომონის კითხვა-მიგება. ზირაქ. — კითხუა: მიბრძანე, ჰ, მეფეო, ღმერთმან რომელსა დღესა შექმნა ცაჲ და ქუეყანა...“ 67—70 გვ.

იგ. „სიტყუა დაბადებისა [სოფლისა] ამისთჳს და სამოთხისა შუენიერებისათჳს. — დასაბამად შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანა...“ 70—86 გვ.

შენიშვნა: ამავე ტექსტში ჩართულია შემდეგი დასათაურებანი: „შესაქმისი წ-სა[?] და ჭეყნისა წიგნისა ევჶრატესა[ჲ] სწერია“ (73 გვ.). „ცათა მოხილვაშიგან სწერია დაბადება ანგელოზთა“ (74 გვ.). „თქმული წ-სა დიონისი არიოპაგელისა. სიტყუა დაბადებისა სამოთხისა.“ (75 ზ.გ.). და სხვ.

იდ. „წიგნისა მარგალიტსა შიგან სწერია საქმე ესე სულისა. — აწ ესეცა ვთქუათ...“ 86—103 გვ.

შენიშვნა: 1 ტექსტში საუბარია ცოდვათა მონანიებისათვის, სულის ხორცითგან გასვლისათვის, მართალთა და ცოდვილთათვის.

2. ჩართულია ივავეჶი.

იე. „სწავლა[ნი] წ-სა მამისა ჩუენისა მაჰსიმე აღმასრულებელისა. — კეთილ არს აღსარებაჲ...“ 103—107 გვ.

ივ. „სწავლანი წ-სა იოანე ოქროპირისანი [ფიცისათვის, მოწყალებისათვის, „თუ ვითარ ადიდებდეს ღმერთსა“, „ქადილისათჳს სიწმიდისა“, „ლოცვისათჳს“, „სარწმუნოებისათჳს“, „მართლისა და კოდვილისა“, „სიკუდილს ჟამს სინანულისათჳს“, „ოთხშაბათ-პარასკეჳთა შერეჳისათჳს“, „კჳრიაკისა კრძალვისათჳს“. 108—130 გვ.

შენიშვნა: იოანე ოქროპირის „სწავლან“-ში ჩართულია:

1. „თქმული... ეფრემ ასურისა. — თანა აცს სულსა, რათა ჰხედვიდეს შინაგანითა თჳალითა...“ 118—119 გვ.

2. „თქმული... გრიგორი ნოსელისა ეკლესიის მისვლისათვის და ლოცვისათჳს. — ჯერ არს ჩუენდა...“ 126—127 გვ.

ვზ. „მცნება წ-სა ბასილისა ღვდელთა მიმართ, თარგმნილი არსენისი. — ჰრიდე თავსა შენსა, ჰ, ხუცესო...“ 130—132.

ვთ. „სწავლა წ-სა იე ოქროპირისა და სხუათა ფილასოფოსთა. მეორედ მოსვლისათვის და შუენიერი[ჲ]. — ვითარმე ვიყუნეთ მაშინ...“ 132—138 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით. „სწავლანი საერონი, გამოკრებულნი თითო სახეთა წიგნთაგანი. კითხვა: ვინ უწინ შეასხა ღ~თაებასა „წმიდაო ღმერთო...“ 138—143 გვ.

კ. „ივავ[ნ]ი ლევიტელთა [და სხვ.].—აცხობდეს ათნი დედანი თორნესა ერთსა პურსა...“ 143—161 გვ.

კა. „სახის მეტყუელებით სიტყჳ გება წმიდათა მღუდელთ-მოძღუართა ბასილისი და გრიგორისი.— მაუწყე მე: ყოველთა დაბადებულთა უწინარეს თუ რომელი დაჰბადნა ღმერთმან...“ 161—182.

შენიშვნა: 168 გვერდიდან „კითხვა-მიგება წმიდისა ბასილისი და გრიგოლისი“ (172 გვერდამდე). „კითხვა-მიგება წმიდისა ბასილისი გრიგოლის მიმართ.“ (172—180 გვ.). „კითხვა-მიგება გრიგოლი ღ~თისმეტყველისა ანგელოზის მიერ.“ (180—182).

კბ. „ათანასე ალექსანდრიელისა თქმული.—კითხვა: რომლისა ლოცვისაგან უფრო ეშინის სულთა უკეთურთა...“ 182—202 გვ.

კგ. „სიტყუანი წმიდათა მამათანი. იგავი ა.—კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალემით იერიქოდ და ავაზაკნი დაესხეს...“ 202—235 გვ.

შენიშვნა: 1. ტექსტი ბიბლიურ იგავთა თარგმანებას წარმოადგენს.

2. გარდა იგავთა თარგმანებისა აქ გაქვს „კითხვა-მიგებანი“: ოთხთა საბარებათათვის, ღმრთების თვისებებისათვის, ქრისტეს ჯვარისათვის, ათი ცნებისათვის და სხვ. მრავალი. 210—235 გვ.

კდ. „უწყება პეტროზ მკაწვრელისათვის და ალაგასათვის და ალაჯორი მარხვისა.—იყო პატრიაქი კაცი წმინდა...“ 235—245 გვ.

კე. „თარგმანება სომეხთა წვალებათათვის და თუ რომელითა პირითა შეიჩვენებიან კომეხნი [!].—ა ეითარმედ ვითარცა უბრწყინეს არა მვონებელნი...“ 245—253 გვ.

კვ. „პეტრე თქუა: მრავალნი მოსწრაფე არიან გვამთა მათთა დამარხვად ეკლესიასა შინა...“ 255—256 გვ.

შენიშვნა: 1. „სწავლათა სულიერთა“ ტექსტს ფართული აქვს „ქორწინებისა თავისათჳს მატ~ესი სჯა.—ხარისნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რა ვითარ იგი კიბეთა ზედა აღელეს ხარისხად...“ 257—297 გვ.—ხსენებული ტექსტი სჯა—ტჯ (IE) თავს შეიცავს და დართული აქვს ნათესაობის სქემა (რა ფარგლებშიაც აკრძალულია ქორწინება). 277—297 გვ.

2. ხელნაწერის დაწერილების ანერილობა და დახასიათება იხ. ე. თაყაიშვილი. „Заметки о двух рукописях апокрифического характера“, С. М. О. М. Пл. К. 24. Тифлис. 1898. გვ. 72—84. და კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. 413—416 გვ. თბ. 1941.

მინაწერები: 254, 298, 300 გვ.

ანდერძი (მთარგმნელისა): 1 „იამბიკო.

—ითარგმნა ესე წიგნი წინამდებარე

ოდენ ბერძნულით ნათესავით ბერძნისაგან.

ამისათჳს მრომითა და თან ღუწითა

ნათხზად ქართულებრ ოსეს ძის მღუდლისაგან. ხოლო

ერთნი კიდურთა შეგასწორ სახელნი.

(კიდურწერილობაში იგოთხება ი ო ა ნე და ბოლოსტრიქონიდანაც ი ო ა ნე).

2. „ესე წიგნი წინამდებარე ბერძულისაგან გარდმოთარგმნა ბერძნის იოანესაგან, მიხაილის ძის პაპუნის შჳლის ქსიფილინისაგან. თუმცა ოცდომბეროსა, დღესა 17, წელსა 1785. ქალაქსა ტფილისს. ხოლო ქართულსა ენასა ზედა შეწყობით ოსეს ძის მღუდლის იოანესაგან.“ 299 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (გადამწერისა): „დასასრული. აღიწერა წიგნი ესე ტფილისის ქალაქსა შინა, სიონის სოპოროს დიაკვნის გრიგოლ ჩრელაეველისაგან. განსრულდა ივლისის 20-ს დღესა, 1826-სა წელსა.“ 299 გვ.

1297

ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი [მე-19 ს.]

VI+250; 21×16,5; ქაღალდი, ტყავგადაკრული ტიფიური მუყაოს ყდა; მხედრული; მე-19 ს.; გადამწერი: ზაალ ხუროაბის ძე ბაალოვი (II r. 248 r.); დაუწერელია: I r—v. 248 v. 249 r—250 v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ა. ანი არს პირველი ასო ჴმიანი და აორთონი. მრავალ რიგად და თავად მოვალს ყოველთა სიტყეთასა და ბოლოდცა, ვითარცა ზეით დამიწერია...“ VI rv, 1 r—241 r.

შენიშვნა: 1. ლექსიკონს წინ უძღვის: „ანდერძნამაგი ამის მეშაკისა, ფრიად დამაშრომებისა მოსწავლეთათჳს, გარნა მრავალნი მოსწავლენი მემობაძ და მოკიცხრე იქმნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ ლოცჳასა.—მე, სულხან ორბელიანსა, ჰაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიძა ამა წიგნისედა...“ (III r—V r).

2. ხელნაწერში 66—67 ფ. შუა ჩადებულია ცალკე ფ. (18.3×16) „თამაშობა“— სიტყვის განმარტებით, (გადამწერის) შენიშვნით: „ეს თამაშობა არ დამეწერა და ჟამც ცალკე დავსწერე და ამა წიგნში შთავდე“. 66. II. r.

3. დართული აქვს: ა. [ს.მოხელეო სახეულების შედარება ქართულად და თათრულად].—„თათრული აბდარი. ქართული წყალთა მნე. ახაშ ვეჩხირი—ეპარხოზი...“ 241 v.—242 v. ბ [დამატება] „აბრაჰამ, მამა მრავალთა: მამა მაღალი, მამა ნათესავთა...“ 243 v—244 r გ. [Curriculum vitae]: „საბა-სულხან ორბელიანი, მეფის არჩილის და მეფის გიორგის და ბატონიშვილის ლეონის დედის ძმის წული, სპქართველოს მსაჯულის პატრონის ორბელის ძე დაიბადა წელსა 1668 ქრ‹ს› ტმ‹ს› ოქტომბრის კ‹დ›-ს...“ 245 v. დ. ანდერძი (ლექსიკონის ავტორი ა?): „ამ წიგნის მომღებელსა სულხან საბა ორბელიანსა [შენდობაჲთ] მოიხსენებდითთ, რამეთუ დამშვრალ არს ამას პოვნისა და შე წყობისა რამეთუ თჳთოეული ლექსი სამღრთოთა და საეროთა წიგნთაგან ნუხსით ამოუღია და ამა დაუსხამს და დაუდგია, დიდით გულს მოდგინებითა დამშვრალა. შრომისა მის ნაცვალსაგებლად შევავედრებთ ღ‹თსა და ვეტყჳით: ღ‹თს შეაწყალოს საბა სულისან ორბელიანის ძე.“ 245 v. ე. „მეფის ვახტანგის ნათქუამი „—სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნისა სწავლის მსახეცითა...“ (2 სტროფი. 245 v.) ვ. „საბას ნათქუამი.—ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა...“ 245 v. (2 სტროფი). ზ. [დამატება] „სირი 10. 29 მატთ. ახლად შებოსებულებული ჩიტი...“ 246 r—247 v. თ. „საბა სწერს.—ამ წიგნსა შინა რაოდენთამე ადგილთა ბერძული სიტყჳა სწერია...“ 247 v. ი. [ქართულისა და ბერძნული ქრონიკონისათჳს]:—„დასაბამითგან ქ‹ვს მოსვლამდე ქართულის რიცხვით წელნი ხუთი ათას ას ორმოცდა ათ თერმეტი 5158...“ 247 v.—248 r.

ანდერძი: (გადამწერისა): „ლექსიკონი გართოვსწერე შრომა ვსწე არა მცირე. დიდის ღჳწეით ძვილ ვიძე, კნინ მახვილი განვიგმირე;
აღმოკითხეთ მით დაცსტკბები, სოფელშიგან დავყო ვიცე.
მე ხაალი ხუროაბის ძე ხაალოვი ყოველთა მცირე.
ნუ მიწუნებთ ამა ლექს‹ს› რომ არ აროს პეტრიწულად,
უსწავლელის კაცისაგან შეირაცხვის რიტორულად.
ჯორჯის ძაღლის კურდღლის განდრაკს მიაწერენ კეთილ მკულად,
ნურვინ დამგმობს ამისთჳისა, რადგანც ეს არს ჩემგან თხზულად.
ხაალ ხუროაბის ძ‹ ხაალოვი.“ II r, 248 r.

1298

ანტონ I. კათოლიკოსი [1813 წ.]

II+119 ფ.; 22×18; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; მშვილდოვანი (სათურების სინგურით, ასომთავრულით); ჭვირნიშანი: 1813 (92. 98. 103 და სხვ. ფურც.); გადამწერი: ნიკოლოზ (96 v.); დაუწერელია: I r–v, II r. v, 1 v, 3 v, 99 r—116 v; ამოვარდნილია 117 ფ; თავ.-ზმულობა: 2 r; ბოლოკახშულობა 3 r; ნახატი: 25 r. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კათოლიკოსობისა არისტოტელითთავდა შეკუთვნილება. § 1.—საჭირო ვიდრემე არს სიბრძნის-მოყუარებისადა მოწაფე-ქმნილთა ცნობა, რაოდენ გუბარობს ზედმიწევნილებაჲ კაცობრივი...“ 4 r—96 r.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის ა. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველს მყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა...“ (იხ. „აღწერილობა“ I, 259, სადაც ეს ტექსტი მთლიანად არის მოტანილი). ბ. „წინა-სიტყუაობა წინა-მდებარისა წიგნისა, ჴუთ-ტაებივთანა სტისთა, ანუ დასდებელთა ზედა, ცხრა რიცხჳთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა.—არ სილაღითმან კადრმან გუთთანად ჩუნ ახლად ჴელ-ჩაყოფად ტჳ-თქმულობანი ძჳსნი...“ 2 r—3r.

2. დართული აქვს: ა. „პინაკს-სიტყუაობა ჩუნ მიერ თანშეყუანილებათა კათოლიკოსობისა სიმტკიცეთა და რომელთამე მსჯელთა ჩუნ მიერ ქართულსა ალფავიტასა ზედა“ (ბოლონკელული). წყდება: „...აღმოჩინება, რ'ლ მტკიცე დამტკიცება არსებისაგან ნივთისა ჯერ არს ყოფად“. 97 r—98 v. ბ. „კენკელოსი“ გამოყენების წესის აღწერით („სწველა“). 117 r-v. გ. „პორმები თვენი, საჩინონი საცნობელად (დ)ღესასწაულნი საუფლოთა და წმიდ(ა)თანი“ (ჩაწერილია სწორკუთხედებში). 118 r—119 r.

ანდერძი (გადამწერისა): „ქება, კურთხევა, გალობა, მადლობა და თაყვანის-ცემა შენდამი, ღ'რსა ჩემსა, ცხოველს-მყოფელსა სულისა, რომელიცა სამობითსა რიცხჳსა თანა-არსს შენსა გუაშთასა, ერთ-ღ'თაებითსა შინა არსებასა აღვსებ. მით რ' შენ მიერ არს ყოველთაჲ ნიჭთა, შენ მიერ დაჩუნ-შორისებულთა, მოჭმედებისა წარმართებაჲ. ნიკოლოზ“. 96 v.

1299

სახარება (გამოკრებილი) [მე-15 ს.]

III, 282 ფ.; 19×14,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა; ამოვარდნილია: 156, 163, 173, 174, 179, 180, 227, 234, 243 ფ.; ამომშწყარია 2, 3, 100 ფ.; კიდემოხეულია (ტექსტის დაზიანებით) 142 ფ.; ნუსხური (სათურები სინგურით); [მე-15 ს.]; გადამწერი: [ვაცაძე, ბართლომე] 103 v.; დაუწერელია: I—III ფ. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„წმიდასა და დიდებულსა კჳრიაკესა აღსებებისასა სამხრად. სახარებაჲ ე'ს თავი. ა.—პირველითგან იყო სიტყუ'ჲ და სიტყ'ჲ იგი იყო ღ'თისაჲ თანა და ღმერთი იყო სიტყ'ჲ იგი...“ 1 r—281 r.

შენიშვნა: 1. სახარების საკითხავების პირველი ციკლი იწყება აღდგომის კვირის („დიდებულსა კჳრიაკესა აღსებებისასა“) საკითხავებით და თავდება დიდმარხვის დიდშაბათის („წმიდასა და დიდსა შაბათსა“) საკითხავებით. ამ საკითხავთა წრეში შედის „შაბათ-კჳრიაკეთა“ საკითხავები, რომლებსაც ერთგან ასეთი სათაური აქვს: „სხჳანი სახარებანი ამისგე მერვისა შჳდეულისანი სამარადისოთა სახარებაჲთა საწყლიწდოთა დასაბაჲმნი: შაბათ-კჳრიაკენი ამათ ზედა მითითულვიან. ხოლო ესე ზემო დაწერილნი მარტჳლიისა მსგუფსისანი არიან კიდეგანაც“. (41 r.) 1 r—223 v.

2. საკითხავების მეორე ციკლი განაწილებულია წელიწადის თვეთა მისდევით, სექტემბრის პირველიდან აგვისტოს 31-დე („თვესა სეკდემბერსა ა დაწყებაჲ ინდიკტიონისა და ჴსენებაჲ წმიდისა სუმეონ მესჳ[ს]ტისა და წმიდათა მ დედათაჲ. სახარებაჲ ლუკაჲ[სი], თავი ი[ზ]). 123 v.—180 r.

3. ტექსტის ბოლოს: „სახარებანი სატფურებისნი“ და „მსგჳფსისა სახარებანი“. 180 r—181 r.

ანდერძი (მთარგმნელისა და გადამწერისა? მეოთხე კვირიაკის სახარების ტექსტის ბოლოს):

I. „ჰა დასრულდეს სახარებანი ყოველთა დღეთა[ნი] და აწ კუალად შაბათ-კჳრიაკეთა იწყების“. 148 r.

II. „უკ[უ]თუ კუალა ვინ გჳმოქმიებდეს მიზეზსა, აღცალა დარჩომილ-არს ოთხთავსა შინა დაუწერელი სახარებაჲ, რომელი ანუ აპათ სამარადისოთა სახარებაჲთა შინა არა გამოკრებულ არს ანუ შაბათ-კჳრიაკეთა, ანუ მარხვათა, ანუ თჳეთა“. 148 rv.

III. (სინაკსარით) „ლოცვაჲსათჳს გლახაკისა გიორგის თჳს, რომელმან წმიდაჲ ესე სახარებაჲ ვთარგმანე“ 148 v.

IV. (სინაკსარით) „დიდსა პარასკევსა სახარებანი ჴამთანი დიდსა სუნაქსარსა სხუაებრ სწერიან“. 202 v.

V. 24 ივნისის საკითხავის, ლუკას სახარების ტექსტის დასაწყისისათვის („რ[ო]მრავალთა ჴელი შეუყენებ აღწერად და მოთხრობაჲ...“), მარცხენა არშიაზე: „ზოგი. იტყჳს: „ვინათგან უკუე მრავალთა ჴელყვეს“—აქა ასრე ეწერაჲ“. 268 v.

ანდერძი—მინაწერები (გადამწერისა):

1. „ღმერთო, უშუალე მელანსა და კალამსა“. 5 r.
2. „ღმერთო და წმიდაო მარინე, აკეთე ნაწერი ჩემი“. 13 r.
3. „ღმერთო, უშუალე მელანსა და კალა“.. 37 r.
4. „ჳაჲ, ავო ქალალდო!“ 53 r. მარჯვენა არშიაზე.
5. „ვაჲი [!] ქალალდისაგან [წეწყნეილისა?]“. 53 v.
6. „ოთხთავო, პირო ღ[მ]ისაო, შეიწყალე ვაცაძე ბართლომე!“ 103 v.
7. „ჭრისტე, შეიწყალე გაბრიელ“. 115 (სინაკსარით, ქვემო არშიაზე).
8. „ოთხთავო, პირო ღ[მ]ისაო, შეიწყალე ამბაკი მჩხრეკელი. ავად ვიყავ. ურიგოდ წერას ნუ დამწყჳლით“. 281 r.

მინაწერებში (მე-15—16 ს. მიედრულით) იხსენებიან: ნათლისა (108 v.), რაფიელი (109 v.), აბიმელიჭი, ასტანდარი (110 r.), ჯვარსპი (110 v.), ზაალი და ჯუარსან (110 v.), მართა (111 r.), ნიკაბაძე ანანია, მისი მეუღლე მარინე (258 v.), მაკრინე (281 r.).

(სხვა ხელით, 16—17 ს. მიედრ.) გიორგი (109 r.).

(მე-15—16 ს. ნუსხურით) „სულსა ჩაისარსა ჯვარშერს
შეუნდოს ღმერთმან და თანამეცხედრესა
მისსა ლეს[ტანჯ]არს შეუნდოს ღ[მ]ა. 181 v.

(მე-XV—XVI ს. ნუსხურით, სხვა ხელით, მოსახსენებელში):

დასონაშვილი ფარნაოს, ძე მისი მახარებელი და მეუღლე მისი ელგანდი, მჭედლის ძე სავა, მისი მეუღლე გულუჟაკ. მათი ძე გრიგოლ, მისი მეუღლე გულქან, დები გულქან და ელენე. 282 r.

1300

ბერძნული ხელნაწერი—Gr.

1301

კრებული [1849 წ.]

46 ფ.; 20×17; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მეორე ფურცელი დახეულია; მხედრული; 1849 წ. (1 v.); გადამწერი სერგო სანთრუსას ძე [ბაჭაზაროვი] (1 v.); დაუწერელია 45 r. შემოწირულია ეკ[ვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. [ლოცვები და ათი მცნება]-ა. „საუფლო ლოცუა, ყოველდღე სათქმელი.—სახელითა მამისათა...“, „დიდება შენდა ღმერთო ჩვენო...“, „წმინდაო ღმერთო...“, „ყოვლად წმინდაო სამებაო...“, „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“, „მიწყალე მე ღმერთო...“ და სხვ... 2 r—4 r, 5 v—9 r. ათი მცნება 11 v—12 r.; „გმადლობ შენ, უფალო, ყოველთა გულითა ჩემითა [ლოცუა ძილისგან ალდგომისა] 12 v; „ლოცუა განთიად და მწუხრისა სათქმელი, წმიდისა ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ვ ნ ე ლ ი ს ა.—დიდება შენდა, ღმერთო, დამბადებელო და აღმგებელო ყოველთაო...“ 13 v—14 v; „ლოცუა პირველ სადილისა.—თვალნი ყოველთანი შენდამი ესუნ, უფალო...“ და „ლოცუა შემდგომ სადილისა.—გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, რამეთუ განმაძღე მე...“ 15 r.

2. „ჩყმთ წელსა, ენკენისთვის ზ-ს დღესა აქა დაიწერება სერგო (!) ანბანის ასოთი სათვალავი ცხრა ასოთი. კარი პირველი. ა. ერთი. ბ. ორი...“ 4 v—5 r.

შენიშვნა: 1. 9 ჯგუფად—„კარად“—ჩამოწერილია ქართული ანბანი ა-დან ჰ-დე, ყოველი ასოს გვერდით რიცხვობრივი მნიშვნელობის მიწერით.

2. თითოეული ჯგუფის ქვეშ შეჯამებულია ჯგუფის რიცხვობრივი მნიშვნელობა: „ჯამი....ორმოცდაცხუთი...“.

3. „ე—ერთი ფული, ი—ორი ფული. კ—ერთი ბისტი. ლ—ექვსი ფული. მ—ორი ბისტი. ნ—ერთი მაური“. 9 v—10 r.

შენიშვნა: ეს არის 7 სვეტად ჩამოწერილი ნუსხა XIX ს. I ნახევრის საქართველოს ქართულ-რუსული ფულის ნიშნების სახელებისა, ყოველი სვეტის ბოლოს შეჯამებული.

4. გამრავლების ტაბულა, ქართული ასოებით და არაბული ციფრებით. 10 v—11 r.

5. „ჩყმთ-სა წელსა, მაისის ა-ს, პირველსა დღესა, ტფილისს ქალაქსა შინა, ავიღე ვალად მე ამისა ქვეშმორე ველისა მომწერელმან სახელმწიფო ყმამ, გარეთ ავლაბარში მცხოვრებელმა მაკარტუმ არაქელოვმა, თქვენ, ტფილისის მოქალაქე გეურქ შადინოვისაგან სამოცი თუმანი...“ 13 r.

შენიშვნა: საუთის ტექსტი თამასუქის პირს [?] წარმოადგენს.

6. „აბრამიანი.—აბრამ იყო ღეთის მლოცავი, მაგრამ ძენი ენატრების, საქონელი ბევრი ჰქონდა, არვინ იცის ვის დარჩების...“ 15 v—17 v.

7. „ქვეყანასა აქუს ოთხი კარი: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. ყოველ წელიწადს აქუს თორმეტი თვენი...“ 18 r.

შენიშვნა: ტექსტი კალენდარულ ცნობებს წარმოადგენს.

8. „სახარება ლუკასი.—მათ დღეთა შინა აღდგა მარიამ და წარვიდა მთად კერძო, მსწრაფულ ქალაქად იუდასსა და შევიდა სახლსა ზაქარიასსა და მოიკითხა ელისაბედ...“ 18 v—19 r.

შენიშვნა: ტექსტი ლუკას თავის სახარების 1, მ. 39—49, 56-ს შეიცავს.

9. „სიკვდილი აბელისა კაენისაგან.—ესე იყო დასწყევლა და დარიგება ადამისა, რომ დ[ა]ჩრიგა შვილნი თავისნი და უთხრა თუ: როცა გამოველი სამოთხიდან და ჩამოვარდი ქვეყანაში ბნელში, კიდევ შემიბრალა ღმერთმან და გამიყვანა ნათელს ადგილსა...“ 19 v—25 r.

10. „ჩყნ-სა წელსა, აპრილის იე-სა დღესა. შევიყარენით ამხანაკათ ჩვენ, ამისა ქვემორე ხელის მამწერელთა: პეტრუს ავაქოვი და სარქის გასპაროვი, რომელ კაცის თავს სათავენო გვაქვს თანასწორ...“ 25 v.

შენიშვნა: ტექსტი „საამხანაკოდ“ თავის შეტანისა, ვაჭრობისა და მოგების თანასწორ გაყოფის გარიგების წიგნის წარმოადგენს.

11. „1 კოპეიკ ორი გროშია. 2 კოპეიკ ოთხი გროშია...“ 26 v—27 r.

შენიშვნა: ჩამოწერილია რუსული მონეტების სახელები 1 კოპეიკიდან 31 კოპეიკამდე, ქართული შესაფერისი ტერმინების მიწერით.

12. „ხარება ანგელოზისაგან სიტყა შობისა და აშენება ნოესაგან კიდობნისა და [მოსეელა წარღვნისა.—სახიერი ღმერთი მუდამ მოწყალე არის კაცისა...“ 27 v—28 r.

13. „101, 102, 103...“ 28 v—29 r.

შენიშვნა: ჩამოწერილია არაბული ციფრების ნუსხა 101—142-დე.

14. [ბეჟანიანის ნაწყვეტი]. „...და გივი მივიდა. ტიროდა: დავკარგე საყვარელი. აქა ქაიხოსროვისაგან ჯაშში ჩახედეა და ბეჟანის ნახვა...“ 29 v—34 r.

წყდება: „გივმან დალოცა ამა ბძანება მიხვდა ნების თავი. გაგზავნა ყოველგნით ბეჟანის საძებარი არშოვანს [!] და ჩინამჩინს. ამა ყოველგნით მაღნელი [!] ხოსროვ წავიდა, ილოცა [მარბელისა] მღვარელითა [!]...“

15. „ანბავი ქალისა და ვაჟისა.—ერთი კაცი იყო დიად მდიდარი. ჰქონდა მ[ო]ხელობა დიდისა ქალაქისა და ჰქონდა უანგარიშო ხაზინა...“ 34 v—44 r.

წყდება: „...ღმერთმან იცი[ს] არცა მაქუს და არც [მგონიეს[?] თუ თქვენ ბძანდებით, თორემა თქვენს [სასაყანდრისა ჩეუბილ] არ დავამზადებო ქალმა...“

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს დართულია: ა. სომხური ტექსტი ქართული ასოებით, ფანქრით ნაწერი (44 v.) ბ. ქართული ასოებით ჩამოწერილი ნუსხა: „წელსა ჩლეა“ (1791-დან—1851 წლამდე).

2. ტექსტის ენა მეტად გაუმართავია და ვულგარული (ქალაქური).

მინაწერი: 17 v, 26 v.

ანდერძი (გადამწერისა): „ჯვარო, შენ შეეწიო მოსწავლესა ქრისტიან სომეხს სერგო სანთრესას ძე შაიიოვსა [!] ამინ. 18—8/15 49. დასაბამი სიბრძნისა არის შიში უფლისა და სიყვარული მოყვისისა. ვისა უყვარს სწავლა, უყვარს სული თჳსი. ღმერთო, შენ მოეც შენი მადლი, რომელ სრულ სწეროს ტრიქონი სწორ, უკლებრივ, ასონი შვენიერ და წესიერ ლექსნი. ამინ. ჩამთ-სა, აღუს ო“ (1 v).

1302

კრებული [1865 წ.]

28 ფ.; 22×17; ქაღალდი; უყდო (რვეულად); დალაქებულ-დახიანებული (ფფ. გახეულია); მხედრული (სხვადასხვა); 1865 წ. (1 r. 15 v); გადამწერი პირველი 15 ფ.-ისა ალექსი გიორგისძე გელაძე (15 v); ადგილი: სოფ. ვაჟა (15 v.). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. დაწყება მცირისა სერობისა.—დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა...“ 2 r—6 v.

2. „საეტლო ვაჟისა, მართალი და დაცდილი.—თვესა მარტსა ვერძსა ზედა რომელი იშვას, შეიქმნას ტანად და პირად კარგი...“ 7 r—13 v.

3. „ლოცვა ძუძუს ტკივილისა.—სახელითა მღთისათა, მამისა და ძისათა და სულისა წმიდისათა. მოვიდოდა ორბის ტილი [ჟ]ამსა შუაღამისასა...“ 14 r—15 v, 20 v.

შენიშვნა: აქვე მოთავსებულია შელოცვები: „თვალუჭისა, ჭამისა და უქმურისა“, „თვალ-აღებულისა“, „მუცლის ტკივისა“ და „ალ-დაცმულისა“.

4. „ა—ერთი, ბ—ორი...“ 16 r.

შენიშვნა: მოცემულია ქართული ასოგების რიცხვობრივი მნიშვნელობის განმარტება.

5. [„მიწყალე მე ღმერთო...“ თავნაკლული]...[უმეტეს თოვლისა განსპეტაკნე. მასმინო მე გალობა და სიხარული და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი...“ 17 r.

6. „სულ-ხორცის გაყრა ვიფიქროთ, ნახე, რა საზარელია...“ 17 r—18 r.

7. „მიკვირს, ასრე რათ გამწირა სოფელმა.—ცხარის ცრემლით ამატირა სოფელმან..“ 18 rv.

8. „ლექსი.—ახალ მოდნის ფარანი, შიგ სამთელი არ არი...“ 19 v.

9. „ახ, ნინო, ნინო! უცნობო ნინო! გთხოვთ შენის ნახვით, რომ მოგველხინო...“ 20 r.

10. „ღმერთი როგორ მოტყუვდება!
მეუფეზე სამსახური არაოდეს [!] არ წახდება...“ 21 r.

შენიშვნა: გადმოცემულია ისაკის მსხვერპლად შეწირვის ბიბლიური ამბავი, აპოკრიფული, გალექსილი, დაწერილი ლექსის ფორმის დაუცველად.

11. „სიმღერა.—რაც რო იცვამ, სულ გიხდება, გენაცვა!
ნუღარ მყოფ ცეცხლითა დება [!] გენაცვა...“ 21 r.

12. „მოისვენე, შვილო ჩემო, საყვარელო, ტკბილის ძილით დ(ა)იძინე. გულს ნათელი დაიფინე ნანინა, ნანა...“ 21 v.

შენიშვნა: დაწერილია ლექსის ფორმის დაუცველად. „ნანინა“ სასულიერო შინაარსის ლექსია: „ნანას“ უმღერის ღთისმშობელი იესოს.

13. „აბრამ იყო ღთის მლოცველი, მაგრამ შვილი ენატრება.
ღმერთსა სთხოვდა: შვილი მომეც! შენთვის სამხდოთ გამეზდება...“ 21 v.

შენიშვნა: აბრაამისთვის ღვთისაგან შვილის მიცემის ბიბლიური სიუჟეტი, აპოკრიფულად დამუშავებული, ლექსად. დაწერილია ლექსის ფორმის დაუცველად.

14. „[ჭავჭავაძე ილია].—გახსოვს ტურფავ, ჩვენ დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთათ ვრბოდით?
ნეტა იმ დროს! სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით...“ 22 rv.

შენიშვნა: ილია ჭავჭავაძის „გახსოვს ტურფავ“-სა და აკაკი წერეთლის „საიდუმლო ბარათის“ (§§ 14—15) ტექსტის წინ: „სასიმღერო ლექსები ალბომში“.

15. [წერეთელი აკაკი].—„საიდუმლო ბარათო, მითხრეს [!]: ეკმენ მარადო, სიხარულის მომნიშედ და სევდისა ფარადო...“ 22 v.

შენიშვნა: ლექსი ბოლონაკლულია: წუდება: „ცრემლსა ვით ვღვრი მფუღარესა“.

16. [სამთავარიო. თავნაკლული] „...ზმიანი იყოს სიზმარი ცრუ, მთვარისა ცხრასა დღესა კეთილი არის...“ 23 r—25 r.

17. „უკანასკნელი წამი გარდაცვალებისა ეკატერინისა თაყდისა ლუარსაბ ჩოლოყვისა ასული ქნენა ჭაქჭავაძისა.—შვიდს იანვარსა, საღამოს თვისა, კატო მოიროო სობრანიისთვისა...“ 25 r—28 r.

შენიშვნა: 1. დაწერილია ლექსის ფორმის დაუცველად, მეტად ვულგარული ქართულით: „ორთავ ცოლქმარი ყმა ყოფილება იყ[ვ]ნენ!“ და სხვ...

2. ეკატერინა ჭაქჭავაძის გარდაცვალების ამბავის ტექსტის ბოლოს, ლექსი (სხვა ფორმით) მიცვალ?ულის დატირება: „ტუნები გაჭს შაჭრით სველი, მინასავით ვარ[დ]ზე ხალი, გამო მზეო, გამიგონე...“ 28 r-v.

1303

ჩუბინაშვილი დავით. თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“-ს ლექსიკონი
[მე-19 ს.]

34 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [მე-19 ს.]; დაუწერელია: ყოველი ფურცლის v მხარე და ფფ.: 7, 12, 15, 17, 31, 34. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„აარესი და (8) აღმსთობა (17)—აღრე ასწრაფება...“ 2 r—33 r.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე: „თეიმურაზ მეორის ლექსიკონი. ეს ლექსიკონი შედგენილია დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის მიერ და შეიცავს ზოგიერთი სიტყვების ახსნას „ღამის და დღის გაბაასებიდან (—ანუ „სარკე თქმულთა“) თეიმურაზ მეორისა. ე. თაყაიშვილი“. 1 r.

2. ლექსიკონი ასოცდათუტეტიოდე სიტყვას შეიცავს. მათგან ზოგი დატოვებულია განუმარტავად და კითხვითი ნიშანი უხის.

1304

კრებული (მე-19 ს.)

23 ფ.; 20×16,7; ქაღალდი; უყდო (რვეულად შეკერილი); მხედრული (არის ავრეთვე რუსული და ფრანგული ტექსტი); მე-19 ს; დაუწერელია: 1 v. 2 rv. 19 rv. 21 r—22 v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „ბედი ქართლისა. პოემა ნ. ბარათაშვილისა. კახთა მიმართ.—ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით...“ 4 r—16 v.

შენიშვნა: ტექსტის დეფექტები შესწორებულ-შევსებულია სხვა ხელით.

2. „Roujet de L'ysle—Marseillaise

Allons! enfants de la patrie...“ 17 r—18 r.

3. „Памяти Добролюбова.—Вечный враг всего живого,
Тупоумен, дик и зол,
Нашу жизнь за мысль и слово
Топчет произвол!..“ 18 v.

შენიშვნა: ლექსი მიმართულია მეფის მთავრობის თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც მტრულად უცქეროდა ყოველივე ახალს და ფფ. 1-2v-ზე სთელავდა დიდებული კრიტიკოსის დობროლიუბოვის ახრსა და სიტყვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „Quodeumque sorte accedit, usura est. Vous devez vous dire...“ 20 r—20 v.

წ ყ დ ე ბ ა: „En sorte qu'au bout de cent ans, la famille...“

შენიშვნა: ტექსტში დაპირისპირებულია მშრომელის განუწყვეტელი **ბრძოლა** ლუკმა-პურისათვის და რანტიეს მუქთახორული განცხრომა.

5. „История последних $3^1/_2$ ст. называется новою исторіею не потому только, что эти века ближе к нам, но потому, что в это время развилось много совершенно новых и неизвестных в средние века явлений в жизни народов...“ 23 r—23 v.

შენიშვნა: ავტორი „ახალი საუკუნების“ მოკლე დახასიათებას იძლევა.

1305

ლოცვები სინანულისა [წე-19 ს.]

8 ფ.; 21×16; ქაღალდი (ლურჯი); ყუდო რვეული; დაზიანებული; მეიდრული; 1809 წ. (8 v); გადამწერი: ირემაშვილი სიდონია (28 v.). შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„სარწმუნოებით აღგიარებ და თაყუანის-გცემ შენ [მამაო] და ძეო და სულო-წმიდაო! უკმნელო და უცნდაო ბუნებაო [!], შემოქმედო ანგელოსთა და კაცთა და ყოველთა ქმნილთაო, შეიწყალე შენი დაბადებული და მე, მრავლის მცოდუ[ლი]...“ 1 r—4 r, 5 r—7 r.

შენიშვნა: 8 v-ზე მინაწერი: „ტერ ამინაკალი სომხური, ქართულად ნათარგმნი“. (ტექსტის ხელისაგან განსხვავებული ხელით).

1306

თეიმურაზ I. ლეილ-მაჯნუნიანი [1864 წ.]

28 ფ.; 18×22; ქაღალდი; ყუდო; დაზიანებული; მეიდრული; 1864 წ. (28 v); გადამწერი: ირემაშვილი სიდონია (28 v.). შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ბრძანებითა მღვთისათა. კარი პირველი ლეილისა [!] მიჯნურისა ყაისისა. სპარსულად ნათქვამი, ქართულად გადათარგმული [!], ბატონის თეიმურაზისაგან ლექსად ნაბძანები. სუფევამცა აქუს და კურთხეა სულსა მისსა. — ღმერთო, რომელი თჳით სიბრძნით ხარ, სიბრძნის მომცემელობით...“ 1r-28v.

შენიშვნა: 1. „ლეილ-მაჯნუნიანი“ ეს ტექსტი მრავალ შეცდომას შეიცავს.

2. ტექსტს ახლია სტროფები: 84—89, 114—125, 229—247, 250—251, 254—262, 267—270. (შდრ. თეიმურაზ I. თხზულებათა სრული კრებული. ედ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფ. 1934).

ანდერძი (გადამწერისა): „წიგნი ესე ლეილიანი დავსწერე ირემაშვილი პავლე მღვდლის ქალმა, ნიკოლოზ მღვდლის მდივანოვის ფიოდია სიდონიამა. სრულ იქმნა მარტის თორმეტსა, დღესა ხუთშაბათსა, წელსა ჩყად-ს“ 28 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1307

კრებული [1828 წ.]

26 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული (მტკად ჭეჭიანი, დალაქებული); 1828 წ. (16 ს.). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „ოლქესიანი].—ქ. სტანბოლში შინა [!] ერთი კაცი იყო დიდებული და მქონიარე თვალესა და მარგალიტისა და ოქჳროს პატრონი...“ 1 r—10 r.

2. „[იობის ლექსი].—ქ. ცის გახსნაზე დაიბადა, დღეს დაესწრ[!] ახსარებისა. პირველ მისცა მტკიცე რჯული ლოცვისა და თაყვანისა...“ 10 v—12 v.

შენიშვნა: ტექსტი დაწერილია ლექსის ფორმის დაუცველად.

3. „ქ. სასუნებელათ ფერსო საკლმისა, შენ ნარგიზი ხარ ტურფა კვალისა, ვარდი წითელი იმ ედემისა, იქედგან ჰურჭელი მარგალიტისა...“ 12 v—16 r.

შენიშვნა: 1. ლექსი ღვთისმშობლის შესხმას წარმოადგენს, რაც გარკვევით ჩანს შემდეგ ნაწყვეტში: „დავრჩი მოვალე მე შენის ძისა, არსით არა მაქვს მე ღონე ხსნისა, შენის მეტი, დედაო მღვთისა...“ (14 rv).

2. ტექსტი დაწერილია ლექსის ფორმის დაუცველად.

3. ლექსის ავტორად შესაძლოა ვიგულისხმოთ ტექსტის ბოლოს მოხსენებული მ ა ი ა: „...მიც შენიბრალეთ საწყალი ს ო რ ა მ ი ს დ ე კ ა ნ ო ზ ი ს ტ ე რ თ მ ა ს კ ა ლ ი მ ა ი ა. ვინც წაიკითხოს, მე შენდობა მიბძანეთ, დამწერს დღ(ე)გძელობა. ამენ“. 14 v.

4. „იგავნი სახმარი, რომელნიც მამისენი იქმნების. ა. კაცსა ერთსა ერთი მარილის ქვა აეკიდნა და ერთს აღმართში, რაოდენსაც დაშორდა, დაიღალა...“ 16 r—20 r. ბ. „კაცმან ერთმან ოცის თუმნის ოქრო მიაბარა მეორეს...“ 20 r—21 v.

შენიშვნა: 1. ორი იგავი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი, დამმოძღვრებელი შინაარსისა.

2. ტექსტს წინ ჭძღვის გრძელი „დიდება“ ღვთისა, რომლის მეორე ნახევარი იკითხება: „...მხსნელო იესო ქრისტე! შეწევნითა შენითა .. გამოთარგმანება [!] წერილი ესე ქრისტეს წვალებისა [!] და გოდებისა [!] ეკლესიას შინა ავეტიქ გორგოჯანოვისა, ავლაბარსა. მოქმედულობითა ტირაცა ავეტიქასაგან. მამანო და ძმანო, დედანო, რაოდენსაც შეგემთხვათ წერილი ესე წასაკითხავათ, მოიხსენეთ ცოდვილი, რათა მოგიხსენიოთ თქვენა ღმერთმა, როდეს მოვიდეს ღრუბლითა და სურფვითა [!] თავისითა, ნაკლებთა და შეცდომილთა შეცოდებულთა. შეგვინდვეთო, რამეთუ ჩვენი შეძლება ეს იყო. აღიწერა წელსა ჩყკუ, მარტსა ი ამდონს დღესა“. 15 v—16 r.

5. „ქ. მოისვენე, მოისვენე, შვილო ჩემო, საყვარელო! ტკბილის ძილით დაიძინე, გულს ნათელი დაიფინე! ნანნი, ნანი ნა...“ 22 r—24 r.

შენიშვნა: 1. ლექსი სასულიერო შინაარსის „ნანინას“ წარმოადგენს: ღვთის მშობელი ნანას უმღერის ჩვილ იესოს: „...შენ ხარ მტრედი ზეცით მოფრენილი, ...სული წმინდისა მიდგომილი...“ და სხვ.

2. ტექსტში ლექსის ფორმა არ არის დაცული.

6. „ქ. ავიღე მე, ამისი ქვემორე ქელის მომწერელმა, კუკიაში მცხოვრებელი[!] კიკოლაშვილი[!] სასაკამ[!], შენ, არუთინ კარაპეტოვ(ი)საგან ათი თუმანი ფული...“ 24 r-v.

შენიშვნა: 1. ტექსტი თამასუქს წარმოადგენს.

2. თარიღად უხის ჩყლ წელი.

7. „ქ. ფრიადის ღვაწლით მოჭირნახულევ, მოწყალებელ(ო) მამაგ! მორჩილებით, პატივისცემითა მწყალობელს ხელზედ კოცნას მოგახსენებთ...“ 24 v.

წყდება: „ამ წერილს ჟამად კარგად და მშვიდობიანად გახლავართ“.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს შვილისაგან მამისადმი მიწერილის მოკლეთვის ბარათის ნაწყვეტს.

8. „...რა მოვიდნენ მაღალ ნერგთან, შეშას მისცეს ცეცხლგიდება. ცეცხლი ასეთი აენთო, აღი ზეცას ავარდება...“ 25 r—26 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი აბრამისაგან ისაკის მსხვერპლად შეწირვის ბიბლიური ამბაკის გალექსილ დამუშავებას წარმოადგენს.

2. ლექსი თანაკლულია.

1308

ხერხეულიძე ომან, მღვან-ბეგი. მეფობა ირაკლი მეორისა [მე-19 ს.]

22 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდრო (რვეულად შეკერილი); მხედრული; თავბოლონაკლული; ბოლო ფურცლები დაკარგული, უკანასკნელი სტრიქონები გადასული; მე-19 ს.

„...სე მკვიდრობდე ქართლსაო. ხოლო მეფემან წარუვლინა ძმა თჳისი იასე და მისღმასავე თანა იასესა წარმოემართა ყარსით ჯარით და დადგა შამბჲთონს. [და კვალად მეფემან] მიაგება ძე თჳისი ბაქარ და მუნით მოვიდა სარასკირი...“ 1 r—22 v.

წყდება: „...მოიწია სამეფოსა პალატსა ზედა ქართლოსიანთასა არამცირედი [უბედურება]. მით, რუ გარდაიცვალა უგანათლებულესი ძე მეფის ირაკლისა, სახელოვანი ჭაბუკი ლეონ, სოფელსა შინა გურჯაანს, წელსა ჩლპბ, რომლისათჳსცა უმეტეს მოხარულ იქმნა სულიერმან და სთქვა ესრეთ: „ერთი ფრთა აქუნდა მეფესა, რომლითაცა ჰფარვიდა სამეფოსა თჳსსაო და აწ იგი მეელო მოხუცებისა ჟამსა და რაჲთა ძალუძსო! ამად უმეტეს განი[გულა] ოხრება საქართველოჲსა. ხოლო არა მრავალთა ჟამთა ამათ [ე]მედგომად წარმოაელინა უდიდებულესმან იმპერატრიცა ეკატირინამან მეფის ირაკლისა თანა პოლკოვნიკი ბურნაშოვი, ორის ბატალიონით. მეფესა ეს... განჯა და ეჯდა მას შინა თავად განმგებლად მისისა მის[თჳს ყ]დ... მას ყოველნივე მტერნი ქრისტიანეთა ზედა გარემოთა სამძლუართაგან ჰყუსს... რ[ა] მათ ფაშითურთ დინ ისლიბი [!] შეითქჳნენ და მიუხდეს განჯას გამაძე... იგი მეფესცა და დასევს მემკვიდრედ განჯას ჯაჳთხნ. მოუწოდა... ხანს, რომელმანც შეიკრიბა ჯარები, ვიდრე ოცი ათასამდე. . . . თჳსით და მოვიდა აღაზნის პირს, მოიმედე მჴედრო... ირაკლი განემზადა...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი შესამნევ ვარიანტულ განსხვავებას წარმოადგენს 1854 წ. გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით (შდრ. ქართლის ცხოვრება. ნაწილი მეოთხე. გამოცემული ჩუბინოვისაგან: სანკტპეტერბურგს, 1854. „მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“ გვ. 476—498).

1309

ვახუშტი. საქართველოს ისტორია (ნაწყვეტი) [მე-19 ს.]

71 ფ.; 21,6×17,7; ქაღალდი; უყდრო, რვეულად შეკერილი, მხედრული (ორი სხვადასხვა ხელით); თავ-ბოლო ნაკლული; მე-19 ს.; დაწერილია: 24 v. 25 r.v. 26 r. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„...[იძლივნენ შირგისანნი და მოისრნენ ყოველნი, რომელთა არა ენებათ მშვიდობა. მოუგზა კეისარი და მოხოხრნა ქვეყანანი. კვალად იწყეს ზავი, რამეთუ შიში აქუნდა კეისარსა განდგომაღლებისა ბერძენთათა. ხოლო მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ კეისარსა...“ 1 r—71 v.

წყ უ დ ე ბ ა: ბერქა ყეენის გამოსელაზე: „...ამსა ამას გამოვიდა ბერქა ყეენი დარუბანდის გზით, მცნობმან აბაღა ყეენმან შემოიკრიბნა სპათა თჳსთა სიმრავლე. შეჰრა მტკვრის პირი და არაზისა მცხეთამდე. მოვიდა ბერქა. მოაოჴრა მოვაკანი და ერეთი ტფილისამდე. არამედ თჳთ დადგა შთასი ზედა გარესჯისასა. მაშინ შეიწყალა ღმერ[თმან ქვეყანა ესე და მოკუდა ბერქა ყაენი]...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. ტექსტი ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ ნაკვეთს წარმოადგენს (შდრ. ვახუშტი. ტფილისის 1854 წ. გამოცემა დ. ბაქრაძის რედაქციით, 147—248 გვ.).

2. ტექსტში სქოლიოებია: 7 r, 13 r, 15 v, 28 v, 40 v, 44 v, 44 v, 52 v, 53 v, 55 v, 58 v, 59 v 65 r, 66 r, 71 v,

3. ტექსტში ჩართულია: „ლექსი თქუული თამარ მეფეზე კათალიკოზ პატრიარქის მეფის ძის ანტონ [I]ისაგან.—ამისსა ბროლსა ნათელსა აჴიჴა შუა რეოდა...“ (49 v—50 r)

1310

ათასერთი ღამე (ფრაგმენტი) [მე-19 ს.]

6 ფ. (ძვ. პაგინაციით 98—110 გვ.); 35×22,5; ქაღალდი (უყდო, დაშლილი, დაბეჭდული: პირველი და მეორე ფ.—თავბოლო მოხეული); მებერული; [მე-19 ს.]. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„...უთხრეს: შენ ეხლავე.....ლს შადი და გვერდით... შენ ასე უთხარ და დაარწმუნე]... ქმარი და სულთანმა მე მომცა... ცოლათა და ის კუზიანი მეჯინიბე მასხარაობის გულისათვის მოიგონა სულთანმა...“ 1 r—6 v.

წ ყ უ დ ე ბ ა: „დიდს ზალაში შავიდა, სადაც იგი კუზიანი იდგა ყირაზედა და ნახა რომ...“

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. თავბოლონაკლული ტექსტი იწყება ასმეხუთე ღამით და წყდება ასმერვე ღამეზე.

2. თარგმნილია (რუსულიდან?) მეტად ეულგარული სტილით: „ხმერთი“ (ღმერთი), „მეფეროგე“ (пирожник), „ზალა“ და მისთ.

1311

ისაკ მცირე. ბრძოლა ძლიერი კატისა თაგუთა მიმართ [1819 წ.]

8 ფ.; 22×17; ქაღალდი (ცისფერი); უყდო, ქაღალდისავე კანით; მებერული (სხვადასხვა); 1819 წ. გადაწერილი: ალექსანდრე ჩიქოვანი (8 v). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ბრძოლა ძლიერი კატისა თაგუთა მიმართ და თაგუთა სამთა სხუათა გუართა ცხოველსა თანაშეწევნითა კატისა მიმართ, რომელი იქმნა მეფობასა სპარსთა შორის ძლიერისა მეფედ მეუფისა შაჰუნ შაჰსსა, რომელსა ნადირმაბითცა უწოდებენ კაცნი სპარსეთისანი: თქმული შაირად ისაკ მცირისა მიერ, რომელმან დალექსა პირისპირ მოთხრობანი ჰამბაუთა მისთანი.

—1) ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა, წინ წარმოდგა ნაზად კატა...“ 1 r—8 v.

შენიშვნა: სტროფების სათვალეო აღნიშნულია 76 ოთხსტრიქონიანი სტროფი.

1312

პარაკლისები [1800 წ.]

I—III+146 ფ.; 18,7×11,5; ქაღალდი; ტყვეგადაკრული მუყაოს ყდა (107—108 ფფ. ამოვარდნილი; სათაურები სიწყურათ, დასაწყისი ასოები ასომთავრულით); 1800 წ. (144 r.). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„გალობა საეკლესიო ყოველად წმიდისა ღ-ის მშობელისა, რომელი ითქმის ყოველსა ღმებისათჳს სოკლეარისა და ჯორაციელისა. თქმოკლი თეოქტ ი რ ი ს ტ ე მ ო ნ ა ზ ო ნ ს ა.—მღვდელმან: „კურთხეულ არ ი ს ა“, გუნდმან: „ამინ! დიდება შენდა, ღმერთო...“ 2 r—143 r.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს შემდეგი პარაკლისების კრებულს:
ა. „ღთისმშობლისა“ (ორი) 2 r—38 r.
ბ. „ჯუარისა“ 39 r—52 v.
გ. „აღდგომის (პასექის)“ 53 r—57 v.
დ. „ანგელოზთა“ 58 r—67 r.
ე. „შუშანიკისი“ 67 v—81 r.
ვ. „წინასწარმეტყუელთა“ 82 r—92 r.
ზ. „მოციქულთა“ 93 r—104 r.
თ. „მღუელთმთავრთა“ 105 r—113 v.
ი. „ღმერთშემოსილთა მამათა“ 114 r—125 r.
კ. „იერუ ტაბლისა“ 126 v—138 r.
2. ყდის სატკ ფურცლებზე, სხვა ხელით, მიწერილია: ა. სამკუნერო ბარათი (I ყდის I rv); ბ. ზოგადი გეოგრაფ. ცნობები (რუსულად) II rv-ე. ვლადიმერ მონომახის შესახებ (II, 146 rv.—რუსულად და ქართული თარგმანი).
მინაწერები: 1 rv..144 v. 145 rv.

1313

წმინდათა ცხოვრება [მე-19 ს.]

II, 77 ფ.; 16,6×10,5; ქაღალდი (ცისფერი); მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სიწყურათ); მე-19 ს. ჯვარ-ობანა 1804 (71, 72 ფ.); დაუშეულია: 59 v, 60 rv, 72 v, 77 r. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „თჳესა ფებერვალსა ი. ცხოვრება და მოქალაქობა წ-ისა მამისა ჩუენისა მაკარი რომაელისა, რომელი იპოვა მახლობელად სამოსისა ოც მილიონსა. მამაო, გ-ნე.—გეყდრებით ჩუენ, ვლასაენი და მდაბალნი, მარტოდ მყოფნი თუოდეულ და სერკის და ეკლესი ყოველთა მამათა ჩუენთა და ძმათა, რათა ისმინოთ ცხოვრება მაკარის ნეტარისა...“ 2 r—22 v.

შენიშვნა: გამოცემულია ქ. კეკელიძის მიერ. იხ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.“ II, 50—63.

2. „ცხოვრება წ-ისა მამისა ჩუენისა ონოფრე განმორებულისა და სხუათა მეუდაბნოეთა, რომელნი იხილნ[ა] მამამან პაფნოტი. გვაკურთხენ, მამაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ცხოვრება საღთო და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი, ისმინენით, საყვარელნო ძმანო, რომელსა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი პაფნოტი, ხილვად..." 23 r—38 v.

3. ცხოვრება ქალწულისა კანონკესი, რომელი იყო ასული მთავრისა ერთისა კოსტანტინეპოლელისა და იქმნა მძოვარ,—იყო ვინმე ერთი მამათაგანი, რომელსა ერქჳა სილოვანე და სჯდა იგი ჭვაბსა შინა მონასტერსა ფარასასა, მახლობელად იერუსალიმსა. ფუთრობდა ძმათა და ჰრქჳა, ვითარმედ: იყო ვინმე კაცი მძოვარი..." 39 r—44 r.

4. „ცხოვრება და მოქალაქობა ევფემიანესი და ძისა მისსა ალექსი, კაცისა ღ[მრ]ისა.—იყო ვინმე ჰრომს ქალაქსა შინა კაცი მორწმუნე და მართალი და მდიდარი ფრიად და სახელი მისი ევფემიანე..." 44 v—51 v.

შენიშვნა: 1. შდრ. კ. კეკელიძე „კიმენი", I, 161—165.
2. სქოლიოებში, სინგურით, არშიებზე—ძველოვან სიტყვათა განმარტება.

5. „თოვესა ოქტონბერსა წამება წმინდისა ყოვლად ქებულისა ქალწულისა პარასკევასი.—ესე ასული იყო აღათანკოსი, რომისა სტრატილატისა და მეუღლისა მისსა პოლიტასი, მორწმუნეთა მშობელთა..." 52 r—59 r.

6. „თვესა ფებერვალსა ი[ე]. ცხოვრება და სიმხნე წ[ი]სა დიდისა ევფროსინესი და მოქალაქობა მამისა მისისა პაფნოტისა.—იყო ვინმე ალექსანდრეას კაცი აზნაური. სახელი მისი პაფნოტიოს. ესე იყო მოსწრაფე მცნებათა ღ[მრ]ისათა..." 61 r—72 r.

მინაწერი: II v, 1 r.-v.

1314

კრებული [1799 წ.]

141 ფ.; 16×10; ქაღალდი; მუყაოს ყდა, ტყავგადაკრული, ტკიფრული, ნაკლული; მხედრული (სათაურები სინგურით); 1799 (28 v. 135 r), გადამწერი: დავითის ძე გიორგი. 135 r. შემოწირულია ქუთაისე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „გამოცხადება იოანე მოციქულისა. თავი პირველი. ა.—გამოცხადება იესუ ქრისტესი, რომელი იგი მოსცა მას ღმერთმან ჩუ[ე]ნებად მონათა მისთა..." 1 r—8 v.

წყება: „...და მე ვტიროდე ფრიად, რამეთუ არავინ იპოვა ღირსი, რათამცა განეღო წიგნი იგი და წარ..."

2. „საველითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.—პირველსა ადგილსა ამას ქრისტეს გაასამართლებენ ჯვარს საცმელად. თაყვანსა გცემთ და სხ. კეისრის შ[ე]სათვის იერუსალემის უშჯულო მოსამართლე პილატემან და ღ[მრ]თის რისხვის მოხელემან, რათგან შენი ჯვარცმის საიდუმლო ესე თვითან არ იცოდა, ამ პირველს ადგილს სასიკეთოდ გაგასამართლა შენ..." 9 r—16 r.

შენიშვნა: ჩამოთვლილია თორმეტი ადგილი ქრისტეს ენებისა და მოკლედ მოთხრობილია ენებისა და ჯვარცმის ამბები.

3. „ყამის ლოცვა ენების კვირიაკი წ[ა] შაფათისა განთიადისა ჩუმათ უნდა თქვას ერთი „მამაო ჩვენო", ერთი „გიხაროდენ" და ერთი „მრწამსი" სახუმელაჯსა „მშვიდობით, „მას ზედა დაეწვე და დავიძინო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტი მოტანილია მთლიანად.

2. დართული აქვს მარტის თვის დღეების კალენდარულად (კვირის 7 დღეებში) განაწილების ტაბულა.

4. „საქრისტიანო მოძღვრება. წინა თქმულება.—სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამენ. ო[სტატი]: „ვინ დაგბადა შენ?“ შ[ეგირდი]: „ღმერთმან...“ 17 r—19 r. 20 rv.

წ ყ დ ე ბ ა: „ო[სტატი]: „ერთი დიდი წინამძღვარისაგით [!] ჯოჯოხეთში როგორ არის?“ შ[ეგირდი]: „ერთი ძლიერი მოსამართლესავით, რადგან...“

შენიშვნა: 24 rv მოთავსებული კითხვა-მიგებითი „მოძღვრება“ მოცემულია სათაურით: „ა. ცისა და ქვეყნის დაბადებისათვის, თავი ა კ[ითხვა]: „ვინ გააჩინა ცაჲ და ქვეყანაჲ?“ მ[იგება]: ღმერთმან...“

5. „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაჰმისა...“ 21rv.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს მათეს სახარების 1. მმ. 1—18, ეფლგარული მართლწერით.

6. „ლუკასი. თავი ა.—აღსდგა მარიამ მათ დღეთა შინა და წარჴდა მთად კერძო მსწრაფელ ქალაქად იუდასა...“ 22 r-v.

შენიშვნა: ტექსტი—ლუკას 1 თავის მხ. 39—56-ს წარმოადგენს.

7. „რაჟდ. რაზ. როჲ. რაჟდ. სოზ...“ 23 rv, 24 v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ანბანის სასწავლო სავარჯიშოს, დაწყებულს 23 rv-ზე (გრძელდება 24 v-ზე: „ტნე, ტჲი, ტოთ...“)

8. „პარაკლისი, საეფრებელი ყოველად წმიდისა ღ[თისა მშობლისა, ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა.—უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ...“ 25 rv—26 r.

9. „მოისვენე, მოისვენე, შვილო ჩემო საყვარელო! ტკბილის ძილით დაიძინე, გულ(ს) ნათელი დაიფინე, ნანი, ნანი...“ 27 r—28 r.

10. „ძლის პირი და ღ[თის მშობლისანი.—უცხონი აღდგნეს ჩემ ზედა და ძლიერთა იძიეს სული ჩემი...“ 28 v—70 r, 75 v—129 v.

შენიშვნა: 1. აქვე ჩართულია „რაჟა ჭმათაგან პარაკლიტონისა კვირიაკესა, დასდებელნი აღდგომისანი“ 59 r—68 r. „სხუანი დასდებელნი აღმოსავლურნი“—პატრიოსანსა ჯგარსა შენსა თაყვანის ვცემთ...“ 68 r.

2. საგალობებში ჩართულია სახარება-სამოციქულოსა და ფსალმუნის ტექსტების ნაწყვეტები.

3. 70 v-ზე: შვიდსტრიქონიანი ნაწყვეტი. „—ანბავი ჯუმჯუმ ხემწიფისა გაცოცხლებისა. წშ. გრიგოლმან გაიარა ჭალისა პირსა...“

4. 70 v-ზეც სომხური ტექსტი, ქართული ტრანსკრიფციით: „ქ: ვტაკ მწი უუფათო სუქნ ობან არაჭილუნეურსე ვტაკ იტმაჰუნ სატატენე...“ შინაარსი: „დიდი პარასკევის ლოცვა“. 70 v—74 v.

11. „დიონისიოს არიოპაგელი, ტიტე და არფოზია და სიმრავლე მორწმუნეთა მათთანა ერთობით პირად პირადად გალობდეს...“ 129 v—130 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „ნეტარ თქვენ, პირველ მოსრულთა და ჯურთხეითა მისითა აღავსეთა. ხოლო ჩუ ჩვენდა აწცა მოსრულსა სიხარულისაგან ცაროელსა, მწუხარებითა და გლოვითა საცესა წარსწულისათჳს დღდოჲლისა ჩვენისა...“ 131 r—135 r.

შენიშვნა: გადმოცემულია ღვთისმშობლის გარდაცვალების ამბავი.

13. „ჯვარისის გზა, გინა ჯვარი, აზიდული ქრისტეს მგზავრობის კაპეტით გოლგოთაჲდის, საფიცრებელნი ათ(ო)ხმეტნი წესისამებრ აღგილთა მათ წმიდათა იერუსალჱმისათა... საჴელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ...“ 136 r—141 r.

შენიშვნა: 1. შედგება სავალდებულისაგან.
2. მთელი კრებული მოწაფურად, უსისტემოდ, ჴშირგზით არის შესწორებული.

ანდერძი: (ვადაწერის): „აღიწერა ესე წიგნი თჳენ[ე]ბჳს: კ: ქორანიკონს ჳჯზ-ხელითა ს..... [ამოფხეკილია] დავითის ძის [გიორგისითა]. მასწავლებლობითა ჩემის ოსტატის რაფიელის ჴელმჴ[ე]ვითა“. 135 r.

1315

ჟამნი [მე-18 ს.]

102 ფ.; 16×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ჭიისაგან ძალზე დაზიანებული მხედრული (სათაურები სინჯგრით); მე-18 ს.—გვირონიანი 1785 (91 ფ.). შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ჟამნი ძალითა ღ[ვთისა.— რა ჟამს აღდგე ძალისაგან, განეშორე სარეცელსა და ბრძანე: ღ[ვთ]ისა წმიდათა მამათა ჩვენთათჳს, უფალო [ი]ესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ. ამინ...“ 2 r—102 v.

შენიშვნა: ხელნაწერის („ჟამნის“) ტექსტი არსებითად 1899 წ. თბილისის „ჟამნის“ ტექსტს ემთხვევა, ცალკეულებით მასალის განსწორებაში და, ალბ., მასალის შეკუმშვით (თვენი).

1316

მსოფლიო გეოგრაფია [მე-18 ს.]

69 ფ.; 16,4×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდა (ჭიისაგან მეტად დაზიანებული); 1, 6, 59 ფფ. ნაწილი მხედრული, თვით ფფ. ძლიან დაზიანებული; თავმოლანკული; მხედრული (სათაურები ხოვან სინჯგრით); მე-18 ს. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„...აღრისათჳს, ჩრდილ გამომდებ ნაოჯთათჳის მიწისა და სიმდიდ... პურისათჳს და ყოველის სახ[ჱრდო]სა კაცთათჳს და პირუტყუთ[ად]. შემკულ ‹რს ეგოდენითა პატი...ითა, მდინარითა, ტბებ[ითა], [ყო]ველთა წ[ა]როებითა, [ა]რა] თ[უ] სასწელად, არამედ საკურნებელადცა მრავალ რიგ სალმობათა კაცთათჳის...“ 1 r—69 v.

წ უ ძ ე ბ ა: „ესე ჩოლეთ აღწერა გჳეშნი, გარნა შეწეობად ესეთებისათჳს, რომელნიცა მომდომნე არიან გაგებად განსაზღურებისათჳს ქუეყანისა, სიმრგულისათჳს და ნაწილებისა და სამატონებისა, მას შიგან მპყრობელ მჭოსნებელთათჳს. არამედ ესოდენი დრო, გინა მოცალეობა სარჯელოა თჳისთა წოდე...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: გეოგრაფიის ტექსტი მოკლედ განიხილავს: I. ევროპის ქვეყნებს: 1. [„ღიშანია“-ს] 1 r—7 r.; 2. „სახელმწიფოთა ფრანცუზთა“ 7 r—9 v; 3. „იტალიას“ 9 v—12 v; 4. „სახელმწიფოთა კეისრისათა, რომელსაცა საფრანკეთად ანუ გერმანიად [!] ეწოდება“ 12 v—16 v. 5. „ნიდერლანდიასა“ 16 v—18 v. 6. „სამეფოთა დათკისათა..“ 19 r—21 v; 7. „სახელმწიფოთა შვეთისათა“ 21 v—24 r; 8. „სამეფოსა ლიტვისათა“ 24 r—26 v; 9. „სახელმწიფოთა ინგლიზისთა“ 26 v—28 v; 10. „სამეფოთა ვენგრიისათა“ 28 v—29 v. 11. „თათართა ყირიმისათა“ [შედარებით გრძლად] 29 v—34 r.

II. აზიის ქვეყნებს. ზოგადად: „ყველშია აღწერა ევროპისათვის. მოკლედებით აწ აღწერად მეორესა ნაწილსა ასიისასა“—34 r—36 v; 1. „სახელმწიფოთა ურუმისათა“. 36 v—39 v; 2. „სამეფოთა ყიზილბაშისათა“ 39 v—41 r; 3. „ხაღთა ბაიანისათა“ 41 v—43 r; 4. „სამეფოთა ჩინეთისათა“ 43 r—46 v; 5. „სახელმწიფოთა ინდოეთისათა“ 46 v—49 v; 6. „კუნძულისა ინდოეთისათა“ 49 v—54 v.

III. 7. „მესამეთს ნაწილსა აფრიკასა“ 54 r—55 r; 8. „მწარეთა ვარვარისათა, რომელ არს მისრეთი“ 55 r—57 r; 9. „ეგვიპტისა სამეფოსი“ 57 r—58 r 10. „ეთიოპიისა“ 58 r—61 v.

IV. „აღწერა ქვეყნისა მეოთხედის ნაწილისა ამერიკისათა“ 62 r—63 v; 1. „ღიშანისა ახლისა“ 63 v—64 v; 2. „მხარეთა პერუანისათა“ 64 v; 3 „მხარეთა ჩილეისათა“ 65 v; 4. „მხარეთა ბრაზილისათა“ 66 r—67 v.

V. „აღწერა მეზუთისა ნაწილისა ქვეყანისა“ [ავსტრალიისათვის]—ბოლოსკენ 68 r—69 v.

1317

სწავლანი სულიერნი [მე-18 ს.]

119 ფ.; 18×11; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ყდა ხისა; თაბაშირული (1 ფ. ნახევრად მოხეული); მხედრული (ასოგ სინგურით); დაზუსტებულია: 10 v, 11 r. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„...და სავსე უბრალო სიტყვითა, ამისთვის რა აღგიმღერეენ მშვიდობასა სვინიდი[სი]სასა და ჩაგგდებენ მრავალს ეშვსა და [ც]ოომასა შინა, რ თუ განდობაში და მეტადრე [გ]ა‖დბაში შესანდობელი ცოდვებისა გაგრძელება [!], მრავალ და უსაჭირო სიტყვითა და უფრო გინდა მოსცენება შენის გულის ტანჯვისა შენის შრომითა, ვირემც მდაბალი ნდობითა ღთისა მიმართ, მარადის დაბნელებული დარჩები...“ 1 r—116 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს „საძიებელი“ (116 v—119 v).

2. ტექსტში ავტორებად დასახელებული არიან წ. ბერნარდე (19 r), ჰენრიკო სუსო (25 r) და სხვ.

3. ტექსტს ახასიათებს მეტად თავისებური ენობრივი მოვლენები (სტილისტური და ლექსიკური): „შიგნაური ლაპარაკი“. „შიგნაური განხილება“ და სხვ.

4. ტექსტი ნათარგმნი უნდა იყოს სომეხების წრიდან გამოსული ქართველი კათოლიკეს მიერ, ქართველ კათოლიკეთათვის.

1318

კარაბადინი [1790 წ.]

II, 83 ფ. (166 გვ.); 15.8×10; ქაღალდი; ტყავგადაკრული, ტეიფრული ყდა ხისა, დახიანებული; 54—62 ფფ. დაზეული, 55, 62 ფფ. ნახევარი და არის, 80 ფ. ამოვარდნილია; მხედრული (სთაურები სინგურით); 1790 წ. (83 v.) I v. და II v-ზე წითელი ლუქის ბეჭედი, ლეგენდით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიკოლოზ გამრეკელ[ი]ვი“. 83 v.—ბეჭედი, ლეგენდით: „არჭიმან(დ)რიტი გამალიელი“ 83v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„კარაბადინი, ბრძენთაგან და ფილოსოფოსთა მკურნალთაგან თქმული. კარი მაჯის გასინჯვისა გამცნებს თუ როგორ გიამბობსთ, ეს გასინჯე და შეიტყე.—კაცსა სნეულსა მაჯის ძარღუმბი რომ უნახოთ, ასე უნდა რომ ოთხი თითი მიიტანოთ და მაჯაზე დასდოთ და ველი არც მწუმლ მოუჭიროთ და არც სუსტად დაიჭირო...“ 1 r—80 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...სოოსა და ყუანისათჳს ატმის ფოთოლი მოხარშე და წმიდად გამოწურე და იმისი ფაფა შექენ. ძმე...“

შენიშვნა: 1. კარაბადინის ტექსტს დართული აქვს „ხანდუკი“ 82 r—83 v.

2. ტექსტი ნზ (57) კარისაგან შედგება.

3. პირველი ორი (ა) კარი და კარი ლზ (37) დიაგნოსტიკას წარმოადგენს.

4. პირველ კარში (ა) ჩართულია წამლად სასმარებელ ბოტნეულ-მცენარეთა ნუსხა, განმარტებებით (ლექსიკონი, სულ 11 სიტყვა), რომელსაც ბოლოში წამლის აწონისათვის საჭირო წონის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინების განმარტება ახლავს: „წიწაკა შინაური ზაფრანა [!] მწარე...“ „ოცდაათი ქრთილის მარცვალი ერთი ყრათია, რომელ არს კერატი. სამი კერატი ერთი დანგრა...“ 2 r-v.

5. გ—კე (3—25)—ლმ, ლთ, მბ კარი განსხვავებულ ნაირ-ნაირი სნეულების ნიშნებს და იძლევა სათანადო დარიგებას მკურნალობა-წამლობისათვის.

6. კვ—ლგ კარი განკუთვნილია საცვები მასლის (ჯორი, ხორცი, კვერცხი, თევზი, ერბო, რძე, ყველი, ხორბალი, ბრინჯი) „ხასიათის“—დიეტური თვისებების გარკვევისათვის.

7 ლდ—ლვ კარი ადამიანის ანატომიურ აგებულებას („ძარღუმბისა და ასოთა-ხასიათს“) არკვევს.

8. მ (40) კარი სამკურნალო მცენარეთა (მელის-კუდა, კამის თესლი, ვანაკის თესლი და სხვ.) „ხასიათს“ ეხება.

9. მგ—ნზ კარი იძლევა სამკურნალოდა და საკვებად (დიეტურად) სახმარ ნივთიერებათა და ხილთა „ხასიათის“ ანალიზს (შაჭრის, თაფლის, ლეღვის, ყურძნის, ღვინის, ძმრის, ტკბილის ბროწეულის, ნუშის, ვაშლის, სსლის, ბიის, ატმის).

10. ცალკე არის განხილული შაჰმანიისაგან (გველი, მორიელი) ნაკბენის მკურნალობა.

11. ტექსტს ბოლოში აკლია „კარი შირიმის სნეულებისა“.

12. ტექსტში მრავალ ადგილას იზმარება მახვილის ნიშანი.

თარიღი: „წელსა 1790. ჭ[ა]ს 478: მარტის 5, დღესა სამშაბათსა. 5, 263 12 1411 ჳსასა [!]“. 83 v.

1319

კონდაკი [მე-19 ს.]

142 ფ.; 15,7×9,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; 7 ფ. ამოვარდნილი; მხედრული (ალაგ სინგურით); მე-19 ს.; ვერონიშანი 1813 (136—137 ფფ.); გადაწერი: „დედამთანაზონი გრიგოლ“ (95 r. 110 r); ილუსტრაციები (რუსული ნაბეჭდი გამოცემებიდან): 36 v. 65 v. 95 v; დაუწერელია: 2 rv. 35 r—36 r, 64 v—65 r. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„განგება მ(წ)უხრისა.—იტყვის მღვდელი „კურთხეულ[ა]რსსა“ და მკითხველმან „მოვედით თაყვან...“ და ფსალმუნი ოცდაერთი, „კურთხეს[ი]“. ხოლო მღვდელი დასდგების წინაშე წმინდისა კარისა ქუდმოკიდით და წარიკითხავს ლოცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა მწუხრისასა. ლოცვა ა. — უფალო სახიერო, სულგრძელო და მრავალმოწყალეო, ყურად იღე ლოცვა ჩვენი..." 3 r—141 v.

შენიშვნა: 1 ხელნაწერის ტექსტი (კონდაკი) შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ა. „განგება მწუხრისა". ბ. „განგება ცისკრისა". გ. „განგება წირვისა". დ. სამღთო მსახურება... იოანე ოქროპირისა", ე. „სამღთო მსახურება... დიდისა ვასილისა", ვ. „სამღთო მსახურება პირველ განწმენდილისა" (ალაგ: „პირველ შეწირულისა"), ზ. „ჩამოლოცვანი დღესასწაულთანი [და] შვიდეულისა". ი. „კვირიაკესა: შემდგომად სამებისანისა ლოცვა... „ყოველისა შემძლებელო და ცხოველსმყოფელო სამებაო, წმინდაო...", თ. „ლოცვა გმადლობისა". ი. თვენი (მარკვე, სექტემბრის 1-დან აგვისტოს 31-დე).

2. ხელნაწერის „განგებანი" ვახტანგის სტამბის (ტფ. 1710 წ.) „კონდაკისა" და თბილისის 1899 წ. კონდაკის „განგებათა" ტექსტებთან შედარებით, შემოკლებული ჩანს.

მინაწერები: 1 rv, 7 v, 38 rv, 142 rv. და II ყდის შიგნით.

ანდერძი (გადამწერისა): „წმინდაო მღვდელთ-მთავარო ვასილი, მეოხ მეყავ წინაშე ღ'თისა ღვდელ-მონაზონს გრიგოლს." 95 r.

1320

დაუჯდომელი ღვთის მშობლისა [1832 წ.]

108 ფ.; 11×8.5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივირული ხის ყდა; მხედრული; 1832 წ. (47 r. 99 v. 107 r); დაუწერელია: 1 v, 107 v—108 v. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„იბაკონი და იკოსნი წმინდისა ღვთისმშობელისანი. ხმა ჳ.—ზესთა მბრძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა შევსწირავ, ღ'თის მშობელო..." 2 r—107 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის შედგენილობა:

1. „დაუჯდომელი" 2 r—47 v.
2. „პარაკლისი, საეკლერებელი ყოველად წმიდის ღუთისმშობელისა" 47 v—95 r.
3. „სიმეონოლ სარწმუნოებისა". 95 v—99 r.
4. „ათორმეტნი თვენი, საცნობელნი დღეთა და ჟამთა ღამე-დღეთასა და საჩინოთა დღეთა და დღესასწაულთა საუფლოთა და წმიდათა". 100 r—107 r.

2. I ყდის შიგნიდან გაკრულია XVI—XVII წვრილი ნუსხურით ნაწერი ფურცელი საგალობლებისა.

ანდერძი: „სრულ იქმნა სადიდებელად ღვთისა და უთესლოდ მშობელისა ქალწულისა მარიამისა, ივნისის კბ. წელსა ჩყზბ". 107 r.

ანალოგიური ანდერძები: 99 v. 47 r.

1321

ოთხთავი [მე-18—19 ს.]

121 ფ.; 23×17; ქაღალდი; უყდო; ბოლონაკლული; მხედრული (121 ფ. დახეული); [მე-18—19 ს.] ფერადებით ნაწერი ილუსტრაციები, შემკულობანი და მახარებელთა პორტრეტები: 1 r, 34 v, 35 r, 36 r, 58 r, 59 v, 60 r, 96 v, 97 v, 98 r. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაჰამისი..." 1 r—121 v.

წყდება: „ნუ უკუ შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ! ხოლო მან..." (იოანე, თავი 18, მხ. 25).

შენაშენი: იოანეს სახარების ტექსტის წინ უძღვის: 1. „წესსმა იოანე მახარებელისი, თქმული დროთეოს მოწამისა, სინოპრელისა ეპისკოპოზისა მიერ“. 97 r.

2. „წესსმა წმიდისა მახარებელისა [იოანესი]. თქმული სოფრონის მიერ“-97 rv.

1322

კრებული [მე-19 ს.]

132 ფ.; 23×17; ქაღალდი (სხვადასხვა); უყდო, ტყავდაკრულ ხის ყდაში ჩადებული; დაშლილი, ჭუჭყიანი, დაბეჭდილი (27, 39, 45, 114, 115, 132 ფფ.); ნაკლული; მხედრული (სხვადასხვა): [მე-19 ს.] შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „სახარება იოანესი.—მას ჟამსა შინა დგეს ჯვარსა მას თანა იესოსადა დედა მისი და და დედისა მისისა მარიამ კლეოპასი, და მარიამ მაგდანელისა...“ (იოანე. 19. ზხ. 25) 1 r—42 r.

შენაშენი: თავნაკლული ტექსტი სახარების გამოკრეფილ საკითხავებს წარმოადგენს.

2. [დავთარი, სადაც აღნიშნულია ახალ-შობილთა დაბადების და მონათლვის თარიღები და მონათლულთა სახელი და გვარი 1830—1841 წწ. დავთარი სოსხვრად არის დაწერილი]. 43 r—44 v.

3. „Evengelio per la Domenica XX. dopo le Pentecoste. 35. შემდგომი სიტყვანი წმიდისა სახარებისამებრ იოანესი.—მას ჟამსა შინა იყო ვინმე სახეფოთ მორთული კაცი, რომლისა ძე სნეულ იყო კაპერნაუმს...“ 46 r—117 v.

4. „[ლოცვები და საგალობლები]. —სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ღერთო: შეწევნად ჩვენდა ამხიელ. უფალო, შეწევნად ჩვენდა ისწრაფე. დიდება მამასა და ძესა...“ 118 r—132 v.

წყვდება: „მეოთ მეყავნ ჩვენ, წმიდაო ღითის მშობელო, რათა ღირს...—...ხმობილო ანგელოზისაგან...“

შენაშენი: 1. სახარებისა, ლოცვათა და საგალობელი ტექსტებში მრავალ სიტყვას ზემოდან წარწერილი აქვს ლათინური შესატყვისი (48 r, 54 v, 58 r-v და სხვ. მრავალი.).

2- შემჩნეულია თავისებური გამოთქმანი: „მაშინელო“, „ლუსმარი“. „ჩემი უმუდი შენ ხარ, უფალო,“ „ვეეედრები, ამოიღო ჩემი გულდან ჭეშმის სიყვარული, რომ ამ ფერად ჩავისტამფო [!] მარტო შენი სიყვარული.“ 121 v.

მინაწერები: I და II ყდის შიგნით, 42 v. თურქული ტექსტი სომხური ტრანსკრიფციით 126 r.

1323

რჯულის კანონნი [მე-19 ს.]

30 ფ.: 16.5×10; ლურჯი ქაღალდი; თხელი მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); მე-19 ს.—ბეირნაშენი: [18] 34—30 ფ.; გადაწური: ბერი ნიკოლაოს; ადგილი: დავით გარესჯის მონასტერი (30 ს). შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „კანონ(ნ)ი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე მმარხველისა მიერ, კოსტანტინოპოლელ პატრიარხისა.—უკეთუ ვის შემთხუენენ ბუნებათნი ცოდვანი, ესე იგი არს სიძვანი დედათა თანა გინა თუ ქმრითა, ანუ მჭევალთა, ანუ მეძავთა, წესითა მით ბუნებითისა ცოდვისათა და დაეყოენოს საქმესა მას შინა მრავალქან...“ 2 r—26 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „კანონნი დღითი დღეთა ცხომათანი, ვითარცა წ ნ ვასილი განაწესნა.—პირველი მოსლვა გულის სიტყჳსა, რომელი მოუწდეს და გონებაჲთ მსწრაფლ განიოტოს, რომელსა ეწოდების ბერძულებრ (პროსა-ჳოლინ), უცო დველი არს...“ 26 r—29 v.

მინაწერი: 1 r.

ანდრეძი (ვადაწურისა): „აღიწერა დავით გარესჯისა მონასტერსა შინა, უდრისსა მიერ ბერისა ნიკოლაოზ-ისა“. 30 r.

1324

საგალობელნი [მე-19 ს.]

16 ფ.: 16×10; ლურჯი ქაღალდი; უცდო; დაზიანებული; 1 და 16 ფურცელი გაზეული; მხედრული (სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები ნგსხურით); [მე-19 ს.]. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ანტიფონი ა, რომელ არს აღსავალი· ჴმაჲ ა.—პირსა ჩემსა შეესმინე სალმობათა ჩემთა და მიხსენ მათგან, ჰი, მრავალმოწყალეო, უფალო, გეშვდრები...“ 1 r—9 v.

თავდება. „წარდგომა ხმა ჱ.—სუფევს უფალი უკუნისამდე, ღმერთი შენი სიონ, თესლითი თესლამდე. მუხლი: „აქებს სული ჩემი უფალსა“.

შენიშვნა: 1. ტექსტში სინგურით დაწერილია სათაურები საგალობელთა: „აღსავალნი ანტიფონი“ (სულ „ჴმა“ 8 [8]); „წარდგომა“ (სულ „ჴმა“ 8 [8]).

2. დართული აქვს: „საღმთისა ლიტურღიასა „ღირს არსისა“ წიდ, რომელი ითქჳის სრულიად წელიწადსა შინა, ჴმითა აღიწერების, შეწევნითა ღ[მრ]თისა ტიბიკონისა. რომელი აღმოაკოთებედს, გულისსჴა ყიენ. თვესა სექდემბერისა 8, შაბ[ა]თა ყ-დ წ-სა ღ-ის მშობლისასა. —„მოვედით, თაყვანის ვსცეთ“ ითქჳ[ს]...“ (სექტემბერიდან აგვისტომდე) 10 v—16 v.

მინაწერი: 15 v.

1325

წირვის გალობა [მე-19 ს.]

7 ფ. 17×10; ქაღალდი; რბილი მუყაოს ყდა; მხედრული; მე-19 ს.; ჰვირნიშანი: 1837 (6,7 ფ.) დაზიანებულია: 7 ფ. (შუაში ამოხეული); გადამწერი: ილია ნათიძე (7 რ.). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„წირვის გალობა წმი-სა იოანე ოქროპირის ლიტურღიისა ზედა.—გალობა დიდისა მშვიდობიანისა 1. ამინ, 2 ღ. ჲ. [„ღოსპოდი პომილუა“]... 1 r—7 r.

შენიშვნა: 1. 1 r-ხე ვერტიკალურად ჩამოწერილია: „ღ[ოსპო]დ პ[ომილუა] (თორმეტჯერ). თავსა და ბოლოში: „ამინ“, ხოლო ბოლოწდელი „ამინის“ წინ „ტ[ერ]ე[ბ]ი, ღ[ოსპოდ]“.

2. მთელი ხელნაწერი იძლევა იოანე ოქროპირის წირვის საგალობლების რუსულ ტექსტებს, ქართული ტრანსკრიფციით: „სლავა ოტცუ ი სინუ...“, „სვიატი ბოჟე...“ და სხვა ლოცვებისა და „პრაზ-ნიკისა“ [„ეკლესიის დღესასწაულის“]...

მინაწერები: 1 და 11 ყდის შიგნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1326

სახარება მათეი (ფრაგმენტი) [მე-10 ს.]

2 ფ.; 23×18; ეტრატი; უყდო; ასომთავრული [მე-10 ს.]; მე-2 ფურცელს მარჯვენა არშია მოჭრილი აქვს. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„[მორაცედა იესო ადგილთა მათ კესარია-ფილიპესთა, ჰკითხვდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა: რა ჰსთქჳან ჩემთჳის] კაცთა ძისა კაცისა ყოფად? ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლისმცემელი, რომელთამე ელია და სხოჳთა იერემია, გინა ერთი წ~წტ~ყლთაგანი...“ (მათე, 16, 13—25) 1 rv.

წყდება: „ოჯკოჳეთოჯ ვისმე [უნდეს სული თჳსი განრინებად]...“

„[კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცეს ერთი მათგანი, არამედ დაუტეევნეს] ოთხმეოცდა ცხრამეტნი იგი მთათა შინა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი...“ (მათე. 18, მხ. 12—22) 2rv.

წყდება: „ჰრქ~ა მას ი~ჳ: არა გეტყჳ—შენ, ვიდრე შჳდ [გზისადმდე]...“

შენიშვნა: პირველი ორი გვერდის ტექსტის ქვემოთ ნაჩვენებია პარალელური ადგილები ოთხთავთაგან („სიმფონია“). 1 rv.

1327

კონდაკი [მე-15 ს.]

გრაგნილი (3 კრეფა) 93.5×23; ეტრატი; ნუსხური; სათაურები სინჯურით; [×v] ნაკლული, გადასული: v მხარეზე ძნელად იკითხება; შემკულია ფერადებით; ნაწერი ə ასოთი (1 r). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

[იოვანე ოქროპირი. საღმრთო წირვა] „... და გამოუცხადოს მათ სახარებაჲ [სი]მართლისა და შეაერთნეს წმიდასა მისსა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიასა“...

წყდება: „....და მოიჴსენე ყოველნი დაძინებულნი [სასოებითა] აღდგომისა და ცხორებისა საუკუ[ნოჲსათა]...

შენიშვნა: იოანე ოქროპირის წირვის ტექსტში ჩართულია: „კათაკმეველთა. თავნი თ~ქნნი ო~ა მოუდრიკეთ“. მღდმნლოცვაჲ: „ო~ო ღ~ო ჩ~ნი...“ და „კონდაკისათჳს“ დამახასიათებელი წესების სხვა ტექსტები (შედარებულია ვახტანგის სტამბის კონდაკის გგ. პ~ზ—რპ. ტფილისი 1710 წ.)

1328

„საკჳრაოი“ [მე-15 ს.]

გრაგნილი; 325×19; ეტრატი; ნუსხური; [მე-15 ს.]. დაზიანებული: დასაწყისი წახეული; ბუთი კეფა (ძაფით გაკერილი); გადამწერი: აბრაჰამ სავანი (ანდერძი); ორი კეფის verso დაუწერელია. სვანეთიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„... ვ~რ თჳთ ჴელითა მისითა წმიდითა დაწერილი წიგნი. გ[არდამო]გჳლინა მოციქული და უფროსი და უზეშთაესი პირველთა მათ მოციქულთასა ჰრომს ქალაქსა წმიდასა [უფლ]ისა. ფრიად საკჳრველი და სასწაული მცნებაჲ ესე ქრისტესი, რომელი უფროს იყო გონებათა და ზე იყო, რომელი არა სწუთებოდა არცა ცასა და არცა ქ~ყანასა. წერილი იყო იგი ფიცართა ზედა

მყინვარისათა და დაუკრძალა ყოველთა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი აპოკრიფულია: „ჰრომის“ პატრიარჭის ათანასეს და საკრის•იანო კუღტის სხვა მრავალრიცხოვან მსახურთა (მღვდელ-დიაკვანთა) კრებულს ჭ. რომში, 48000 მორწმუნის თანადასწრებით, მოეკლინებათ ყინულის ფიქრებზე ქრისტეს საკუთარი ხელით დაწერილი მცნებანი. ერთი საათით მზის დაბნელებისა და სხვ. დამშინებელი ზომების შემდეგ ყინულის „წიგნი“ გადაეცემა მორწმუნეთ, „სულთქმით გარდათქმული“ „ასთჳთმტ ქორონკოსს“ დაწერილია, ამბობს ავტორი: „აწ მომილენია ქორონკოსსა ორას და ოთხსა“. ქრისტე მოუწოდებს ერს, რათა მოიქცენ, „რომელნი ზრახენ მღ•დელთათჳს — პატივისცემით მოეპყრან სამღვდელოებას, ვინაიდან მღვდელნი არიან „მარილი სოფლისანი“. იგივე წიგნი მოუწოდებს მორწმუნენი, რათა შესწორონ ეკლესიის „მონაგებისაგან თჳსისა“. ასეთ შემთხვევაში ქრისტე ჰპირდება გადახსნას ზეცას და „აწცა საწუთოჲ“-ს, „ნაცვლად ერთისა წილ ოცდაათი, სამოცისა წილ—ასი“. და თუ ვინმე „ავის ოქეზღსა“ ნათესავს მისცემს, ღვთის რისხვას დაიმსახურებს. „წიგნში“ არის აგრეთვე მოწოდება ობოლთა, ქვრივთა, დავრდომილთა და გლახაკთა განკითხვისათჳს. განსაკუთრებით სასტიკ სასჯელს ემუქრება. „წიგნი“ **კვირა დღის** დაუცველობისათჳს: „დაიმარხეთ დღე, რომელსა ეწოდების კჳრიაკჱ, დღე აღდგომისა ჩემისა და წმიდად პაოსკეი [+ოთხშაბათ]“-ო. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება სისხლის ღვრის, ქვის სტენვის, მკალისა და მემლის მიერ ენეს. „წიგნი“ ჰგმობს აგრეთვე იმათ, „ვინც განიშოროს ცოლი თჳისი და სხვაჲ შეირთოს“. ამათ თავზე მდუღარე წყლის დადენას ემუქრება.

„ესრეთიათა კიდეცეულისათჳს“ მორწმუნეთ წარღვნის განმეორება მოელის. განსაკუთრებით დაჟინებით იხსენიება „წიგნში“ **კვირის** მოთხოვნა — „შაბათის ცხრაჲ ჟამითგან ვიდრე ორშაბათ მხისა აღმოსულვამდე“. ტექსტში სხვადასხვა ადგილას ვხვდებით ქრისტეს „საკუთარი ხელით“ ყინულზე დაწერილი წიგნის ნაძდვილობის მტკიცებას. ტექსტის ბოლოს მოთავსებულია ანდერძი, რომელშიაც ჩვენს ძეგლს ეწოდება საკჳრიაოჲ. სინეველნარი დავთარში ე. თაყაიშვილის ხელით ჩაწერილია ხელნაწერის მოკლე აწერილობა: „აპოკრიფული მოთხრობანი, ეტრატზე, გრაგნილად, ხუცური. სვანეთიდან“. „ეკჳთომე თაყაიშვილისაგან“. (ს.ს.ს. მუზეუმის ხელნაწერი წიგნების დავთარი. II, 64 გვ.).

ანდერძი: „ეს წიგნი რომით მოვიდა. დაუკლებელად დაჟწერია. კრებულნო ღთისანო, მამანო! ესე საკრიაოჲ მე აბრაჰამ სვანმან გარდამოვწერე. კარგი დედა ამისი წიგნი ვნახე და მკჳთა. ვინცა წენჯობაჲ სთქუთ, თქჳე შეგინდოს ღ•მან. ამინ. დაიწერა ქრონიკონსა ოცდა ოთხსა [!], მეფობას ღთივ გჳრგჳნოსნისა კოსტანტინესსა.“

ახალი აბზაცით, უფრო სუფთა ხელით მოწერილია: „წესაო [!] ! შეინახეთ! რა მ...ო მელი არა შეიქნას დიაკონ.... [უ] მეცარსა კაცს., რომე წოგისა პატივ(ი) არ იცოდეს, მათიმცა ჴელი ნუ შე(ე)ხებისა“.

1329

პარაკლიტონი [მე-14—15 ს.]

51 ფ.; 16×12,5; ეტრატი (პალიმფსესტი); უყდრო; დაშლილი; ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-14—15 ს.]. შემოწირულია ე.წ.თაყაიშვილისაგან 1916 წ.

[პარაკლიტონი]“...და სული და ჴორცნი ჩემნი და გონებაჲ გულსა თანა შენდა მომართ აღმიპყრია, ღ•თისა დედაო...“ 1 r—51 v.

წყდება: „ღ•ის მშობელო, ქალწულო! შენგან შობილისა მიერ ჴორციელ ჴოჯოხეთი წარმოტყუენა ადამ“.

შენიშვნა: ბ. IV რეესტრის გარეგანშე წარწ•რილია: „NB 28 გამორჩენილია“. ბ. პარაკლიტონში ამოკითხულია სინგურით ნაწერი სათაურები:

1. „დასდებელნი ბზობისანი...“ 12 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „დიდსა ხუთშაბათსა დასდებელნი უფალო ღაღადყავსა“ 19 v.
3. „მეიქუსესა ხუთშაბათსა ამაღლებაჲ უფლისა ჩ̃ნისა იესუ ქრისტესი...“ 27 v.
4. „უფროსცვალებასა...“ 31 v.
5 „... ღრთასა უფალო ღაღადყავსა...“ 35 v.
6. „სიცდნებრესა იდ ამაღლებაჲ პატრონისა ჯ̃რსა...“ 41 r.
გ. ძველი (გადარეცხილი) ტექსტი დაწერილია საშუალო ზომის მრგვლოვანით.
დ. ძველი პაგინაციით ფურაგმენტში 52 ფურცელია, იმის გამო რომ რიცხვი 28 ჩაგდებულია (იხ. IV რედუქის შენიშვნა გაიეკაბზე).

მინაწერი: 1 r. 4 v.

1330

იოანე ოქროპირი. ჟამის წირვა [მე-16 ს.]

35 ფ.; 15.5×11; ტერატი; ცალი ყდა, ხისა; დახიანებული (1—9, 12—14 ფფ. მარჯვენა კიდეები თაგვისაგან დაზრუნეა); ხუსტური (სათაურები სინგურით); გადამწერი: ხუროაბა ბარალ̃ონი (31 r); [მე-16 ს.]; დაუწერელია: 1 r, 31 v, 35 v, შემოწირულია ე̃ქვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„საღ̃თო ჟამის წირ̃ვაჲ წ̃ესი ი̃ე ოქროპირისა. — შერავიდეს მღ̃დელი სამღ̃დელოსა, დიაკონი სადიაკუნოსა შინა და შეიმოსოს სტიხარი და ოლარი თჳსი და აღიღოს სფეი და ჯუარი დასწეროს. ამის შემდგომად აღიღოს ლახუარი, აღმოკუმოს მორ̃ხიეითად[!] და ⟨ა⟩ღმოკუმადეს რაჲ, იტყოდეს ესრეთ: „დაიკლეს ტარ̃გი ღ̃მისაჲ, ძე მამისა, აბხუნელ⟨ი⟩ ცოდვათა სოფლისათა, ვითა ცხ̃ებარი კლვად მიგბარა და ვითა ტარიგი წინაშე მრისუეელისა თ̃ისისა უჴმობელი, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა სიმდაბლითა მისითა...“ 1 v—31 r.

თავდება: „მღდელმან ლოცვაჲ: „ძალითი ძლაჲ მოსრულნი ჩ̃ნ, ცოდვილნი და ღირსნი მონანი შენნი უგალობით [!] მეუფებაჲსა შენისა[!]: ქრისტე, ღმერთო ჩ̃ენო, და აღსრულთ სალმობ̃თა მსახურებაჲ და სა⟨ი⟩დუმლო და მოსრულნი მეორესა ამას ტრაპეზსა შენსა, შენდა დიდებაჲსა და მადლობასა, თაყ̃ანისცემასა აღვაღენთა, თანადაუსაბამოთა მამითა შენითა, ყოველად წ̃რ̃სა სახიერით და ცხოველის მყოფელითთურთ სულით შენით აწ და მარადის უჴუნისამდე. ამინ“.

შენიშვნა: 1. დართული აქვს „ლოცვა ზჳარაკისა. — უფალო იესუ...“ 32 r—35 r.
2. შედარებულია ვახტანგის სტამბის „კონდაკის“ (ტფ. 1710) იოანე ოქროპირის ჟამის წირვის ტექ̃ტთან. რომ ოისაგანაც განსხვავდება ⟨იე—რდ. გვ.⟩.

ანდერძი (გადამწერისა): 1. „ამის წ̃ერილსა ხუთაბაჲ ბარალ̃ონისა [!] შეუნდეს“ 31 r.
2. „ამი⟨ნ⟩ მჱრეულსა შ̃ნ, ღ̃მრთისა, ამინ. უფალო ღ̃მრთის⟨ა⟩ მის დედა-მამათა შ̃ნ ღ̃ს. ა̃მ.“ 35 r.

1331

კრებული [მე-14—15 ს.].

70 ფ.; 11,5×105; ტერატი, ტყავგადაკრული ხის ყდა, მოცილებული, გატეხილი, მარჯვენა ყდის ნაწილია დარჩენილი; ნაკლული; [მე-14-15 ს.]; ხუსტური (სათაურები სინგურით); ფურადი თაქაზმ̃ლობა: 1 v. შემოწირულია ე̃ქვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

1. „სახარება იოანესი. პირველი. — პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღ̃ისა თანა და ღ̃მერთი იყო სიტყუაჲ იგი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. იოანეს სახარების 1, 1—17 მ.ხ.

2. სათაურის წინ, ფურცელი თაგვისშუღლობის თაღის ქვეშ: „უფალო ღმერთო, წყალობითა სა...“

2. „სახარებაჲ მათესი.—მას ჟამსა შინა მოვიდა სახლსა პეტრესსა და იხილა სიდედრი მისი დავრდომილი მწურავლებაჲთა და შეახო ჴელსა მისსა და დაუტევა იგი მწურავლებამან...“ 3 r—4 v.

შენიშვნა: მათეს თავის სახარების 8: 14—23.

3. „სახარება მარკოზისი.—მას ჟამსა შინა იყო კაცი ვინმე შესაკრებელსა მას შინა ურიათასა, რომლისა თანა იყო სული არა წმიდაჲ. ღაღადყო და ჰრქუა...“ 4 v—5 r.

შენიშვნა: მარკოზის სახარების 1. 23—28.

4. „სახარება ლუკასი.—მას ჟამსა შინა შევიდა იესუ კაპერნაუმს და ასისთავისა ვისმე მონა სნეულ იყო...“ 5 r—6 v.

შენიშვნა: ლუკას სახარების 7:1—10.

5. „ებისტოლე ავგაროზისი. რა მიუწერა ავგაროზ იესუს, მეუფესა. —ავგაროზ, მთავარი ქალაქისა ედესიისა, იესუ მაცხოვრისა სახიერისა გამოჩინებულისა ქალაქსა იერუსალიმსა გახარებს...“ 6 v—8 r.

6. „პასუხი მიწერილი ავგაროზის მიერ მთავრისა.—ჯერ არს ჩემდა პირველად აღსრულ(ე)ბად განგებლ ბისა ამის, რომლისათჳს მოვლინებულვარ მომაკლინებლისგან ჩემისა...“ 8 r—17 v.

შენიშვნა: ავგაროზის პასუხის ტექსტში ჩართულია: „ბეჭედი“ და „თარგმანება ძალისა თჳთეულისა ბეჭდისა“. 10 v—11 v.

7. „ლოცვაჲ წმიდისა კჳპრიანესი, მაოტებლად ეშმაკთა. — ვითარ იგი წმიდა იქმნა სჳეთროსა ამის შინა და ითხოვა უფლ ისა იესუსგან და მოიღო რაჲ იგი, ითხოვა ღმრთისაგან და თქუა: გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო, მეუფეო ცათა და ქუჴყანისაო...“ 17 v—25 v.

8. „ლოცვაჲ წმიდისა ბასილისი, მაოტებლად ეშმაკთა.—გხადით შენ, უფალო ღმერთო, მეუფეო, ყოველსა მპყრობელო, მადალო, გარეშეუწერელო, მეუფეო მწჴრადბისაო, გხადით შენ, შემოქმედო ცათა...“ 25 v—31 r.

9. „ლოცვაჲ იე ოქრიპირისა, კაცსა ზედა ჭირვეულსა.—საღოოსა წმიდასა და დიდებულსა საწინელსა და წესაძრწუნებელსა და წინადაუდგრომელსა წოდებასა ეყოფ შერისხვისა შენისათჳს, ეშმაკო...“ 31 r—35 v.

10. „ლოცვაჲ კაცსა ზედა ცხროასა. — კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო, კეთილო მკურნალო სულთა და ჴორცთა ჩჳთაო...“ 35 v—37 r.

11. „ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისი.—ღმერთო ცათა და ქუჴნისაო და ყოველთა დაბადებულთაო! რომელმან შერისხენ ლეგეონს ეშმ(ა)კთასა, შერისხენ ამისთჳსცა აჲაწმიდათა სულთა...“ 37 rv.

12. „ლოცვაჲ წ ისა იე მამხველისაჲ[1].—სახელითა მამისაჲთა, ძისათა და სულისა წმიდისაჲთა. მჴეცნი აქებენ მამასა, ძესა და წმიდასა სულსა, რომელი იყო ჴუნწარეს საუკუნეთა...“ 38 r—43 r.

შენიშვნა: ლოცვაში: „აწ შევიპყრობ ძასა ღმრთასა, ჴულსა დეკთასა... გაფუცებ, შენ რაჲსა ხარ—მე ცეცხლი ვარ, შენ ცეცხლი ხარ—მე წყალი ვარ. შენ წყალი ხარ —მე დეკი ვარ, შენ დეკი ხარ, მე—მეხი ვარ, შენ მეხი ხარ, მე კჩრის ანგელოზი ვარ... ესე ლოცვაჲ პირველითგან იყო... ესე მაშინ იყო, ოდეს ცაჲ არ იყო. ბნელი იყო. წყალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყუნეს. წყალთა ზედა ნავი იყო, ნავსა ზედა საყდარი იყო..."

13. „ლოცვაჲ ეშმაკთა განსხმისა.—სხდეს წმიდანი დედანი პირსა იორდანისსა, აღმოსლვასა ოდენ მზისსა იქმოდეს წამალსა თავისასა, თუალისასა, ტანისასა, სენისასა, სნეულებისასა, ჭარისასა, გურემისაჲსა..." 43 r—46 v.

შენიშვნა: 41—42; 43—44 ფ. ფ: არეული თუ ნაკლულია.

14. „ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისაჲ, მაოტებლად ეშმაკთა. — აჰა, ესერა გაფუცებ..." 45 v.

შენიშვნა: დანარჩენი ტექსტი ხელნაწერს აკლია,

15. „...ვანა ცხენი შავი. აუდვა ლაგამი შავი. დადგა უნაგირი შავი. აჰჭირა საჭირობელი შავი. შეჯდა კაცი შავი. გაემართა შავსა გზასა..." 47 rv.

16. „ლოცვა მძრომისა მჯდომისა. — იესუ ქალაქით ქალაქად ვიდოდა. ჰკურნებდა ჯერკუალსა ქარ-ჯერკუალსა, ნაცემსა ეშმაკისსა, ქუჯელ ვნებდა ყანასა. გუშლნი ებნეს უღელსა. ცუდ იყო შრომაჲ მისი და უღელი იგი იყო ცეცხლისა..." 47 v.—48 v.

17. „ლოცვაჲ მტერდაცემულისა.—რაჲ დაეცეს, ცერნი შეუჯრენ ესქუჯითა და ათისავე თითისა ფრჩხილონი მოსჭრენ. ლორჯსა მჭუარსა შეუხუენ და თავსა ჯუარედინად თმა მოკუშეც..." 49 r—51 r.

შენიშვნა: აქუე ჩართულია შელოცვა: „ესე შეუსლიე ...გამოვიდა შავი კაცი შავით ტყით და შავითა კლდით. ერთი თითი ცეცხლისა ედგა, ერთი—წყლისა..." 50 r—51 r.

18. „სხუაჲ ლოცუაჲ სახლ-მტერ-დაცემულისაჲვე ეშმაკისა და ქაჯისა. —სახელითა ღ[მრ]თისაჲთა, მამისაჲთა და ძისათა და სულისა წმიდისაჲთა. გამოვიდა შავი კაცი..." 51 r—56 v.

19. „სხ[ვ]ა ლოცვაჲ მისვე, მაოტებლაჲ ეშმაკთა.—თქ[უ]ნ გეტყჳი, მტერნო ო[ჳ] ნაზარეველისანო, რ[ომ]ან მოგცა საყოფელად, რაჲსა იკადრებთ..." 57 r—57 r.

20. „ლოცვაჲ წ[მი]სა გრიგოლი ღ[მრ]თის მეტყუელისა. —აჰა, ესერა გაფუცებ თქ[უ]ნ, ყოველთა მავნებელთა სულთა უკეთურთა, ძალსა ღ[მრ]ისა ცხოველისასა..." 67 v—70 v.

წყდება: ნუ ჴელგეწიფების მიჰხლებად მისსა, ანუ ხარ მავნებელი მზისა აღმოსლვისა ანუ სამხრისა, ანუ ჩრ[დილ]ისა]."

1332

კრებული [მე-14—15 ს.]

33 ფ.; 11.5×8,5 (სხვადასხვა ზომის); ტერატი (პალიმფსესტი); უყდრო; დაწლილი; დაზიანებული (ფფ—ბი: 17, 18, 19 20, 21 უკუღმა ჩაკერებულია; 28, 29, 30 კიდეებ მოჭუჭყილია); ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-14—15 ს.]. შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1816 წ.

1. [კურთხევანიდან]... „ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყუნეთ, ესე უწყოდეთ, რამეთუ ძლიერელი[!] იგი კაცი ჩ[ო]ნი მისთანა ჯუარს ეცუა..." 1 r—30 v.

2, „... ეფუდისა.—ა [მთავარი]სასა ეფუდი — დღე ყოველი იკითხე. ბ. ნუ იკითხავ..." 30 v—31 v.

წყდება: „... და ანუ გზასა წარვიდეს".

შენიშვნა: ტექსტები სამკითხაო მინაარსისა არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „... ზ...სა უქმი... კ̈ე მესამედ პოვნა თ̈ვისა. უქმი ჴსნილი...“ 33 rv.
მინაწერი: 1 რ-ზე.

1333

თთვენი [მე-18 ს.]

335 ფ.; 33×21; ქაღალდი (მოლურჯო); ტყავგადაკრული ტკივრული ბის ყდა, ნახევრად მოცილებული; ამოვარდნილია: 156, 163, 170—172 ფფ.; მოცილებულია 284—335 ფფ.; დაზიანებულია: 327—335; მხედრული (სათაურები სინგურით, მთავრულით); მე-18 ს. (1788—ჶვირნიშანი—15ნ, 160, 163, 164 ფ.); დაუწერელი ფურცლები: 287 v, 288—291. შემოწირულია ე.ჭეჭიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„თთჳსა დეკემბერსა აჲს დღე **ლ**ა. პირჳსსა დღესა წმიდისა წინასწარმეტყჳსსა ნაომისი. ტროპარი. ჴმა ბ.— წინასწარ-მეტყჳსსა შენისა, უფალო, ნაომის სავსენებელსა ვდღესასწაულობთ. მისითა მეოხებითა, ქრისტე, ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუჳნნი...“ 1 r—334 v.
შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი შეიცავს „თვენს“ დეკემბრის 1-დან მაისის 25-მდე.
მინაწერი: 335 r, v.

1334

ამვროსი ნეკრესელი. ბარათების წიგნი [მე-18 ს.]

439 ფ.; ზომა ძირითადი რვეულებისა: 34,5×21,5; ყდა ფიცრის, ტყავგადაკრული, ტვიფრული; ფურცლები მეტად დაზიანებული. ხელნაწერში ჩაკინძულია სხვადასხვა ზომის რვეულები; ზოგიერთი მათგანი ძლიერ არის დაზიანებული, ფურცლებსა და ფურცლებს შუა ყრია ქაღალდის ნაგლეჯები, რომელთა აღდგენა ან მოკუთვნება ამა თუ იმ ფურცლისადმი შეუძლებელია; მხედრული (ასოგა—წვრილი, გაკრული, ძირითადად — კალიგრაფიული); მე-18 ს. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„ქ. მაგათის ყოვლის სიკეთით და ღ̈თის მოყვარებით სრულქმნილისა და ჴელმწიფეთაგან კეთილპატივით ცნობილი(სა) და ჩვენთვის დიდად ღთის წყალობად სასიქადულოს, ჩვენს ფრიად მოწყალეს ძმასა და მძახალსა მილახვარს ბატონს...“ 1 v—439 v.

წინ უძღვის: „ზანდუკი, რ-ლ არს პინაკსი ბარათების წიგნისა.

ა. ქ. მეგობართან, მამასთან, ბიძასთან, მოყვასთან, ძმასთან და შვილთან.

ბ. ქ. დედოფალთან, ასულთან, დარბაისლის ცოლთან, დედასთან, დასთან, მეუღლესთან და სხვასთან კი შეარცხვინა [?].

გ. ქ. სამძიმარი: უმაღლესთან, უმდაბლესთან. ერთობით ნახე თჳსიანთან, არ თჳსთან.

დ. ქ. პატრიარქთან, ეპისკოპოსთან, მღუდელთან, დიაკონთან.

ე. ქ. რისაც შეწირულობისა, თავდავსნილობისა ანუ წყალობისა, ან ნასყიდობისა, ან შვილობისა, ფიცისა, ანდერძისა და ანდერძი მწერლისა ან დიდებულთა და მეფეთაგან შერისხვისა.

ვ. ქ. მაღალს თავადთან, ანუ მდაბალთან.

ზ. ქ. მეფესთან, მეფისძესთან, იმპერატორთან, ყენენთან და ხვანთჭართან.

ჱ. ქ. ქებათა შესხმა ანუ ძაგება, ანუ კურთხევა, ანუ წყევა, ანუ მილოცვა.

თ. ქ. არზა. სიჩივარი და სათხოვარი.

[ი] [ქ. ა] მი[ერი]თგან იწყე შეყრილი ნუსხა, შემოკლებული თავები, ან რიტო.....ტაჟი.

[იბ]. [ახლად შობი]ლის დღის აღწერა და საფლავზე დაწერა, ვინათგან ში[შველი] [მოვალს], შიშველი განვალს (ამის ქვემოთ პირველი ფურცელი მთლათ დაცრეცილ-გახრწნილია და აღარ იკითხება).

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს ბარათებისა ანუ სამდივნო წიგნს, რომელშიც მოცემულია ნიმუშები საეკლესიო, სამოქალაქო და კერძო ხასიათის მიმწერრისა და საბუთებისა. ალაგ, ეტყობა, ნამდვილი წერილების და საბუთების პირებია ჩართული. განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ პირთა: ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, ბატონიშვილების, გიორგი XII-ის, მხეკაბუკ ორბელიანის და სხვათა წერილები და საბუთები.

2. ხელის მიხედვით კრებულის შემდგენელი, რედაქტორი და დიდი ნაწილის გადამწერი ამბროსი ნეკრესელი უნდა იყოს (იხ. ბ. წერეთელი—„ზაქარია ხუცესის ვინაობა". გამოუქვეყნებელი შრომა).

3. ხელნაწერში, სხვა მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებთან ერთად, ჩართულია იუმორისტული ხასიათის დიალოგი იესო ძისა ვინმე ხუცესთან.

1335

წამება კვირიკესი [მე-14—15 ს.]

21 ფ.; 20×13; ქაღალდი (ბოლოფურცელი—ტყავი); უყდო, დაზიანებული (ნაპირები შემოჭრილი, 1,2, 20 ფ. ფ. დაზეული, არეულად აკინძული); თავ-ბოლონაკლული; ნუსხური; ილუსტრაციები: ა) ლაზარეს აღდგინება: 16×10. (1 ვ). ბ) იესო ქრისტე: 12×9 (3ვ); [მე-14—15 ს.]. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1916 წ.

„...თქ[ან ტკბილი მწარედ და მ[წარა..]ს[ქა კარანმან: ნავლელო!... ო თავო! შენ ხარ, რომელსა ეგე განშორება ეგე შენდა სიკუდილ არს..." 1r—20v.

წყდება: „...ამის სიტყისადა იყოს. გიწოდის შენ კარანმან და გკითხოს ...ნებ ვყავ და ნურასა შეუ..."

შენიშვნა: ხელნაწერის ბოლო ფურცელი (ეტრატი) წარმოადგენს „ლოცვანის" და „საკითხავების" სარჩევის ნაწყვეტს (29 თავიდან) [X—XI] ასომთავრულითა და ნუსხურით, რომელიც მთავრდება გადამწერის ანდერძით: „ქრონიკონი: ქ. მრავალთა საქმარ[თა] ლოცვათა რიცხვი არა მიქმნია. უკუ[ეთე] ეძიებდე, მეხნი ჰპოვნეთ. საყვარულნო ძმანო, ვინ იმსახურებდეთ, ნუ დამიეწყებთ წმიდასა ლოცვასა თქ[ნსა, არამედ ლოცვაჲ ყავთ: ღმერთმან წყალობა ყოს თქ[ნთჳს. ამინ. [დას]აბამთაგან წელნი არიან ყოველნი ვ[ე ხარებამდე ჳ ფ. ხარებითგან ვიდრე ჯვარცმამდე ლდ..." 21v.

1336

მეტაფრასი [1669 წ.]

190 ფ.; 40×27; ქაღალდი; უყდო; მეტად დაზიანებული (დაწლილი, დაფურცლული, დალაქებული; ზოგიერთი ფ-ის კიდე მოგლეჯილია და ზოგან ფ-ი ამოგლეჯილი: 16, 19, 22, 27, 28, 36, 67, 185); ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1669 წ. (130ვ); დამკვეთი—დედოფალთ დედოფალი ელენე (35 r, 73 v, 130 v); გადამწერი: ხებედე დიღმის დიკანოზ-ყოფილი (73 v, 130 v); დაუწერელია: 35 v. შიო-მღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

1. [იოანეს ცხოვრება] „...არს და სიტ~ყთა ამათ ზედა იქმნა ძრვაჲ დიდი და დუღილ~ ქ~ყნისა და დაეცნეს სიმრავლისა მისგან ორასი კაცი...“ 1 r—21 r.

2. „გამოცხადებაჲ წმიდისა იოანე მახარ~ბლისა და ღ~ის მეტყ~ლისა, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან.—გამოცხადებაჲ იესუ ქრისტესი, რომელი იგი მოსცა მას ღმერთმან ჩუ~ნებად მონათა მისთა...“ 21 r—35 r.

3. „საკითხავი განცხადებისათ~ს.—ხოლო ჩ~ნ განცხადებისა მის და ნათლისღებისა უფლისაჲ სიტყჲ ვისმინოთ...“ 36 r—47 v.

4. „საკითხავი ჯ~რ ცმისა.—ხოლო ოდეს იგი ღაღადყო ჴმითა დიდითა იესუ და განუტეა სული, რამეთუ მიიდრიკა თავი...“ 48 r—58 r.

5. „მიცვალებისათ~ს საკითხავი.—ხოლო აწ მიცვალებისა მისისათ~ს და ამიერ სოფლით საუკ~ნოდ მიწევნისათ~ს, რამეთუ სიხარული არს და განათლებაჲ სულთა...“ 58 r—65 v.

6. „სარტყლის დადებისათ~ს საკითხავი.—ჯ~მთა მათ ლეონ დიდისა მეფისა მის მორწ~ნისა ბერძენთასა, რომელი იგი შემდგომად მარკიანეს მეფობდა...“ 65 v—73 v.

7. [ცხრაბაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისა მამისა ჩ~ნისა საბაჲსი. გ. მ.—არარაჲ არს ესოდენ წეუსწ~რებელ აღმძრველ-ყოფაჲ სულისა გულის თქუმად სათნოებისა, ვითარ ცხორებაჲ კაცთა სათნოთა...“ 74 r—130 v.

8. „შესხმაი წმიდისა და საკ~რველთ-მოქმედისა ნიკოლაზის მთაყარებისკაპოზისაჲ მირონ ქალაქისა, თქმული წ~ს მამისა ჩ~ნისა ანდრეა კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ.—კაცო ღ~თისაო, სარწმუნო და მნეო ქრისტეს საიდუმლოთაო და საუნჯეო მადლთა მათ სულისა წმიდისათაო, შეიწირე სტყუაჲ ესე...“ 131 r—154 v.

9. „ც~ხრებაჲ წმიდისა მამისა ჩ~ნისა ონოფრესი, რომელი განეშ~ა სოფლისაგან და უკანასკ~ელ ვითარ იხილა ნეტარმან.— ცხორებაჲ საღთო და სანატრელი და საქმენი სარგებელნი სულისანი, ისმინეთ საყაურელნო ძმანო, რ~ს ღირს ვიქმენ ხილვად მე გლახაკი პაფნოტი...“ 154 v—161 r.

10. „ცხ~რბაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღირსისა დევნოსიოს არიოპაგელისა. გ. მ.—გჳთხრობდა თავისა თჳსისათ~ს ნეტარი დეონოსიოს და თ~ქა, ჴითარმედ მე, ძმანო, ვიყავ ძე მთავრისა სოკრატესი...“ 161 r—164 v.

11. „ცხ~რბაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩ~ნისა შიოსი და ევაგრესი. გ. მ.—ხოლო ნეტარი ესე და ღ~თივ განბრძნობილი მამაჲ ჩ~ნი წმიდაჲ შიო მოვიდა წინაძღრობითა სულისა წმიდისათა და დაემკ~რა დასავალით კერძო დედა ქალაქსა მცხეთასა...“ 164 r—171 v.

12. ცხ~რბაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩ~ნისა დავით გარეჯელისა. გ. მ.—ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩ~ნი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოჲთა და ურწ~ყულთა სჯად თავისა თ~სისა...“ 171 v—179 r.

13. „წამებაჲ ყოვლად ქებულისა მთავარ მოწ~მისა თეოდორესი. გ. მ.—ვითარცა მზე განანათლებს მხილველთა მისთა, ეგრეთვე თხრობაჲ მოწ~მეთა წამებისაჲ...“ 179 r—182 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. „თ~ა დეკენბერსა დ. წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ბარბარაჲსი. გ. მ..—იყო შჱთ ჟამთა მეფე, რომელსა ერქუა მაქსიმიანოს და ჴელ~წ~ფე იყო ალმოსავალით კერძო კაცი, რომელსა ერქუა მარკიანე...“ 182 v—190 v.

ანდერძი: 1. „აჰა სრულ იქმნეს ცხ~რებაჲ წმიდისა ი~ე მახარებლისა და გამოცხადებაჲ მისე, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან, ბრძანებითა პატრონისა ჩ~ნისა დედოფალ-დედოფლისა ელ ე ნ ე სი თ ა. ქრისტე, მპყრობელო ყოველთაო! ადიდე ორსავე ცხ~რებასა შინა სული ბრწყინვალე მყოფელი ელ ე ნ ე დედოფალი და ძეთა მისთა წარუმუარე მეფობაჲ მათი“ 35 v.

2. „აჰა სრულ იქმნეს შესხმა ყოველად წმიდისა ღ~ისმშობელისა. ბრძანებითა პატრონისა ჩ~ნისა დედოფალთა-დედოფლისა ელენესითა და ჴელითა ფრიად ცოდვილისა და უსჩ~ველისა დიდმის წმიდის გიორგის დეკანოზ ყოფილის ზ ე ბ ე დ ე ს ი თ ა. აჰმარნეს ღმერთმან ძეთა მისთა დღეთა სიგრძესა შინა, წ~რუმარითოს ღმერთმან მეფობაჲ მათი და დაუმორჩილნეს ღმერთმან მათ მტერნი ~და მბრძოლნი მათნი და საუკუნომც იყოს ჴსენებაჲ და კურთხეჳა მათი“ 73 v. მარცხენა არშიაზე, დასწერივ.

3. „აჰა სრულ იქმნეს ც~რბაჲ წმიდისა დ~ნტარისა მამისა ჩ~ნისა სახსი, ბრძანებითა დედოფალთა-დედოფლისა ე ლ ე ნ ე სი თ ა. აჰმარნეს ღმერთმან დღეთა-სიგრძესა და ჟამთა სიმშჳდესა შინა. საუკუნო იყოს ჴსენებაჲ და კურთხეჳაჲ მისი.“

„ღმერთმან უწყის, ბერი ჭირი ვიხე ამის უწყებად [!] ჩ~რეკაშია და თუ რამ დამეშავებინოს, ნუ მწყევთ, ღთის მადლსა ლოცვა ჰყავთ ცოდვილის ზ ე ბ ე დ ე ს ~თ. აღიწერა ც~რბაჲ ესე თ~სა ფებრვალსა ი~ვ, დღეს სამშაბათსა, ქ~რნიკონსა ტნ~“ 130 v.

4. „მამანო და მამანო! ღმერთან იცის, მწუხრ მოვიჭირეთ საკეთესა, რაც ჩ~ნის ცოდვილის პირითა და ჴელით იქნებოდა და თუ რამ დაგუწ~ებინოს, წყევის ნუ ჰყოფთ, ღ~ის სიყრულსა“ 190 v.

მინაწერები: 190 v.

1337

პროკლე დიადოხოსი. კავშირნი. (ი. პეტრიწის თარგმანი, ვრცელი განმარტებებით) [მე-12—13 ს.]

103 ფ.; 34×25; ქაღალდი; მუყაოს ყდა, სადა, ყავისფერი ტყავით შემოსილი (დაზიანებული: ყდის კუთხე-ნაპირები და ხელნაწერის არშიები შემოცვეთილ-შემოხეულია: 1—7, 94—103 ფფ.); ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-12—13 ს.]. შეიმღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917.

„პროკლე დიადოხოსი. პლატონურისა ფილოსოფოსისაჲ კავშირნი ღ~თის მეტ~ყლბითნი. თავნი ორას და ათ ერ~ნი.—ა. ყოველი სიბრაღე ეზიარების რაჲთაჲ ერთსა...“ 3 r—95 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: იოანე პეტრიწის [„წინა-სიტყუაჲ“].—„გუარსა თანა გუაც ცნობაჲ დიდთასა ღ~ის მეტყუმლეთა შორის ხეღვისასა“...

2. წინასიტყვაობის ტექსტის დასაწყისი (1 r-v) დაკლებული ფურცლის ნაგვიანევ [XVII—XVIII ს.?] რესტავრაციას წარმოადგენს.

3. ტექსტის ყოველ თავს მისდევს ტექსტშივე ჩართული, ცალკე აბზაცებად გამოყოფილი და აგრეთვე არშიებზე ასო ი-თ [იოანე] აღნიშნული, იოანე პეტრიწის განმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებანი (პროკლე დიადოხოსის ტექსტს კი უზის არშიაზე ასო ჰ [პროკლე]. 3 r—95 v.

3. ტექსტს ბოლოში დართული აქვს ი. პეტრიწის „ბოლო-სიტყვაო“: „[უ]ნ შორისიმე მიდმო სიტყუაჲ, რომელსა გულის შორისად მებჭობლად ვიტყჳო...“ 95 v—102 r, რომლის ნაცლული ტექსტი მერმინდელი ნუსხურით (99 r—102 r) არის შესწებებული.

4. იოანე პეტრიწის თარგმანისა და განმარტებათა ამ უძველესი ნუსხის აწერილობა, ს. გორგაძის მიერ შესრულებული, გამოქვეყნებულია (იხ. ს. ყაუხჩიშვილი. იოანე პეტრიწის შრომები. ტ. I, LXX—LXXII გვ.).

5. იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „ყავშირნი“ და თვით პეტრიწის „განმარტებაჲ“ გამოქვეყნებულია (ს. ყაუხჩიშვილი. იოანე პეტრიწის შრომები ტ. I. თბ. 1940. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის გამოცემა, ტფ. 1937).

6. იოანე პეტრიწის შრომათა ეს ქრონოლოგიურად უძველესი ხელნაწერი, ეტყობა, წარმოადგენს ნუსხას, რომლისაგანაც მომდინარეობს ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოყენებული (და აღწერილი) A 69 და სხვ. ხელნაწერები. ამას, სხვათა შორის, მოწმობს 3 r მარჯვენა არშიის მინაწერი: „მ ე ი ს წ ა ე ე, რამეთუ ესე წიგნი, კიმენ-სხოლიოდ აღნაწერი, ამისთჳს თანაჰართჳთ დაეწერეთ...“ და 99 v-ს ტექსტის დეფექტი, რომელიც A 69-ს და სხვა ხელნაწერებსაც ახასიათებს. (შდრ. იოანე პეტრიწის შრომები. I. LXIX—LXX, II—219 გვ.).

მინაწერები: 2 r, 27 v, 28 v, 30 v, 35 v, 62 r, 94 r. (სომხური).

1338

იოანე ოქროპირი. მათეს სახარების თარგმანება [მე-11 ს.]

396 ფ.; 33,5×28; ეტრატი (პალიმფსესტი): ტიპოგრაფიკული მუქაოს ყდა; თაებოლო-ნაკლული, ფურცლებ-ამოვარდნილი (243, 250, 363), დაზიანებული (1, 353, 354), შეკერილია ერთად 387—388; ტექსტის დასაწყისი (353 r—357 v) ჩაკინძულია ბოლო ფურცლებში; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-11 ს]; მთარგმნელი: ეკვთიმე მთაწმინდელი (53 r, 330 r); გადამწერი: კვირიკე ქადაგისძე (72 r, 234 v, 325 v, 395 r). დაუწერელია: 3 v, 4 r, 96 v, 128 v, 131 v, 147 v, 152 v, 164 v, 172 v, 181 v, 182 r, 192 v, 205 v, 206 r, 213 v, 214 r, 221 v, 222 r, 231 v, 237 v, 238 v, 239 r, 240 r, 244 v, 246 v, 247 r, 249 r, 250 r, 251 v, 252 r, 253 v, 254 r, 255 v, 256 r, 257 v, 258 r, 261 v, 262 v, 263 r, 264 r, 269 v, 270 v, 271 r, 272 r, 286 v, 287 r, 293 v, 294 v, 295 r, 300 v, 321 v, 322 r, 326 v, 327 r, 334 v, 336 v, 337 r, 344 v, 345 r, 347 v, 349 v, 350 r, 352 v, 358 v, 359 r, 360 r, 361 v, 362 r, 363 r, 376 v, 377 r, 378 v, 381 v, 382 v, 383 v, 384 v, 391 v, 392 r, 396 v. აღნუსხულ დაუწერელ გვერდებზე ნათლად სჩანს პალიმფსესტის თავდაპირველი, მრგვლოვანი ხელით ნაწერი ტექსტი. მოოქვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ქქუთაისელისაგან 1917 წ.

„[წ]ჳდსა და ნეტარისა მამისა ჩ[ნ]ისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ კოსტანტ[ნ]ელ მთავარ ეპისკოპოსისაჲ თარგმანებაჲ სახარებისაჲ მათეს თავისაჲ]... ... პირითა. და სიხენეწმეან სულისამან ყენის იგინი საძღჳელ ყოველთა მიერ და საწყენო. გულის ვამ ყაე ეითარ სირცხუილეულ რაჲ იქმნის სულე, რომლისათჳსცე საქმისა მეყსეულად განაწირის პირი და კუალად ურცხუენო თუ არს სულე, გლისპ არს პირიცა...“ 353 r—357 v+1 r—352 v+358 r—396 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...იხილენ მოწაფენიცა საფასეთანი ვინ არიან: აქაბ. იეზაბელ, ვეზი, იუდა, კაიაფა, ნერონ. ჰხედავ ვინ არიან იგინი და ვინ ესენი.“

შენიშვნა: 1. სათაური: A 89 ხელნაწერიდან (გვ. 1).

2. წინამდებარე დასაწყისი ტექსტისა იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანების **ლდ** თავის „სწავლას“ ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ტექსტი წყდება მათეს სახარების თარგმანების ჟ თავის ბოლო ნაწილზე.

2. ხელნაწერი შეიცავს **ლე—ჟ** თავებს.

3. **ლვ** თავიდან მოყოლებული **ჟ** თავამდე ტექსტი სრული ჩანს.

4. ჩვენი ხელნაწერის ტექსტი შედარებულია ყოფ. საეკლ. მუზ. (А ფონდი) № 89 ხელნაწერის (იოანე ოქროპირი. მათეს სახარების თარგმანება) ტექსტთან.

5. დადგენილია, რომ ჩვენი ხელნაწერი წარმოადგენს А № 89 ხელნაწერის გაგრძელებას. ამას მოწმობს: ა. შემადგენლობა — А-89 **ა-ლვ** თავია; ჩვენი თავსაკლული ხელნაწერი კი **ლვ-ჟ** თავი. ბ. ხელი: ორივე ხელნაწერი დაწერილია ერთი და იმავე კვირიკე ქადაგისძის ხელით. გ. ორივე ხელნაწერის ეტრატი პალიმსესტს წარმოადგენს. დ. ხსენებული ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ფორმატით.

მინაწერები: 37 v, 76 v, 142 v, 145 v, 167 v, 184 r, 188 v, 195 r, 218 r, 228 r, 229 r, 235 r, 239 v, 244 v, 245 v, 257 r, 275 v, 278 v, 284 r, 290 r, 314 v, 317 r, 329 r, 354 v—355 r, 366 v, 374 r.

ანდერძი (მთარგმნელისა და გადამწერისა):

1. „წმიდაო იოვნე ოქროპირო, მეოხ გუეყავ წინაშე უფლისა და ღირს მყავ უღირსი ესე აღსრულებად სწავლათა ამათ შენთა სამშობიცა და აღწერითაცა ენასა ამას ქართულსა, რათა მადლითა შენითა განათლდეს ქრ̃ესჱანი იგი.“

2. „ესე სიტყუაჲ მამისა ეფთჳმესი არს. დიდებულმცა არს სული მისი წინაშე ღ̃ისა და ჩ̃ნდა მეოხ.“ 53 r.

3. „დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, ერთღთაებაო და ერთარსებაო, სრულმყოფელო ყოველთა კეთილთაო, რომელმან ღირს მყავ სრულ ყოფად თარგმანებასა წმიდისა ამის სახარებისასა. წმიდანო მახარ̃ებელნო და წმიდაო იოვანე ოქროპირო, მეოხ ეყევენით წინაშე საკდართა ქრისტესთა მამასა იოვანეს და მამასა ეფთჳმეს, მუშაკთა სულიერისა ვენაგისთა.“

4. „ესე ანდერძი მამისა ეფთჳმესი არს. ღ̃ნ ღირს ყენე წმიდათა მისთა თანა.“ 330 r-v.

ანდერძი (გადამწერისა): „ესე საკითხავი დიდსა პარასკევსა იკითხეთ. კარგი არს და შუენიერი, და კ̃ჯ̃რ̃კ̃ს ქ̃ა̃დ̃ა̃გ̃ი̃ს̃ძ̃ი̃ს̃ა̃ ულოცეთ. ღმერთმან გარწმუნოს.“ 325 v.

1339

თვენი [მე-18 ს.]

597 ფ.; 32,5×21; ქაღალდი (თეთრი და ლურჯი); ტყავგადაკრული **ხ**ის ყდა (5,597 ფ. ამოვარდნილია); მხედრული (სათაურები სინგურით); მე-18 ს. (კვირონაშვილი 1781—544. 551 ფფ.); დაუწერელია: 1, 596 v, 597 ფფ. შიომღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„თთ̃ესა სეკდემბერსა აქეს დღე **ლ**. პირველსა დღესა დაწყება ინდიკტიონისა, ესე იგი არს ახლისა წელაწდისა და ჴსენება ღირსისა მამისა ჩვენისა სიმეონ მესჳტ̃ისა არხიმანდრიტისა და დედისა მისისა მართასი და კრება ყოვლად წმიდისა ღ̃თ̃ისშობელისა, რომელი იყო მასიანეს და წმიდისა მოწამისა ათანასი და წმიდათა მოწამეთა **მ** დედათა და წმიდისა ამმონა დიაკონისა და მოძღურისა მათისა და წმიდათა მოწამეთა კალისტე, ევვოდო და ერმოგენისი და მოუფასთა მათთა და ჰჴსენება მართლისა ისოსი, ძისა ნავესი. მწუხრად „ნეტარ არს კაცი.“ **ა** აღსავალი, ხოლო უკეთუ არს შაბათი, წარვიკითხავთ კანონსა სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უფალო, ღაღადებჭავსა“ ზედა, აღვიღებთ მუწლთა ი და ვჰგალობთ დასდებელსა ინდიკტიონისასა გ. ქმა ა. „ზეცისა განწესებულთა“.—თავდიასა ქრისტეს ღ~ისა მოძღურებისა მიერ ლოცუა გუსწავიეს ჩენ, ყოველთა დღეთა ესრეთ მისა მიმართ ქმობად: „მამაო ჩენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ 6 r—596 r.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი შეიცავს „თთვენს“ სექტემბრის 1-დან თებერვლის 29-დე.

2. ტექსტში თავიდან ბოლომდე ნახმარი არის მახვილის ნიშნები.

3. წინ უძღვის ანტონ კათალიკოსის ეპისტოლე: „ყოველთა ეკკლესიათა ზემოჲსა და ქუმოჲსა საქართუმლოჲსათა და სამეგრელოსათა უფლისა მიერ გიხაროდენ.—კმა ყოო ჩენ ყოველთადა წმიდათა მამათა მიერ თარგმანთა ჩენეთა გარდამოღებული ჩენისა ზედა ენასა წერილი აკოლოთიითნი...“ 2 r—6 v. (აღნიშნული ტექსტი გამოქვეყნებული აქვს აკად. კ. კეკელიძეს. ანტონ კათალიკოზის სალიტურღიკო მოღვაწეობიდან. ტფ. 1914).

4. ერთი და იმავე ხელისა, შინაარსის და ზომის, აგრეთვე ჭვირნიშანის წლების (1781, 1786) მიხედვით წინამდებარე ხელნაწერი H 1340 ხელნაწერის ნაწილს უმდა წარმოადგენდეს.

1340

• თვენი [1788 წ.]

336 ფ.; 32,3×20,5; ქაღალდი (ლურჯი); ტყავგადაკრული ხის ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით); 1788 წ. 333 v; დაუწერელი ფურცლები: 1, 318 v, 325 v, 334, 335, 336. მიკრული ნიმუშები ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„თთჳსა მარტსა აქჳს დღე ლ. პირჳელსა დღესა წმიდისა ღირსისა მოწამისა ეფდოკიასი. უკეთუ იყოს მ[არხვა], ვჰგალობთ ალილუიასა, ხოლო უკეთუ არა, ტროპარსა. ტროპარი ქმა ჳ.—სიწრფოებითსა გონებისათა სიყუარული იგი ქრისტესი აღეგზნა გულსა შინა შენსა და განხრწნადთა მათ შჳწნიერებათაგან იჳგჳენ საწუთოსა დაეიწყებითა, ვითარცა სიტყჳსა ღ~ისა მოწამემან...“ 2 r—333 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი შეიცავს „თთვენს“ მარტის 1-დან აგვისტოს 31-მდე.

2. შინაარსის, ერთი და იმავე ხელისა და ჭვირნიშანის (1781, 17ᲨᲛ) მიხედვით წინამდებარე ხელნაწერი H 1339 ხელნაწერის გაგრძელებას და დასასრულს უნდა წარმოადგენდეს.

მინაწერი (ტექსტის ხელით): „სრულ იქმნა წელსა 1788, ჩ~კს 476. იულისს 14. დღესა პარასკჳ(ჳ)სა. 3141315312315.“ (333 v).

1341

იოანე ოქროპირი. მათეს სახარების თარგმანება [მე-18 ს.]

494 ფ.; 30×19; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნაკლული: მხედრული [ამეროსი ნეკრესელის ხელით]; (სათაურები სინგურით); მე-18 ს.; დაუწერელი ფურცლები: 492 v, 493 r, 494 v. მიკრული ნიმუშები ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იერ ნე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა. თარგმანება წმიდისა სახარებისა. მათეს თავისა. პირველი თავი. ჴსენება წმიდისა მათე მახარებელისაჲ. დაწყება სიტყჳსა. გვაკურთხენ უფალო.—ჴელ იყო ჩვენდა, ძმანო, რათმცა არა გუშჳმარებოდა წერილთა მიერი შეწევნა, არამედ ესე ვითარიმცა გუბაქშედა მოქალაქობა...“ 2 r—488 v.

შენიშვნა: 1. 2 r-ზე, მარცხენა მხარეს, ზემო არშიის კუთხეში, ტექსტის ხელით სწერია: „ქ^ს უფა.

2. ხელნაწერის ტექსტს დართული აქვს: „ზანდუკი სწავლათა ამათ ჟ.“ 490 v—492 r.

3. ზანდუკის ტექსტი იწყება 490 v-ზე. გადადის 491 v-ზე, აქედან 491 r-ზე, 491 r-დან 492 r-ზე.

ანდერძი: (ძველი დედნისა): „დიდებაჲ შენდა, სამებაო წმიდაო, ერთარსებაო და ერთდეთაებაო, სრულმყოფელო ყოველთა კეთილთაო; რომელმან ღირსმყო სრულყოფად თარგმანებასა წმიდისა ამის სახარებისასა.“

„წმიდანო მახარებელნო და წმიდაო იოანე ოქროპირო! მეოხებყვენით წინაშე საყდართა ქრისტესთა მამასა ღრანეს და მამასა ეფთჳმის, მუშაკთა სულიერისა ვენაჴისათა. ამინ.“ 488 v.

ანდერძი (გადამწერისა): „ესე ანდერძი მამისა ეფთჳმისა არს. ღმერთმან ღირს ყავნ წმიდათა მისთა თანა ყოველთა თანა შემწეთა.“

ანდერძი (იოანე მთაწმინდელსა): „რომელი იგი იყო პირველითგან ღ^ჲ თ^ა სიტყჳა ღ^თისაჲ, თანა მოსაყდრე მამისა და სულისა წმიდისა, ყოველივე მის მიერ იქმნა, ვითარცა იტყჳს იოანე ღ^თის მეტყველი და თჳნიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. და ნეტარი პავლე დაღადებს, ვითარმედ მის მიერ დაებადა ყოველი ცათა შინა და ქ^ჟანასა ზედა ხილულნი და არახილულნი, ანუ თჳ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ მთავრობანი და ჴელმწიფებანი. ყოველი მის მიერ და მისა მიმართ დებადა და იგი თავადი არს ყოვლითა წინა და ყოველივე მის მიერ დამტკიცნა. რამჱთუ მოაკლიდათ მით საბიერებითა თჳსისთა ყოველივე არარაჲსაგან სიბრძნით დაბადა და ხილულსაცა ამას სოფელსა ზედა გარდააჴოთხა სამყარო ცისა, ვითარცა კამარა და მას შინა განაწესნა მნათობნი, რათა ბრწყინვიდეს კუ^ჟანასა ზედა და შეეწოდნეს კაცთა საქმეს. ხოლო კაცი შექმნა ხატად თჳსად და მსგავსებად და დაადგინნა იგი სამოთხესა მას საშვებელისასა თჳთფულობითა პატივცემულჱო და მისცა მას მცნება ნივთად და საქმედ თჳთფლობელობისა მისისა, ვითარცა წერილსაჲ. ხოლო მან შურითა ეშმაკისათა და ცთომითა დედაკაცისათა, დაეცაწყა მცნება იგი მოცემული მისა და იძლია ჭამად ხისა მისგან და აჲისთჳს გამოჳარდა სამოთხით და ქ^ყსორია იქმნა სოფელსა ამას შინა. და მიერითგან სუფევდა სიკვდილი და განმრავლდა ცოდვა ნათესავსა ზედა კაცთასა და ყოველივე სოფელი დაიპყრა უსჯულოვებამან. ხოლო უკანასკნელთა ჟამთა^ ჴორ იჩინა მზოლოდ-შობილმან ძემან და სიტყჳამან ღ^თისაჲმან ცხოვრება კაცთა: განზრახვითათ მამისათა გარდამოჳდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წ^ისა და მარიამისგან ჭაბუკულისა და კაცი იქმნა, ყოველსთჳრთ მსგავს ჩ^ნდა, თჳნიერ ცოდვისა და იესნნა ნათესავი კაცთა სასჯელისა მისგან პირველისა და მოგჳყიდნა ჩ^ნ პატიოსნითა თჳსითა და შეგჳმოხადა მეორე სამყარო სულიერი, რომელ არს წმიდაჲ ეკკლესიაჲ, ფრიადი უმჯობესი ხილულისა მის. და განაწესნა მას შინა მნათობნი ბრწყინვალენი, მოციქულნი, წინასწარ-მეტყ[ვ]ელნი, მღ^დელთმოძღვარნი, მოწამენი და მამანი, რომელთა მიერ განანათლებს ნათესავსა კაცთასა და გონებათა მათთა გულისჴმისყოფად წ^დისა სამებისა აღიყვანებს წინამძღ^რებითა თჳსისა მადლისათა და რომელნი შეუდგენ მას, შეიღ ღ^თისაჲ ჰყოფს მათ და მკვიდრ ნათელსა მას მიუახ^რდინებელსა და ხილული ესე სამყაროჲ ცისა, ვითარცა წ^ილი იტყვის, წარიგრაგნოს, ვითარცა წიგნი დღეს მას მეორედ მოსლვისაჲსა, და ვარსკ^ლავნი, ვითარცა ფურცელნი დაცვენ[ი].“ხოლო სულიერი ესე ცაჲ, რომელი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცებითა თვისითა ქრისტემან შეჯვიმზადა, მაშინ უმეტეს გამოაბრწყინვოს მან, თავადმან და მნათობნი იგი მისნი გამოაჩინნეს ფრიად უბრწყინვალეს მხისა. ამის სულიერისა სამყაროსასთჳს იტყოდა დავით წინასწარმეტყველი სულითა—ვითარმედ „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასსა და დაბადებულსა ქმნილსა ჴელთა მისთასა—სამყაროჲ. რამეთუ ჳტშმარიტად იქმნა ესე. ვინათგან შემდგომად აღდგომისა უბრძანა(ს) უფალმან ჩ̃მნან იესო ქრისტემან წმიდათა მოციქულთა, ვითარმედ „წარევედით და მოიმოწყიფნით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისასა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით დამარხვად ყოველი. რაოდენი გამცქ თქვენ.“ და მერმე დღესა მას მიეტყვესა მოუვლინა სული წმიდაჲ და აღესხნა იგინი მადლითა და შემოსნა მათ ძალი მაღლით გამო. განვიდეს, მოიმოწყფნეს ყოველნი წარმართნი და მოეთხრობდეს დიდებასა ღმრთისაჲსა და საქმეთა მათ მოეთხრობელისა განგებულებისა მისისათა. ხოლო(არა) სიტყვით ოდენ აღასრულეს ქადაგება. არამედ, მადლითა სულისა წმიდისათა, წერილიცა დაგვიტევეს სიიდუმლოჲ ცხოვრებისა ჩ̃ნისა, რამეთუ აღწერეს წმიდაჲ სახარება ყოველად ჭეშტოლთა მათ მახარებელთა, რომელთაცა უბრძანა სულმან წმიდამან აღწე̃ად და გვასწავლონეს დიდებულნი იგი საკვირველებანი, რომელნი აღასრულნა უფალმან ჩ̃მნან იესო ქრისტე სოფელსა შინა, რა იქცეოდა ქაცთა თანა და ყოველივე რა იგი ცხოვრებისათჳს ჩ̃ნისა თავს იდვა ჯჯარსცა, დაფლა და აღდგომა და ზეცად ამაღლება დიდებით და დაჯდომა მარჯუენით მამისა და დიდებული იგი მეორედ მოსლვა მისი. და ამას წმიდასა წიგნსა უწოდეს სახარება, რამეთუ ყ̃ლისავე კეთილი სახარება წერილ არს მას შინა, ვითარცა წმიდაჲ იოანე ოქროპირი იტყვის. მერმე კვალად ნეტარმან პავლე და სხვათა მოციქულთა ეპისტოლეებითა განამტკიცნეს მორწმენეი და ყოველი სწავლა ღ̃თისმსახურებისა მოგვცეს. ხოლო ვინათგან აღწერიღლა მას შინა მახარებელთა და მოციქულთასა მრავალი იყო ძნიად საცნაურ და ვიეთნიმე უსწავლელნი და დაუმტკიცებელნი გარდაკქცეფდეს, მსგავსად მათისა წაოწყმედისა, ვითარცა მოციქული პავლე იტყვის კათოლიკეთა შინა, ამისთჳს, შემდგომად მოციქულთა, გამოაჩინნა უფალმან სხვანი მნათობნი სამყაროსა მას ეკკლესიისასა, წმიდანი მღ̃დელთმთღ̃არნი, მართლმადიდებელნი და მართლჯამოეტყ̃ლნი სიტყჳსა მას ჭეშმარიტებისასა, რომელთა, მსგავსად მოციქულისა მათა მადლისა, განგემარტეს ყოველივე ძნიად ჭ̃ლისჱცნი სასოფელი წერილთა და გარდამაქცეველნი იგი ჭეშმარიტებისანი, მწვალებელნი შეაჩუენნეს და სირცხვილეულნი განიოტნეს ეკკლესიისაგან და განაპარტყნეს ერი მორწმენეთა. ხოლო უფროჲს ყოველთა მიეცა მადლი სწავლისა და გამოთარგმანება წერილთა წმიდისა და ღ̃თშემოსილსა ირ̃ე ოქროპირსა, რომელი იგი იყო მთავარ ეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისა, რამეთუ პირველ მისაცა იყ̃ნნეს მნათობნი დიდნი: წმიდაჲ ათანასი ალექსანდრიელი და წმიდაჲ გრიგორი საკვირველთმოქმედი, მეოცესარიელი და წმიდაჲ ბასილი, კესარია-კაპადოკელი და წმიდაჲ გოგოჩინი ღ̃თის მეტ̃ყველი და წმიდაჲ გრიგორი ნოსელი და სხვანი მსგავსნი მათნი. გარნა, ვინათგან მათთა დღეთა ზე ფრიად იყო საცთური კერპთ მსახურთა და მწვალებელთა არიოს და ევნომიოს, საბელიოს და მაკედონიოს და აპოლინარი და სხვანი მრავალნი და წვიდანი იგი მამანი, მათსა ბრძოლასა და წინააღდგომასა შეკცეულიყ̃ნეს და მრავლითად ღვაწლთად და შრომითა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება, რამეთუ მეფეთაცა მწვალებელთა მიმართ იყო წყობა მათი. ამისთჳს არა მოცალე იყ̃ნეს იგინი თარგმანებად წიგნთა, არამედ ყოველი აღწერა მათი მართლისა სარწმუნოებისათჳს იყო და წინააღდგომაჲ მწვალებელთა, თჳნიერ წმიდამან ბასილი რაოდენნიმე თარგმანებადაცა წერილთა და სწავლანი მრავალნი აღწერნა, სავსენი სიბრძნითა სულიერითა და განმანათლებელნი მორწმენეთანი. ხოლო ვინათგან მაღლითა ღმრთისაჲთა მათ ნეტართა მამათა მოღუაწებითა არმფრი იგი მწვალებელთა განჭარდა და წყეული მართლმადიდებელნი მეფობდეს და ეკლესია დაემტკიცა მართლმადიდებლებლობასა ზედა და ქადაგებასა მოციქულთასა, მაშინ გამოაჩინა ღმერთმან სხვა მნათობი დიდი ეკლესიისა—წმიდაჲ ირ̃ე ოქროპირი და აღესხა სოფელი სწავლითა სამ̃ღთოთა და ყ̃ღენი წერილნი თარგმანებითა თჳსითა განგვიმარტნა და ძალი სიტყჳათა მათ გვასწავა, ეგრეთვე წმიდაჲ სახარებაჲ ჴელყო თარგმანებად, მადლითა სულისა წმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისათჳ, რამეთუ ესრეთ წერილ არს—ვითარმედ დღეთა მათ დიდისა მეფისა თევდოსისთა, ოდეს იგი წმიდაჲ გრიგორი ღ~თისმეტყ~ლი იყო კოსტანტინებოლეს, ევიდრა თევდოსი მეფე, რათა აღწეროს თარგმანება წმიდისა სახარებისა, რამეთუ ჰხედვიდა მეფე წყაროსა მას სიბრძნისა და გულისმისყოფისასა, რომელი აღმოდიოდა პირისაგან მისისა. ერნი ეგრეთვე უ~ყ~ნ ნეტარსა გრიგოლი ვედრებასა მას მეფისასა და ენება კეკლყოფად თარგმანებასა მას სახარებისასა. ხოლო დადგა ღამესა ერთსა ლოცვად, რათა გამოუცხადოს ღმერთმან, უკეთუ ჰნებაჲს საქმე იგი, რამეთუ ღმერთმოსილნი, თჳნიერ ლოცვისა, არას იქმოდეს. და ვითარცა იღოცვიდა, ესმა ჴმა, რომელი ეტყოდა: „გრიგოლი, გრიგოლი! თარგმანება სახარებისა იოანესდა ბრძანებულ არს ანტიოქელისა.“ რამეთუ მათ დღეთა, ოდეს გრიგოლი მთავარ ეპისკოპოსი იყო კოსტანტინებოლის, წმიდაჲ იოანე ოქროპირი მთავარ დიაკონი იყო ანტიოქიას. ხოლო ვითარცა ესმა ჴმა ესე ნეტარსა მას, მიეთხრა ჩვენება იგი მეფესა და არღარა ჴელყო თარგმანებაჲ. ხოლო შემდგომად მცირედისა ჟამისა სვედრებული რაჲმე ჰჭორცა ერსა მას ანტიოქიისასა მეფესა მიმართ თევდოსისა და დაწერა იგი ნეტარმან იოანე და მიიწია რა წიგნი იგი წინაშე მეფისა, დაუკვირდა მეფესა აღწერილისა მის სიბრძნე და ურჩევნა წიგნი იგი წმიდასა გრიგოლის. ხოლო მან, ვითარცა წარიკითხა, სცნა სულითა და ჰხარჭა მეფესა: „რომელსა ესე წიგნი დაუწერია, მეფეო, იგი არს, რომელისა მაჴწყა ღმერთმან, ვითარმედ ბრძანებულ არს მისდა თარგმანება სახარებისა.“ და ესე წინასწარმეტყ~ლება მისი აღესრულა. რამეთუ ჭეშმარიტად აღწერა თარგმანება წმიდისა სახარებისა ღმერთშემოსილმან წმიდამან იოანე ოქროპირმან, მათეს თავისა და იოანეს თავისა და ამათ შინა შემოკრებნეს უმრავლესი მარკოზის თავისა და ლუკას მიერ აღწერილი და დასხნა ეკლესიასა შინა საუნჯეი დიდ ძალნი, სავსენი მადლითა და სიმდიდრითა სულიერითა და წყარონი წყლისა ცხოველისანი, რომელთაგან დღითიდღე ირწყვიან სულნი მრარწმუნეთანი და გამოიღებენ ნაყოფსა სათნოებისასა. ხოლო ენასა ამას ჩ~სა ქართულსა არავინ სადა პოვნილიყო აქამომდე, რათამცა გამოჴ~ნილ წმიდაჲნი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი. არამედ სიბრძნითისა ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყნნეს ამათგან. ხოლო ჩ~ნისა მის ქეყანისანი—ნაკლულევან. და არა ესოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხვანიცა მრავალნი. ამისთ~ს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთა, ი~ე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქ~ყანა ქართლისაჲ~წიგნთაგან და დიდი ხარკება და მოღვაწება ვიჩენენ და შეიღი ჩემი ეფთჳმე გავსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულად და გამოთარგმანებად წარგმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად. და აღიწერნნეს ჩ~ნ მიერ, სახელითა მაშისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯ~რისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღ~თისმშობელისათა და ყოველთა წმიდათათა, წიგნნი, რაოდენნიცა ქუდლეთ წერაჲ:

პირველად თარგმანება იო~ნეს თავის საზარებისა. ა.

მერმე სწავლანი წმიდისა მამისა ჩ~ნისა ბასილისნი. თავი ~ ლ. ბ.

მისივე თარგმანება ფსალმუნთა. თავი ი~ბ. გ.

წიგნი იო~ნესი, რომელ არს კლემაჴსი ლ~ჴ. დ.

წიგნი მაკარისი სრულიად. ე.

მიმოსლვა და კადაგებანი წმიდისა ანდრია მოციქულისანი. ვ.

წიგნი წმიდისა ისაკისი და სხუათა მამათა გამორჩეულნი სწავლანი. ზ.

წიგნი წმიდისა დორეთჱსი. ჱ.

წამება და სასწაულნი წმიდისა მოწამისა ეიმიტრისნი თ.

ცხოვრება და წამება წმიდისა ს~ტფანე ახლისა. ი.

ცხოვრება და წამება წმიდისა კლიმინტოს ჰრომთა პაპისა. ია.

წამება წმიდისა კლიმი ანკვირელისა. იბ.

ცხოვრება წმიდისა გრიგოლი ღ~ისმეტყველისა და თქმულნი მისნი. იგ.

ცხოვრება წმიდისა ბასილი კესარიელისა. იდ.

ცხოვრება წმიდისა ბაგრატისი. იე.

წამებაჲ წმიდათა სამთა ყრმათა: ალფიოს, ფილადელფოს და კჳრინესი. ივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება წმიდისა ონოფრესი. **ი%.**
ცხოვრება წმიდისა მარიამ მეგვიპტელისა სრულიად. **იშ.**
სწავლანი წმიდისა ხოსიმესნი და წმიდისა ეფრემისნი. **ით.**
სვინაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი. **კ.**
მიძღოლებანი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებლისნი. **კა.**
თარგმანება გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისა **კბ.**
დასდებენი მარხტათანი, სრულიად და სხჳთა წმიდათა გალობანი. **კგ.**
წამება წმიდისა მოწამისა პროკოპისი. **კდ.**

ხოლო აწ, ჟამსა სიბერისასა და უძლურებისა ჩემისასა, ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისათა, წარგმართე შვილი ჩემი ეფთჳმი და ვიხარკე, რათა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისა დაწეროს ენასა ჩვენსა, რომელი იგი, სიმრავლისათჳს შრომისა, აქამომდე არა დაგვეწერა, რამეთუ, ვითარცა ხედავთ, დიდი წიგნი არს და ძნელი გამოსათარგმანებელად ბერძულისაგან. გარნა შეწევნამან ღ~თისაამან და მეოხებამან წმიდისა ღ~თისმშობელისამან, წმიდათა მოციქულთა და მ~ღ~ლთამოძღვართა და ყოველთა წმიდათამან და ლოცვამან ღირსისა მის მამათმთავრისა ილარიონისმან, ყო განმარჯვება და აღესრულა დაუყლებელად წმიდაჲ ესე წიგნი, რომელი უშვენიერეს არს ყოველთა წიგნთა, რამეთუ სავსე არს ყოველი მოძღვრებითა სამღთოთა და ყოველითა სწავლითა სულიერითა და არა არს იგი კეთილი საქმე, რომელი ამას შინა არა იპოვების, რამეთუ, ქეშმარიტად, სული წმიდაჲ იყო მეტყველი პირითა წმიდისა მის და ღმერთ-შემოსილისა იოანე ოქროპირისათა. აწ გეცნობრები ყოველთა, რომელთაც მოიწეოს წმიდაჲ ესე წიგნი, რომელთაცა აღწეროთ, რომელნიცა იკითხვიდეთ, რომელნიცა ისმენდეთ, კსენებულმცა ვართ ლოცვათა შინა თქუენთა გლახაკი ესე ი~ნე, შჳლისა ჩემისა ეფთჳმესთანა, რათა ლოცვითა თქუენითა შეგვიწყალონნეს ჩვენ უფალმან, რამეთუ ჯერ~მჩინებელი წყალობისა არს, რათა თქუენცა სასყიდელი მიიღოთ ღ~გჲსგან, კსენებისათჳს ჩ~ნისა. ჲგ. გეცნობები, ლოცვათა მოგვიჴსენებით. ხოლო ვინათგან წმიდასა მას მამასა ჩვენსა ი~ნე ოქროპირსა ჰქონდა ჩვეულება, რათამცა წარმოთქუა თარგმანება სახარებისა მყოვარ ჟამ და მგრმესა „აღსასრულსა ზედა სწავლასა წარმოიტყოდა. ამისთჳს ძალი თითოეულისა სწავლისა აქა დაგიწერიეს, რათა რომელსა ვინ ჴედებეს, ადვილად პოვოს, რამეთუ ესრეთ არს ბერძულსაცა წიგნსა შინა.

ა. სწავლა კრძალულებით~სმენისათჳს სამღთოთა სიტყჳთა.
ბ. გულს მოდგინედ წჳრთისათჳს წერილთასა.
გ. სიმდაბლისათჳს.
დ. ვითარმე უკმს ქრისტჱანესა საქმეთა კეთილთა მოგება.
ე. ვითარმედ არა ჯერ არს სხჳთა სათნოებასა მინდობა, არამედ თავით თ~ით მოღვაწება და მოვაჭეთათჳს.
ვ. ვითარმედ კეთილთა სამღთოთ იგი გლოვა და პაროტარს სიცილი და ფრიად მაგნებელთა ხედჳა თჳატრონთა და სახიობათა.
ზ. კრძალულებით ზარებისათჳს წმიდათა საიდუმლოთასა და მოწყალებისათჳს და სივლტოლისათჳს თჳატრონთასა.
თ. ცხოვრებისათჳს მონაზონთასა.
ი. ვეცხლის მოყუარებისათჳს.
ია. სინანულისათჳს ცოდუთასა და ლოცჳსა.
იბ. საუკუნოსა მის სასჯელისათჳს.

იგ. ვითარმედ ქრისტჱანემან, უკეთუ არა აჰჳენოს მოქალაქობა სათნოჲ, უმეტესად იტანჯოს.

იდ. რათა არა პირსა მეტყ~ლთასა ვხედვიდეთ, არამედ სიტყჳთა მათთა გულის-ჴმაჲყოფდეთ. და სასუფეველისათჳს და სატანჯველთა მათთჳს მერმეთა.

იე. ვითარმედ ჯერარს მარადის ჴსენებად ცოდვათა ჩვენთა და ვედრება ღმრთისაჲ, რათა შეგვინდოს და საუკუნოსა მისთჳს სასჯელისა.

იე. სათნოდ ღ~ჲ მოქალაქობისათჳს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვ. რათა მოსწრაფე ვიყვნენით დამარხვად მცნებათა ქრისტესათა.

ოზ. ფიცისათჳს.

ოთ. რათა მსწრაფულ დავეგებვოდით და შეუნდობდეთ ურთიერთას ყოველთა ბრალსა.

ი. ძჳრ-უკსენებელობისათჳს და წესიერად დგომისა ეკკლესიასა შინა.

კ. ვეცხლის მოყვარებისათჳს.

კა. მოწყალებისათჳს.

კბ. რათა სურვიელ ვიყვნენით კეთილთა საქმეთა მიმართ და მოუწყინებელად ვეგებერებოდეთ ღმერთსა პოვნად წყალობისა.

კგ. ვითარმედ უმძიმეს ჯოჯობეთისა არს გამოჴრდომა სასუფეველისაგან და ვითარმედ კეთილნი საქმენი უალრესად ბრწყინვალე ჰყოფენ კაცსა, ვიდრეღა დიდება სოფლისა.

კდ. ვითარმედ მოკმედი სათნოებისა მარადის უშიშ არს. ხოლო ცოდვასა შინა მყოფსა ყოველისაგან ეშინის.

კე. ვითარმედ ჯერ არს მარადის მადლობა ღ-თისაჲ.

კვ. ვითარმედ არა უკმს მდგომარესა, ვიდრე აღსასრულამდე, მინდობა თავისა თ-სისა, არცა რომელი დაეცეს, უკმს სასოჭარკვეთილება.

კზ. ვითარმედ ცოდვასა შინა ყოფნი არაჲთ განყოფილარიან მკ-დართაგან.

კთ. ვითარმედ კაცი უღმებული ცოდვისაგან არარაჲთ განყოფილარს ეშმაკეულისაგან.

ლ. ვითარმედ სიმშვიდით ჯერარს მხილებაჲ ცოდვილთა და არა რისხვით.

ლა. წვიდათა მოციქულთა და მოწამეთათჳს.

ლბ. ვითარმედ არა ჯერ არს უხმოდ გლოვა მიცვალებულთათვის, არამედ ლოცვა მათთჳს და ჯამის წირტა.

ლგ. ვითარმედ აწცა წესი მოციქულთა უპყრიეს წინამძღვართა ეკკლესიისთა და სათნოებაჲ უალრეს არს სასწაულთა.

ლდ. ვითარმედ ჯეროვნად განჰგებულარს ხოწინილება ესე ჳგემთა ჩვენთა, რამეთუ უკეთუმცა ესე არა ესოდეთ იყო, ძრაჳალმეცა უჯეროება იქმნა სოფელსა შინა.

ლე. მოწყალებისათჳს.

ლვ. სიმშვიდისათჳს და რათა მოსწრაფე ვიყ-ნენით ძლევად ენებათა.

ლზ. რათა ჳგეშინოდეს საუკუნოსა სასჯელისაგან.

ლთ. ვითარმედ უღელი სიმაოთლისა სუბუქ არს და მცირე, ხოლო ცოდვისა—მძიმე და ბოროტ.

ლი. ვითარმედ ესე არს ჰეშჳარიტი დღესასწაულობა—განშორება ბოროტთაგან და ქმნა სათნოებისა.

მ. შურისათჳს.

მა. ჴსენებისათჳს ცოდვათა ჩვენთასა და სინანულისათჳს.

მბ. რათა ვ-ღვაწოთ არა ენებად, არცა ძჳრის ზრახვად მოყ-სათა, არამედ თავთა თ-სთა განვიკითხვედით.

მგ. შიშისათჳს საუკ-ნეთა სატანჯველთასა.

მდ. რათა მოსწრაფე ვიყვნეთ ყოველთა სათნოებათა მოგებად და სიცლტოლად შეგებისაგან.

მე. ვითარმედ ქველის საქმე და ჰირვეელთა წყალობა ქ-ა მიიწევის.

მვ. ვითარმედ სათნოება უალრეს არს ყოველსა, რამეთუ უმეტეს მისგან განბრწყინდეს წმიდანი.

მზ. გულისწყმის ყოფისათჳს წყრილთასა და სათნოებისა.

მთ. პატიოსნისა მის თავისათჳს ნათლისმცემელისა და რათა ვილტოდით მემღერთაგან და მსახიობელთა.

მი. რათა სულიერნი საქმენი გვაჯ-დნეს შინაგანად და კორციელნი გარეწ-რად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. წმიდათა საიდუმლოთათჳს და მოწყალებისათჳს.

ნა. თუ ვითარ შეიგინების სული, ანუ ვითარ განწმდების და ვითარმედ დიდისა სასყიდლისა მომაყუდებელ გვემნებიან მაჯირველნი ჩვენნი.

ნბ. მოწყალებისათჳს.

ნგ. ვითარმედ არაჯერარს შიში შეცვალებისა საქმეთა ამის ცხოვრებისათა, არამედ ესე ხოლო შეკრძალვა, რათა სათნოებაჲ შეუცვალებელად გვაქნდეს.

ნდ. რათა ვიქადოდეთ ჯუარცმისათჳს ქრისტესისა და სასოდ ჩვენდა გვაქნდეს ჯრი წმიდაჲ მისი და სახიერებისათჳს უფლისაჲ.

ნე. ქება მონაზონთა, რომელნი მარადის გალობასა შინა არიან და ჴსენებასა საუკუნოსა სასჯელისასა.

ნვ. მეორედ მოსლვისათჳს და ვაჴშისათჳს.

ნზ. მარხვისათჳს და ლოცვისა.

ნთ. ვითარმედ ჯერარს ფრიად მოღტაწება ცხოვრებისათჳს ძმათასა.

ჲ. სიყვარულისათჳს ქეშმარიტისა.

ჲა. ძჳრის ჴსენებისათჳს.

ჲბ. უმანკოებისათჳს და ძჳრუჴსენებელობისათჳს.

ჲგ. ვეცხლის მოყვარებისათჳს.

ჲდ. ვითარმედ ჯერარა ჩვენდა ყოველთაჳ სათნოებათა მოგება.

ჲე. სიმდაბლისათჳს და ამაპარტავნებისა.

ჲვ. სამოთისა მოჭაშნიკობისათჳს.

ჲზ. სინანულისათჳს.

ჲთ. ცხოვრებისათჳს მონაზონთასა, ვითარმედ პატიოსან არს და უმჯობეს სოფლიოსა ამის წარმავალისა.

ია. მერმისა მისთჳს სასჯელისა და რათა მოვიგოთ ზრუნვა სულთა ჩნთა.

იო. ცხოვრებისათჳს მონაზონთასა და მათისა მის მჴედრობისათჳს.

იი. ზეაობისა და მაჩვენებლობისათჳს.

იიბ. სიმდაბლისათჳს და ცხოვრებისათჳს მონაზონთასა.

იიგ. ბრალობა მათი, რომელნი ამკობენ გვამთა მათთა და სულსა უგულებელს-ჰყოფენ და რათა არა განვიცდიდეთ ქმნულკეთილობასა პირთასა.

იიდ. რათა ვისწრაფოთ აქაჳე კურნებად წყლულებასა სულთა ჩვენთასა.

იიე. მათდა მიმართ, რომელნი იტყვიან თუ შობასა კაცისასა ანუ ვარსკლავთა ქცევასა შეუდგან საქმენი სოფლისანი.

იივ. დღისა მისთჳს საშინელისა და ვითარმედ მრავალნი მცირედისა და უნდოჲსა შრომისათჳს დაკალდებიან კეთილთა მათ საუკუნეთა.

იზ. მოწყალებისათჳს და ძმათმოყვარებისა.

იო. სიყვარულისათჳს და სიმშჳდისა.

იოთ. საშინელისა მისთჳს სასჯელისა.

ჲ. ვეცხლისმოყვარებისათჳს და ძვირის ჴსენებისა.

ჲა. ძვირუჴსენებელობისათჳს.

ჲბ. ზაარებისათჳს წმიდათა საიდუმლოთასა.

ჲგ. ანგარებისათჳს.

ჲდ. ძჳრ უჴსენებელბისათჳს.

ჲე. რათა ვბაძვიდეთ სიმშჳდეს და ძჳრუჴსენებელობასა ქრისტესსა და სიმშჳდესა, რომელმან ყოველივე დუმილით თავსიდვა.

ჲვ. რათა არა უგულებელსყოფდეთ მცირეთა ცოდვათა, რამეთუ მარადის ეშმაკი მცირეთაგან იწყებს ბრძოლად ჩვენდა და ესრეთ დიდთა ცოდვათა შთაგვაგდებს.

ჲზ. რათა განვეშორნეთ ყოველისაგე ბოროტისაგან და ვიქმოდეთ კეთილსა.

ჲთ. მწყალებისათჳს.

ია. მადლობისათჳს ღა და სიყვარულისთჳის მისისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ. სინანულისათჳს და კეთილად მოჭალაჭობისა და უპოვარებისათჳს.“ 488v—492r.

მინაწერები: „უგანათლებულესმა მეფის ძემ დავით, გიორგი მეფის ძემან, წმიდის შიო მღვიმის მონასტერს შესწირა ეს სახარების თარგმანი... წელთა 1809, მაისის ჲ. არხიმანდრიტი ნიკიფორე.“ 492 r. „საჭართველოს მეფის ძის დავითისა.“ (2 r, სათაურის სინგურით ნაწერი ტექსტის ბოლოს).

მინაწერები ნ. აგრეთვე 493 v და 2 r-ს ზემო არშიაზე, შავი მელნით, წაშლილი სამი სტრიქონი (არ იკითხება).

1342

კრებული [მე-12—13 ს.]

157 ფ.; 31×25; ტრადიცია; უყდრო; დაშლილი; ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-12—13 ს.] ადგილი: შიროთა (157 v). შიომღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

1. „[თავი ია]... კ^ნლ ჰ^ნქა თავსა თ^ნსსა: აჰა, ესერა ვითარმცა წარვედითა ბ^ნრისა და მრ^ნა ჩ^ნნ: კეთილად მოხუ^ნც...“ 1 r—12 v.

2. „თავი იბ. ვითარმედ ჯერარს ჩ^ნდა ყოველდღე და მარადის მოძღუ^ნრებაჲ და სიფრთხილე. გ. მ..—იტყოდა მამაჲ ანტონი, ვითარმედ: ვიხილენ მონაზონნი, რომელნი შემდგომად მრავალთა შრომათა დაეცნეს და ცხოებასა მიჰჴდეს..“ 12 v—29 v.

3. „თავი იგ. ვითარმედ ჯერარს მოუკლებელად და მღ^ნძარედ ლოცვაჲ ყოვლადვე და ყოველსა ჟამსა. მ. გ..—მამასა ანტონის ჰკითხა ძმამან სიტყუაჲ ლეგიტელთაგან...“ 29 v—35 r.

4. „თავი იდ. ვითარმედ გჳშმს და თანაგუაც უცხოთ-მოყუარებაჲ და მოწყალებაჲ სიხარულით. მ. გ..—მამამან აპოლო თ^ნქა შეწყნარებისათ^ნს ძმათაჲსა, ვითარმედ: ჯერ არს მომავალთა ძმათა მოკითხვაჲ და თაყ^ნნისცემაჲ...“ 35 r—53 v.

5. „თავი იე. ვითარმედ ჯერარს სულიერთა მოძღ^ნრებათა მოგებად მორჩილებასა შეუ[ო]რგულებელსა. მ. გ..—თ^ნქა მამამან ანტონი: მორჩილებაჲ მარხჳითურთ დაიმორჩილებს მჴეცთა...“ 53 v—63 r.

6. „თავი ივ. სიმდაბლისათ^ნს კეთილისა და მას შინა განათლებულთათ^ნს წმიდათა მამათა. მ. გ..—მამამან ანტონი აჰხედნა ოდესმე განკითხვათა მიმართ და სასჯელთა ღ^ნთისათა...“ 63 r—90 v.

7. „თავი ივ. ძ^ნრუჳსენებლობისათ^ნს, რომელი ესე მსგავსებაჲ არს ღ^ნჲ. მ. გ..—თ^ნქა მამამან ანტონი, რომელსა ჟამსა დავფარნეთ ცოდვანი ძმისანი, დაფარნეს ჩ^ნნცა ღმერთმან...“ 90 v—95 r.

8. „თავი იზ. სიყრლისა^ნთის ღ^ნისა და მოყუსისა. მ. გ..—თ^ნქა მამამან ანტონი: მე არღარა მეშინის ღ^ნთისა, არამედ მოყუარის იგი..“ 95 v—106 r.

9. „თავი ით. სულითა მხილველთათ^ნს წმიდათა მამათა. მ. გ..—მამასა ანტონის გამოცხადა ოდესმე, იყო რაჲ უდაბნოს, ვითარმედ ქალაქსა შინა არს სწორი შენი მკურნალი ჴელოვნებით...“ 106 v—129 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. „თავი კ. ნიშებ-შემოსილთა და სასწაულთა მოქმედთა წმიდათა მამათა. მ. გ..—იტყოდეს მამისა ჰმრთნაჲსთ, ვითარმედ ვასილეოკოჲ მოაკუდინა, რამეთუ წარვიდა იგი უდაბნოდ აღმოვსებად წყლისა...“ 129 v—136 r.

11. „თავი კა. მოქალაქობისათ‹ს› სათნოებათა შინა წარმართებულთაჲ. მ. გ..—ილოცვიდა ოდესმე წმიდაჲ ანტონ‹ი› სენაკსა შინა თ‹ჳ›სსა...“ 136 r—148 r.

12. „თავი კბ. მოთხრობაჲ სულიერი ათორმეტთა მათ‹თ› განწორებულთა.—შეკრებს უკუ ერთად განწორებულნი წმიდანი ბრძენნი და სულიერნი, რიცხჳთ ვითარ ათორმეტნი...“ 148 r—149 v.

13. „თავი კგ. უწყებაჲ მოქალაქობის-თ‹ჳ› სათნოებითა შემკულთა მ. გ..—ბერმან თ‹ქ›ა, ვითარმედ: იყო ვინმე ბერი უშინაგანესსა უდაბნოსა დამკჳდრებული ჭამთა მრავალთა...“ 149 v—154 r.

14. „თავი კ[დ] მოკლე და სულ მცირე უწყებაჲ პ‹ლისა›თს ილუსტრ‹ლი›სა.—პირველ ვინმე, სახელით პატივითა იუსტინიანოს(?), იყო კაცი მდიდარი და ესუა მას ცოლი...“ 154 r—155 v.

15. „თავი კე. უბნობაჲ და ზრახვაჲ სულიერი წმიდათა ბ‹რთა›ჲ, კითხვა-მეგებითი. მ. გ..—კითხვაჲ: ვითარ ჴელრ არს მონაზონისა ყოჳელ სენაკსა შინა?..“ 155 v—157 r.

შენიშვნა: თხზულება წარმოადგენს ასკეტიკურ კრებულს, რომელსაც ეწოდება ბერძნულად Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων γερόντων; გადმოთარგმნილია ქართულად თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ.

ანდერძი: 1. „ითარგმნა უკუე წიგნი ესე წმიდაჲ ს ა მ ო თ ხ ე [წმიდათა მამათაჲ] აურაცხლთა (?) მიერ ||| |||ებათა და სულთგრძელებითა ღ‹ისა›, მეოხებითა ყოველად წმიდისა ღ‹ისა› მშობელისაჲ დედისა ღ‹მრთ›ისა, მადლითა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩ‹ნთა› ე ფ ო ზ მ ი ს ი თ ა და გ ი ო რ გ ი ს ი თ ა. ლოცვა ყავით [ჩუენ?] თ‹ჳ›სა ცოდ.“ 157 r.

2. „სახელითა ღ‹მრთ›ათა და მეოხებითა წმიდისა ღ‹ისა›მშობლისაჲთა და მეოხებითა წმიდისა იოანე ნათ‹ლის›მცემლისაჲთა, წმიდათა ზეცის ძალთა, ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთაჲთა, შუამდგომელობითა და მეოხებითა წმიდათა სერ‹ფიმ›თა და ქერობინ-თ‹ა›ჲთა და წმიდისა გიორგისი შ ო რ ო თ ი ს ა ჲ თ ა დავდევით წიგნი ესე მამათა ცხრ‹ა›ჲ წინაშე ხატისა ღ‹მრ›ებისა და წმიდ‹ი›სა გიორგისაჲ ჩ‹ნ›, არ‹ს›ლანის ძეთა, ჩ‹ნ›ისა გაზრდილისა ბაციკის ძისა გიგა[ნ]სა თ‹ს›, მის მიერითა მონაგებითა, ჰალალითა საქონლითა, გაუკუმოეთ დღე მესამე შ ა ბ ა თ ი მარხვათაჲ სალოცავად. უწირვიდენ შუდნი ხუცესნი დაუკლებლად და ვინცა დააკლოს, და ||| [უფალმან] კანონსა მა--თ -------ე, მცა ამის დაუსაბა || მოისა --- ისა---'------ || --- ლითა და ზღვისმცა ცოდ || ვათა დ[ბრლ]თა წინაშე ღ‹მრ›ისა -- || ---------სა [მე]--- სათანსა ე || [რის კაცმან] გამოაჴუას ანუ დიდე || ბულმან ანუ ებისკოფოზმან [!] ანუ ა || ზნაურმან ანუ გლეხმან და რამანცა ადამიანმან, ანუ დალეწი || თა, ანუ პარვითა და ვისაცა || ჭ‹ერ›სა კაცისა ჴელსა მოვიდეს, || ნუ ვინ გამოაჴუ[ე]ბს ხატსა ღ‹მრ›ებისასა და წმიდისა გიორგის შ‹ორ›ოთისასა. და ღ‹მერთ›მან თ‹ქნ›ცა მადლი მოგანიჭოს მოჰპრ‹ებ›ისათ‹ს›“. 157 v.

შენიშვნები: 1 v, 6 r, 7 v, 8 r, 9 r, 22 v,—23 r, 27 r, 29 v, 36 v, 47 r, 51 v, 75 v, 94 v—95 v, 98 r, 99 v, 101 r, 105 v, 111 v, 114 v, 121 v, 136 v, 137 v, 141 v, 143 v, 155 r, 157 r-v.

1343

ტიბიკონი [1783 წ.]

376 ფ.; 27,5×17,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ტის ყდა; მზედრული (სათაურები სინგრაფით); 1783 წ. (374 r); დაუწერელი ფურცლები: 3 v, 4 r, 53 v, 141 v, 142 r, 375 r, 376. შიომღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„ტიბიკონი, რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიათა. განგება წმიდისა იერუსალიმისა ლავრისა ღირსისა და ღ~თ შემოსილისა მამისა ჩვენისა საბასი. ესრეთი განგება იქმნება და სჴებათა იერუსალიმის პატრიარქთა მონასტერთა მსგავსად და სჴებათა წ~თა ღ~ს ეკკლესიათა. წესი მცირეს მწუხრისა.—პირველ მზის დასავლისა, დღესა შაბათსა, მიეგების პარეკლისიარხი (რომელ არს სანთლისა აღმნთებელი) და უპირატესისა მიმართ ყოფს მეტანიასა. იფუწყების მისგან, თუ რომელსა ჟამსა იწყოს რეკა და მიიღებს კურთხევასა და შეევალს სამრეკლოსა და რეკს მცირედ...“ 5 r—286 v.

შენიშვნა: 1. ტიბიკონი ანტონ I კათოლიკოზის რედაქციისაა.

2. ტექსტს წინ ჭედვის სარჩევი: „თავი პირველი. განგება წმიდისა ამის წიგნისა. —წესი მცირისა მწუხრისა. თავი ა...“ 1 r—3 r.

3. ტექსტს დართული აქვს: ა. „მარტანი. ესე არს სამ საგალობელი წ~იერთი მქონებელი, რომელსა შეგაჰეს მას შედგომილება კჳრიაკესა, რომელსა შინა იკითხჳს სამღდელო~ა და წმიდა სახარება, იგივი მეხუთრისა და ფარისეველისა.—შაბათსა მცირეს მწუხრსა ზედა, დასდებული აღდგომისა და ღ~ისშობლისა ჩუ~ულისაებრ დიდს მწუხრსა ზედა...“ 287 r—320 v.

ბ. „დასაწყისი სულისა წმიდისა, პენტეკოსტარია, რომელ არს ორმოცდა ათიწყებული წმიდასა და დიდსა კჳრიაკესა პასჭჱისასა ცისკრად და აღესრულების ვიდრე კჳრიაკესა ყოველთა წმიდათასა და უტანლებელად იპყრობის ყოველი წესი ყოველისა დღისა. ჟამსა ცისკრისასა პარაეკკლესიარხი მიიღებს კუ~თევასა უპირატესისაგან, გავალს და რეკს დიდსა ზარსა გრძლად.—და შევალს ეკკლესიასა შინა, აღანთებს ყოველთა სანთელთა და კანდელთა, ხოლო მოამზადებს ორთა ჴ~ჯნელთა და აღავსებს ნაკ~ჩრცხლითა...“ 321 r—345 r.

გ. „განსაცთებელნი ტროპარნი აღდგომისა რომა კმა. თავისის ღ~ის მშობლის მუხლითა და იპაკო და კონდაკი და წარდგომა ცისკრისა წინათ სახარებისა და წირვახედ და ალილუიად...“ 345 r—348 r.

დ. „დაწყება აღდგომის გამოვალინებისა და საცისკრო გგრისა, რომელ არს გგრის სახარებისა და ცისკრად უკუე გგრი არს. თქმული მ~ე ლ~ო ბრძ~ისა. ხოლო გამოვალინე ძ~ის მ~ისა კ~ტანტინე მ~ისა. გამოვალინე ა. მოწაფეთა თანა მივიწივნეთ, ჴრონ, მთასა გალილეასასა...“ 348 r—350 v.

ე. განსაცთებელნი ტროპარნი და განმანათლებელი დღისა წირვასა ზედა...“ 350 v—353 v.

ვ. „ღ~ის მშობლისა და ჯუარ ღ~ის-მშობლისა განსაცთებელნი...“ 353 v—356 v.

ზ. „წმიდა-არსისა გალობანი. რომელ ჴ~ჱთა ზედა...“ 356 v—358 r.

თ. წარდგომა, სამოციქულო, ალ~ჱ, სახარება და განიცადე საზიარო წ~თა...“ 358 r—359 r.

თ, „წარდგომა, სამოციქულო, ა~ლჱ, სახარება და განიცადე ყოველსა სამრავსა ზედა თჳთოეულად კურთხევასა ზედა ზეცისასა შჳდთა მღუდელთაგან...“ 359 r—361 r.

ი. ეკკლესიათა წმიდათა თჳს. სექდემბრის თჳდგან ვიდრე კჳრიაკედმდე მეზ~ტრისა და ფარისეველისა...“ 361 r—363 v.

ია. „განაწილი ეკკლესიისათჳს წმიდათასა. დ~ემბერს იშ დღესა—სჳვასტიანესი...“ 363 v—364 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბ. „ეკკლესიათა თჳს წმიდათასა. დამთხუმულსათჳს ქრისტეს შობისა და ვიდრე წარგზავნამდე მისა...“ 364 v—365 r.

იგ. „ეკკლესიათათჳს წ̃თსა დამთხუმეისათჳს კჳრიაკითგან მეხტჳრისა...“ 365 r—372 v.

იდ. ჩასართავი] საუფლოსა დიდისა და ღ̃რის მშობლისა დღესასწაულთა...“ 372 v—374 r.

იე. კრიპტოგრამა: (374 r) 7 2 4 7 4 2 5 1 2. 6.
4 5 3 2 1 1783.

ივ. შვიდ მსოფლიო საეკლესიო კრებათა ცხრილი. 374 v.

4. ხელნაწერის სათაურში შემჩნეულია ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ნიშანი „ჳ. „სხუბეთა“ (5 r).

მინაწერი: 375 v.

1344

შობლვიმის ოთხთავი [1304 წ.]

264 ფ.; 22×17; ეტრატი (თავსა და ბოლოში—ქაღალდის 2 რვეული); ტყავგადაკრული ხის ყდა, ტვიფრული; ამოვარდნილია: 9, 35, 186, 257—264 ფფ.; ნუსხური (სათაურები სინგურით); ფერადებით ნაწერი კამარები და თავკახმულობანი: 13 v, 14 rv, 15 rv, 16 r, 17 r, 20 r, 31 rv, 82 r, 84 r, 119 v, 123 r, 125 rv, 187 r, 233 r.; მახარობლების პორტრეტები: 19 v, 83 v, 122 v, 125 r, 186 v. [1304 წ.]; გადამწერი: გიორგი ხუცეს მონახონი (121 v, 185 v, 254 rv, 255 r); ადგილი: შიო-მღვიმის მონასტერი 254 v. შიომღვიმიდან ჩამოტანილი. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ. დაუწერელია: 11 r, 12 v, 13 r, 19 r, 81 v, 83 r, 122 r, 186 r, 255 v, 256 r.

„პირველი თავი. სახარებაჲ მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შვა ისაკ; ისაკ შვა იაკობ; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი...“ 20 r—232 v.

შენიშვნა: 1. ოთხთავი გადაწერილია ქორონიკონსა უჟე-1185 წ., მაგრამ ეს სხვა მონაცემებს არ უდგება. დასაბამიდგან ჴუარცმამდე 5534, შემდგომად ჴუარცმისა მოაქამომდე—1270, სულ 6804; ამას გამოვაკლოთ 5500-1304; ამასვე იძლევა 1270+34=1304; ასე რომ ხელნაწერი გადაწერილია 1304 წ.

2. თვითოეული სახარების თავს წამძღვარებული აქვს: „ესე თავები არს...“ (თავების ნუსხა) 17 r—18 v, 82 rv, 119 v—121 v, 185 rv.

3. ოთხთავის ტექსტს წინ უძღვის: „ე ვ ს ე ბ ი კარპიანეს, საყურელსა ძმასა, უფლისა მიერ გჳთხაჲ...“ 11 v—12 r. ბოლოში დართული აქვს ტექსტის ხელითვე ნაწერი „ზანდჳკი საწესოწყოთა გამოყრებულისა სახარებისაჲ, ესრე სახედ: სადაცა წითელი ჯ̃არი ჴდებს.. მუნ სახარებისა თავი არს და სადაც ჯ̃არა-ვარსკვლავნი სხდენ... მუნ დასასრული არს.“ 233 r—253 v.

4. ხელნაწერის თავსა და ბოლოში ჩაკინძული ორი რვეული (ქაღალდისა) XVI—XVII ს. ნუსხურით ორ სვეტად დაწერილს მათეს სახარების ტექსტის ნაწყვეტს შეიცავს—თავი: 7 (მთ. 24—29) 8, 9, 10, 11, 12 (მთ. 1—46) 1—8, 257—264 ფფ.

5. ოთხთავის ძირითადი ტექსტის დაკლებული ფფ. რესტავრირებულია XVII ს. ნუსხურით დაწერილი ეტრატის ფფ-ით (35, 37, 40. 42).

19. ხელნაწერთა აღწერილობა, III ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. 9 r-ზე (ქაღალდი), XVII ს. მხედრული: „ქ: მიებარა იორამის შვილს ხაალს სახარების მოსაჴედლათ შვიდი მილანული და ორი აბაზი.“

7. ი რ ა კ ლ ი II მეფის წყალობის წიგნი და სიგელი შიო მღვიმელის საფლავის ყმას, მახარებლის შვილს იაკობს (მხედრული). 1795 წ. I, III. 9 r-v. 10 r-v.

8. ბატონიშვილის ა შ ო თ ა ნ ის (სახარების მომჴედლის) მხედრული მინაწერი. 9v. „ქ. ჩვენ, ბატონისშვილმან აშოთან, შეწევნითა შენითა, უდაბნოს განმაბრწყინებელო და განმანათლებელო წმიდაო შიო მღვიმელო, მოგიგებიხარ სულთა განმანათლებელი ესე სახარება და ტაძარსა შენსა დავსდგე, რათა შენცა მეოხ მჴმიხა დღესა მას საშინელსა...“

9. ყ ა ნ ჩ ა ე ლ ი წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი ს წ ი გ ნ ი შიო-მღვიმის მონასტრის საერის ამოკვეთისა (თარიღობისა) და აღებისა; ტექსტის ბოლოს, თარიღი: 1658 წ. და ბეჭედი, წარწერით: „მელქისედეკ“ (მხედრ.) 16 v, 17 r-v (ქვემო არშიებზე); 18 r (ქვემო არშიაზე).

ანდერძი (გადამწერისა): I. „მადლი და დიდებაჲ ღ‹ა, მარადის დიდებულსა, მიზეზსა და სრულმყოფელსა ყოველისა კეთილისასა. განსრულდა წმიდაჲ ესე და ყოველითურთ საწადელი სულთა განმანათლებელი წიგნი სახარებაჲ ოთხთაჲი. სრული ვიღა ვთქუა განგებითა, ხატითა და კამარითა, ხანდღეკითა საწელიწეულოჲთა განთჳსულისა სახარებისაჲთა და შეწყობითა კეთილად და მართლად შემოსით და შეკედით, არა გულსმოდგინებისა მსგავსსაჲ, არამედ ძალისა. ესე წმიდაჲ და საწადელი სახარებაჲ მოვიგე და დავწერე ჴელითა ჩემითა მე, გიორგი, სულითა საწყალობელმან, სახითა ოდენ მონაზონურეცხვამან, ხოლო უნარჩეულმან ყოველთა მორწმუნეთათჳს. პირველად სალოცველად სულისა ჩემისათჳს და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემით და ძმისა ჩემისა. დამცველად და მფარველად ჩ‹მდა საწუთოსა ამას შინა და მერმე მეოხად და წინამძღოლად ჩ‹მდა დღეს მას განკითხვისასა, ოდეს იგი მოაგებდეს კაცად კაცადსა საჴმეთაგან. აწ ვინცაჲცა შემდგომად ჩემსა იკითხვიდეთ და იმსახურებდეთ წმიდასა ამას ოთხთაჲსა, გჳედრები, ღ‹თისათჳს, რათა სთქუათ პირითა კურთხეულითაჲ: ღმერთო, შეუნდევ ყოველნი ცოდვანი გიორგის, ამის წმიდისა სახარებისა მწერალსა, ამინ. რათა უფალმან ღმერთმან თ‹ქნეცა გიწოდოს საწადელი იგი კმაჲ: მოვედით, „კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკჳრეთ განძებადებული თ‹ქნთჳს სასუფეველი. დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთაჲი დიდსა უდაბნოსა მღუბისასა, საყოფელსა წმიდისა და ღ‹თ შემოსილისა მამისა შიოჲსსა. ხოლო ქრონიკონისა წელი იყვნეს ჳე. წელნი, რომელ გარდასრულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჴუჯარეფამდე უფლისა ჩ‹ნისა იესუ ქრისტესა, ესრეთ იცნობების: ჳ, ფ, ლჲ. ხოლო შემდგომად ჴუჯარეფისაჲ ვიდრე მოაკმამდე: ჩ, ხ, ო. ერთ რიცხუად ყოველნი წელნი დასაბამითგან ვიდრე აჭამდე: ხ, ყ, ჲ.“ 254 r-v.

II. „საჴელითა ღ‹თა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა და მეოხებითა წმიდისა დედოფლისაჲ ჩ‹ნისა ღ‹თის მშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და წმიდათა და ღ‹თ შემოსილთა მამათა ჩ‹ნთა ი‹გ, შიო და ევეგრესითა, მოვაკსენენ და შეესწორენ წმიდაჲ და ღმერთ შემოსილსა მამასა შიოს ოთხთაჲი სახარებაჲ, სრული ყოელითა განგებითა, კამარითა და ხატითა, ხანდღეკითა და შეჴედითა, არა გულსმოდგინებისა მსგავსად, არამედ ძალისა: ერთნი მარხვანი ეტრატსავე ზედა, ერთნი ხატიკნი ეტრატსავე ზედა—მე, გიორგი, სახითა ოდენ მონაზონ-ხუცესმან, ხოლო სულითა საწყალობელმან და უუნდოდ-მან თავადმან, მოძღურად წოდებულმან და სრულად კრებულმან მღუბისამან. აღაჲი გამიჩინეს საუკუნოდ ეკლესიას სეფისკ‹რიათა, თესლითა და კუნაზნითა ღუნოჲ წინა დღესა ხარებისასა, მოსავსენებელად სულისა ჩემისათჳს. აწ ვინცა დააკლოს სულსა ჩემსა, ღმერთმან იგი დააკლოს საუკუნეთა კეთილთა და ჩემთამცა ბრალთა და ცოდვათა მზეცელი იგი აოს და ანუ ესე წიგნი სახარებაჲ დედად ვის მისცეს, ანუ მონასტრისა კარსა გარეთ რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა საცილუდად ვის მისცეს, თჳნიერ კრებულისაჲ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტანიასა და საფიცისა გარეშე, ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ, წმიდაჲ ღ~თის მშობელი და ყოველნი წმიდანი ღ~თისანი და წმიდაჲ შიო და ეგვიპე მოსაჯულნიმცა არიან სულისა მისისანი და ყოველთამცა ბრალთა ჩემთათჳს ჩემ წილ იგი მისცემს პასუხსა დღესა მას განკითხვისასა, ანუ ანდერძი ესე ჩემი შეპ[ო]ლოს, კრულმცა არს ამის საბარებისა მადლითა და ვინ მტაცებელ იპყრას, იგი ღმერთმან აკურთხოს და ნუ დაჰკლოს საუკუნოჲსა კეთილთა მისთა. ამენ.“ 255 r.

III. „ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო! სულითა შეიწყალე გ[იორგი], მწუალი ამის საბარებისაჲ, უცოდველნი ყოველთა მოქმენთა შენისა წყალობისათჳს.“ 121v.

IV. „ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო! ნუ დასჯი დღესა განკითხვისასა უცოდველსსა ყოველთა ცოდველთასა გ[იორგ]ის, ამის წმიდისა საბარებისა მწყრალსა. ამინ.“ 185 v. (სინგურით).

1345

ანდრია სალოსის ცხოვრება [მე-11—12 ს.]

202 ფ.; 19×13; ტტ=ვა; ტყავგადაკრული ყდ ხისა, ტვიფრული; თავ-პოლონაკლული (პირველ ორ რვეულს—ა, ბ—აკლია 6 ფ., უკანასკნელს—3 ფ.—კ‘ს.); ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-11—12 ს.] ჩამოტანილია შიომღვიმიდან. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„ძმანო ჩემნო საყ~რელნო და მონანო ღ~თისნო! ისმინეთ ვედრებისა ჩემისა და გაუწყო, რამეთუ არს საქმე ესე ტკბილი, ვითარცა თაფლი და საყნოსველად სულნელი და ამო. განამზადენით გულნი თჳ~ნ[ი]ი სმენა [!], რათა მე უფროსლა განწ[ე]ძლიერდე და ვიწყო თხრობად კაცისა ამის საკუთ~რველისა [!] მოწყალებათა და შრომასა.—მეუფობასა ქ~ეს მო~ყრისა დიდისა ლეონისა იყო კაცი ვინმე წარჩინებული ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლესსა, სახელითა თეოლონოტოს...“ 1 r—201 r.

ანდერძი: I. „ხოლო მე, ნ ი კ ი ფ ო რ ე ხ უ ც ე ს მ ა ნ დიდსა ეკლესიასსა მე[!] თ~ლითა ვიხილე და რომელი მომითხრა ნეტარმან ე პ ი ფ ა ნ ე უტყუებლითა პირითა, სადიდებელად ღ~ისა ჩ~ისა ი~ჳ~სჲ, რომელსა შუმნის პატივი და თაყ~ვანისცემაჲ, თანა მამით და სულით წმიდით, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

II. „ამა წიგნსა ეწოდების ბერძულად აპოკროფა, რომელ არს მოძ~რთა ხოლო კითხვად და არა ყოელსა ერისა სა[ე]ნ~ჯნოჳყოფად უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა სჯულის კანონი. უუნის უფალმან, თუ მიზ~დეს კაცი ბრძენი, გულის ჭმაირი [!], დედაჲ არს ყოველისა მეცნაობისა.“

III. „ღმერთმან უწყის, რაჲცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგაჲ ჭმნასა და ს~მართლესა დია მოვიჯირვე, მ[ა]გრა დედაჲ ოდეშს დაწერილი იყო და სიტ~ყ~სა სცვ[ა]ლებდა. ხშირად ვსწერე, მ[ა]გრა ეტრატი ძ~რად მჭონდა.“ 201 r-v.

მინაწერები: 1 r, 16 r, 18 r, 45 r, 53 r, 61 v, 62 v. 69 rv, 70 v, 77 v, 87 v, 88 r, 89 v, 91r, 92 v, 95 v, 101 r, 116 v, 117 rv, 118 r, 119 r, 127 r, 129 r, 130 v, 135 r, 149 r, 150 v, 156 v, 157 v—158 r, 159 v, 161 v, 162 r, 174 v, 180 v, 181 r, 182 v, 183 r, 186 r, 190 r, 200 v, 201 v, 202 r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1346

კრებული [978 წ.]

210 ფ; 17,5×12,5; ეტრატი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, მორღვეული; დაშლილი (ხუთგირთი ფურცელი ამოვარდნილი—1—6, 124, 125, 206, 2 ფ. გაცრეცილი, მე-9-ე სტრიქონის დაზიანებით—2 ტ); კუთხოვანი ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები ასომთავრული, იქრის ვარაყით, წმენინით, ლურჯით და სინდურით); 978 წ. (210 ტ); ფერადებით ნაწერი მინიატურა: 1 ც, თავკაზმულობანი: 2 ტ და 60 ტ; დამკვეთნი: გრიგოლი და იოვანე (209 ტ); მთარგმნელი: ეფთიმე (208 ტ); წმენარალი: საბა კუტი (208 ტ); მმოსელი: იოვანე (208 ტ.); ადგილი—ოლმებას მთა, კრანიას ლავრა (209 ტ). შიომღვიმიდან ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

1. „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებელისა და ღ~თის მეტყველისა იოვანჱსი, რომელი გამოუცხადა მას ღმერთმან. წმიდაო მახარებელო, მეო[ხ ეყავ]ნ წინაშე უფლისა მონათა შენთა გრიგოლს, საბას და იოვანეს. ამინ.—გამოცხადებაჲ იესუ ქრისტესი, რომელ იგი მისცა მას ღმერთმან ჩუენებად მონათა მისთა, საქმეთა მათ, რომელთაჲ ჯერ არს ადრე აღსრულებაჲ...“ 2[ტ—59 ტ.

ანდერძი: „ქრისტე! შეიწყალე საბა, ამისა მწერალი. ამინ“. 59 ტ (სინგურით).

2. „წმიდისა მამისა ჩ~ნისა ანდრიაჲს მთავარ-ეპისკოპოსისა კესარია-კაბადოკიელისაჲ, თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოვანჱ მახარებელისაჲ, რომელი სთხოა ს~ხმან ებისკოპოსმან და ამან მიწერა ესე მისა: „უფალსა ჩემსა და ძმისა და ჩემთანა მღდელსა, უფლისა მიერ გახარებე,— მრავალთა მიერ მრავალგზის აღვიძულე, რომელთა იგი აქუნდა ჩემდა მომართ იქუ, უზეშთაესი ჩემისა ძალისაჲ...“ 60 ტ—208 ტ.

შენიშვნა: 119 ფ. ჩამატებულია, დაკლებული ტექსტის შევსებით.

ანდერძი (მთარგმნელისათვის): „ქრისტე, ადიდე სულითა ეფთიმე, ამისი თარგმანი. ამინ იყავნ“. 208 ტ.

ანდერძი (გადამწერისა): „ქრისტე შეიწყალე საბა, ამისი მწერალი და იოვანე— მმოსელი. ამინ“.

„საბერითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოველად წმიდისა ღ~თის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა ჯ~ისაჲსნისა ჯ~რისაჲთა და წმიდათა და დიდებულთა ზეცისა ძალთა ანგელოზთ მთავართაჲთა, წმიდისა წინასწარმეტყ~ლისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესისითა, წმიდათა და ყოველად ქებულთა მოციქულთა და მოწამეთაჲთა, წმიდისა იოვანე ღ~თის მეტყველისა, მოციქულისა და მახარებელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი სათნო ყვნეს უფალსა, ღირს ვიქმენ მე, უღირსი და ცოდვილი სა ბა კ(უ)ტი დაწერად ქებითა ჩემითა წმიდასა ამას და ბეშმარიტსა წიგნსა გამოცხადებისასა, შეწევნითა ღ~თისაჲთა და ბრძანებითა სუეიერისა მოძღურისა ჩემისა გრიგოლ ღ~თისითა და ძმისა ჩემისა იოვანესითა და გულსმოდგინედ ვიხარკე, რათა უცდომელად დაეწერა და კუალად შევაწმე და სადაცა ვპოვე გინათუ დაკლებული, ანუ შემატებული, ვიდრე ასოდ ერთადმდე, ყოველივე გავჰპართე და ვჰგონებ თუ პირველსა უმჯობებს არს. აწ თქ~ნცა, რომელნი სწერდეთ, ეგრეთვე ყავთ, რათა უბრალო იქმნეთ და რომელნი იკითხვიდეთ ამას ჩ~ნსა დაწერილსა, ღმერთმან დაგაჯეროს: წმიდასა ლოცვასა თ~ქნსა მოგჯუსენენით, რათა ლოცვითა თ~ქნითა და მეოხებითა ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი ამას წიგნსა სწერიან, ერთობით, ღირს ვიქმნეთ შესლვად ზეცისა ქალაქსა ი(ერუსალ~მსა, მადლითა და წყალობითა უფლისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწერა საბერძნეთს, მთასა წმიდასა ო ლ ი მ ბ ო ს, ს:ყოფელსა წმიდისა ღ~თის მშობელისასა, ლავრასა შინა სახელით კ ა რ ა ნ ი ა ს. მეფობასა კ ა ი ს ა რ ი ს ა და კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ი ს ა, პატრიაქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვ ა რ დ ა ს კ ლ ე რ ო ს ი ს ა. ჰ~რასა დიდსა საბერძნეთისასა; ოჯ~რებასა გლახაკთასა და აწუუედასა ჰაბუქთასა უწყალოდ ურთიერთას მახჯლითა; ქმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა ვწერი, ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა, არავინ უწყოდა, თჳნიერ ღ~ისა. ყოველნივე ურთიერთას ეკუეთებოდეს, სიტყ~ი და საქმით, მცირენი და დიდნი, ყ~ლნი იბრძოდეს. დასაბამითგანნი წულნი იყვნეს ხ ფ ჰ ბ, ქრონიკონი იყო რ ჳ.

მინაწერები: 1 r, 89 v, 90 r (ბერძნული), 97 r, 165 v, 204 r, 205 v, 206 r, 207 v, 210 r-v.

მინაწერები: 1. „სახელითა ღ~ისათა. შევწირე წმინდაჲ ესე წიგნი გამოცადებაჲ წმიდისა იე მთაწმიდ~ლისა და ღ~ის მეტყ~ლისა მე ცოდვილმან ტფილელ მთავარ ეპისკოპოსმან ბარნაბა ნიკრზს საყდარსა ხატისა ღ~ეებისასა, სამკვიდრებელსა და სამარხოსა მამათა ჩ~თასა, რომელი ესე მიმოძაჲ უფალმან ეპიჯანე ეპისკოპოსმან პატრონისნის და ცხოველს მყოფელისა ჯ~ვარისამან იწრფასლიმელმან. ხოლო შენ, ხატო ღ~ეებისაო, შეიწირე მცირე ესე მსახურებაჲ და ნალუაჩი ჩემი და ნაცვალ მაგე მადლი და ფარვა შენი. და ვინცა გამოაკუას წმიდასა ტაძარსა შენსა, ჰ~რისაგემცა შენ, ღ~ებაჲ მამაჲ და ძე და სული წმიდაჲ, სამებით ცნობილი და ერთარსებით აღსარებული... ორსავე შინა ცხორებასა ამინ". 210 v. (შავი მელნით, ლამაზი ნუსხურით).

2. ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი ს მინაწერი: „ქრისტე, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოსებ საკაძე" 206 v. (კალიგრაფიული მხედრულით).

3. ა ხ ი ლ მ ე ფ ი ს მინაწერი: „ქ. ამ იოსებ საკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებითა სვსსი წიგნი ესე სხვილით ოდეს მეფესა არჩილს (ჩართულად), შენდობით მოიხ." 206 v (მხედრულით).

1347

კრებული-მეტაფრასი [მე-11—12 ს.]

527 ფ.; 45×32; ბომბიცინი; სქელი ყდა ბისა, ტყავგადაკრული (ყუასნ დაზიანებული; 2, 3, 4, 19, 20, 25, 26, 51, 53, 91, 95, 99, 147, 154, 439, 440, 447, 448, 455, 464, 470, 471, 472, 520, 526, 527 ფფ. ამოვარდნილია. დანარჩენები—მეტად დაზიანებული, გამსაკუთრებით 368, 369—რესტავრირებულია თეთრი ქაღალდის დაწებებით); მსხვილი კლასიკური ნუსხურით, ორსვეტად (სათაურები სინგურით); [მე-11—12 ს.]; მთარგმნელი ზოგი სტატიისა: თეოფილე (99 r) და ეკვთიმე მთაწმიდელი (125 r, 473 r); გადამწერი [არსენი იყალთოელი?] (72 r, 159 r). ჩამოცანილია დავით-გარეჯსჯის მონასტრიდან ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

1. „[სვიმეონ მესვეტის ცხოვრება]...გმაღლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩ~ნო, რომელ ამათ ესოდენთა ამათ ღირს მყავ მე კეთილთა, რამეთუ ჭელითა შენითა მტკიცითა და ძლიერითა ძალითა შემმოსე მე..." 2 r—19 v.

2. „სეკვდმებერსა: ო: თქ~ული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა ა ნ დ რ ი ა ე ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს ა კ რ ი ტ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა.—შობისათჳს დედოფლისა ჩ~ნისა ღ~ისშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისსა. მამაო, გუაკურთხენ.—დასაბამი უკუე ჩ~ნთა დღესასწაულთა არს მოწევნული ესე დღესასწაული პირველი ესე შემდგომად ქეელისა და აჩრდილისა..." 19 v—25 v.

3. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა ი ო ა ნ ე მონაზონისა და ხუცესა დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა ჲ ს ი ტ ყ უ ა შობისათჳს დედოფლისა ჩ~ნისა ღ~ის მშობე-

ლისა და მარადის ქალწულისა მარიამისსა. მამაო, გუაკურთხენ.—მოვედით ყოველნი წარმართნი, ყოველი ნათესავი კაცთაჲ, ყოველი ენაჲ და ყოველი პირი და ყოველი ჰასაკი ყოფლისავე თ[ა] პატივისა და მხიარულებით ვდღესასწაულობდეთ ყოვლისა სოფლისა სიხარულისა შობისა დღესა...“ 25 v—32 r.

4. „სეკდენბერსა: იგ: წმიდათა შორის მამისა ჩ[ნისა] ი ო ა ნე მონაზონისა და ხუცისა დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა ჲ სიტყუაჲ სატფურებისათჳს იერუსალიმისა, ქრისტეს ღ[ა]ისა ჩნ[ისა] აღსადგომელსაჲ და ამაღლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. გუაკურთხენ მამაო.—რაოდენნი ღ[ა]ის მოჭალაქე ხართ მრჩობლთა ქალაქთაგანნი ამიერ დიდით და სახელგანთქმულით იერუსალიმით...“ 32 r—40 r.

5. „სეკდენბერსა: იდ: ნეტარისა ა ნ დ რ ე ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს ა კ რ ი ტ ე ლ ე მ თ ა ვ რ ე ბ ი ს კ ო ს ი ს ი. სიტყუაჲ ყოვლად მსოფლიოჲსათჳს ამაღლებისა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯუარისა, მამაო გუაკურთხენ.—ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ყოველივე ეკლესიისაჲ განბარწყინდების საცნაებაჲ...“ 40 v—45 r.

6. „მისე ცხოველს მყოფლისა ჯუარისათჳს სიტყუაჲ მეორე: მამაო გუაკურთხენ.—აღვძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბაგენი სახედ ბობღნისა! აღვიღოთ საფსალმუნე და ორღანოჲ! უგალობდეთ ღმერთსა! უგალობდეთ გულისჴმის ყოფით მეუფესა ჩ[ნ]სა...“ 45 r—48 r.

7. „[დღესას]წაულსა ჯუართა აპყრობისასა. საკითხაჲი, თქმული [წმიდა]სა] და ნეტარისა მამისა ჩ[ნ]ისა ი ო ა ნე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ. გუაკურთხენ, მამაო.—[ყოველი]ე უდარესითგან უმჯობესისა მიმართ შეცვალებაჲ ფრიადისა შუბ[ა]ისა და მხიარულების მომატყუ[ე]ბელ ექმნების ნათესაჲსა კაცთასა...“ 48 r—51 v.

8. „სეკდენბერსა: კ: წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ევსტათისი და თეოფისტაჲსი და ორთა შჳილთა მათთაჲ აღაპისი და თეოფისტისი. გუაკურთხენ, მამაო.—[ტრა]იანეს ჰრომთა სკიპტრისა მპყრობელობასა და კერპთა სიბორგილისა ყოველსა სოფელსა შორის მიმოგანფენილობასა, ევსტათი დიდი მთავრად მწედრთა ბანაკისა იცრობებოდა...“ 52 r.—69 v.

9. „სეკდენბერსა: კგ: მოსაჴსენებელი წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა ქრისტესისა და მახარებელისა იოანე ღ[ა]ისმეტყუ[ე]ლისა: გუაკურთხენ, მამაო.—რამეთუ არა ფრიად დაკლდა ანგელოზთაგან კაცი...“ 69 v—77 v.

10. „თ[ა] ოკდონბერსა: ვ: მოსაჴსენებელი წმიდისა მოციქულისა თომაჲსი. გუაკურთხენ, მამაო.—ოდეს იგი ძუ[ე]ლ სადმე ქ[ა]ყანასა ზედა მიმოვიდოდეს მოციქულნი და ზესთა ცათასა ხედვიდეს გონებითა, მაშინ უქადაგებს დამონებულთა მათ უღთოებისათა განთავისუფლებაჲ და ახნაურებაჲ...“ 77 v—82 r.

11. „თ[ა] ოკდონბერსა: იზ: მოსაჴსენებელი წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკაჲსი. გუაკურთხენ, მამაო.—ოჳ[ა]რუ საჴსენებელსა მართლისასა ს[ა]ღ ვინმე და ბრძენი კაცი საღ[ა]თოდ შჳულისმდებლობს და გუაწუ[ე]ს ჟეჱბით აღსრულებად...“ 82 r—86 v.

12. „თ[ა] ოკტომბერსა: კგ: მოსაჴსენებელი იაკობ მოციქულისა, ძმისა ოჳფლისაჲ: გუაკურთხენ, მამაო.—არა[ ]რაჲ არს ესრეთ საწადელ სათნოების მოყუარეთა და არცა ერთითა სიმაძღრითა შემაშთობელ...“ 86 v—92 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. „თ[ა] ოკტომბერსა: კვ: წამებაჲ წმიდისა დიდებულისა ქრისტეს მოწამისა დმიტრისა. გუაკურთხენ, მამაო.—აქუნდა რაჲ სკიპტრაჲ ბერძენთა მეფობისაჲ მაქსიმიანე ერკულსა, ფრიად სასტიკებით მოქადულ იყო იგი ქრისტეანეთათჳს.“ 93 r—99 r.

14. „თ[ა] ნოენბერსა: ა: მოსაჴსენებელი წმიდათა უჴრთამოთა მკორნალთა კოზმან და დამიანეთაჲ და დედისა მათისა თეოდოტისი: გუაკურთხენ, მამაო.—ოჳფლისა და მაცხოვრისა ჩ[ენისა იესუ ქრისტეს სუფევითა ყოველი წარწყმედად და ეშმაკთა მსახურებაჲ განჴარდა...“ 99 r—104 r.

შენიშვნა: სინგურით ნაწერი სათაურის ტექსტის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე. ჯვარედინად, ტექსტის ხელით მიწერილია: „თეოფილეს თარგმნილი“. 99 r.

15. „თ[ა] ნოენბერსა: ზ: წმიდათა შორის მამისა ჩ[ენისაჲ იოანე მთავარეპისკოპოსისა კოსტანტინეპოლელისა ოქროპირისაჲ. ოდესაჲ სერაფიმთათჳს: მამაო, გვაკურთხენ.—ძლითსა სადმე განვლეთ ოზიაჲს თ[სი ოფსკრული, ხოლო ძლით განვლეთ არა გზისა სიარულისათჳს, არამედ ცხოველის მოყუარებისათჳს, თქ[ნ, ჩ[ნ თანა ნავით მავალთაჲსა...“ 104 r—109 r.

16. „[თ[ა] ნოენბერსა: იგ: იოანე მონაზონისა და ხუცისა დამაკელისაჲ. შესხმაჲ წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ. მამაო გუაკურთხენ.—ოჳმდა სადმე, უკმდა, ჰოჲ, იოანე, ყოველისაჲ ოქროო, შესხმათა შენთა შეზებად მეცადინისა, ოქროჲსა ენისა, წილ-კეთილ ხუდომითა, აღმოთქუმით დინებაჲ სიტყჳთა ოქრო-ნაკადულთაჲ...“ 109 r—113 v.

17. „თ[ა] ნოენბერსა: იდ: მოსაჴსენებელი წმიდისა და ყოველად ქებულისა ფილიპესი. მამაო, გვაკურთხენ.—ღ[თისაგან ღ[თი სიტყუაჲ მარადის მამისათანა იყო და უკუამო იყო...“ 113 v—117 r.

18. „თ[ა] ნოენბერსა: კა: გიორგისი, რომელი იყო კოსტანტინეპოლით წიგნის მკითხველი წმიდისა ღ[ისა ეკლესიისაჲ სიტყუაჲ ყოველად წმიდისა ღ[ისმშობლისათჳს, რაჟამს მიყვანებულ იქმნეს სამისა წლისაჲ ტაძრად ოჳფლისა მშობელთა მიერ მისთა. მამაო, გუაკურთხენ.—ეკითხა მიზეზთა სიტყუად დაწყებისათა მიჩუ[რებს ჩ[ნ მოწევნული ესე დღესასწაული...“117 v—125 r.

19. „წმიდათა შორის მამისა ჩ[ნისა იოანე მმარხველისაჲ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. სიტყუაჲ ტაძრად მიყუანებისათჳს ყოველად წმიდისა ღ[ისმშობელისა, ოდეს იგი მშობელთა მისთა მიიყვანეს სამისა წლისაჲ. მამაო, გუაკურთხენ:—ბრწყინვალე არს და დიდებულ დღესისა ესე კრებაჲ და გონებასა დღესასწაულის მოყუარეთა მორწმუნეთასა ვალობად წადიერ ჰყოფს...“ 125 r—133 r.

შენიშვნა: სინგურით ნაწერი სათაურის ტექსტის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე. ჯვარედინად, ტექსტის ხელით მიწერილია: „ეფთიმის თარგმნილი.“ 125 r.

20. „თ[ა] დეკენბერსა: დ: ღუაწლი წმიდისა დიდებულისა და კეთილად მძლისა დიდისა მოწამისა ღ[თისა ბარბარაჲსი: მამა[თ], გუაკურთხენ.—მაქსიმიანე ბოროტად მსახურისა მეფისა საცთურისათ[ს კერპთაჲსა მრაველისა მოსწრაფებისა შემოღებასა...“ 133 r—138 r.

21. „თ[ა] დეკენბერსა: ვ: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩ[ნისა ნიკოლაოს მთავარეპისკოპოსისაჲ მირონ ლუკიისასა: მამაო, გუაკურთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხენ.—ბრძენი რამე საჭმარ არს მხატვართა ჭელი დაძნელ ვიდრემე მათ მიერ მისამსგავსებელად ჴეშმარიტებაჲ...“ 138 r—154 r.

22. „თ(ა) დეკენბერსა: თ: საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ(ვ)ნისა ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ. მუცლად ღებასთ(ჳ) ანნაჲსა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღ(ვ)ისშობელისაჲ. მამაო, გუაკურთხენ.—რაჲ არს სიდუმლოჲ ესე ახალი და დიდებული, ღ(ვ)თისა ქ(ვ)ნად გარდამოსლვაჲ...“ 154 r—159 r.

23. „თ(ა) დეკენბერსა: ი(ჲ): წამებაჲ წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა ქრისტესთჳს ევსტრატისი, ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი. მამაო, გუაკურთხენ.—მეფობასაი დიოკლიტიანესსა და მაქსიმიანესსა, რომელნი მეფობდეს ყოველსა ზედა სამეუფოსა ბერძენთასა, სადაც იყო ყოველი საბრძანებელი მათი...“ 159 v—173 r.

24. „თ(ა) დეკენბერ[სა]: კ(ა): შობაჲ ოჳფლისა ჩ(ვ)ნისა იესუ ქრისტესი, წმიდათა შორის მამისა ჩ(ვ)ნისა გ(რ)იგოლი ღ(ვ)თისმეტყველისაჲ. სიტყუაჲ შობისათჳს მაცხოვრისა. მამაო, გუაკურთხენ.—ქრისტე იშვების! ადიდებდით! ქრისტე! ზეცით მიეგებვოდეთ! ქრისტე ქუეყანასა ზედა!—ამაღლდით!..“ 173 r—179 v.

25. „ოჳფლებათაგან პირველთა, დიდითა გამოწულილვითა შეკრებული ნეტარისაგან იოანე ხუცისა დამასკელისაჲ. სიტყუაჲ ყოველად ქებულისა შობისათჳს ოჳფლისა ჩ(ვ)ნისა იესუ ქრისტესა. მამაო, გუაკურთხენ.—რაჟამს ზაფხული მოიწიოს, ყოველსა სოფლისა ნივთნი კუალად განახლებად მოიქცევიან...“ 179 v—188 r.

26. „წმიდისა გ(რ)იგოლი ნოსელისა ეპისკოპოსისაჲ. სიტყუაჲ შობისათჳს ოჳფლისა ჩ(ვ)ნისა იესუ ქრისტესსა და ჩჩ(ვ)ლთათჳს ბეთლემს მოწყუდილთა. მამაო, გუაკურთხენ.—დაჰბერეთ ახლის თჳს-თავთა ნესტჳთა!“ იტყჳს დავით ბრძ(ვ)ნივალესა დღესა დღესასწაულისა ჩ(ვ)ნისასა...“ 188 r—198 r.

27. „თ(ა) დეკენბერსა: კ(ზ): წმიდათა შორის მამისა ჩ(ვ)ნისა სოფრონ იერუსალემისაჲ პატრიარქისაჲ. შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისა, პირველ დიაკონისაჲ. მამაო, გუაკურთხენ.—მოვიდა ჩ(ვ)ნდა სტეფანეცა, ყოველთა სათნოებათაჲ გჳრგჳნი ზედა მდებარე...“ 198 r—203 v.

28. „თ(ა) იანვარსა: ა: წმიდისა მამისა ჩ(ვ)ნისა ამფილოქი იკონიელ ეპისკოპოსისაჲ. ცხორებისათჳს და საკჳრველებათა წმინდათა შორის მამისა ჩ(ვ)ნისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია კაბადოკიისაჲ. მამაო, გუაკურთხენ.—საყუარელნო, არა შეუგვანებელ იყო ერთგულთა შვილთა მიერ მშმუნვარებაჲ მიცვალებასა ზედა მამისასა...“ 203 v—207 v.

შენიშვნა: 1. ქვემოთ ჩამოთვლილი სტატიები (ა—ი) შემადგენელი ნაწილი არის ამ თხზულებისა.

2. 203 v-ზე, ტექსტის პირველი სტრიქონების გასწვრივ, მარცხენა არშიაზე, მიწერილია (ტექსტის ხელით): „თარგმნილი ეფრემისი“.

ა. „იელიანესთჳს განდგომ[ილისა].—მათ ჟამთა შინა, ოდეს იგი ბ[ასილი]-ისდა რწმუნებულ იყო განგებაჲ ეკლესიისაჲ, საძაგელმან იელიანე მიიმძლავრა მეფობაჲ...“ 207 v—210 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. „დიაკონისათჳს.—შესწირვიდა ოდესმე დიდი ბასილი მსხუჳპრესსა უსიხლოსა დღესა დღესასწაული[სასა]. ყოველი ერი გარემოა[დგეს] მას ფრიადითა შიშითა..." 210 v—211 r.

გ. „ . . . ა სარწმუნოებად მო[ქცეულთ]ათჳს:— . . . . . ესრეთ სამღდელ[ოჲსა] დიდისა ბასილის მიერ სრ[ულ] იქმნებოდეს ვიეთნიმე [ეს]რეთ საცთურსა შინა ელენოსასა დაშთომილნი მოუჴდეს მას და ჰრქუჳს..." 211 r—212 r.

დ. „ნიკეას ქმნილისათჳს საკერველებისა დიდსა ეკლესიასა ზედა.—იტყჳის საღთოჲ ჴმაჲ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან წყლისა ცხოველისანი..." 212 r—213 v.

ე. „თხრობაჲ ქ[ესარიაჲ]ას შინა კაბადოკიისასა ქმნილისათჳს საკერველებისა მღდელმთავართა შორის ღ[ისათა საუკუნოჲ მოჴსენებულისა მიერ ყოველსა სოფლისა მნათობისა და განთქმულისა მწყემსისა კესარიელთაჲსა დიდისა ბასილისსა.—მღდელთ-მთავართა შორის ღ[ისათა განთქმული, მარადის მოჴსენებული და დიდი მთიები სოფლისაჲ ბასილი, მეორე, შემდგომად მოციქულთა, მწყემსი და მოძღუარი..." 213 v—220 r.

ვ. „წერით უგარისმყოფელისათჳს ქრისტესისა.—ელადიოს, ღირსებით საჴსენებელი, კაცი საკ[რველი, თჳთმხილველ და მსახურქმნული წმიდისა მიერ აღსრულებულთა საკ[რველებათაჲ და შემდგომად განსლვისა მისისასა მონაწილე ქმნული საყდრისა მისისაჲ, კაცი, ყოვლითა სათნოებითა შემკული, გჳთხრობდა ჩუ[ნ...." 220 r—223 r.

ზ. „ანასტასიოჲსათჳს ხუცისა და ცოლისათჳს მისისა.—მითხრობდა მე ამასცა პირველ-მოჴსენებული იგი საქებელი კაცი ე ლ ა დ ი, ვითარმედ: „ერთსა დღესა საღთოჲ გამობრწყინვებით აღიძრა ქალაქით ჩ[ნით წმიდაჲ მამაჲ ჩ[ნი დიდი ბასილი და არაჲ ვის ჰრქუა თუ სადა ეგჳლ[ების წარსლვაჲ..." 223 r—224 v.

ჳ. „ ღირსისა მამისა ჩუ[ნისა ეფრემისთჳს ასურისა.—მამანო, მინებს თქუ[ნდა მიმართ ქმნად თხრობასა სარგებლისასა..." 224 v—226 r.

თ. „ცოდვილისა დედაკაცისათჳს.—ჟამთა შინა დიდისა და ნეტარისა მთავარეპისკოპოსისა ბასილისთა მკჳდრისა მის ქრისტჱს სასუფეველისა და ჯუარისა რჩეულისათა, რომელსა იგი ზე აქუნდა სახელი ქრისტესი ტჳრთვით წინაშე მეფეთა და მთავართა ძეთა ისრაჱლისათა, მსგავსად დიდისა და ნეტარისა მოციქულისა..." 226 r—227 v.

ი. იოსებ[ისათჳს . . . . .].—ხოლო წარსლვასა მას შინა დედაკაცისასა უდაბნოდ და მიერ უკმოჭცევასა წმიდისა ეფრემისგან წარმოსრულისასა, ფრიად ჟამი გარდაჴდა შორის, ოდეს იგი მკურნალი ვინმე იყო რჩეული, სახელით იოსებ, ებრაელი სჯულითა...." 227 v—229 v.

29. „თ[ა იანვარსა: ჳ: წმიდათა შორის მამისა ჩ[ნისა გ რ ი გ ო რ ი ღ[თის მეტყ[ლისაჲ. სიტყუაჲ ნათელთათჳს, მამაო, გუაკურთხენ.—კუალად იესუ ჩემი და კუალად საიდუმლოჲ საიდუმლოთაჲ, არა საცთურეანი, არცა უმკობელი, არცა საწარმართოისა საცთურისა და მთრვალობისაჲ, რამეთუ ესრეთ უწოდ მე მათ თანა მათ პატიოსანთა..." 229 v—237 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. „წმიდაჲ შორის მამისა ჩ~ნისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისაჲ. ნათლისღებისათჳს მაცხოვრისა და ზედა აღდგომისათჳს სარაკინთაჲსა. მამაო, გუაკურთხენ.—კ~ლად ნათელი გამოჩნდების და კ~ლად მე განვნათლდები; კ~ლად ქუჸყანაჲ განბრწყინდების, კ~ლად მეცა განვბრწყინდები..." 237 r—246 v.

31. „თ~ა იანვარსა: კე: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა გრიგოლი ღ~სმეტყველისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ.—თანაჲ ხდილაყოფს თქუ~ს, ჰოჲ, კაცო, გრიგოლი, ყოველად განთქმული, დიდი იგი მოსახელე ღ~თის მეტყველებისაჲ..." 246 v—258 v.

32. „თ~ა ფებერუარსა: ბ: სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქისაჲ. სიტყუაჲ მიგებებისათჳს ოჳფლისა და ღ~ისა და მაცხოვრისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესსა: მამაო, გ~კურთხენ.—სხ~ა არს ესე საიდუმლოჲ ქრისტესი, სხ~ა არს ესე დიდებულებაჲ მოქმედებისა ქრისტეს, ღ~ისა ჩ~ნისაჲ..." 258 v—269 r.

შენიშვნა: 259 r-ზე ტექსტში სწერია—„ამიერ დასცხრა აკადიმიაჲ, ამიერ დაღუმნა სტოვაჲ, ამის მიერ უკმ არს პერიპატოჲ, ამის მიერ მწოლარე არს ლუკიონ, ამის მიერ დათრგუნველარს ათინაჲ..."—გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე, წვრილად, ტექსტის ხელით, მიწერილია: „შ[ენის]წ[ყალ] რ საფილასოფოსთა სასწავლოთა სახელები არს ესე".

33. „[წმიდათა] შორის მამისა ჩ~ნისა ამფილოქე იკონიელისაჲ სიტყუაჲ მიგებებისათჳს ოჳფლისა ჩ~ნისა [იესუ] ქრისტესსა: მამაო, გუაკურთხენ.—[მრავა]ლნი დიდთა მათ სახე[ლო]ვანთა კაცთაგანნი [საკვირ]ელ ჰყოფენ ქალწულებასა, [ვით]არცაჲ ჴშირიტად საკვირველ, ვითარცა [თანა]ზიარი ანგელოზთა..." 269 r—273 v.

34. „თ~ა ფებერუარსა: კდ: წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა თეოდორე აღმსარებელისა სტ~დელთა წინამძღურისაჲ. სიტყუაჲ შესხმისაჲ პოვნისა პატიოსნისა თავისა დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა ი~ნესსა; მამაო, გუაკურთხენ.—მესამე არს წოდებაჲ ესე, რომელი მოაქუს ჩ~ნდა ჴსენებისათჳს წინამორბედისა დღ~ნდელსა ამას დღესა..." 273 v—277 r.

35. „მარტსა: კე: წმიდათა შორის მამისასა ჩ~ნისა იოანე ოქროპირისაჲ: სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისსა: მამაო, გუაკურთხენ.—კ~ლად სიხარულსა სახარებაჲ, კ~ლად განთავისუფლებასა უწყებაჲ..." 277 r—280 r.

36. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა ანდრია იერუსალიმელისაჲ კრიტელ მთავარეპისკოპოსისა სიტყუაჲ ხარებისათჳს ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისსა: მამაო, გუაკურთხენ.—წარმოგჳგდა დღეს ყოველთა სიხარული დამჴსნელად პირველთა მის წყევისა..." 280 r—289 v.

37. „თ~ა აპრილსა: კჱ: წმიდაჲსა [წმიდი]სა და დიდებულისა მთავარ[მო]წამისა გიორგისი: მამაო, გუაკურთხენ.—ოდეს იგი კერპთმსახურ[ებისა] წყუდიადსა მოეც[ვა] სოფელი ესე, არა ხოლო თ..... შენნი..." 289 v—298 v.

38. „საკვირველებაჲ და სასწაული წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისი: გუაკურთხენ, მამაო.—ისმინეთ ძმანო, სხუაჲცა სასწაული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირველი წმიდისა და დიდებულისა მთავარმოწამისა გიორგისი, რომელი იქმნა ჟამთა კეთილადმსახურისა მეფისა ჩ~ნისა თევდოსისთა..." 298 v—302 r.

39. „[ს]აწოული წმიდისა მთავარ მოწა[მისა] გიორგისი: მამაო. გუაკურთხენ.—[ისმი]ნეთ, ძმანო ჩემნო, საკვირველი [დ]ები და დიდებული, რომელი იქმნა წმიდისა და დიდებულისა და დიდისა მოწამისა გიორგის მიერ..." 302 r—304 r.

40. „თ~ა მაისსა: ⊖: წმიდათაშორის მამისა ჩ~ნისა სოფრონ იერუსალიმელისა პატრიარჭისაჲ. შესხმაჲ წმიდისა იოანე ღთისმეტყველისაჲ: მამაო, გუაკურთხენ.—იოანე, ძე ქუხილისაჲ დასაბამად იყო სიტყუაჲ, ქუხს და ვის არა უკვირდეს სმენაჲ ესეითარისა ქუხილისა მისისაჲ!.." 304 v—312 r.

41. „ივნისსა: კჲ: წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა იოანე ოქროპირისაჲ კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ. სიტყუაჲ შობისათჳს წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა: მამაო, გუაკურთხენ.—შუენიერ არს და კეთილ ჟამი ესე დღესასწაულისა ამის, ჩ~ნდა მოწევნულისაჲ დღენდელსა ამას დღესა..." 312 v—319 v.

42. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიარჭისაჲ: სიტყუაჲ სადღესასწაულოჲ შობასა წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა ოჯფლისა და ღ~ისა და მაცხოვრისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესსა. გუაკურთხენ, მამაო:—მომეც ჩ~ნ, ჰოჲ, ჴმაო სიტყჳსაო, ჴმაჲ! მომეც ჩ~ნ, ჰოჲ, ბაზმაკო ნათლისაო, ცისკროვანებაჲ!..." 319 v—333 r.

43. „[თ~ა] ივნისსა: კთ: თითო სახეთაგან და მიმოდაბნეულთა თხრობათა ერთად შეკრებული მოსაჴსენებელი წმიდათა და ყოველად ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პაჲლესი. გუაკურთხენ, მამაო.—და ჴელოვნებათაცა შინა არა ხოლო ძუელთა მამათასა მივითუალეთ მოპოვნებულსა, არცა მათსა ხოლო შეეტკბობთ საქმესა მოგონებულსა..." 333 r—345 r.

44. „წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა იო~ნე ოქროპირისაჲ კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ. შესხმაჲ წმიდათა და თავთა მოციქულთაჲ პეტრესი და პაჲლესი. გუაკურთხენ, მამაო.—ცისა და ქუჱყანისა ურთიერთას შესწორებისათჳს ჴლომასა ვხედავ დღეს მოწევნულსა ამას დღესასწაულსა ჴსენებასა წმიდათა მოციქულთასა..." 345 r—348 v.

შენიშვნა: ტექსტის პირველი სტრიქონების გასწვრივ, 345 r-ზე, არშიაზე, მიწერილია ტექსტის ბელით, ჯვარედინად: „ეფრემ".

45. „[თ~ა ივლისსა: კ:] წმიდისა მამისა [ჩ~ნისა იოანე ხუცისა დამასკელისაჲ. სიტყუაჲ ელიაჲსთჳს წინასწარმეტყუელისა და ელისჱსთჳს. გუაკურთხენ მამაო:—...[შუე]ნიერ არს სიტყჳ....ისა მეცნიერებით...ჲ კეთილთა მიმართ..." 349 r—359 r.

46. „თ~ა აგვისტოსსა: ⊖: საკითხავი, თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა იო~ნე ხუცეს მონაზონისა დამასკელისაჲ. ფერისცვალებისათჳს ოჯფლისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესსა: მამაო, გუაკურთხენ.—მოვედით, ვდღესასწაულობდეთ დღეს, ჰოჲ, ღ~ის მოყუარენო კრებულო..." 359 v—371 v.

47. „წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა ეფრემ ასურისა. სიტყუაჲ ფერისცვალებისათჳს ოჯფლისა და ღ~ისა და მაცხოვრისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესსა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაო, გუაკურთხენ.—აგარაკისაგან მკაც სიხარულისაც, ხოლო ვენაკისაგან ნაყოფნი სანოვაგეთანი...“ 372 r—377 r.

48. „[ო]ა აგვს[ტოსსა: ი]ე: წმიდისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩ~ნისა ი~ო~ნე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ. სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა უმტკუსად კურთხეულისა წმიდისა ქალწულისა და ყოველად უბიწოჲსა ღ~ის მშობელისა მარიამისსა. მამაო, გუაკურთხენ.—ჴსენებაჲ მართლისაჲ ქებით ჰქებების, იტყჳს ბრძენი სოლომან...“ 377 r—385 v.

49. „წმიდისა და ღ~ითც განბრძნობილისა მამისა ჩ~ნისა ი~ო~ნე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ: სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა წმიდათა უზეშთაესისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~თისმშობელისა ქალწულისა მარიამის. თავი: ბ: მამაო, გუაკურთხენ.—აჰა უკუე კაცთაგანი არცა ერთი, რომელმანმცა ღირსებით შემკობად უძლო დიდებულსა მიცვალებასა დედისა ღ~თისსა...“ 385 v—398 r.

50. „წმიდისა და ღთ~ივ განბრძნობილისა მამისა ჩ~ნისა ი~ნე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ. სიტყუაჲ შესხმისაჲ დაძინებასა ყოველად დიდებულსა წმიდათა უზესთაესისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~თისმშობელისა თავი: გ: მამაო, გუაკურთხენ.—ჩუმულებაჲ არს ვისამე მამართ, მჭონებელთა ტრფიალებისათჳს, რათა მარადის ენასა ზედა მოაქუნდეს სასურველი იგი...“ 398 r—402 v.

51. „ოგუსტოსსა: კთ: წმიდათაშორის მამისა ჩ~ნისა თეოდორე აღმსარებელისა სტუდელთა წინამძღურისაჲ. სიტყუაჲ თავის კუთხისათჳს წმიდისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესსა: მამაო, გუაკურთხენ.—ბრწყინვალე არს და ღთივ მონაჴებულ დღენდელი ესე დღესასწაული, ჰოჲ, ქრისტეს მოყუარენო...“ 402 v—408 v.

52. „წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა ანდრეა იერუსალიმელისა კრიტელ მთავარეპისკ[ო]პოსისაჲ. სიტყუაჲ თავის კუთხისათჳს დიდებულისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესსა: მამაო, გუაკურთხენ:—ჰკრთების სიბერე, ვითარცა მრავალ სახედ მორთხმული ძარღუმებითა გულსმოდგინებისათა...“ 408 v—423 r.

53. „ოგუსტოსსა: ლა: წმიდათა შორის მამისა ჩ~ნისა გერმანოს მთავარეპისკ[ო]პოსისა კოსტანტინეპოლელისაჲ: სიტყუაჲ სატფურებისათჳს ტაძრისა ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩ~ნისა ღ~ისმშობელისა, რომელ არს ხალკოპრატიას და ეწოდების სორო: და მას შინა დადებისათჳს პატოსნისა და წმიდისა სარტყლისა მისისა და ყოველად სამსახურებელთა და თაყუანის საცემელთა სახუმელთა ოჳფლისა ჩ~ნისა იესუ ქრისტესსა: მამაო, გუაკურთხენ.—დიდებული ითქუა შენთჳს, ქალაქო ღ~თისაო! საღეთოჲთა სულიერთა აღძრული დავით მიღაღადებს ჩუმს...“ 423 r—427 r.

54. „ო[ა] დეკემბერსა: იე: წამებაჲ წმიდისა და ყოველად ქებულისა მღრდელ მოწამისა ელევთერი ჰრომისაჲ: გუაკურთხენ, მამაო.—ანდრიანეს, რომელსა ელიაცა ეწოდა, ეპყრა ჴამთა მათ მეფობაჲ ჰრომაელთაჲ...“ 427 v—433 r.

55. „თ~ა ნოემბერსა: კდ: წამებაჲ წმიდისა ეკატერინესი, ასულისა კოსტა მეფისაჲ: მამაო, გუაკურთხენ.—წელსა ოცდამეათურამეტესა მეფობასა ჳს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯულოსსა და უღთოსსა მეფისა მაქსინტიანესსა, შური დიდი იყო მსახურებისათჳს კერპთაჲსა..." 433 v—439 r.

56. „თ~ა დეკემბერსა: კ: წამებაჲ წმიდისა ევნატი მამათმთავრისაჲ ღ~თისა ქალაქისა ანტიოქისაჲ ტრაჲანე მეფისა ზე. გუაკურთხენ მამაო:—წელსა მეხუთესა მეფობასა ტრაჲანოს კეისრისასსა და მეორესა წელსა მთავრობასა ათიკოსსა და სუბინესა და მარკელესსა, იყო წმიდაჲ ევნატი ანტიოქიას, პატრიაქად წმიდასა ზედა ეკლესიასა ღ~თისსა..." 440 r—447 v.

57. „თ~ა ფებერვალსა: ოზ: წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი და მისთანა წამებულთა წმიდათაჲ, რომელნი იწამნეს პერგი ქალაქსა, ქუსყანასა პანფილისასა. გუაკურთხენ.—მათ ჭამთა იყო ჰრომს მეფე ანტონინე. ხოლო ქუსყანასა ფრიგიისსა ქალაქსა პერგეს, მთავრად დეოდორე ვინმე, კაცი უკეთური..." 447 v—453 r.

58. „თ~ა ნოენბერსა: ლ: წესხმაჲ წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა ანდრიაჲსი, თხრობაჲ მიმოსლვითა ქადაგებითა და სასწაულთა მისთა და წამებაჲ, რომელი შეკრიბა პირველ წერილთამი მოწესენებულთაგან ნიკიტა, ღირსმან მონაზონმან და ფილაფოზმან [!]. გუაკურთხენ, ოჯფალო.—ოპიპატეს ათორმეტთა მოციქულთა წრდებულსა მას, ყოველად ქებულსა ანდრეას წესხმად წადიერ ვარ..." 453 r—473 r.

შენიშვნა: 1. სათაურის ტექსტის უკანასკნელი სტრიქონების გასწვრივ, მეორე სვეტის მარჯვენა არშიაზე [აღდგენილი? გაცხოველებული?] მინაწერი [ტექსტის ხელით?]: „წ~სა |მამისა|ე[გ]მი თარ|გმ|ლი" .

2. ტექსტის ბოლოს, ტექსტისავე ხელით, I სვეტში, ქვესსტრიქონიანი **ანდრძი** (მთარგმნელისათვის): „ლოცვა ყავთ ნეტარისა ი~ნესთჳს, წმიდისა მამისა ჩ~ნისა ევფთჳმის მამისა და ძისა მისისა წმიდისა მამისა ჩ~ნისა ევფთჳსისთჳს, რომელმან ესე წმიდაჲ სათხზაჲ წმიდისა ანდრიაჲსი თარგმნა".

59. „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა ი~ნე ოქროპირისაჲ. გუაკურთხენ, მამაო!—და ყოველთავე საღთოდ ცხორებულთა ცხორებაჲ სარგებელ არს კეთილად მსახურთათჳს, არა ხოლო წესად და სახედ, არამედ ნუგეშინის საცემლადცა და აღმძრველად სათნოებისა მიმართ..." 473 r—526 v.

წ უ ღ ე ბ ა: „ხოლო ჩემსა სიყუარულსა ლოცვათა შინა თქ~ნთა მოიჯსენებიდით და ვითარ იგინი, სიტყუათა ამათზედა მწუ[ხ]არებაჲმან აღაგ[სნა] მიუთხრობელმან და ღღ..."

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს მე-18 ს. მხედრულით დაწერილი ზანდუკი 527 r.

2. ხელნაწერი, სხვათა შორის, შეიცავს თავისი მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი თ—ალის (სამცხეში) მთავარმოწამისადმი შეწირულების საბუთებით და აღაბებით (მინაწერების დიდი ნაწილი, რის ამოკითხვაც შესაძლებელი იყო, გადმოწერილია და დაცულია სსსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში).

3. მინაწერებში მოხსენებული ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილები: ალი, ოპიზა, „ვაღე ნათკარი".

4. აღაბებში მოხსენებული ზოგიერთი საკუთარი სახელები: პ ა ტ რ ო ნ ი ბ ო ც ა და ბ ე შ ქ ე ნ (10 r, 11 v, 90 r, 452 v. დასხვ.), ბ ე ქ ა (32 r—33 r), ბ ო ც ო ს ძ ე ვ ა დ ა (357 rv, 378 v—38 v), პ ა ტ რ ო ნ ი შ ა ლ ვ ა (372 r, 374 v) პ ა ტ რ ო ნ ი ყ უ ა რ უ ა რ ე (374 v); გ ა ბ ა დ ი ს ძ ე ნ ი (78 v—80 r) შ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ნ ი (137 v—139 v) ბ ა ს ი ლ ი ქ ე ლ თ ა ნ ი ს ძ ე (303 r), პ ა ტ რ ო ნ ი [ხ უ დ ა ბ ა ხ ი] და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გვიანდელ მინაწერებში მოხსენებულ ზოგიერთ პირთა სახელი: ესტატე 7 v; გარძნული 236 v; [სასტი] 244 v; გიორგი ჯუმათელი (დარჩია) 212 v, 228 და სხვ. ელია (30 ს).

მინაწერების ორი ლექსი: ამთგან პირველი მიწერილია 51 v-ს კვემო არშიაზე, შავი მელნით. [მე-13—14 ს.] სწორი მხედრულით, სტრიქონების დასაწყისი დახაზებული აქვს:

„თეოფისტა მოგასსენებ, სპასალარო შენიერო!
ესე მორონი შენიერნი შვილნი შენნი არიანო.
[და-]ძმათ იცნეს ერთმანეთთი, მამელ დიდო, გუარიანო!
სიხარულით გაიხარეს! ჰირნი ჰირად კმარიანო.“

მეორე ლექსი მიწერილია 439 v-ს დაუწერელ არეზე, სხვა მინაწერთა შორის, მეტად გაუმართავი [მე-16—17 ს.] ნუსხურით, ლექსის ხომის დაუცველად (დავით აღმაშენებელის დასასიათების უნდა წარმოადგენდეს): „ჰპაკსა ზედა ვხი. თურქნი ვაოტენ. სჯანნი დაეიპყრენ. [ო]ესთა ვაყივეც „ვაჲ, ფაბაჯ-ნი.“ სპარსთა სუნდაქსი, ო[მთ]ა რაზმი ამით შეშალე. ყივრაჯდა [!] ჯარი ვერ [ჭა]შივიდის შეღმა კურღელი, დაღმართსა— ჯიკი, ვაკ-თხა, ვერ [ც]ა კანჯარი. და აქ ზედა მჯდომსა, ომად შესრულსა, დავით არ მინდის ტანსა აბჯარნი.“

ანდერძ-მინაწერები (ტექსტის ხელით):

1. „ვაჲ, ჭაღალდო, გაგსუპარე! ეგრეევ ღჳძლსა მე გარდამკრეა გესტი [!]. შენცა იჭირვოდი.“

(67 r-ზე, მარჯვენა არშიაზე, დასწერივ, წვრილად).

2. „ეკრძალე, მკითხველო! იყალთველსა ჰლოცვიდი.“ (72 r-ზე, მარჯვენა არშიაზე, ასწერივ, წვრილად).

3. „დედაო ღ~საო! შემიწყალე მე ცოდვილი [ესე]“ (159 r კვემო არშიაზე, გასწვრივ).

4. „წმიდაო ღ~ის მშობელო, რომელი [დაბადებულხარ] იოვაკიმ და ანნასაგან! მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა ფრიად ცოდვილსა არსენის. დღესა მას საშინელსა სასჯელისასა.“ (ერთ სტრიქონად, 159 r-ს მარჯვენა არშიაზე, ასწერივ, წვრილად).

5. „წმიდაო პირველ-დიაკონო სტეფანე და აწ პირველო მოწამეთა შორის: მეოხ მეყავ წინაშე ღ~თისა ფრიად ცოდვილსა არსენის.“ (203 r H სქეტის კვეშ, წვრილად).

მინაწერები: 1rv, 3—9 v, 10 rv, 11 rv, 14 r—17 r, 19 v—27 r, 30 r, 32 r—33 r, 38 r, 42 r, 57 v, 52 v, 67 r, 70 v, 78v—80 r, 85 v, 90 r, 97 r, 99 r, 132 v—137 r, 137 r v, 138 rv, 139 rv, 140 rv, 159 r, 180 v, 203 r, 212 v, 228 r, 229 v, 235 r, 236 v, 244 v, 259 r, 260 v, 277 v, 289 v, 299 r, 303 r, 304 r, 334 r, 371 v, 372 r—374 v, 375 r, 375 v, 378 v—380 v, 382 r, 392 rv, 398 v, 400 v, 407 v, 408 v. 427 r, 438 r, 439 v, 452 v—553 rv, 508 r, 519 r, 521 r, 527 rv.

1348

სახარება და სამოციქულო გამოკრებილი [1546 წ.]

274 ფ.; 26×19,5; ტეტრატი; ტყაფრული, ტყაყვაკაურული ყდა ბისა—დაზიანებული (აკლია II ყდის ფიცარი); დამლილი (მე-4-ე ფ. მარჯვენა, კვეშო კუთხე მოხეული; (157, 174, 187, 191, 196, 228, 231, 265 ფფ.—მოვარდნილი; 272 ფ. ნაცვალხე მეტი ამოკრილი); ნუსხური (სათაურები სინგურით); „ქრისტეს ჯვარცმითგან ათას ხუთას მ:ვ: [1546] წელსა“ (271 v) გადაწერი „ოჯრაჭი დიმიტრი, ხუცეს-მღვდელი;“ ადგილი: გოლგოთა (271v). მიღებულია დარიის მონასტრიდან 1917 წ.

„[გამოკრებილი და წართული სრული სამოციქულოჲ და სრული სახარებაჲ]. —წმიდასა და დიდებულსა კჳრიაკესა აღსებისასა სამხრად: ფსალმუნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითისი: „ესე არს დღე, რომელ...“ დასდებელი: „აუგარებდით თ~ა;“ საქმე-თაგან წმიდათა მოციქულთა~ა საკითხავი: პირველი ესე სიტყვაჲ ვყავ ყოველთა-თჳს, ჯ, ღ~ის მოყუარენო...“ 2 r—271 r.

შენიშვნა: 1. ტექსტში დიდშაბათის მეათე (იოანეს) სახარების საკითხავის შემ დეგ, 195 r. ჩართულია: ა. მოკლე თვენი—„თჳესა სკსდ(ნ)ებერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჯამი ის და დამეთა ჯამი იბ. დაწუებაჲ ინდიკტიონისაჲ და ხსენებაჲ წმიდისა სჳმონ ჰალ(ა)ბელისაჲ. ფსალმუნი „დიდარს ღმერთი.“ დასდებელი „აქებდით უფალსა, რ~ კეთილ ღ~ი; კორინთელთა: „ძმანო, შეიმოსეთ“ 195 r—248 v. „თვენი“ თავდება აგვისტოს 31-თ (248 v). ბ. „სახარებანი სატფურებისანი.“ 267 r. გ. „მომიჯსენენი „რაჲ ჴმათა“ 267 r — 271 r.

2. თარიღები: „დასაბამითგან შუდიათას ხუ~ას [!] ი:ვ: წელსა“ და „ქრისტეს ჴგზარცმითგან ათას ხუთ[ა]ს ი:ვ: წელსა—ერმანეთს არ ემთხვევა. ხელის მიხედვით ხელნა-წერი მე-16 ს. ფარგლებში რჩება.

ანდერძი (გადამწერისა): 1. „დიდებაჲ ღმერთსა, მამასა და ძჱსა და სულსა წმიდა-სა, სამებით და ერთ არსებით დიდებულსა, მიზეზსა და სრულმყოფელსა ყოველთა კე-თილთასა. გასრულდა წმიდაჲ ესე გამოკრებილი და წართული,სრული სამოციქულ~ა და სრული სახარებაჲ, სამკაული წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ. დაიწერა წმიდასა და დი-დებულსა ცამდი გამაღლებულ~ა და ცათა მობაძავსა იესუს ქრისტეს წმიდათა სისხლი-თა და წყლითა მორწყულსა ადგილსა გოლგოთასსა შინა, ფრიად ცოდვილთა უცოდვი-ლესისა, საწყალთ უსაწყალობლისსა და ჭუმდაკუსთებულისა მონისა ღ~თისა ხუცეს-მღდლისა ო[რ]ჯ[ონ]კ[ი]ძისა დიმიტრის ჴელით. რომელნიცა მიეთხჳნეთ და აკითხვიდეთ, შენდობასა ყოფდით ჩ~ნთჳს და ჩ~თა დედაჲ მამათათჳს, თქ~ნისა ღ~ის სიყუარულისა-თჳს... და ღმერთმან თქ~ნცა შეგინდვნეს ცოდვანი თქ~ნნი. ამინ. უფალო! შეიწყალენ ო[რ]ჯ[ონ]კ[ის]ძენი, ყოველთათჳე ცოცხლითა და მიცვალებულითა. ცოდვანი მათნი შეუნ-დენეს ღმერთმან. ამინ. დაიწერა დასაბამითგან შჳდიათას ხუ~ას ჸ ვ (sic) წელსა იესუს ქრისტეს ჴგზარცმითგან ათას ხუთს ი:ვ: [!] წელსა.“ 271 v.

2. „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი დიმიტრი.“ 172 v. (სინგურით, სათაურის ტე-ქსტის ბოლოში).

3. „ჳოლგოთა! შეიწყალე ცოდვილი მონაჲ შენი დიმიტრი.“ 251 v. (სინგურით, სათაურის ტექსტის ბოლოში).

მინაწერები: I. ყდის საცავის r, 1 r-v, 69 r, 196 v, 197 r, 271 v 272 rv. 273 rv, 274 rv.

თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს მოსახსენებელი: „ჰ. კეთშეწიფისა თეიმურაზისა მრავალმცა არიან დღენი ცხოვრებისა მისისანი. სამებაო საშინელო! დაიფარე საფარველსა ჴგშე შენ-სა და გარდამოუვლინე უბედ შენი და [!] და წყალობა ამინ. უფალო! დაიფარე, ნუ მისცრეც სა[ეს]ბისაგან შენისა. დაამტკიცე მეუობასა შინა მისსა მართალმადიდებლობა სოფელსა შინა და ესე მშვიდობით დაიცევ, სახიერო და კაცთ-მოყვარეო ღმერთო! ამინ. ამინ. კირიალეისონ.“ (დაწერილია 1-ლი, ოდესღაც სუფთად დატოვებული, ფ-ის r-ზე, მე-17 ს. ლამაზი მხედრული).

1349

ტიბიკონი საეკლესიო [მე-13 ს.]

146 ფ.; 26.5×20,5; ეტრატი; ტყავგადაკრული ტკიფრული ყდა (ახალი, მოწლილი; ფფ. 12, 52—53, 136—ამოვარდნილი); ნუსხური (სათაურები სინგურით; ფფ.: 143, 144, 145—სხვა ხელნაწერებიდან; 145 ფ. IX, X საუკუნის მრგვლოვანით); მე-13—14 ს.]; გადამწერი: გიორგი მონაზონ-ხუცესი. 129 v. [შიო-მღვიმის მონასტრიდან]. 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია კ. კეკელიძის შრომაში—Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тбилиси 1908 г. გვ. 313—347.

„ტჳფიკონი საეკკლესიოჲსა წესისაჲ, კეთილ განგებულისა წ~ა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩ~ნისა საბაჲს ლავრისაჲჲ. რომელი ესე ესრეთვე იქმნების ხსენთაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა. განგებაჲ ღამის თჳეისაჲჲ.—შემდგომად მზის დასლჳისა მცირედ, წარვიდეს კანდელაკი და თაჳნისცეს წინამძღუარსა. ამისა შემდგომად აღჴდეს და იწყოს რეკად მძიმეა ნელიად...“ 13 r—142 v.

შენიშვნა: 1. ტიბიკონის ტექსტს წინ უძღვის: ა. „ყველაერისა ბჳთშაბათსა ჴსენებაჲ საკჳრველთ მოქმედისა წ~ა მამისა შ ი ო ჲ ი.—ესე იყო [თჳესითა] ასური, ქალაქისაგან ანტიოქიაჲსა, რომელ არს შუამდინარ|ისაჲ]...“ (2 r-v—შიოს ცხოვრების ამ სვინაქსარული ვარიანტის ტექსტი გამოქვეყნებულია: თ. ჟორდანია. ისტ. საბ. შიო-მღვიმის მონასტრისა. თბ. 1896. გვ. 70—71). ბ...ოსა იანვრისა ი~ღ: წ~ა მოციქულისა ნ ი ნ ო ჲ ი.—„მჴეო ნინო].“ ჴშაჲ დ. სიტყჳსა ღ~თისა მსახურსა, მოციქულთსა დიდებასა, ებანსა სულიერსა, ქალესიისაჲსა ორდნისა, ჴმატკბილად მძნობსა და ქნარსა პრიმებყფულ|სა. ვარსკულავსა დაუვალსა და მთიებსა ბრწყინვალეჲსა, მზებრ მნათობსა ნინოს უგალობდეთ...“ 3 r—4 r. გ. „ქ[ა რ თ ლ ი ს ა] კ ა რ თ ლ ი კ ო ჲ ი ს ა ნ ა თ ლ ე ბ ა ჲ ა. [წმ. მოციქულისაჲ ნინოჲსი]. თავნი იტყჳან: „ესენი უგალობ სასოჲსა ჩემსა ნინოს. არსენი.“—სასწაულითა, ქრისტე, აღაზუმენ ძნობად ბაგენი ქალწულისაჲ მოციქულისაჲ და ქადაგისა შენისა ნინოს შესხმად. განძინათლე გონებაჲ, რათა მიუხლნე ღირსსა მას ღირსი|სა სიტყუათა ყუავილითა. ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესა...“ 4 v—6 r. დ „სხ~ენი გალობანი წ~ა ნინოჲსნი.—„ხე~ა უკალი, რომელი.“ „განმინათლენ ცნობანი, ყავეთლა განმანათლებელო...“ 6 r—9 v. ე. „...ჴორციელად კაცად მჱილველნი შენნი, განკჳრებით მდგომარენი, ვღაღადებთ შენდა მიმართ: გვაკურთხენ, რომლისა მიერ უფაბნონი ქალაქ იქმნეს...“ 10 r—14 r. (ტექსტი შეიცავს შ ი ო ს თავნაკლულ საგალობლებს). ვ. „დიდებასა ზედა: უფალო, ღაღადყავსა და სტიქარონსა ზედა; ვიეთთაჴსცა გიჭმედს მამათაჲ. „—ედემი, სიმრავლე მონაზონთაჲ, ანტონი, წინამძღუარად აღგიარებს...“ 12 r-v.

.2. **საკუთრად ტიბიკონის შედგენილობა:** ა. „ტჳფიკონი საეკკლესიოჲსა წესისაჲ.“ 13 r—16 v. ბ. „განსაზღურებაჲ ღამისთგეთა ყოველსა წელიწდისათა.“ 16 v. გ. „მოთხრობაჲ შემოკლებული საეკკლესიოჲსაჲ განწესებისაჲ მონასტერთა ღმრთსლიმისთაჲ.“ 16 v— 22v. დ. სჴნაკსარი ათორმეტთა თუმთა წელიწდისათაჲ, რომელი დაიწყების ცვედნებერით თჳთ, ვიდრე დასსრულამდე აგჳსტოსისაჲ.“ 22 v—76 v. ე. „განგებაჲ წმიდათა და დიდთა მარხვათაჲ.“ 76 v—110 v. ვ. „თანამდები ღ~თისა მიმართ წელთაღწლადი მაღლობაჲ, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღ~თისამან გამოსახ|ინებელი კეთილმსაზურებისა ზჳწულთათჳს და დაკცებაჲ სიბორ~ტისა ბოროტად მსახურებათჳს.“ 110 v—116 v.

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს „მართლმადიდებელო“ საუკუნო მოსახსენებლებს და მწჳალებელ-განდგომილთა შეჩვენებას, რომელშიაც რამდენიმე ადგილს საყურადღებო დამტკიცებებია შეტანილი—ხოგან ადგილის გადაფხეკით ჩაწერილი: სახსენებელი წმ. ნინოსი, იოანე ზედაზნელისა, შიოსი და ეგვგრესი (114 r.—); ქვემოთ, „ქ~ნისა მეფეთა“ და „კეთილმსაზურთა დედოფალთა“ ბიზანტ. ეკლესიისეულ სიაში ჩამატებული|ია: „წმიდათა მეფეთა ჩ~ნთა: ბაგრატისი, გიორგისი, ბაგრატისი, გიორგისი.“ „დიდისა დავითისი, წმიდისა ამის ეკლესიის აშშენებელისაჲ, დიმიტრისი, გიორგისი, თამარისი, გიორგისი, რუსუდანისი, ელენესი, გურანდუხტისი, თამარისი, ბორენაჲსი, ელენისი [!], რუსუდანისი, ბურდუხანისი და რუსუდანისი.“ 116 r. და „წმიდისა მამამთავრისა ჩვენისა ქ[ართლისა] კათოლიკოზისა (სახელითა) მრავალმცა არიან წულნი,“ იხსენებიან: ოქროპირი, სჳმონი, მელქიზედეკ, იოანე, დომიტრი, ბასილი, იოვანე, სჳმონი, საბა, ნიკოლაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზი, მიქელ, თ' ე. ბასილი, იოვ. ნე, ეპიფანე, არსენი, გიორგი. აქვე, მარცხენა არშიაზე, ტექსტის ხელით მიწერილია: „არსენი, ყოველად განძქმულისა, სალ'თოთა წიგნთა თარგმანისად და საქარაგველოთა [!] ენელესიათა მნათობისად, სახუთნო იყავე ცსენებაჲ." 116 v.

„მოსახსენებელთა" და „შენევნებათა" ტექსტის ბოლოს, II სვეტში, 18 სტრიქონად, ქართული ტრანსკრიპციით ჩაწერილია ბერძნული ტექსტი: „ოჭსია, პროსოჭიან, ვარიე. ვარიე კათოლიკა..." (116 v) (იხ. ყ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტ. I. თბ. 1941. გვ. 553).

„მოსახსენებელთა" და „შენევნებათა" მთელს ტექსტში შემნევნელია სინგურით გაკეთებული ნიშნები [მახვილის? ხმის ამაღლება-დადაბლების?].

ბერძნული ტექსტის კვეშოთ, სინგურით, ტექსტის ხელით, მთავრული დამწერლობით: 1 „ჭრისტე! შეიწყალე ლუკა: ჩ'ტს : ჩრ'ნი:

2. ჭრონიკონი იყო: ტ'ჯს:.

3. წლწდნ[ი]: ს'ჯპ: 116 v).

„გამოვლინენი თუშთანი, [„ყოველთა წმიდათანი", „ღთისმშობლისანი" „მარხვათანი"] სრულად." (სექტემბრის 1-დან ავეიტოს 31-დე) 117 r—127 r.

ტიპიკონის დამატებანი:

ა. „ჭრონიკონი შერწყული, სათუალვითა და წელთა დასაბამითგანთა თანა მოქცეი მთავარისად და მზისად. მცხრალი და ხედა ნადები და ნაკი." [ხ'ჯპ წლიდან—ხლჳბ—წლამდე=1076—1128] 127 v—128 v.

ბ. „ვინცა ეძიებდეთ ამის ცხრილისა კართა, ესრე ჰპოვოთ: მოქცეი მთავარისად და თუ[მ]ნი აღვსების ნი, მარტ-აპრილნი და მცხრალი ციმტ-ორისად, ესე დამართებ სწერია და სხენან ცხრამეტ კარად. და მზისა სათუალვენი მოშლილი დამართებით არიან. აწ დაბედე ზედანდებისა და მცხრალს, და დაიჯერე პოე[ბ სა]თუალვთა საწელწ[ოთაჲ]ცა ესე [გ]ორკარ შე[ჰ]ერენ მუნ, ს[ა]და აღესებაჲ [ეგე]ოდესა იყ[ოს] თუსს[ა:—ესე ზე-მო[ჲ] ნაწერი ||| აქაჲთ დ[ან]წერა, სა[თვ:]ლ'ვითა წ'ელიწ'აჲ[თა]მთა. ოდეს[ც დ]ასრულდა, მუნვე მ[ოი]ქცევის." (129 r)

ასეთი სათაურით არის მოცემული „შერწყმული ქრონიკონის" ცხრილის **სახეები**ლი, შესრულებული სინგურითა და შავი მელნით. ეს სახიებელი წააგავს ბეუსენიტე-ტების კოდექსში ჩართულ „ასურული კიკლოსის" სახიებელს (შდრ. A 85-ხელნაწ.)

გ. „თ'სა სეკდემბერსა ჲ—წმიდისა სჳმეონისი." (მოკლე სადღესასწაულო თვენი სექტემბრის 1-დან აგვისტოს 31-დე) 130 r—142 r.

დ. „ღამის თევისა შემდგომად „ნეტარარიანთასა" (საგალობლები, კერეფანი) 142 r—144 v.—ორი უკანასკნელი ფუ 143 r—144 v სხვა (უფრო ძველი) ხელნაწერი-დან, სხვა ხელით, სხვა მელნით ნაწერია არის.

ე. „||| მან დიდებულმან [ისი? ბერი, დ ||| ლო: [ბერო] და [ნ]ოჳ წარბოჳალ სინად. ხოლო ბერმან არა შეიწყნარა სიტ'ყ'ჲა მისი, არამედ რ'ქა მას: „ვერ შესძლებელ არს ჩემდა. თუცა არა წარვედ სინად." ხოლო მან, ვითა ესმა ესე ბერისაგან, დატევა და წაოვიდა..." (145 r) „[გვით]ხრობდა ჩვენ აბბა ლეონტი, რომელი იყო მონასტერისად წმიდისა [თეო?] დორისი. რ' შეიდგომად განსხმისა მწვალებელ[თაჲსა..." 145 v.

4. ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელი—145 rv—X—XI ს. მრგვლოვანი ხელით დაწერილი, რომელიღაც კრებულის ფრაგმენტს წარმოადგენს. ტექსტი გადასულ-დაზიანებულია და ძნელად იკითხება.

5. „სავლესიო ტიბიკონის" ძირითად ტექსტს (13 r—127 r) თან სდევს არშიებზე, ტექსტის ხელით, უმეტესად სინგურით მიწერილი **შენიშვნები**, რომელთა ტექსტიც თითქმის მუდამ იწყება სიტყვებით—„ხოლო ჩვენ..." და გამოწველილვით აღნიშნეს ქართული ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკის ყოველ განსხვავებას და თავისებურებას („ბერძულ" წესებთან შედარებით): 13 r, 14 r, 15 r-v, 16 v, 25 v, 26 r, 27 v, 31 v, 32 v, 33 v, 34 v, 35 r, 36 r, 37 r, 38 v, 40 r, 41 r, 43 r, 47 v, 54 r, 55 r, 56 r, 61 r, 68 v, 69 v, 71 r-v. 74 v, 75 v, 76 v, 77 v, 79 r, 86 v, 87 r, 89 v, 90 r-v, 92 r-v, 97 r-v, 98 v, 101 rv, 103 v, 105 r-v, 107 r-v, 108 r-v, 116 v.

ანდერძი: (გადამწერისა): „სახელითა ღ'ისა, ყ'ლისა მპყრობელისაჲთა, რომლისა ველთა შინა არს სული ყოველთაჲ, რომლისა სახელი კურთხეულ უ'კე. მე, გიორგი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხითა ოდენ მონაზონ-ხუცესი, ხოლო სხუთა ყოველითა აღსავსე ცოდვითა, ღირს ვიქმენ აღწერად ამის წიგნისა და შემდგომად აღსრულებისა აღმზოდელისა ჩემისა, დავდევ ეკლესიასა მღვდისასა, სავსენებელად სულის მისისა და ჩემისაცა. წიდიანო მამანო! ლიცევაყავთ ლუკასთჳს, რათა უფალმან ღმერთმან თქ'ცა სასყიდელი მოგანიჭოს. აწ ვინცა იკადროს და გამოაკუეს ეკლესიასა მღვდისასა, მოსაჯულმცა არს წმიდაჲ შიო წინაშე ღ'სა დღესა მას განსაჯსა და გაკითხვისასა". 29 v.

მინაწერები: 1 v. („1270 წლისა (თ. .ორდანია) იხ. სახარება და გუჯარი სინოდ[ის] კანტორისა N.“). 2 v.—3 r, 9 v, 12 v, 13 r, 60 v, 63 r, 93 v, 94 r, 100 v, 120 r, 129 v, 145 r-v.

1350

საწელიწდო საწინასწარმეტყველო [1085 წ.]

77 ფ.; 24,6×17; ეტრატი; უყდო; დაშლილი, მეტად ნაკლული; ნუსხური (დასაწყისი ასოები და სათაურები სინგურით); 1085 წ. (77 v); მთარგმნელი—გიორგი მთაწმინდელი; დამკვეთი—ეგნატი; (77r); გადამწერი—მოსე ხუცესი (77 v). დავით-გარეჯის მონასტრიდან 1917 წ.

„...ნაცვალად სიხარულისა—მწუხარებაჲ, ნაცვალად ქებისა—ბრალობაჲ მომატყუ მე, რამეთუ ვერღარა დაუთმო ამიერითგან ყუელრებასა კაცთასა..." 1 r—76 v.

შენიშვნა: 1. პირველი ფურცლის პირველი გვერდი გადასულია და ძნელად იკითხება.

2. ანდერძში: „დაიწერა მოსე ხუცისა ხანცთელისა კელითა“ წაშლილია შემდეგდროინდელი მკრთალი მელნით.

ანდერძი: „დიდებაჲ ღმერთსა, სამებით დიდებულსა. დაესრულა საწელიწდოჲ საწინასწარმეტყუელოჲ წესსა ზედა ბერძ.ლსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩ'ნისა გ[ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ჲ, ჩრული ყოველითურთ და უნაკლულოჲ.

მე, სულითა საწყალობელმან ე გ ნ ა ტ ი დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინასწარმეტყუელოჲ დიდებულისა ლარისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღ'ოჲ გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩ'თა გიორგი მეფეთა მაყისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სეფასტოსისა. საუკუნომცა არს კეთილი სავსენებელი მეფობისა მათისაჲ და კუალად სალოცველად ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარებისკოპოსისა და სინგელზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართა უხუცესისა და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისთჳს ლოცვა ყავთ. ღმერთმან დაგაჯუროს. ქრონიკონი იყო ტ და ე.

დაიწერა მოსე ხუცისა ხანცთელისა კელითა.“ 77 r-v.

მინაწერები: 53 v, 76 v, 77 v.

1351

ოთხთავი (ფრაგმენტი) [მე-13—14 ს.]

69 ფ.; 21×15; ეტრატი; უყდო; თავ-პოდონაკლული (1, 2, 18 ფ. ზემო კიდეები დახრუშლი); ნუსხური (დასაწყისი ასოები სინგურით); [მე-13—14 ს.] ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ეკვთიმე თაყაიშვილის ძიერ 1917 წ.

„... შეესძინე. ჰ'ქა მას უფალმან მისმან: კეთილმონაო სახიერო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, ბრავალსა ზედა დაგადგინო შენ..." (მათე. 25,21) 1 r—68 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყება: „ხოლო თავადმან შეჰრისხნა მათ და ამცნო, რათა არა-ვ(ის უთხრან ესე)ო... (ლკა 9,$_{24}$).

წინაშეზნა: მარკოზისა და ლუკას სახარების თავებს წინ უძღვის: „ესე თავები არს მარკოზისა სახარებისაჲ“. 10 r-v. „ესე თავები ლუკაჲს სახარებისაჲ არს.“ 45r—46 v.

მინაწერები: 10 r, 18 r, 25 r.

1352

კურთხევანი [მე-17—18 ს.]

III+248 ფ.; 21×14; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტიფრული ხის ყდა (შიგნით აბრეშუმის ქსოვილით შემოსილი); (II ფ. დაბეჭდილია, 34 და 233 ფფ. ამოვარდნილია); ნუსხური (სათაურები და დასაწყისი ასოები სინგარფირით); [მე-17—18 ს.]; დამკვეთი ნიკოლოზ დიდია (1 r); დაუწერელია: I r, II, III, 225 ფფ. 244 v, 246 v, 247 r. ჩამოტანილია დავით-გარეჯსჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„განგებაჲ შესწუნებულსა ებისკოპოს(ს)ა ზედა, გინაჲ მღდლსა.—მოვიდ(ნ)ენ შუდნი მღდნი. შეიმოსნე(ნ) და თქ(უ)ნ: „წყიდაო ღმერთო, მამაო ჩნო.“ მღდელმან ლოცვაჲ წართქას საკუმეველსა ზედა საიდუმლოდ: „უფლისაჲ მიმართ ვილოცოთ.“ რომელი არს ხარ, უწინარეს ყოველთა არსთასა არს ხარ...“ 2 r—244 r.

შენიშვნა: I. კურთხევანის შედგენილობა: 1. „განგებაჲ შესწუნებულსა ებისკოპო(ს)ა ზედა გინაჲ მღდლსა...“ 2 r—28 r. სამოციქულო-სახარება-საწირაო-საწირაო-სწარმეტყველო საკითხავების გარდა შეიცავს: „ლოცვა შემდგომად სახარებისა—მაცხოვარო ყოველთა დაბადებულთაო...“ 10 r.

2. „ლოცვა აღბეჭდვასა ყრმისსა, ოდეს მიიღებდეს სახ[ე]ლსა დღესა მერვესა შობისა მისისასა.—დიაკონმა „უფლისაჲ მიმართ ვილოცო,“ მღნ; ლოცვა ა. „უფალო, ღმერთო ჩნო, შენ გევედრებით! გამოაჩინე ნათელი პირისა შენისა მოსანა ამას შენსა ზედა...“ 28 r—29 r.

3. „ლოცვაჲ შესლვასა დედაკაცისა ეკლესიად, შემდგომად შობისა, დღესა მეორე-მეოცესა.—მეუფეო, უფალო, ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მამაო უფალისაჲ და ღსა და მცხრისა ჩნისა იესუ ქრისტესო, რომელმან ყოველივე ბუნებაჲ პირ-მეტყუელი და პირეტყჳ სიტყჳსა მიერ შენისა დაჰბადე და ყოველივე არა არსისაგან არსად მოიყვანე! შენ აწცა მეუფეო, აცხოვენე და წმიდაჲ ყაე მეევალი ესე შენი...“ 29 r.

4. „ლოცვაჲ, რაჟამს ეკლესიად შეჰყვანდეს ყრმა დედასა დღესა მეორმეოცესა. —უფლისა მიმართ ვილოცოთ! ღმერთო და მამაო, ყოვლისა მპყრობელო, რომელმან ჴმაბმალლისა წინასწარმეტყველისა ესაიას მიერ წინასწარჳრვე აღმოთქჳ ჩნ ქალწულისაგან შობაჲ მხოლოდშობილისა ძისაჲ შენისა და ღსა ჩნისა იესუ ქრისტესი, რომელი იგი უკანასკნელთა დღეთა ნებითა შენითა და თანაშეწევითა წმიდისა შენისა სულისათა ჩნ კაცთა ცხოვრებისათჳს გამოუთქმელითა მოწყალებითა მისგან ჩჩკლად გამოჩინებაჲ სათნო იყო...“ 29 r—30 r.

5. „ლოცვა, ოდეს კათაკუმეველად დაადგნდენ.—სარტყელი შეჰსხნას და ფერხსა განბადნეს და დაადგინოს და ჯრი დასწეროს შუბლსა მისსა და პირსა და ჰკრქოსაჲ და თქს: „უფლისა მიმართ... სახელითა შენითა უფალო ღმერთო ჰეშმარიტებისაო და მხოლოდ შობილისა ძისა შენისა და წმიდისა შენისა სულისათა დავსდებ ჴელსა ჩემსა მონასა ამას შენსა...“ (აქვე ჩართულია „შეფუცებანი“ ეშმაკისა)...“ 30 r—31 v.

6. ლოცვა შემდგომად კათაკმეველსა დაადგნეს, ოდეს ეგულებოდეს მონათლვაჲ. —უფლის მიმართ ვილოცოთ! რომელი ეგე ხარ მეუფეო, უფალი, რომელმან შეჰქმენ კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატად და მსგავსად შენდა და მიეც მას ქელმწიფებაჲ ცხ'რებისა სამოადისოსა..“ 31 v—35 v.

7. „ლოცვაჲ განბძანაჲ ახალ ნათელ-ღებულისა და კუნკულისა, დღესა მერვესა.—უფალისა მიმართ ვილოცოთ. რომელმან გამოგჳსნაჲ ცოდვათაგან წმიდისა შენისა ნათლისღებითა მიერ მონათა შენთა მოანიჭე და განაახლება ცხოვრებისა მ'ა მომადლე..“ 35 v—36 r

8. „ლოცვა პირ'ლ აღკუმცასა ყრმისასა.—... შენ გეევ'რებით, უფალო, ღმერთო ცხოვრებისა ჩ'ნისაო, რომელმან სავსებისაგან ემბაზისა შენითა სახარებითა აკურთხე ჩაჲკლი ესე..“ (აქვე: „წყალთ-კურთხევა გამოცხადებისა“. 36 r-v) 36 r—40 v.

9. „განგებაჲ წინაწინისაჲ.—მოიღოს მღდელმან ბეჭედი ოქროსა და რკინისა და დასხნეს ფეშხუმითა კანკელსა ზედა...“ 40 v—41 r.

10. „ჴანგებაჲ გჳრგჳნთა კურთხევისა.—მოვიდეს სიძე-სძ'ანი ეკლესიად და წარდგენ წინაშე კართა სკ'ურთხევლისათა და ძმანი უკანა უდგენ...“ 41 r—44 r.

11. „ლოცვა ახუმასა გჳრგჳნთასაჲ ახალ-ქორწინებულთაგან... ღ'ერთო, ღმერთო, რომელი მოხ'ცად კანაა გალილეასასა და აკურთხე ქორწილი იგი...“ 44 r-v.

12. წესი, რომელი აღესრულების დაფლ'სა შესხმენებულისაჲ. შეისუმნოს რაჲ ძმამან, განწ'ხნდეს იგი ღ'ერ'ებითად და მოიყვანონ საკაცითა ეზოსა ე ლესი(ი)სასა, დაჰრეკონ ძ'ელსა და შემოკრ'ენ ძმანი, ხ'ლო დეკანოზმან განუყოს ს'ეული ძმათა...“ 44 v—48 r. (აქვე „ჴალობაჲნი სულისანი“ 56 r—58 r).

13. „ლოცვანი შესხმენებულთანი.—ლოცვაჲ ა. უფალო, რომელი მწუხარეთა სიხარულით ხარ და მგლოვარეთა ღ'ებშირის მცემელი ხარ და ყოველთა სულ მოკლეთა შემშე ხარ...“ (სულ შეიდი სხვადასხვა ლოცვა. ამათგან მეშვიდე „ლოცვა შემრ'ყისა“ 59 r-v) 58 r—59 v.

14. „ლოცვა ჩ'ჩვილთა ზედა აღსრულებულთაა.—უფალო, რომელი დაიცავ ჩ'ჩვილთა საწუთოსა ამას შინა ცხოვრებასა, ხ'ლო მერმესა მას საუკუნოსა სახარებისა შენისა თ'ს განგმხადებ მათ სიწმიდისა მათისათ'ს...“ 59 v—60 r.

15. „ლოცვაჲ მღდელსა ზედა აღსრულებულსა“ (და) ლოცვაჲ მონაზონსა ზედა აღსრულებულსა.—მეუფეო, ქრისტე, ღმერთო ჩ'ენო, რომელსა მხ'ლობა გაჳ'ს ეუფლებად და ნათელსა შენსა მკჳდრ ხარ შეუტეველებელსა, რომელი მოაყუდინებ და აცხ(ო)ენებ შთაიცანებე ჴ'ოჯხეთად და აღმოიყ ნებ...“ 60 r—69 r-v.

16. „ჴანგებაჲ, ოდეს ეღლეგია შეიქმნებოდის წმიდათა ნაწილთაჲ.—განწმიდონ მღდელმ'ნ და შთაასხას მისგან წმიდასა ბარძიმსა...“ 60 v—61 r.

17. „ჴანგებაჲ შემთხუმებსა წმიდათა ნ'წილთასა.—შე'დგომად ცისკრის გამოლოცვისა დაუსხენ წინა ნაწილნი და ესე კუმშოჲ წერილი კუმრეკსი და მერმე იწყოს რაჲ ა'ლასა თქმად..“ 61 r—6 v.

18. „ლოცვა შეგინებულისა მჷამესა ზედა სხ(ა) სწერია და ესე მეორეჲ.—მეუფეო, გულთ-მეცნიერო, რომელმან უწყნი გამოუთქმელნი და მეცნიერ ხარ ყოველისაგე უჴნ'რეს ქმნისა ძისასაჲ..“ 62 v.

19. „კურთხევაჲ ბაიასი.—შევიდეს მღდელი საკურთხეველად, ოდეს გალობათა გალობ'ენ და წართქას...“ 62 v—63 r.

20. „კურთხევა სალოთაასა სალ'ესა.— და ჩვენდა ღირსარს მადლობაჲ ღ'ებისა შენისა ყოველთა თ'ს მადლითა სიტკბოებისა შენისათა, ვითარცა გთხ'და და ერთგულ ჴქმნა აბელი აღთქმითა მით და სისხ'ებითაჲ ჯ'ავისათა...“ 63 r-v.

21. „კურთხევა ს(უ)ლის სალ'ველისა.—ღ'ერთო, რომელმან მიწისაგან დაბადე კაცი და შთაბერე მას სული ცხოველი და ყოველივე დაუმორჩილე ქ'ეშე ფე'ეთა მისთა, ცხ'ვარი და ზ'ოხა და ყოველივე ნადირი ვილი'ნი...“ 63 v.

22. „ჴანგებაჲნი და დასდებელნი („რვაჲთა ჴმათა ზედა“) ზეთის კურთხევისნი.—ჴმაჲ ბ. მოვიდით, ერნო, ჴ'ალობდით გალობითა ქრისტესა, რომელმ'ნ სასწ'ულითა ერი თჳისი იჴსნაჲ...“ 63 v—7 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. (ა)„განგებაჲ ელ[ასმონისა ესრეთ აღესრულების: დიდებაჲ მამასა და ძისაჲ და წმიდისა სულ[ა.—წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო, კ[ნი—გ.—დიდებაჲ აწ და მარადის, მო[ვე]დრთ, თაყუანისსცეთ. 77r. 23 (ბ) „თქმული წმიდისაჲ ბ ა ს ი ლ ი მთავარებისკოპოსისა. ლოცვანი ცოთმილთანი და შეცოდებულთანი ზედა [!], რომელ არს ბერძულითა ენითა ელასმონის,—ყოველთა ცოდვათა განმწმედელი, ვისცა რაჲ შემთხუმული იყოს.. "77 r—78r.

24. (ა) „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ [!] ცოთმილთა ზედა.—გმადლობთ შენ უფალო ღმერთო..." 78 r—80 r.

24. (ბ) „ლოცვა მათ ზედა, რომელნი ეპისკოპოსისგან გრინა თუ მღდლისგან შეკრულ იყ[ნენ ანუ თუ თვით თავნი თჳსნი კრულ ყოვნენ.—... მოწყალეო და ქველის მოქმედო ღმერთო, რომელმან წყალობითა მოაღორე მხოლოდ შობილი ძე შენი სიფლად, ჯვრისა შესხმად ჴმიდისაგან ღ[ის მშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისაგან..." 80 r-v.

შენიშვნა: ამავე შინაარსის ლოცვა მოტანილია 147 r-ზე, სათაურით: „ლოცვა მათ ზედა, რომელნი ეპისკოპოსისა სიტყჳთა კრულ იყენენ ანუ თუ თვით თავნი თჳსნი შეჰკრან ფიცითა."

25. „ლოცვა მას ზედა, რომელნი სარწმუნოებისაგან შესცთეს და კუალად მოიქცეს შეინანონ, ვითარცა რჯულის კანონმა მოსცეს ლოცვა: ღმერთო ცხო[რებისა ჩ[ინ]ისო, რომელმან წინასწარ-მეტყველისა შენისა ნათანის მიერ ამხილე დავითს და შეინ[ა]ნა შეცოდებაჲ მისი და მიჰპრძალე მას შენდობაჲ..." 80 v—81 r.

26. „ა. ლოცვაჲ წყალსა და ზეთსა ზედა.—ღმერთო, რომელმან მოგუხეიდე წყალობითა შენითაჲ და მოგუმადლე ჩ[ნ სული მაცხო[ვ]რებისა შენისა..." 81 r-v.

26. „ბ. ლოცვა მონაზონსა ზედა ცოთმ(ი)ლსა და კუალად მოქცეულსა სოფლადეე თჳსად.—მხოლო(ო) მხოლოსგან(ო), ძეო მამისაგანო, ღმერთო ღისა[განო, რომელმან მარტოდმყოფობისა ცხოვრებაჲ, მიმსვავსებულად ანგელოზთა წესსა, დანერგე ქ[ყანასა ზედა, მო[ჰმადლე ნათესავსა კაცთასა..." 81 v—82 r.

27. „კურთხევა (და) ლოცვა ზუარაკისა.—უფალო ი[ჳ ქრისტე, ძეო ღ[ა ცხოვლისაო, აკურთხე ზუარაკი ესე..." 82 r—83 r.

28. „კურთხევა მარიელისა.—უფალო, ყოველთა ზედა ქველმფიეო, კაცთ მოყვარეო, აკურთხე მარიელი ესე, ვითარცა უფალმან ჩ[ნმან იესუ ქრისტემან აკურთ[ა წყალი იგი..." 83 r.

29. „კურთხევა ბჲისი.—კურთხეულარს ღმერთი და მამა უფლისაჲ ჩ[ნისა იესუ ქრისტესი, რომელმან მ[ნა ყოველითა კურთხევითა სულიერითა და ცათა შინა და ქ[ყანასა ზედა. გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო, რომელმან ჴსნისათჳს ჩ[ნისა მოავლინე სიტყჳ შენი..." 83 r-v.

30. კურთხევა სულის საკლავისა.—შევიდე სახლსა შენსა მსხუ[რპლებითა და ღალდებდით ღ[ისა ყოველი ქ[ყანა..." 83 v—84 r.

31. „კურთხევაჲ ჯვარის საკლეველისა.—[ფსალმუნის საგალობელი და სამიცი[ჟულოს საკრთხაე]". 84 r.

31. „ლოცვა სულის საკლავისა"... 84 r.

32. „ლოცვა ჯუარის ტაბლისა.—უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელმან შემჭმენ ჩვენ არა არსისაგან და განმაახლე ჯუარითა შენითა! ერი შენი იჴსნენ წყალობითა შენითა..." 84 r.

33. „ლოცვა სნეულსა ზედა.—უფლისა მიმართ... მეუფეო, მკურნალო უძლურთაო, შენგან ძრწიან ეშმაკნი და ბრძანებითა შენითა განიდევნების ყოველი სალმობაჲ..." 84 r-v.

34. „ლოცვა ყოველთა ზედა სახმარსა შეგინებულსა.—უფალო, ღმერთო ჩვენო, მწ[ლოჲ სახიერო და კაცთმოყვარეო, რომელი მხოლო წმიდაჲ ხარ და წმიდათა შინა განისუენებ..." 84 v.

35. „ლოცვა ბურჭეულსა ზედა შეგინებულსა.—მეუფეო, გულთ-მეცნიერო, რომელმან უწყინი გამოუთქმელნი და მეცნიერ ხარ ყოველსაჲ..." 84 v—85 r.

36. „ლოცვა შეგინებულისა მჭამელისა.—მეუფეო, უფალო, ღმერთო ჩვენო, რო-

მელი მაღალთა შინა მკჳდრ ხარ და მდაბალთა ხედავ, რომელი წმიდაჲ ხარ და წმიდათა თანა განისუმწყნა...“ ბ5 r.

37. „ლოცვა სახლსა ზედა შეგჳძნებულსა ანუ სხჳთა რათმე სახითა ეწმაკისათა მოცულსაჲ.—...უფალო, ღმერთო ცხოვრებისა ჩუენისაო, ძეო ღ[ა] ცხოველისაო, რომელი მჴდომარე ხარ ქერობინთა ზედა და დიდებული სერობინთა მიერ, რომელი უმაღლეს ხარ და უხჳშთაეს ყოველთა მთავრობათა და ჴელმწიფებათა...“ 85 r-v.

38. „ლოცვა სტეփანჱსა.—...ჯუარსა ვსწურ ჯუარითა ქრისტესითა, ვხეჱდავ ბეჭდითა ქრისტჱსითა, მოსწს კუმრთნითა, სოლომონის ბეჭდითა...“ 85 v—90 r.

39. „ლოცვა სულთა ბრძოლისა.—მეუფეო, უფალო, ყოველთა მპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჴნებავს ცხოვრებაჲ, მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ, რომელსა არა ჴნებავს სიკ[დილი]...“ 90 r.

40. „ლოცვა თვალცემულისა.—მთავარ ანგელოზისა მიქჱლის მოსლვასა მთასა ზედა სისინე დგა ლოცვად, მოვიდოდა დიდი გრძნეული, ცეცხლის ფერად აღგზებული თვალნი და ჴეუნი რკინისნი, თმანი აქლემისნი...“ 90 r-v.

41. „ლოცვა დედაკაცსა ზედა, რაჟამს შობდეს[?] ძნელად.—...მეუფეო, უფალო ღმერთო ჩუენო, ყოველსა მპყრობელო, მამაო უფლისაჲ ღ[ა] მცხ[რისა] ჩნისა ი[ე]სუ ქ[რ]სო, შემოქმედო და მოწყალეო კაცთა ნათესავისაო, რომელმან მიეც კურთხევა შენი, სული და ცხოვრება...“ 90 v.

42. „უკეთუ თაგჳ აენებდეს ნაშრომთაჲ.—ოთხთავე კიდეთა ყანისათა ჯუარის სახედ ესე ლოცვა წართქუასხ[ე], ჰე—ნატჳლოთ. [!] საბაოთა...“ 90 v.

43. „შელოცვა ბოსტნისა.—უცხო ჰპჳდით მოვიდა, უცხო უცხოსა ფერიოჲ...“ 90-v.

44. „ჴანგებაჲ პანაშჳდისა მიცაელებულისათჳს.—და უკეთუ ყოველთა სულთაჲ იყოს და მრავალთათჳს, ითქჳნის დიაკონისაგან კუმრექსი, მღდლისაგან ლოცვაჲ, ვითარმედ მწუხრისა ლიცვისა...“ 91 r—93 v.

45. „ჴალობანი სულისანი მიცვალებულსა ზედა და პანაშჳდსა.—ვმაჲ ბ. გ[ი]. რომელმან დაჰფარა... რომელმან სიკუდილი სიკუდილისა მიერ შენისა ს.ხიერ, ღ[მრთ]ერ მოკუდინე და მძლედ მისსა გამოაჩინე ძლეული ტჳნებაჲ ჩ[ნი]...“ 93 v—97 v.

46. „უკუეთუ არაჟმიდათაგანი შთავარდნილ იყოს ზეთსა ანუ ღჳნოსა, ჯერ არს ამოღებაჲ და განჴება...“ 97 v.

47. „ლოცვა რაცა პირველ ნაყოფი შემოვიდეს, პირველსა ნაყოთა [!] შემწირველი.—მეუფეო, უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელმან შენ[ი]ერისაგან შეწირვად შენდობაჲ წადიერებით თითოეულსა უბრძანე და საუკუნეთა შენთა კეთილთა მოსაგებელი მიანიჭე...“ 98 r.

48. „ლოცვა რაჟამს ტარიგსა შესწირვიდენ ეკლესიას შინა.—...უფალო, ღმერთო, მამათა ჩნთაო, რომელმან შეიწირე აბრაჰმის საკუ[რთხე]ო[!] ისაკის წილ, ძისა მისისა, შენგე, მეუფეო, შეიწირე შესაწირავიცა ესე ტარიგისა ამის ..“ 98 r.

49. „ლოცვა მსხუ[რპ]ლსა ზედა პიროტჳფუთასა.—უფალო, ღმერთო ჩ[ნი, რომელი შეიწირავ მსხუ[რპ]ლსა წმიდისაგან და შეუგინებელისა გონებისა, რომელმან მ[მცენ ჩ]ნ სახსარი ესე შეწირვად შენდა...“ 98 r.

50. „ლოცვა ყურძნისა ჴალესიასა, რაჟამს ეგულებოდეს ჴამაჲ.—აკურთხე, უფალო, ახალი ესე ნაყოფი ქ[ყნისა, რომელი კეთილად შეხავებითა ჰაჯრთათა და მყუდროებითა ჟამთათა და ცუართაგან წუჭისათა ჯერიჩინე... 98 r-v.

51. „ლოცვა აღმენებ(ა)სა ახლისა სახლისასა.—...ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელმან შეჰქმენ ცანი მეცნიერებითა შენითა, რომელმან დაადგუნე ქ[ყანა სიმტკიცესა ზედა...“ 98 v.

(აქვე: „კურთხევა ახლის სახლის“ და „ლოცვა შესლვასა ახლისა სახლისასა“.)

52. „ლოცვა წჳიღისა და დიდებულისა მოწჳმისა ტურიფონისი, ყოვლისავე თ[ა]ყანისა, ენებსისაჲ და ბოსტნის, ჰია ანენებდეს.—... ვიყავ რაჲ კამფსადო დაბასა და ვიღუწიდი ღრიდითა და ვაძოებდი, რისხვაჲ გ(ა)რდამოხდა ღ[ა]ისგან, ყოვლისა მპყრობელისა...“ 99 r—100 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

53. „ლოცვანი] ნუგეშინის ცემ[ისანი] „მეუფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო...“ და მიცვალებულსა ზედა: საკითხავი.—კურთხეულ ხარს ღმერთი, ისმინეთ, საყვარელნო, სიტყვა ნუგეშინის ცემისა, მიწერილისა ამისა და თ~ წარსულისა ამის დღისა, რომელი მოაწია ღმერთმან ჩ~ ზედა...“ 100 r—103 v.

54. „ლოცვაჲ საფლავის კურთხეცისა.—ღ ერთო, ძლიერო და საშინელო, რომელმან არაარსისაკან ყოველივე არსად შეჰქმენ, რათა უფუძებდეს ქმნილსა ჴელთა შენთასა, მიიღე მიწაჲ ქუეით..“ [აქეც: „განგებაჲ მოსაზომისაჲ.“ „კურთხეევა მონაზონისა, ბერძულად თქმული წმიდისა ბასილი მთავარებისკ ოპოსისა“] 104 r—111 v.

55. „წესი და განგება წმიდისა და ანგელოზებრივისა სქემისა [შეცთომით „საქმისა“] თქმული წმიდისა დიდისა ბასილისი.— მწუხრითგან დაღეგან სამსალოი ძმისა მის, რომელი იკურთხეოდის...“ 111 r-v.

56. „ჳუალთმდებისა აკრასტიხონნი ნეტარისა ევსების თქმულნი.—ეტლთა სიმრავლე...“ 111 v—121 v.

57. „ლოცვაჲ აჳდასა კუნკულისასა მეშვიდესა დღესა.—...ბრავალ მოწყალეო, მოეც მონასა ამას შენსა (სახელს~ევას მოღებითა წმიდისა სქემისათა) კუნკული ჩაფხუტად...“ 121 v.

58. „კურთხევა ტრედისა.—...ვითარცა იგი რაჟამს ნოე გამოვიდა კიდობნით, მიი(ა)ქუა ტრედი და გუნიტი აკურთნა, განწმიდენ და შეურინენ იგინი მსხუ(ა)ლად სულიერად, ეგრეთვე, მსგავსად მისსა...“ 121 v—122 r.

59. „კუ~თხევა მორქმა—მიგებებისა.—უფალო, რომელმან მოსდრიკენ ცარი და გ(ა)რდამოხედ ქ~ნად ცხოვებისათ~ნათესავისაჲ კაცთასა, რომელსა წინათვე გჳწინა-წარმეტყველობდეს წინასწარმეტყველი მოსლვასა შენსაჲ...“122 r.

60. „ლოცვა ვნებულთა ზედა, რომელთა სალმობათა.—სიხელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. გარდამოხდეს ზჳდნი ანგელოზნი მჭიათ პატოსნით და უბრძანებდა მათ იესუ: წარვედით და ნახეთ კაცი იგი. თუ მამკაცი იყოს, ჭაბუკი, თუ დედაკაცი იყოს, მჭეველი...“ 122 r—122 v.

61. „განგებაჲ მუჯლთ დრეკისა წმიდისა მარტჳლის, თქმული წმ. ბასილი კესარიელ მთავრებისკოპოსისა: ვითა ცხრა ჟამ იყოს...“ 122 v—128 r.

62. „ლოცვა ჴელდასჴმაჲ წოვნის მკითხველთაჲსა და მგალობლისაჲ.—შემდგომად აღუმცისა, რომელთა ეთას ჴელთა დასხმად და წ~ვნის მკითხველად ანუ თუ მგალობლად, მოიყვანონ წინაშე ეპისკ~ოპისა [!] და დასდგას ჴელი თავსა მისსა...“ 128 r.

63. „ლოცვა ჴელ დასხმ(ა)სა კერძო დიაკონისა. — ვითარცა შევიდეს ეპისკოპოზი სადიაკუნედ და დადგეს წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, მოიყვანონ ჴელთა დასხმად...“ 128 r.

64. „ლოცვა ჴელ-დასხმასა კერძო დიაკონისაჲ .“ 128 r-v.

65. „ლოცვა ჴელთ დასხმასა მთავარ-დიაკონისაჲ.—პირველად შეწირვისა წმიდისა მსხუ(ა)პლისა და განღებისა კართასა პირველ დიაკონისა თქმადმდე...“ 128 v—129 v; 130 v—131 v.

66. „ლოცვა ჴელთ-დასხმასა მღდლისასაჲ.—შემდგომად შემოყვანებისა წმიდისა მსხუ(ა)პლისა, დადგებისა წმიდასა ტრაპეზსა და ასრულებისა სიწმიდისა შემოყვანებისა...“ 129 v—130 v.

67. „ლოცვა ჴელთ-დასხმასა წინამძღრისასა.—მოიყვანონ, რომელსა ეგულებოდეს ხელთ-დასხაჲ და მუნ იყვნენ ყოველნი მონაზონნი, რომელთა ბერობისაჲ იგი...“ 131 v—132 r.

68. „ლოცვაჲ მოკუ(ა)სა თმათისა.—...ყოველად უბრწყინელო მაკუთვარო, რომელმან ყოველსა შემოქმედითა ძალითა და მიუწდომელითაჲ სიბრძნითა არაარსისაგან ყოველივე არსად მოიყვანე...“ 132 r-v.

69. „ლოცვაჲ კუ(ა)სა წუერთასა.—...განგებულებითა შენითა ჩ~ნ ცოდვილნი ესე მსახურებასა ამას მადლობისა შენისასა გამოგჳხინენ, რამეთუ ჩემ მიერ ერი შენ გმსახურებდეს სიწმიდით...“ 132 v.

70. „ლოცვა ეკლესიისა საფუძელის დადებისა [და] განგებაჲ, რომელი აღესრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის კურთხევასა ეკლესიისასა და მას შინა საკურთხეველისა.—უფალო, ღმერთო ჩ~ნო, რომელმან ზეცარიონე და ამასცა კლდესა ზედა აღგებაჲ ეკლესიისა..." 132 v—136 v.

71. „წესი, რომელი აღესრულების სატფურებასა პირველ კურთხეულისა ტაძრისა..." 136 v—137 v.

72. „ლოცაჲ წმიდასა ზედა ტრაპეზსა დაცემულსა გინა დარღუშულსა.—ესერთ ჯერ არს, რათა განახლდის და მერმე ესე ლოცაჲ: „გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო..." 137 v.

73. „კურთხევაჲ ოდიკისაჲ.—ხოლო ამისი შესწავებაჲ სახმარ არს, ვითარმედ ოდიკონი პირველივე წმიდაყოფისა გამოიკუმთებიან და შეიკერვიან და გარე ეღებიან..." 137 v—139 r.

74. „თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარებაჲ, რომელი ჭურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუხდებოდეს.—აღსარებაჲ უკმს მას და განქაძებაჲ..." 139 r—140 r.

75. „აღწერაჲ უსრულებისაჲ თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარებაჲ, რომელი ჭურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუკდებოდეს.—აღსარებაჲ უკმს მას პირველად და განქაძებაჲ ყოველსა ცნობასა ჭურიაებრივისა და წესისა და ქცევისა..." 140 r—142 r.

76. „წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მთასრთა და ქეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩ~ ქრისტეანეთასა.—პირველად უკუე, რომელი იგი მოუკდებოდის მართალსა სარწმუნოებასაჲ, იმარხავს ორსაჲ შჯდეულსა..." 142 r—146 v.

77. „ლოცაჲ წმიდათა მესუკეველთაჲ.—წყალობაჲ ყავ, უფალო, ქ~ყნისა ამისთჳს დიდითა შენითა წყალობითა..." 146 v—147 r.

78. „ლოცაჲ მოგზაურთა ზედა.—...რომელი ყოველთა ზედა ხარ და ყოველთა საცხორებლად გამოსჩნდები, რომელნი ესენ სახელსა შენსაჲ, უფალო, საყვარელსა ძმასა ჩ~ნსა..." 147 r-v.

79. „ლოცაჲ, ოდეს მღდელი სახლად შევიდეს.—...ღმერთო, რომელმან სართულსა ქუშე მონისა შენისასა ჯერ იჩინე დატევნა ჴელით ქმნილსა კ~რავსა..." 147 v.

80. „ლოცაჲ ყრმათა ზედა, მოყვანებულთა ჴ~ქელის დადებად.—...უფალო, ღმერთო ჩ~ნო, წყაროო კურთხეისაო [!]..." 147 v—148 r.

81. „ლოცაჲ წყუდასა კაცთასა.—მ(ა)რთალ ხარ შენ, უფალო, ყოველითა სიტყჳთა შენითა და წმიდაჲ ხარ ყოველითა საქმითა შენითა! განმაყენენ ცოდვანი ჩ~გან..." 148 r;

82. „კურთხევაჲ თესლისა.—უფალო, იესუ ქრისტე, ძეო ღ~ჲ ცხოველისაო, ესე რაჲ შენდა შეეს[წ]ირავთ თესლსა, ღჳნოსა და საცხებელსა..." 148 r-v.

83. „ეკლესიისა რაჲ სამსაზურებელსა ჰურჩელსა, გინა რასაც ვინ შესწირავდეს. [განგება]." 148 v—149 r.

84. „მღდელი რაჟამს სნეულსა ულოციდეს [განგება]". 149 r-v.

85. „ლოცაჲ ჰაერთა დაწყნარებისათჳს და ნ~ყოფთა კეთილად ბოძებისათჳს. —...უფალო, რომელმან მოსცი წჴმა ქ~ანასა და მოავლინი წყალი ცასა ქუშე და ყოველთა მრავალფერად და ჯეროვნად უხუებით ს(ა)კჳრველებასა იქმ..." 149 v—150 r.

86. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ~ნისა მ ე თ ო დ ი კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ე ლ მთავარებისკოპოსისა, თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარება თითოეულსა ჰასაკსა შინა უარიყოფისა ბრალსა შინა შთავრდომილთა და კვალად ქრისტეანობად მოქცეულთა. უკუეთუ ყრმა შეჰყრობილი იქნეს და უარ ყოს შიშინასაგან ანუ ჴმეცრებისა..." 150 r—152 v.

87. „ლოცაჲ ლხინებისათჳს, რომელნი უარისყოფისაგან მოქცეულ იყუნენ ქრისტეანობად და დიდსა ე შაბათსა: „მართალხარ შენ, უფალო და წრფელ არიან განკითხვანი შენნი..." 152 v—153 v.

88. „თუ ვითარ ჯერ არს პირველი წერილი შეჩუქნებაჲ წ~დად ღ~თისაჲ ეკლესიად მოჰვალთა მიერ მანიქეველთა წვალებისაგან" 153 v—154 r.

89. „ლოცაჲ ნავსა ზედა, რაჟამს ზღუად შთაგდებაჲ ეგუეებოდის.—პირველად ესე ფსალმუნი თ~ქს: აღეიხილენ თ~ლნი ჩ~ნი მთათა, ვინა მოვიდეს შეწევნა ჩემი..." 154 r—155 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. „კვერექსი ემბაზსა ზედა_და საბანელსა და ჯუარღმუესაჲ და ოდესცა საჴარ იქმნას წყლისათჳს.“ 155 r-v.

91. „ლოცვა ურთიერთას დაგებისათ'ს.—...უფალო, ღმერთო ჩ'ნო, სი'ყრულისა დაწნერგველო და მშჳდობისა მეშაკო და ეროვნებისა მომცემელო! მოანიჭე აწცა მონათა ამათ შენთა რომელნი ესე განყოფილ იყუნეს...“ 155 v—156 r.

92. „ებილთა ტკივილისათჳს. ესე წი'სა ანტიპას მუჭლი და სამოციქულო და სახარებაჲ წარიკითხოს. ეპისკოპოსი პერღამოს იყო.—თჳესა აპრილსა ია, წ'ისა მღდეტმოწამისა ანტიპასი. ჴმაჲ ბ. ზეცისა ანგელოზთა მდგომარე ხარ წინაშე საყდართა...“ 156 r-v.

93. „განგებაჲ, რომელი აღესრულების უწჳმოებისათჳს. განგებაჲ უწჳმრობისაჲ. —ჴმაჲ დ. ზღვაჲ უვალი...“ 156 v—160 r.

94. „ლოცვა შეზავებისთჳს ჰეროსას.—...რომელმან მოსცი წჯმა ქჳ'ანასა და მოავლინი წყალი ცასა ქუშე და ყოველსა მრავალ-ფერად და ჯეროვნად...“ 160 r—161 v. (იგივე ლოცვა, რომელიც § 85-ში.)

95. „ლოცვა დანერგვასა ვენახისასა.—...შენ ხარ, ქრისტე, ვენახი ჭეშმარიტი და მამა შენი მოქმედი არს და შენვე მოციქულთა რტოდ უწოდე და ვახად შენდა...“ 161 v.

96. „ლოცვა სოლომჲასა ყურძნისასა.—...ღმერთო, მაცხოვარო ჩ'ნო, რომელმან სათნო იყავ ვენახად წოდებაჲ მხოლოჲ შობილისა ძისა შენისა...“ 161 v.

97. „ლოცვაჲ და კურთხევა ბაღისა.—რომელმან ხუთითა პურითა და ორითა თევზითა ხუთ ათასნი განაძღენ და ნეშტისა სიჴრავეც მათგან გ(ა)ნამრავლე, შენ, მეუფეო ყოველად ძლიერო, წინა მდებარეცა ესე ბაღი აკურთხე...“ 161 v—162 r. [ამავე შინაარსის არის „ლოცვა ბაღისა თევზისა. 240 v].

98. „ლოცვა გზასა წარმ[ა]ვალსა ზედა.—...უფალო, ღმერთო ჩ'ნო, რომელი თანამოგზაურ ექმენ მონასა შენსა იაკობს და თანამავალ უცხოებასა მასურებასა შენისა იოსებს და თანა ჳვიდოდე ლუკას და კლეოპას...“ 162 r.

99. „ლოცვა სამკალსა ზედა.—...რომელმან მრავლითა წყალობითა შენითა მომიყვანენ ჩ'ნ ჟამსა ამას და აკურთხე მოქცევა წელიწადისა ამისა...“ 162 r.

100. „ლოცვა ბრძოლასა მტერისასა.—...უფალო, ღმერთო ცხ'რბისა ჩემისაო, ნუ მიმცემ მე გ(ა)ცხრომასა თუალთასა და გულისთქმა ბოროტი განმაშორე ჩემგან...“ 162 r-v.

101. „ლოცვა წმიდისა ი'ოანე ოქროპირისა წიგნის კითხვისათ'ს.—უფალო, იესუ ქრისტე, განაბუქნ თუალნი და ყურნი გულისა ჩი'სნი სმენად სიტყ'დთა და გულის ჭმის ყოფად ნებისა შენისა...“ 262 v.

102. „ლოცვა წმიდისა და დიდებულისა მ ა მ ა ი ს ი—ყოველისავე სნებისა პირუტყთასაჲ.—...გზადით შენ, ღმერთო, მამაო, ყოვლისა მპყრობელო, მეუფეო საუკუნეთაო და შენ, სიტყ'ო მამისაო, უფალო იესუ ქრისტე, შემოქმედო ცათა და ქყ'ნისა...“ 162 v—163 r.

103. „ლოცვა ცხროვანსა ზედა.—...კურთხეულხარ შენ, ღმერთო, კ(ე)თილო. მკურნალო სულთა და ჴორცთა ჩ'ნთაო, რომელი სნეულებათა ჩ'ნთა უწრომელად იტკ'თივ...“ 163 r—163 v.

104. „წესი და განგებაჲ მათ ზედა რომელნი წვალებისაგან მართლმადიდებლობად მოიქცენ. 163 v—165 r.

105. „ლოცვა წმიდისა ბ ა სი ლ ი სი, მაოტებელად ყოველსავე არაწმიდათა სულთა.—...გზადით შენ, მეუფეო, ყოველისაჲ მპყრობელო, გარე შემოუწ'რეულო...“ 165 v—166 v.

106. „მისვე [წმ. ბ ა სი ლ ი სი] ფუცებაჲ ღელვა-გუმშუესა ზედა სულთა მიერ არა წმიდათა.—ღმერთო ღ'თაო და უფალო უფლებათაო! რომელი ცეცხლის ფერთა გუნდთა შემოქმედი ხარ და უნიეთოთა ძალთა დამბადებელი...“ 166 v—168 v.

107. „ლოცვა წმიდისა ი'ნე ოქროპირისა სულთათჳს არა წმიდათა.—სიღთოსა და წმიდისა და დიდებულსა საშინელსა და შესაძ'წენებელსა და წინა-დაუდგრომელსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებასა ეგრეთვე და სახელსა დებასა ჰყოფ შერისხვისა შენისათჳს, ეშმაკო! შეგრისხენ შენ უფალმან, ეშმაკო...“ 168 v—169 v.

108. „განგებაჲ წმიდისა ბასილისი მ[ღდელთა მიმართ, თარგმნილი.—ჰრიდე თავსა შენსა, ჰოი, ხუცეს...“ 169 v—170 v.

109. „განგებაჲ ძმობილობისა.—მოიღოს მღდელმან წმიდაჲ საზარებაჲ...“ 170 v—171 r.

110. „ლოცაჲ ოდეს იშვიეტებდეს ვინ.—უფალსაჲ მიმართ მოუსლებელო და უფროსსად საბიერო ღმერთო და შემოქმედო ყოველსავე, რომელი ყოველისა მპყრობელითა ძალითა შენითა ყოველსავე იქმ...“ 171 r.

111. „ლოცვანი ფსალმუნისნი საკრაონი, მწ(უ)ხრისა და ოდესცა შეიმოსონ და ოდესცა ღამისთევა იქმნებოდის. –უფალო, სახიერო და მოწყალეოო, სულოგრძელო, და მრავალ—მოწყალეო, ყურადიღე ლოცვა ჩ̃ნი და მოხედნ̃...“ 171 r—180 r. [აქ დართულია: „უკეთუ ვისმე დაცდა შეემთხეოს ძილსა შინა... „ქამნის“ მასალა, პრაკლისი მგზავრობის“ —185 r.

112. „ლოცაჲ ჴ(ე)ლ დასჭმასა ეპისკოპოსისაჲ.—შემდგომად წმიდაო ღ̃ოსა“ რა—ჟამს შთამოეიდენ მაჲალობელნი საფსალმუნეთგან, დადგეს მთავარეპისკოპოსი წინაშე წმიდისა საყრთხეეველსაჲ და მისცენ მას ჭარტა...“ 185 v—186 v.

113. „წესი, როგორ იქმნების კურთხევასა ეკლესიისასა და დამყარებაჲსა მას შინა მდგომარისა წ̃სა ტრაპეზისასა“. 186 v—194 v.

114. „ჯმნა და შედგომა, რომელი იქმნების მღდელთ-მოძღვრისა მიერ წმიდასა დიდსა პარასკევსა ვნებისასა [და] წმიდასა ხუთშაბათსა ცისკრად..“ 194 v—198 r.

115. „ლოცაჲ ღამის თევისა აღსებებისაჲ.—...ღმერთო, რომელსა გეგულებოდა ჴელთ-გებეზა დიდისა მის ვედაბისა და მწყემსი იგი სიტყჳერთა ცხოვართა ჯოგობეთით აღდგინებად მწუხრსა ამას...“ 198 r-v.

116. „ძეგლის წერაჲ სარწმუნოებისა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა, კოსტანტინეპოლეს შეკრებილთა, წმიდათა ხატთაჲ თაყვანის ცემისათჳს, რომელი ესე წარიკითხვის სოფია წმიდასა პორეელსა კვირიაკესაჲ მარხეთასსა...“ 198 v—204 v.

117. „ერის განტეევება სიწმიდის ჴანახლებისაჲ [და] ლოცანი ერის გ(ა)ნტ̃ებისნი [!] სამარადისონი.—...მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე, მ̃ცხრო ჩ̃ნო, რომელმან ღირს მ̃ყვენ ჩ̃ნ დიდებისა შენისა ზიარ-ყოფად და წმიდათა და ცხოველს მყოფელთა საიდუმლოთა შენთა მოღებითა...“ 204 v—206 r.

118. „ლოცაჲ[ნი] ერის ჴანტეევებისანი დიდებულთა დღესასწაულთანი. ერის განტეევაჲ წმიდისა ღ̃ის მშობლისა მიცვალებისაჲ [შობისა და ცხა დღესასწაულთა].—...ქრისტე, ღმერთო ჩ̃ნო, რომელმან უხრწნელი დედა შენი სიკუდილისა მიერ საწუთოსა ამის ცხოვრებისაგან მისცვალე და დარაჲეფდა სამარესაჲ...“ 206 r—216 v.

119. „განგებაჲ წყლის კურთხევისა.—ყ̃ოა თ̃ი თევითა და დღესასწაულთა, შემდგომად ცისკრის ლოცვასა, შეიმოსოს მღ̃დელი და დიაკონი და მოიღოს ემბაჲი, გინა ფიშხები...“ აქვე ჩართულია: „პანაშვიდი ცოცხლისა,“ ლოცვებითა და საგალობლებათურთ. 220 v—225 v. 217 r—225 v.

120. „კურთხეეა ახლისა სარეკლისა, დღეს კჳრიაკესა.—რაჟამს რეკიან ჟამი იყოს, სარეკელი წით̃ა წყლითა განრცხას მღდელმან, ეკლესიად შეიღოს და აღსავლას საკურთხეველისასა აღმართოს...“ 227 r-v.

121. „ებისტოლე ავგაროს მთავრისაჲ ქალაქსა ედესიასა, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩვენსა იესუ ქრისტესა და წარსცაჲ ანანიას მიერ მოციქულისაჲ იერუსალემს...“ 227 v—230 r.

122. „ლოცაჲ წმიდისა კჳპრიანესი, მოტებებულად ყოველსა არაწმიდისა სულისაჲ.—ვითარ იგი წმიდაჲ იქმნა საწუთოსა ამის და ითხოვა უფლისაჲ ჩ̃რისა იესუს ქრისტესაგან და მოიღო რ̃ჲგი ითხოვა ღ̃ისაგან და თ̃ქა: „გიგალობ შენ, მეუფეო ცათა და ქ̃ყნისაო...“ 230 r—232 v.

123. „ლოცაჲ წმიდისა ბასილისი, მოტებებულად არაწმიდათა სულთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—გზადით შენ, უფალო ღმერთო ჩ'ნო, მეუფეო, ყოვლისა მპყრობელო, მაღალო, გარეშეუწერელო, მდ'ო მზეობისაო...“ 232 v—235 r.

124. „ლოცვა წმიდისა იერ ოკრობირისა მაოტებელად სულთა არაწმიდათა. —საღთოსა წმიდასა და დიდებულსა და საშინელსაჲ და შეუსაძრწუნებელსა და წინადაუდგრომელსა წოდებასა და ეგრეთვე საზელის დებასა ვფიცით...“ 235 r—236 r.

125. „ლოცვა[ნი] წმიდის გრიგოლისი, მაოტებელად სულთა არაწმიდათა. —ჰა, ეს რა გაუფცებ ღმერთსა აბრაჰამისსა, ისაკისსა და იაკობისა, მამასა და მომაგლინებელსა უფლისაჲ ჩ'ნისა იესუს ქრისტესა, რომელმან შეჰრისხნა ლეგეონსა მას...“ 236 r—239 r.

126. „ლოცვაჲ წყაღსა ზედა სნეულისასა.—ღმერთო, დიდებული და სახელ-დიდო. რომელი დიდთა საკჳრველებათა მხოლოდ დიდებულთა და განსაკჳრებელთა, რომელთა არა არს რიცხჳ...“ 239 r-v.

127. „ლოცვა ცხოროსათჳს.—კურთხეულ ხარ შენ ღმერთო სახიერო, მკურნალო სულთა და ჴორცთაჲ ჩ'ნოთო, რომელი სნეულთაგთა ჩ'ნთა უშრომელად იტკრთავ...“ 239 v—240 r.

128. „ლოცვა ოდეს ამხედრდე სლვად გზათა.—უფალო ღმერთო, იესუ ქრისტე, რომელმან წმიდანი და ყოველად ჭეშტარი მოწამენი შენნი განაწესენ მკედრად ყოველსა ზედა სოფელსა, ხოლო მათ აქუნდა შენ მიერ ძალი და სიმჴნე...“ 240 r-v.

129. „[ლოცვანი] ჩაცმასა ავჯრ ხასა [!] [და] შეტკჳებასა [ტკრისასა]“ 240 r-v.

130. „[ოხითანი:] ღრ'სმშობლისა, ხარებისა, ქრისტეშობისა, წმ. სჳმონისა განტეჳებისა, ფერისცვალებისა და სხ. 240 r—242 v.

130. „ლოცვა დაცვისა თ'ს ყოველსა ბოროტისა.—წმიდანო მ(ო)წამენო, რომელთა კეთილ ღ იღვაწეთ და გჳრგჳნოსან იქმნენით, უფალსა ჳედრენით ცხორებისა თ'ს სულთა ჩ'ნთასა...“ 242 v—243 r.

131. „ლოცვა ნადირობისა.—მაღალო მეუფეო და უფალო დიდებისაო, ყოველსა სახიერებისა მომნიჭებელო და ყოველსა დაბადებულსა შემოქმედო...“ 243 r-v.

132. „ლოცვა ელეეთერისა.—გმადლობ შენ, მეუფეო, უფალო ღმერთო, ყოკლისა მპყრობელო...“ 243 v.

133. „ლოცვა ჰომისა.—ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელი დიდ ხარ ზრახებასა შ'ნსა და საკჳრველ საქმეთა შინა, რომელი ყოველთაგან ხარ და ყოველსაგე აღაცყებ...“ 243 v—244 r.

II. ტექსტს დართული აქვს: ზანდური: „ჲ. კურთხევა ყრმის ნათლჳისა...“ 245 r—246 r.

ანდერძი: (დამკვეთისა, ტექსტის ხელით): „ჰოი, მამაო, ძითურთ და სულით ცხოველსმყოფელით! მპყრობელო ცათა და ქ'ყნისაო, რომელსა გარე მოგადგან აოასიულნი და ბევრეულნი გუნდნი ანგელოზთანი, რომ ლი ჰხი ზედა ქ'რბინთა და ხედავ უფსკრულთა, რომლისა მიხედვად სერ'ბინნი ვერ შემძლებელ (ა)რ'ნ! განმზომელო ცისა და ქ'ყნისაო! აღმწონელო მთათა და ბორცუთაო! ძლიერო, სულგრძელო, ტკბილო, მოწყალეო, რომელმან დაჰქსჳ სიძრგუალე ცისა, რომელმან მოწყალებით განჭოციელებაჲ ჯურიჩინე, რომელსა გენებაჲ ჯოჯოხეთ ისა ველთაგან გამოჴსნა ადამიანთა! მეცა, ნათესავი ადამიანთა, დაჴნიებული ცოდვითა, მოუძლურებული უბადრუკებითა, რომელმან ძეელსაჲ მწუხრესაჲ ჩემსა და დიდად მოქადულსა მტერსა არცხჳნე და ადამ, მყოფი ქ'ესკნელთა შინა, ჯოჯოხეთის მოსტატეც და ბეჭთა ზედა იტჯრთე და პირველსავე დიდებასა ღირს ყავ, ვითარ ტკბილ და ძჯრ-ჟუსენებელ ხარ! გეევედრები მე, ნ ა ო ლ ო ხ დ ი დ ი ა! შენითა შეწყნებითა დავაწერინე წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი, შენდა მიმაახლებელი, სნეულთა მკურნალი, ცოდვილთა მეოხი და უძლურთა ძ(ა)ლი მცე, ყოველითა კურთხევითა შემკული, სრული და უნაკლულო კურთხევანი, ცოდვათა ჩემთა საოხად და სულისა ჩემისა სახსრად მი(ო)ლე, რომელისა ძლიერებითა და მოწყალებითა სავსე [არს] ცა და ქ'ყანა. ქმნილსა ჴელთა შენთასა ნუ უგულ'ებელს მყოფ და შემიწყალე და აწ უფალნო და პატრონ(ნ)ო და შემწ'ნო ჩემნო და მოღ(ო)წენო ქრისტეანობისანო, ვინაცა ვინ

კელყოფდეთ შლად და ქმარებად, ნუ დაიდუმებთ და შენდობასა ჰყოფდით ჩემ ცოდვილსა ნიკოლოზისა თ'ს. ვინცა ჩ'ნ'თს შენდობა ბრძანოთ, თქ'ნცა შეგინდოს ღმერთმან." 1 r-v.

მინაწერები: I v, 247 v.

1353

კურთხევანი [მე-17 ს.]

146 ფ.; 21×15; ქაღალდი; ხის მეორე ყდა (გატეხილი); თავნაკლული (1—6 ფ. მოცილებული; 45, 84, 117 ფფ-ის ასოები მოჭრილია, 138 ფ. ამოვარდნილი); ნუსხური (სათაურები სინგურით); მე-17 ს. ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„... და ლხინებისა მისისაჲთჳს უფლისა. რათა უფალმან ღმერთმან და(ა)წესოსა სული მისი ადგილსა ნათლისასა, სადაც იგი მართალნი განისუსენებენ უფლისაჲ..." 1 r—132 v.

შენიშვნა: 1. ტექსტს დართული აქვს: „ესე ქ'რონი დაიწერა [სახითა] იერუსალიმისათა სრული და უცვალებელი. „ე. ფბ. ჯვ..." (1314—1844 წწ.)—ისტორიული მინაწერებით (1363—1752 წ.) 133 r—146 r.

2. 103 r, მარჯვენა კუთხეში, ტექსტის ზელით „ნათაწელ" [გადამწერის სახელი?].

მინაწერები: 40 v, 101 v, 103 r, 131 v, 135 v, 136 r, 138 v, 139 r-v. 140 r-v. 141 r-v, 142 r, 143 v, 144 r, 145 v, 146 v.

1354

იოანე სინელი. კლემაკსი [1774 წ.]

I—III+222 ფ.; 19,5×15; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური (სათაურები სინგურით); 1774 წ.; გადამწერი: ანჩისხატის დეკანოზი გიორგი; ადგილი [თბილისი] (221 r); მთარგმნელი—გეთჳმე (1 r); დაწერილი ფურცლები: I—III, 221 v, 222. ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„(სწაელანი) წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩ'ნისა იოანე სინელ მამასახლისისანი, რომელნი მიუძღუანნა მამასა იოანეს, რაითელ მამასახლისსა, რამეთუ ითხოვა მისგან, რათა აღსწერნეს სწაელანი მონაზონთა მიმართ. პირველი თაჳ. გამოსულისათჳს სოფლით. — შეწევნითა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა და მიწყალისა ღ'სა და მეუფისა ჩუენისათა ვიწყოთ სიტყუად, რამეთუ კეთილ-არს რ'ა ღ'ი ვჰყოთ დასაბამად სიტყჳსა მონათა მიმართ ღ'ისათა, რამეთუ ყოველნივე, რომელნიცა დაჰბადნა სახიერმან და დიდებულმან ღმერთმან სიტყჳერნი და თჳთ მფლობელობითა პატივჰსცა..." 11 r—206 r.

შენიშვნა: I. ტექსტს წინ უძღვის: 1. „კიბე სათნოებათა, ცად აღმყუანებელი, თქმული დ'ნიელ მონაზონისა რაითელისა, წიგნისა ამის'ს სულთა განმანათლებელისა, რომელსა ეწოდების კლემაკსი, რომელ არს კიბე." 1 v—2 v.

2. ზანდუკი. 2 r-v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე სინელ მამასახლისისა, მოძღურებითა განმკრძალებლისა, სულთა განმანათლებლისა და შეშფოთებულად სასატრფიალისა, რომელი ესე აღწერა დანიელ მონაზონმან რაითელმან.“ 3 r—7 v.

4. „ებისტოლე წმიდისა მამისა იოანე რაითელ მამასახლისისა, ნეტარისა იოანეს მიმართ სინელ მამასახლისისა.“ 8 r-v.

5. „ებისტოლე წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანე სინელ მამასახლისისა, იოანეს მიმართ რაითელ მამასახლისისა, რომელსა ზედა წერილი ესე არს: „ფიცარნი სულიერნი. იოანე იოანეს ბარებს.“ 9 r—10 r.

II. ტექსტს დართული აქვს:

1. „კიბე სათნოებათა“ („სათნოებათა ნუსხა).“ 206 v—207 r.

2. „თქმული მისივე ნეტარისა მამისა ჩ[ენისა ი]ე სინელ მამასახლისისა, მწყემისა და წინამძ[ღ]ურისა მიპ[ა]რთ, რომელი ესე მისცა სხჳთა ამათ პირველ-თქმულთა თ[ჳ]თა თ[ა ი]ნებასა, რაითელ მამასახლისსა, რომელსა ეთხოვა მისგან, რათა დაუწერნეს სწავლანი მონაზ[ონ]ებისანი.“ 207 v—220 v.

III. ჴადაწერი ტექსტში თავიდან ბოლომდის ხმაროსს მახვილის ნიშნებს.

ანდერძი (მთარგმნელისა ექვთიმე მთაწმინდელისა): „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი იკითხვდეთ ანუ ჰსწერდეთ წა ამას წიგნსა, წმიდანო ღ[მრ]თისა, ვითარმედ ნეტარსა მას მამასა, რომელსა ესე სულთა განმანათლებელი წიგნი უთქუამს, არა თუ კლემაკსი ეწოდების, ნუ იყოფინ! არამედ იოანე არს სახელი მისი, ხოლო კლემაკსი წიგნსა ეწოდების და არს კლემაკსი ბერძულითა ენითა, ვითარმედ კიბეო.

ხოლო ამისთჳს ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რამეთუ ვითარცა კიბე სათნოებათა შეჰქმნა წიგნი ესე და მდაბალთა საჭმოთაგან იწყებს და თ[ა მაღალთა მამრთ]ა აღუალს, ვითარცა თჳთ აღსასრულსა წიგნისასა ჰპოოთ გამოსახული კიბე სათნოებათა.

ხოლო რომელსა იგი გამოკრებული მცირედი პირველ ეთარგმნა, კლემაკსი ეთქუა მის წმიდისა და აწ, უკეთუ ვინმე წიგნისა სახელსა იტყოდის, თქუნ კლემაკსი, რომელ არს კიბე: ხოლო უკეთუ წმიდისა მის სახელსა იტყოდის, თქუნ იოანე.

ვინათგან უკუე პირველსა მას ჴარგმანსა მრავალი მდუმრიად დაეწერა და მრავალი დაეგდო, ამისთჳს, მე, გლახაკმან ეფთჳმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანჱსითა, ვჰსთარგმნე ესე, ვითა თჳთ მას წა ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით. აწ უკუე რომელნიცა იკითხვდეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცავდ ჰყავთ წმიდისა მამისა ჩ[მისა იოანე]სთ[ს] და ჩემ[ს]ი, ცოდვილისა ევთჳმესაა და რომელნი ჰსწერდით, ვით აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ და თავნი, ვითა აქა იყუნენ, ეგრე დასხენით, რამეთუ მე ვითა მიპოვნიან, ეკრეთ დამისხმენ, ყოველნი წითლითა. და ამათცა სიტყჳთა ნუ ვინ დააგდებთ, არამედ დაჰსწერდით, ღისათ[ს] და ჩემსაცა ცოდვილისისა სახელსა.“ 1 r-v.

ანდერძი (ჴადამწერისა): „აღვსწერე კლემაკსი ესე, ყოვლად უღირსმან მღუელმან ანისისატია დეკანოზმა გიორგიმ. რომელნიცა ისიელიდეთ, შენდობას ჰყოფდეთ. იქნისს ია. წელსა ჩღლდ, კჭ[ონს ოჲბ].“ 221 r.

1355

ლოცვანი [მე-17—18 ს.]

174 ფ.; 19×14.; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა (I და II ყდის შიგნითა არეზე მიკრულია XVIII ს. ნუსხური ხელით ნაწერი „ჯუთხვევანის“ ფურცლები); ნუსხური (სათაურები სინჯარით); მე-17—18 ს. ჩამოტანილია დავით-გარეჯსჯის მონასტრიდან ქ[ე]თმემე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლოცვანი შუაღამისანი, თქმული იოსებ გამომწ̃ყლისა მიერ. —ლოცვათა წმიდათა მამათა ჩ̃ნთა. „წმიდაო ღმერთო,“ „მამაო ჩ̃ნო“ „კ̃ნი,“ **აბ.** „მოვედით თ̃ყნ.“ „უფალი ნათელ ჩ̃მდა და მაცხ̃რ̃ ჩემდა, ვისა მეშინოდის?...“ 1 r—174 v.

შენიშვნა: ხელნ. წერის ტექსტი ზემოწყვნით მისდევს ვახტანგის სტამბის „ლოცვანის“ ტექსტს (ტფილისი. 1710 წ.).

1356

ჟამნგულანი (ფრაგმენტი) [მე-16—17 ს.]

8 ფ.; 22×16; ქაღ ლდი; უყდო, წვრილი ნუსხურით (სათაურები—სინგურით), მე-16—17 ს. ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„...მიუწუდომელად. რომელსა ევედრე, ყოველად წმიდაო, ცხ̃ორებად სულთა ჩ̃ნთად თ̃ს...“ 1 r—4 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი რომ ჟამნ-გულანის ტექსტის ფრაგმენტს წარმოადგენს, ამას ძოწმობს რვეულებრივი სათვალავი „კბ“—1 r-ს თავში.

2. „ჟამნ-გულანის“ ნაწყვეტი საცისკრო სახარებათა და „გამოვალინეთა“ ტექსტებს შეიცავს.

3. ტექსტს დართული აქვს სინგურითა და შავი მელნით ნაწერი ცხრილი: „ესე ქრონიკონი სრული, სახითა იერუსალემისთა, უცდომელად დაწერილი, სახელითა უფლისაჲთა“ (1313—1586 წწ); რამდენიმე მინაწერით).

მინაწერები: 7 r—8 r.

1357

მარხვანი (ფრაგმენტი) [მე-14—15 ს.]

2 ფ.; 28×21; ეტრატი; უყდო; მსხვილი ნუსხურით, (სათაურები სინგურით); [მე-14—15 ს.] ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„...ხოლო თანაწარმავალნი იგი ჰგმობდეს მას ....და იტყოდეს: რომელი დაჰჴსნი ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღ̃შენებად, ივსენ თავი შენი; უკ̃თუ ძე ხარ ღ̃ისაჲ, გარდამოჴედინ ჯ̃ვრით. ეგრეთვე მღდელთ-მოძღ̃ვნი იგი ეშურებდეს მწიგნობართა მათ [თანა] და იტყოდეს...“ 1 r—2 v.

წყდება: „სიღრმე სიბრძნისა. აღსთქუამ არა ქმნად სჳმონ-პეტრე მისსა, რომელ მსწრაფლ...“.

შენიშვნა: ტექსტი „მარხვათა და ხატიკთა“ საკითხავებს წარმოადგენს. 2 r-ზე მოთავსებულია სინგურით ნაწერი სათაური: „დიდსა პარასკევსა ხტჳდნი სა̃მ ფსნ̃ნი“.

1358

ხრონოგრაფი (ფრაგმენტი) [მე-18—19 ს.]

5 ფ.; 30,5×20; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული [მე-18—19 ს.]; [არჩილ II და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ სოლოღაშვილის თარგმანი]. ჩამოტანილია დავით-გარეჯის მონასტრიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წ.

„ხრონოღრაფი.—სათნო უჩნდა სიბრძნით შემოქმედსა მას ღ~თსა და უფალსა ჩუენსა, რათა შეჰქმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა და აურაცხელითა სახიერებითა თჳსითა...“ 1 r—5 v.

წყება: „გარნა ვინათგან ბრძენი იყო იგი, ა~დ წარეტაცა გონება და სიბრძნე იგი მისი დიდებულებისა და ღმერთ-ყოფისა მისთჳს, რომელიცა აღუთქუა ეშმაკმან მას“.

1359

ხერხეულიძე ომან-მდივანი. ცხოვრება საქართველოს მეფის ირაკლისა
[1848 წ.]

16 ფ.; 21,8×17,2; ქაღალდი; ქაღალდის ჯანი; მხედრული, (ჯანზე—სომთავრული); 1848 წ. დაუწერელი ფურცლები: 15, 16. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„შემოკლებული ისტორია მოქმედებათათვის საქართველოს მეფის ირაკლი ბ-სათა.—წელსა ჩ~ღკბ-ს დაჯდა ყაენად ძე შაჰსულთან ჰუსეინისა შაჰთამაზ. და ამჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის ძე და კახეთში იჯდა მეფედ კოსტანტინე ირაკლის ძე, რომელსაცა ეწოდა სახელად მახმად-ყულითხან, თათრობის გამო. გარნა ეს ორნი მეფენი იყუნენ სიყმარულსა და ერთობასა ზედა ურთიერთისასა...“ 1r—14 v.

შენიშვნა: 1. ომან მდივანის ხერხეულიძის „შემოკლებული ისტორია“ მისდევს „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილში ნოთაისებულ ტექსტს (შდრ. ქართლის ცხოვრება. ნაწილი მეორე. გ-ლი ჩუბინოვისაგან. სანკტპეტერბურგს. 1854 წ. გვ. 475—500).

2. თავფურცელზე: „ცხოვრება ანუ სამხედრო მოქმედებანი საქართველოს მეფის ირაკლისა.“

3. ხელნაწერის ტექსტის ბოლოში, ნაბეჭდი ტექსტის მასალის დამატებით, არის შემდეგი ქრონოლოგიური ცნობები: „აღნიშნული ყაჯარი აღა-მამად-ხან მოვიდა თბილისს და მოაოხრა იგი ია სეკდენბერს, ჩღვე-ს წელსა. ხოლო ქორონაკონსა უპგ.“

„მეფე ირაკლი ბ გარდაიცვალა ქ. თელავს, სამეფოს პალატში, ია იანვარს ჩღჳმ-ს, საიდამაც წაიღეს და დაფლეს მცხეთას და მის წილ გამეფდა ძე მისი გიორგი ოჱ, მასვე ჟამსა. ხოლო საქართველო შევიდა მფარველობასა ჭტ'შე რუსეთის ჴელმწიფე იმპერატორისასა ჩყა წელსა, რომელისა შემდგომ არის ვიდრე ჩყმჳ-ს წლამდი მზ წელი“.

ანდერძი: „ნამდვილისა გადმოწერილ იქნა ჩყმჳ-ს წელსა, ოკტომბრის იბ-ს დღესა. თ. ნ. წ.“

მინაწერები: 1 v, 4 v, 6 r, 9 v, 12 v, 13 v, 14 v.

1360

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი [1879 წ.]

43 ფ.; 22×17,5; ქაღალდი; უყდრო; დაშლილი; მხედრული; 1879 წ. (1 r, 42 r); გადამწერი იოანე ოქროპირის ძე გოგსაძე (1 r, 42 r); დაუწერელი ფურცლები: 1 v, 42 v, 43. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„მყოფისა, უმყოფისა, არსისა, დაუარსისა დამაარსისა მქები, არა თუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მონებელი, უდებად მჭონე ვხოვნელ [!] ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი დღე მრეველნი ქელთა მარგალიტთა შინა და ჰპოვებენ ვძივეთა [!] რათამე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთადებენ საუნჯედ პატიოსანთა შემჰკობით, უპატიოსნედ მარგალიტთა ყოფენ...“ 5 r—36 v.

შენიშვნა: ტექსტს დართული აქვს: „სამიებელი [მუხლობრივი] წიგნისა ამის სასმართლოსა.“ 37 r—41 v.

ანდერძი (გადამწერისა): „წიგნი ესე სასამართლოსა, კუთვნილ არს სოფლის სკანდის მთავარ-ანგელოსის ეკლესიის პრიტენტის ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ძ ი ს გ ო გ ს ა ძ ი ს მიერ [!] და თითონვე მის მიერ გადმოწერილი და გთხოვთ, აღიმკითხველნო და გამშინჯველნო, უკანონოთ ნუ დაბღალავდ[!] და კრულ იქ ღ ი ს გან, ვინც ამაშიდ უკანონოდ ჩაწეროს და ჩაურთოს რაგმე. ჯ. ი. ო. გოგსაძე. 1879 წ. 13 Августо.“ 1 r. (მსგავსი ანდერძები იხ. აგრეთვე II და III—36 v, 42 r.).

1361

კრებული [მე-19 ს.]

26 ფ.; 21×17; ქაღალდი (ლურჯი); მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით, ზოგ შემთხვევაში ასომთავრული); მე-19 ს. დაწერილია—19 ს; ბოლოკაზმულობა 20 r. შემოწირულია ეკ. თიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

1. [ანტონ I კათალიკოსი. მოკლე ისტორია საქართველოსი.] „საქართუ-ლოსა მეფეთა შთამომაელობათთჳს. სიტყუა პირველი.—პირველად ვიდრემე მამა ქართლისა და ყოველთა მათ ქართუ-ლთა, ესე იგი: ქართუ-ლთა, იმერთა, კახთა, და ჯავახთა, რომელთაცა ყოველთა მათ ეწოდების ქართველი, იყო ქართლ-ოს. ხოლო სწერენ წერილ-მწერალნი სომეხთა და ქართველთანი...“ 1 r—19 r.

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: „მისს მაღალ მსტელლობას ლერანალ მაიორს ივან ლეონის, ყიზლარის კომენდატს, ფრ-უზდროჭს. მე, უღირსი ა ნ ტ ო ნ ი, კ ა თ ო-ლ ი კ ო ს ი სრულიად საქართველოსა, მოვახსენებ მათგან ბრძანებულისაებრ თხოვისა, რომელიც დადაოთ მოავალ განსაცდელ შემთხუ-ისაგან დავიწყებით სახეონი მეფეთა საქართუ-ლოისათ-ნი, თვითო-თვითოდ არღარა მახსოვან, მაგრა სახელოვანთა მეფეთა სახეონი, ანუ გარდაცუალებანი მეფეთად გუტართანი და ანუ განყოფანი ითა-საქთანი სამ სამეფოდ[!], ესენი არიან, რომელნიცა ძუელთა მატიანეთა საქართუ-ლოსათა წარმი-კითხვენ“. 1 r.

2. ი-ისტორია“ დაყოფილია 16 „სიტყუად.“

2. „მე. უმცირესი ვინმე, ძე ალექსისა და თელავის სემენარიის რ ე კ ტ ო რ ი დ ა ვ ი თ, მოვახსენებ, მებრ თხოვისა მათისა და რომელ-ამე საქართველოსა მეზობელთა მჳარეთა ამის უკუე წერილითა აღუს-ერ თქუ-ნსა ღეორღაფიურებრ, რომელ არს ინსტრუკცი [!]. აღწერა ახალციხისა.—ახალ ციხისა ქუ-ყანა, რომელიცა არის ქართლისა ქუ-ყანისა ნაწილი ე-თი, რომელიცა უჭირავს ახლა ხვანთქარსა ძალითა და არიან გამაჰხმადიანებულნი და ადგილ მცირენი ქრისტიანენიცა...“ 20 r—26 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ტექსტი შეიცავს აღწერას: ახალციხის, ყარსის, ბაიაზეთის, ერევნის განჯის, ხამსის, ყუბის, კუმუხის შაქის, ალი სულტანის, „პარელთ და იმ ძირობისა,“ ხუნძახის, დიდო-ქრისტესა, ღლიღვისა, ძურძუკის, თუშ-ფშავის, ქევსურის, ქვეის და აღწერას „ჭირიმპანის“ საქმეებისას.

1362

კრებული [მე-19 ს.]

98 ფ.; 20,8×16; ქაღალდი (ლურჯჯა); მუყაოს ყდა; პირველი ფურცელი დაზიანებულია (ერთი ქვედა სტრიქონი r-v-ზე მოხეულია); [მე-19 ს.] (ქვირნიშანი 1811, 9, 13 და სხვ. ფფ); გადამწერი: გრიგოლ ქიტოშვილი (75 v, 76 r). შემოწირულია ეკვთიმე თაყაიშვილისაგან 1917წ.

1. „[ჩარ-დარეშიანი] კოსტანტინისპოლის ჴელმწიფ[ის] ანბავი. უშვილობისათჳს როგორ შეწუხებული იყო.—იყო ხემწიფე კოსტანტინეპოლის ქვეყანასა მორჩმული, გამდიდრებული, ყოველს ქვეყანას სახელ-განთქმული. არა იყო გულსა მისსა შეჯერება. ლხინობდის და ასპარეზობდის, გასცემდის, შეექცეოდის...“ 1 r—59 v.

ანდერძი (გადამწერისა): „ამის ასე დაწერისათჳს ნუ მწყევთ! აჯალი მოსწავლე ვიყავ.“ 59 v (ბოლო სტრიქონებში).

2. „არაკი.—ერთს ქრისტიანს კაცს ერთის თათრის თეთრი ემართა, ამუშავებდა. გამოვიდა დრო, ეს თეთრი შეჭამა ქრისტიანმა. მოვიდა ის თათარი და თხოვნა დაუწყო. მერმე ქრისტიანმა ასე უთხრა: მოგცემო, თუ შენი თეთრი მოგეც ხომ ის არის და თუ არა ხორცს მოვი...“ 59 v.

შენიშვნა: ტექსტი გადმოწერილია მთლიანად.

3. [ომაინიანი]. ნაწყვეტი.—„...მოითმინოს. თუ გულის მდომა რამე შეგსლია, ღ[მ]თისაგან მოიმეღე ვარ, მისთანავე ვეღირებით მსწრაფლ აღგისრულო და თუ სამკურნალო რამე გჭირს, მკურნალთა მოვასხავ და მეც შენთან მოვალ. რა ომაინ ხემწიფის მამის ბრძანება მოისმინა, ზე ადგა და იგი თავადნი დიდის პატივით დაიწვიენა და გვერდს დაისხა...“ 60 r—66 r.

წ ყ დ ე ბ ა: „...სამასი უდიდესი ინდოელნი თავადნი თან გაატანა და ესრეთ გამარჯვებულნი და გახარებულნი თავის ქვეყანას გაუშვა...“ 66 r.

შენიშვნა: შდრ. „ომაინიანი.“ 1937 წ. „აჯა სარიდან ხელმწიფე ერთის დღის სავალს დადგა და თავის შვილთან ორი დიდებული თავადი გაგზავნა მისის ამბის საცნობელად“ (გვ. 23—33).

4. [ქილილა და დამანა] ნაწყვეტი—„...არაკი ერთი კაკაბმან თქვა: ერთ კაცს მოსამართლობას აძლევდა და ის კაცი ტიროდა. ერთმან კაცმან ნახა და თქვა: სიხარულს რა ტირილი ჰართებსო? ახლა უნდა გაიხაროს და იმან უთხრა: ჩემის წყმენდის ჟამს შევესწარო, რა გამახარებსო...“

წ ყ დ ე ბ ა: „...კაის ქმრის სახლში ავის დიაცის ნახვა მისთვის ჯოჯოხეთია. კითხა: დიაცი. [რამდენს] წლისა უნდა შეირთოს კაცმან? მან უთხრა: ყმაწვილი უნდა იყოს, თურფა [!] რომ ქმარმან (sic) მისთან შეკეცვით იყოს...“ 94 v—98 r, 67 r—94 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი არეულად არის დაწერილი: იწყება 94 v—98 r-მდე, გრძელდება 67 r—94 r-მდე. (შდრ. „ქილილა და დამანა,“ სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. 1886 წ. გვ. 299—376).

2. ჩვენი ხელნაწერის „ქილილა და დამანას“ ტექსტი შესამჩნევად განსხვავდება 1886 წ. გამოქვეყნებული ნაბეჭდი ტექსტისაგან. პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, წინამდებარე ტექსტი ვახტანგის თარგმანის წუნა—ჯ რედაქციის ნაწყვეტს წარმოადგენს.

5. „ეჰა, თქვენ, გონებისა ჩემისაგან მწყივე და მარად მიურევებლად საგონებელნო და ჩემის თვალის სინათლის მამატებელნო...“ 98 r-v.

შენიშვნა: ტექსტი წერილის ნაწყვეტს წარმოადგენს.

მინაწერები: „მეფის ირაკლის ქორონიკონი. ქორონიკონს **ტოზ** დედოფალი ელენე[ს] ძენი კოსტანტინე კათოლიკოზი და სამი ძე: იოანე, ვახტან[გ] მეფე რომ ისპანს წაბძანდა მაისის ა...“ 66 r-v.

წ ყ დ ე ბ ა: „...თაბორს დიდი ზარბაზანი ესროლეს და მერმე მოჭალაქებმა ერიში მიიტანეს და თაბორი დაიჭირეს. **იდ** ციხის თათარი მოკლეს და ქქვსი აბდულაბეგის კაცი მოკლეს და ორი თათარი და ერთი...“ 66 v.

მინაწერები: აგრეთვე 75 v, 76 r: „ეტლოშვილო, კარგა დ-წერე ეს შენი წიგნი“ „გრიგოლ ქიტოშვილი, ზაქარიას ნაცვლის-ძე.“

1363

ორბელიანი სულხან-საბა. სიბრძნე-სიცრუის წიგნი [მე-18—19 ს.]

68 ფ.; 20,3×15,6; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; (საყურადღებო ადგილები სინგურითი); თავ-ბოლონაკლული; [მე-18—19 ს.] (ბოლო ფურცლების 65—68 ჰვირნიშანი: 1826). შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„...უბრძანა მეფემან: რასათჳს ძნიად გიჩნს ყოფა ჩემთანა?...“ 1 r—64 v.

წ ყ დ ე ბ ა: „...მან ვაჭარმან ეს ყველა უთხრა. თქვა: მამის ბრძანებას ვერ გარდავჴდებიო და ესოდენი ვის ექნება ეს ერთის რიგის ფასით იყიდოსო?— მან ბურსელმა...“

შენიშვნა: 1. ტექსტს აკლია: ა. თავში—დასაწყისიდან „ბერისა და ყრმის არაკის“ მეთორმეტე სტროფამდე (1938 წ. ნაბეჭდი გამოცემის 3—19 გვ.) ბ. ბოლოში—„ბურსელი დიდ-ვაჭარის და მტრედის“ არაკის მე-14-ე სტროფიდან ბოლომდის. (შდრ. იმავე გამოცემის 164—170 გვ.)

2. 17 r—18 r ქაღალდი და ხელი სხვაა.

3. „სიბრძნე სიცრუის“ ტექსტს ბოლოში დართული აქვს თეიმურაზ I ანბანთ-ქებანი: „აღახვენ ჩემნი ბაგენი. ღმერთო, სანებით ქებულო...“-ს ტექსტი, რომლის ზოგიერთი სტროფი ვარიანტულად განსხვავდება 1934 წლის გამოცემის ამავე ტექსტისაგან (შდრ. 149—154 გვ.).

მინაწერი: 46 r. „წიგნი მიხეილ ნინოწმიდლისა არის.“

1364

ზაქარია გაბაონი. თხოვაჲ ღ-ისა მიმართ [მე-19 ს.]

77 ფ.; 10,5×8; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ყდა (დახიანებული); მხედრული; (სათაურები სინგურითი); [მე-19 ს.] (ჰვირნიშანი 3, 14, 17 და სხვ. ფფ. 1809); გადამწერი: თავადი დიმიტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალოვი (მეორე ყდის შიგნით); დაუწერელი ფურცლები— II, 65, 73, 74. შემოწირულია ექვთიმე თაყაიშვილისაგან 1917 წ.

„თხოვაჲ ღ~რსა მიმართ. გლოვა არს მჭმუნვარება სულისა ლმობასა შინა გულისა მოწყლყობისასა (sic) მარადის სწყურველისაზედ დადგრომით მეძიებელი. განზრახვა ა.—ნუ თავმოყვარეობით და ხორცის ნებიერობით გასინჯვაჲ და განსჩხრეკ თავსა შენსა...“ 1 r—63 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შედგება 6 განზრახვისაგან: ა) მაძიებელის (5), ბ) სიკვდილის—(6), გ) ჯვარცმის—(6), დ) სასუფევლის (7), ე) ჯოჯოხეთის (8), ვ) მეორეთმოსულის (5).

2. ტექსტს დართული აქვს: ა. „სახარება მათესი“ (28, 16—20) „სახარება მარკოზისა“ (3, 13—19), „სახარება ლუკასი“ (10,22) 64 r—65 v.) ბ. „ამასვე დღეს ცხოვრება და სინანული ნეტარის ტასიას მეგვიპტელისა, რომელ იძულებიდა მძაგე და იქმნა ჴარ რჩეულ“ (66 r—72 v).

ანდერძი: ა. (ავტორისას): „ზაქარიამან, ყოველად ღირსმან, სჭესით ვიდრემე გაბაოსმან, ხუცეს-მოძღვარმან უფერადოთა ლეჭესა მიერ მდაბიოთა ენათა აღსწერე ქვეს ნაწილედად თხოვაჲ ესე ღ~რსა მიმართ (1 r ტექსტის წინ).

ბ. (გადამწერისა): „ჩყმ წელსა, თებერვლის ა დღესა, უმდაბლესი ძე თქვენი, თავადი დიმიტრი მაღალოვი, კრძალვით ვიკადნიერებ კნინსა ნაშრომსა ჩემსა შეწირვად თქუნდა, დედაო კნინაე თეიმთისტე, რომელიცა დარწმუნებულ ვარ კეთილსულობასა თქვენსა ზედა, რომელ არა დამიტევებთ მოუბსენებელად მზურვალესა ღოცვასა შინა თქვენსა“ (მეორე ყდის შიგნით).

1365

კრებული. [1806 წ.]

58 ფ.; 15,2×10,2; ქაღალდი (თეთრი და ლურჯი); ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული (სათაურები სინგურით, ასომთავრული); 1806 წ. (58 v); დაუწერელი ფურცლები: 17, 18. შემოწირულია კორნელი კეკელიძისაგან 1917 წ.

1. „განგება ეკკლესიისათჳს ოდეს იკურთხების ანუ ოდეს არა იკურთხების. ჯერ არს ცნობა ჴამისი.—ოდესმე იქმნების კურთხევა ეკკლესიისა დღეთა შინა კვირიაკისათა და ოდესმე არა იქმნების. რაჟამს დაემთხჳოს დღესასწაული წ~ისა სიმეონისი დღესა კვირიაკესა...“ 1 r—12 v.

2. „ კურთხევა ახლადშექმნილისა ბარძიმ-ფეშხუმისა.—იტყჳს მღუდელთმთავარი: „კურთხეულ-არს ღმერთი ჩ~ნი ყ~დეე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ.“ იწყებს დიაკონი „მშვიდობით უფლისა მიმართ ვ[ი]ლოცოთ. ზეგარდამომშვიდობისა, წ~ისა ამის ეკკლესიისათჳს, უწმიდესისა და უნეტარესისა პატრიარხისა ჩვენისა...“ 13 r—16 v.

3. „[ღსსარება კეთილთა საქმეთა, წინააღმდგომთა ცოდვისათა]. ნაწილი I. სარწმუნოების ნაყოფთა კეთილთა საქმეთა წინააღმდგომთა ცოდვათა აღსარება.—წინა-აღდგომა უფ~მარიტისა კეთილ-მსახურისა აღმოსავლისა ეკკლესიისა სარწმუნოებისა, რომელითაცა გუარითა იჭჳ ზემო-თქმულისა მის სარწმუნოებისა მიმართ...“ 19 r—32 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი შედგება 7 ნაწილისაგან.

2. გადმოთარგმნილი არის ბერძნულიდან **იოანე ქსიჶილინის**—პატრუსშვილის მიერ 1785 წელს, იოანე ოსცის ძეს მონაწილეობით (იხ. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, 363 გვ. 1941).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „ქორწინებისა თავთათჳს.—მატთესი. ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღულენ ხარისხად და ჰშთამოვლენ, ეგრეთუ არს ნათესაობაჲცა ხარისხად...“ 35r—58 v (იხ. კ. კეკელიძე, I, გვ. 363—4)

შენიშვნა: 1. ტექსტს წინ უძღვის: ა) მიძღვნა „უნტარესსა და უწმინდესსა პატრიარხსა ყოველისა საქართველოჲსასა მეფის ძეს ანტონის, ჩლენსა უწმიდესისა სინოდისასა, უმონებრესი მოხსენება:

უწმიდესო მეუფეო!

1. ზე აღმაველობა აღისა მასწავებდინ
და მიმართება კენტროჲსადმი ნივთთა
შემომიკრებდინ კმათა რაჲთმე მიზეზთა
ძლუნის-მრთმელობისა წინამდებარისათა,
რომლისა კადრი წარმოებს სურვილისაგან.

2. ვისწავებდით ჩნ ჰსჯულისაგან, რათამცა
ყოველი პირჳშო შევსწიროთ უფლისადმი.
შესრულმან საბლსა გულისა ჩემისასა
ვერა რა ვჰპოვე დირსი მოძღუანებისა,
მხოლოდ ოდენღა წიგნი წინამდებარე,

3. რომლისათვისცა მიველე ბრძანებაჲ
უწმიდესის მეუფებისგან თჳნის
და მინდობილმან თჳტჳნისავე კურთხევის,
გარდამოვიღე ბერძულითი ქართულადრე,
თანა-შრომითა ჭტუმო ჰხსენებულისათ.

4. რომელსა შინა არნს ჰხსენებულ სახენი
და განყოფანი ნათესაობათანი
ხუთად რიცხჳსადად და დანაკჳთებულცა
ადრჱ საგულ-ხმოდ, კნინღა არა ბრძენთაცა,
რომელ არიან მოჳსენებულნი ესე:

5. ნათესაობა ჳ-ა ნათესავი
ხუთთა რათამე რტოთ განირთხამს სახეებრ:
პირველ—სისხლითსა, მეორედ—მძახლობითსა,
ხოლო მესამედ—სამ ნათესაობითსა,
რომელისა შორის გერობითიცა ნახსენ.

6. მეოთხედ—შჳლად სახელ-დებულებითსა
და მეხუთედრე—ნათელ ღებულებითსა,
რომელთა შორის აღმოიჩინებიან
რავდენთა შორის თავთა ჯერ-არს შეუღლება
და რაოდენთა შ-ა დაიყენების.

7. ამას, ვითა პირმშოსა რასმე ნაყოფს
და დასაბამსა ჩუენგან მსახურებისა,
შენ ძლით და შენგან მდიდრად განკაზმილისა
სძლისა შენისა, ქართჳლთ ეკლესიისას
შევსწირავთ შენდა, ვითა მეუფისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. და მოგიძღვანებთ თჳთ სიხარულევანსა
და განათლებულსა შენსა დღესასწაულსა
და შეერდომილნი მგარტულობათა შენთა
ეჭსწადნოჲთ მარად მსახურებად შენდამი.
უგლახაკესი მონანი ქტს-ჲ-წერილნი:

უღირსი ზუცესი
იოანე ოსეს ძე.

ბერძენი იოანე
მიხაილი[ს] ძე პაპუშის
შვილი, ქსიფილონი.

ოქტომბერსა თთჳსა, დღესა 17, წელსა 1785. ტფილისს. 33 r—34 v.

ბ) ანდერძი (მთარგმნელთა):

ითარგმნა ესე წიგნი წინა-მდებარ ე
ოდენ ბერძულით ნათესავით ბერძნისგა ნ
ამასთანავე შრომითა და თან-ღუწით ა
ნათხზად ქართულებრ ოსეს ძის მღუდლისგან-ზოლ ო
ერთნი კიდურთა შეგასწორნ სახელ ი.

(აკრესტიხური ანდერძის ბოლოასოები იკითხება ლექსის ორივე კიდურზე „იოანე“)

მთარგმნელთა ანდერძის ტექსტის ქვემ მოთავსებულია ორსტრიქონიანი კრიპტოგრამა (ციფრობრივი).

2. ტექსტს დართული აქვს ა) მაგალითნი „ქორწინებისანი,“ სათაურით: „ჰა, მაგალითნიცა ქორწინებისანი. რომელნიცა დასხნა უბრძნესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ხარტოფილაქსმან (ესე იგი წიგნთა მცუსლმან) უწმიდესისა კ'ს დიდისა ეკლესიისა კოსტანტინუპოლისასმან, იერო-დიაკონთა შორის უფალმან, მანეულ ქსანთოს.“ 50 r—58 v.

ბ) ანდერძი (გადამწერის): „განსრულდა. დიდება ღ'ა. იყავ სადიდებელად შენდა, სიტყჳაო მამისაო, უკუნითი უკუნისამდე ამინ: აღესწერე მოპარვით, რომელნიცა ოცდა შვიდ მეტს საათს სრულჰყავ. ცთომისათჳს ნუ მყოფთ უმადლოებისა ქვემდ[ებარეთ] წელსა 1806. აპრილის ი8.“

მინაწერი: პირველი ყდის საცავი ფურცლის r, მეორე ყდის შიგნით, 58 v.

1366

იოანე ოქროპირი. მათეს სახარების თარგმანება [მე-11 ს.]

299 ფ.; 32×24; ტერატი; ტყავგადაკრული ტეიფური ხის ყდა (დაზიანებული); ნაკლულია; პირველი 5 ფურცელი არევით არის აკინძული—1 და 4 ფ. ბოლოში უნდა ყოფილიყო, 2 და 3 ფ.—მე-5 ფურცლის შემდეგ. რვეულების სათვალავის მიხედვით, ხელნაწერს თავში აკლია—7 რვეული (56 ფ.—3 ფ.-53 ფ.); ტექსტი შიგნითაც ნაკლულია: 10 [ი] რვეულს აკლია 1 ფ.; 17[ოზ]—1 ფ.; 21 [ია]—1 ფ.; 24 [ადგ] რვეულში ამოჭრილია 2 ფ.; 28 [კს] ამოჭრილია 2 ფ.; 42 [ოზ]—1 ფ.; 44 [ოდ]—1 ფ.; 45 [ოე]—1 ფ.; ნუსხური [სათაურები სინგურით]: [მე-11 ს.]. ჩამოტანილია სამთავისიდან სოლომონ ჩოლოყაშვილის მიერ 1917 წ.

[წ'დისა და ნეტარისა მამისა ჩ'ნისა ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა ჲ, კოსტანტინელ მთავარებისკოპოსისაჲ. თარგმანებაჲ სახარებისაჲ მათეს თავისაჲ]... „სწავლაჲ კ'ს: ვითარმედ—ცოდვასა შინა მყოფნი არა რაჲთ განყოფილ არიან მკუდართაგან.—ხოლო უ'კოუ ესოდენისაცა ჟამისა, რაოდენ არს დაფლვაჲ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამისაჲ, არა ჯერ არს სულიერთა და საღმრთოთა საქმეთაგან დაკლებაჲ, გულისჴმაყოთ თუ რაჲმე ყოფად არს ჩ~ნდა...“ 5 r—299 v, 1 r-v, 4 r-v.

წ ყ დ ე ბ ა: „...არა ჯერ არს შენდა ჭორწინებად კოლი ფილიპეს, ძმისა შენისაჲ.“ [ნ~ს სწავლ?].

შენიშვნა: სათაური აღდგენილია A: 89 ხელნაწერის ტექსტის მიხედვით (შდრ. აგრეთვე H: 1338).

ანდერძი: 1. „ქრისტე, შ~ე ფოკას ებისკოპოსი“ (2 r).

2. „ქრისტე, შეიწყალე მწირალი. ა~ნ“ (34 v).

3. „ქრისტე, შეიწყალე ეფთჳმე და არატი, ამის წიგნისა შ~ღწნი. ამინ“ (59 v, 286 v).

4. „ქრისტე, შეიწყალე ეფთჳმე—ეფთჳმჱ“ (93 r, 117 v, 207 v, 221 r, 255 r).

5. „ქრისტე, შეიწყალე ეფთჳმე თევდურაკეული“ (147 v).

6. „ესე სახარებისა თარგმანი დაიწერა ფოკასის საფასოითა. ქრისტე, შ~ე. „ქრისტე, შ~ე ფოკას.“ (96 v, 199 v).

7. „შეიწყალე ქრისტე, ზაქარია.“ (163 r, 278 v).

მინაწერები: 23 v, 35 v, 50 r, 176 v, 281 r, 283 v.

1367

სჴნაქსარი [მე-13—14 ს.]

227 ფ.; 29×23, 5; ეტრატი; ტყავგადაკრული ხის ყდა (შიგნით ქსოვილით შემოსილი, მეორე ყდაზე ტყავი აღარა აქვს, პირველზე—დახიანებულია); დაშლილი (1—5 ფ.ფ. დაფურცვლილია, 2, 3, 5, 216 ფფ. დახიანებული, 220—227 ფფ. მეტად დახიანებული, 97, 118, 172 ფ.ფ.—ამოები მოჭრილია); ნუსხური (სათაურები სინგურით); თავკაპიტულობა: 1 r; [მე—13 14 ს.]; გადამწერი მღვდელი ფილიპე (227 v); დამკვეთი: ჰარმუთის ასული სჳდაოს (227 v). ჩამოტანილია სამთავისიდან სოლომონ ჩოლოყაშვილის მიერ 1917 წ.

„უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგჳწყალენ ჩვენ. ამინ. სჴნაქსარი, რომელსა შინა წერილ არიან ცხორებანი და წამებანი დღითი დღედთა წმიდათანი, სულ მცირედ და შემოკრებულად, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმ~ნს.

—თვესა სეკდენბერსა ა~ქს დღე **ლ**, დღეთა ა~ქს ჟამი **იბ** და ღამეთა ჟამი **იბ**.

თვესა სეკდენბერსა **ა**.—გჳრგჳნი წელაწდისაჲ, დაწყებაჲ ინდიკტიონისაჲ და ჴსენებაჲ წმიდისა ღ~ის მშობელისაჲ...“ 1 r—185 r.

შენიშვნა: სჴნაქსარის ტექსტს დართული აქვს: 1. „კონდაკი საწელიწდონი სახინოთა წმიდათანი, რომეულნი იწყებიან სეკდემბერითგან ვიდრე ჳვლისტოსისა აღსრულებადმდე. ჴ~ბაჲ ბ. სეკტემბერსა ა. წმიდისა სჳმეონისი...“ 185 v—222 r.

2. „საკითხავი აღდგომისა თ~ს უფლისა და ჯ~ოჯოხეთისა წარმოტყუნვისა...“ 222 r—227 r.

ანდერძი (გადამწერისა): „სახელითა ღ~ისაჲთა: მამისა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა. მეოხებითა ყოველად წმიდისა დედუფლისა ჩუენისა ღ~ის მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა და **შეწევნითა** წმიდის გიორგი ლომისისაჲთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. „ღ-თის გულისათჳს ნუ მწყვეთ! წინწილი დედასა ასრე ჰქონდა და მეც ასე ვწერე. ჳბრალო ვარ, ღმერთმან უწყის, უფალნო ჩემნო.“ (459 v, აგვისტოს 29-ს იოანე ნათლისმცემელის თავისკვეთის განგების ტექსტის ბოლოს, ტექსტის ხელით).

1453

ყანჩაეთის ოთხთავი [მე-12—13 ს.]

259 ფ.; 23,5×18; ეტრატი, ტყავგადაკერული ტკივრული ხის ყდა (დაზიანებული, მოწლილი, 111 ფ. ამოვარდნილი, 120 ფ. მარჯვენა კიდის კუთხე მოხეული; ნაკლულია: აკლია მარკოზის თავის 9ბ და 16დ მუხლები—10ა v—10ს r-ს შუა და 16ე რვეულის I-ლი ფ.); ნუსხური (სათაურები სინგურით, ტექსტი ალაგ გაცხოველებულია); [მე-12—13 ს.]; მახარობელთა ფერადი პორტრეტები—7 v, 75 v, 119 v, 190 v. ჩამოტანილია ყანჩაეთის ეკლესიიდან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1916 წ.

„პ-ლი თაე. სახარებაჲ მათეს თავისაჲ. წიგნი შობისა იესუ ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი.—აბრაჰამ შეა ისაკ...“ 8 r—242 r.

შენიშვნა: 1. მათეს სახარებას წინ უძღვის: „ე ვ ს ე ბ ი კარპაონეს, საყუარელსა ძმასა, უფლისა მიერ გიკითხავ...“ 3 r—4 r.

2. ოთხთავის თვითოეულ ნაწილს წამძღვარებული აქვს თავების ნუსხა. 5 r—6 v, 74 r—75 r—116 r—118 v, 189 r-v.

3. ტექსტს დართული აქვს: „ზანდუკი სახარებისა საძიებელისაჲ საწელიწდოჲ.“ 243 r—259 r.

4. ხელნაწერის ვრცელი აწერილობა და მინაწერების ტექსტები გამოქვეყნებულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ (სასტორიო მასალანი, გვ. 61—74. წიგნაკი პირველი) იხ. აგრეთვე თ. ჟორდანია. ქრონიკები. II. გვ. 171—172.

5. მინაწერები კაბენის ეკლესიისადმი შეწირვის გუჯრებს წარმოადგენენ (იხ. ე. თაყაიშვილის ხსენებული ნაშრომები).

6. ხელნაწერი უთარიღოა; ხელის მიხედვით თ. ჟორდანია და ე. თაყაიშვილი მას მე-12—13 საუკუნით ათარიღებენ (იხ. მათი ხსენებული ნაშრომები).

7. 259 r-ზე მოთავსებული ანდერძი შემმოსავ-მომქმედებისა მე-13 ს. კლასიკური მხედრულით არის დაწერილი.

8. ხელნაწერში ჩადებულია პატარა ქაღალდის ნაჭერი 14×10—ჯ. მაცხოვრისა არის ქანდარის: ბარძიმი ვერცხლისა ერთი...“ (ნივთებისა და წიგნების ნუსხა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი (შემმოსავ-მომჭედავისა).

„ქ. ოთხ-თავი ესე წმიდაი, განმანათლებელი ადამის ტომთაი, მე, ბასილი პრ̃სმან შეემოსე და მოვჭედეცა. ლოცეაყავთ ჩემთ'ს ღ̃ისათვინ".

მიწაწერები: 1 rv, 2 r—3 r, 4 rv, 7 r, 8 v —11 v, 11 v—12 r, 73 v, 75 r, 115 v—117 r, 118 v—119 r, 188 v, 189 v—190 r, 259 rv.

1454

დავითნი [მე-12 ს.]

85 ფ.; 21,5×16,5; ეტრატი; უყდო—დაშლილი; მეტად დაზიანებული (ფფ.-ბი 1—17 ამოხრულია, მე-18 შუაზე გახეულია, 74 ნახევარი ნაწილი მოგლეჯილია და დაკარგული; ალაგ ტექსტი გადასულია და არ იკითხება); ნაკლული; ნუსხური (სათაურები სინგურით); [მე-12 ს.] ყანჩაეთის ეკლესიიდან.

„... ცანი უთხრ[ობენ დიდებასა ღუთისასა და ქმნულსა ჴელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო]..." 1 r—85 v. (შდრ. დავითნი. ტფილისი 1873. გე. 60, 18—295, 142).

წ უ ხ დ ე ბ ა: „... რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი."

მიწაწერები: 10 v, 42 r, 64 r.

1455

გაბაშვილი, ბესარიონ. თხზულებანი [1912 წ.]

311 ფ.; 22×17,6; ქაღალდი; უყდო, დაფურცელილი; მხედრული; 1912 წ. (თავფურც.); რედაქტორის ს. გორგაძის ხელით; ადგილი: ტფილისი (თავფურც.); დაუწერელია: 38, 49, 54, 58, 63, 69, 73, 77, 81, 86, 91, 95, 105, 109, 113, 116, 148, 193, 194, 212, 220, 225, 231, 236, 252, 261, 262, 267, 272, 276, 286, 296, 310 ფფ; 1—5, 7—11, 13—16, 20—21, 23—32, 34, 37, 39—40, 42—45, 47—48, 50—53, 55, 57, 59—62, 64, 66—68, 70, 72, 74, 76, 78, 80, 82—83, 85, 88—90, 92, 94, 96, 101—102, 106, 108, 110, 112, 114—115, 117, 122, 125—147, 149, 152—154, 156—160, 162—178, 183—192, 195—196, 198—211, 213—214, 216—219, 221, 223—224, 226, 228, 229—230, 232, 234—235, 238—249, 251, 254, 256, 258—263—264, 266, 268, 270, 271, 273—275—285, 289—291, 295, 297—298, 300—305, 307 ფფ.

„ბესარიონ გაბაშვილის [ბესიკის] თხზულებანი. ს. გორგაძის რედაქციით. ტფილისი. 1912. «ქართულ კაზმულ-სიტყვიერების ბიბლიოთეკა». № 1. გამოცემა «ქართულ სიტყვა-კაზმულ წერილობის საზოგადოებისა». 1—309 ფ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს თბილისში 1912 წ. ს. გორგაძის მიერ გამოცემულის „ბესიკი [ბესარიონ გაბაშვილი]"—ტექსტის დედანს.

2. 1912 წლის გამოცემის ტექსტთან შედარებით ჩვენს ხელნაწერს აკლია ნაბეჭდი ტექსტის 215—221 გვ. მასალა—„მამამან გუროს" და „შემსი, ნუ ჰყოფენ შესმასა" ლექსებს შუა (ხელნაწერის 294 r—295 r შუა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხელნაწერში გვაქვს 1912 წ. გამოცემაში არ შესულია: ა. ლექსიკონის აუხსნელ სიტყვათა (39 სიტყვა) ნუსხა (298 რ.)' ბ.„პეპინაძის წიგნიდან“ (9 ლექსის სათაური) 307 რ. გ. „ბესარიონ გაბაშვილის ლექსები და პოემები. ანბანურად.“— ხელნაწერების №№-ისა და ნაბეჭდი გამოცემების მითითებით [ბიბლიოგრაფია]. 308—309 ფფ.

1456

ნემესიოს ემესელი. ბუნებისათჳს კაცისა I—II თავი [1913—1914 წ.]

346 ფ.; 22×17,9; ქაღალდი; უყდო—დაშლილი. (ფურცლებად); მზგდრული; 1913—1914 (1 r, 2 r, 3 r); რედაქტორის ს. გორგაძის ხელით; ადგილი: ტფილისი (? r, 3 r). დარწერილია: (1 v—3 v, ყველა ფურცლის v და 344 r—346 v.

„ბუნებისა-თჳს კაცისა. თთ. I და II. ნეტარისა მამისა ჩუენისა ნემესიოს ემესელ მთავარებისკოპოსისაჲ. ბუნებისათჳს კაცისა, თავოანად თქმული. თავი I. ბუნებისათჳს კაცისა.—კაცისა სულისაგან გონიერისა და სხეულისა რჩეულად შემზადებაჲ და ესრეთ კეთილად, რომელ შეუწყნარებელ იყო სხუებრ უმჯობესად შექმნაჲ მისი...“ 72 r—180 r.

შენიშვნა: 1. ტექსტის წინ ს. გორგაძის ხელით სწერია: „ტექსტი და ვარიანტები I და II თავებისა.“ 71 r. მართლაც აქ გვაქვს: I და II თავის ტექსტი (78 r—180 r) და ვარიანტების მითითება (181 r—223 r);

2. ხელნაწერის დანარჩენი ნაწილები: „ლექსიკონი და სხვა (დამატებანი“ 235 r—343 r) ზედმიწევნით ემთხვევა ს. გორგაძის გამოცემის ნაბეჭდი ტექსტის „დამატებას“ (გვ. გვ. 177—240 „ნემესიოს ემესელი. ბუნებისათჳს კაცისა. ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ საძიებლები დაუთთო ს. რ. გორგაძემ. გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა № 17. ტფილისი. 1914“).

3. ხელნაწერის ტექსტის—ბუნებისათჳს კაცისა. I და II თავის—წინ მოთავსებული თავფურცელი (3 r) [წინასიტყვაობა] (4 r—5 r), „სარჩევი“ (6 r—9 r.), „ბეჭდვითი შეცდომანი“ (10 r.), „რედაქტორისაგან“ (11 r—70 v) იგივეა, რაც ხსენებული ნაბეჭდი გამოცემის ტექსტის წინ მოთავსებული მასალა.

1457

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექცია Arm.-ში № 31).

1458

(გადატანილია ხელნაწერთა კოლექცია Var.-Oc.-ში).

1459

კირიონ ეპისკოპოსი. წერილების კრებული [1905—6 წ.]

135 ფ.; 21×17; ქაღალდი (რეული); მეყაოს ყდა; მზგდრული; 1905—6 წ.; გადამწერი: მღვდელმონაზონი ტარასი კანდელაკი (47 v). დაწერილია: 1 r-v, 132 v, 134 r—135 v.

„1902 წელი. № 1. მამაო წმინდაო! გზაში კარგათ ვიარე. რომელ ვაგონშიც ჩავჯექ ბაქოში, იმავ ვაგონით მოველი პროსკუროვში. ბაქოში სერგომ ვახშმათ დამპატიჟა...“ 2 r—131 v.

შენიშვნა: ა. I რვეულში გვაქვს 82 წერილის პირი. ბ. ეპ. კირიონის ხსენებული წერილები მიმართულია [მღდ. იოსებ ჩიჯავაძისადმი]; გ. წერილები იძლევა მასალას კირიონის მოღვაწეობისა და ყოფაცხოვრების შესასწავლად. დ. წერილების საგანს შეადგენს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. ე. ხელნაწერში ჩადებულია კირიონის ხელით ნაწერი წერილი [მისი სტიპენდიანტის] შიო იოსავას მიმართ, 1905, 4.XI-ის თარიღით, ფოსტის ქაღალდის 1 r-v.

1460

კირიონ ეპისკოპოსი. წერილების კრებული [1906 წ.]

122 ფ.; 21,8×17; ქაღალდი (რვეული, მოყავს ყდით); მხედრული; [1906]; გადამწერი [მღვდელ-მონახონი ტარასი კანდელაკი]. დაუწერელია: 1 r—2 v; 19 v—122 v.

„№ 83 ივნისის 10, 1906 წ. მამაო წმინდაო! კრება გუშინწინ ე. ი. 8-ს შესდგა. ფარდა აიხსნა, მოქმედება მეორე- იგივენი და ეოსტროგოი...“ 3 r—19 r.

შენიშვნა: ა. II რვეულის წერილები (8 ცალი: №№ 83—90) მიმართულია [მღვდელი იოსებ ჩიჯავაძისადმი]; ბ. წერილები იძლევა მასალას კირიონის მოღვაწეობის შესასწავლად, კერძოდ, მისი პოზიციისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხში.

1461

კირიონ ეპისკოპოსი. წერილების კრებული [1906—1908 წწ.]

99 ფ.; 21,8×17; ქაღალდი (რვეული); შავი ყდა; მხედრული; [1906—1908 წწ.]; გადამწერი: [მღვდელ-მონახონი ტარასი კანდელაკი]. დაუწერელია: 1 r-v; 81 v, 84 r—99 v.

„№ 91. 1906 წ. გიორგობის 11 დ. მამაო წმინდაო!—ამ თვის 8-ს სოხუმის პოლკის დღესასწაული იყო—მთავარანგელოზობა. დარი კარგი დადგა და ხალხიც დიდძალი დაესწრო. პარაკლისის წინათ მოკლე სიტყვით მივმართე მსმენელთ...“ 2 r—81 r.

შენიშვნა: ა. მე-3 რვეულში გვაქვს 58 წერილი. ბ. № 113 (35 r—37 v) მოთავსებულია ეპიტაფიები პეტერბურგში დასაფლავებულ საქართველოს სამეფო სახლის წევრების საფლავებისა. გ. № 145-ში ჩართულია აკაკი წერეთლის ლექსი, მიძღვნილი ნ. ნ. დურნოვოსადმი:

„ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს,
და მეც რუსეთში დავეხალარავდი...“ 76 r—77 r.

დ. რვეულში ჩადებულია ცალკე ფურცელზე (20,5×12,7—ფოსტის ქაღალდზე) დაწერილი წერილი, 1907 წ. 27 მარტის თარიღით მ. ნახარისადმი [ნახარი ლეჟავა, არჩიმანდრიტი, შემდეგ კუთაისელი მიტროპოლიტი], კირიონის ხელით დაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1462

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. № 217).

1463

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. № 218).

1464

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. № 219).

1465

(გადატანილია რუსულ ხელნაწერთა კოლექციაში—Ros. № 220).

1466

ხ. რ. გორგაძე. აკაკის [წერეთლის] ბიბლიოგრაფია [1915—1916 წ.]

328 ფ.; 35,5×22; ჭაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1915—1916 წწ. (1 რ); ავტოგრაფი; ადგილი: ქ. თბილისი (1 რ). დაუწერელია: 1 v, 262 v—265 v, 324v—328 v და ყველა v-ბი.

1. „ქრონოლოგიური სია. ა. ქართულნი: 1846 წ. 1. ყმაწვილობის მაიერები: ა. ხაბაზს.—შენი გამომცხვარი პური ...“ 15 r—262 r.

შენიშვნა: 1. ბიბლიოგრაფია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: **ა.** „ქრონოლოგიური სია ა. ქართულნი.“ 15 r—240 r.

ბ. „უთარიღო დაუბეჭდავი ნაწერები (ანბანურს რიგზე).“ 221 r—253 r+258 r—262 r.

გ. „ბ. რუსული ნაწერები (ნაბეჭდნი და ავტოგრაფები).“ 254 r—258 r.

2. ბიბლიოგრაფიის ტექსტი შევსებული და შესწორებულია ავტორის (ს. გორგაძის) მიერ წითელი მელნით.

3. აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფიის ტექსტს წინ უძღვის: **ა.** თავფურცელი: „ს. რ. გორგაძე. აკაკის ბიბლიოგრაფია. გამოცემა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. თელისი. 1915—1916.“ 1 r. **ბ.** „სარჩევი.“ 2 r-v. **გ.** „წინასიტყვაობა.—წინამდებარე ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს ხელთ გვქონდა შემდეგი ხელნაწერები და ნაბეჭდი გამოცემანი...“ 3 r—14 r.

4. ბოლოში დართულია: „ანბანური საძიებელი.“ 266 r—322 r.

5. ხელნაწერში ჩაღებულია 2 ფ.—17,5×22— კ. ლორთქიფანიძის ხელით ნაწერი—განმარტებანი აკაკის ბიბლიოგრაფიის შესახებ. 323 r—324 r.

1467

წერეთელი აკაკი. თხზულებათა კრებული [მე-20 ს.]

252 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [მე-19—20 ს.] **ავტოგრაფი. დაუწერელია:** 1 r—2 r, 13 r—16 v; 17 v—21 v; 32 r—101 v; 103 v—200 v; 202 v—252 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „კრჭაობა.—თვალის სისწორე, ხელის სიმარჯვე!
აი რა უნდა კოჭის თამაშსა!...“ 2 v—3 r.

შენიშვნა: ლექსი დაწერილია 1905 წ. ოქტომბერში, თბილისის I გიმნაზიის დარბევის გამო.

2. „გამოტეხილი სიტყვა.—ყველაზე პირველ მე ქართველი ვარ,
მერე, თუ გინდა, სხვა გვარი „ისტი“... 3 v.
3. „იუბილიარის გამოთხოვება.—მშვიდობით. შრომავ და ღვაწლო
ნახევარ საუკუნისა ...“ 3 v—4 r.
4. „რჩევა მოძრაობის დროს—ღვთის მადლსა რა დროს ეს არის!
ძმა ძმაზე ლესავს ხანჯალსა...!“ 4 r-v
5. „ღენტორ აბაშიძის საფლავზე (აკროსტიხი).
—ღმერთო, მაღალო! შენ განუსვენე
ერთგულსა შენსა, ქრისტეს მიმდევარს...“ 4 v.
6. „გამოფხიზლება.—ზეციური იდეალი
გადმომქონდა ქვეყნიურში...“ 4 v.
7. „ნაწყვეტი (დაბეჭდილია).
—რა უფლება აქვს ვისმეს გაჰყიდოს
სისხლი და ძვალი მამა-პაპური...“ 5 r.
8. „სიყვარული (დაიბეჭდა).
—პოეტები ერთნაირად
აგვიწერენ სიყვარულსა...“ 5 r-v.
9. „ორი ძაღლი (დაიბეჭდა).
—იმეელი აზნაური,
ულვაშ-გაწკიპინებული...“ 5 v—6 r.
10. „თავგადასავალი.
—მურვან-ყრუ, ჩინგის ყაენი,
ლანგ-თემურ, ჯალალ-მძვინვარე—
სუყველა წამკიდებია...“ 6 v.
11. „შვილის დამკარგავ ორსულ დედას (ნიცას).
—შეგნიშნე ცრემლი ობოლი
წამწამზე გეკიდებოდა...“ 6 v.
12. „მე მას ვიცნობდი.
—მე მას ვიცნობდი სიყრმიდვანავე.
თითქმის ჩემ ხელში გამოზდილია...“ 7 r-v.
13. „ვინ არის?—გარეთ ჭრელი,
შიგნით მტრელი...“ 7 v.
14. „სიმართლე.—ყოლიფერი ტყუილია:
ერთგულება, შრომა, ღვაწლი!...“ 7 v.
15. „ჯალიხელიძის საჩივარი.
—ჩემისთანა უბედური
ვის სმენია?· ვის უნახავს?...“ 8 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. „ხარაბუზა ღენერალს.
—იარანალ-ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა...“ 8 r—9 r.
17. ,,ისტორია,—იყო პატარა ქვეყანა,
სიკეთემოუწდომელი...“ 9 r—11 v.
18. ,,ჩემი თავგადასავალი.
—სიბერეც, გამომიქედე
ფოლადად ლექსი წყობილი...“ 11 v—12 v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს, ფანჯრით, ს. გორგაძის ხელით: [ამ ლექსის დასასრული იხ. ავტორ. 7, 41].“

19. „თანამედროვე გმირი.
—დედას, სნეულს და ავადმყოფს
ერიდები, აშორებ თვალს!...“ 17 r.
20. ,,მოლეწის სიტყვა კერძო კრებაზე.
—არც მიხნავს, არც მითესია,
ნამგალი დავატრიალე...“ 22 r-v.

შენიშვნა: შდრ. № 1479, 3.

21. ,,ჩახრუხული (ორი შვილის დედა-ქერივს).
—მოწმენდილ ცაზე, ლაჟვარდოვანზე,
გამოჩნდა მთვარე, პირმომცინარე...“ 22 v—23 r.
22. ,,მოძრაობის დროს ნატერა.
—ასრულ[დ]ა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში...“ 23 r-v.
23. ,,ბულბული და ბაღი.
—ბაღნარსა აყვავებულსა
ია, ვარდით და ზამბახით...“ 24 r.

შენიშვნა: ტექსტში „ბაღნარასა.“

24. ,,წყევა.—იყოს წყეული სოფელი
და მისი სიტკბო-სიამე...“ 24 r.
25. ,,ცის მახლობლად.
—ცის მახლობლად, მიწიდან შორს,
ეიფელდის მწვერვალზედა... 24 v.
26. ,,სიმართლე.
—შიგ პირდაპირ ჯოჯოხეთში
შეგალ, თუ ის მომცემს მე ხელს!...“ 24 v.
27. ,,სატრფოს.
—ამაფრთოვანე უძრავი,
სული ჩამიდგი ცოცხალ-მკვდარს...“ 25 r.

28. ,,ძირს, ბატონო! (სიმღერა).
—ძირს, ბატონო უსამართლო!
ველარ ვიტანთ გასაჭირსო!...“ 25 r-v.
29. ,,გ. ტარსაიძის საფლავზე.
,,—შეიყვარეო მოყვასი შენი!“
ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება...“ 25 v.
30. ,,ბედნიერი მოხუცი.
—გულის სიმდიდრე, სულის სიმაღლე,
სულ ტყუილია... სიტყვის მასალა...“ 26 r.
31. ,, ჩაფიქრება.
—მეც მივდივარ, შენც ბიდიხარ.
გეთხოება, საქართველო!...“ 26 v—27 r.
32. ,,ბულბული.
—ბულბულმა, ბუჩქში მიმჯდარმა,
დაცინვით ჩაიკაკანა:...“ 27 r.
33. ,,მშვიდობით.
—მშვიდობით შრომავ და ღვაწლო
ნახევარ საუკუნისა...“ 27 r-v.

შენიშვნა: შეადარე ამავე ხელნაწერის § 3—„იუბილიარის გამოთხოვება.“

34. ,,მოძრაობის დროს.
—ღარიბ დედ-მამამ სკოლაში,
შვილი რომ მიაბარესა...“ 27 v.
34 ა. ,,ახალგაზდა მოლექსეებს.
—ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს?
ვის არ უნდა მოლექსობა?...“ 28 r.
35. ,,უცნაური შემთხვევა ნამდვილი (9 თიბათვეს).
—სუფრა არ მდგმია წინ სანოვაგით
აჭრელებული და მხიარული...“ 28 r-v.
36. ,,სახსოვარი. ეპიტაფია.
—ვიყავ და აღარა ვარ,
გავქრი სიზმარებრ ჩქარა...“ 28 v.
36. ა. ,,კომპოზიტორის ალბომში.
—სიყვარულის ნაშობია
მუზიკა და პოეზია...“ 29 r.
37. ,,ნაღველი.—ველი მაგრამ არსად არის!
აღარ უწევს ჩემსკენ გული!.- ...“ 29 r.
38. ,,საშა ბეჟანის ძის წერეთლის ეპიტაფია.
—მშობლების გულში აღმგზნები
გავხდი ცეცხლისა მწველისა:...“ 29 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. ,,კ. უმანეცის ალბომში.—
—მოხუცი და ახალგაზდა,
როცა ერთად დავრჩით მარტო...'' 29 v.

40. ,,კმარა.—კმარა! კმარა!!
გავჩუმდები თვარა...'' 29 v—30 r.

41. ,,მახლას!
—დღეს მიეხვედი, მაგრამ რაღა დროს?
სოფელი მატყუარაა...'' 30 r.

42. ,,ქრისტე აღსდგას'' დამწერს ს. ფირცხალავას.
—,,თანასწორობა, სიყვარული
და ცოდვათა მიტევება.''... 30 v.

43. ,,მამა და შვილები. (მოძრაობის დროს).
—თვალი დაუდგეს ამ ყოფას.
ძნელი ყოფილა ჭაღარა!..'' 30 v—31 r.

44. ,,ჩემი სიმღერა.
—არ ვიცი, რისთვის ეუყვარდი?
ან შემიძულა რაღადა?.. 31 r-v.

45. ,,სიტყვა თქმული ქორწილში.— ბატონებო! ძველად დიდი კაცის შვილები, დიდებული თავადები, ე. ი. ისინი, ვინც თავში უდგენ მაშინდელ საზოგადო საქმეს, ერთმანეთს ემოყვრებოდენ ხოლმე,...'' 102 r.

46. ,,იასე რომანოსის ძის ფავლენიშვილის დამარხვის დროს თქმული. ,,დღენი ცხოვრებისა მისისანი სამოცდა ათ წელ; უკეთუ ძლიერებასა შინა—ოთხმეოც'' ბრძანებს დავით წინასწარმეტყველი ადამიანის შესახებ...'' 102 v—103 r.

47. ,,იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს.—მიულოცავთ დიდებულ რუსეთს გამარჯობას!..'' 201 r-v.

48. ,,სალომე იონას ასულს მეუნარგიას.
—როცა გათხოვდე, უთხარი შენ ქმარს...'' 202 r.

შენიშვნა: საინვენტარო დავთარში H: 1467 №-ის ქვეშ ს. გორგაძის ხელით წერია: „აკაკი წერეთლის ავტოგრაფები (სულ 50 ნაწარმოების ავტოგრაფია). აკაკის ავტოგრაფები ზოგი რვეულებადაა, ზოგიც ცალკე ფურცლებზეა გადაწერილი და კონვერტებში თავმოყრილი; ყოველ რვეულსა და კონვერტს თავისი ნომერი აზის; ხოლო დაწერილებითი სია რვეულისა და კონვერტის შინაარსისა ცალკეა შედგენილი; ეს სია ჩვენმოთ მოთავსებულია № 1503-ის ქვეშ), დიდი ტანის „საკასო წიგნშია გადაწერილი, რომელსაც გარედან, ყდაზე რუსულად, ოქრო-ვარაყით აწერია: „Кассовая эксплоатации марганцевых валежей князя А. А. Церетели 1893—1894.“ [აკაკის ავტოგრაფებში ეს წიგნი აღნიშნულია პირველი ნომრით: № 1].“

1468

წერეთელი აკაკი. უბის წიგნი [1901 წ.]

254 ფ.; 15,5×9,4; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1901 წ. (I ყდის r და თავფურცელზე); ავტოგრაფი; დაწერილია: 37 r, 38 r 39 r, 40 r, 41 v, 42 r, 43 r, 44 r, 45 r, 46 v, 47 r, 48 r, 50 r—52 r, 65 v, 82 r, 91 v, 92 r, 111 v, 112 v, 113 r, 130 v, 131 r-v, 132 v, 133 r, 137 v, 188 r, 250 v, 252 r-v, 253 r-v. 254 r, დანარჩენი დაუწერელია; 13 r—36 v, 219 v, 220 v—250 r ნაბეჭდ ტექსტებს უვრავს (რუსულს).

1. ,,ზმარნა სპაღანო,
დენიქსო ერაღო...“ 41 v.
2. ,,ექსპრომტი.
— მე რომ ვნახე, იმისთანა
არ ნახულა სანახავი...“ 42 r.
3. ,,ახირებული დასტური.
—ქალო, ნეტავი ჩვენი იყოს
შენი შავი თვალებიო...“ 44 r.

შენიშვნა: ამავე ლექსის ვარიანტი მოთავსებული 43 r.

4. ,,ჩემ თანამეკალმეს.
—მეც და შენც ჩვენს სამშობლოს
ერთად ვემსახურებით...“ 45 r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი წარმოადგენს პატარა ტანის უბის წიგნს, წითელი, ტყავგადაკრული ყდით, რუსული წარწერით: „1901. Записная книга.“

2. ზემოთაღნიშნული მასალის გარდა აქ გვხვდება ყოველგვარი. ჩანაწერები 48 r, 50 r—52 r, 111 v, 130 r—131 v, 132 v, 133 r, 137 v, 250 v, 252 r—254 r და II საცავი ფურცლის r.

1469

აკაკი წერეთელი. კრებული [1911 წ.]

38 ფ.; 35×22; ქაღალდი; უყდო—დაშლილი, დაზიანებული: ყუა-შემოხრული; მხედრული; 1911 წ. (3 r); ავტოგრაფი № 3 (1 r, 3 r); ადგილი: ქუთაისი (3 r). დაუწერელია: 1 v—2 v, ყველა ფურცლის v და 26 r—38 v.

1. ,,მომაკედავის ფიქრები,
—თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აბა, მეც მზად ვარ!..“ 4 r.

2. ,,ვარანცოვი. (პოემა დიალოგებად). I თავი. ვახტანგ ორბელიანი და მისი ძმა ალექსანდრე.
—ალექსანდრე. წაველ წმინდა სიონში,
რომ წირვა მომესმინა. ...“ 5 r—25 v.

შენიშვნა: ა. ს. გორგაძის ხელით: „აკაკის ავტოგრაფი. № 3 („ვარანცოვი“)“— 1 r—2 r;

ბ. ის. კვიცარიძის ხელით: „დაწერილია 1911 წელს ს. ბახტაძისას რომ იდგა აკაკი.“ 3 r.

„ამის კორექტურა გავასწორე თვით აკაკისთან ერთათ. ის. კვიცარიძე. 1911 წ. 7.XI.“ 25 v.

1470

წერეთელი აკაკი. ომი (პოემა) [1914 წ.]

7 ფ.; 36×22,5; ქაღალდი; უყდო; დაზიანებული; მხედრული; 1914 წ. (იხ. ბიბლიოგრაფია № 1188); ავტოგრაფი № 4.

[ომი].—„,,რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიანს—განსაცდელი...“ 1 r—7 r.

1471

წერეთელი აკაკი. იგივ-არაკთა კრებული [მე-19—20 ს.]

90 ფ.; 21,4×17,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა—მოცილებული; მხედრული [მე-19—20 ს.]; ავტოგრაფი № 5 (90 v); დაუწერელია: 1 r-v; 33 r—34 v, 88 r—90 r.

1. „,მეწისქვილე.—ერთი წისქვილის სათავე.
ცოტაოდნად გაიბზარა...“ 2 r—3 r.
2. „,გლეხების საუბარი.
—გამარჯობა ივანე!—გაგიმარჯოს გოგილო!
როგორა ხარ? რასა იქ? ხომ კარგად ხარ ძმობილო?..“
3 r—4 r.
3. „,უღმრთოები.—ძველად, როცა ქვეყანაზე
ერთ-ღმერთობა არვის ჰსწამდა...“ 4 v—6 r.
4. „,შოშია.—ბარტყობისას შოშიას
დაესწავლა სიმღერა...“ 6 r—7 r.
5. „,ღარიბი მდიდარი.
—ვინც მოხმარება არ იცის,
ნეტავ რათ უნდა ქონება?..“ 7 v—10 r.
6. „,სოფლელი და მელა.
—მითხარი, მელა-კუდაო:
რათა ხარ ჭათმის პარიაო?..“ 10 v—12 v.
7. „,ცხვრები და ძაღლები.
—ერთხელ მეცხვარემ იფიქრა:
მგლები რომ შევაშინოო...“ 12 v—13 r.

8. ,,ქალბატონი და მოახლეები.
—იყო ერთი ქალბატონი
ბებერ-გამოყრუებული...'' 13 r—14 r.

9. ,,ტიტლაკანა.
—ერთი ვიღაც სოფლის ბიჭი,
გათუთხნული, ტიტლაკანა...'' 14 v—15 r.

10. ,,სავარცხელი.—პატარა, ლამაზ ბიჭუნას,
ოქროს თმა-ხუჭუჭიანსა...'' 15 v—16 v.

11. ,,მგელი და მისი ლეკვი.
—მამა-პაპის ხელობას რომ
შეაჩვიოს შვასწავლოს,
მგელმა ლეკვი გაიგზავნა
საზვერაოდ ახლო-მახლოს...'' 16 v—17 v.

12. ,,ფესვები და ფოთლები.
—ააფერადა ბუნება
თვალწვენიერმა მაისმა...'' 17 v—18 v.

13. ,,კვარტეტი,—პრანჭია მაიმუნი,
დათვი ფეხ-მოჩორთვილი,
თხა კოკინა და ვირი,
ყროყინა და ხმა წვრილი—
დამეგობრდენ. უნდოდათ...'' 19 r—20 v.

14. ,,ყვავი.—ყვავმა სთქვა: მგალობელი ვარ,
ჩემებური მაქვს ჰანგიო!..'' 21 r—22 r.

15. ,,ღლავი.—ერთ მდინარეში თევზები
სცხოვრებდენ სიამ-ტკბილობით...'' 22 v—23 v.

16. ,,მწყემსი.—სოფლის მწყემსსა გაბრიელს
ეკარგება ცხვრები ხშირად...'' 24 r-v.

17. ,,ყვავის ბახალა (ბარტყი).
—არწივი მაღლა მფრინავი,
თაგზე დაეშვა ფარასა...'' 25 r—26 r.

18. ,,სვია.—ერთ ბაღში, ღობის მახლობლად,
თავი ამოყო სვიამა...'' 26 r—27 r.

19. ,,ქვაბი და ქოთანი.—ერთხელ ქვაბი და ქოთანი
დაძმობილდენ, დამეგობრდენ...'' 27 v—28 r.

20. ,,ორი ბოჭკა.—ორი ბოჭკა მოგორავდა...'' 28 v—29 r.

21. ,,ბოჭკა.—მეზობლებში ნათხოვრობა
ჩვეულება არის ძველი...'' 29 r-v.

22. ,,კატის კუტი და შოშია.
—ერთ ოჯახში შინ გაზდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალიაში ზის შოშია...“ 30 r—31 r.

23. ,,გველი.—ერთხელ გველი გულმოკლული,
შეეევდრა შემოქმედსა...“ 31 v—32 r.

24. ,,გველი და კრავი.—
ქვას ქვეშ გველი იკლაკნოდა,
ქვეყანაზე გულ-მოსული...“ 32 v.

25. ,,პატარა მუხა.
—ერთ ტყეში პატარა მუხა
წამოიზარდა ხელ-ნელა...“ 35 r—37 v.

26. ,,ლომი.—ბატონი ლომი დაბერდა,
ტყავი დაჭკნა ძვალზედა...“ 37 v—38 v.

27. ,,ფოლადი.—უტარო და უქარქაშო
ხმალი ეგდო სალაროში...“ 39 r-v.

28. ,,კაპარჭინა (თევზია).
—ერთმა ვინმემ აუზებში
წვრილი თევზი გააჩინა:...“ 40 r-v.

29. ,,პეპელა.—ქალაღდის გველი ჰაერში
ბავშვებმა ააფრიალეს...“ 40 v—41 r.

30. ,,გედი, კალმახი და კიბო.—
გედმა, კიბომ და კალმახმა
შეკრეს პირობა მისთანა...“ 41 r—42 r.

31. ,,სამართებელი.—სასტუმროში ამხანაგთან
გავათიე ერთხელ ღამე...“ 42 r—43 r.

32. ,,შევარდენი და მატლი.
—შევარდენმა, მაღლა მფრენმა,
ხის წვეროში მატლი ნახა...“ 43 r-v.

33. „თრითინა.—ბორბლებიან გალიაში
ჩაემწყდიათ თრითინა...“ 44 r—45 r.

34. „კურდღელი ნადირობაში.
—ერთხელ დათვზე სანადიროდ
გაემგზავრენ სხვა მხეცები...“ 45 r—46 r.

35. „მგელი და პატარა თაგვი.
—ერთხელ მგელმა, საძაგელმა,
მოიტაცა სადღაც ცხვარი...“ 46 r—47 r.

36. „ლომი არჩვი და მელა.
—გამოდგომოდა ლომი არჩვს,
მოსდევდა გამწარებული,...“ 47 r—48 r.

37. „მგელი და კატა.
—ტყიდან მგელი გამოიგდეს,
არის ყეფა და კიჟინი!...“ 48 r—49 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38. „ჩენჩქერი და ვერძა.
—მაღლიდან გადმომქუხარემ
ჩენჩქერმა უთხრა ვერძასა...“ 49 v—50 r.

39. „სამი გლეხი კაცი.
—პეტერბურგში სამუშაოდ
წასულიყო სამი გლეხი...“ 50 r—51 r.

40. „ყურყუმელაები.
—იყო ძველათ ხელმწიფე
ბუნებითად ჭკვიანი...“ 51 v—55 v.

41. „ქვა და მატლი.
—ერთ ყანაში დიდი ლოდი
იყო მისთვის მიგდებული...“ 55 v—56 v.

42. „მეფუტ[კ]რე დათვი.
—ერთხელ მხეცებმა დათვი
მეფუტკრედ დაიყენეს!..“ 56 v—57 r.

43. „მგელი საძაღლეში.
—ერთი მგელი, ის კუდ-გრძელი,
ფარეხისკენ მიმავალი...“ 57 v—58 r.

44. „ღელე.—პატარა წყარო ანკარა
ღელეში მიწანწკარობ[დ]ა...“ 58 v—59 v.

45. „ალმასი და რიყის ქვა.
—ერთხელ ვაჭარმა მინდორში
იპოვნა დიდი ალმასი...“ 59 v—60 v.

46. „ღლავი და კატა.
—ხარაზი რომ მოინდომებს
ხაშაპურის გამოცხობას...“ 61 r—62 r.

47. „ორი ბავშვი.
—ერთხელ თედომ უთხრა ილოს:
კლასში მისვლას კი მოვასწრებთ...“ 62 r-v.

48. „ავაზაკი და მეურმე.
—შარა-გზაზე გამვლელების
გაძარცვა რომ გაიძრახა...“ 63 r-v.

49. „ორი ძაღლი.
—ფანჯრის პირად დაცუცქული
გოშია ყელ-მოღერებით...“ 63 v—64 v.

50. „თევზების ცეკვა.
—პირუტყვების ხელმწიფობა
ლომის არც თუ ზღაპარია...“ 64 v—66 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. „მჭადაგებელი.
—ვინც კი გვაქებს და გვადიდებს,
ჩვენც ის მოგეწონს და ის გვიყვარს...“ 66 v—67 r.
52. „შვლები.—მწყესმა შვლები შეიმწყვდია
ერთ დიდ გამოქვაბულში...“ 67 r—68 r.
53. „ბულბულები.
—მეჩიტე ბულბულს იჭერდა,
სადაც შეეყრებოდა...“ 68 r-v.
54. „ძუწუ.—მიწაში დამარხულ დიდ განძს
ეშმაკი დაეპატრონა...“ 69 r-v.
55. „თაგთავი.—თბილ ოთახში, სარკლის პირად,
ყვავილები ქოთნით იდგენ...“ 69 v—71 r.
56. „მახეში გაბმული დათვი.
—დათვი გაეება მახეში.
აღარსად ჰქონდა სახსარი...“ 71 r—72 r.
57. „კაცი და გველი.
—გველმა ურჩია ერთხელ გლეხს:
მტერობა დავივიწყოთო...“ 72 r-v.
58. „გლეხი და გველი.
—გველი მიადგა კარზე გლეხს
და უთხრა: შემიხიზნეო...“ 72 v—73 v.
59. „გველი და გლეხი.
—დაუმეგობრდა გველი გლეხს,
შინა ჰყავს ერთი ხანია...“ 73 v—74 r.
60. „ნარჩიტა და ბუძგი.
—ნარჩიტამ მორთო ჭიკჭიკი
თავისთვის მყუდრო ადგილას...“ 74 r-v.
61. „ცეცხლი და ეწერი.
—მგზავრებს ეწერში, გზის პირად,
ცეცხლი დაენთოთ ზამთარში...“ 74 v—75 v.
62. „ცხენი და მხედარი.
—ისე გაწვრთნა და გახედნა
ერთმა კაცმა ბედაური...“ 76 r-v.
63. „სოფლის ყრილობა.
—მგელს უნდოდა დამდგარიყო
ერთხელ ცხვრების მოურავად...“ 77 r-v.
64. „ღორი მუხას ქვეშ.
—მუხას ქვეშ ღორი რკოებით
გამოძღა, მართლა ღორივით...“ 77 v—78 r.
65. „ფუტკარი და ობობა (დედა-ზარდღი).
—ეჯარმა გამოიტანა
გასაყიდად დარაია...“ 78 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. „მუშა და კვიცი.
—ერთხელ მუშა ქერს სთესავდა,
ხნულში აქეთ-იქით ჰყრიდა...“ 79 r-v.

67. „გლეხი გაჭირვებაში ჩავარდნილი.
—ერთ გლეხს ქურდი შეეპარა
სახლში, ღამე, რომ ეძინა...“ 79 v—81 r.

68. „ლხინი.—შიმშილობის დროს ბატონმა ლომმა
გამართა ლხინი და წვეულება...“ 81 r—82 r.

69. „ბეღლის პატრონი და თაგვები.
—თუ კი ვერ შენახავ,
რას ვარგია შეძენა?..“ ... 82 r—83 r.

70. „დასაფლავება.
—ინდოელებს ძველ დროში
ჩვეულება ჰქონიათ ...“ 83 r—84 r.

71. „მაიმუნი.—სახნისს ეკიდა გლეხ-კაცი
და მიწას ჰხნავდა სიჩქარით...“ 84 r-v.

72. „გლეხი და ავაზაკი.
—მოინდომა დასახლება
ოჯახს მოეკიდა გლეხი...“ 85 r—86 r.

73. „ცნობის მოყვარე.—გამაჯობა შენი, ძმაო!
როგორა ხარ? სად იყავი?..“ 86 r-v.

74. „ყმაწვილი და ლანდი.
—ბავშმა ლანდის
მოინდომა დაჭერა...“ 87 r-v.

1472

წერეთელი აკაკი. ჩემი თავგადასავალი (II ნაწილიდან) [მე-19—20 ს.]

37 ფ.; 21,6×17; ქაღალდი; ყდიანი რეეულიერი; მხედრული; ავტოგრაფი № 6 (I საცავი-ფ-ის r); [მე-19—20 ს.]; დაუწერელია: 1 v, 32 r—37 v.

1. „ჩემი თავგადასავალი.—ყირიმის ომმა თვალი გამოახელია რუსეთს. პეტრე-დიდისაგან გამოკრილი სარცმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ რუსეთში...“ 1 r—31 v.

შენიშვნა: ა. 1 r და მის წინ ფერადი საცავი ფურცელი ჩაკერებულია სხვა რვეულიდან: ბ. 1 r-ზე მოთავსებული ტექსტი გადმოწერილია 2 r (განმეორებით) სათაურით „თავგადასავალი“; გ. I ნაწილის ტექსტი თავდება: „აი ამით თავდება ჩემი თავგადასავალი.“ (13 v) დ. მეორე ნაწილი იწყება: „ჩემგან ნანახი და გაგონილი.—აქ გავიხსენებ ჩვენს მოღვაწეებს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ვინცა ყოფილან და ვისთანაც ასე თუ ისე, მეც მჭონია პირადი დამოკიდებულება...“ 13 v—31 v.; ე. „ჩემგან ნანახსა და გაგონილში“ მოხსენებული არიან: ნ. ნიკოლაძე და მისი დები, ხელთუფლიშვილის ოჯახი, ჟურნ. „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე, ალ. ორბელიანი, ეკ. თიმოთე ხელაძე, ლავრენტი არდაზიანი, ანტონ ფურცელაძე (კერელი ბეჭა); გიორგი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი მესხი, ალექსანდრე ჭყონდიდელი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი. იხსენებიან აგრეთვე XIX ს. სხვა მწერალ-მოღვაწენი. ვ. ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ აქ სრულად არ არის წარმოდგენილი: მას აკლია 1925 წ. გამოკვეთილი ტექსტის მესამე ნაწილი.“—დამატებ.ნი.“ (შდრ. აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები. ტომი I. ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით. 1925. ტფილისი. გვ. 97—112).

1473

წერეთელი აკაკი. ლექსთა კრებული [მე-19—20 ს.]

68 ფ.; 19,5×14,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; [მე-19—20 ს.] ავტოგრაფი № 7, I საცავი ფ-ის ქ. დაუწერელია: 41 v—68 v.

1. „ზარაზეა წაწერილი.
—ხმა ცრური, ენა ეკლესიისა,
ზარა ესე, სამკაული რამ მცირე,
ნიშნად ძმობის იმერთა და ამერთა,
ვითა წვლილი, უფალო, შეიწირე!
შემწირველი თ. კ. მუხრან-ბატონი.“ 1 r.

2. „ფრაკი (ექსპრომტი სცენიდან. ჰკითხეს აკაკის „რატომ ფრაკი არ გაცვიაო?“).—ბატონო, ჩემი ფრაკი
ბარამოეს აქეს გირაოდ...“ 1 r-v.

3. „ჩემი სიმღერა.
—ტიალმა წუთის სოფელმა
ნაღველი დამალევა...“ 1 v—2 r.

4. „დ. ბაგრატიონის ხმალ[ზ]ე წაწერილი.
—სახარება გვირგვინად და
ტახტად „ვეფხის-ტყაოსანი“... 2 v.

5. „მოკანანახე (სუფლიორი).
—ეს სოფელი თეატრია!
ხალხს ვადარებ აქტიორებს...“ 2 v—3 r.

6. “N-ის გულის პასუხი.
—გადამემტერა სოფელი გაუტანელი და ყბედი...“ 3 r-v.

7. „მისივე N...ს.
—გული, ქვა-გული და სალი,
ამენთო როგორც აბედი!..“ 3 v—4 r.

8. „ყვავმა დასძახა ყორანსა (ნათარგმნი [პუშკინით]).—
ყვავმა დასძახა ყორანსა:
„საღილს სადა ვსჭამთ დღესაო...“ 4 r-v.

9. „ხალხი ცხვარია.
—ხალხი ცხვარია საკრეჭი
და ძაღლი— მამულის შვილი...“ 4 v—5 r.

10. „ენა.—გესლ[ნაღველიანი ენა
დადის და დატანტალობს...“ 5 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. „სიზმარი (სასიმღერო კუპლეტები).
—თუ არ გწყალობს ცხადად ბედი,
უნდა დასწვე და იძინო...“ 6 r-v.

12. „ქვეყნის ხმა.
—ერთმა ცხვარმა დაიბღავლა.
სხვებიც ჰკივენ, მისცეს ბანი...“ 7 r.

13. „პასუხად—მეგობარს.
—ნუთუ ცუდი კაცი ვარ,
რომ მყვედრი და მემდური?..“ 7 r—9 r.

14. „ეპიტაფია მეგობრებისაგან.
—შენი ცხოვრების ფიალი
სოფელმა ადრე დასცალა!..“ 9 v.

15. „N.—არ უყვარვარ! რომ ეუყვარდე
განა ასე გამიმეტებს?.. 9 v—10 r.

16. „არშიყის ეპიტაფია.
—მიწის შვილმა ზეციური
სიყვარული განვიძრახე...“ 10 r-v.

17. „ალბომში.
—როცა შეგჰყურებთ მაღალ მთებს,
მიუდგომ-მიუწდომელსა...“ 10 v—11 r.

18. „ნაწყვეტი.
—თავს ნუ იწუხებ! ტყვილა ნუ სტირი,
შენ გენაცვალოს შენი გადია!..“ 11 r.

19. „ნინოს სიმღერა.
—ჩემი ვარსკვლავი მოსწყდა,
თან გაჰყვა ჩემი ბედი...“ 11 v—12 r.

20. „გამოთხოვება.
თუ შენ მატკბობდი დღემდის ბედ-მწარსა
და განმიქარვე გულისა დარდი...“ 12 r-v.

21. „ტასო ბაგრატიონის ალბომში.
—ნინოს, თამარს და ქეთევანს
არ სცოდნიათ სკვითის ენა...“ 12 v—13 r.

22. „ერთ ქალს, ვარდი რომ ერჩო თმაში, ზედ პეპელათი.
—ვარდს პეპელა დაჯდომოდა,
დაჰფეთქდა და დასუნთქავდა...“ 13 r-v.

23. „პასუხი „პარასკევია, ვერ მოგართვიზედ.“
—მაგ ქალს, რომ არ ეკადრება,
იმისთანა ზნე ჰჩვევია:..“ 13 v—14 v.

24. „პასუხი ილია მამაცაშვილს.
—თავისუფლების იმედს რად ჰკარგავ, ჩემო ილია?
რად მოგვიწამლე ჩვენი იმედი, ახალი წელი?...“ 14 v.

25. „მღვდელი და ექიმი.
—მღვდელ[მ]ა უბრძანა დიაკვანს:
„ხომ ხედავ, ღმერთი სწყრებაო!...“ 15 r-v.

26. „აღბომში გ. მაგიერ.
—სულით და გულით მოძღვნილსა,
ვითა წვლილს, ამა აღბომსა...“ 16 r.

27. „სომხებს.—სომხური „აწა-ბაწა“
ცუდი გასაგონია:...“ 16 v—17 r.

28. „პატარა მურია.—რას წუწკუნებს
ეგ პატარა მურია?...“ 17 r—18 r.

29. „საბრალო ჩვენი დრო.
—საბრალოა, ვისაც აქვს
ჭკუა, გრძნობა და გონება...“ 18 r-v.

30. „ჯალარა.—ვერ მიპატივა ჯალარამ,
გრძნობამ გულს ხელი დარიაო...“ 18 v—19 r.

31. „გამოტეხილი პასუხი.
—თვალისათვის სამოთხე ხარ,
—ჯოჯოხეთი სულისთვისა...“ 19 r-v.

32. „ქალაქის თავის არჩევანი.
—„რა“ და „ინჩუ“ წაიჩხუბენ
და ერთმანეთს შავს უყრიან...“ 19 v—20 v.

33. „რედაქტორებს.
—სხვის თვალში ბეწვს ნუ დაეძებთ,
თვითონ თქვენ თუ გაქვსთ დვირეო...“ 20 v—21 r.

34. N...ს.—ის აღარ ვარ რაც ვიყავი!..
მაშ რაღა ვარ?—გამოცანა!.. ...“ 21 r-v.

35. „ეჭსპრონტი, რომ ჩამაცივდენ „სთქვი რამეო.“
—რას ჩამაცივდით? რა გინდათ ჩემგან?
რა უნდა გითხრათ სასიამოვნო?..“ 22 r-v.

36. „ეჭსპრონტი (ხუმრობა ვანოს არჩევნების დროს).
—სხვებს ვისმეებს რაღათ ეძებ,
როცა ცოლი გყავს მომხმარედ?..“ 23 r.

37. „სადღეგრძელო. ეჭსპრონტი როსის.
—ოცნებით ვკითხე შეჭსპირის აჩრდილს:
„შენ ხარ მთავარი, მგოსანთ ფუროსი...“ 23 v.

შენიშვნა: ხელნაწერში ტექსტი აღრიცხულია 37 ა.-თი.

38. „დღეს სასიამოვნო და შემდეგშიაც სანეტარო სტუმარო ბატონო როსსი! მარტო ენის უცოდნელობას ნუ მიაწერთ, რომ მე დღეს ქართულად გაპირებთ შესხმითი-სიტყვის მოხსენებას!.. ...“ 24 r—25 v.

შენიშვნა: ტექსტი აღრიცხულია № 37 ბ.

39. „ჭეშმარიტება.
—ერთხელ მოწაფემ გასცა მოძღვარი
და გაასყიდად შეახო ხელი,..“ 26 r-v.
40. „მომაკვდავის ფიქრები.
—თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს
ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!.. ...“ 27 r-v.
41. „გამოფხიზლება.
—ზეციური იდეალი
გადამქონდა ქვეყნიურში...“ 27 v—28 r.

შენიშვნა: შდრ. H: 1467, § 6.

42. „ნაწყვეტი.—მეც გამიტაცა ოცნებამ,
რომ შევწეოდი მხარესა...“ 28 r—29 r
43. „გამოთხოვება.—უანგარო მეგობრობა
და უბიწო სიყვარული...“ 29 r-v.
44. „პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს.
—მომივიდა მე წერილი
შტემპელ შეიცარიელი...“ 30 r.
45. „ნატვრა.—როდშილდის ქონება მე,
შექსპირის გონება მე...“ 30 v.
46. „რუსის ქალის ალბომში.
—აქ შემთხვევით გადმოფრენილს
უცხო ქვეყნის მიწის შვილსა...“ 31 r-v.
47. „ოცნება.—ბულბული რომ კოკობ ვარდზე
დაჭიკჭიკობს, დაფრთქიალებს...“ 31 v—32 r.
48. „ეპიტაფია.—სიყვარულითა და სათნოებით
ამ ქვეყანაში ვიყავი სრული...“ 32 r-v.
49. „შეხვედრა.—ვეჰ, გამოცვლილა ჩემ შესახებად [!],
იმას ვერ ვხედავ, ადრე რაც იყო!..“ 32 v—33 r.
50. „ქართველის საჩიქარი.
—არ გამიდის მე ბატონთან
ერთგულება, სამსახური!..“ 33 v—34 r.
51. „ექსპრონტი.—ჩემი სცენაზე გამოსვლის,
ღმერთმანი, დრო აღარ არი!.. ...“ 34 r-v.
52. „კეკელას.—რად აღმითქვი სიყვარული,
თუ რომ ბოლოს ვერ გასტანდი?..“ 34 v—35 r.
53. „გაოცება.—მე რომ ვნახე, იმისთანა
არ ნახულა სანახაო:...“ 35 v.
54. „ახირებული დასტური.
—ვაჟი.—ქალო, ნეტავ ჩვენი იყოს
შენი შავი თვალებიო!.. ...“ 35 v—36 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55. „გამოთხოვება.
—ვისაც ვეტრფოდი, ვისაც ვმონებდი,
საკუთრად ვისთვისც მიძგერდა გული...“ 36 r—37 r.
56. „გულის გამავრება.
—ჩავდა მზე მხოლოდ ჩემთვის,
რომ კვლავ სხვისთვის ამობრწყინდეს...“ 37 r-v.
57. ცვალებადია.—ვის შერჩენია ერთი დრო?
სოფელი ცვალებადია...“ 37 v—38 v.
58. „გამოთხოვება.—მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული
მომაკედავთ ენით არ გამოითქმის!.. ...“ 38 v—39 v.
59. „სიმღერა.—კოშკი რამე ქვის ნათალი
გადმოჰყურებს მაღლით რიონს...“ 39 v—41 r.
60. „ეპიტაფია.—შური, სიხარბე და ბოროტება
ჩემგან შორს იყო, მიყვარდა ლხენა...“ 41 r.

1474

წერეთელი აკაკი. კრებული [მე-19 ს.]

114 ფ.; 21,5×18; ქაღალდი; ყდიანი რვეული; მხედრული; მე-19 ს.; ავტოგრაფი № 8 (1 r). დაუწერელია: 1 v—4 v, 13 r—49 v, 85 r—87 v, 103 v—114 r.

1. „წინასიტყვაობა.—„ჩემი თავგადასავალის“ ცალკე წიგნებად გამოცემა განვიძრახე და რადგანაც საკუთარი საფასურით არ მეხერხებოდა, ხელმოწერა გამოვცხადე...“ 6 r—8 v.

2. „საზოგადოდ.—თეატრი უმაღლესი სასკოლო სარბიელია, საიდანაც სასიამო და სასარგებლო რამ, ხელოვნურად შეზავებული, მსმენელთა გრძნობა -გონებას ჰხიბლავს და ბრძენში ატარებს...“ 9 r—11 v.

3. „ანჯელოსი ხორც-შესხმული
მოგვევლინა, ვით კომეტა...“ 12 r (ტექსტი ხაზგადასმულია).

4. „შედარებით თუარა.—კაცი ყველა ერთია—
არც დიდი, არც პატარა...“ 12 r-v.

შენიშვნა: ტექსტი ნაწილობრივ ხაზგადასმულია.

5. „სცენა I-ლი. ორ სართულიანი კრამიტით შეხურული სახლის წინ იმერული წმინდა ეზო. შუაგულში უზარმაზარი ცაცხვის ხეებია. ხის ძირას ქვა-ხოშეჭას სკამლოგინები. კიკოლა ჩამომჯდარია, ურმის გოგორასა სთლის და ნელის ხმით ურმულს დაჰღიღინებს:
„აღარრა ეხალისება მაღარა შერთულ ბერსაო,
ხელდახელ დათვის დამჭერსა, რომ ემუქროდა დევსაო...“ 50 r—81 v
+88 r—103 r.

შენიშვნა: უსათაურო ტექსტის თავში, წითელი ფანქრით, ს. გორგაძის ხელით: „პიესა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. „ბერძნებ[ს] წარმოდგენით სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. უამათოდ, ამათ დაუხმარებლად ქვეყნიური შვება-ბედნიერება შეუძლებელი იყო...“ 82 r—84 v.

შენიშვნა: 1. ალგ. ტექსტი ფანქრით ნაწერია: 6 v—8 v, 9 v, 11 r, 50 r—61 v. 2—5 r-ზე, ჯვარედინი ხაზებით წაშლილი 8 სტრიქონიანი ტექსტის ქვეშ, 4 სტრიქონი უსათაურო პიესის ნაწყვეტს უნდა წარმოადგენდეს.

მინაწერი (აკაკი წერეთლის ხელით) 114 v.

1475

წერეთელი აკაკი. კრებული [მე-20 ს.]

77 ფ.: 22×17; ქაღალდი; რვეული ყდიანი; მხედრული; მე-20 ს. (იხ. ლექსი „იუბილეი“ —1907 წ. 37 v) ავტოგრაფი № 9 (1 r). დაუწერელია: 62 v, 63 v—74 v, 75 v—77 v.

1. „ვარანცოვი. პოემა დიალოგებად.—1 თავი (ვახტანგ ორბელიანი და და მისი ძმა ალექსანდრე, პუპლიად წოდებული).
პუპლია. წაველ წმინდა სიონში,
რომ წირვა მომესმინა...“ 1 v—28 v.

შენიშვნა: შეადარე 1469, 2.

2. „გლეხის საჩივარი.—დიდება შენდა, უფალო!
რასა გეთხოვს? რა მოუცია...“ 29 r-v.

3. „გამოცანა. (ლახდი).—მიედევნა, არ მშორდება,
ყოლიფერში მევე მბაძავს...“ 29 v.

4. „მდიდარს.—შემომქმედს არ მოუცია
შენთვის ჭკუა და არც გრძნობა...“ 30 r-v.

5. ბ. I გამოცანა (ბანი. ენო).—ყრუ და მუნჯი, უცხო ვარ,
სადაც წახვალთ, წვაყევებით,
რასაც იტყვით, გიპასუხებთ
უკანასკნელი ხმებით.“ 30 v.

„ბ. 2. (კაცი)—თევზი არ ვარ, მაგრამ ვცურავ!
ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ!...“ 30 v—31 r.

6. „ძალა ალმართ[ს] ჰხ[ა]ვს.“—„დათემა სთქვა: არ მძულს ფუტკარი,
რომ მისი დღენი დავლიო...“ 31 r-v.

7. „მწერალი.—წერა მხოლოდ მაშინ უნდა,
წინ რომ გედგას იდეალი...“ 32 r-v.

8. „ტყეს.—შენ ბორკილში ხარ, ჩემო ძმობილო,
მე თავისუფლად დავიარები!..“ 33 r—34 r.

9. „გამოცანები. (მდინარე). ა).—უფეხო ვარ, მივცურცურლობ,
უენო ვარ, მიეიმღერი...“ 34 v.

შენიშვნა: სულ ოთხი გამოცანა ა, ბ, გ, დ (ასსნით).

10. „ბერიკაცის სიმღერა.—ერთხელ მეც ვიყავ!.. ჩემმა მზემ,
ნეც მაფასებდენ კაცადა!..“ 35 r-v,

11. ,,გამოცანები.—თუ რომ კარგი ქართველი ხარ,
ჩემო ძმაო პავლეო...“ 35 v.

წ უ დ ე ბ ა: „...ორი სიტყვა მისთანა სთქვი,
ერთი გამოვიდესო.“ 35 v.

12. ,,ამაოება.—ეს ქვეყანა არაფრად ღირს,
მისი ფასი ბზეა—ჩალა!..“ 36 r-v.

13. „პარიზი.—რომ შევადარე პარიზი
იმ ჩემ სამშობლო მხარესა...“ 36 v—37 r.

14. „იუბილეი.—ეს ჩემ თავზე რა მოსულა? სადა ვარ?
სიზმარია? თუ სასიზმრო ზღაპარი?..“ 37 v—38 r.

15. „ლამაზს.—იას სინაზე მოჰპარე,
ვარდს—ფეროვნება, ლამაზო!..“ 38 v.

16. „გ. ს. სულდუკიანცს.—შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრან ძმები ვართ ერთმანეთისა...“ 39 r.

17. „ზხარი.—დავბერდი, სახე დამიჭ[ნ]ა,
ჯან-ღონე გამომელია...“ 39 v.

18. „ანდერძი ჩემს შვილს.
—გულს ნუ გაიტეხ, იყავ მხნე,
რაც უნდა ჰირში ჩავარდე!..“ 40 r.

19. „ალბომში მარი ტუკას—მასილიონს.
—ნეტავ იმას,
ვინც შენ ტკბილ ხმას
სანუგეშოდ ისმენს მარად. ...“ 40 v.

20. „დოდო ნიკოლაძისა.—ნაპერწკლის მსროლელ თვალებით
ცეცხლს უჩენ სულსა და გულსა...“ 40 v.

21. „გორგ-ასლანი (ისტორიული ზღაპარი).
—ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა...“ 41 r—51 r.

22. „ქართველ ქალს.—თქმულა: „ელენეს შვენებამ
ტროადი დაარღვიაო...“ 51 v—53 r.

23. „ბულბულმა სთქვა.—ბულბულმა სთქვა: როცა ტბაში
ყიყინობენ ბაყაყები...“ 53 v—54 r.

24. „ტ....ს. უცხოეთს მყოფსა, შენ გამო
გულში რომ ცეცხლი მეკიდა...“ 54 v.

25. „საგულისხმო: ა) ქათამი რომ მოკრუხდება საბუდარს არ შორდება...“
55 r-v.

შენიშვნა: „საგულისხმო“—5 სენტენციური სხარტულასგან შედგება.

26. „1) საიდუმლო ბარათი“.—ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელითა და გვარით, მანამდი კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბედავდი ვინაობის გამოცხადებას...“ 55 v—56 r.

შენიშვნა: პოეტი იძლევა აქ თავისი 1 დაბეჭდილი ლექსისათვის მეტად საყურადღებო ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

27. „2) მოხუცის მოგონება.“—პირველ ხანებში ძალიან გამიტაცა ოცნებამ და იმას ვსწერდი, რაც არ მეგძნო...“ 56 r.

28. „ჩემს მოგვარეს.“—ერთი სტუდენტი დაბრუნდა პეტერბურგიდან და ჩამოიტანა ამბავი: ლუბერნიის წინამძღოლმა უმაღლესად მოახსენა, რომ ქართველი ყმაწვილები სტუდენტობის დროს აქ ფუჭდებიან...“ 56 v—57 v.

29. „პირუტყვების არჩევანი.“—ჯერ ახლაც რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში?!—ერთ მაშინდელ არჩევანს მეც დავესწარი!..“ 57 v—58 r.

30. „რუსეთუმე.“—ეს ვრცელი პოემა იყო. აქ ახალთაობის ტიპად ჩემი თავი (მ)ყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემიე ოჯახი...“ 58 v.

31. „ფარისეველი.“—როცა ეს ლე[illegible](ს)ი დავსწერე, რასაკვირველია, კერძოდ მხედველობაში არავინ მყოლია...“ 58 v—59 r.

შენიშვნა: §§ 26—31 შეიცავს მეტად საყურადღებო ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

32. „ნადირობა.—ერთი მეფე იყო. ორი შვილი ჰყავდა, ერთი გლახა და მეორე კარგი...“ 59 r—62 r.

33. „აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს!
მტრები გეხვევა გაოსაო.
რბილად გითხრიან სამარეს,
ტკბილად გიმღერენ ზარსაო...“ 63 r.

34. „აღბომში.—მსურდა შენი აღმა ფრენით
ამაღლება, ზე ატანა...“ 75 r.

შენიშვნა: ხელნაწერში ჩადებულია ერთ თაბახზე ორ სვეტად დაბეჭდილი ფელეტონი „ცხელ-ცხელი ამბები“ (პრაზა და ლექსი) აკაკისა, რომელსაც ცენზორის ხელით აწერია: „Запрещено по определению комитета (въ) заседании 21 июня 1873 года За секретаря цензоръ [Коваленский].“

1476

წერეთელი აკაკი. კრებული [მე-20 ს.]

43 ფ.; 22,5×17,4; ქაღალდი; რვეული (მუყაოს ყდიანი); მხედრული; [მე-20 ს.]; ავტოგრაფი № 10 (I ყდის ქ): დაუწერ[illegible]ლია: 29 r—30 v, 41 r—43 v; 1 r—15 v.—ძაფით შეკერილ ცალკე (უყდო) რვეულს წარმოადგენს.

1. „ლექციიდან: „ძველი ნაშთები“—„მე ვამბობ იმ ძველ ლიტერატურულ ნაშთებზე, რომელნიც, რაღაც უცნაურობით, გადარჩენიან ისტორიულ ქარცეცხლს და მოუწევიათ ჩვენამდი...“ 2 v—4 v.

შენიშვნა: ტექსტის წინ: „ეს მშვენიერი ედემ კვეყანა მოწამეთა სისხლით არის გაღვენთილი და თავდადებულთა ძვლებით გაპობიერებული...“ 1 r—2 r.—ხაზგასმულია (ჯვარედინად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ,,რეაქცია. (ოთხმოქმედებიანი კომედია).. მოქმედება პირველი. სცენა. 1-ლი. ბუხრიანი ოთახი სოფელში. გამოსვლა 1.
ვახუშტი (ბუხარს უზის). დათია!..“ 4 v—28 v.

შენიშვნა: პიესას წინ უძღვის მომქმედი პირების ნუსხა. 4 v.

3. ,,პოემა გორგ-ასლანი“.

,,—ვახტანგ მეფე დმერთს უყვარდა,
ცრდან ჩამოესმა რეკა...“ 31 r—40 v.

შენიშვნა: ა. ტექსტის სათაური: „პოემა გორგ-ასლანი“ მიწერილია ს. გორგაძის ხელით, ტექსტის თავში (31 r.)
ბ. პოემა თავიდან ბოლომდე ხაზგადასმულია.

1477

წერეთელი აკაკი. კრებული [მე-20 ს.]

11 ფ.; 21,8×17,8; ქაღალდი; რვეული; მხედრული; [მე-20 ს.]. ავტოგრაფი № 11 (რვეულის გარეკანზე). დაუწერელია: 2 v—4 v; 10 v—11 v.

1. ,,უცხოელი ქალი. (ლექსი პროზად).—მორთულ-მოკაზმული, ფერნაცხები და სარკის წინ კოპწიობით დაქანცული გამოდის, რომ აქეთ-იქით ქსელი გააბას და ბეცი ბუზები დაიჭიროს. ვინ არიან ეს ბუზები?—მე... შენ... ის და ყველა!..“ 1 r-2 r.

2. ,,საუბარი მამა შვილს შუა.—მამა. მოდი, შვილო, ერთმანეთს გული გავუხსნათ. თუ ჩვენი ვერა გაგიგიათ რა, თქვენი მაინც გაგეგებიეთ, რომ ჩატეხილი ხიდი აღარ იყოს ჩვენ შუა...“ 5 r—10 r.

1478

წერეთელი აკაკი. ძველი ნაშთები [1911 წ.]

8 ფ.; 22,5×17; ქაღალდი; უყდრო; დაზიანებული (ფ. 1 და 8 დაჭმუჭნილ-ამოხეულია, ხოლო დანარჩენი ძალზე გაცრეცილი); მხედრული; 1911 წ. 1 r; ავტოგრაფი № 12 (გარეკანის r, 1 r).

,,ძველი ნაშთები.—ერთმა. ვინმემ იკითხა: ადრე რომ ბედაურები იყო ჩვენში, სად არიან ახლა? რატომ აღარ სჩანანო? მეორემ უპასუხა: იმითზე ძველი კაცები შესხდენ, წაიდნენ და ჯერ აღარ ბრუნდებიანო!..“ 2 r—7 v.

შენიშვნა: 1 r-ზე აღნიშნულია ნებართვა იმ ქალაქების (ტფილისი, ქუთაისი და სამ ტრედია) ადმინისტრაციისა, სადაც პოეტს ზემოხსენებული ლექცია წაუკითხავს.

1479

წერეთელი აკაკი. კრებული [მე-20 ს.].

35 ფ.; 35,5×22 (სხვადასხვა ზომის); ქაღალდი; დაზიანებული (ზოგი გახეული: 21, 27 33, ამოვარდნილი—23 ფ.); მხედრული; ავტოგრაფი № 13 (გარეკანის r და 1 r). [მე-20ს] დაუწერელია: 1 v, 12 v, 14 r-v, 16 r-v, 24 v, 25 v—26 r-v, 28 v, 30 v, 32 v, 34 v, 34 r —35 v

1. ,,ედონა ბრიხნიჩოვს.—ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს
და მეც რუსეთში დავქვაღარავდი...“ 2 r—3 v.
2. ,,ჩემს პატარა მეგობარს თინა ჯაფარიძის ქალს.
—ჯერ პატარა ვარ, რომ გავიზდები
და შევიქმნები გასათხოვარი.
თქვენთან მექმნება მაშინ ყველასთან
ერთი გურწფული რამ სათხოვარი!..“ 4 r-v.
3. ,,მოღვაწის სიტყვა კერძო კრებაზე.
—არც მიხნავს, არც მითესია,
ნამგალი დავატრიალე...“ 5¦r—6 v.
4. ,,ექსპრომტი.—მე რომ ვნახე, იმისთანა
არ ნახულა სანახავი...“ 7 r.

შენიშვნა: შდრ. 1473, 53.

5. ,,ახირებული დასტური.
—ვაჟი. ქალო, ნეტავ ჩვენი იყოს
შენი შავი თვალებიო...“ 7 r-v.

შენიშვნა: შდრ. № 1473 § 54. და 1468, § 3.

6. ,,გამოთხოვება.—ვისაც ვეტრფოდი, ვისაც ვმონებდი,
საკუთრად ვისთვისც მიცემდა გული...“ 7 v—8 r.

შენიშვნა: შდრ. 1473, 55.

7. ,,გამოთხოვება (ექსპრონტად თქმული სალიტერატურო საღამოზე).
—მახსოვს, პირველად მე რომ წამოვდექ
აქ, თქვენ წინაშე, მოკანკახედ...“ 8 v.

შენიშვნა: ლექსის ტექსტი ხახვადასმულია.

8. ,,ტ. ბაგრატიონის ალბომში.—ნინოს, თამარს და ქეთევანს
არ სცოდნიათ სკვითის ენა...“ 9 r-v.

შენიშვნა: შდრ. № 1473 § 21.

9. ,,სიზმარი. (სასიმღერო კუპლეტი).
—თუ არ გწყალობს ცხადად ბედი,
უნდა დასწვე და იძინო...“ 10 r-v.

შენიშვნა: შდრ. № 1473, § 11.

10. [ლექსიდან ,,ოცნება].—,,მდინარემ მითხრა ქვითინით.
სხვისა პირი—ღობეს ჩხირი...“ 11 r—12 r.
11. [კახეთში].—,,ორჯელ ვყოფილვარ კახეთში
მე მგზავრად ცოტა ხნობითა!..“ 13 r-v.
12. ,,მარჯორი ვარდროპის სახსოვარი.
—სახელ-განთქმულ ინგლისიდან
შემოფრინდა ჩვენში ობლად...“ 15 r-v.

13. ,,რაჭა-ლეჩხუმი.—რაჭა-ლეჩხუმში ავედი,
მინდოდა მათი გაცნობა!..“ 17 r—18 v.

14. „ქართველ ქალს.—თქმულა, ელენეს შვენებამ
ტროადი დაარღვიაო...“ 19 r-v.

შენიშვნა: 1. ტექსტი თავიდან ბოლომდის ხაზგადასმულია.
2. შდრ. 1475. 22.

15. ,,კუნ, კუნ, კუნ! შორს არ წახვიდეთ.
კრუხი ეძახის წიწილებს...“ 20 r.

16. „რჩევა ახალგაზდა მწერლებს.“—განსვენებული დავით ერისთავი, დრამების გადამკეთებელი, მეტად გულწრფელი და კეთილი კაცი იყო...“ 20 v.

17. „სიმართლე.—ყოლიფერი ტყუილია:
ერთგულება, შრომა, ღვაწლი!..“ 21 r.

18. „რად აღმითქვი სიყვარული,
თუ რომ ბოლოს ვერ გასტანდი?..“ 22 r-v.

შენიშვნა: შდრ. 1473. 52.

19. „მე მას ვიცნობდი.—მე მას ვიცნობდი სიყრმიდგანავე,
თითქმის ჩემ ხელში გამოზდილია...“ 23 r-v.

შენიშვნა: შდრ. 1467, § 12.

20. ,,ალბომში.—აქ შემთხვევით გადმოფრენილს,
უცხო ქვეყნის მიწის შვილსა...“ 24 r.

შენიშვნა: შდრ. 1473, § 46.

21. „გამოთხოვება.—მე რომ მიყვარდი, ის სიყვარული,
მომაკვდავთ ენით არ გამოითქმის!.. ...“ 25 r.

22. ,,ფული.—ფულო, ეშმაკის ნაჭედო
მადანო ჯოჯოხეთისო!..“ 27 r-v.

23. ,,სიყვარული.—შორის ოხვრით, შორის ბნედით
მიყვარს! მიყვარს სულით! გულით!! ...“ 28 r.

24. ,,წერილი პატარა მეგობრებს.—დათუნია, კაკუჩავ,
მაიკე და ელენე!
მე თქვენი სახე ხატად
ჩემს გულში ჩავისვენე...“ 29 r-v.

25. „სიტყვის უმეტნაკლებლობა [ნიჭის სასწორ-საზომია. ნიჭიერება ორი-სამი სიტყვით გამოსთქვამს იმას, რასაც ძალდატანებული ნიჭი რამოდენიმე სტრიქონს მოანდომებს...“ 30 r.

26. ,,ეპიტაფია.—შრომლების გულში აღმგზნები
გავხდი ცეცხლისა მწველისა...“ 31 r.

27. [ნაწყვეტი].—„ხელთ აიღონ ნამგალ-ცელი,
გადამკონ და გადათიბონ
მინდორი, ტყე, მთა და ველი!..“ 32 r—33 r.

27. ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III.

28. „ქუთაისი.—მშვენიერო ქუთაისო,
– სავარდო და სამაისო...“ 33 r.
29. „შეუცვლელი ხარ ყოველ დროს,
საგულესა გაქვს გულიო...“ 34 r.

1480

წერეთელი აკაკი. თხზულებათა კრებული [მე-19—20 ს.]

31 ფ.; 21×17,5; ქაღალდი (რვეული, ყდიანი); დაზიანებული (ფფ: 11, 12, 26—ამოვარდნილი); მხედრული; ავტოგრაფი № 14 (1 საცავი ფ-ის r); [მე-19—20 ს.]; დაუწერელია: 16 r—24 v.

1. „ფ~ქრები: ა. [წოდებათა შესახებ].—ისე ჩვენი წარსულის გათვალისწინება არ შეგვიძლია, როგ წინ არ წარმოგვიდგეს მაშინდელი თავად-აზნაურობა...“ 1 r—2 v.

ბ. [რუსეთთან ურთიერთობის შესახებ].—ოცნებად ნუ ჩამომერთმევა ის, რომ დღესაც თაყვანს ვსცემ მამა-პაპათა სასაფლავოებს...“ 3 r—4 r.

2. „შენი ჭირიმე.—ამ დღეს ეელოდი!.. მოეცწარ!
ვიცინი!.. ალარ ვსტირი მე!..“ 4 v—5 r.
3. „სიმღერა.—მესმის! მესმის ჟღიეილის ხმა.
შეფრთქიალდენ ჩიტუნები...“ 5 v—6 r.
4. „[წმ. ნინო].—პატარა ნინო ბაბუას
ეტიტინება ალერსით...“ 6 v—15 v.

შენიშვნა: ტექსტი თავიდან ბოლომდე ხაზგადასმულია (შავია?).

5. პასუხად სომხებს.—არავის ისე გულით არ ჰსურდა
ძმობა ერთობა და სიყვარული...“ 25 r—27 v, 28 v, 29 v.

შენიშვნა: აღნიშნულ გვერდებზე მოთავსებული ტექსტებს ნაწილი: 28 v, 29v —ხაზგადასმულია (შავებს წარმოადგენს ?) და განმეორებით არის დაწერილი უფრო სუფთად, წინა გვერდებზე.

6. „ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარა-მარად!..“ 28 r.
7. „(ხალხური თქმულება).—დათვი მიუწვა შინდის ხეს,
ნაადრი ნახა ყვავილი...“ 30 v, 29 r.

შენიშვნა: ეს ხაზგადასმული ლექსი არეულად („შავი“ და „თეთრი“?) არის დაწერილი.

8. „დიდი ხანია ქართველი ანგრევს,
არ თუ აკეთებს და აგებს რამეს...“ 31 r,v, 30 r.

შენიშვნა: ლექსი თავიდან ბოლომდე ხაზგადასმულია (შავად ნაწერი?).

1481

წერეთელი აკაკი. ლექსთა კრებული [მე-19—20 ს.]

20 ფ.; 22,5×17; ქაღალდი; ყდიანი რვეული; დაზიანებული (ამოვარდნილია ფფ.: 1, 20); მხედრული; [მე-19—20 ს.]; ავტოგრაფი № 15 (1 გარეკანის v).

1. „სატრფოს.—ბროლის მკერდს რომ დაგაკონე
გული, როგორც კვესს აბედი...“ 1 r.
2. „გლადიატორის სიმღერა.—აქ არ შობილა არწივი,
ნაზარდი მყინვარ-მთებისა...“ 1 r-v.
3. ,,ნავი.—საშუალ ზღვისა სცურავდა ნავი,
ყოლის მხრიდან ჰქრიდა ნიავი..“ 1 v—2 v.
4. „ნინოობას.—იტირე, მიწავ, სამშობლოვ!
ზარი აუშვი ზეცაო!! ...“ 2 v—3 r.
5. ,,აკროსტიხი. ვითომ იუსტინე მაჰვარიანი, რომელსაც ერმილესაც ეძახდენ, მიუწერს საარშიყო წერილს აკროსტიხად ბარბალე კვირკელიასას.
—ბულბულის დამჩაგვრელო!
ანგებით მომხიბლავო...“ 3 r-v.
6. „წყევა.—იყოს წყეული სოფელი
და მისი სიტკბო-სიამე...“ 3 v—4 r.
7. ,,ერ[თ] საუკუნეში დაკარგული ქრისტიანობა.
—კაცი რომ თავის თავს უზამს,
იმას ვერ უზამს მტერობა!..“ 4 r—6 v.
8. ,,პასუხი.—შენი გზა აღმა ფრენაა,
და მარტო ჩანგი—ხელობა...“ 6 v—7 r.
9. „ბულბული.—ბულბულმა, ბუჩქში მიმჯდარმა,
დაცინვით ჩაიკაკანა...“ 7 r—8 r.
10. „ჩანგი.—ლოცვა და ჩანგის ჟღერა
ორივ ტყუპის ცალია!..“ 8 r-v.
11. ,,მობენეფისეს აღსარება.
—დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ მწყემსი;
ხან გლახაკი ვარ, ხან ვმირი...“ 8 v—9 v.
12. ,,არტისტის აღსარება.—თქვენის ,,ვაშით“ ოქვენის ,,ტაშით“
თავი მომწონს!.. მენატრება!..“ 9 v.
13. ,,სიმღერა. (ლამაზ ქალს).—ნეტაი მას, ვინც შენს ტკბილ ხმას
ერთხელ კიდევ გაიგონებს!..“ 10 r.
14. ,,ნათარგმნი ბულღარულიდან...“
—დეე, მდიოს სიღარიბემ,
დავდიოდე ფეხშიშველა...“ 10 v.
15. ,,გამოთხოვება.—ის გიყვარდეს, ვინც რომ გიყვარს!..
შეგაბეროს ღმერთმა იმას!!! ...“ 10 v—11 r.
16. ,,საგათა.—ერთ დროს რომ მკვდარი გვეგონა,
თურმე საგათიდ სძინავდა...“ 11 r-v.
17. ,,ქრისტე აღსდგა.—ქრისტე აღსდგა! გვეუბნები,
გიპასუხებთ: ჭეშმარიტად!..“ 11 v—12 r.
18. ,,უკანასკნელი პასუხი.—მესმის, ეხედავ, ახლა ვიცი!..
არც გიჟი ვარ, არც უგნური...“ 12 r—v.

19. ,,პასუხი ახალგაზდას.—სად გაზაფხული შენი ფერადი
– და სად გაცრცვნილი ჩემი ზამთარი?!.. ...“
12 v—13 r.
20. ,,პასუხი მაცდურს.—ვიცი, სხვისთვის რომ იშლები
შენ, ცბიერო, სუნნელ-ყარდად...“ 13 v.
21. „დაბრუნებულს.—საყეარლისგან დაწუნება
გულს უფრო გვწყვეტს ღვთის რისხვაზე!..“ 14 r-v.
22. ,,მწერლების ფერხული.
—ვახტანგ ჭგოდებს, ჰკვნესს და მოთქვამს,
ჰკანანახობს მათ ილია..“ 13 v—14 r.
23. „ეპიტაფია ჭ-სი.— სწავლით და ნიჭიერებით
შემკული გრძნობა-გონება...“ 14 v.
24. ,,ეპიტაფია.—იხარე ანგელოსთ გუნდში,
ვარსკვლავო მოსხივეისკარე...“ 15 r.
25. ,,თოფს. (ნათარგმნი ბულგარულიდან).
—ჩემო თოფო, დაჯანგულო,
ჩემო ძველო მეგობარო...“ 15 r-v.
26. დ. ყიფიანის სადღეგრძელოდ (ექსპრომტი).
—ვით დილის ნამი ააბიბინებს,
უდროოდ დამწყნარ, ფერმიხდილ მდელოს...“ 15 v—16 r.
27. ,,ეპიტაფია ბეტა ჭიჭინაძეზე.
—ანგელოსი ხორც შესხმული
მოგვევლინა ვით კომეტა...“ 16 r-v.

შენიშვნა: შდრ. 1474, 3.

28. ,,ქალი შვილის ჩივილი.—ჰაბუკმა რომ მიხილა,
მითხრა: ,,გული შენია! ...“ 16 v—17 r.
29. ,,გ. ქართველი შვილს (ვერცხლის ჭიქა რომ გამოეგზავნა).
—ეგ თანაგრძნობა, ეგ სულის ძრობა,
უძლური მუშის გამხნევებელი...“ 17 r-v.
30. ,,ბაბილინას (ბერიძის მაგიერ).
—მშვენიერო ბაბილინა!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა...“ 17 v—18 r.
31. ,,მრისხანეს.—მითხარ, ჩემზე რას მრისხანებ?
რა შეგცოდე, რომ მაწამე?..“ 18 r—19 r.
32. ,,მეჩანგურე.—ჰხედავთ, რა მაქვს? სულ თან დამაქვს,
ენატრება ყველასაო...“ 19 r-v.
33. ,,პასუხი (წინააღმდეგ გუნდს, ქრთამის შემძლეებს).
—მგოსანია გაჩენილი ცა და ქვეყნის შემამკობლად;
არც მიუდგეს, არც მიქებროს, თვისიანში დარჩეს ობლად... 19 v—20r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ,,ფელტმანის ალბომში.
—ეიცი, რომ არა ვიცი რა!
მატყუებს გრძნობა-გონება...“ 20 г.

35. ,,ცრუ მგოსანს.—არ მინდა შენი „ნანინა,“
და შენი სძლისა პირები!..“ 20 v.

1482

წერეთელი აკაკი. ის (მოთხრობა) [მე-19—20 ს.]

20 ფ.; 21,5×17; ქაღალდი; ყდიანი რვეული; მხედრული; [მე-19—20 ს.]; „ავტოგრაფი № 16 (საცავ ფ-ის რ). დაუწერელია: 10 v—20 v.

„პატრუქს თუ ზეთი არ გამოელია, თოფს—წამალი და პოეტს—სიყვარული, ხანი ვერცერთს ვერას დააკლებს! მაგრამ ზეთს ყველა დაასხამს, თოფში ვინ არ ჩაჰყრის წამალს და ვინ არ გატენის? სიყვარული კი გულისა და სულის სიწმიდეს მოითხოვს, რაც იშვიათია!..“ 1 r—10 r.

1483

წერეთელი აკაკი. თხზულებათა კრებული [მე-20 ს.]

